

საგურამო

ლიტერატურული ჟურნალი

SAGURAMO
Literary
journal
САГУРАМО

2(13)

2016

შინაარსი

თანამდევნი სულები

3. ილია ჭავჭავაძე საშინაო მიმოხილვა

პრემია

11. „საგურამო“ — 2016

კუბლიცისტთა

22. ვანო ჩხიკვაძე ქიზიყური ბელკანტო

კრიტიკა

33. გია არგანაშვილი პიეტა ყელსაბამისთვის

შტუდიები

38. ზაზა შათირიშვილი ვეფხისტყაოსნის ჰერმენევტიკისთვის

ისტორიული ესეი

49. როსტომ ჩხეიძე სამყარო ჩინგიზის ემბაზში

შტრიხი პორტრეტისათვის

65. ოლეგ გოლიაძე მოქალაქე, ჯენტლმენი, პოეტი

ჩანაწერები

69. ამირან არაბული სულუქცევრად საკითხავნი

კლასიკოსთა ნაკვალევზე

74. მერი ტიტვინიძე მარიანო ხოსე დე ლარა

კუბლიკაცია

78. მარიანო ხოსე დე ლარა ხობა (თარგმნა მერი ტიტვინიძემ)

ახალი თარგმანები

82. ვასილი როზანოვი ლეგენდა დიდი ინკვიზიტორის შესახებ

(თარგმნა თამარ კოტრიკაძემ)

102. მიგელ დე უნამუნო ადამიანი სისხლისა და ხორცისგან ქმნილი

(თარგმნა მერი ტიტვინიძემ)

113. ბორის პასტერნაკი ნერილები (თარგმნა სალომე ბედუკაძემ)

125. თორნტონ უაილდერი ნმინდა მეფე ლიუდოვიკოს ხიდი

(თარგმნა ნოდარ ბადრიაშვილმა)

185. თომას სტერნზ ელიოტი ესეების კრებულიდან: „სალვთო ტყე“

(თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა)

მთავარი რედაქტორი
ანდრო ბედუკაძე

რედაქტორები
ივანე ამირხანაშვილი
ურა შერაზადიშვილი



ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების
გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმე-
ბლად დაუშვებელია

ტელ.: 551 18 37 76
sagur andro.nag@gmail.com



ილია ჭავჭავაძე

საშინაო მიმოხილვა

ნეტარხსენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორე ავიდა ტახტზედ თუ არა, სულ სხვა, ახალმა სიომ დაუბერა რუსეთს. იმ დრომდე თვალდახუჭვილმა და ენადაბმულმა რუსეთმა თვალი აახილა, ენა ამოიღვა. რასაკვირველია, ეს უცებ არ მოხდა და არც ერთის კაცის ნებითა: ეგ მოიტანა ცხოვრებამ, რომელიც თავის დღეში უქმად არ შეჩერდება ხოლმე, ეგ მოიტანა ცხოვრების ნამუშევარმა. ახალმა დრომ თუ თავი რაიმეთი იჩინა, ეგ იმით, რომ თავისი თავი ცოტად თუ ბევრად იცნო და თავის მოთხოვნილებას აჰყვა.

ახლად თვალახილულმა რუსეთმა, რალა თქმა უნდა, ჯერ თავის თავზედ დაიხედა, გაიჩხრიკა თავისის ყოფაცხოვრების თირკმელები, შიგნეულობა. ნახა, რომ ზოგიერთ მაცხოვრებელს ძარღვი ჩასწყდომია, ჩირქი ჩასდგომია და შეჭგუბებია. შეუდგა მიზეზთა გამოძიებას: რამ იმოქმედა ასეო? ნახა, რომ მისის სნეულების სათავე — თვითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული. უარჰყო იგი წყობა. უარჰყო ყოველივე, რაც კი იმ წყობას შეჰსწევდა და ხელს უმართავდა. ამ არსებულის უარყოფამ წამოიწია იმ წრიდამ, რომელსაც გონებით მცხოვრებს საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ყოველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე. ის საზოგადოება მთელის თავის

ძალღონით მიანყდა ამ უშველებელს საქმეს უარყოფისას და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი და კიცხვაა დროგარდასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატვრა ნელად აკვირტებულის ახლისა. უკეთესი წარმომადგენელი ამ საზოგადოებისა — პოეზიაში, მეცნიერებაში თუ პუბლიცისტიკაში, — სულ ამ დიდის საქმის მიმდევარნი იყვნენ დაულაღავად. მათის მართლა-და დაუფინყარის ღვანლით მაგ თამამმა უარმყოფელმა მიმართულებამ ფეხი კარგად განზედ გადგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზედ დაიჭირა ადგილი. ამ ახალი მიმართულების მესვეური იყო სახელოვანი „Современник“ — ი.

აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად. აქაც ასე მოხდა. ცხადიც არის, რატომ. არსებული, ძველი, ისე არ გაცუდდება, რომ ვისმე გამოსაყენი არ იყოს. ეს ერთი მეორე ისა, რომ ბევრი იმისთანა მოდუნებული და შელახული კაცია ქვეყანაზედ, რომელიც ისე შეეჩვევა ხოლმე ჭირსა, რომ შეჩვეული ჭირი შეუჩვეველს ლხინს ურჩევნია. მესამე და ყველაზედ უფრო ფესვმაგარი კიდევ ის არის, რომ ყოველს არსებულს, ყოველს ძველს თავისი ადგილი უკვე დაუპყრია ადამიანის ცხოვრებაში, უმრავლესობისაგან აღიარებულია, ნებით თუ უნებლიეთ გულშეჯერებულია და ჟამთა ხნიერობით ბეჭედდაკრული და დამტკიცებული. იმ სამთა მიზეზთა გამო ძველს, არსებულს, მომხრე არ დაეღევა. თვითონ

ახალიც, რომელიც ძველის ადგილად უნდა ჩამოსდგეს, დაბადებისავე უმალ ისე არ მომწიფდება, რომ პირში ჩადების და დაღეჭის მეტი სხვა აღარა უნდოდეს რა. როგორც ძველი ობი, ისე ახალის კვირტი ძნელი დასანახავია. ამისათვის მეტად სალი, გამჭრე თვალი უნდა გონებისა.

ამ მიზეზით თითქმის მთელი რუსეთი გაიყო ორ დიდ ბანაკად: ერთი მოექცნენ ძველის, არსებული მომხრენი, მეორეში ძველის უარყოფელნი და ახლის მესვეურნი. პირველს ბანაკს დაერქვა „მამების ბანაკი“, მეორეს — „შვილებისა“. ეს სწორედ რუსეთში მოგონილი სახელება და სრულებით არ უხდება იმ საგანს, რომელიც ევროპაში მოქმედებს კონსერვატორების და ლიბერალების გასარჩევად. „მამობა და შვილობა“ თვალად გასარჩევი საქმეა. ამისთანა გარეგანად სანიშნავმა სახელწოდებამ ბევრს წყალწყალა ჭკუას გზა და კვალი დაუბნია რუსეთში და რუსეთის ბაძით ჩვენშიაც. ერთის სიბერე და მეორის სიყმანვილე სამყოფი იყო ზოგიერთა ცრუპენტელა კაცისთვის, რომ ერთი ერთს ბანაკში მოექცია და მეორე — მეორეში, იმისდა მიუხედავად, თუ რა აზრების მალღარებელნი არიან ან ერთნი და ან მეორენი.

პირველს შეხედვაში კაცს ეგონება — რუსეთს „მამების“ ბანაკი ერთის მხრით და „შვილებისა“ მეორეს მხრით, ევროპის კონსერვატორობას და ლიბერალობას მოასწავებსო. ჩვენის ფიქრით, ეგ შეცდომა იქნება. თუ რუსეთის ლიბერალობა, ამ ბოლონდელ ხანებისა მაინც, ჩამოჰგავს ევროპის ლიბერალობას, რუსეთის კონსერვატორობაზედ მაგას ვერ ვიტყვი. რუსეთში ჭეშმარიტი კონსერვატორობა არ არის დღესაქამომდე.

ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა ჰსცხოვრებს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მიმდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის — დღევანდელი დღეს თხოულობს, ყველას თუ არა, ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული იქნება, — მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმე-

თა სათავეში მოექცევა ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მანამ ეს არ მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომ ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თვითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა.

პირველის წყობის მომხრეებს ევროპაში კონსერვატორებს ეძახიან, მეორისას — ლიბერალებს. პირველები არიან უკვე დადგენილნი მცველნი, მეორენი — ახლის მესვეურნი და მდომელნი. თუმცა ერთი ძველის მცველები არიან და მეორენი ახლის მდომელნი, მაგრამ პირველებს ყველაფერი ძველი არ მოსწონთ და მეორეებს ყველა ახალი არ ენატრებათ. ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოვებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავს, და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღეგრძელობისათვის ჭეშმარიტი ლიბერალი თავის საკუთარს დღეს შეიმოკლებს. ირლანდიისათვის ინგლისის ხელიდამ განთავისუფლება ახალი საქმე იქნება, მაგრამ ჭეშმარიტი კონსერვატორი ირლანდიისა თავს დაჰსდებს, ოღონდ ეგ მოიპოვოს. ინგლისის ეგრედწოდებული „დიდი ხარტია“ ძველი რამ არის, მაგრამ ინგლისის ლიბერალი უსიკვდილოდ არ დასთმობს არც ერთს ასოს იმ ხარტიისას.

ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც, მისის გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის. რა თუ ხანდისხან ჰსცოდავს რაშიმე ქვეყანას, მარტო იმაში, რომ ზოგჯერ იმისთანა ძველსაც გადაეფარება, რომელიც, თუმცა გამოსადეგი აღარ არის, მაგრამ უვნებელია და ძველის ადგილს არ უთმობს ახალსა — მანამ კარგად გულს არ დააჯერებს, რომ ახალი კეთილს მოიტანს. ჭეშმარიტი ლიბერალობაც უარყოფს მარტო იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარხად გაჰსდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის. იგი ნდომობს იმ ძველის მაგიერ იმისთანა ახალს, რომელიც ძველზედ

უკეთ ხელს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას. საცა მბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა იყოს. მართო ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევს მართალი და ჭეშმარიტი. კაცობრიობას დღეს აქამომდე სხვა გზა არ აღმოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაპოებლად.

ჩვენ ესა ვსთქვით იმიტომ, რომ ვაჩვენოთ, სადამდის შეუძლიან, ჩვენის ფიქრით, გაინვინოს ხელი ან ძველის მცველმა და ახლის უარყოფელმა, ან ძველის უარყოფელმა და ახლის მდომელმა, რომ ჭეშმარიტს კონსერვატორობას ან ლიბერალობას არ გადაჰსცდეს.

კონსერვატორების უკან და ლიბერალების წინ, მარცხნივ და მარჯვნივ ბევრნაირი სხვადასხვა აზრის ნაკადულებია კიდევ, და თუ ჩვენ მართო ორი ნყოფა აზრისა მოვიხსენიეთ, ეგ იმიტომ, რომ ცხოვრების მიმდინარეობის შუა წელი მაგ ორ მხარდამხარ მოარულს ნყოფას აზრისას უჭირავს.

რუსეთში სულ სხვასა ვხედავთ. აქ „მამებმა“ ისე გაინიეს, რომ ყველაფერს ძველს გამოესარჩლენ ავისა და კარგის გაურჩევლად და ყველაფერს ახალს დაუნყეს ძაგება და დევნა; გაქირი ჰქმნეს ამაზედ და წინ ფეხი ველარ გადმოაბიჯეს. ამისი მაგალითი „Русский Вестники“ – ა და „Московские ведомости“, ეგ ორი უპირველესი ფალავანი „მამებისა“. ჯერ გუშინ ლაღადებდა „Московские ведомости“, დამნაშავეებს რაღა უნდაო, აიღეთ და ჩამოაღრეთო, და სასაცილოდ იგდებდა ეხლანდელ განსამართლების წესს, რომლის შემოღებისათვის განსვენებული იმპერატორი ევროპისა არ იკადრებდა მაგას და ეგრე უსირცხვილოდ არ შეეხებოდა მაგ დიდს და ახალს დაწყობილებას, რომელსაც ახალს განსამართლების წესს ეძახიან. თუ გუშინ ამას კადრულობდნენ რუსეთის „მამები“, რაღა უნდა ვსთქვათ მასზედ, რაც ამ ოცის წლის წინად იქნებოდა მათის წყალობით?

ეგრეთმა წყაღალმა გაბიჯებამ „მამებისამ“, — ანუ უკეთ ვსთქვათ, გაქირმა, — გააგულისა „შვილები“. ამან გააფიცხა, გაამწვა და გააკაპასა „მამებსა და შვილებს“ შორის ბრძოლა და „შვილების“ ბანაკი

იქამდე მიიყვანა, რომ უარყოფინა არამც თუ მართო ის, რაც ლირსი იყო უარყოფისა, არამედ ზოგიერთი იმისთანაც, რომლის უარყოფისათვის წამონითლდება სირცხვილმორეული ეხლანდელი ჭეშმარიტი ლიბერალი რუსეთისა. შედგა „შვილების“ ბანაკიც მართო უარყოფაზედ და მესვეურობა ახლისა უკან კუთხეში მიაგდო. უკანასკნელი ფალავანი ამ თითქმის ყოვლად უარყოფელის მიმართულებისა იყო მეტად სხარტე და ნიჭიერი მწერალი პისარევი. მისის მეთაურობით ამ გადაჭარბებულმა უარყოფამა იქამდე მიუშვა სადავე, რომ უარყოფით პუშკინის მოღვაწეობაცა და მთელს შექსპირს ერთი კაი სიგარა ამჯობინა. ამ მიმზიდველმა, ლამაზად მოუბარმა, ხელსუბუქმა ახალგაზრდა მწერალმა ბევრი მოზარდი ყმანვილი ჩაითრია და ბრმად აიყოლია. პისარევის მიმზიდველს ძალას ვერც ჩვენებურები გადაურჩნენ.

ეს ჩათრევა, რასაკვირველია, მართო პისარევის მიმზიდველობით არ აიხსნება. აქ ყმანვილის გონების გასატაცებლად უარყოფელის მიმართულების სითამამე და გაბედულებაც იყო. ყმანვილის გონებას ისე არა მიიზიდავს რა, როგორც სითამამე, გაბედულობა. სითამამეს, გაბედულობას ბევრი ბრწყინვალე მხარე აქვს და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ყმანვილმა მას მიატანოს, რაც ბრწყინავს. პატარა ბავშვი მაშინვე ხელს გაუნვდის ხოლმე სანთლის ალსა. ჩვენ ამას ვამბობთ მართო იმ ყმანვილკაცობაზედ, რომელთაც ჯერ გონების თვალი არ უჭრიდათ, რომ მაგ მიმართულების არსებითი ძარღვი ეპოვნათ. არც იმის თქმა გვინდა, რომ უარყოფელს მიმართულებას კარგი არა მოუტანია რა. ბუღბუღივით უაზრო გალობას პოეზიისას კრიჭა აუკრა და მაღა წაართვა, ავტორიტეტებზედ ბრმად დანდობა საიქიოს გაისტუმრა, ისტორიას, დიდკაცების ცუდლუტობის მაგიერ, საგნად ერის ყოფაცხოვრება მისცა, ყმა ადამიანად აღიარა და განათავისუფლა.

ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ბოლოს და ბოლოს, უფრო პისარევის წყალობით, ბევრი რამ მაგ მიმართულებაში ისეთი იყო, რომ ჩალასავით ტკაცატკუცით აპილპილდა და გონებაგაუხსნელი ყმანვილკაცობა ნაიტ-

ყუა, როგორც ფარვანა ცეცხლმა. მეორე ნაწილმა ყმანვილკაცობისამ კი, უფრო გონებაგახსნილმა, სრულად შეითვისა ყოველივე კეთილი მად მიმართულებისა და ზურგი შეუქცია ტყუილუბრალო ფრაზების ტკაცატკუცსა.

ასეა თუ ისე, პისარევის უარყოფა დიდ მოდად შემოვიდა ბრმათათვის. ვისაც ადვილად და მოუმზადებლად კუსავით ფეხის გამოყოფა უნდოდა ქვეყანაზედ, ეგ მოდა უნდა მიეღო. ამისათვის ორიოდ ფრაზა იყო საჭირო. ერთი ის, რომ პოეზია, ერთობ ხელოვნება, რა ჭკვიანი კაცის საქმეა, ერთი წყვილი წალა შექსპირს მირჩევნიაო; მეორე — ავტორიტეტები არა მნამსო; მესამე — ისტორია ზღაპარიო; და მეოთხე — ქვეყანაზედ მარტო გლეხკაცია ადამიანი და თავადი და აზნაური კი არაო. ეს ფრაზები რომ დაგესწავლათ, ლიბერალი იყავით და ლიბერალი. აი სწორედ ამგვარ ლიბერალობაში ჩაცვივდნენ ჩვენებურის ყმანვილკაცობის ბევრი წილი. დღესაც, დააკვირდით ჩვენებურს შინგამომცხვარს ლიბერალებს, თუ მარტო ამ უთავბოლო ფრაზებით არ იკვებებოდნენ და ქვეყნის სასაცილოდ თავიანთ თავს ლიბერალებად და რადიკალებად არა ხადოდენ. აბა დააკვირდით, თუ ყველგან, საცა გინდა და არ გინდა, სულ ეგ ფრაზები არ წამოსჩხირონ, ფერად-ფერადს ძონძებში გახვეულებმა.

მანამ სახელოვანი „Современник“-ი თავში ედგა მას, რაც მერე „შვილების“ ბანაკად გადაიქცა, ძველის უარყოფას დამჯდარი ჭკუა და მეცნიერება წინ მიუძღოდა და ახლის მესვეურობა თავმინებებული არ იყო. ტურგენიევმა რომ ყოვლის უარყოფელი ბაზაროვი გამოხატა, „Современник“-მა თავის მოძმედ არ მიიღო და ითაკილა, თუმცა-კი ჭეშმარიტი ლიბერალური მოძრაობა რუსეთში და თვით უარყოფა „Современник“-ის საქმე იყო და დროშა ლიბერალებისა მას ეჭირა. პისარევმა კი ბაზაროვი გულში ჩაიკრა და თავისიანად მიიჩნია. რათ მოხდა ესე? იმიტომ, რომ „Современник“-ის უარყოფა კარგისა და ავის გარჩევით იყო და პისარევისა ამას გარდაცილებული და ბაზაროვსავით ავისა და კარგის გაურჩეველი. ამ სახით, პისარევმა ჭეშმარიტს ლიბერალობას წინ კი არ გაასწრო, არამედ გვერდზედ გაუხ-

ტა, მის მოძღვრებას ნახტომი შეეშალა, და ფეხი მოუსხლტა და დაეცა. დაძველდა ის ახალიცა და ჩვენს ლიბერალებს ეგ ჯერ არ შეუტყვიათ.

დღეს რუსეთმა ბევრით წინ წამოინია. თუმცა რუსეთის კონსერვატორობა ევროპის კონსერვატორობამდე ვერ შემთავრდა და გადაიქცა რეტროგრადობად, მაგრამ ლიბერალობამ კი თავი გაიტანა, თავის გზაზედ დადგა და ბევრი რამ შეიძინა. შეიცვალა საუკეთესოდ რუსეთის ლიბერალების აზრი ხელოვნებაზედაც, პოეზიაზედაც, ავტორიტეტებზედაც, გლეხსა და თავადზედაც; ყოველს ამაზედ აზრი უფრო ფართოდ გაიშალა და გაიხსნა მეცნიერების ნათელქვეშ. ცხოვრების შიგნით და ცხოვრების გარეთ ბევრი საგანი ფეხზედ წამოაყენა, ბევრი ძველი მიიღო თავის მფარველობის ქვეშ, ბევრი ახალი აჰნუსხა დასადგენად და ბევრი განსადევნად. მაგრამ რადგანაც ყოველი ესე ჯერ „ჩოტკში“ ჩაგდებული არ არის, ყოველს ამას ჯერ ჯამი არ აქვს გამოყვანილი, რომ მზამზარეულად ხელზედ დახვევის მეტი არა უნდოდეს რა, და რადგანაც ჩვენებურს შინგამომცხვარს ლიბერალებს ღმერთმა იმოდენა ჭკუა არ მისცათ, თვითონ აჰნუსხონ ის, რაც დღეს რუსეთის ლიბერალების მოძღვრებას შეადგენს, ამიტომაც ჩვენი ტყუილი ლიბერალები დღესაც ამ აზრებში ტრიალებენ, რომელთაც კარგა ხანია თავისი დრო და ჟამი მოჭამეს, თავისი ჰქმნეს და ჩაილულის წყალი დალიეს. ამ სახით, ჩვენს ბრმა და ცრუპენტელა ლიბერალებს ჭეშმარიტი ლიბერალობა ცხვირწინ გაეპარა, და თუ გაოცების ნიშნად ჯერ პირი არ დაუღიათ, ვაი ეს რა საქმე მოგვსვლიაო, ეგ იმიტომ, რომ ჯერ არ შეუტყვიათ, რა დღეში არიან ჩაცვივნულები.

თუმცა „მამების და შვილების“ ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმანვილკაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ყმანვილკაცობის სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზედ. მას აქეთ ჩვენშიაც ყმანვილკაცობა ორ ბანაკად გაიყო: ერთში მოექცნენ ისინი, ვისაც რუსეთის უარყოფელის მიმა-

რთულებიდამ ოთხ ზემოხსენებულ ფრაზებს გარდა არა გამოეცანათ რა, მეორეში — ახალის გუნდის მომხრენი. პირველებმა დაიხვიეს ხელზედ რუსეთის „მამა-შვილობა“, ენაზედ დაიკერეს ზედმოყვანილი ოთხი ფრაზა და დღეს-აქამომდე ანიონოს იძახიან და იოლად მიდიან. მეორეები კი დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებას და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი ჰსდევს. ჰსცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღალატობს და, მამასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალღონითა. და თუ აქაც ბედისწერას ასე არ გადავურჩებოდით, რომ „მამა-შვილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნად დადებულყო. ის „სხვა რამე“ იყო — ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია, — ყველასათვის ცხადზედ ცხადია.

იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“ სულ მაგ მიმართულების ბუკსა და ნალარასა ჰსცემდნენ. საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენის პოეზიისა სულ მაგას გვამხელდნენ, მაგას გვიგალობდნენ დღეს-აქამომდე. მართალია, ჩვენის „ვინაობის“ აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქმნია რა, რადგანაც იმისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგა ქვეითობდნენ. მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ფეხი მოაკიდებინეს. ისიც დიდი ამბავი იქნება, თუ ამ გუნდმა ამ საგანზედ მოახედა ჩვენი აღმაცერად მაყურებელი თვალი და რაც ძალ-ღონეა, სულ მაგ საქმეს ზედ მოახვია და შეჰსჭიდა. რაც ვერ ჰქმნეს ამათ, იქმონენ სხვანი, ოღონდ ამ მიმართულებამ თავი დაიჭიროს ჩვენს ცხოვრებაში, ღრმად გაიკეთოს ძირი და იმოქმედოს, ვიდრე საჭიროება მოითხოვს.

ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მარტო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია, და რადგანაც ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისთვის. დეე ოთხფრაზიანმა ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენი ამას ვიტყვით, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მანამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დაფუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად, — მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ. აი ჭეშმარიტის ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში. ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდელის დღის მღალადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აჰყვება. გინდათ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერს შუაშია, ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის.

სლავიანებმა, რომელთ ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, სულ ამ საქმეს მოახმარეს თავისი დრო და მეცადინეობა. ამისთვის თავგანწირულ კაცებს დღეს წმინდანებსავით ლოცულობენ და თავყვანსა ჰსცემენ. მათი უკეთესი წარმომადგენელნი იმით ქადულობენ, იმით ლიბერალობენ, რომ მაგ საქმეს მისდგომიან და მარტო მაგით სულდგმულობენ. დღესაც მაგ საქმეს ზედ აკვებებიან და, რასაკვირველია, არც მოეშვებიან, ვიდრე თავისას არ გაიტანენ. თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად

თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავივით, გამოჰსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გამირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურკაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავინყებულნი სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედაენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რისი იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან.

აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმანვილკაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმლით შეჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს. ამისთვის სამყოფი არ არის კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და იმითი თავი მოიტანოს. ყმანვილკაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმინევილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დააჩნევს. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერსა ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმანვილკაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ. „ჯერ მაცოცხლეო, მერე მაფიქრებინე, როგორ გავმდიდრდეთ: — ამბობს ერთი სლავიანი პატრიოტი. ნამდვილად გულშემატკივარმა საქართველოს შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გუ-

ლის ფიცარზედ და სხვაზედ არაფერზედ არ წაიტყუოს ჭკუა და ხელი.

ყოველის ჩვენგანის მოქმედების სანყაო, საზოგადო საქმეებში თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მიუცილებელს საგანსა და გზას. სხვა სანყაო ტყუილია და ამაო: სხვისი ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საქროებაზედ გამოჭრილი.

* * *

ამ ერთისთვის განმავლობაში ჩვენში თითქმის სხვაზედ არაფერზედ ლაპარაკობდნენ, გარდა ჩვენის ესრეთნოდებულ „დეპუტატებისაგან“ კონვოელებისათვის ვენზელების თხოვნისა. ქუჩაში შეხვედრის დროს ნაცნობები ერთმანეთს მწარეს ღიმილით, ან გაჯავრებულნი ჰკითხავდნენ: „გაიგე, როგორ შევურცხვენივართ ჩვენ დეპუტატებსაო? პოლშელებს უთხოვნიათ, ჩვენს ენას სხვადასხვა უფლება მიანიჭეთ, ჩვენს ქვეყანაშიაც ის ცვლილებანი შემოიღეთ, რომელიც რუსეთს ეღირსა განსვენებულ იმპერატორის ალექსანდრე მეორის მეფობის დროს, და ჩვენებს კი ვენზელების მეტი არა უთხოვნიათ რაო“.

პირველად დოლი ილია ბახტაძემ დაჰკრა, მას მიჰყვა „დედაკაცების“ და „მამაკაცების“ ხმაც და მთელმა საზოგადოებამ შეჰქმნა ყაყანი. ყველა სწუხდა, ყველა ცხარობდა.

მაგრამ აქ არც სამწუხარო და არც გასაცხარებელი არა იყო რა. სამწუხარო და გასაცხარებელი უფრო ის არის, რომ ჩვენს საზოგადოებას ან არა სცოდნია — რა არის „დეპუტატი“, ან არა სცოდნია — როგორ „ვირჩევთ“ ჩვენ დეპუტატებს.

დეპუტატი არის საზოგადოებისგან ამორჩეული პირი, რომელმაც საზოგადო საქმეებში თავის ამომრჩეველთ მაგიერ უნდა მონაწილეობა მიიღოს, და თუ რომელსამე მაღალ პირთან გაგზავნიან, საზოგადოების სურვილი და მოთხოვნილება გამოაცხადოს.

ახლა ეს გვიბრძანეთ: ვინ ამოირჩია ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატი?

— არავინ.

— ვინ ამოირჩია ტფილისის თავადაზნაურობის დეპუტატები?

ოთხიოდე თუ ხუთიოდ პირნი ერთად შეიკრიბნენ, თავი თვისი თვითვე ამოირჩიეს და გაემგზავრნენ პეტერბურგისკენ. იქ ერთ მათგანს, როგორც ნაცნობს, დაჩაგრულმა კონვოელებმა სთხოვეს, გვიშუამდგომლით, რომ მიცვალებულ ხელმწიფის სახსოვრად ვენზელები ჩვენც დაგვირიგონო; იმანაც იშუამდგომლა და კონვოელებს ვენზელები უწყალობეს.

ეს ან რა ცოდვავა, ან გული რათ უნდა მოგვდიოდეს! თუკი ევროპაში თვითმფლობელობა, თვითმართველობა და სხვადასხვა თვითუფლებები შემოიღეს, ჩვენ რაღა ეგრე უკან ჩამოვრჩით, რომ ერთის სიტყვის და ერთის დანესებულების შემოღება ვერ შევძლოთ. შემოვიღეთ თვითამორჩევა, და ჩვენმა თვითამორჩეულმა დეპუტატებმა თუმცა ბევრი საყვედური მიიღეს, მაგრამ სრულიად უმიზეზოდ.

ხან იმაზედა ვჯავრობთ, ვენზელები რათ ითხოვესო, ხან იმაზედა, რატომ იგივე არ ითხოვეს, რაც პოლშელმა დეპუტატებმაო, ერთიც და მეორეც უსაფუძვლო ჯავრობაა.

ჩვენი დეპუტატები თვითამორჩეულნი იყვნენ, პოლშელები — ამორჩეულნი საზოგადოებისაგან. ჩვენებს უნდა თავის თავზედა და თავიანთ მეგობრობაზედა ეზრუნათ, პოლშელებს — საზოგადოებაზედა; ჩვენებმა თავიანთ ნათესავ, ან მეგობრებს კონვოელებს ვენზელები უთხოვეს, პოლშელებმა ითხოვეს თავიანთი ენის თავისუფლება და თავის ქვეყნისთვის სხვადასხვა უფლება. პოლშელ დეპუტატებმა, გაზეთების სიტყვით, თურმე ერთბაშადა სთქვეს, რუსული არ გვესმისო, რადგან იცოდნენ, რომ მათ ზურგს უკან რამდენიმე მილიონი ხალხი ამოჰფარებოდა, და ეჭირვებოდა, რომ სასამართლოებში და სასწავლებლებში მათი დედაენა შემოეღოთ; ამ აზრით იმათ იკისრეს რუსული ენის უცოდინარობა, თუმცა, დარწმუნებული ვართ, ეს ენა იმათ ზოგიერთ ჩვენს „დეპუტატებზედა“ უკეთ ეცოდინებოდათ.

ჩვენი „დეპუტატები“ ასე როგორ შეირცხვენდნენ თავსა; დარწმუნებული ვართ, რო ეკითხათ, ყველა მათგანი იტყოდა, ჩვენ რუსული უფრო კარგად გვეს-

მის, ვიდრე ქართულიო, — ოლონდ, ოლონდ...

ერთის სიტყვით, პოლშელს დეპუტატებს უნდა საზოგადოებაზედა ეზრუნათ და იზრუნეს კიდევ. ჩვენებს უნდა ეზრუნათ ან თავიანთ თავზედა, ან თავიანთ მეგობრანათესავებზედა.

კვლავ თუ გვინდა, რომ ჩვენებმაც ჩვენთვის იზრუნონ, თვითამორჩევას თავი დავანებოთ და საზოგადოებრივ ამოვირჩიოთ, ჩვენი სურვილი გამოვუცხადოთ და ისე გავგზავნოთ, სადაც გასაგზავნია; თორემ არ ვიცვი, ვინ წავიდა, სად წავიდა, რისთვის წავიდა, და ვიძახით კი — რატომ ესა და ეს არ ითხოვესო, ერთმანეთს ველრიჭებით, ვიცინით, — დახე, დახე ჩვენმა დეპუტატებმა რა სახელი გაითქვეს, როგორ მალე უშოვნეს კონვოელებს ვენზელებიო.

ახი არ იქნება, რომ „რევიზორის“ გოდონიჩი გაგვიჩნდეს საიდანმე და გვითხრას, — რო იცინით, რას იცინით? თქვენს თავს დასცინითო!

* * *

ამისთანა სამწუხარო მოვლენასთან, როგორც არის თვითამორჩეულ დეპუტატების წასვლა პეტერბურგში და მათგან ვენზელების თხოვნა, ჩვენს ცხოვრებაში ხანდისხან მოხდება იმისთანა მოვლენა, რომელიც მანუგეშებელ სხივსავით მოგვეფინება ხოლმე.

აპრილის დასასრულს და მაისის დამდეგს ჩვენს საზოგადოებას ცოტაოდენი სიცოცხლე დაეცემა ხოლმე. ამ დროს მოდის საზოგადო კრება ტფილისის, ქუთაისის ბანკებისა და სხვადასხვა ქველმოქმედ საზოგადოებისა. ჯერ არ ვიცით, როგორ გაივლის წრეულს ეს კრებები ტფილისში ან ქუთაისში, რა სასიკეთო ნიშნებს შევამჩნევთ ჩვენს ცხოვრებას, ან რა გავითარებას დავატყობთ ამ კრებების შემწეობით.

შემდეგს ნომერში იმედი გვაქვს ვრცელს კორესპოდენციას დავბეჭდავთ ქუთაისის ბანკის კრების თაობაზედა ჩვენს ჟურნალში და სხვა საზოგადო კრებებზედაც მოვილაპარაკებთ, დღეს კი ორიოდ სიტყვა გვინდა ვსთქვათ ტფილისის

საადგილმამულო ბანკის კრებაზედ, რადგან ზოგიერთი მართლაც სასიამოვნო რამ შევნიშნეთ.

ამ კრებამ დაამტკიცა, რომ ჩვენის საზოგადოების წევრნი თვალხუჭანას აღარ თამაშობენ, და რასაც რომელიმე გამგეობა ან დანესებულება წარუდგენს, გაურჩევლად აღარ ამტკიცებენ. ვინც „თეთრში“ ან „შავში“ აგდებს თავის კენჭსა, იცის რისთვისაც აგდებს და რაცა სწადიან.

ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკს წრეულს ცხრაასი თუმანი ჰქონდა დარჩენილი საზოგადო საჭიროებებისათვის. დიდი ლაპარაკი ასტყდა ამის თაობაზედ, რაზედ მოიხმარონ ეს ფული და ხანგრძლივის ბაასის შემდეგ ასე დაარიგეს:

ასი თუმანი შესწირეს ბავშვებისთვის სადგურის გასამართავად, მიცვალებულ ხელმწიფის სახელზედ.

ასი თუმანი შესწირეს ქართულ თეატრს, ასი — თელავის ქალების სასწავლებელს, და ექვსასი თუმანი — ტფილისის თავად-აზნაურთა სკოლას.

ზოგიერთნი წევრნი ბანკისა მეტად ენიხანაღმდეგებოდნენ თეატრისათვის შეწირვას, თუმცა ბევრნი უმტკიცებდნენ, რომ თუ ეს მცირე ფული არ გადასდეთ თეატრისთვის, შეიძლება ქართული თეატრი დაიშალოს და მოგვესპოს ის ერთადერთი დანესებულება, სადაც ჩვენს ენაზედ ვსიამოვნობთ და ზოგჯერ ჭკუასაც ვსწავლობთ. ვინ იყო მტყუანი და ვინ მართალი, აქ

ამის გარჩევას არ შევეუდგებით; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ საგანს ორჯერ უყარეს კენჭი და ორჯერვე თითქმის ერთი და იგივე რიცხვი მოვიდა შავსა და თეთრს ყუთში. მხოლოდ მეორედ ერთის კენჭითა სძლიეს თეატრის მომხრეთ. ეს ცხადად ამტკიცებს ჩვენს აზრს, რომ ეხლა ყოველი მწვერი მნიშვნელობას აძლევს თავის კენჭს და კოჭაობას აღარა თამაშობს. მეორე შესანიშნავი კიდეც ეს იყო, რომ როდესაც საზოგადო კრებამ გადასწყვიტა შესწიროს თელავის სასწავლებელს ასი თუმანი, თან სურვილი გამოაცხადა, რომ ეს ფული ქართულ ენის სწავლების გასაუმჯობესებლად მოხმარებულ იქმნასო.

ეს გადაწყვეტილება ღირსშესანიშნავია, როგორც ხმა მთელის საზოგადო კრებისა და, ჩვენის აზრით, საყურადღებოა თვით სწავლა-განათლების გამგეთათვისაც.

ბოლოს შევნიშნავთ კიდეც, რომ ძვირად გვინახავს ჩვენში ესეთი მიუდგომლობა, მიუფერებლობა და პირში თქმა, როგორც ამ კრებაში შევამჩნიეთ. ღმერთმა ჰქმნას, რომ ქუთაისის კრებასაც ღირსეულად შეესრულებინოს თავისი საქმე და ის ენერგია, სიცხოველე და გამჭრიახობა, რომელსაც იმერლები ხშირად პირად ინტერესებს ახმარებენ, კეთილსა და საზოგადო საქმესთვის მოეხმარებიონთ.

[1881 წ., 27 აპრილს]



„საგურამო“ — 2016

2016 წლის 8 ნოემბერს საგურამოში ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღი აღინიშნა და ლიტერატურული ჯილდოების გადაცემის ცერემონია გაიმართა.

ილიას მედალი „მარად და ყველგან“ მიენიჭა ცნობილ ქართველ მწერალს გურამ გეგეშიძეს.

პრემია „საგურამო“ ნომინაციების მიხედვით ასე განაწილდა: პოეზია — ჯარჯი ფხოველი, პროზა — არჩილ ქიქოძე, კრიტიკა — მაია ჯალიაშვილი, თარგმანი — ლერი აღიმონაკი, საბავშვო მწერლობა — თეა ლომაძე, ჰუმანიტარული მეცნიერება — ომარ გოგიაშვილი, ხელოვნება — მურაზ მურვანიძე.

გთავაზობთ ლაურეატების სამადლობელ სიტყვას.

მაღალი ნიშანსვეტი

ჯილდო, რომელიც ილიას სახელს ატარებს, საწუკვარია ყოველი ქართველისთვის. მე პირადად ჯილდოებითა და პრემიებით განებივრებული კაცი არა ვარ და არც არასდროს მივისწრაფოდი აქეთკენ, მაგრამ ილია ისეთი მაღალი ნიშანსვეტია, ისეთი დიადი გამოვლენაა ქართული სულისა, ისეთი ზნეობრივი მაგალითია, რომ დიდად საამაყოა მისი ნიშნის ტარება, და ამჟამად მე განვიცდი ამ სიამაყეს.

მრავალჯერ ვყოფილვარ მის მამულში, გამივლია მის კოხტად მოვლილ ეზოში, სადაც ილია დააბიჯებდა და ვინ იცის, რას არ სწვდებოდა მისი ფიქრები. მონინებით ვმდგარვარ ზედა სართულის პატარა ოთახშიც, ახლაც რომ ისევ იქაა მისი ტახტი და მაგიდა, სადაც ილია მუშაობდა და საიდანაც იშლება არაგვის ხეობის თვალწარმტაცი ხედი, რომლის ხილვა, ალბათ, სულს უმშვიდებდა და გარჯისა და ძალისხმევისკენ განაწყობდა საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მეც მიოცნებია იმ ოთახში ჩემი სამშობლოს ბედნიერ მომავალზე და ჩემი თავი მიმიჩნევია დიდი წინაპრის ერთგულ შთამომავლად.

ბედნიერი მომავალი კი, ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ იმედი, — რომელიც მუდამუჟამს ასულდგმულებს ადამიანს, —



ცოცხალია, და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩაკვდეს.

სწორედ ის ჯილდო, რომელიც ილიას სახელს ატარებს, და რომელიც მომეკუთვნა ჩემი ცხოვრების მიწურულს, მაიმედებს, რომ მომავალ თაობებს მაინც აუხდებათ დიდი წინაპრის, დიდი ილიას ნაოცნებარი, ანუ თავისუფალი და ღირსება აღდგენილი სამშობლო.

გურამ გეგეშიძე

მე ვარ ილიას პლაგიატორი

საქართველოსთვის ილიას იღბალი მარადიულია. ეს ვიგრძენით ამ მცირეხნის წინაც, როცა დიდი მწერლური ოჯახიდან მოგვევლინა ილიას წმინდადქართველური სულისკვეთებით აღსავსე ზვიადი, მაგრამ, სამწუხაროდ ბერბიჭაშვილებს და ფშავლიშვილებს არ სძინავს, ზვიადსაც განუმზადეს თავისი წინამური!..


მაგრამ უფლის თვალი, სიტყვა და გულმოდგინება არა სტოვებს საქართველოს მინას და ზეცას, არა გეტოვებს ჩვენ: ჟამითი ჟამად მოგვივლენს ილიას ტალანტით და სულისკვეთებით აღსავსე დიდ ქართველს და დღესაც ამ დიდი გარდასახვის მონმენი ვართ: დიდი მწერლური ოჯახიდან კვლავ მოგვევლინა იგი და... დღესაც ბერბიჭაშვილების და ფშავლიშვილების ზეობის ხანაში, სჯობია საიდუმლოდ შევინახოთ მისი სახელი, მაგრამ მისი საქმეები ყოველთვის ილაღადებენ და მომავალიც იმის სახელს მრავალჯერ აღმართავს, მაგრამ ეს მაშინ მოხდება, როცა წინამურის ჯალათები უფლის ნებით უსათუოდ დაყრუვდებიან!..

მადლობა უფალს, რომ ილიას ნალოლიავეები ქართული სიტყვის მწყემსებად დაგვადგინა, რადგან უამსიტყვებოდ არ არსებობს ეს ცა და მიწა... და გვაზიარა ამ ღვთაებრივი მწერლის გულისფეთქვას, სისხლს და ოფლს და მოგვცა მარტოსულ მეუდაბნოეთა ერთგულება, პატრიოტული სული, ქართული სიტყვის და მიწის შეწირვაში რომ გამოიხატება...

ეს არის თავგანწირვა. ეს არის ცხოვრება: მეუდაბნოე ქართველის, მარტოსული მწერლის ცხოვრება, ვისაც სიტყვიერების უფსკრულში თვალწინ უდგას ილიასეული ცრემლის ტბორი, სადაც ხელშესახებად აღიქმება ცხოვრების რელიეფი, დროის არათანაბარი ტრიალი.

დღეს ვაღიარებ: სანამ ცოცხალი ვარ, ილიათი მიდგას სული. მე ვარ ილიას კვალდაკვალ მავალი, მე ვარ ილიას პლაგიატორი!.. ეს არასოდეს დამიმალია... ის არის მარადიული ხევისბერი, საქართველოს დიდი მედროშე!..

მისი სიტყვა, მისი გარემო, როგორც



ღვთაებრივი უფსკრული; გარემო, სადაც მძფრდება და ფრთებს ისხამს რწმენა მამულის, სულის, კაცურკაცობის და პოეზიის, რაც პოეტისთვის უმთავრესია...

დაბეჯითებით ვიტყვი: ილიას ბიოგრაფიასთან, ილიას ადგილებთან ვალში ვარ. ეს ქართველ პოეტს არ ეპატიება.

პოეტური სიმარტოვის ასეთივე ილიასებურ უფსკრულად წარმომიდგენია დიდი პოეტი შოთა ჩანტლაძე, რომლის წიაღშიც ბევრი რამ დიდი ილიას გავლენებით განისაზღვრება... სიღრმისეული პლაგიატი უჩინარია... ესეც უნდა იყოს!

არავითარი პრემია, არავითარი სხვა რამ ლიტერატურული ჯილდო მე დღემდე არ მიმიღია... ის კი არა და ხანდახან ჰონორარებსაც კი არ მიწერენ!.. ამიტომ არც გამკვირვებია ამ დღეებში ერთი ხანმოთეული მწერლის ვითომ მოლოცვა, მისი აზრით ამ ერთდოლარიან პრემიაზე უარი უნდა ვთქვაო.

გავისხენე შოთა ჩანტლაძის კეთილი ხუმრობით ნათქვამი, „ჩამოფასებული საქონელი“, დასავლეთიდან რომ ჩამოიტანა, ჩვენ, თავის მეგობარ ახალგაზრდა მწერლებს რომ მოგვანერა... ამისთვისაც დიდი მადლობა!

ჯარჯი ფხოველი

განმანათლებელი

ამ ჯილდოს მიღება ჩემთვის დიდი პატივია და ამავე დროს პასუხისმგებლობა. სხვანაირად ვერც იქნება, რადგან ჯილდო ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული. ეს კარ-მიდამო არის ყოველად არაჩვეულებრივი ადგილი ჩვენი ქვეყნისა. ილია ჭავჭავაძე იყო ის ადამიანი, რომელიც სანთლითა და ეძებდა ნიჭს და ბავშვივით ხარობდა, როდესაც ნიჭიერ და შნოიან თანამემამულეს აღმოაჩენდა. ყველამ ვიცით, რომ არ დარჩენილა მისი ეპოქის არც ერთი საინტერესო ადამიანი, რომელიც აქ, ამ სახლში, მისი სტუმარი არ ყოფილიყოს და ჩემი რწმენით, ეს იყო საუკეთესო ქართველობა, რომელიც კი ოდესმე ჰყოლია ჩვენს ქვეყანას.

როდესაც ერთხელ, მოთხრობის წერილსას, შევეცადე ერთი სიტყვით გამომეხატა, თუ ვინ იყო ილია ჭავჭავაძე ჩვენთვის, მე ვერ ვიპოვე უკეთესი სიტყვა, ვიდრე — „განმანათლებელი“.

მე საგურამოს პრემია ლიტერატურული საქმიანობისთვის გადმომეცემა და ეს სიამაყით მავსებს. ოღონდ ილია ჭავჭავაძე იმდენად დიდია, რომ მისი სახელობის პრემია თავისუფლად შეიძლება გადაეცემოდეს ფინანსისტს, ჟურნალისტს, მასწავლებელს, პოლიტიკოსს და ნეტავ, დღევანდელ საქართველოში მეგულებოდეს პოლიტიკოსი, რომელიც მას დაიმსახურებდა.



ჩემი, როგორც მწერლის და მოქალაქის სურვილი კი ის არის, რომ ხშირად მივუბრუნდეთ იმ სიბრძნეს და სინამდვილეს, რასაც ილია ჭავჭავაძე ჰქვია, რათა ამ ადამიანის დანატოვარი არ იქცეს კონტექსტიდან ამოგლეჯილ საზეპირო ფრაზებად, ხოლო თავად ილია ჭავჭავაძე — უსიცოცხლო პორტრეტად, რომლის ხილვა ხშირად გვინევდა და გვინევს ღირსებისგან დაცლილ კაბინეტებში.

არჩილ ქიქოძე

საქართველოს მზიანი სული

ჩემთვის დიდი პატივია „საგურამოს პრემიის“ მიღება, რადგან ის ილია ჭავჭავაძის სახელთან არის დაკავშირებული. ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობაცაა. მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობს საგურამოს დაცვის, პატრონობის, ამ პრემიის დაარსების საქმეში. ილია ჭავჭავაძე იყო საქართველოს მზიანი სული. „მე-19 საუკუნე საქართველოში ილიამ კიდევ მოიგონა, კიდევ შეჰქმნა და თავისი სისხლით კიდევ დაჰკირა... ილია რომ გამოაკლდეს მეცხრამეტე საუკუნეს, მაშინ იქნებოდა საქართველო სამუდამოდ დაბნელებული“, — წერს ტიცვიან ტაბიძე და ამ სიტყვებით საუკეთესოდ გამოხატავს



ილია ჭავჭავაძის, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწის, მწერლის, პუბლიცისტის, ბანკირის, მოაზროვნის მნიშვნელობას საქართველოს, როგორც ერის, გადაარჩენის საქმეში.

მეცხრამეტე საუკუნეში საქართველომ თითქოს ფერი იცვალა, სწორედ ამიტომაც ასე მეტაფორულად წერდა არჩილ ჯორჯაძე: „მე-19 საუკუნე იყო ის ხანა, როდესაც ქართველთათვის მეორედ შობა მოხდა და საქართველომ სცნო და იპოვა თავისი დაკარგული სახე. ილია ჭავჭავაძე ამ შობიერების ბებიაც იყო, ამ დაკარგული სახის მაძიებელ-აღმდგენელიც“. გრიგოლ რობაქიძემ ილიას „ქართველთა მოურავი“ უწოდა, რომელმაც საქართველოს ხერხემალი „ისე მაგრად გამართა, რომ მას ვერავითარი წელკავი ველარ მოგრეხდა“.

ილიამ ახალგაზრდობისთანავე დაიწყო უშელავათო ბრძოლა ქვეყნის სულიერი აღორძინებისათვის, რომელსაც ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა უნდა მოჰყოლოდა. ლიტერატურას, ისევე, როგორც ხელოვნების ყველა სფეროს, ერთი მიზანი უნდა ჰქონოდა: ადამიანური ყოფის გაუმჯობესება, თავისუფალი პიროვნებისთვის თავისუფალი სახელმწიფოებრივი ასპარეზის შესაქმნელად. „მამულო, საყვარელო, შენ როსლა აყვავდები“ და „ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“ — იქცა მთავარ საფიქრალად. დღესაც აქტუალურია აზრი, რომ „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“. ილიამ მოხვევ ლელთ ღუნისათვის ათქმევინა სიტყვები, რომლებმაც მთელი საქართველოს საფიქრალი ფორმულასავით გამოკვეთა: „ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნეს“. კონსტანტინე გამსახურდიამ დაწერა შემდგომ: „არიან სიტყვები, რომლებიც ველის ყაყაჩოსავით სულ მალე, მეორე-მესამეჯერ ხმარებაზე ჭკნებიან და ცვდებიან. სამაგიეროდ, არიან სიტყვები, რომელნიც ზეცის ვარსკვლავებივით არასოდეს დაბერდებიან. ასეთი დაუძლეველი სიტყვებით შემოვიდა ილია ჭავჭავაძე საქართველოში“.

ილიამ ქართველ ერს მთავარი ზნეობრივი ორიენტირები და სამოქმედო პროგრამა უამრავ პუბლიცისტურ, ლიტერატურულ წერილსა თუ ნარკვევში ჩამოუყ-

ალიბა, გამოკვეთა სახელმწიფოს უპირველესი საყრდენების დაცვისა და განმტკიცების აუცილებლობა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება... თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რაღა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას... ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

ილიამ ქართულ კულტურას ევროპული განვითარების გზა დაუხასხა. იგი მალე აღმოჩნდა ქვეყნის კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების შუაგულ ქარცეცხლში. მისთვის ცხოვრება ბრძოლა იყო და ცდილობდა ეს ჩაეგონებინა ქართველი ხალხისთვისაც. მისი მზერა ცხოვრების ყოველ კუთხე-კუნჭულს სწვდებოდა. ილიამ თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით მთელი ეპოქა შექმნა, ამიტომაც წერდა გალაკტიონი: „წინამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“. ილიამ განსაზღვრა ახალი ეპოქის მთავარი იდეალებიც, რომელთაც უნდა უერთგულოს ერმა, თუ სურს, რომ ძლიერი, თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს.

მთელი ცხოვრების განმავლობაში საზოგადო და სახელმწიფოებრივი საქმეებით დაკავებული, ილია დიდად ველარ იცლიდა მხატვრული შემოქმედებისთვის, თუმცა რასაც წერდა და დაენერა („გლახის ნაამბობი“, „ოთაანთ ქვრივი“, „კაცია-ადამიანი?!“, „განდგეგლი“ და სხვ), მწერლური ოსტატობის უმაღლეს გამოვლენას წარმოადგენდა. გრიგოლ რობაქიძე ილიას სტილზე დაკვირვებისას ზუსტად და ხატოვნად შენიშნავდა: „ილია ყნოსავს და შემდეგ გემოს უსინჯავს სიტყვას... მისი სიტყვა მსუქანია და შედედებული. მას აქვს: ჯიში, ჯილაგი, ჯავარი, ზავთი, ბარაქა, დოვლათი, ყველგან ხორცი, მაგრამ არა უძვალო. ხორცი მსუქანი, თითქმის ქონიანი... იგი ხორციელების ნოყიერებაა... ფესვგრძელი, მუხლმაგარი“.

ილიასთვის „ღმერთთან ლაპარაკი“ მხოლოდ მეტაფორული თქმა როდი იყო. მას ქვეყანა ქრისტეს გზით, დიდი რწმენით, ბიბლიური მოსესავით, აღთქმული, თავისუფალი ქვეყნისკენ მიჰყავდა. მისი სიტყვა გულში სწვდებოდა მკითხველს და აფორიანებდა. „ცუდას რად უნდა მტერობა, კარ-

გია მუდამ მტრიანიო“, — ნერდა ვაჟა და ილიასაც გამოუჩნდნენ ღვარძლიანი, შურიანი, უგუნური მტრები. თუმცა ილია ნერდა: „ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვნერთო“. ილიას ქვეყნის სიძულვილს აბრალებდნენ, მისთვის „გიჟიას“ ძახებასა და ლაფის სროლას არ იზარებდნენ ქვეყნის ვაიგულ-შემატიკივარნი და „გულმოკლე პატრიოტები“. მათ არ მოსწონდათ ილიას მხატვრულსა თუ პუბლიცისტური ნააზრევის „სარკეში“ არეკლილი თავიანთი „მახინჯი“ სახეები, მას ქვეყნის სიძულვილში სდებდნენ ბრალს და მოსაკლავადაც დასდევდნენ. ილიას ეს ამბავი არ აშინებდა და განაგრძობდა გურამიშვილისეულ მართლის თქმას, ერის ნაკლოვანებათა მხილებას („ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „კაცია-ადამიანი?! და სხვ.) თანვე თავისი ღრმააზროვანი და მრავალფეროვანი წერილებით საქართველოს ისტორიას, კულტურას აცნობდა მკითხველს, ნამდვილ გმირებს უხატავდა, შეახსენებდა: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“

(„დავით აღმაშენებელი“). ილია დაუნდობლად ებრძოდა კალმითა და საქმით ყველას, ვინც ქართველ ერს, მის ისტორიას შეურაცხყოფას აყენებდა. მისი უნივერსალური განათლება და ღრმა აზროვნება ადამიანური ყოფის ყოველ სფეროს სწვდებოდა, თავისუფლად ნერდა როგორც ლიტერატურის, განათლების, ისტორიისა და, ზოგადად, კულტურის, ასევე საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე.

1987 წელს ქართულმა ეკლესიამ ილია წმინდანად შერაცხა. წმინდა ილია მართალი ქართველ წმინდანთა ზეციურ დასს შეუერთდა. და ისევ გრძელდება ილიას სულიერი სიცოცხლე მისსავე სტრიქონებში ამგვარად გაცხადებული: „მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული“.

გიორგი ლეონიძემ ილიასთვის მიძღვნილ ლექსში დაწერა: „შენ ძირს დაგცეს ფოთოლივით და მთასავით წამოდექი“ („ილიას სურათზე“). ეს მთა მუდამ თვალწინ გვაქვს და არ გვავიწყებს, რომ ზეცის შვილები ვართ და არა მხოლოდ მიწისა.


მაია ჯალიაშვილი

პითარცა მოსემ

დღეს 8 ნოემბერია, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე. 179 წლის მოხუცის ლანდი შორეთიდან გულდაფლეთილი შემოგვყურებს. და ოდეს ხედავს სამშობლოს ცას შავი ღრუბლებით მოგრაგნილს, მისი კაეშნით სავსე თვალეები უფრო მეტი კაეშნით ივსება. საღმრთო კვერთხი, რომლითაც ნახევარი საუკუნე წინ მიუძღოდა ერს, ზეცისკენ აღუპყრავს და ძე შეცდომილთ გვაფრთხილებს:

— არ დავუზავდეთ ეშმაკს!

მისი მძლავრი გონება, როგორც გონება ნათელმხილველი ქურუმებისა, ერთნაირი ძალით სწვდებოდა როგორც საღმრთო, ისე სანუთისოფლო სამოღვაწარს. მესიანური იდეებით აღჭურვილმა, ვითარცა მოსემ აღმოიყვანა ისრაელიანნი კერპთა ჯურღმულეებიდან, ისე მან აღმოიყვანა ქართველნი მონობის სინყვდიადიდან და მიზნად სიტყვა და მოღვაწეობა დაუსახა. სიტყვასა და მოღვაწეობას უნდა შეეკრა ერი ქვეყნის სახსენლად, ეძლია ურჩხული, სამ-



შობლო მიწაზე ოთხმხრივ გარდათხმული. მან იტვირთა კირთებანი ერისა. ის, ყოველადბრძენი, როგორც მესათხეველე — ბადეს, ისე დაიკრებდა თავის თავში ერის ყველა ტკივილს, ყველა სანამებელს. ამ სამოღვაწარს მიუძღვნა თავი, შეენირა

კიდევ ამ სამოღვაწარს, როგორც საღმრთო ზვარაკი. ამიტომაც დაადგეს თავს მონამის გვირგვინი, ამიტომაც შემოსეს ღვთისკაცის შარავანდედით, ამიტომაც შერაცხეს წმიდანად. მან დაუხსნა ქართველთ ცნობიერების, მახსოვრობის კარიბჭენი, გაახსენა ერს ვინაობა, თვალნინ გადაუშალა მრავალმონამეობა ქვეყნისა.

მარტო ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენება რად ღირს?!

დაშრეტილი ცნობისმოყვარეობითა და მახსოვრობით რომ ფუჭია ყოველგვარი სიტყვაცა და მოღვაწეობაც, ეს, უწინარესად, თუ ვინმემ უწყოდა, ილია ჭავჭავაძემ უწყოდა. სწორედ სიტყვისთვის, სწორედ მოღვაწეობისთვის ესროლეს ტყვია. თუმცა კაცი მოჰკლეს, ვერ მოჰკლეს ილია — ის საუკუნო თანამდევნი სულია საქართველოსი.

დღესაც დიდი შეტევაა ერის ცნობიერებაზე, რომ დაუფატრონ და ამოუძირკვონ იქიდან ილიას ნამემკვიდრები სიტყვა და მოღვაწეობა, რაც ერის მაცხოვრებელია, გამაჟამგრძელბელია. ოღონდაც მის დიდებულ სახელს მონამის შარავანდედი შეუბილწონ, დღესაც ბევრგზის გაიგონებთ ცილისმწამებლურ ხითხითს, რაც არც სიცოცხლეში ჰკლებია, არც სიკვდილის შემდგომ დაუკლიათ მისთვის საქართველოს მტრებს. არ უნდა ფიქრი: ჯერ კიდევ ჰყვავის ჩვენში სოციალ-დემოკრატიების, ბოლშევიკ-კომუნისტების დათესილი ღვარძლი, და ეს ღვარძლი როდის აღმოიფხვრება, თუ ფხიზლად არ ვიქენით, კაცმა არ იცის. და ახლა, სწორედ

ახლა, მახსენდება გალაკტიონის სტრიქონები: „ანგარიშში სცდება მტერი, როს მღერის და გულში ღრინავს — მას არ სძინავს არასოდეს, მაგრამ ეხლა არც მე მძინავს“. გალაკტიონივით, დღენიადაგ მღვიძარება გვმართებს, დიდი ილიას სიტყვა და ღვანლი შავ წყალს რომ არ გავატანოთ. და ოდეს ჩვენს გულებში დაიზაფხულებს, სვეტიცხოვლის ძველ ტაძარში ჩვენც შევეუერთოთ ჩვენი ხმა ჩვენი დაბეჭავებული ერის ხმას და ანდერძივით გულში შთავიბეჭდოთ ღვთაებრივი ილიას ღვთაებრივი სიტყვები:

ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგინყენია?!
ანმყო თუ არა გვწყალობს,
მომავალი ჩვენია!

რა ვქნათ, ასეთია ქართველთა ხვედრი.

დაბოლოს, რაც უნდა პარადოქსულად უღერდეს, მე ილია ჭავჭავაძის იდეებზე აღზრდილი, მეცხრამეტე საუკუნის ნაშიერად ვთვლი თავს, იქ ვყალიბდებოდი, როგორც მოქალაქე, ნიადაგ იქაური სულისკვეთება მასაზრდოვებდა, დღესაც ის სულისკვეთება მასაზრდოვებს. და ეს ჯილდო კიდევ ერთხელ მკაცრად შემახსენებს ილიასეულ ფორმულას:

— არ დაგუზავდე ეშმაკს!

მადლობა მინდა მოვახსენო ამ საქმის ყველა მოთავეს, კოლეგიისა თუ საბჭოს წევრებს, რომლებმაც ღირსად მცნეს და მომანიჭეს ესოდენ საპატიო ჯილდო, ჯილდოთა შორის ზეაღმატებული — პრემია ილია ჭავჭავაძისა.

ლერი ალიმონაკი

არსებობს ილია — ვართ ჩვენ

ილია ჭავჭავაძეზე იმდენი თქმულა და დანერილა, რა თქმა უნდა, მე ვერაფერს ვიტყვი ახალს მის როლსა და მნიშვნელობაზე. უცნაურია ჩემი სახელის ილიასთან დაკავშირება, დიდი პატივია და ცოტა უხერხულობის მომგვრელიც.

ჩემთვის ილია დაიწყო ბავშვობაში, წიგნის თაროზე ჩამწკრივებული დიდი თხზულებათა ტომეულის დანახვით. შემდეგ გაგრძელდა ამ წიგნების ჩამოღებით და სარჩევის დათვალეიერებით. შემდეგ — ლექსით „გაზაფხული“, რომელიც არ არის საბავშვო, მაგრამ ფორმის და რითმის



გამო ბავშვს გონებაში ადვილად ებეჭდება: „ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალიც ჭყვივს...“ შემდეგ – სკოლის დერეფნების და საკლასო ოთახების კედლებზე ჩამოკიდული მისი მაღალშუბლიანი, ჭკვიანთვალეებიანი პორტრეტებით, სასკოლო მასალით, სტუდენტობისას მისი პუბლიცისტური წერილებით... და ასე გრძელდება ილია ჭავჭავაძესთან ურთიერთობის უსასრულო პროცესი.

ყველაფერი ბავშვობიდან იწყება და მინდა წარმოვიდგინო პატარა ილია, რომელსაც საღამოობით და-ძმებთან ერთად ხან მამა უყვება ზღაპრად ისტორიულ ამბებს, ხან დედა უკითხავს წიგნებს. დავინახო ჩვეულებრივი, დაობლებული ბავშვი, სულიერი ტრავმის გამო ერთი წელი სწავლას გულს რომ ვერ უდებდა. ყველაფერი ხომ ბავშვობიდან იწყება, და იქნებ, საბავშვო ლიტერატურიდანაც.

„ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია... არ უნდა გვიკვირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის სათავეშიც ვხედავთ. ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანის... თუ სათავე მღვრიეა, ბოლოში ამოიქნება წმინდა წყლის ძებნა“. მგონი, ამ სიტყვებით ძალიან ბევრი რამ არის ნათქვამი, მათ შორის საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობაზე.

ბევრი თვლის, რომ ლიტერატურის დაყოფა საბავშვოდ და სადიდოდ არასწორია. ასეა თუ ისე, ქართულ საბავშვო-საყმაწვილო ლიტერატურას არ უღიხნის. მას აკლია გამომცემელი, კრიტიკოსი, პედაგოგი, იქნებ – მკითხველიც. შეიძლება გადაჭარბებულია, მაგრამ, ვთვლი, რომ ქართული საბავშვო ლიტერატურა ცოტა

დაჩაგრულია, მკაცრი საბაზრო ეკონომიკის პირისპირ დარჩენილი. ილია ჭავჭავაძემ ითავა და უპატრონა ყველაფერს და ახლაც, აქ, მისი სახელი პატრონობს ხელოვნებას და ლიტერატურას, იმიტომ, რომ ყოველი პრემია, ნომინაცია თუ კონკურსი დარგის განვითარებას უწყობს ხელს და ამისათვის კიდევ ერთხელ დიდი მადლობა პრემია „საგურამოს“ იდეის ავტორებს და განმახორციელებლებს.

ჩვენ ისევ გვაქვს პრობლემა, ისევ გვჭირდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, არა ასოების დაწერისა და წაკითხვისათვის, არამედ მართლწერის ცოდნისა და წაკითხულის გაგება-გააზრებისათვის. და ქართული მწერლობის და კონკრეტულად, საბავშვო მწერლობის განვითარებამ ამაში, უთუოდ, თავისი როლი უნდა შეასრულოს.

როგორი ვიქნებოდით ჩვენ, ილია რომ არ გვყოლოდა. ილია — ასეთი პროგრესული, პირდაპირი, პირში მთქმელი, მუდამ ასე მტკივნეულად აქტუალური, ასეთი მართალი. ზოგჯერ მგონია, რომ თავისი სისხლი გადმოგვისხა და თავისი სული გვინილადა და ამის გამო გავხდით უკეთესები, თუნდაც ოდნავ. პირადად მე, ვგრძნობ და ამაყი ვარ ჩემში მისი სისხლის წვეთით და სულიერების პატარა ნაწილით, მისგან რომ მერგო. და მაქვს შეგრძნება: არსებობს ილია — ვართ ჩვენ, ჩვენ ვარსებობთ და არის ილია. ჩვენშია ჭავჭავაძე, მარად და ყველგან ჩვენთან არის ჩვენი თანამდევნი მისი უკვდავი სული.

და სულ ვფიქრობ, ნეტავ იქ, ბუხართან, რას უყვება და რას გადასცემს დედა-მამა პატარა, ფუნჩულა ბავშვს, რომელიც ასეთი გაიზრდება.

თეა ლომაძე

პოლიტიკური პუბლიცისტიკის ფუძემდებელი

„ქართველი ერის ეროვნული
იდეოლოგი“
(ვაჟა ფშაველა)



უპირველესად მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო საგურამოს პრემიის მიმნიჭებელ კომისიას ჩემი 30-წლიანი შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

როდესაც ასეთ მაღალ პატივს მოგიზღავენ, თავი ვალდებულია უნდა ჩათვალო, მოახსენო ამ პატივდებულ საზოგადოებას, რატომ შევეჭიდე ამ ურთულეს ამოცანას — გამომერკვია, როგორც ილია იტყოდა, „თირკმელები გამომეჩხრიკა“ მისი მემკვიდრეობის იმ ასპექტებისა, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია და რომლებიც ან დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი, ან უგულებელყოფილი.

საქართველოს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ კულტურის მოღვაწეთაგან, არავის არ დაუმსახურებია მკვლევართა ისეთი დიდი ყურადღება, სიცოცხლეშიც და მის შემდგომაც, როგორც ილია ჭავჭავაძეს. მაგრამ თავიდანვე, მისი მსოფლმხედველობის მრავალმხრივი პრობლემატიკის შეფასებათა ამპლიტუდა დიდი რხევებით გამოირჩეოდა, რადგან ილია ჭავჭავაძე, როგორც ერის უპირველესი ავტორიტეტი, ყველა პოლიტიკური ძალისათვის მისთვის მომგებიანი პოლიტიკურ-პრაგმატისტული ინტერესებიდან იყო წარმოდგენილი.

იდეოლოგიზირება მუდმივად თანსდევდა ილიას ნააზრევს და მისგან გათავისუფლება დღევანდელი მეცნიერების საშური საქმეა. თუმცა, როდესაც ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის პირობებში მომუშავე ავტორების შესახებ ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს ილიას გენიალური ფორმულა იმის შესახებ, რომ „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქურქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილინცა“. ის, რომ ეპოქის ღირებულებები, მისი განმაპირობებელი პროცესები და მიზეზ-შედეგები უნდა გაიაზ-

რო და მერე ახსნა მოვლენები, ილიას ისტორიის ფილოსოფიის ანბანად მიაჩნდა. ამრიგად, ჩვენი პირველი და უმთავრესი ამოცანა გამოკვეთილია — ითქვას მართალი სიტყვა ილია მართლის მემკვიდრეობის შესახებ პოლიტიკურ ფილოსოფიაში, იდეოლოგიაში, პოლიტიკაში.

ილია, როგორც მწერალი, ლიტერატორი, საყოველთაოდ აღიარებულია საკაცობრიო მასშტაბით და ამის მრავალი არგუმენტიდან ერთს შემოგთავაზებთ. სახელოვანი ქართველი მწერალი და მოაზროვნე კონსტანტინე გამსახურდია, ილიას მემკვიდრეობის შესახებ უამრავი ესეებისა და გამოკვლევების ავტორი, წერდა: „მწერლობა უხმარი საგანი და მაკულატურა იქნებოდა, მსოფლიოს რომ არ მოვლენოდნენ ისეთი შემოქმედნი, როგორებიც იყვნენ ჰომეროსი, დანტე, გოეთე, ილია ჭავჭავაძე და ლევ ტოლსტოი“. ჩვენი სურვილიც ანალოგიურია (თუ გადაჭარბებულ ამბიციად არ ჩაგვეთვლება), ვაჩვენოთ, რომ ილია პოლიტიკურ მეცნიერებებში თავისი პერიოდის დიდი მოაზროვნეების დონეზეა, ზოგ შემთხვევაში კი მათ წინ უსწრებს.

ილია ჭავჭავაძე თავისი ცოდნით მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ღრმა ინტელექტითა და ერუდიციით, იდეებისა და იდეოლოგიების ზღვა ნაკადში, თავისი ქვეყნისათვის იმ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში საუკეთესოს მოძებნის ინტუიციური და პროგნოზირების უნიკალური უნარით მსოფლიოს უდიდესი მოაზროვნე

კორიფების პირველ რიგებში დგას. ასეთი მტკიცების საფუძველს გვაძლევს ფრანგი განმანათლებლების, ჯ. ლოკის, ე. ბერკის, ე. კანტის, ფ. ჰეგელის, ა. ტოკვილის, ს. სმიტის, ე. ბენტამის, ჯ.ს. მილის, მ. გლადსტონის, რ. დარვინის, ჰ. სპენსერის, თ. ბისმარკის და სხვების პოლიტიკური მეცნიერებების სხვადასხვა ასპექტებზე გამოთქმული მოსაზრებების ილიასეული ანალიზი და მისი მისადაგება საქართველოს სპეციფიკური პირობებისადმი. ასევე საინტერესოდ მეჩვენება და სიღრმისეულად ვცადე მეკვლია „საერთო ნიადაგის“ თეორიაში გამოთქმულმა მოსაზრებებმა, სხვა კონცეფციებში, დისპუტებში გამოთქმულმა იდეებმა როგორი განვითარება მიიღო XX საუკუნის პოლიტიკურ ფილოსოფიაში (ფ. ჰაიეკი, ი. ბერლინი, ჯ. როუსი), ინგლისურ ლიბერალიზმსა და კონსერვატიზმში. სრული საფუძვლით შემიძლია განვაცხადო, რომ ბევრი საკაცობრიო პრობლემა (კერძო საკუთრებისა და თავისუფლების ურთიერთკავშირი, ლიბერალურ-კონსერვატიული იდეოლოგიების ურთიერთ-შედენევის ტენდენცია და კონსენსუსი მათ შორის და სხვა) სწორედ იმ მიმართულებით განვითარდა, როგორც ეს ილიამ წარმოაჩინა „დროების“ და განსაკუთრებით „ივერიის“ ფურცლებზე.

ილია პოლიტიკური პუბლიცისტიკის ფუძემდებელია საქართველოში, პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების დაულალავი მკვლევარი და ბრწყინვალე ანალიტიკოსი.

ილიას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მეცნიერებისა და პოლიტიკის ავტორიტეტებისადმი. როდესაც ოპონენტები გამოუჩნდნენ – უკრიტიკოდ ენდობა ავტორიტეტებსო, მან ერთი დიდი ავტორიტეტი მოიშველია — შენ დაგიჯერო თუ ჯონ სტიუარტ მილს, რომლის წიგნი ეხლა ხელში მომხვდაო, — მიმართა თავის ოპონენტს, ყოფილ წაროდნიკს, თბილისის სომხური თემის ერთ-ერთ ლიდერს, ხუდადოვს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ლიბერალური იდეოლოგიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი

წარმომადგენელი ჯონ სტიუარტ მილი ილია ჭავჭავაძისათვის, მართლაც, აღიარებული ავტორიტეტი იყო, ისევე, როგორც დიდი შოტლანდიელი ადამ სმიტი.

ილია ხშირად იყენებდა მეცნიერების და პოლიტიკის დიდი წარმომადგენლების მოსაზრებებს, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, თვითონაც თავისი წვლილი შეჰქონდა მეცნიერების განვითარებაში. უამრავი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას — როდესაც კერძო საკუთრების მნიშვნელობაზე საუბრობს ადამიანის თავისუფლებების უზრუნველყოფაში, ლაკონურ, მაგრამ უაღრესად ტევად პრინციპს გვთავაზობს: „რაც სხვისია, ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, ეგ ჩემი უფლებაა“. ამ სტრიქონების ავტორი რომ ინგლისელი, გერმანელი ან ფრანგი ყოფილიყო, ის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში ისეთ მნიშვნელობას შეიძენდა, როგორც, ვთქვათ, ლიბერალიზმის სხვა პრინციპები: „ჩემი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება“. ან „ადამიანმა ყველა მთავრობაზე უკეთ იცის, მას რა სჭირდება“. მაგრამ ხომ ცნობილია, და ფაქტია, რომ მცირე ერები ვერ ახერხებენ იდეათა საკაცობრიო საგანძურში თავისი დიდი წარმომადგენლების სიბრძნის შეტანას — ეს დიდი ერების წარმომადგენელთა პრეროგატივაა.

ფართო ერუდიცია, უტყუარი ალღო, პროგნოზირების უნარი ილიას საფუძველს უქმნიდა განესაზღვრა ევროპის და მსოფლიო პოლიტიკური პროცესის ტენდენციები და მისი შედეგები — ვთქვათ, ასეთი: მსოფლიო მეთაურობას დაიმკვიდრებს ამერიკა და XX საუკუნე ამერიკის იქნება; ევროპა რომ ორ სამხედრო პოლიტიკურ ბლოკად განიყოფა და ამ ბლოკების შემადგენლობაც დაასახელა; პირველ მსოფლო ომამდე 25 წლით ადრე იწინასწარმეტყველა, რომ ახალი ომის ინიციატორი იქნებოდა გერმანია, რომ იაპონია იქნებოდა აზიური ცივილიზაციის მეს-

ვეური და გზის გამკვალავი და სხვა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ილიას პუბლიცისტურ მოღვაწეობაში განსხვავებული პერიოდები ერთნაირი ინტენსივობით არ ხასიათდება. მოღვაწეობის პირველი ოცნლელუი უაღრესად ნაყოფიერია მხატვრული შემოქმედების თვალსაზრისით. ამ პერიოდის, 1863-1882 წლების, მთელი პუბლიცისტისტიკა ოცტომეულის ერთ, VI ტომში მოთავსდა, მაშინ, როცა ილიას შემდგომი პერიოდის, 1886 წლის ნაღვანი ერთმა ტომმაც ვერ დაიტია. სახელმწიფო სამსახურში მყოფი ილია, როგორც ჩანს, გარკვეულად თავს იკავებდა მწვავე „საპოლიტიკო“ საკითხების განხილვისაგან პუბლიცისტისტიკის ფორმით და თავისი მადლიანი კალამი ძირითადად მხატვრული ლიტერატურისკენ აქვს მიმართული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაკრატელშემართული ცენზორი პროზაიკოსპოეტ ილიასადმი უფრო შემწყნარებელი იყო, ვიდრე ილია-პოლიტიკური ანალიტიკოსისადმი.

ილიას სამეცნიერო-პოლიტიკურ პუბლიცისტისტიკაში გააქტიურება იწყება 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან და აქედან მოყოლებული მოღვაწეობის ეს სფერო ხდება უმთავრესი და უპირველესი მის შემოქმედებაში.

თითქმის 30 წლის მანძილზე ილიამ მხოლოდ ერთი, ისიც სოციალური პრობლემათიკით უაღრესად დატვირთული მოთხრობა „ოთარანთ ქვრივი“ (1887 წ.) შექმნა და ამავე პერიოდში ასობით სამეცნიერო-პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციოლოგიური წერილი და გამოკვლევა გამოაქვეყნა. მისი პუბლიცისტური შემოქმედება განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც „ივერია“ ყოველთვიური ჟურნალიდან „ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთად“ გადააკეთა. იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას ილიას მუშაობის ნაყოფიერებასა და ინტერესების ფართო სპექტრზე, ერთ მაგალითს გაგაცნობთ: 1887 წლის 13 იანვრიდან 18 იანვრის ჩათვლით ილიამ „ივერიაში“ ხუთი ნარკვევი გამოაქვეყნა: პირველი შეეხებოდა, როგორც თავად

წერდა, ბისმარკის „დახვლანჭულ“ საგარეო პოლიტიკას; მეორე — საფრანგეთის შიდა პრობლემებს, რადგან მისთვის მისაღებ რესპუბლიკურ პოლიტიკურ სისტემას სერიოზული სისუსტეები აღმოაჩნდა; მესამე წერილში ილია კვლავ გერმანიას დაუბრუნდა, რადგან მნიშვნელოვნად ჩათვალა, ბისმარკის რაიხსტაგში წარმოქმული სიტყვის შინაარსი ოპერატიულად გაეცნო ქართველი საზოგადოებისადმი; მეოთხე წერილში ილია ბელგიის მაგალითზე მსჯელობს მცირე სახელმწიფოების პერსპექტივის თაობაზე ევროპის „დიდი ონავრების“ (ასე უწოდებდა ილია დიდ სახელმწიფოებს), აგრესიულების პირობებში; მეხუთე წერილში ილია მენდელეევის მონაცემების საფუძველზე არკვევს ნავთის ბიზნესის პერსპექტივას კავკასიაში და პირველად ქართულ სინამდვილეში ასაბუთებს საქართველოს ტრანზიტულ ფუნქციას, ბათუმისა და ფოთის პორტებთან ბაქოს ნავთის სარეწების „მილით“ დაკავშირების მიზანშეწონილობის შესახებ.

ილიას პოლიტიკურ პუბლიცისტისტიკას რომ ეცნობი, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს სადღაც უხილავ, შემადლებულ ადგილზე დგას, საიდანაც მისი მზერა მთელ ქვეყანას სწვდება და ყველა პრობლემას ხედავს და გიხსნის, გეთათბირება და გასწავლის.

ილია, თავისი ერის ფხიზელი გუშაგი, არც ერთ მოვლენას, ცუდსა და კარგს, ანალიზისა და შეფასების გარეშე არ ტოვებდა — საქართველოს რომელიმე პერიფერიაში დანყებითი სკოლის გახსნიდან, ევროპაში სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბებამდე და ბრაზილიაში ხელისუფლების შეცვლამდე. ალბათ, ამის გამო წერდა იაკობ გოგებაშვილი, თავადაც არა მხოლოდ დიდი პედაგოგი, არამედ პოლიტიკური პროცესების ბრწყინვალე ანალიტიკოსი: „იქნებ არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“. ერის გადარჩენის, ხსნისა და აღორძინების მწყობრი და თან-

მიმდევრული ძიებისა და ბრძოლის შედეგად ილია ჭავჭავაძემ პირველად ქართული აზროვნების ისტორიაში ჩამოაყალიბა კონცეფციათა სისტემა, რომელიც უახლოეს ამოცანად ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენას, ხოლო საბოლოოდ ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად.

ქვეყნის პოლიტიკური სტატუსისა და არსებული სოციალურ-ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით, ილიას თავისი მოღვაწეობა ბრძოლის კატეგორიაში აყავდა. „ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა მას ებრძვი“, — წერდა ის თავის მეუღლეს და ამ ბრძოლაში მრავალფრონტზე ის არავისთან კომპრომისზე არ წასულა, არ გატეხილა, მიუხედავად დიდი პირადი ტრაგედიებისა. სიცოცხლის დასალიერს მას შეეძლო იგივე გაემეორებინა, რაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას თავის მეუღლეს განუცხადა: „მე სხვა ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, ბედნიერებას შეუძლია სიცოცხლე შემმატოს, მაგრამ უბედურებას არ შეუძლია ჩემი მოკვლა. უბედურებამ შეიძლება ცოტათი შემარყიოს, მაგრამ რომ წამაქციოს — ვერასოდეს.“

ილიას იდეალი იყო მებრძოლი, ბედს შეუგუებელი ერი, რომელიც თავისი ღირსების თავგანწირული დამცველია. ის ნახევარი საუკუნის მანძილზე პატრონობდა თავის ერს, მაგრამ როდესაც მას ერის მხარდაჭერა დასჭირდა, ქართველობა ამისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. მაგრამ ილია დარწმუნებული იყო, რომ „დრო მოვა, ყველა მიჰსცემს პასუხს ჩვენს უბედურს ქვეყანასა და უფრო უბედურს საზოგადოებას. მაშინ ვნახავთ, ვისი გული იქნება წმინდა და ჩირქ-მოუცხოველი“. ეს დრო დადგა ან დგება და ამაშიც მართალი იყო ილია მართალი. 1896 წლის მარტში, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის გასვენების ცერემონიაზე ილია დღემდე უპრეცედენტო სიბრძნით დახუნძლულ სიტყვაში, უგანათლებულეს მღვდელმთავარს მიმართავდა: „დიდხანს ქართველს ექნება საბუთი თქვას, რაც მარტო დიდბუნებოვან კაცზეა თქმული: მოკვდა და თვისის ანდერძით ან ისევ საქმობს მკვდარია“, — თუ ვინმეზე ითქმის ეს დიდებული სიტყვები, უპირველესად, ილიაზე.

ომარ გოგიაშვილი



ვანო ჩხიკვაძე

ქიზიყური ბელკანტო

მთვარის შუქით განათებულ ტურბაზის ეზოში იდგა, ყელმოღერებული.

მართალია ბგერის სიმსუბუქითა და სილამაზით ვერ დაიკვებინდა, მაგრამ სამაგიეროდ იმის აღნიშვნა მაინც აუცილებელია, რომ ხმის ნებისმიერ რეგისტრს თავისუფლად ფლობდა.

მოაწყდნენ ფანჯრებს ჩვენი მაშინდელი, თვალუნვდენელი სამშობლოდან ტურისტული საგზურით ჩამობრძანებული სტუმრები.

კონკრეტულად ვის მიუძღვნა შთამბეჭდავი შუალამის „რომანსი“, ვერ გავიგეთ, ეგ კია, ვილაცებმა აივანზე ტაში დასცხეს და ასე, აპლოდისმენტების თანხლებით ეზოდან გაბაკუნდა მოხეტიალე ტრუბადური, თავჩალუნული ჩოკინა.

შეიძლება ამ შემთხვევის გამოძახილი იყო ჩემი მოგვიანებით დაწერილი ლექსი, „დილა სიღნაღიდან“:

„ჯერ ალაზნის ზამბარა
ველზე არ განელილა,
გალავანთან მიბმული ბალახს
კოცნის ჭედილა.
სიღნაღიდან „ბრონლებში“
გალავანს რომ გავხედავ —
ბიჭი მოაჩაქჩაქებს
თავჩალუნულ სახედარს.
მოდინ და მოჰყვებათ
აყეფებულ ძალღივით,
ენაგადმოგდებული
ბროწეულის ყვავილი.
ბრძნული თავის კანტურით,
მომთმენი და კეთილი,
თვინიერი ნაბიჯით მოდის
ყურაცქვეტილი.

ალარავის უყურებს,
ალარავინ ვახსოვართ,
თითქოს სიღნაღისაკენ
მოაბრძანებს მაცხოვარს...
თითქოს ბებერ კედლებთან,
როგორც ღვთიურ მომავალს,
გადმოაყრის ბზის ტოტებს
მხიარული ოსანა.
სად არ მომჩვენებია
მაგ თვალეზის ციმციმი,
დაზნექილო ბულულო
სანჩო-პანსას სიმძიმით.
დამიმონმებს ნიკალა,
ის მონე და ეს მანე —
სულ სხვაგვარად ამშვენებ
ქიზიყს — ამ ჩვენს ესპანეთს.
ვიდრე ველზე ალაზნის
გაჭიმავენ მზის ტილოს,
ფრთხილად, ქვებზე ლამაზი
ფეხები არ იტკინო.
გამაგონე შენი ხმა,
რაც არ უნდა მოჭორონ —
ნაღვლიანო, ერთგულო,
იბაკუნე ჩოჩორო!“

კახეთში „ცოცხალი წიგნების“ ეგიდით მიმავალს ასეთი ამბავიც მახსენდება:

რამდენიმე ახლობელი რთვლობაზე მიგვიპატიჟა მეგობარმა პოეტმა ქალმა, თან ყურძნის კრეფაში შეგვეშველეთ, თან გამოგატანთ კიდევ და, რაც მთავარია, ჩემს სახელგანთქმულ მამიკო წყალობასაც გავაცნობთო.

წყალობაზე ბევრი რამ მსმენოდა, მისი დაყენებული საოცარი ღვინოც არაერთხელ მეგემნა, მაგრამ თავად „ავტორს“ ახლოს არ ვიცნობდი.

ჩავედით – გავცდით საგარეჯოს და ხე-

ლმარცხნივ ჩარიგებულ ვენახებში, ერთ-ერთი ჩვენი მასპინძლისა იყო.

რალა დაგვხვდა მოსაკრეფი — სამიოდე მწკრივი დაეტოვათ, ალბათ, სტუმრებს რომ გვეხალისა.

ხელმარცხნივ, ლობესთან, დიდი მსხლის ძირში სახელდახელოდ შეკრულ, გაურანდავი ფიცრის მაგიდას, ზედ ყველის თეფში, პომიდვრით და ბუსუსა პიკული კიტრით თავმოდგმული ჯამი რომ დაუდგამთ, წყალობა უზის, ჭალარა, შავი, ცოცხალი, მეტყველი თვალებით და იდაყვებამდე სახელოაკეცილი სატინის ხალათით.

წყალობამ წინ დამისვა და თიხის ჯამში შავი, კუნაპეტივით საფერავი დამისხა.

დალევა ჯერ ადრე ხომ არ არის-მეთქი. მემრე ვინ გასმევსო? აგე, როგორც მე მაქ პური ღვინოში ჩაბუჭებული, ჯამში ეგრე ჩაიყარე, ბოლინო მიირთვი და რაც დარჩა ესეც ჩამოვკრიფოთო.

შევუსრულე თხოვნა თუ ბრძანება.

კოვზი, ქალოო!

მომართვა ხის კოვზი ქმართან შედარებით ტანსრულმა „ქალომ“.

ბოლინო ადრეც მქონდა გასინჯული, როგორც მაშინ, ახლაც, მაინცდამაინც დიდი გემო ვერ ჩავატანე. მაგრამ წყალობას რა ვუყო, ხათრი როგორ გავუტეხო, მივდევი, მივყვები პირაცმაცუნებულ ბერიკაცს.

წყალობა ბატონო, კოვზებით ბარემ სადღეგრძელოები ხომ არა ვთქვით-მეთქი. სადღეგრძელოები მემრეო.

მემრე, მემრე!..

სხვა რა გზა მაქვს, როგორც იქნა მეც გავედი ბოლოში და ტანში მომთენთავმა სიამოვნებამ დამიარა, საფეთქლები გამითბო.

აბა, ახლა სად არის ვედროები-მეთქი.

მოგვართვეს, მეც და დანარჩენებსაც, პირგანიერები, სიტკბოთი გაზინზულულებს კრაზანა-ფუტკრები რომ დაბზუოდნენ.

სტუმრები დარჩენილ მწკრივებს შევესიეთ. წყალობა კი მაგიდასთან, ქერი-ადაგებულ სკამლოგინზე მიწვა, დაანყო ერთმანეთს მიტყუპებული, შიშველი ფეხები, ამოუდო მარჯვენა ხელი ლოყას და ძუძუთა ბავშვის უმანკო გამომეტყველებით მიეძინა.

— გადაიქანცა... მთელი თვეა აქ ათენ-ალამებს, ყარაულობს... რა ქნას, მომრავლდა ხელმრუდე ხალხი... მერე რა მტევანია, თვალი ვის არ გამოექცევა... თანაც გზისპირია... ახლა ეს მესამე დღეა ვკრეფავთ და მეტი რა შეუძლია ადამიანს, — ბოდიშობს მეუღლე წყალობას ჩაძინების გამო.

მარტო გადაღლის ბრალი არ არის, ბოლინომაც გამოჰკრა შუაკაური.

პურჩაყრილი საფერავი მეც წამოსანოლად მეძალავება, მაგრამ ამის დროა?

ვიდრე პირველ ვედროს ავაესებდი, ვენახის თავში სახედარმა დაიყოყნა.

ყოყნა არ ჩაეთავებინა, რომ წყალობა მაშინვე ცქვიტად წამოდგა.

— დაიძინე, საით, კაცო? — ჰკითხა ცოლმა.

ჯორ უნდა დავხედო, მზე მიადგებოდაო, ვაზის გაკრეფილ მწკრივს აუყვა ახალგაღვიძებულის ფრატუნით.

მალე ჩამოიარა.

ისევ მიწვა და გაჯაგრულ ლოყას მუთაქის ნაცვლად, ახლა მარცხენა ხელი ამოუდო.

დიდხანს ძილი არც ამჯერად აცალეს.

ვენახის თავიდან ისევ მოისმა შეყვარებული ბიჭივით ყელმოღერებული სახედრის ბელკანტო.

საითაო, ისევ ჰკითხა დედაკაცმა.

ჯორ უნდა დავხედოვო!

ავიდა, დახედა, ხომ არაფერი უჭირსო.

გადაძოვილიდან ბალახიანში გადააბა და სკამლოგინაზე კვლავ ხვრინვა ამოუშვა.

ბოლო მწკრივის გაკრეფამდე, კიდეც ორჯერ მაინც აგვიარა და ჩაგვიარა.

ამასობაში მზე დასავლეთისკენ გადაინონა, მსუბუქმა ნიავმა შეაშრილა გამსუბუქებული ვაზის ფოთლები და ჩოკინამაც დაასრულა თავისი სოლო კონცერტი.

ლაფაროში მაგიდიდან გაქრა ბოლინოიანი ჯამები, უცებ დაიხატა კახური, მაღლიანი, „ნატურალური“ სუფრა, მწვანით, ხახვითა და ცხარე წინაკით შეგემებული, ვებერთელა ჯამში ჩაჭრილი კიტრისა და პომიდვრის სალათით, ნაჩვრეტებში ერბოჩამდგარი გუდის ყველით, „ზოლიანი“ ლორის ხორცის შაშხით, ოხშივარავარდნილი ყაურმით, ხაშ-

ლამით და, რა თქმა უნდა, ხმლის პირებივით სუფრის გარდიგარდმო გადანყობილი, ბოლონანვეტებული შოთებით.

აბა, გადაიბანეთ ხელი ჩემო ძვირფასო სტუმრებოვო, დაცვარული ხელადა არავის დაგვანება, თვითონ დაგვისხა გრილი, მაცოცხლებელი წყალი. მერე თავადაც შეისხურა, გადაინმინდა სახიდან ძილის ნარჩენები და სუფრის თავში „დაფუძნდა,“ ვითარცა მჭერმეტყველი, ტკბილმოუბარი, მოსავლის დაბინავებით გულდამშვიდებული თამადა.

რა თქვა, რა სიტყვებით მოკაზმა თავისი სადღეგრძელოები, ამის გახსენებას რა აზრი აქვს, თუკი მარტივ, მაგრამ გულში ჩამწვდომ, გრძნობების ამდუღებელ აზრებს, იმ ხმის ტონით, სილაღით, დამაჯერებლობით ვერ გადმოვცემ.

ლაპარაკი რომ შეგიძლია, მხოლოდ ეს არ კმარა ქართული სუფრის ნევრთა გულთამპყრობელობისათვის.

„სიტყვა უნდა გეთქმოდეს“, ყური რომ დაგიგდონ.

რომ გეთქმოდეს, ამის უფლება სწორად გავლილი ცხოვრებით უნდა მოიპოვო.

ჰყავდა სოფელსაც და დიდ-პატარა დასახლებებსაც ჭკუის საკითხავი კაცები.

ჰყავდა...

ახლა?

ახლა ვილა ჰყავს ამ დაქცეულ თუ გაქცეულ საქართველოს, ვიკითხოთ ერმაც და ბერმაც. მწერალმაც და ტრიბუნებზე ამხედრებულმა ახალი ყაიდის პოლიტიკოსმა „მოძღვრებმაც“.

„ნიგნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენნი სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას — სოფელში წაიღებს, საიდგან სად კაცს კაცთან გალაპარაკებსო“ — ილია ბრძანებს.

რა მიაქვთ და რა მოაქვთ დღეს? თუ არ წავიდ-წამოვიდნენ, ერთმანეთს არ შეხვდა ნიგნი და მკითხველი, გიჟებით, თავისთავს ხომ არ დაუწყებენ ლაპარაკს, რას წაიღებენ ან რას ჩამოიტანენ?

„ცოცხალი ნიგნების“ მოგზაურობა, პილიგრიმობის ეს ფორმა, თავისთავად საინტერესო პროექტია, ოღონდ ამ „ნიგნებმა“ იმათი ნდობა უნდა დაიმსახურონ, ვინც ჩვენს მივიწყებულ კუთხე-კუნჭულებში დახვდებიან.

უნდა აღდგეს განყვეტილი კავშირი,

თუკი ნიგნი ვერ მიდის, უსახსრობის, უტირაუობის და კიდევ სხვა მრავალ მიზეზთა გამო, თავის მკითხველთან, მწერალმა ასე „ცოცხლად“, თავად უნდა ჩააკითხოს.

ჰოდა, ჩვენც ჩავიცვით ბანდულ-ქალამანი, დავიჭირეთ რკინის კეტი და ჯერ საგარეჯოს, მერე გურჯაანს და სიღნაღს, ბოლოს კი დედოფლისწყაროს ვესტუმრეთ.

თურმე როგორ მოგვნატრებია ერთმანეთი!

მოგვნატრებია ქართული სიტყვის ზემიმი!

ჩვენ ჩვენი ვუთხარით, იმათ თავისი შეგვახსენეს, არც საყვედური დაგვაკლეს, რატომ დაგვივინწყეთ, თბილისს იქითაც არის საქართველო და ნამდვილი მკითხველი, რომელსაც ქართული ლიტერატურის მაჯისცემაზე აქვს ყური მიგდებულო...

შეხვედრების დროს დავარიგეთ ნიგნები, ლიტერატურული პერიოდიკა, რომელთა შეგროვებაზე კულტურის სამინისტრომ იზრუნა...

*

ჩემი ქიზიყელი მეგობრები, შემოდგომის მძიმე, მდორე ნისლებივით ნელ-ნელა იმ ასაკში შედიან, ერთ დღესაც, მზის-გულზე მიფიცხებულები ერთმანეთთან გაკვირვებულები რომ დაიჩივლებენ, ქალებს რო დავევდით, გვახსოვს, მაგრამ რისთვის დავევდით, ეგ კი აღარაო.

კაკო და გოდერძი თავს იმართლებენ, მოდასა და წესს არ ეღალატებოდა თორე, ვინ ოხერი... რა დრო იდგა, ისე დღე როგორ გავიდოდა, თბილისიდან რომელიმე უწყებას არ „დავეფასებინეთ“. იყო ერთი მისვლა-მოსვლა, არიქა, სტუმარია დედაქალაქიდან ჩამოსულიო და დაიცლებოდა ნახევრად რაიკომი.

საპატიოდ ითვლებოდა სამსახურის გაცდენაც, ქეიფიც, თუნდაც ყირაზე დადგომა, თუკი სტუმარს ხვდებოდი, სტუმარს აწონებდი, აცნობდი შენი რაიონის წარმატებულ დღევანდლობას და უკეთეს მომავალს. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იყო ეს სტუმარი თუ სტუმრები, მაღალი ინსტანციებიდან თუ რედაქცია-რადიო-ტელევიზიიდან, ანდა სხვა ნებისმიერი უწყებიდან, პატივისცემა ყველას უნდოდა, ყველას შეჰხაროდნენ და შესციცინებდ-

ნენ, თუნდაც ეს სტუმარი ცოცხი ყოფილიყო.

თანაც თუ ამ ცოცხს კაბა ემოსა, ან „ლევისის“ ჯინსში ჩატენილი უკანალიც უთიმთიმებდა, ხომ სტუმარ-მასპინძლობის ჟინი აპოთეოზს აღწევდა.

დაქროდნენ მანქანებით, იღებდნენ, ინერდნენ, ადარებდნენ ძველსა და ახალს...

დოვლათიც იყო და ამ დოვლათის მოხმარების მადაც!

დიდი, ვარვარა მზე დაჰყურებდა ალაზნის ველს.

ნამხარს აცლიდნენ მტევნებით დახუნძლულ მწკრივებს.

წელსაო, აი, წელსაო, შარშან ხომ ძაან ვივაჟუცავთ, იმას გადავაჭარბებთ, იგეთ მოსავალს მივიღებთ, ოღონდ იმან არ დავალაგატოს, ღმერთი არ გაგვიწყრეს და სეტყვამ არ გამოგვდოს სარმაო, იჭაჭებოდა მიკროფონთან დაპირებებში განაფული, ორდენოსანი მევენახე.

ნუ გეშინიათ, ზარბაზნებს რო დავუგრიანებთ გომბორიდან, სეტყვას თქვენამდე როგორ მოვუშვებთო, აიმედებათ ცენტრიდან მოვლინებული პასუხისმგებელი მუშაკი ან ადგილობრივი, იდეოლოგიის მდივანი, რომელიც სასურველი კი არა აუცილებელიც იყო, რომ მამალი დედაკაცი ყოფილიყო.

ჰპირდებოდნენ და მართლაც რა იყო იმ ცხონებული კომუნისტების შეუძლებელი? იდეოლოგიური ხაზის გამტარებელი, პარტიაზე ჯვარდანიერილი, გაუთხოვარი კოჭიბროლა, თითქმის ყველა რაიონს ჰყავდა.

ესენი იყვნენ პოლიტიკური ამინდის მაკონტროლებლები, ოქმების, დადგენილებების, საიმედოდ გაბანტული საქმიანი საქალაქდებების ჩრჩილები, ცენტრის ერთ-ერთი მთავარი საყრდენები...

ჰოდა მიდიოდნენ და მოდიოდნენ-მეთქი საქმიანი ქვეყნის მაშენებლები, კულტურის მუშაკები, ხელოვანები, თეატრები, მწერლები, განსაკუთრებით შემოდგომის პირისკენ, ნაადრევად ჩანურული ყურძნის ტკბილი შემაჭრებას რომ იწყებდა.

მერე ყველაფერი სუფრით მთავრდებოდა, ღონიერი, ჯანმრთელი, ალაღად მოტანილი პურ-მარილითა და მასპინძლობით. იყო ერთი მიბრძანდი-მობრძანდი,

უფროს-უმცროსობა, რიგითობა, ძარღვიანი სადღეგრძელოები, თავმოწონება ქართული სიტყვის მაღლით, როგორც გიორგი ლეონიძე იტყოდა, ღონიერი, ბედაური სიტყვით... გაჭრიდა ნუნუა და აზუზუნდებოდა გრძნობით გაალმასებული თვალთა ისრები, ღვინით გათამამებული სატრფიალო ლირიკა და კაფიებიც გაელვარდებოდნენ მოკეჭნავეთა ხმლებივით.

თავს აწონებდნენ ერთმანეთს თამამი, ბედის მაძიებელი ქალაქელი ქალები და ფლირტით თავბრუდახვეული პროვინციელი სახელისუფლებო ნომენკლატურა...

ამიტომ მოინანიეს მაშინდელი ცოდვები კაკომ და გოდერძიმ, საქმეს სჭირდებოდა, თორემ ვინ ოხერიო...

აღნიშნულ თემაზე, ერთი ანექდოტისა არ იყოს, მაინც კმაყოფილები იყვნენ ადგილობრივ ხელისუფალთა თანამეცხედრები, თანამდებობით განებივრებული პირველი ნახევრების მხარს მიყრდნობილები რომ ადარებდნენ ერთმანეთის მეუღლეების საყვარლებს და ბედს შეგუებული ქმრებს შესუფუნებდნენ:

„იი, ქაა, ჩვენი ყველასა სჯობნებიაო“...

ეს ხუმრობა (!) ყველამ იცის და თავიდან აღარ მოვყვები.

— კარგი დღეები და წლები მახსოვს. დილიდან საღამომდე რომ ვიფიქრო, წყენის ნაცეცი არ გამახსენდება, აქაურ საძმოსთან ეგეთი გაუზზარავი ახლობლობა გვქონდა. ნეტავი სისხლისმიერ სანათესაოსთან გვაკავშირებდეს იმნაირი მტკიცე სიყვარული — იმიტომ, რომ მეორე ნახევრებიც ღირსეულები გვყავდა და გაგებით გვეკიდებოდნენ, კარგი საქმეების საკეთებლად შემართულებს, სიძულვილის შხამით ტვინს არ გვიხვრეტავდნენ, — ამბობს გოდერძი.

— ჰო, მაგ საკითხში ძაან გაგვიმართლა... ზოგ დედაკაცს ისეთი ენა აქვს, ხანჯალს ხელს დაგავლებინებს და ძმის მოსაკლავად გაგაქცევს! — იღუშება კაკო.

ეს და ამნაირები ამათ არ ეხებოდათ, ამიტომ უყვარდათ ერთმანეთი, მეც და ქვეყანაც.

ჰოდა, იყო წლები, სიხარული რომ სიყვარულობდა, ზოგჯერ „მოპარულ“ ხილსაც თუ დავაგემოვნებდით, ვისი რა ცვდებოდა?

თავისი ემხი ჰქონდა სუფრიდან სუფრაზე თვალთა უუფუნსაც და ზაოტობაზე, ტელევიზიის ხალისიან, თამამ გოგოსთან ჩახუტებულ „ჭიპხახუნასაც“.

„ღმერთმა შაარგოს... ბოლოი მაინც სახლში არ უნდა მოიდეს?“ — ხუმრობდნენ ჩემი მეგობრების ცოლები.

აჰა, საკუთარი დედაკაცი მწვანეს რო აგინთებს, უკაცრაული პასუხია და ვინ რა ფეხები უნდა მოგჭამოს?

აი, ეს კაკო, ახლა წინ რომ მიზის, მაშინაც დინჯი, ვითომ ჭიანჭველას ფეხს რომ არ დაადგამდა, ეგეთი გახლდათ...

წითელწყაროს საავიაციო სამხედრო ნაწილის პოლიგონიდან, ზებგერითი თვითმფრინავები ვინ იცის საიდან სადამდე აკონტროლებდნენ სამხრეთისა თუ აღმოსავლეთის საზღვრებს და, როგორც კი ცაში აიჭრებოდნენ, ადგილობრივი ბულები იმათ დედაკაცებს ყურადღებას მოაკლებდნენ?

მოტორის ხმაზე სცნობდნენ კაცოუ, რომელი ქალის ქმარი ბურღავდა მოღრუბლულ ცას თავისი საჰაერო ხომალდით.

ერთი ამათგანი, კაკო, წინ მიზის-მეთქი და, რალა დროს მაგეების გახსენებააო, ვითომ მორცხვობს, თან გვერდით მჯდომ გოდერძის ხელზე ხელს დაჰკრავს, რათა, სულ ჩემზე რო ლაპარაკობთ, ეს ნაკლები იყოვო?

ლოყაზე ხელშემოდებული გოდერძის მეუღლე, ეთერი, მიმტევებელი ღიმილით უყურებს ორივეს.

— ზოგი ეხლა იფრინეთო, — ნიშნს უგებს.

— სადღაა პოლიგონი, თორე, ვინ მამაძალლი... მოდა და წესი იყო, თუ თანამდებობა გინდოდა, სიყვარულზეც უნდა აგელო შეფობა, მაი!.. — თავს იმართლებს კაკო.

— ქერათმიან მფრინავებს მურთხივით შავგვრემანი შვილები გამოსდიოდათ! — ატრიზავებს ჩაკუჭკუჭებული გოდერძი.

ჰო ეგრე იყო, მფრინავები ცასა ბურღავდნენ, ესენი იმათ დედაკაცებს...

ახლა ისეთ ასაკში არიან, რომ რალაცების გამხელა, რასაც გრიფი „საიდუმლო“ ედო, უკვე ცოლებთანაც კი შეიძლება.

დაილოცოს, უფალო, შენი სამართალი, უთქმელსა და დაფარულს თან რომ არ გვა-

ტან, თორემ ამდენ საიდუმლოს ჯოჯოხეთის რომელი სანყოფი დაიტევდა!

ოცდაათი კილომეტრის სიმაღლეზე, რეაქტიული თვითმფრინავის მრისხანე, დაუნდობელ პილოტს, კაკოს ქვეშ ამოდებული თავისი ცოლი რომ დაენახა, რა დღეს დაანევედა აქაურობას, სეტყვა მონაგონი იქნებოდა.

თუმცა, ეგებ ძალიანაც არ სწყენოდა.

კაცია და გუნება, ერთმა შემთვრალმა „აფიცერმა“, არხილოსკალოში, ორჯერ მიმინვია თავის ცოლთან საცეკვაოდ, რადგან „ტანცი-მანცში“ დაკარგული დრო, ნუნუას როცა არ სვამდა, ენანებოდა... ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და მესამედ მისი თხოვნა არ დამჭირვებია, ხოლო მეოთხედ...

იდგა ნაზი შემოდგომისკენ ჩამტკბარი ამინდით გაჯერებული ღამე, განათებულ სასადილოში ხელჩართული სმა, ხორხოცი და გარეშემო მთვარის მკრთალი შუქით შემღვრეული სიბნელე. სასადილოს უკან სათიბი, ძეძვის ღობის მიყრუებულ კუთხეში მიგროვებული, ბზისა და ბალახის სურნელოვანი ბულები, ისე, სხვათაშორის ფაქიზად აკოკოლავებული, ზედ მსუბუქად რომ გადმოგემხოდა და შენ ცოდვებს გარეშე თვალისაგან დაიფარავს...

ვიდრე სუფრასთან დავბრუნდებოდით, ქალმა სასადილოდან გამომკრთალ სინათლის შუქზე შემათვალთვალა და საჩვენებელ თითზე დახვეულ ცხვირსახოცით სახეზე შერჩენილი, პომადის „ნივთმტკიცება“ წამაშალა.

ყვევით. ვიგონებთ, ვიცინით, ისევე ყვევით.

თურმე ყველაფერი ახსოვთ, ყველა დეტალი.

აქაურობისაგან განსხვავებით დიდი ქალაქი გულმავინყია.

დიდი ქალაქი საიდუმლოს არ შეგინახავს.

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვებიო“, შუბლზე და გულის ფიცარზე დაგვანერა გიორგი ლეონიძემ.

ეს ისე, სხვათაშორის.

დიდი ქალაქი გულმავინყია-მეთქი.

შეიძლება იმიტომ, რომ ბევრი უაზრო, არამქვეყნიური, არაბუნებრივი, უსახური პრობლემა ტანჯავს.

აქ კი, ისევ ის ძველი სურნელი ტრი-
ალებს, ძროხას ნაცნობი ჭიშკრისკენ
ზმუილით მოაქვს დასაცლელი ჯიქანი,
ლობეს წითელი ვარდის კოკრები გადმოჰ-
კიდებია და დამორცხვებული, ჯერ კიდევ
მწვანე მტევანი ფოთოლს ეფარება.

— ჩვენი იუმორი მაინც სულ სხვაა,
საფერავივით არის, თუ არ დააგემოვნე და
ეგრევე გადაუშვი, ნამდვილ ღირსებას ვერ
შეიგრძნობ, — ამბობს გოდერძი, — 1941
წელია, 22 ივნისი. სოფლის ცენტრში ზიმ-
ზიმებს ხალხი, ქუდზე გამოსული კაცი და
ქალი შეჰყურებს ბოძზე დაკიდულ რადი-
ოს, ლევიტანის გამყინავი ხმა რომ აზან-
ზარებს. მიუტოვებია ხალხს ცეცხლზე შე-
მოდგმული რძის ქვაბები, გახურებული
თონეები, აკვნებში აჩხავლებული ჩვილე-
ბი, სახნავი და სათესი.

ყვავივით აყრანტალეებული რადიო
ტანში ცრის დიდ-პატარას.

ჰაი, დედასაო, ბორგავს მკერდში დაბ-
რაგუნებული მუშტი.

იბრაგუნოს რა, ფუჭი ქადილია, ყველა
აქ არის, სოფლის თვალი ვაჟკაცის, მიხოს
გარდა.

კაცი გასაჭირში გვახსენდება — ისიც
მოისაკლისეს, მიხედ-მოიხედეს, გასძახეს,
გამოსძახეს.

არ არის მიხო.

მიატოვეს რადიოც, ლევიტანიც —
რალა იყო მოსასმენი და გასაგები, მიხოს
შინ მიაკითხეს.

მივიდნენ და რას ხედავენ, წევს თუთის
ჩრდილქვეშ ტახტზე, გულიანად ხვრინავს
და თრთიან ყოველ ამოსუნთქვაზე თუთ-
ის ფოთლები.

მოკლედ, ერთ ადგილზეც არა ჰკიდია,
მტერი რომ მოშლიგინობს და თითქმის
უკვე გამოიარა კენიგსბერგი, მოლდავეთი,
ნახევარი ბელარუსია, სადაცაა მიხოსაც
თავს დაუკრავენ და ხიშტის წვერით
უკანალზე მიუღივინებენ...

ეცნენ, შეანჯღრიეს, გაიღვიძე, რა
ძილქუში დაგეცაო.

ერთი-ორი შემოულანუნეს კიდევ და,
როგორც იქნა საგონებელში ჩააგდეს.

რა გინდათ, რას დამეხვიეთო, დააჭყი-
ტა თვალები.

რალა რა გვინდა, ადე, კაცო, ომი დაინ-
ყო, ომიო.

რა დაინყოვო? — ყურებს არ დაუჯერა.

ომი დაინყო, ომი, დროზე თუ არ გავინ-
ძერით, შეიძლება ხირსასთან უკვე სან-
გრებსაც თხრიანო.

ომიო!

დიდი, გაბანჯგვლული ფეხები
ფლოსტებში წაუყარა მიხომ და ადულე-
ბულმა მკერდი ჩაიმჯილა, ჰოი, დადადა, ამ
დედაიმასქნილმა შახაბასმა ხო შათხ-
არაო!..

ანეკდოტს დიდი წვერები აქვს, მაგრამ
გოდერძის ხათრით ვიცინით.

მეორეც გინდათ? — გვკითხა შეთამა-
მებულმა.

მიდიო!

ისევ ამ მიხოზეა:

შუალამისას ცოლს ალვიძებს.

ილიასთან ხელი შეუცურა და ხმაათრ-
თოლებულმა — გაახილე თვალი ჩემო
მტრედოვო, ყურში ჩაუჩურჩულა.

რა შავი სიკვდილი გინდაო, გადმოლრი-
ნა ცოლმა.

გადმობრუნდიო.

რათაო, რა გინდაო, გაუმეორა.

აუვარდა სისხლი თავში მიხოს:

— ფული მჭირდება, დილამდე ერთი ასი
დოლარი მასესხე!.. არ იცი, ამ შუალამის-
ას რა მენდომება, რაზე გაგალვიძებ, მე
შენი ცოცხალი და მკვდარიო!..

ვიცინით — ეს ახალია და კარგია,
თავისუფალი, დემოკრატიის იავარდით
მოფენილ გზას დამდგარი ქვეყნის პირმ-
შოა.

ერთი მეც მათქმევივით, მაგრამ ჩემო
დაო, ეს შენ არ უნდა მოისმინოვო, მოუბო-
დიშა კაკომ გოდერძის მეუღლეს.

მაგიდასთან კაცები დავრჩით.

— წელი არ მახსოვს, ვახუშტი, ნიქა,
იგივე ალექსი ჭინჭარაული და ერთი მესა-
მეც ქედებში იყვნენ ჩამოსულები, კულ-
ტურის სახლში სახალხო მთქმელების სა-
ლამო ჩაატარეს და მერე ძია არსენა (მამ-
ინდელი თავმჯდომარე), კობაიძე სტუმ-
რებს უპურმარილოდ ხომ არ გაუშვებდა.

მაგრად მოუღბინეს, მეორე პოეზიის
სალამო სუფრასთან გამართეს, ნა-
შუალამევს ჩასხდნენ მანქანაში და წამოვ-
იდნენ ღიღინ-ღიღინით

წინ, მძღოლის გვერდით, როგორც
უფროსი კაცი, ნიქა დააბრძანეს, უკან ვახ-
უშტი და მათი მეგობარი.

მეც წითელწყარომდე გამომიყოლეს.

მოდინ, ხუმრობენ, ლაღობენ, კაფიებს აელვარებენ ხანჯლებივით.

უცებ ვახუშტი ჭინჭარაულს ეუბნება: ნიქა პაპა, ხო კარგად დაპურდი და დაღვინდიო.

ძაან კარგად, რაც მართალია, მართალიაო.

ჰოდა იცი რას გეტყვიო:

„ახლა კი დროა ნიქაო,
ყვერები გამოიქაო“.

პასუხის გასაცემად სულ რამდენიმე წამმა იკმარა:

„მერე რომელ ერთს მოგადგეთ,
ფხანამ თუ გამიბრიქაო“.

აბა, იქ ამბავი ატყდა.

სკაბრეზული პოეზიის იშვიათი ნიმუში, ზოგი იმ დონის შედეგია, ცოდვაა, უხერხულობის საბაბით ფართე მკითხველამდე რომ არ მივიდეს.

ფხიზლობდა საბჭოთა ცენზურა, როგორ დაუშვებდა, რაც დღეს ეკრანზე, ფილმებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში უხამსობის ღვარცოფია.

კარგსაც მიაყოლებდნენ ხოლმე, თორემ ასაკრძალი უნდა აკრძალულიყო.

ამას წინათ, კომედიური სპექტაკლების ფესტივალზე, ერთი ჩვენი ძალიან სახელოვანი (წარსულის) თეატრის სპექტაკლი ვნახე. ორ მოქმედებაში მგონი ექვსი ქალი მაინც გააუპატიურეს. არა აუცილებლობიდან გამომდინარე, ხასიათების გამოსაკვეთად ანდა დამდგმელის „ღრმა“ ჩანაფიქრის ნათელსაყოფად, ისე, უმიზეზოდ, რეჟისორის ხუმტურების დასაკმაყოფილებლად იყო სცენაზე ერთი ქანაობა, ქშენა, ღრენა და კბენა...

აფსუს, შემომჩვილა სპექტაკლის შემდეგ, ფოიეში, გაოგნებულმა ერთმა ძველმა თეატრის მოყვარულმა:

გამაგებინეთ, ჩემო ბატონო, რკინის ფარდა იმიტომ ჩამოვგლიჯეთ, რომ ნამდვილ ხელოვნებაზე, ნამდვილ არტისტებზე უარი გვეთქვა და, ამდენი სისხლისა და უბედურების ფასად, აღვირახსნილობის ფაობში ჩავძირულიყავით? რა აქვთ ჩაფიქრებული, ასეთ და ამის მსგავს საძაგლობას რატომ გვაგუებენო!

მეორე ქალბატონმა კიდევ:

ტელეარხებივით თეატრიც რომ გარყვნეს, თქვენც ხედავთ, მაგრამ რა მაინტერესებს, იცით, ამ ქალბატონებს

ქმრები ან შვილები არა ჰყავთ?.. ვილაც ვერზილა რომ მოიგდებს, აუპატიურებს იმათ ცოლსა და დედას, სცენაზე ხუთასი კაცის თანდასწრებით, ნეტავ რას ფიქრობენო...

მოკრძალებით შევბედე, ხომ გაგიგონიათ, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს-მეთქი.

ასეთ მსხვერპლს არა, ბატონოვო — მომცილდა გალიზიანებული.

ჯერ კიდევ რამდენი ძველებურად მოაზროვნე მაყურებელი გვყავს, ღმერთო! იმის მაგივრად რომ მოინონონ, როგორი ოსტატობით ასრულებენ ყველაზე უფრო ინტიმური ურთიერთობის, ორგის ელემენტებს... ზოგს ისე დაუელამდა გაუთავებელ ხახუნში თვალები, რომ უმაღლესი სიამოვნებაც მგონი ჩვენს თვალწინ განიცადეს.

ხანდაზმული თეატრალი კი რალაც დრომოჭმულ, ზნეობრივ ნორმებს მისტირის.

მორჩა, ჩაიქროლა, იმ მატარებლით, თქვენ რომ გახსოვთ, ვილა მგზავრობს, ქალბატონო!

ანა კარენინა ერთხელ ჩაუვარდა ბუფერებს, მეორედ ამ შეცდომას აღარ გაიმეორებს!

ერთ კონკურსში გაგზავნილი ჩემი ნოველა საუკეთესოებში შეირჩა და პორტალზე მკითხველთა განსასჯელად დაიდო. ვილაც ფსევდონიმს ამოფარებულმა კუტკალიამ მომწერა, „ეე, ძმაო, სულ დაირეხვე? რალა დროის ამ სტილით წერაა, რომელი საუკუნეა, გარეთ გამოიხედე, **ნააა!**..“

მეც გავიხედე, გარეთ უჟმური ნოემბრის დილა იდგა...

მაშინ კუტკალიას არ გაუმართლა, ნამდვილი მკითხველების რჩეული ჩემი ნოველა გახდა...

დღეს რა მოხდებოდა?

ეჰ, უწყინარი ანეკდოტიდან, სერიოზულ თემებამდე მივედით, მაგრამ ასეა ჩვენი ცხოვრება აწყობილი — ხაფანგმა, უნებლიეთ, ხელი რომ მოგანეწკოს, მაშინაც კი დროსა და ხელისუფალს აგინებ, იმ ხაფანგში შენს მაგივრად რატომ არ ჩაყო თითი!

აცხონოს ღმერთმა იმისი სული, სოფელ მალაროში ერთი თავმჯდომარე ჰყავდათ,

მართლა ნესიერი და ღირსეული, მეტსახელად „რკინის კაცს“ ეძახდნენ. თავმჯდომარის უკითხავად ჩიტებიც ვერ დაფრინავდნენ მის სამფლობელოში, ვერც რაიკომ-ალმასკომის აჯილდები და-თარეშობდნენ თავიანთ ნებაზე.

ბევრ რამეს ყვებოდნენ „რკინის კაცის“ საქმეებზე. უყვარდათ და არც უყვარდათ, სამართლიანობისთვის მებრძოლს, როგორც ნესი, მაღლიერებისა და უმადურობის შუქ-ჩრდილი ადგას.

მოკლედ, როგორც ყვებოდნენ, ილიას გიორგივით ყოფილა.

როცა გავიცანი (ასაკში რომ შევიდა, დანერა განცხადება და თავმჯდომარეობა მიატოვა, როგორ არ ეხვეწნენ, მაგრამ „რკინის კაცი“ იყო და ვინ გადაათქმევინებდა), უკვე რიგითი კოლმეურნე იყო, სავენახე მიწა გაეპიროვნებინა, ვაზი გაეშენებინა და უვლიდა.

მახსოვს, ზვარში, წალამგადახურულ ქობთან, წახრილი საჩრდილობელი ფშატის ქვეშ ვისხედით.

წლებით და შრომით სახედალარულმა კაცმა გვერდზე მოიდო თავისი ჩალის ქუდი და წინ დამილაგა იდაყვებამდე სახელოაკეცილი, შაბიამნით დაწინკლული დიდი ხელები.

თვალეში სიბერის ლიბრი მოსძალებოდა, მაგრამ მზერა მართალი, პრინციპული კაცისა, მოკრძალებითა და პატივისცემით განგანყობდა.

კარგა ხანს ვისაუბრეთ, მე როგორც ყურნალისტმა, იმან, როგორც რესპოდენტმა.

— ეხლაო, რასაც გეტყვით, განა არ ვიცი, ვერ დაბეჭდავთო,

— რომ აიხირეს, კახეთში ორჯერ უნდა გავზარდოთ ვენახების საერთო ფართობი, ჯერ ეს ერთი — მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით მარცხენა ხელზე ცერი მოლუნა

— ყურძნის გარდა, სხვა აღარაფერი გვჭირდება? და, მეორეც, — ახლა არათითიც მოკეცა, — ორჯერ მეტ ფართზე გაშენებულ ვაზს მომვლელი არ უნდა? დარგვა-გაშენება კმარა? ჯერ რაც გამეჩხერდა, გადაგვარდა, გადაჯიშდა მოუვლელობით, იმას მივხედოთ! ქალაქისაკენ უჭირავთ თვალი, სადღაა მუშახელი, შვილო, როგორ გავწვდებით... აგე,

რაც გავაშენე, ვუვლი, მაგრამ როდემდე, ვილაა მერე ამის მიმხედი? ჯერ ის დაამაგრე ადგილზე, ვინც დოვლათს შექმნის და მერე შენი კარნახი და პლენუმების გადამწყვეტილებები არ დასჭირდება, სად რა დაირგოს და რამდენი...

გამკაცრებული სახე სინანულის ღიმილმა შეუტოკა;

— მაგრამ აქ სხვა მულამია. ეს არის ჩვენი უბედურება — ვენახის ფართს რომ გაზრდი და კრემლს უპატაკებ, მერე რამდენიც გინდა, ღვინის ნაცვლად, ჩამოასხი შაქარწყალი, იქ ველარავინ დაეჭვდება ამდენ ჰექტარზე ათჯერ მეტი მოსავალი როგორ მოიყვანო... ამხელა უკიდევანო ქვეყანაში ერთი დიდი, საერთო ტყუილია აგორებული და ამ ტყუილს მივსევივართ... სადამდე გაგრძელდება ასე, არ ვიცი...

გავჩუმდით, დარხეული ტოტის ჩრდილი ელაციცებოდა შაბიამნიან ხელის ნებებს.

ერთხელ, „რკინის კაცთან“, თანასოფლელი მისულა კანტორაში, ჩვენ სალოცავს საკლავს შეეპირდი და კოლმეურნეობის ფარიდან ბატკანი უნდა მომცეო.

შენი შესწირეო.

ჩემი რო მყოლოდა, შენ ხო არ მოგაკითხავდიო.

მერე, შე დალოცვილო, თუ არ გყავდა, ღმერთს კოლმეურნეობის იმედით ცხვარს რატომ პირდებოდიო.

გამოისტუმრა უარით.

ასეთები ვის უყვარს? არც რაილმასკომში და არც იმათ ზემოთ დიდად გულში არ ჩაჰქროდათ, თავისი თითის კარნახით რომ ვერ ათამაშებდნენ, მაგრამ ნიმუშად მაინც სჭირდებოდათ, ერთი მართალი და პირდაპირი კაცი, მის მამხილებელ სიტყვას ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდა თავად პირველი პირი — იმ სიყალბის ერთ-ერთი მამამთავარი, სარჩულივით რომ ჰქონდა გამოკრული მაშინდელ წეს-წყობილებას...

კიდევ ვიტყვოდი რამეს, მაგრამ...

„არ მინდა ძველი დარდები,

რომ გულში აინწოსა“...

მითუმეტეს, რომ იმ ძველს ოთხმოცდაათიანი წლებიდან დღემდე აგორებული ახალი ტყუილიც დაემატა, დაედო, როგორც დაბეგებულ, ჭიით შეჭმულ თოვლს, ახალი... ტრანსფორმირებული სიცრუის აგიტატორები ახლა სხვა მხრიდან

შემოესივნენ ქვეყანას, როგორც კალიის ლაშქარი, ნაირნაირები, შავები, მულატები, ყვითლები, ვინროთვალეებიანები... მოაწყდნენ, როგორც წარღვნა, ამოავსეს ყველა გასავალ-გამოსავალი, ყველა სარდაფი, ფარდული, კუთხე-კუნჭული, ველი, ტყე და მინდორი...

აღარ იცი, საიდან ამოძვრება შრომით მოღლილი „სერუანელი კეთილი კაცი“.

ეს ჩემი ბედოვლათი, კანონიერი მემკვიდრე აქაურობისა, სალაყბოზეა ჩრდილს შეფარებული, სოფლის ამაოებაზე გულმოსული, ან წნორის „ბირჯაზე“, მანქანას მიყუდებული გასაღებს ატრიალებს და დედაქალაქში წამსვლელ მგზავრებს ელოდება.

მინისტვის რომ მიეხედა, მიიღო დახმარება, თან ცხრა მთას იქით გადაკარგულმა, საშოვარზე წასულმა ცოლ-შვილმაც „დაამაყუთა“, მაგრამ ამან უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, შეიძინა სატაქსაოდ მანქანა და უწყინარი სახედრიდან, კომფორტულ, ჩვენი ახალი „გულშემატკივრების“ ნახმარ, „მერსედესის“ სალონში გადამჯდარს, მუშტრის მოლოდინში, უქმად უწყვია საჭეზე ბათმანიანი ხელები, სათოხე, კუნთებდაყრილი მკლავები...

აბა უთხარი რამე!

მაშინვე თითს ხელისუფლებას თვალეში ნაატაკებს, სულ იმის ბრალი ყოფილა თოხზე და მინაზე გული რომ აიყარა, ინდოელი და შრილანკელი რომ დაუდის მამაპაპის სისხლითა და ოფლით გაპოხიერებულ მამულში...

ცხელა.

როდის აღარ ცხელა შუა ზაფხულში.

„რაო, მინდორში წალუნული სერუანელისთვის გრილა?“

იზრდება, გრძელდება ქალაქებში, დაბებში, სოფლებში, ქუჩებში დამწკრივებული ტაქსების მწკრივები, ვინ არის გამზომი, თორემ ჩინეთის დიდი კედლის სიგრძეს გადააჭარბებს.

როდემდე ვუყუროთ გაუქნარებულ, წელანგარა, საჭეზე „დაგუბებულ“ ენერგიას? არ სჭირდებათ ხელის ამკრავი და გამომფხიზლებელი, როგორც ბაგასთან, დახლებთან დაბმულ, გადამყიდველ, სქელკისერა ხარებს?

თორემ, აგე, გამოვიდა ამასწინათ ვილაც არამკითხე კონგრესმენი და, ჩვენაო,

საქართველოს მთლიანობას ხომ ვცნობთ, ახლა იმასაც ვცდილობთ, რომ თქვენმა ქვეყანამ ევროინტეგრაციის ტრაექტორია შეინარჩუნოსო.

ღმერთო, უკუღმართი ფანტაზია რას აღარ გამოიგონებს ჩვენი ყურადღების დასაბლაგვებლად და მოსადუნებლად — „ევროინტეგრაციის ტრაექტორია“ რაღა უბედურებაა, ამიხსნას ვინმე და გაეროს კარზე ჰარაკირს გავიკეთებ.

ანდა რომ ვერ შევინარჩუნოთ ტრაექტორია და თოკს მონყვეტილი ჯამბაზივით მანეთზე მომლოდინე დათვს ისევ ჩავუვარდეთ ხახაში (თუ უკვე იქ არ ვიმყოფებით)?

ეჰ, ამერიკა, ამერიკა, რად გადამიჭრა იმედის ძაფი შენმა კონგრესმენმა — მეგონა ევროკავშირის კართან გულაძგერებული ვიდექი და თურმე... არა, ეს „ტრაექტორიის შენარჩუნება“ საიდანღა მოიგონეთ!

მოკლედ, ერთი კინოგმირისა არ იყოს:

„შენც კარგი ვინმე ხარ, აბესალომ!“

აი, აქ, ნასახლარების შორიახლო, ჩამოშლილი ეკლესიის გვერდით, ფეხდაუდგმელ ყამირზე, ჯერ ბოროლებსაც რომ არ გაუკიკნიათ ხასხასა, ახალი ბალახი, მზით გამთბარი ჭიანჭველების ქარავანი რომ მიდი-მოდის, უცებ, ცამონმენდილზე, აქოჩრილი ყვავილებიდან პეპლები რომ ამოფარფატებიან, თეთრად გაიღვებენ და ახალგაშლილ გვირილას დააფრინდებიან, მინაში ნახევრად დაფლული, მძიმე, წარწერებიანი ქვები რომ მდუმარებენ, ჯერ კიდევ გინახავენ, გვახსენებენ იმ ყველაფერს, რის დავინწყებასაც გულმოდგინედ ცდილობ, ესენი მფარველობენ იმას, რის გარეშეც არაფერი იქნები არც შენ და არც შენი სამშობლო.

ყველაფერი მოგვტირის, რაც ჩვრებში გახვეული ჩვილივით მივაგდეთ და იმასაც არ ვუკვირდებით, ვაითუ ეს ძახილი განწირული მომკვდავის ხროტინია.

აქშეული ფრინველების მსგავსად, დედამინის კუთხე-კუნჭულებში მიმოფანტულები, ვდგევართ მომლოდინე, წარღვნამდელი ქანდაკებების აჩრდილებივით და ველოდებით.

მოლოდინში თენდება, ღამდება,

თენდება, ღამდება,

თენდება, ღამდება,

ლამ...

თვალსაწიერზე აყუდებულა ხორნაბუჯი, ელია, იქით, ყვარლისკენ კალაპოტის შავი სარეცელით ყელგამშრალი დურუჯი, აქეთ ხირსა, ნეკრესი, მომხდურ მტერს შელენილი ციხე-ქალაქები, მოკვეთილ ძუძუსავით სისხლგამდინარე ალაზანგალმეთი... ყველაფერი გთხოვს, რომ შენს ძარღვში წმინდა სითხე არ განყალდეს, არ მოდუნდეს, გულგრილობით არ გაიყინოს...

რაც ხორნაბუჯიდან მოჩანს, იმას ვერც ეიფელიდან, ვერც კილიმანჯაროდან და ნიაგარადან ვერ დაინახავ. ჰიმალაის სიმაღლე კოჭებად ვერ მისწვდება იმ მთაგორებს, ზედ მარადიულ მხედრებად რომ ამოსულან ტაძრები და ციხე-კოშკები...

ვერა-მეთქი, იმიტომ რომ ჩემია.

მორჩა და გათავდა.

ყველა დამპყრობელს სხვადასხვა ნიღაბი აქვს მორგებული, თორემ სახე და გულის ზრახვა, როგორც ვაშლი გადაჭრა...

ჩემია!

ეს უნდათ.

ეს სიტყვა უნდათ დამავინყონ, ამ სიტყვის მაგიური ცეცხლის ამოძირკვა, განელება ჰქონდათ, აქეთ და მომავალშიც ექნებათ ჩაფიქრებული.

ჩამოვედი ქიზიყში წინასაოპერაციო განწყობით დალდასმული, დაღლილი და აქაურობა დამხვდა, როგორც ჟანგბადის ბალიში — ერთგული, მოყვარული, უღალატო ძველი მეგობარი.

შეხვედრაზე, ლიტერატურის მოყვარულები მრავლად რომ მოვიდნენ, მუსიკალური სასწავლებლის სააქტო დარბაზში ნდობის ძაფები უცებ გაიბა.

ათწლეულების წინ უფრო აქტიურად ხვდებოდა მწერალი და მკითხველი ერთმანეთს.

იძულებითმა პაუზამ გრძნობები გააცია, მაგრამ მთლად რომ ვერ გააქრო, მაშინვე დავრწმუნდი, როგორც კი ლიტერატურული საღამო დაიწყო.

მკითხველებმაც და მწერლებმაც ვიგრძენით, თურმე როგორ მოგვნატრებიან ერთმანეთი.

აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ვიდრე ნაწარმოებს უცხო მკითხველამდე მიიტან, ჯერ შენი ლიტერატურის, ქართული მწერლობის გულშემატკივართან უნდა

მიხვიდე. უდღეური ამბიციის ყვაველი უცებ ჭკნება, როგორც კი სადღაც გამოცემული მცირეტირაჟიანი წიგნის პრეზენტაცია ჩაივლის და რამდენიმე ეგზემპლარით ხელდამშვენებული, კმაყოფილი და გაფუყული დაბრუნდება.

ტყუილი, თოჯინა, ტყუილი! შენი დიდი თუ მცირე ძეგლი ჯერ აქ უნდა დაიდგას!

ვაჟა გერმანიაში არ გაუშვა ილიამ, პოეტსაც დავკარგავთ და ვერც ფილოსოფოსად დაგვიბრუნდებაო.

მავანი ხეირიანად თბილისის ერთ უბანს არ გასცილებია, თავისი ნაღვანით ჯერ ქართველი მკითხველის ნდობა არ მოუპოვებია და უცხოს და უცხოებს მიელტვის. ვინმემ ხომ უნდა ჰკითხოს, სათბურის სასუქით გაჯეჯილებულმა, ასეთი რა გვირგვინი დანანი, რომ მთელ მსოფლიოს მოაფრქვიო და ჯერ შენ მშობელს არ გააგებინო ვინ ხარ, რა ხარ და რა გიდევეს მაგ ხურჯინში, ასე რომ ეფერები და ელოლიავები, შენს ვაი თაყვანიმცემელ მეხოტბებთან ერთადო.

ნებისმიერმა ავტორმა ჯერ თავისი, ყველაზე საჭირო და საინტერესო წიგნი — სამშობლო უნდა წაიკითხოს.

ამაშიც კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, კახეთში მოგზაურობისას.

ლიტერატურული საღამოს და გულითადი გამასპინძლების შემდეგ დედოფლისწყაროელმა მწერლებმა ხორნაბუჯის დასათვალიერებლად წაგვიყვანეს.

ხორნაბუჯი... სამყაროს ერთ-ერთი საოცრება, ადრეულ წლებში ბევრჯერ მიწახავს და რთული რელიეფის მიუხედავად, ავსულვარ კიდევ, მაგრამ ახლაც სიამოვნებით ვესტუმრე, რათა კიდევ ერთხელ გავოცებულიყავი — როგორ, ან რა ხელმა „აზიდა“, როგორ ჩაადულაბა, ჩამოქნა და, ჩამოასხა...

მანქანა შორიახლო შევაჩერეთ, ტყეწვრილში უფრო დიდი, ღონიერი მანქანის ბორბლებით ნაბულრავები საურმე გზა ფეხით გავიარეთ.

ხორნაბუჯის მისადგომებთან წელამდე ბალახი ყელყელაობს. ალაგ-ალაგ ყვითლად მოსდებია ქერიფქლა, ქვათესლა, ალაგ-ალაგ ყაყაჩო და თეთრგვირგვინიანი გვირილა...

ყველაფერი დუმს, ნაშუადღევის სიცხეს მიუსავათებია თუ სხვა ამოუხსნელი

მოლოდინით გარინდულან შავ-თეთრად დაჭორფლილი ლოდები.

ერთხელ, ადრეულ წლებში, ამ მიდამოებში, ზემოთ მიმავალ ბილიკზე დამდგარი, ვეებერთელა, ლოდზე შემოხვეულ შავ უხსენებელს წავადექი. გიურზა იყო თუ სხვა მოდგმის მცურავი, ცხადია ვერ დავადგინე — მის წარმომავლობაზე დასაკვირვებლად სად მეცალა, შიშმა უკან გამომაბრუნა.

ახლაც მრავლად იქნებიან, ქვიშაზე გაცურებელი ჯაჭვის სხივილა პერანგებივით ერთმანეთში ჩახვეული გველგესლები, მახრჩობელები, გიურზები, ხორნაბუჯის მარადიული მცველები, ხვრელებში, ბალახის ძირებში, ქვების ქვეშ და ჩამავალი მზის ალმაცერ სხივებზე, ქერეჭისფერ სალ კლდეებს შეფარებულები.

წინ ადგილობრივები გაგვიძღვენენ, ხელჯოხებით მიჰკვალავენ ბალახმოძალებულ ბილიკის დერეფანს.

შევუდექით აღმართს, ლოდებს შორის დატოვებულ ვინროებს. ჩხრიალებს ფეხქვეშ ქვა-ლორღი, ბუჩქები, ნაპრალებში ამოსული, გადმოხრილი ხეები ტოტებს გვინვდიან, გვეხმარებიან.

ავდივართ, ავდივართ...

ავალწიეთ, ავმალდით და... ციხე კი არა, ზეცას მხარშედგმული ატლანტია.

ფრთაგაშლილი ორბები, სვავეები, ბორები ხელის აწვდენაზე დასტრიალებენ

უხსოვარი დროის კედლებს, თითქოს ჰაერში გაყინულ, გიგანტურ კვერცხებს — ციხის ქონგურებს. ეტყობა, უფრო გენეტიკური მახსოვრობის გამო, ფრინველ ლეშისმჭამელებს აქ დაღვრილი სისხლის სუნი კიდევ უღიზიანებთ ყნოსვას.

ცის ოთხივე კუთხიდან, მომლოდინე მეთაურივით, ჟამი იყურება.

ჟამი — როგორი უსაზღვრო ტევადობის სიტყვაა — წარსულის მოწესრიგებული ქაოსი.

სხვა რომელი მწვერვალის და კოშკის სიმაღლიდანაც არ უნდა გადმოიხედო, ეიფელის თუ პიზის, ჯომოლუნგმასი თუ კილიმანჯაროსი, იმას ვერ დაინახავს „ცოცხალი წიგნის“ ავტორი, რასაც ხორნაბუჯიდან. იმ ჟრუანტელს ვერ იგრძნობს, აქედან გადმომზირალს რომ წამოგაძახებინებს:

— ეს არის ბალო, შენი სამშობლო!

ვის, ვის და, სიფხიზლისკენ მომწოდებელი ეს უკვდავი ფრაზა, პირველ რიგში „ცოცხალ წიგნებს“ უნდა ახსოვდეთ.

ახლა კი, როგორც ზღაპარშია, ჩვენც ისე დავამთავროთ:

„ელასა-მელასა,

ჭიქა მეკიდა ყელასა.

მთქმელსა და გამგონებელსა,

ძილი გაამოთ ყველასა!“

ვაჰ, კაცო, კიდევ ძილი?



გია არგანაშვილი

პიეტა ყელსაბამისთვის

ვახტანგ ჯავახაძის ლექსის გამო „ელეგია პირველი: ყელსაბამი“

გასული საუკუნის 60-იან წლებში, ცხელი ზაფხულის ერთ დღეს, ერთმა თბილისში დარჩენილმა მწერალმა მეორე (სავარაუდოდ, ქვიშხეთში) სიცხეს გარიდებულ მწერალთან დეპეშა აფრინა:

— ჩამოდი, რა დროს დასვენებაა, თბილისში „მკვდრის მზე“ დაინერაო.

გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზეს“ გულისხმობდა.

არ მიყვარს ასეთი წვრილმანების დამახსოვრება, მაგრამ ამ ამბავმა თავი ორი მიზეზით დამამახსოვრა. პირველი — იმიტომ, რომ თბილისში დარჩენილ მწერალს სხვა მწერლის წარმატების დანახვისა და აღიარების ძალა ეყო (ეს არც ისე ადვილია), მეორე კიდეც იმიტომ, რომ ამ ამბავს, როგორც მნიშვნელოვანს, როგორც სასიხარულოს ისე ამცნობს დასასვენებლად წასულ მწერალს და დარწმუნებულია, რომ მასაც გაახარებს.

მე კი ეს ამბავი იმ ამბავმა გამახსენა, რომ ამ ზაფხულს თბილისში ვახტანგ ჯავახაძის „ყელსაბამი“ დაინერა. მართალია, არც დეპეშა სადმე გვიფრენია (მესიჯები კი ალბათ დაინერა), წერილის გაგზავნაზე კი არ გვიფიქრია, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ინტერნეტმა მსოფლიოს ყველა კუთხეში ყველა დაინტერესებულ ადამიანს ამცნო ეს სასიხარულო ამბავი.

თბილისში „ელეგია პირველი: ყელსაბამი“ დაინერა!

პოლიტიკურ დაპირისპირებასა და ხმაურიან სასამართლოებს გადარჩენილი საზოგადოების ერთმა ნაწილმა, რომელთათვისაც ლიტერატურა მოცლილთა საქმე არ არის, ამ ლექსის გამო ერთი ომი უკვე

გადაიტანა..

საომრად კი ნამდვილად ღირდა..

ლექსმა პირველი წაკითხვისთანავე ბევრი აღაფრთოვანა, ზოგიერთი მეტისმეტადაც. მათმა აღფრთოვანებამ კი სხვა ბევრი გააღიზიანა, აქაც ზოგიერთი მეტისმეტად (ყველას რომ მოსწონებოდა, ალბათ, საეჭვოც იქნებოდა მისი მხატვრული ღირებულება)... ერთი სიტყვით, თითქოს ლექსი კი არ დაინერა, არამედ ადიდებულმა მდინარემ ჩამოიარა და ისევ ორ ნაწილად გაგვყო (თითქოს აქამდე გვაკლდა მიზეზი გაყოფისთვის).

და ისევ — „გამოდმით მე ვარ, გაღმით შენ...“ და ახლა ვცდილობ, რომ ამ წერილით მდინარის იქითაც მივანვძინო ხმა.

ლექსი მოცულობით საკმაოდ დიდია, ინფორმაციულადაც საკმაოდ მდიდარი, თუმცა, ის მხოლოდ და მხოლოდ პოეტის გარდაცვლილ მეუღლეს ეძღვნება:

„დაცარიელდა კაბა, საწოლი, სარკე, სათვალე, ქოლგა, შენები...“

ვიდრე კითხვას გავაგრძელებდე, პირველივე სტრიქონიდან მეხსიერებაში ჩემს დაუკითხავად, ირთვება საძიებო სისტემა და ქართული ლიტერატურის (პოეზიის) ისტორიაში დაეძებს ასოციაციურ მსგავსებას, ალუზიას, რომელიც საყრდენად გამოადგება მკითხველს იმ სურათზე დაკვირვებისთვის, ავტორი რომ გვთავაზობს.

აქ ჩვენს ხსოვნას პირველივე ცდაზე აწყდება ვაჟა-ფშაველას ყველაზე ნაცნობი და მგრძნობიარე სტრიქონები: „იას უთხარით ტურფასა...“

რა თქმა უნდა, „იას უთხარით ტურ-

ფასა...“ ახლობელი ადამიანის დაკარგვით გამონეული ამ მარადიული სევდის ყველაზე უფრო ხატოვანი და ზუსტი გამოხატულება ჩვენს კლასიკურ პოეზიაში.

ამ სტრიქონებით აღძრული განცდა კი მართლაც გასაღებივით მოერგო ვახტანგ ჯავახიძის სევდის კარს...

ლექსის განწყობა და შესაბამისად ჟანრიც ხომ სათაურშივე განსაზღვრა ავტორმა და მას სწორედ სევდის გამომხატველი ელემენტი უწოდა. ჩვენ შეგვიძლია ლექსი-რომანიც დავარქვათ. თუმცა მკითხველი რომ ადვილად გაერკვეს მის შინაარსში, ხალხური შემოქმედების გამოცდილების გათვალისწინებით, „ხმით ნატირალიც“ კი შეგვიძლია ვუწოდოთ.

ლექსი პირველ ივლისს გამოქვეყნდა „ლიტერატურულ გაზეთში“. მისი გამოცემა იმ დროს დაემთხვა, როდესაც თბილისსა და მთელ საქართველოში (ტელევიზიებში, სოციალურ ქსელებში, ოჯახებში, ქუჩაში) ადამიანები მხოლოდ მეუღლეებისგან განსაკუთრებული სისასტიკით მოკლულ ქალებზე საუბრობდნენ.

თუმცა, ვერავინ იტყვის, რომ პოეტმა მისი გამოქვეყნება სწორედ ამ ტრაგედიას დაამთხვია და ამით ლექსის პოპულარობა საზოგადოების ზოგადემოციურმა ფონმა განსაზღვრა.

წინასწარ ვეტყვი მკითხველს, რომ მხატვრული ტექსტის (ლექსის) წარმატებისთვის რამდენიმე აუცილებელი პირობა არსებობს, რომელთაც ეს ტექსტი სრულიად აკმაყოფილებს.

პირველ რიგში, ეს თემის არჩევანია.

ქართულ ლიტერატურას დღემდე აკლია (აკლდა) მეუღლის (ცოლის) განზოგადებული მხატვრული სახე. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ თემაში ლიტერატურა ჯერაც ვერ გათავისუფლებულა ფოლკლორის გავლენისგან, რომელიც ცოლის სახეს (როგორც შექმნილ სიყვარულს) კოლექტიური ცნობიერების გადასახედიდან განიხილავს.

ამის შესახებ შარშან „კრიტიკაში“ გამოვაქვეყნე მხატვრულ-დოკუმენტური ესე „ნათესავი ქართველთა“, რომელშიც ქალის სხვადასხვა პოზიცია-სტატუსზე (მათ შორის ცოლის, დედის, დის, დედამთილის, სიდედრის, შინაბერას, საყვარლის, ქვრივ-

ის) და მის მხატვრულ სახეზე იყო საუბარი ქართულ ლიტერატურასა და ფოლკლორში.

ამ მხრივ ინდივიდუალური და კოლექტიური აზროვნება რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ინდივიდუალური ცნობიერება თავისი ხასიათით უფრო კატეგორიულია და შეფასების უფრო მაღალ სტანდარტს მოითხოვს, კოლექტიური ცნობიერება კი ადამიანის ბუნებით გრძნობებს ეყრდნობა.

შესაბამისად, კოლექტიური ცნობიერება — ფოლკორი სისხლით ნათესაობას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო ინდივიდუალური აზროვნება, ლიტერატურა — მოყვრობას.

ადამიანთა ურთიერთობაში ამ ორი ტიპის სიახლოვეს — სისხლით ნათესაობასა და მოყვრობას — შორის განსხვავებას ჯერ კიდევ პომეროსი შეეხო. მისი პომეების მიხედვით, დაპირისპირება (ანდა უპირატესობის მინიჭება) მოყვრობასა და სისხლით ნათესაობას შორის მსოფლმხედველური დაპირისპირებაა და კულტურათა შორის კონფლიქტსაც გულისხმობს.

ჩემთვის გასაზიარებელია, რომ ბუნებითი (სისხლით ნათესაობითი) სიყვარული შექმნილ (მოყვრულ) სიყვარულთან შედარებით ნაკლებად პროგრესული მოვლენაა (ამ აზრს ადასტურებს ჩვენი მითოლოგიური ზღაპარი „ამირანი“ და კლასიკური ლიტერატურა „ვეფხისტყაოსანი“).

ამ ფონზე ჩვენ მიერ ლიტერატურასა და ფოლკლორში მოძიებული ცოლის მხატვრული სახე დამშვიდების უფლებას მართლაც არ იძლევა.

კვლევამ გამოაჩინა, რომ სანიმუშო ცოლის განზოგადებული სახე (თუნდაც ფრაგმენტული) ქართულ ლიტერატურაში მართლაც ძნელად საპოვნელია. უფრო ადვილია იმ ტექსტების გახსენება, რომლებსაც ცნობილი მწერლები პატივისცემის ნიშნად საკუთარ მეუღლეებს უძღვნიდნენ.

ამ კუთხით ინდივიდუალური და კოლექტიური ცნობიერების დაპირისპირების თვალსაჩინო სურათს კი ეს მარტივი შედარებითი ანალიზიც იძლევა:

გავიხსენოთ მიხა ხელაშვილის ლექსი „ლექსო, ამოგთქომ ოხერო..“ და დაუქ-

ვირდეთ, თუ როგორ ვერ აღწევს პოეტი თავს საზოგადოებრივ ტყვეობას:

„ცოლიც ძალიან იტირებს,
ქვეყანას გააკვირვებსა,
მეორე დღესა იგიცა,
სხვისა ჭირს გააღხინებსა“.

თითქოს მის კოლექტიურ ცნობიერებას (წინა რიცხვით) ეპაექრება ვაჟა-ფშაველა თავის ლექსში („სიკვდილი გმირისა“):

„ცოლის გულსაც ხვდა ლახვარი,
თუმც ტირილს ვერა ჰბედავსა;
ჩუმად იტირებს ბეჩავი,
როცა არავინ ხედავსა.“

ბევრი სხვა მსგავსი მაგალითის მოყვანაც შეიძლება, თუმცა, ცხადია, ამ საკითხში ფოლკლორი და ლიტერატურა საოცარ ერთსულოვნებას ამჟღავნებს და დღესაც დაულაღვად ეწევიან ცოლის საწინააღმდეგო ფიარკამპანიას. როგორც ჩანს, ცოლის ქება ჩვენს ლიტერატურაში დღესაც „აუგია“. ამ ფონზე კი ვახტანგ ჯავახიძის ეს ლექსი უდავოდ ძალზე მნიშვნელოვანია. ის არა მხოლოდ წინგადადგმული ნაბიჯი, არამედ ნახტომია კულტურისაკენ, ქრისტიანული ფასეულობისკენ. მეუღლის (ცოლის) სახე ამ ლექსში სრულიად ახალ ესთეტიკურ ღირებულებებს ამკვიდრებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (აქ არაფერს ვამბობ ლექსის მხატვრულ დონესა და ავტორის შემოქმედებით უნარზე, რომელთა საშუალებითაც მან უკიდურესი განცდების მოტანა შეძლო მკითხველამდე).

და აქვე, მართალია, ავტორი ებრძვის კოლექტიურ ცნობიერებას, თუმცა შემოქმედებითად იყენებს ფოლკლორულ კონსტრუქციებს და აიძულებს მათ ინდივიდუალური აზროვნების სამსახურში ჩადგინდნენ:

ხალხური — სიზმარში მაინც მეჩვენე...
ვახტანგ ჯავახიძე — „სიზმარში მაინც გამომეცხადე...“

ვახტანგ ჯავახიძე — „მესიჯი მაინც გამომიგზავნე, როდის დავეუსხა ყვავილებს წყალი...“

* * *

შეუძლებელია თემის, განწყობის, ხასიათის მიხედვით ამ ლექსს ქართულ პოეზიაში არ ჰყავდეს წინამორბედი და არ გაუჩნდნენ მიმდევრები. თუმცა, მე პირვე-

ლი ნაკითხვისთანავე რატომღაც ივანე ნიკლაურის „რამ დამაბერა“ გამახსენა.

შესაძლოა ამ მოსაზრებას ბევრი არც დაეთანხმოს. მართლაც, რა საერთო შეიძლება ჰქონდეს გასული საუკუნის 80-იან წლებში გახმაურებულ ფოლკლორულ (ესეც საკამათოა) შედეგს კლასიკური პოეზიის დღევანდელ ბრწყინვალე ნიმუშთან, გარდა იმისა, რომ ორივე ლექსმა თავის დროზე მკითხველის ყურადღება მიიპყრო და ორივე მათგანი, პირველ რიგში, თავისი მასშტაბური ხედვით გამოირჩა.

მკითხველს გავახსენებ, რომ იმ დროს მართლაც ბევრი მოიხიბლა ივანე ნიკლაურის ლექსით, მისი პოეტური სახეებით, ბრწყინვალე ინტონაციით (ეს ვახუშტი კოტეტიშვილის დეკლამაციამ უკეთ გამოაჩინა), დიალექტურიული ლექსიკით, ჰეროიკული პათოსით. მოიხიბლა მკითხველი და სრულიად გამორჩა, რომ ეს ლექსი შესაძლოა პირველიც იყო, რომელმაც აღსარებითი ხასიათის ნაკადი შემოიტანა ქართულ საბჭოთა მწერლობაში. ისიც შეუმჩნეველი დარჩა, რომ ეს ავტობიოგრაფიული ლექსი ჩვენი განვლილი ცხოვრების ნამდვილ მატთანედ იქცა და რამდენიმე ათეულ სტრიქონში მთელი ეპოქა ჩაატია.

დარწმუნებული ვარ, პირუთენელი და გამონვლილვითი ანალიზის შემთხვევაში (ამ წერილს არ შეიძლება ამის პრეტენზია ჰქონდეს) ვახტანგ ჯავახიძის ეს ლექსიც ბევრი მიმართულებით „განაცხადებს“ ერთადერთობის პრეტენზიას.

საგულისხმოა, ორივე ლექსში სამყაროს მცირე მოდელია გამოხატული. მის ცენტრში კი ადამიანი, ერთი მხრივ, ავტორი („რამ დამაბერა“), ხოლო, მეორე მხრივ, ავტორის მეუღლე („ყელსაბამი“) - დგას. მათ ორბიტაზე კი დიაკონთ გიორგი, ტოლხემათ მიხა, უთურგათ ჯურხა, გაბური ლელა („რამ დამაბერა“) და ელგუჯა ამაშუკელი, მერაბ ბერძენიშვილი, ბესიკ ხარანაული, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ დოჩანაშვილი, დავით წერეთლიანი და ლაშა თაბუკაშვილი ტრიალებენ... ისინი ეპოქის ხასიათს ქმნიან.

ლიტერატურის ისტორიაში ასეთი ლექსები სხვადასხვა ლიტერატურულ ეტაპს მიჯნავენ ერთმანეთისგან. მათით

რალაც მთავრდება და რალაც ახალი იწყება. ისინი სამანის ქვებივით ღრმად არიან მინაში (ერის თვითმყოფად კულტურაში) ჩაფლულნი, რათა ლიტერატურული მიმდინარეობების მსუბუქმა ნიავმა ადგილიდანაც ვერ დაძრას.

ორივე ეს ლექსი ანალიტიკური გონების და შემოქმედებითი შრომის ნაყოფია. სტიქიურობის კვალი არცერთ მათგანში არ იგრძნობა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ორივე მათგანი შეგვიძლია კულტურულ მოვლენად ჩავთვალოთ, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ აუცილებლად მოიტანს შესაბამის ცვლილებას.

ახლა შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ როგორ იმოქმედებდა ივანე ნიკლაურის ეს ლექსი იმ დროის მკითხველის გემოვნებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ლიტერატურულმა საზოგადოებამ მისით აღტაცებას სათანადო მეცნიერული ანალიზიც მოაყოლა. დარწმუნებული ვარ, არც ვახტანგ ჯავახიძის ეს ლექსიც ჩაიკარგება ელექტრონული მეხსიერების უძირო ქაში, თუ მკითხველის ინტერესი ღრმად ჩასწვდება მის დაფარულ შრეებს და განსჯის თემად აქცევს მას.

* * *

ქართულ პოეზიას კარგი მკითხველი ჰყავს. მას ახარებს ახალი ლექსის ნაკითხვა. ახარებს ახალი მხატვრული სახე, კარგი სტრიქონი, კარგი ფრაზა... შეუძლია განუწყვეტლივ იმეოროს ის. ერთი დღით, რამდენიმე კვირით ან თვეობით აიკვიატოს და ილიდინოს ნაცნობი სიტყვები.

ახლა ზუსტად ვიცი, რომ ამ ლექსის მკითხველმა ამ დღეებში მთელი თავისი ძველი რეპერტუარი განაახლა:

„...დაცარიელდა კაბა, სანოლი, სარკე, სათვალე, ქოლგა — შენები... „

„...ისე ბევრი ხარ, არ მეშინია, თუ რომელიმე გამეპარები...“

„...და ამ სტრიქონებს ისე დახედა, თითქოს საკუთარ სახელს ეძებდა...“

„ნეტავ რომელი მუხლით ისჯება ბეგონიაზე ეჭვის მიტანა?“

„...მესიჯი მაინც გამომიგზავნე, როდის დავუსხა წყალი ყვავილებს..“

„...სადაც ერთმანერთს ედავებიან შენი შენობა და უშენობა...“

(ეს შექსპირისეული ყოფნა-არყოფნის თანამედროვე ვარიანტია).

„გირეკავენ და სახლში არა ხარ და არა მარტო სახლში არა ხარ...“

ეს ფრაზა კი რეფრენივით მიჰყვება მთელ ლექსს და როგორც ადამის (პირველი კაცის) სასონარკვეთილი კვილი არყვეს მთელ სამყაროს.

* * *

ლექსი ადვილი გასაგებია, რადგან ის მკითხველისთვისაა დანერგილი. მიუხედავად იმისა, რომ მას არ აკლია არც სიღრმე, არც სიმაღლე და ზოგ შემთხვევაში არც ბუნდოვანება.

მკითხველი შეამჩნევს, ლექსში ბევრის სახელი ხსენდება, გარდა თვითონ ადრესატისა... მხოლოდ ერთხელ, ისიც ირიბად, როდესაც ვიგებთ, რომ მის სახელზე ნანა დედოფლის ხატი აკურთხეს, სხვაგან ავტორი არსად არ ახსენებს მეუღლის სახელს, თუმცა ყველა სტრიქონში იკითხება, შენ, შენ, შენ... და ჩამოთვლილია ყველა ის მეტსახელი (ჩემო ფინანსთა ნამინისტრო, ოთარაანთ ქვრივო, თომას [იგულისხმება თომა მოციქული] დაიკო), რომლებშიც ძალზე კარგად იკითხება მისი ხასიათი და ინერება მისი პორტრეტი. თუმცა, თავდაპირველად, უსახელობა მაინც აოცებს მკითხველს, რადგან ფიქრობს, რომ სახელი ერთგვარი კარია მეორე ადამიანთან დასაახლოვებლად. აქ ეს კარი კი არ იღება, რადგან ის არც არსებობს... ამ ურთიერთობაში არ ჩანს არც კარი, არ ბარიერი, არც სხვა რამ ისეთი ნინალმდეგობა, რომელიც სახელით უნდა დაიძლიოს. თანდათან ხვდები, რომ სახელით მიმართვა მხოლოდ დაარღვევდა იმ ინტიმს, რომელიც ძალზე ფაქიზი შეხებით მიიღწევა ტექსტში..

ლექსის თითოეული სტრიქონი გამონვლილვით ანალიზს ითხოვს. ამ ფორმატში ეს მართლაც შეუძლებელი მეჩვენება. თუმცა ერთი რამ მაინც უნდა ითქვას. ძალზე რეალური და ხილვადია სამყარო, რომელიც ლექსის დასაწყისში ჩნდება, თანდათან მისტიკურ ბურუსს იკრებს, ფიზიკური შეგრძნებები სულიერ ურთიერთობებში გადადის და ლექსის ფინალში ბიბლიურ არქეტიპებამდე აღწევს.

ფინალში კი უსიტყვოდ ბატონობს რელიგიური განცდა...

აქ ჩნდება ცისფერი მტრედი, რომელიც ავტორს ფანჯარაში ეცხადება. ის, ერთი მხრივ, მეუღლის ლანდია, რომელიც ნაწერში საკუთარ სახელს დაეძებს (რომელიც არ არის), ამავე დროს, მტრედი მას ახსენებს პიკასოს (მშვიდობის მტრედი), ახსენებს ნოეს, ახსენებს სხვა რამესაც. თუმცა იქვე ჩნდება მტრედი-ქედანი. შეუძლებელია ავტორს შემთხვევით ეხსენებინა მტრედის მეორე სახელი — ქედანი. აქ ქედანს უფრო მეტი შინაარსი აქვს და მას ეროვნულ-ლიტერატურულ ძირებთან მივყავართ. მეორე მხრივ, თუ მტრედი მშვიდობის მაცნე და სულიწმინდის (სიცოცხლის) სიმბოლოა, „საწყალი ბერი ქედანი“ სულის ფრინველია. იმქვეყნიური, სულეთის მაცნეა...

„ზედ იჯდა ბერი ქედანი, დამლულუნებდა თავზედა..“ (ვაჟა-ფშაველა „ბახტრიონი“).

ნი“).

სწორედ ეს არის ის უკანასკნელი ნასკვი, რომელიც ხსოვნის რექვიემს ერთ ამბად კრავს. აქ ყველა ძაფი ავტორის ხელში იყრის თავს. საკმარისია, მცირედი ხელის ჩამოკვრა, რომ ის ხმა გამოსცეს, რომელსაც ავტორი ისურვებს..

დაბოლოს, მხატვრულ-ესთეტიკური კუთხით ამ ლექსმა დაიტია ყველა ის ექსპერიმენტი, რომელთაც ავტორი ახორციელებდა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში. თურმე მისი თხრობის ირონიულ-პაროდიულმა ხერხმა მხოლოდ გულწრფელობის ხარისხი შემატანათქვამს. პოეტის მხრიდან ლექსიკის სანაქებო მომჭირნეობამ კი სიტყვები აიძულა სრული დატვირთვით „ემუშავათ“. ვახტანგ ჯავახიძის პოეზიაში სიტყვები შეუცვლელნი ხდებიან. ისინი „ჩრდილოვანი“ ფუნქციის შესრულებაზე უარს ამბობენ და განახლებული ძალით მხოლოდ აზრის გაძლიერებას ემსახურებიან.



ზაზა შათირიშვილი

ვეფხისტყაოსნის ჰერმენევტიკისთვის

მიჯნურობა, როგორც სულიერი ვარჯიში

პლატონი თავის დიალოგში „ფედროსი“ გამოჰყოფს ღვთაებრივი სიმშაგის (mannia) სახეებს. მის აზრით, უპირველეს ყოვლისა, ესაა მისნის, ქადაგის სიმშაგე, როცა ის ღვთაებრივი შთაგონებით შეპყრობილი ქადაგებს და წინასწარმეტყველებს. ამის შემდეგ ის საუბრობს რიტუალურ სიმშაგეზეც, რომელსაც, ასევე, ღვთაებრივ ზემოთაგონებას უკავშირებს. მესამე — უკვე შემოქმედის (პოეტის) სიმშაგეა, რომელიც წინა ორის მსგავსად ღვთაებრივია და მუზებთანაა დაკავშირებული. დაბოლოს, პლატონი საუბრობს შეყვარებულის, მიჯნურის სიმშაგეზე, რომელიც, ასევე, ღვთისგანაა და ღვთაებრივია.

იგივე პლატონი უკვე „ნადიმში“ თავად ფილოსოფიას სიყვარულს ადარებს („ფილოსოფია“ — სიტყვა სიტყვით: „სიბრძნის სიყვარული“) და სიყვარულს — ეროსს — გვიხატავს, როგორც შუალედურ არსებას („დაიმონს“), რომელიც არც ღმერთია და არც — ადამიანი ისევე, როგორც თავად ფილოსოფია არც სიბრძნეა და არც — სიბრყვე. ეროსი, როგორც დაიმონი, ღმერთსა და ადამიანს შორისაა — ის უკვდავიცაა და მოკვდავიც, მშვენიერიცა და მახინჯიც. ის შუამავალია, რომელიც ადამიანთა ლოცვებს ღმერთებს გადასცემს, ხოლო ღმერთების ბრძანებებს — ადამიანებს.

პლატონი სიყვარულს განმარტავს, როგორც ნაკლებობას, რომელსაც სურს სისავსემდე მისვლა: ფილოსოფიას სურს სიბრძნემდე მისვლა, ხოლო სიბრძნე სხვა არაფერია, თუ არა ჭეშმარიტების (ღმერ-

თის) უშუალო ჭვრეტა. ადამიანურ მდგომარეობაში ეს რთულია, რადგანაც ჩვენ ხელს გვიშლის სხეული — ხორციელი ვნებები. მხოლოდ ამ ხორციელი აფექტებისაგან გათავისუფლების შემდეგაა შესაძლებელი ჭეშმარიტების, ანუ ღმერთის ჭვრეტა. ამას პლატონი უკვე „ფედონში“ შენიშნავს.

მამასადამე, ფილოსოფია მოწოდებულია იმისათვის, რომ უჭვრიტოს თავისთავად მშვენიერს, კეთილსა და ჭეშმარიტს, მაგრამ ეს მხოლოდ სიკვდილის შემდეგაა სრულად შესაძლებელი, რადგანაც სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა ხორცისგან — სხეულის აფექტებისაგან, ვნებებისაგან გათავისუფლება. ამიტომაც, ის, ვინც უკვე ამ ცხოვრებაში დაკავებულია სხეულის მოკვდინებით — ასკეზით და მელეტეთი — სულიერი ვარჯიშებით, უკვე ამ ცხოვრებაში იწყებს თანაზიარებას ჭეშმარიტებასთან. ამიტომაც, ფილოსოფოსობა სხვა არაფერია, თუ არა სიკვდილისათვის მზადება. ფილოსოფია — სიბრძნის სიყვარული — მიჯნურობის ხატია. მაგრამ, ასევე, მიჯნურობაც, გარკვეული აზრით, ფილოსოფიის ხატია — „საჭიროა მიჯნურობა, მით სიკვდილსა მიგვაახლებს...“ — მამასადამე, მიჯნურობაც ესაა — გარკვეული ტიპის *preparatio ad mortem* — სიკვდილისათვის მზადება.

ქრისტიანობამ ჭვრეტა, მჭვრეტელობა და სულიერი ვარჯიშები ქრისტიანული უწყების (თუ გზავნილის) გულისგულში მოათავსა. ქრისტიანობა — ესაა „ჩვენი ფილოსოფია“, როგორც აღნიშნავდნენ

ადრეული ქრისტიანები. ესაა მჭვრეტელობის ხელოვნება, რომელიც ყოველდღიურ სულიერ ვარჯიშებს — მედიტაციურ ლოცვებს, სინდისის გამოცდას, თვითრეფლექსიასა და თვითკონტროლს გულისხმობს. ქრისტიანობაში სულისა და ღმერთის ურთიერთმინართება, ასევე, მიჯნურობის ხაზით აღიწერება —

ვთქვა მიჯნურობა პირველი და
ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი,
საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო,
მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების. თმობამცა ჰქონდა
მრავალთა წყენათა.

სწორედ ეს მიჯნურობაა აღწერილი ალეგორიული ნარატივის სახით დავით გურამიშვილის „ზუბოვკაში“. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სატრფოსა და მეტრფის, როგორც სულის (ან — მისტიკოსის) და ღმერთის ურთიერთობის ხატს იყენებენ როგორც, ერთი მხრივ, წმ. გრიგოლ ნოსელი თუ წმ. იოანე ჯვრისა (სან ხუან დე ლა კრუსი), ისე — ნიზამი განჯევი თუ ჯალალ-ედ-დინ რუმი.

მაგრამ სულიერი სავარჯიშოები და სულიერი ვარჯიშობა ჭვრეტის სრულიად გარკვეულ ხელოვნებას გულისხმობს. ეს გამოიხატება არა მხოლოდ გარეგნული ასკეზით, არამედ — კონცენტრაციისა და მედიტაციის შინაგანი „ტექნიკით“. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს მედიტაცია ერთ რომელიმე ხატზე (მაგალითად, ბუნების ჭვრეტა, რაც სტოიკოსებს ახასიათებდათ), ან — დიალოგის, როგორც სულიერი ვარჯიშის, კულტივაცია, ან სიმრავლეში ერთის, ხოლო ერთში — სიმრავლის ჭვრეტა (ეს პლატონიკოსებისათვის იყო დამახასიათებელი).

ქრისტიანული სულიერი ვარჯიშების გამორჩეული თვისება ამ ვარჯიშების ქრისტოცენტრული ბუნებაა — ქრისტეს ცხოვრების ამა თუ ეპიზოდის წარმოდგენა და მასზე კონცენტრაცია. წმ. ეგნატე ლოიოლა (1491-1556), რომელიც ამ წარმოსახვით ხატებს „ტოპოსებს“ უწოდებს, თავის ტრაქტატში „სულიერი სავარჯიშოები“ (1521-1522) დეტალურად განიხი-

ლავს, თუ როგორ უნდა მოახდინოს მათზე კონცენტრაცია იესოს საზოგადოების მომავალმა წევრმა (და არა მარტო მან) — ცხადია, ამით წმ. ეგნატე, ფაქტობრივად, იმ უგრძესი ტრადიციის ერთ-ერთ დამაგვირგვინებლად გვევლინება, რომელიც უშუალოდ ქრისტესაგან და ქრისტეს მოწაფეებისაგან იღებს სათავეს.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი მიჯნურობას წამოგვიდგენს, როგორც წამდვილ ასკეზას:

არს პირველი მიჯნურობა არდაჩენა,
ჭირთა მალვა,
თავისწინა იგონებდეს,
ნიადაგმცა ჰქონდეს ხალვა,
შორით ბნედა, შორით კვდომა,
შორით დაგვა, შორით ალვა,
დასთმოს წყრომა მოყვრისათვის,
მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.

„ვეფხისტყაოსნის“ ნარატივი სხვა არაფერია, თუ არა პროლოგში დეტალურად წარმოდგენილი სამიჯნურო კოდექსისა თუ პროგრამის — მიჯნურობის, როგორც სულიერი სავარჯიშოებისა და სულიერი ვარჯიშის — ილუსტრაცია.

საგულისხმოა, რომ მიჯნურობა, ისევე როგორც ფილოსოფია და ქრისტიანული ცხოვრება კონვერსიით — მეტანოიით — მოქცევით იწყება. ტარიელის დაბნედა ძალიან ჰგავს პავლეს მოქცევის ეპიზოდს, რომელიც აღწერილია „მოციქულთა საქმეებსა“ და პავლეს ეპისტოლეებში. მსგავსებას, რა თქმა უნდა, ისიც განაპირობებს, რომ პავლეცა და ტარიელიც სამი დღის განმავლობაში არიან უგონო მდგომარეობაში.

რა ხდება კონვერსიის — მოქცევის შემდეგ? უფრო ზუსტად, მოდით დავინყოთ „თავიდან“ — როგორ იქცევა ტარიელი ნესტანის დაკარგვის შემდეგ? ის ცხოვრობს გამოქვაბულში, როგორც განდევნილი, ანაქორეტი და მხოლოდ ერთზე ფიქრობს — ნესტანზე. ის ვეფხვის ტყავითაა შემოსილი, რადგანაც ვეფხვი ნესტანის „სახედ დაუსახავს“. ვეფხვი წარმოდგენს ნესტანის — სატრფოს — სახეს, „მჭვრეტელობით ტოპოსს“. მაგრამ ნესტანთან სხვა ტოპოსებიცაა დაკავშირებული — სამხრე, ყაბაჩა და რიდე,

რომელიც ტარიელის კიდევ ერთი დაბნე-
დის მიზეზი გახდება.

მაშასადამე, ტარიელი არის მიჯნური
par excel l ence, რომელიც ზუსტად ისე იქცე-
ვა, როგორც ეს ვეფხისტყაოსნის პრო-
ლოგშია აღწერილი. თუმცა, სიტყვა „მო-
ქმედა“, „ქცევა“ ნამდვილად არ შეესა-
ბამება ტარიელის ცხოვრების წესს. ეს
უფრო ასკეზა და ჭვრეტიანი ცხოვრებაა,
ვიდრე — „ქცევა“ და „მოქმედა“. მისი
პირველი გამოჩენაც უფრო ასკეტიკა თუ
იოგინის უღრმეს მედიტაციას მოგვაგო-
ნებს, ვიდრე — რაინდის მოქმედებას. სხ-
ვათა შორის, ბრძენის მჭვრეტელობა და
მიჯნურის უკიდურესი „კონცენტრაცია“
მიჯნურობის საგანზე ძალიან ზუსტად
აქვს შედარებული ერთმანეთთან გულან-
შაროს მეფეს:

მეფე ბრძანებს: „რა შევიგნათ,
გული ჩვენი რათ იხსნების?
ამა ორთა კიდევანი აზრი არა
არ იქმნების:

ან ვისიმე მიჯნურია,
საყვარელი ეგონების,
მისგან კიდე არვისად სცალს,
ველარცა ვის ეუბნების.

ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი
და მაღლად მხედი
არცა ლხინი ლხინად უჩანს,
არცა ჭირი ზედაზედი;
ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა,
თუნდა ბედი,
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს,
გონება უც ვითა ტრედი.

როგორც ვხედავთ, ბრძენისა და მიჯ-
ნურის გარჩევა თითქმის შეუძლებელია —
მიჯნურობა, როგორც სულიერი ვარჯიში
და ბრძენის მჭვრეტელობა გარეშე
დამკვირვებლის თვალისათვის თითქმის
ერთნაირად გამოიყურება. მაგრამ, აქვე
უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გარეშე დამ-
კვირვებელი (ამ შემთხვევაში — გულანშა-
როს მეფე) იმ კულტურის ადამიანია, სა-
დაც ბრძენის მჭვრეტელობითი ცხოვრება,
მიჯნურის ცხოვრების წესი და პოეზიის
(შაირობის) უზენაესი საგანი ერთმანეთ-

თან სრულ კორელაციაშია. გავიხსნოთ,
რომ, ვეფხისტყაოსნის პროლოგის მიხედ-
ვით, შაირობის დანიშნულება მიჯნურო-
ბის ქება და მიჯნურობის შესახებ
თხრობაა — მეღეპესეს, ისევე როგორც
მიჯნურს, „ერთი უნდა უჩნდეს სამ-
იჯნუროდ“. მაშასადამე, ერთის დანახვა
მრავალში ფილოსოფიური ჭვრეტის, ქრის-
ტიანული მედიტაციის, მიჯნურობისა და
პოეზიის საერთო ადგილია.

ვეფხისტყაოსნის პროლოგი ორ
მიჯნურობაზე გვესაუბრება — ერთი მათ-
განი — კერძოდ — „პირველი მიჯნურო-
ბა“ — ესაა „საღმრთო“ — სხვაგვარად რომ
ვთქვათ, ღმერთის ჭვრეტა სულიერი
ვარჯიშის მეშვეობით. მაგრამ მეორე ტი-
პის მიჯნურობაც, ასევე, გარკვეული
აზრით, სულიერი ვარჯიშია — ესაა პირვე-
ლი მიჯნურობის „ბაძვა“, მისი ანალოგია.
მას „შორით ბნედა“ და „კვდომა“, „სოფლის
თმოზა“ ახასიათებს. ასე რომ, როგორც
უკვე აღვნიშნეთ, მთელი ვეფხისტყაოსანი
სხვა არაფერია, თუ არა ამ „შორით
ბნედისა“ და ამ თავისებური *prae ratio ad
nortem*ის ნარატიული გაშლა.

საზოგადოდ, თანამედროვე კულტურ-
ას ყველაზე ძალიან სწორედ მიჯნურობის,
როგორც სულიერი ვარჯიშისა და სრული-
ად გარკვეული კულტურული ინსტიტუცი-
ის გაგება უჭირს. პრობლემა სწორედ ჩვე-
ნი საკუთარი (ახალი — მოდერნული) კულ-
ტურის ძირითადი სტერეოტიპებია: ჩვენ-
თვის სიყვარული რომანტიკულ აფექტსა
და სექსუალურ პრაქტიკას შორის იმყოფე-
ბა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ვერ
წარმოგვიდგენია, რომ აფექტს შეიძლება
ჰქონდეს ეტიკეტი, რადგანაც ეტიკეტი
თანამედროვე კულტურაში რაციონალურ
ქცევას — წესრიგს უკავშირდება, აფექტი
კი ირაციონალური და უწესრიგია. რაციო-
ნალური ქცევა შედეგზე ორიენტაციას
გულისხმობს. რომანტიკული აფექტი
ჩვენთვის გასაგებია, რადგანაც ის „უპა-
სუხო ვნების“ გამოხატულებაა. ამ ვნების
ფინალი კი ზღვრული სახით ვერტერის
თვითკვლევლობაა. ვერტერის აფექტის მე-
ორე მხარე „სახიფათო კავშირებია“,
რომელიც ასე ზუსტად აქვს აღწერილი
ლაკლოს. ამ ორ პოლუსს შორის ბიურგერ-

ულ-ბურჟუაზიული ოჯახია. უფრო რეტუ- შირებულად რომ ვთქვათ, რომანტიკული აფექტი სალონსა და ბორდელს — XIX საუკუნის ამ ორ უმნიშვნელოვანეს საჯარო-პრივატულ (გარდამავალ-მედიაციურ) ინსტიტუციას შორის თავსდება, როგორც ინდივიდუალური მელანქოლიისა და მარტოობის ერთ-ერთი ვარიანტი.

არადა, მიჯნურობა ესაა — სიმშაგის (აფექტის) ეტიკეტი — სრულიად გარკვეული ტიპის სულიერი (მედიტაციურ-ჭვრეტითი) ვარჯიშები („ტექნიკები“). ამიტომაც, ვერტერისაგან განსხვავებით ტარიელი სულაც არ აპირებს თავის მოკვლას. ნესტან-დარეჯანის წინაშეც თვითმკვლელობის აჩრდილი სწორედ მაშინ დადგება, როცა მისი მიჯნური მოქმედებას გადანყვეტს, რაც თანამედროვე შედეგზე ორიენტირებული ალგორითმიდან გამომდინარე სრული აბსურდია! სწორედ ამიტომ, ჩვენთვის ტარიელი არაა ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირი — გმირი ხომ თანამედროვე კულტურაში მხოლოდ მოქმედი, აქტიური სუბიექტია. არადა, ტარიელი არ მოქმედებს! მაშინ, როცა ჩვენთვის

მოქმედება თავისთავადი ღირებულებაა, ხოლო პასიურობა და უმოქმედობა — ყველაზე დიდი ბოროტება, ან — აბსოლუტური ბოროტების შედეგი.

აკაკი წერეთელმა თავისი გენიალური ინტუიციით მიგვითითა, რომ ტარიელის „ეთნონაციონალურ ხასიათში“ მთავარი ასპექტი მისი „უმოქმედობა“ — მჭვრეტელობაა. ოლონდ, ცხადია, ეს XIX საუკუნისათვის ტიპური ნაციონალურ-ფსიქოლოგიური დისკურსით გამოხატა და მიჯნურის რუსთველისეული მჭვრეტელობა „ქართლელობად“ თარგმნა. მისთვის (როგორც ჩვენთვის!) მოქმედი გმირი ავთანდილია — იმერელი „ისტორიული“ ბაშიაჩუკის არქაული (ოლონდ, ასევე, „იმერული“) ორეული.

არადა, რატომ ჰქვია პოემას ვეფხისტყაოსანი? — იმიტომ რომ პოემის გმირი სწორედ ტარიელია, როგორც მიჯნურისა და მიჯნურობის ქრესტომათიული ხატი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტარიელი ილუსტრაციაა მიჯნურისა და მიჯნურობის იმ ეტიკეტისა, რომელიც ვეფხისტყაოსნის პროლოგში დეტალურდაა „განერილი“.

სატურნი და მელანქოლია

მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა, გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა, შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა, მას უთხარ, თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა“.

კლიბანსკის, პანოფსკისა და ზაქსლის უკვე კლასიკური ნაშრომი „სატურნი და მელანქოლია“ თვალსაჩინოდ მიგვითითებს, რომ ე.წ. ოთხი „ჰუმორის“ ანუ ხასიათის — ტემპერამენტის — თეორია ჯერ კიდევ ანტიკურ კულტურაში ჩამოყალიბდა (R. Kl ibansky, E. P. and S. R. Ky F. Saxl . *Saturn and Melancholy. Studies in the History of Natural Philosophy, Religion, and Art.* New York, Basic Books, 1964. XVIII, გვ.3-15..) ამ თეორიის თანახმად, სხეულში სისხლის, ფლეგმის, ყვითელი ან შავი ნალველის დომინირება განაპირობებს ოთხი ხასიათიდან (ტემპერამენტიდან) რომელიმეს — შესაბამისად, ფლეგმატურ, სანგვინიკურ, მელანქოლიკურ და ქოლერიკულ ტემპერამენტებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, შეხედულებათა ამავე სისტემიდან

გამომდინარე, თითოეული ხასიათი კორელაციაშია წელანდის ოთხი დროიდან რომელიმესთან, ასევე, — შესაბამის პლანეტასთან და ფერთან. კერძოდ, მაგალითისათვის, პლანეტა კრონოსი (სატურნი) დაკავშირებულია შავ ნალველთან — მელანქოლიურ (mel ankhol e, ძვ. ბერძ.) ხასიათთან და შემოდგომასთან.

სამუალო საუკუნეების ქართულ კულტურაში (ისევე, როგორც დასავლურ სამუალო საუკუნეებში) ოთხი ტემპერამენტის ეს ბერძნულ-რომაული თეორია არაბული ტრაქტატების წყალობით გახდა ცნობილი. რამდენიმე მათგანი, დაახლოებით, XI-XII სს.-ებში ქართულ ენაზე ითარგმნა კიდევ — დავასახელებ ყველაზე უფრო პოპულარულს, რომელსაც „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“ ეწოდება. აღნიშნული

ტრაქტატის თანახმად, ზოჰალს (ზუალის) შემდეგი თვისებები მიწერება:

ცათაგან მისი არს მეშვიდე ცაჰ ქუეყანისა ნაწილთაგან მისი არს პირველი ქუეყანაჰ; დღეთაგანა მის არს შაბათი დღე; ღამეთაგან მისი არს ოთხშაბათის ღამე; ფერთაგან მის არს შავი; მამალი არს; ასოთაგან გარეგანი მისი არს ყური მარჯუენაჰ; დიად ჰავი; დღისაჰ არს; ბუნებაჰ მის გრილი და ხმელი; გემოთაგან მისი მჭახე და უგემური; საჭურველი მისი კუერთხი. (ეგლთა და შვიდთა მნათობთათვის, რედ. ა.შანიძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975გვ. 38).

ამავე დროს, უნდა შევნიშნოთ, რომ მოცემულ ტრაქტატში არსად ჩანს შესაბამისი პლანეტის, ხასიათისა ფერის კორელაცია წელიწადის შესაბამისსავე დროსთან. თუმცა, ვეფხისტყაოსნის ციტირებული მონაკვეთისათვის ეს ნამდვილად არაა რელევანტური საკითხი.

ასეა თუ ისე, ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინოლოგია ქართულ ენაზე, ძირითადად, არაბული ლექსიკითაა წარმოდგენილი: კერძოდ, ზუალი (ზოჰალი) არაბულად სატურნს აღნიშნავს. ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შავ ფერთანაა კორელაციაში და კაემანს — მელანქოლიას — განაპირობებს.

სამწუხაროდ, ვიკტორ ნოზაძეს თავის გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“ ოთხი ტემპერამენტის, ოთხი პლანეტის, წელიწადის ოთხი დროისა და ოთხი ფერის ეს კორელაცია აღნიშნული არა აქვს. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მას ციტირებული აქვს ზაქსლის ერთი ნაშრომი. სამაგიეროდ ამ ტრადიციულ შეხედულებათა სისტემას კარგად იცნობს თეიმურაზ ბატონიშვილი. ვეფხისტყაოსნის საკუთარ განმარტებაში ის შენიშნავს:

„რას მოგვითხრობს ვეფხისტყაოსანი?“

XIX საკუნიდან მოყოლებული ხშირად გვესმის ხოლმე ასეთი შეკითხვა – „რას მოგვითხრობს ვეფხისტყაოსანი?“

აკაკიმ ნაციონალიზმისა და ნაციონალური ნარატივის პოზიციიდან ამ შეკითხვას აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვანი

ზოალ – უზენაესი ვარსკულავი (ცთომილთაგანი). ზოალ არაბულად ეწოდება. ესე არს კრონოს, ანუ სატურნა. ამასა აღმოსავლეთისა მოლექსენი სევდიანთა ეს იგი კაემანისა მექონთა და გულითა ურვეულთა ვარსკულავად ეტლად მათდა, ანუ მწუხარებისა მიმცემად იტყვიან. ზოალს ასტრონომოსნი აღმოსავლეთისანი იტყვიან, რომელ ფერი მისი დია ბრწყინვალე იყოს, არამედ მობნელო და ამისათვის სევდიანთა და მწუხარეთ ხარაკტირისა მიცემასა მისგან იტყვიან. ძველნი ამათ შვიდთა ცდომილთა, ვითარცა მეოლოლია გვასწავებს, უწოდებდენ ღმერთებად და ამისათვის თვითოეულსა ხარაკტირსა კაცთასა ამთ მიერ ჰგონებდენ მოცემასა. ამისათვის ეტლად, ანუ სვედ კაცთა სახელსდებდენ. (თეიმურაზ ბატონი. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა. თბ: მეცნიერება, 1960, გვ.170).

ოთხი ხასიათისა და ასტროლოგიურ-ქრომულ-სეზონური კორელაციის კონტექსტში ჩნდება ცდუნება: ხომ არ არის ვეფხისტყაოსანში კიდევ უფრო ღრმა კავშირი ამ ტრადიციულ შეხედულებებსა და პომეის სიუჟეტს შორის? ხომ არ წარმოადგენენ ვეფხისტყაოსნის მთავარი პესონაჟები ამ ოთხი ხასიათის რეპრეზენტაციას?

ჩვენი აზრით, პოემა არ იძლევა ამგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, ამიტომაც, ნებისმიერი სვლა ამ მიმართულებით კიდევ ერთი ხელოვნური და დაუსაბუთებელი თეორიის საფუძველი გახდებოდა, რითიც ისედაც სავსეა რუსთველოლოგია. თუმცა, ერთიც უნდა აღვნიშნოთ: ვეფხისტყაოსნის ნარატივის ჰერმენევტიკა და ახსნა ოთხი ხასიათის ქრილში ბევრად უფრო საინტერესო და მახვილგონივრული იქნებოდა, ვიდრე მისი წაკითხვა ისტორიულ-ნაციონალური და ეზოტერიკულ-თეოსოფიური მიდგომების შუქზე.

პასუხი გასცა: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ქართული ნაციონალური ხასიათის სამი გამოვლინებაა, რომლებიც, ერთი მხრივ, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ თან ავსებენ ერთმანეთს. კერძოდ, ტარიელში აკაკიმ ნაციონალური

ხასიათის აღმოსავლურ-ქართული („პასიური“) ასპექტი დაინახა, ავთანდილში — დასავლური („იმერული“ — „აქტიური“), ხოლო ფრიდონში — „ზღვისპირული“. ილია ჭავჭავაძე, როგორც ცნობილია, დაუპირისპირდა ამ ინტერპრეტაციას და ნაციონალური ხასიათის მიღმა ზოგადსაკაცობრიო (მისივე ტერმინოლოგიით) ტიპები დაინახა.

ასეა თუ ისე, XIX საუკუნიდან მოყოლებული ვეფხისტყაოსნის ამბავი (story) რუსთველოლოგიის ლამის ცენტრალური საკითხი ხდება.: არის თუ არა ვეფხისტყაოსანი ავთენტური — „ქართული“, თუ ის „სპარსული ამბავია“? ამ შეკითხვაზე ორი რადიკალური პასუხი არსებობს — ერთი ბატონიშვილ თეიმურაზ ეკუთვნის (ქართული), მეორე — ნიკო მარს (სპარსული).

და მაინც რას მოგვითხრობს ვეფხისტყაოსანი?

ზოგადი პასუხი დღემდე ასე ყალიბდება — ვეფხისტყაოსანი ქართული ნაციონალური სულის, გენიის ან/და კულტურის გამოხატულებაა (აქ თითქმის ყველა ინტერპრეტატორი ეთანხმება ერთმანეთს). მაგრამ რას ნიშნავს ეს ნაციონალური „სული“, „გენია“, „კულტურა“ (და ა.შ.)? რას ნიშნავს ამ ყველაფრის ერთად (ან – ცალ-ცალკე) გამოხატულება? აი, სწორედ აქ ჩნდება მნიშვნელოვანი განსხვავებები პასუხთა შორის.

ფილოლოგიურად რამდენადმე ნეიტრალური პასუხი ისაა, რომ ვეფხისტყაოსანი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეპრეზენტაციაა. ხოლო ის, თუ რამდენად აისახა ამ ტექსტში ისტორიული ან სხვა ტიპის კოლიზიები, ამაზე პასუხის გაცემა რთულია.

სწორედ ამ სირთულის გამო ვეფხისტყაოსნის ჰერმენევტიკა XX საუკუნის ბო-

ლოს ორ უკიდურეს ინტერპრეტაციათა შორის მოექცა: პირველი მიდგომის თანახმად, ვეფხისტყაოსნის ამბავი გიორგი III-სა და თამარის პერიოდის დინასტიური კონფლიქტების ასახვაა — რადიკალური ფორმით ეს ინტერპრეტაცია გამოხატა თამარ ერისთავმა; ხოლო მეორე მიდგომის თანახმად, ვეფხისტყაოსანი ეზოტერიკული ცოდნის (საიდუმლო დაფარული ინფორმაციის) გამოხატულებაა — ეს პოზიცია ზღვრული სახით ზვიად გამსახურდიამ გამოხატა.

არადა, როგორც უკვე ვნახეთ, პასუხი ზედაპირზეა — ვეფხისტყაოსანი ესაა შაირობა მიჯნურობაზე — თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ესაა სალექსო ამბავი (ნარატივი) მიჯნურობის (სიყვარულის გარკვეული ფორმის) შესახებ. ვეფხისტყაოსნის მთავარი პერსონაჟი ტარიელია — სწორედ ამიტომ ეწოდება პოემას ვეფხისტყაოსანი. პოემის სათაური თავის თავში შეიცავს პოემის ძირითად ამბავს — ნარატივის „რას“ — ანუ ფაბულას: პოემა მოგვითხრობს მიჯნურობისა და მიჯნურის შესახებ. არ დაგვავინყდეს ისიც, რომ, საზოგადოდ, შაირობის ძირითადი თემაც მიჯნურობაა:

ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა
ცუდად არ აბრმკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო,
ერთსა ვისმე აშიკობდეს...

ვეფხისტყაოსანი წარმოგვიდგენს მიჯნურობის ეტიკეტს და მოგვითხრობს ჭემმარიტი მიჯნურის — ტარიელის — მიჯნურობის ამბავს. სხვა დანარჩენი — დინასტიური კოლიზიები თუ სარაინდო თავგადასავლები — ემორჩილება პოემის ძირითად თემას.

ვეფხ(ვ)ი და მერანი: ქართული კულტურის მეტაფიზიკა

ბორხესი იტყოდა, რომ თითოეულ ლიტერატურაში არსებობს განსაკუთრებული მხატვრული ფიგურა — მეტალიტერატურული ხატი, რომელშიც ჩაბჭდილია ამა თუ იმ სალიტერატურო ენის არა მხოლოდ მთელი კულტურული მეხსიერება, არამედ ამ მეხსიერების ყოველი მომდევნო — მომავალი აქტუალიზაციაც.

მაგალითისათვის, ესპანურენოვანი ლიტერატურის წიაღში ასეთი ხატი თუ ფიგურა არის წიგნი, რომელიც მეტაფიქციურობას გამოხატავს: დონ კიხოტის ბიბლიოთეკაში სერვანტესის რომანი „გალატეა“ ინახება, საიდანაც გამომდინარეობს ის, რომ დონ კიხოტი სერვანტესის მკითხველია, ხოლო თავად სერვანტესი

საკუთარი ნაწარმოების პერსონაჟია; მიგელ დე უნამუნოს „ნისლში“ უნამუნო თავად შედის საკუთარ ნაწარმოებში და თავის მთავარ გმირს სიკვდილით სჯის; კორტასარი „პარკების უსასრულობაში“, ასე განსაჯეთ, მკითხველს კლავს, ხოლო ნიგნი, რომელიც სამყაროა და სამყარო, რომელიც ნიგნია უკვე თავად ბორხესის შემოქმედების უმთავრესი თემაა.

ინგლისურენოვან ლიტერატურაში ამგვარი ფიგურა, თუ მეტა-სახე, ცხადია, სცენაა — სცენა, თეატრი როგორც ცხოვრება და ცხოვრება, როგორც სცენა — შექსპირიდან დანყებული და ფოლკნერით დამთავრებული.

რაც შეეხება გერმანულ ლიტერატურას, აქ მთავარი ხატი — ეშმაკთან დადებული კონტრაქტია, ხოლო ფრანგულ ლიტერატურის მთავარი თემა — მოლიერის „ტარტიუფიდან“ მოყოლებული — ნიღბისა და რეალობის ურთიერთგამიჯვნაა: ბალზაკი, ფლობერი თუ პრუსტი სწორედ ამ მუდმივ „ფრანგულ“ მოტივს უტრიალებენ.

რუსული ლიტერატურისათვის ასეთ მეტალიტერატურულ ხატად ბრინჯაოს მხედარი იქცა, როგორც პეტრე I-ის — ევროპეისტიკისა და მოდერნიზატორის — მეორე, „ბნელი“, მითოსური მხარე: ბრინჯაოს მხედარი, როგორც ქაოსიდან კოსმოსის შემქმნელი დემიურგი — უძრავობისა და მოძრავობის, სიცოცხლისა და სიკვდილის, ნამდვილისა და წარმოსახულის მიღმა მყოფი ფიგურა.

ქართული ლიტერატურის მთავარი მეტაფიზიკური პერსონაჟი, წესითა და რიგით, ვეფხ(ვ)ი უნდა გამხდარიყო, რაც ბორხესს ნამდვილად აიძულებდა ამ ლიტერატურის გაცნობასა და ნაკითხვას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა — ჩვენი ლიტერატურის მთავარი ფიგურა ფანტასტიკური ულაცი — მერანია.

მერნის მამობილი და ნათლია, ცხადია, მაინც რუსთაველია, მაგრამ ამ მეტალიტერატურული ხატის წყმმარიტი მშობელი, რა თქმა უნდა, ბარათაშვილი გახლავთ. ბარათაშვილის შემდეგ მერანს დაუკავშირდა ჩვენი კულტურის მთავარი თემა — სამშობლოს გადალახვა, უსამშობლოოდ („უგზო-უკვლოდ“) გადაკარგვა და საკუთარი კონტექსტიდან რადიკალური ტრან-

სცენდირება: სწორედ ამას აკეთებს ვაჟა თავისი მთის მეშვეობით (ამიტომაც უწუნებენ მას ენას, არადა ენა აქ არაფერ შუაშია!), ხოლო გალაკტიონის მთელი პოეზია სხვა არაფერია, თუ არა სამშობლოს მიღმა სვლა-გაჭრა („რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია, / რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“; „მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ / და არ მახსოვდა მქონდა იგი, თუ მომაგონდა“...).

სავსებით პარადოქსულად, ბარათაშვილის შემდეგ რუსთაველისა და გურამიშვილის ფიგურებიც უკვე სხვაგვარად იკითხება — პირველის ლეგენდური თუ მეორის რეალური ექსორია-ემიგრაცია უკვე ბარათაშვილის მერნის უგზო-უკვლოდ გადაკარგვის კონტექსტში უნდა გავიაზროთ. ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილიც კი ამავე კულტურულ მოდელში თავსდება — თავის „ქართულ ლეგენდას“ ის სხვა (რუსული, ფრანგული) ენის ნიაღში გამოთქვამდა; და თავად მისი გარდაცვალებაც მოსკოვის აეროპორტში ამავე კონტექსტის მეშვეობით იკითხება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ცივილიზაციაა, ქართლის მოქცევა მე-4 საუკუნით თარიღდება, ბიბლიის სრული თარგმანი ქართულ ენაზე V—XI საუკუნეებში განხორციელდა, ხოლო ლიტურგიის ენა ქართული უკვე V საუკუნეში გახდა, — საკუთრივ ლიტერატურის ცნება ქართულ კულტურაში ირანული ლიტერატურიდან შემოვიდა (XIII-XIV სს.). ირანული ლიტერატურიდანვე შემოვიდა სალიტერატურო ჟანრებისა და პოეტიკის გაგებაც. აქ, ცხადია, უნდა აღინიშნოს, რომ თავად ირანულ ლიტერატურაში ლიტერატურული რეფლექსია და პრაქტიკა არაბული ლიტერატურის გავლენით იწყება, ხოლო არაბულში ლიტერატურის კონცეპტუალიზაცია, თავის მხრივ, ბერძნული კულტურის, კერძოდ, არისტოტელესა და მისი პოეტიკის ზეგავლენით მოხდა.

შუა საუკუნეების ქართული კულტურის მთავარი პარადოქსი ისაა, რომ რელიგიური კანონი და სალიტერატურო კანონი ჰეტეროგენული წარმოშობისაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, XVIII საუკუნემდე ქართულ კულტურაში რელიგიური კანონი ქრისტიანულია, ხოლო სალიტერ-

ატურო — ისლამური (არაბულ-ირანული).

შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის უმთავრესი ტექსტი შოთა რუსთველის *ვეფხისტყაოსანი*, რომელიც დღემდე ქართული სალიტერატურო კანონის ცენტრალურ ნაწარმოებად მიიჩნევა. *ვეფხისტყაოსანი* ისეთივე როლს ასრულებს ქართული კულტურაში, როგორსაც დანტეს *La divina comedia* — იტალიურში, სერვანტესის *დონ-კიხოტი* — ესპანურში, გოეთეს *ფაუსტი* — გერმანულში...

ვეფხისტყაოსანი შუა საუკუნეების სარაინდო-სამიჯნური ეპოსია. მისი პოეტიკა ირანული ეპიკური პოეზიის პარადიგმებს მისდევს (ფირდოუსი, ნიზამი და ა.შ.), იდეოლოგია არისტოკრატიულ-მონარქისტულია, ხოლო თეოლოგიური ბექგრაუნდი — ნორმატიულ-ქრისტიანული. ტექსტში უხვადაა ციტატები ბიბლიიდან, ხოლო რამდენიმე ადგილას დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი ტექსტთა კორპუსის ალუზიებიც გვხვდება.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართული ლიტერატურა მთლიანად ევროპული ტიპის ლიტერატურა ხდება და ლიტერატურულ პროცესს საქართველოში უკვე ევროპული ლიტერატურული მიმართულებები და მიმდინარეობები განსაზღვრავს.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ლიტერატურას გამოუჩნდა დასავლური პოეზიის (კერძოდ, ბაროკოს პოეტიკის) გავლენის ნიშნით აღბეჭდილი ღრმად ქრისტიანულ-მედიტაციური ტიპის პოეტიკით გურამიშვილი. გურამიშვილი ლირიკოსია, რომელიც მისტიკური მგრძობელობითა და ქრისტიანული ალეგორიზმით ძალიან ახლოსაა ნმ. იოანე ჯვრისას (სან ხუან დელა კრუსი, 1542-1591) მისტიკურ პოეზიასთან. ის, ამავე დროს, პირველი ქართველი პოეტია, რომელმაც თავისი ექსორია-ემიგრაცია მძაფრი პოეტური რეფლექსიის თემად აქცია — მან ცხოვრების უდიდესი ნაწილი იძულებით ემიგრაციაში გაატარა და სამშობლოსგან შორს — უკრაინის ქალაქ მირგოროდში გარდაიცვალა (სწორედ იმ ქალაქში, რომელიც ნიკოლაი გოგოლმა ამავე სახელწოდების კრებულის უკვდავყო). ექსორიისა და ემიგრაციის ნიშნით დავით გურამიშვილი

უნათესავდება თავის დიდ წინამორბედებს — ოვიდიუსსა და დანტეს, რომელთაც თავიანთი ექსორია, ასევე, პოეტური მედიტაციის თემად აქცევს.

დავით გურამიშვილი ასრულებს ქართულ „გრძელ შუა საუკუნეებს“. 1801 წლიდან საქართველო ნელ-ნელა რუსეთის იმპერიის ნაწილი ხდება. ხოლო 1830-იან წლებში იბადება ქართული რომანტიზმი.

ქართული რომანტიკული ლიტერატურის ცენტრალური ნაწარმოები, რალა თქმა უნდა, ნიკოლოზ ბარათაშვილის *მერანია* (1842წ.). ეს ლირიკული ლექსი, რომელიც 9 სტროფისაგან შედგება, ჩვენი სალიტერატურო კანონის ლამის ღერძად იქცა. ამ ნაწარმოების შესახებ ცალკე ვისაუბრებთ, მაგრამ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ბარათაშვილის ლირიკულ შედეგს ორი მთავარი ინტერტექსტი აქვს — რუსთაველის *ვეფხისტყაოსანი* და ადამ მიცკევიჩის (1798-1855) *ფარისი* (F а р и с, 1928წ.). აქვე დავსძენთ იმასაც, რომ *მერანი* ლირიკული სუბიექტის (ლირიკული „მეს“-ს) „უგზო-უკვლო“ სწრაფვას („ქროლვას“) და ბუნება/კულტურის ჩარჩოების („ბედის სამძღვრის“) გადალახვის შეუძლებელ, მაგრამ გმირულ ცდას წარმოგვიდგენს. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ!

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ სამი მწერალი გამოჩნდა, რომელიც ქართული ნაციონალური სალიტერატურო კანონის, ე.წ. „შვიდკაცას“ წევრია — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა. აქედან პირველი ორი რეალისტურ მიმართულებას მიეკუთვნება, ხოლო ვაჟა-ფშაველა ნეორომანტიკოსია.

ილია ჭავჭავაძე, უპირველეს ყოვლისა, მაინც საჯარო ინტელექტუალი და პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც დღემდე „ერის მამად“ (როგორც იტალიელები იტყვიან, ადრე დელა პატრია) იწოდება. აკაკი წერეთელი კი შესანიშნავი ლირიკოსი პოეტია. მისი პოეტური სინტაქსი უნაკლოა. გარკვეული აზრით, ახალი ქართული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებაში მას ისეთივე წვლილი მიუძღვის, როგორც პუშკინს — რუსული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში. რუსულ კულტურაში არსებობს „პუშკინამდელი და პუშკინის შემდგომი რუსულის ენის“ გაგება. თითქ-

მის იგივე შეიძლება ითქვას აკაკის შემთხვევაში (ეს ანალოგია გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის).

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას, ის სრულიად უნიკალური მოვლენაა ქართულ (და — არა მხოლოდ!) პოეზიაში. მან ანტიკური ტრაგედიისა და ეპოსის პარადიგმები საქართველოს მთაში გადაიტანა. მისი პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ (1893წ.) ესაა, ფაქტობრივად, სოფოკლეს „ანტიგონე“ — ოღონდ გადატანილი კავკასიის მთებში, სადაც ორი მეზობელი ტომი ერთმანეთს ექიშპება. ნარატივი თავიდანვე წყდება ეთნოგრაფიულ ეგზოტიკას და კოსმიურ განზომილებას იძენს, სადაც ერთმანეთს, ჰეგელის დიალექტიკის კვალდაკვალ (ვაჟა ჰეგელის დიდი დამფასებელი იყო), თემისა და ოჯახის, ზეცისა და მიწის, ზოგადისა და ცალკეულის კატეგორიები ეჯახება.

XX საუკუნის პირველი 30-წლეული ქართულ კულტურაში მოდერნიზმის ხანაა. ლიტერატურულ ლანდშაფტს სიმბოლისტები, ფუტურისტები, დადაისტები და ნეოკლასიკოსები განსაზღვრავენ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გალაკტიონ ტაბიძე, რომლის შემოქმედებაში ერთმანეთს ერწყმის როგორც სიმბოლისტური, ისე — ფუტურისტული და ნეოკლასიციზტური ელემენტები. თავისი პოეტური გენეალოგიით ის ახლოსაა ბარათაშვილთან, აკაკისთან, ბლოკთან, ბრიუსოვთან და ვერლენთან. გალაკტიონი ქართული ნაციონალური სალიტერატურო კანონის უკანასკნელი კლასიკოსია. მისი ჩართვის შემდეგ კანონმა საბოლოო სახე მიიღო და მას „შვიდკაცას“ უწოდებენ. რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი — აი, ასეთია ქართული ნაციონალური სალიტერატურო კანონი.

გალაკტიონის მეორე პოეტური კრებული ფრანგული სახლწოდებით *Crâne aux fleurs artistiques* (1919წ.) — „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ — (კრებულის სახელწოდება, ცხადია, ბოდლერის სახელგანთქმულ *Les Fleurs du mal*-თან გვაგზავნის) — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი

მოვლენაა XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ეს მცირე მოცულობის ნიგნი სულ 86 ლექსს შეიცავს, საიდანაც დაახლოებით ნახევარი მაინც შემდგომი თაობის პოეტათვის მისაბამ ნიმუშებად, ხოლო მკითხველი აუდიტორიისათვის ქრესტომათიულ ტექსტებად იქცა.

1919 წლის პოეტური კრებულის ერთ-ერთი ცენტრალური ლექსი *ლურჯა ცხენებია*. ამ ლექსის მთავარი ინტერტექსტი ბარათაშვილის *მერანია*. გალაკტიონი რადიკალურად ცვლის ინტერტექსტის ძირითად მოტივს — *მერანი* გულისხმობს ტრანსცენდირებას, საზღვრების გადალახვას. მიუხედავად იმისა, რომ მერნის ქროლვა უსასრულოა, ესაა შეუქცევადი წრფივი მოძრაობა. მერანი მეტაფიზიკური პერსონაჟია, რომელიც შეუძლებელ გათავისუფლებას გამოხატავს, გალაკტიონის *ლურჯა ცხენები* კი წრეზე მოძრაობენ — ესაა მარადიული გამეორების ენტროპიული ციკლი. სასონარკვეთილი, მაგრამ ღირსეული „უიმედო იმედის“ ჟესტის სანაცვლოდ აქ „ნელ-თბილი“ უნუგეშობაა („ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში“). ზევით იგივეა, რაც — ქვევით. ამდენად, *ლურჯა ცხენების* ვერტიკალური მოძრაობაც მარადიულ წრეზე ბრუნვაა, სადაც „ზედა“ და „ქვედა“ მხოლოდ წმინდა განსხვავების მანიშნებელია და სხვა — არაფრის. ლექსის უბადლო ბგერწერა, რომლის სხვა ენაზე თარგმნა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ფონეტიკურ დონეზე გამოხატავს ამ მარადიულსა და ენტროპიულ გამეორებას, *ლურჯა ცხენების* უმიზნო „გრგვინვა-გრიალს“.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში იწყება ახალი „პოსტგალაკტიონური“ პერიოდი. ვეფხვისა და მერნის ლიტერატურა ამკარა ფრაგმენტაციას განიცდის, რაც მთლიანად ეთანადება ზოგად ევროპულ სურათს. მკითხველი აუდიტორიაც, ასევე, ფრაგმენტირებულია. აღარ არსებობს სალიტერატურო კონსენსუსი ახალ კანონიკურ ავტორებზე. ნაციონალური სალიტერატურო კანონი უკვე მთლიანად წარსულის კუთვნილებაა. დროდადრო ადგილი აქვს ამ წარსულის გადაფასების ცალკეული ცდებსაც. ჩემი

აზრით, ნაციონალური კანონის დემონტაჟი მხოლოდ დროის ამბავია.

დაბოლოს, *მერანში* გმირის სიკვდილი გაიაზრება, როგორც „გზის გაკვალვა“ მომავალი თაობისათვის. ნაწარმოების მთავარი გზავნილი ეთნოკულტურული და იმპერიული ინსტიტუციებიდან ლირიკული გმირის სრული ტრანსცენდირებაა. ნაწარმოების ფინალში ხდება რომანტიკული ლანდშაფტის (ბუნების სფერო) მთლიანად დაცარიელება და კულტურულ-სოციალური კავშირებიდან ამოვარდნა. თურა არის ამ ტრანსცენდირების მიღმა, ნაწარმოებში არ ჩანს. ღირებულია თავად ტრანსცენდირების — გადალახვის ეს აქტი.

მერანში კიდევ ერთი რამაა ნაშლილი — კავკასიური ქრონოტოპოსი. როგორც ცნობილია, ბარათაშვილმა თავისი შედეგრი საკუთარი ბიძის — ილია ორბელიანის — შამილის მიერ დატყვევების შემდეგ დაწერა. წერილში, რომელსაც ის თავის მეორე ბიძას გრიგოლ ორბელიანს უგზავნის, ბარათაშვილი აღნიშნავს — „აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს ნაცვლად“ (რუსულ ენაზე), რასაც მოსდევს თავად ლექსი. რომ არა ეს წერილი, ჩვენ *მერანს* ვერასდროს დავუკავშირებდით კავკასიურ ქრონოტოპოსს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბარათაშვილის შედეგრის უმთავრესი ინტერტექსტები *ვეფხისტყაოსანი* და მიცკევიჩის *ფარისია*. *ვეფხისტყაოსნიდან* ბარათაშვილმა აიღო თავად სიტყვა „მერანი“, აგრეთვე, სამშობლოდან წასვლისა და ტრაგიკული (რუსთველთან მხოლოდ შესაძლო!) აღსასრულის მოტივები (კერძოდ, ავთანდილის ანდერძიდან და ნესტანის წერილიდან). აქედანვეა „ყორანთა დასაყივარად დარჩენის“ თემაც. ამავე დროს, *ვეფხისტყაოსანთანვე* გვაგზავნის მეტრული მონაცვლეობის სურათიც — როგორც ცნობილია, *ვეფხისტყაოსანში* მაღალი და დაბალი შაირი ერთმანეთს ენაცვლება, ასევე, *მერანშიც* მონაცვლეობს 14-მარცვლიანი და 20-მარცვლიანი მეტრები, რაც 9 სტროფის მანძილზე ქროლვის რიტმულ ზიგზაგს, თავისებურ „პროსოდიულ გალოპს“ მოგვაგონებს.

ბარათაშვილი შეგნებულად მიმართავს ამ კანონიკური ტექსტის ერთ ცენტრალურ პასაჟს, სადაც რუსთაველის ეპიკური პოემის ერთ-ერთი მთავარი გმირი ავთანდილი მეგობრის დასახმარებლად მიეშურება (ბარათაშვილის ლექსში ტრანსფორმირებული სახით გვხვდება „მოძმის დახმარების“ ეს მოტივი). მაგრამ ავთანდილმა იცის, რომ უცხოეთში დაღუპვის შემთხვევაშიც კი მას მოიგონებს და დაიტირებს მისი სუზერენი-მეფე და რაც მთავარია — ნუთისოფლის მიერ განირულ კაცს „ღმერთი არ განირავს“. ბარათაშვილის *მერანში* გმირი ამას მთლიანად მოკლებულია. ერთადერთი რაც რჩება ისაა, რომ „განწირულის სულის კვეთება“ — ტრანსცენდირების უიმედო აქტი — მაინც დარჩება, როგორც მაგალითი-პარადიგმა შთამომავლობისათვის. ეს, გარკვეული აზრით, შეიძლება გავიგოთ, როგორც უიმედობის-მიღმა-იმედი.

რაც შეეხება *ფარისს*, ადამ მიცკევიჩის ამ შედეგრთან გვაგზავნის ქროლვის მოტივი (პოლონელი პოეტი ბედუინის ქროლვას წარმოგვიდგენს) ფანტასტიკური ცხენის (ამ შემთხვევაში — *ფარისის*) სახელი, პოლიმეტრია (*ფარისში* კიდევ უფრო მრავალფეროვანი, ვიდრე — *მერანში*), თითქმის ანალოგიური რეფრენი, რომელიც, ასევე, ცხენისადმი მიმართვას წარმოადგენს („იქროლე, ჩემო თეთრფეხება მფრინავო...“) და სხვ.

თუმცა, ბარათაშვილის ლირიკული შედეგრისაგან განსხვავებით, მიცკევიჩის *ფარისი* ბოლომდე ხაზგასმულად „ორიენტალისტური“ რჩება: ლირიკული გმირის — ბედუინის სიკვდილი „ორიენტალური ნირვანის“ ნიშნითაა აღბეჭდილი. ბარათაშვილი მიცკევიჩის ინტერტექსტს რადიკალურად ცვლის — მერნის ქროლვას მასთან „ბოლო“ არა აქვს — ის პრინციპულად დაუსრულებელი და უსასრულოა.


მაშასადამე, მერანი ესაა — რადიკალური დაცილება ყველაფერი იმისაგან, რაც ძვირფასია: სატრფო, მეგობრები, ოჯახი, სამშობლო — ეს ყოველივე საბოლოოდ და შეუქცევადად იკარგება. „ბედის სამძღვარი“ სხვა არაფერია, თუ არა საზღვარი „საკუთარსა“ და „სხვას“ შორის,

ე. ი. ის, რაც გამოყოფს და განასხვავებს მშობლიურ ლანდშაფტსა და ცრემლს „უცხო“ ლანდშაფტისა და ციური ცვარისაგან — „ბედის სამძღვარი“ წარმოადგენს განსხვავებას „საკუთარ“ — „საკუთრებით“ ეკონომიკასა და „კარგით“ ეკონომიკას შორის. ის, ვინც გადალახავს ამ საზღვარს, ხდება (და)კარგვითი ეკონომიკის „მსხვერპლი“ — ამიტომაც გავრცელდა „კარგვითი“ ეკონომიკა ბარათაშვილის ბიოგრაფიულ „ტექსტზეც“ — დანყებული რეალური „გადაკარგვით“ განჯაში, უცხო ტოპოსში სიკვდილითა და არქივის უმეტესი ნაწილის დაკარგვით დამთავრებული. „კარგვითი ეკონომიკა“ დაგვირგვინდა ბარათაშვილის დაგეროტიპული გამოსახულების საბოლოო დაკარგვით.

მერანი რადიკალურ ტრანსცენდირებას გამოხატავს. რისგან ტრანსცენდირებას? უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისაგან, საკუთარი კულტურისაგან. მერანი ესაა ნაციონალური, კავკასიური და იმპერიული კონტექსტებისაგან გათავისუფლების უსასრულო და დაუსრულებელი ცდა — სწორედ ამ კონტექსტების ერთობლიობაა „შავი ბედი“, ხოლო „ბედის სამძღვარის“ გადალახვა — ამ კონტექსტების დაცარიელება და წაშლა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მერანი გახდა ქართული კულტურის მატრიცა — მოდელი, რომელსაც თითქმის უგამონაკლისოდ ამა თუ იმ ფორმით (ზოგჯერ სრულიად დევიაციურითაც კი!) მისდევს ჩვენი კულტურის ლამის ყველა მნიშვნელოვანი წარმომადგენელი თუ მიმდინარეობა.





როსტომ ჩხეიძე

სამყარო ჩინგიზის ემბაზში

ჯეკ უეზერფორდი და ჩვენ გამქრალი სულდეს მოლოდინში

უცნაურად გაისმოდა ის სტრიქონები, ჯეფერი ჩოსერს „კენტერბერიულ მოთხრობებში“ რომ ჩაენერა და მონღოლთა წინამძღოლის — ჩინგიზ ყაენის — ქება-თაქებად წარმოდგებოდა, ლიტერატურულ ფორმულაში ჩანურულ დითირამბად:

დიდ მბრძანებელს
 ჩინგიზ ყაენი ერქვა,
 მთელ სამყაროს მოსდებოდა
 ვისი დიდებაც
 და არვინ იყო ცისქვეშეთში
 მისი ბადალი.

ჯეფერი ჩოსერი არა ყოფილა ჩინგიზის კარის პოეტი, მბრძანებლის სახოტბოდ ამ პატივსა თუ თანამდებობას განენყო.

არც მისი თანამედროვეა, მსოფლიო ასპარეზზე მის უეცარ შემოჭრასა და ქარიშხალთა გამონვევა-დატრიალებას რომ აღეტაცა ერთბაშად და წამიერი ეფექტის გავლენით გაემეტებინა ესოდენი ქება: არვინ იყო ცისქვეშეთში მისი ბადალი.

საკმაო დრო გასულა ჩინგიზ ყაენის ტრიუმფიდან „კენტერბერიული მოთხრობების“ შექმნამდე.

უეცარი შთაბეჭდილება სადღაც ჩაკარგულა.

მღელვარებანი გადავლილა.

და ინგლისელ ეპიკოსს ოდნავადაც არაფერი ზღუდავს, იყოს მიუკერძოებელიც და ისტორიული თვალთახედვით გამზომიც ამ პიროვნების სამხედრო-სახელმწიფოებრივი კარიერისა.

საერთო ისტორიული ხედვა მაინცდამაინც დიდად არ აფასებდა ჩინგიზ ყაენის მოღვაწეობასა და ადგილს საკაცობრიო ცხოვრების მდინარებაში, პირსისხლიანი ჯალათის შტრიხებით ამკობდა მის პორტრეტს და იმ დაუშრეტელ ენერგიასა და შინაგან ძალას, რასაც არავინ უარყოფდა, ბოროტების სამსახურში დახარჯულად მიიჩნევდა.

მაგრამ აგერ ჩოსერის ისტორიული ხედვა გამოცალკევებია საერთო შეფასებას და მოურიდებლადაც გამოუხატავს საკუთარი შეხედულება, რომელსაც ჯეკ უეზერფორდი ეპიგრაფად წაუმძღვარებდა ბიოგრაფიულ რომანს „ჩინგიზ ყაენი და ახალი სამყაროს დაბადება“, ჩვენს სინამდვილეში ქართულ ბიოგრაფიულ ცენტრს რომ უნდა გაეხსნა გზა მისთვისაც (მთარგმნელი ხათუნა ხაბულიანი).

შთამბეჭდავი სათაურია!..

ოლონდ... ეგებ უზომოდ გადამეტებულნი?

ჩინგიზ ყაენი და... ახალი სამყაროს დაბადება?

ჩინგიზ ყაენი და... სულის შემოქმედი?
არადა, თურმე...

მთავარია, მონღოლთა კვალის დევნას შედგომოდი ბიოგრაფოსივით და... თანდათან საცნაური გახდებოდა ეს თითქოსდა სრულიად დაუჯერებელი კავშირი, ბიოგრაფოსივით, მოგზაურობას 1990 წელს რომ დაიწყებდა ბურიატიდან, ციმბირის მონღოლური ნაწილიდან და გააგრძელებდა რუსეთში, ჩინეთში, მონღოლეთში, უზბეკეთში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, ყირგიზეთსა და თურქმენეთში. და მთელი ზაფხული გაუყვებოდა თურქულ ტომთა მიგრაციის უძველეს გზას, რომელმაც ისინი მშობლიური მონღოლეთიდან ბოსნიაში მიიყვანა. შემდეგ ძველი იმპერიის საზღვრებს ზღვის გზით დაუყვებოდა და დაახლოებით მარკო პოლოს მარშრუტს გაიმეორებდა — სამხრეთ ჩინეთიდან ვიეტნამში ჩავიდოდა, მერე მალაკის სრუტის გავლით ინდოეთსა და სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებამდე მიაღწევდა, იქიდან კი ვენეციაში მოხვდებოდა.

მისი კვლევა ეძღვნებოდა მომთაბარე ხალხთა როლს მსოფლიო ვაჭრობასა და ჩინეთისა და ევროპის დამაკავშირებელი აბრეშუმის გზის ისტორიაში. ამ გზაზე მოინახულებდა არქეოლოგიური გათხრების ადგილებს, დანყებულს პეკინის აკრძალული ქალაქიდან, შუა აზიის გავლით, სტამბოლის ტოპკაპის სასახლემდე.

ამ ხანგრძლივი მოგზაურობისას, ბიბლიოთეკებსაც რომ შეაჯერებდა და არც სამეცნიერო კონფერენციებს გამოტოვებდა, რა გასაკვირია, უზარმაზარი ინფორმაცია დაეგროვებინა, თუმცა... იმდენს მაინც ვერ შეიტყობდა, რასაც ელოდა.

მიუხედავად უკმარობის გრძნობისა, მაინც მიაჩნდა, რომ მისი კვლევა დასასრულს უახლოვდებოდა და 1998 წელს მონღოლეთს რომ ესტუმრებოდა, ჩინგიზ ყაენის სამშობლოში მოკლე შემაჯამებელი ექსკურსია ჰქონდა განზრახული.

ეს ის ეტაპია მონოგრაფიის შექმნის პროცესში, ყველა წვრილმანის მოძიება დაზუსტებას რომ ესწრაფი, თორემ არსებითად ყველაფერი მოთავებულა და იმ წვრილმანებს კიდევ რომ შეეღიო, ნაშრომს არა დააკლდება რა.

მაგრამ მოულოდნელად ექსკურსიას

ახალი სივრცე უნდა გადაეშალა მის თვალწინ და მანამდე სრულიად გაუთვალისწინებელ ინტენსიურ კვლევა-ძიებაში ჩაეყურყუმელავებინა, და ხუთი წლის განმავლობაში იმ სიღრმეებში ეტრიალებინა.

კვლევა კვლევადა და ჯეკ უეზერფორდი ცნობისნადილით ადევნებდა თვალს დიდი ხნის ნანატრი თავისუფლების მოპოვებით აღტაცებულ მონღოლებს, ბედნიერებისაგან ადგილს რომ ვერ პოულობდნენ და უკვე შეეძლოთ — უცხო დამპყრობელთა საუკუნოვან ბატონობას თავდაღწეულთ — თავიანთი დიდი წინაპრის, ჩინგიზ ყაენის, პატივსაცემად ზეიმი გაემართათ.

რა გასაკვირია, რომ მისი სახელი კომერციული მიზნებისთვისაც გამოეყენებინათ და, არამცთუ არაერთი პოპულარული სიმღერა მიძღვნოდა, ალებექდათ არყის ბოთლებზეც, შოკოლადის ფილებსა თუ სიგარეტის კოლოფებზეც, მაგრამ...

— ისტორიისთვის ჩინგიზ ყაენის პერსონა მაინც საიდუმლოებით მოცული რჩებოდა, როგორც მისი სული გაუჩინარდა ბუდისტური მონასტრიდან, ასევე გაქრა და დაიკარგა მისი სახე ისტორიოგრაფიისთვის.

როდის და როგორ უნდა გაუჩინარებულიყო მისი სული მთვარის მდინარის პირას მდებარე შანხის ბუდისტური მონასტრიდან, სადაც ერთგული ლამები საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ და თავს ევლებოდნენ?

1937 წელს საბჭოთა ხელისუფლება სასტიკ სამხედრო კამპანიას რომ გამართავდა მონღოლთა კულტურისა და რელიგიის წინააღმდეგ და 30 000-მდე მოსახლეს შეინირავდნენ, ვილაც გააპარებდა ჩინგიზ ყაენის სულს მონასტრიდან და დედაქალაქ ულან-ბატორში გადაამალავდა, საიდანაც ის სამუდამოდ გაქრებოდა.

სულს და — იცავდნენ და თავს ევლებოდნენ?

სულს და — მალულად გააპარებდნენ?

მომთაბარე მეომართა ადათი გახლდათ, შუა აზიის უკიდევანო სტეპებზე საუკუნეობით ეტარებინათ სულის ალამი — სულდე, საუკეთესო ულაცის ძუისაგან რომ კრავდნენ კონად და შუბის ტარზე, ბუნიკს ქვემოთ ამაგრებდნენ. როდესაც

მეომარი ბანაკს დასცემდა, იურთის შესასვლელთან, მინაში ჩაასობდა სულდეს, როგორც თავის გერბსა და თილისმას.

მონღოლებს სწამდათ, რომ კავშირი მეომარსა და სულდეს შორის იმდენად მჭიდრო იყო, რომ პატრონის სული გარდაცვალების შემდგომ სამუდამოდ გადაინაცვლებდა ამ ძუის კონაში.

სწამდათ, რომ ვიდრე მეომარი ცოცხალი იყო, სულის ალამი პატრონის ბედს იზიარებდა, სიკვდილის შემდეგ კი მის სულად გადაიქცეოდა.

მოკვდავი სხეული სწრაფადვე შეერთვოდა ბუნებას?

სამაგიეროდ, სული მუდმივად ცოცხლობდა ცხენის ძუაში და შთამომავლობას დიდებულ წარსულს შეახსენებდა.

და რაღა უნდა თქმულიყო ჩინგიზის სულის ალამზე, აგერ ინგლისელი ეპიკოსიც რომ დასტურს დასცემდა მისი სახის ამალღება-გადიადებას: არავინ იყო ცისქვეშეთში მისი ბადალიო, — ეპიკოსი, ვის სახელსაც უილიამ შექსპირისა და ჯონ მილტონის გვერდით იხსენიებენ, მისი „კენტერბერიული მოთხრობების“ ამეცყველებას კი თავთავის ენაზე ყველა ერი ესწრაფის, ვინც ცივილიზებულად მიიჩნევს თავს.

და ყველა აღმოაჩენს განთქმულ ეპოსში მონღოლთა მბრძანებლისადმი აღვლენილ დითირამბს.

XVI საუკუნეში ჩინგიზ ყაენის ერთ-ერთი შთამომავალი ააგებდა მონასტერს საგანგებო მისიით — იქ უნდა დაეცვათ და შეენახათ ძვირფასი სულდე.

იქ გადაიტანდა ქარბუქსა და ჭეკა-ქუხილს.

დამპყრობლურ და სამოქალაქო ომებს.

და ეს იმიტომ, რომ ბუდიზმის ყვითელქუდიანთა სექტის ათასზე მეტი ბერი დაუდგებოდა დამცველად დიდ ალამს, მაგრამ მცველები ვერას გაანყობდნენ XX საუკუნის ტოტალიტარული პოლიტიკის წინაშე — ბერებს გაჟღებდნენ და... სულის ალამიც გაუჩინარდებოდა.

განგება არგუნებდა ჩინგიზ ყაენს ასეთ ბედს, მსოფლიო-ისტორიული მოვლენების შუაგულში რომ მოექცეოდა და სულაც მისი წარმმართველი შეიქნებოდა?

თითქოს რიტორიკული შეკითხვაა, მა-

გრამ ჯეკ უეზერფორდი ირწმუნება: არა, ის მან თვითონვე გამოჰქედაო, — და ამ სულისკვეთებითაც განმსჭვალავს თხრობას, გმირს ანტიკური ტრაგედიების პერსონაჟად რომ წარმოსახავს, არამარტო გარემომცველ სინამდვილესთან, არამედ ბედისწერასთან შერკინებულადაც, ჩოსერის აღმტაცი სტრიქონების გახსენება მალევე რომ უნდა ჩანაცვლდეს კონტრასტული ფონით — ამ ბიჭის დაბადებასა და ბავშვობას განა ვისთვის შეიძლება ეფიქრებინა, ოდესმე თავისი სულის ალამს იქონიებს და ამ ალამს... მსოფლიო გზებზეც გაიყოლებსო?..

ბავშვი ხომ იზრდებოდა ტომში გამეფებული უკიდურესი ძალადობის გარემოში, სადაც მკვლევობა, ადამიანის მოტაცება და დამონება ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. როგორც გაძევებული ოჯახის პირმშოს, თემურჩინს სასიკვდილოდაც გაიმეტებდნენ და სტეპებში დატოვებდნენ, და ამიტომაც ჯერ კიდევ მცირეწლოვანს მოუხდებოდა უამრავ ადამიანთან შეხვედრა.

სისტემური განათლების მიღებას ვინ ჩივის, დაუნდობელი ცხოვრება ადრევე აზიარებდა ქვეყნად ყველაზე მძაფრ ადამიანურ მისწრაფებებს — ვნებას, ამბიციასა და სისასტიკეს.

ბავშვობაში მოკლავდა თავის უფროს ნახევარძმას.

მერე ტყვედ ჩაუვარდებოდა მონინა აღმდეგე ტომს, ხუნდებს დაადებდნენ, მაგრამ გადარჩებოდა და ტყვეობიდან თავდახსნასაც შეძლებდა.

შიმშილის, ტყვეობისა და ყმობის დამამცირებელ გარემოში უნდა დაწყებულიყო მისი გრძელი გზა ძალაუფლებისაკენ, ვიდრე მისი პირადი მიზნები და სურვილები სულაც წალეკავდა მსოფლიოს.

წლიდან წლამდე ზედიზედ უნდა დაემორჩილებინა ძლიერი მეზობლები, ვიდრე მონღოლეთის სტეპების უკლებლივ ყველა ტომს თავის გამგებლობაში მოაქცევდა.

ორმოცდაათი წლის ასაკში ყველა უდიდესი დამპყრობლისათვის ბრძოლები უკვე გარდასულია?

ჩინგიზ ყაენის ბიოგრაფოსს ესეც ალაფრთოვანებს, რომ მისი გმირი სიცოცხლის

უკანასკნელ წუთებამდე გამარჯვებათა მოსაპოვებლად მიჰყვებოდა სულის ალამს ჩინეთის სამეფოებიდან — გობის უდაბნოსა და ყვითელი მდინარის მიდამოებიდან — თურქებითა და სპარსელებით დასახლებულ შუა აზიის მიწებამდე, ავღანეთის მთებიდან მდინარე ინდამდე.

ალტაცების გამოსათქმელად კი ამოუწურავი მადანი და საფუძველი ეგულებოდა და თვალსაჩინოებისთვისაც სახიერ შედარებებსა და მაგალითებს იშველიებდა, რათა მკითხველიც აეყოლიებინა და განეწყო იმ იდუმალეობაში შესაღწევად, ჩინგიზ ყაენის მონუმენტური სახეობა რომ აღძრავდა და მსოფლიო-ისტორიული მოვლენების ფონზე და მის კვალდაკვალ ყველაზე უკეთ იკვთებოდა.

არადა, როგორ არ ჩავფიქრებოდით და გაგვესიგრძეგანებინა:

რომ ოცდახუთ წელიწადში მონღოლთა არმიამ უფრო მეტი მიწა და ხალხი დაიპყრო, ვიდრე რომაელებმა ოთხი საუკუნის განმავლობაში;

რომ ჩინგიზ ყაენმა ვაჟებსა და შვილიშვილებთან ერთად დაჯაბნა XIII საუკუნის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ცივილიზაციები;

რომ მის მიერ დამარცხებულ ხალხთა და დამორჩილებული ქვეყნების რაოდენობა ორჯერ აღემატება ისტორიაში ცნობილი ყველა სხვა დამპყრობლის მიღწევებს;

რომ მონღოლ მეომართა ცხენების ფლოქვებმა წყნარი ოკეანიდან ხმელთაშუა ზღვამდე ყველა მდინარისა და ტბის წყალი ააშხეფა;

რომ იმპერია თავის ზენიტში გადაჭიმული იყო 11-12 მილიონ კვადრატულ მილზე, ტერიტორიაზე, რომელიც უტოლდება აფრიკის მთლიანი კონტინენტის ფართობს და მეტია იმაზე, რაც ჩრდილოეთ ამერიკას უჭირავს შეერთებული შტატების, კანადის, მექსიკის, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის კუნძულების ჩათვლით, ციმბირის თოვლიანი ტუნდრიდან ინდოეთის ცხელ დაბლობებამდე რომ გადატყორცნილიყო, ვიეტნამის ბრინჯის ნათესებიდან უნგრეთის პურის ყანებამდე, კორეიდან ბალკანეთამდე, ხოლო თანამედროვე რუკაზე ჩინგიზ ყაენის იმპერია

მოიცავს ოცდაათ ქვეყანას, სამ მილიარდზე მეტი მოსახლით;

რომ — რაოდენ საოცარიც უნდა იყოს — მთელი მონღოლური ტომი შედგებოდა დაახლოებით მილიონი კაცისაგან, უფრო მცირერიცხოვანისა, ვიდრე ზოგიერთი თანამედროვე კორპორაციის მუშახელია; და რომ ამ მილიონისაგან შექმნა მანჯარი, რომელშიც ირიცხებოდა ასი ათასამდე მეომარი — ამდენი ადამიანი თავისუფლად რომ მოთავსდება ჩვენი ეპოქის დიდ სპორტულ სტადიონებზე.

ბიოგრაფოსს ნუთუ დამპყრობლის ჟინი აღიტაცებს, მსოფლიო ბატონობის იდეა აღუნთებს წარმოსახვას და ამიტომაც ეთაყვანება დიდ ტრიუმფატორს, სიკეთისა და ბოროტების მიღმა რომ გაიაზრებს მის პიროვნებას? და თითქოს მასთან ერთად დამთვრალიყოს წარმატებებით, ოცნებაში კვალდაკვალ რომ მიჰყვება და მკითხველსაც უბეჯითებს, თუ როგორ აქცია დაპყრობიდან დაპყრობამდე მონღოლთა არმიამ ბრძოლა კონტინენტური მასშტაბის მოვლენად და ათასობით კილომეტრზე გაშალა, შუა საუკუნეების ევროპელ რაინდთა მძიმე აღჭურვილობა მოძველებული რომ გამოჩნდა ჩინგიზ ყაენის ახლებური საბრძოლო ტაქტიკისა და სტრატეგიის ფონზე, და მისი დისციპლინებული კავალერია კოორდინირებულ რაზმებად რომ მოძრაობდა, ნაკლებადაც გახლდა დამოკიდებული თავდაცვით ნაგებობებზე, რადგან ბრძოლაში მთავარ იარაღად სისწრაფესა და მოულოდნელობას იყენებდა. და მასვე უნდა დაესრულებინა გალავანშემორტყმულ ქალაქთა ერა. და სწორედ ჩინგიზ ყაენს უნდა ესწავლებინა თავისი ხალხისათვის საბრძოლო კამპანიის წარმართვა არამარტო წარმოუდგენელ სივრცეებზე, არამედ წარმოუდგენლად ხანგრძლივი დროის, წლების, ათწლეულთა განმავლობაში, ისე, რომ მისი განუწყვეტელი ომების მანძილზე მონღოლთა სულ ცოტა სამი თაობა მაინც შეცვლილიყო.

ომების მეხოტბეა ჯეკ უეზერფორდი და სხვას არას დაგიდევს?

მაგრამ ომების მოჩვენებითმა აპოლოგიამ თანდათან უკან უნდა გადაინაცვლოს, როდესაც მეტი და მეტი თვალსაჩინო

ნოებისათვის მონდომებს ჩინგიზ ყაენის მიღწევა ამერიკის ცხოვრება-პირობების მაგალითზე გაიაზროს.

მაშ ბიოგრაფოსის კვალზე ჩვენც ფრთა უნდა ვკრათ ჩვენ-ჩვენ ფანტაზიას და წარმოვიდგინოთ, რომ:

ამერიკის შეერთებული შტატები შეექმნა არა განათლებულ ვაჭრებსა და მდიდარ პლანტატორებს, არამედ... ვილაც უნიგნურ მონას.

კი მაგრამ, რანაირად?

რანაირად და:

პიროვნული ქარიზმისა და გამბედაობის წყალობით გაეთავისუფლებინა ამერიკა ინგლისელთა ზეგავლენისაგან, გაეერთიანებინა ხალხი, შეექმნა ანბანი, დაენერა კონსტიტუცია, დაენესებინა სრული რელიგიური თავისუფლება, შემოეღო ომის წარმოების ახალი სისტემა, ძლევა-მოსილ ჯართან ერთად მარშით გაეგლო მანძილი კანადიდან ბრაზილიამდე და მთელს კონტინენტზე გადაეჭიმა თავისუფალ ეკონომიკურ ზონებზე გამავალი ახალი სავაჭრო გზები.

და თუ ასეთი კაცი ჩინგიზ ყაენივით აღემატებოდა ადამიანური წარმოსახვის უნარს და თვით მეცნიერთათვისაც აუხსნელ გამოცანად დარჩებოდა, განა რაღა გასაკვირია.

ჩამონათვალში საგანგებო ყურადღებას იქცევს სრული რელიგიური თავისუფლების და ახალი სავაჭრო გზების ხსენება, უფრო მაინც, ცხადია, რელიგიური შემწყნარებლობისა, თორემ ახალი სავაჭრო გზების გახსნა რაღაც უჩვეულობად არ გამოიყურება მსოფლიო ბატონობისაკენ სწრაფვისას.

აი, რელიგიურ თავისუფლებასთან გადაჯაჭვული კი სულ სხვაგვარად წარმოდგება, მითუმეტეს, რომ კარგი იქნებოდა, თუკი ბიოგრაფოსი აქვე აღნიშნავდა დაპყრობილ ხალხთა ზნე-ჩვეულებებისადმი მონღოლთა ასევე სავსებით შემწყნარებლურ დამოკიდებულებას, გულწრფელსა და არა ფარისევლურს, ლოიალობის ნიღაბქვეშ ამ ადათ-წესების დასაკლავი დანა რომ არის ხოლმე ჩასაფრებული, მონღოლთა ბატონობის პირობებში კი არამცთუ არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა ეროვნულ ნიშან-თვისებებს,

არამედ ხელსაც შეგინებდნენ, თუკი შეგატყობდნენ, რომ სასიცოცხლოდ გიღირდა მათი შენარჩუნება.

არ მოითხოვდნენ შენგან გამონღოლებას.

და ეს რომ სწორედ ასე გახლდათ, ბიოგრაფოსის თხრობის კვალზე თვალნათლივ გადაიშლება, ის კი არა, ჩინგიზ ყაენის მიერ წამოწყებული სტრატეგია და პოლიტიკური კურსი უნდა დაგვირგვინებულიყო ჩინეთის დაპყრობის უნიკალური გზითა და საშუალებით, ქვეყნისა, რომლის დამორჩილებაც მარტოდენ ძალით — ანუ ჯართა და იარაღის სრულყოფილებით — ყოვლად შეუძლებელი გახლდათ თვით მონღოლთათვის, რადგანაც მათი მეომრები პირწმინდად ჩაიკარგებოდნენ ჩინელთა ზღვაში და ისე გადაიყლაპებოდნენ, გონზე მოსვლასაც ვერ მოასწრებდნენ. და ამიტომაც ხუბილაი ხანი, ვისაც მართალია პაპის სამხედრო ნიჭი არ გამოჰყვებოდა, მაგრამ გონიერებით ოჯახში ყველას აღემატებოდა, მეტად ორიგინალურ გზას გამოძებნიდა და აგერ კიდევ დაიპყრობდა და გააერთიანებდა მსოფლიოში ამ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ უზარმაზარ ქვეყანას.

რა შეიძლება ყოფილიყო მისი ასეთი გამარჯვების საიდუმლო?

რა და: საზოგადოებრივი აზრის ოსტატურად მართვა.

ააშენებდა ჩინეთის დედაქალაქს, დაირქმევდა ჩინურ სახელს და ჩამოაყალიბებდა ქვეყნის მართვის ისეთ ადმინისტრაციულ სისტემას, ჩინეთისათვის უფრო მეტად რომ აღმოჩნდებოდა სასიკეთო, ვიდრე თვითონ ჩინელები შეძლებდნენ — დიახ, ვიდრე თვით სუნის დინასტიას მოეხერხებინა.

ასე იქცეოდა ხუბილაი ხანი ჩინელ ქვეშევრდომთათვის არამარტო მისაღებ, არამედ მიმზიდველ მმართველადაც.

მიმზიდველი გახდებოდა, აბა, რა იქნებოდა, როდესაც თვითონ გაჩინელდებოდა და გულითა და სულით მოუფრთხილდებოდა ჩინურ ადათ-წესებს:

მთავარი ისაა, რომ იგი მოიქცეოდა ისე, როგორც ჩინგიზ ყაენის აჩრდილი შეაგონებდა, კაცისა, ბიოგრაფოსი უდიდეს არქიტექტორადაც რომ მოიხსენიებს,

მასალად ქვის ნაცვლად ერებს რომ იყენებდა და, მცირე სამეფოებით უკმაყოფილო, დიდ ქვეყნებად აერთიანებდა — აღმოსავლეთ ევროპის სლავურ სამთავროებსა და ქალაქებს დიდ რუსეთს დაუქვემდებარებდა; ხოლო აღმოსავლეთ აზიაში, ვიდრე სამი თაობა შეიცვლებოდა, სამხრეთით შემორჩენილი ჩინეთის სუნის დინასტიის ნაშთებისა და მანჯურიის ჯურჯენტა მინების შერწყმით, რასაც დაემატებოდა დასავლეთით ტიბეტი, გობის უდაბნოსთან მდებარე ტანგუტის სამეფო და აღმოსავლეთ თურქმენეთის უიღურთა მინები, შექმნიდა ჩინეთის ძლიერ სახელმწიფოს.

საკუთარ საზღვართა გაფართოებასთან ერთად მონღოლები დაიპყრობდნენ და გააერთიანებდნენ ისეთ ქვეყნებს, როგორცაა კორეა და ინდოეთი, დღესაც მონღოლ დამპყრობელთა მიერ დაწესებულ საზღვრებში რომ არიან მოქცეულნი.

მონღოლთა იმპერია დააკავშირებდა და გააერთიანებდა არაერთ ცივილიზაციას და ახალ მსოფლიო წესრიგს დაუქვემდებარებდა.

ჩინგიზ ყაენის დაბადებისას — ანუ 1162 წელს — რას წარმოადგენდა სამყარო?

შემდგარს რეგიონულ ცივილიზაციათა მთელი წყებისაგან, რომელთაგან არცერთმა არ იცოდა, რა ხდებოდა ახლო სამეზობლოს მიღმა.

ველარ დაგიჯერებია, მაგრამ იყო დრო, როდესაც ჩინეთში არავის სმენოდა ევროპის შესახებ, ევროპაში კი არა უწყოდნენ რა ჩინეთზე. არსაიდან დასტურდება, რომ ვინმეს ემოგზაუროს ევროპიდან ჩინეთში.

და აი, დგება 1227 წელი — ანუ ჩინგიზ ყაენის აღსასრულის წამი — და... აღმოჩნდება, რომ ისინი დაკავშირებულან დღემდე ურღვევი დიპლომატიური და კომერციული კონტაქტებით.

მონღოლთა ყაენს უნდა დაერღვია წარმომავლობასა და პრივილეგიებზე დაფუძნებული ფეოდალური სისტემა და შეექმნა პიროვნულ დამსახურებაზე, ერთგულებასა და მიღწევებზე დამყარებული ახალი უნიკალური წყობა. გარიყულსა და უსიცოცხლო სავაჭრო ქალაქებს აბრეშუმის გზით რომ დააკავშირებდა და ისტორიაში

ერთ-ერთ უდიდეს თავისუფალ სავაჭრო ზონად აქცევდა, ეს არ იკმარებდა ეკონომიკური აღმავლობისათვის, ყველასთვის რომ არ შეემცირებინა გადასახადები, ხოლო ექიმებისათვის, მასწავლებლებისათვის სასულიერო პირებისა და ინსტიტუციებისათვის საერთოდაც გაეუქმებინა.

უნდა შემოეღო მუდმივი აღწერა და შეექმნა პირველი საერთაშორისო საფოსტო სისტემა.

სამხედრო ნადავლი მთლიანად უნდა გაენანილებინა ისე, რომ შესაძლო იყო საქონელბრუნვით უკანაც კი დაბრუნებოდა პირვანდელ მფლობელს.

შექმნა საერთაშორისო სამართალი.

— თვითონ კი აღიარებდა მარადიული ლურჯი ცის უზენაეს კანონს.

იმ დროს, როდესაც მმართველთა უმეტესობა საკუთარ თავს კანონზე მაღლა აყენებდა, ჩინგიზ ყაენს, კანონებზე დაყრდნობით, მმართველთაგანაც ისევე უნდა მოეთხოვა პასუხი, როგორც უბირ მწყემსთაგან.

სრულ ერთგულებას თუ გამოიჩინდი, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებას არავინ შეგიზღუდავდა.

უნდა აეკრძალა წამება, მაგრამ წამოეწყო მიზანმიმართული კამპანიები მძარცველთა და მკვლელთა გასაჟლეტად.

უარი უნდა ეთქვა მძევალთა გაცვლის ტრადიციაზე და დაენერგა ელჩთა დიპლომატიური იმუნიტეტის ახალი პრაქტიკა, და ხელშეუხებლობა მიენიჭებინა იმ ქვეყნების დესპანთათვისაც, რომელთა მიმართაც მტრულად განწყობილიყო ანდა ომს წარმართავდა.

თითქმის ყველა ქვეყანაში ნგრევით და ბარბაროსული რბევით რომ იჭრებოდნენ?

მაგრამ ეს სასტიკი რეალობა ერთბაშად უნდა შეცვლილიყო კულტურული აღზევებით, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებითა და დიდი ტექნიკური ძვრებით.

ევროპაში კონტინენტის არისტოკრატ რაინდობას ამოხოცვით კი ამოხოცავდნენ, მაგრამ ჩინეთსა და მუსლიმურ ქვეყნებთან შედარებით ამ ტერიტორიის საერთო სიღარიბით იმედგაცრუებულნი უკანვე გაბრუნდებოდნენ და თავს აღარ შეინუხ-

ებდნენ ქალაქთა დაპყრობით, ქვეყნების ძარცვითა ან მათი შეერთებით იმპერია-სთან.

ევროპა დაზარალებით ნაკლებ რომ დაზარალებოდა მონღოლთა შემოსევის-აგან, კულტურულ ურთიერთობათა მხრივ გარკვეულ უპირატესობასაც მოიპოვებდა. ამ კონტაქტებს კი ხელს შეუწყობდნენ ევროპელი ვაჭრები, აგრეთვე ელჩები, რომელთაც მონღოლი ყაენები და ევროპელი პაპები და მეფეები უგზავნიდნენ ერთმანეთს.

ახალი ტექნოლოგიები, ცოდნა და კომერციული მოგება საფუძველს დაუდებდა რენესანსს, რომელიც ევროპას ხელახლა აპოვნინებდა თავის პირვანდელ კულტურულ ელემენტებს, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, აღმოსავლეთიდან მიიღებდა ნიგნის საბეჭდო მონოტიპობას, ცეცხლსასროლ იარაღს, კომპასსა და საანგარიშოს.

ჯეკ უეზერფორდი საგანგებოდ დაიმონებდა XIII საუკუნის ინგლისელი მეცნიერის როჯერ ბეკონის მოსაზრებას:

— მონღოლები საბრძოლო გამარჯვებებს უნდა უმადლოდნენ არამარტო სამხედრო ძალის უპირატესობას, არამედ მეცნიერების მიღწევებსაც.

რათა თავის მხრივ დაერთო, რომ:

ევროპაში პრაქტიკულად ყველაფერი — ტექნიკა, ბრძოლის ხელოვნება, ტანსაცმელი, ვაჭრობა, საკვები, ხელოვნება, ლიტერატურა და მუსიკა რენესანსის ეპოქაში სწორედ მონღოლთა გავლენით გარდაიქმნა და განვითარდა. ბრძოლის წარმართვის ახალ ფორმებთან, ახალ მანქანებთან ერთად შეიცვალა ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანი ასპექტებიც — ევროპელებმა დაიწყეს მონღოლთა ქსოვილების გამოყენება, ტუნიკებისა და მანტიების მაგივრად უკვე შარვალსა და ხალათს იცვამდნენ, თითების ნაცვლად ხემით უკრავდნენ ინსტრუმენტებზე და სურათებსაც სრულიად ახლებური სტილით ხატავდნენ. და აღფრთოვანებისა და მოწონების ნიშნად ისინიც ახლა უკვე მონღოლებივით „ურას“ გაჰყვიროდნენ.

სიყმანვილისას მომავალი ყაენი გაყინულ მდინარეზე თამაშისას — მონადირეთა მსგავსად — ფეხისგულეებზე ძვლებს

იმაგრებდა, რათა სწრაფად ესრიალა ყინულზე. და თუმცა „მონღოლთა საიდუმლო ისტორია“ არსად იხსენიებს ციგურებს, მაგრამ ერთი საუკუნის შემდეგ მონღოლეთში ჩასული ევროპელი მოგზაური თავის ჩანაწერებში საგანგებოდ აღნიშნავდა ამ უცნაური ნაკეთობის არსებობას, ჩინგიზის მეომრებისათვის დიდი სამსახური რომ გაენია — სხვა არმიებისაგან განსხვავებით, ისინი ადვილად გადადიოდნენ და იბრძოდნენ კიდეც გაყინულ მდინარეებსა და ტბებზე.

აგერ თუნდ ვოლგა ან დუნაი, რომელნიც ევროპელებს მტრის შემოსევისაგან თავდაცვის ერთ-ერთ საიმედო საშუალებად ეგულებოდათ, მონღოლთათვის უპირატესობის მომტანი აღმოჩნდებოდა. ციგურების ნყალობით მათ შეეძლოთ წელიწადის იმ დროს, ევროპელები ომისათვის ნაკლებ შესაფერისად რომ მიიჩნევდნენ, გაყინული მდინარეები ცხენდაცხენ გადაექროლათ და პირდაპირ ქალაქის კედლებს მიჭროდნენ.

ბიოგრაფოსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა ჩინგიზ ყაენის ხასიათის იმ თვისებას, რომ მას არასდროს მოუთხოვია თავის მეომრებისაგან, მისთვის დახოცილიყვნენ. ომში ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მონღოლის სიცოცხლე გადაერჩინა. განსხვავებით ისტორიაში ცნობილი სხვა გენერლებისა და იმპერატორებისაგან, რომელნიც ასობით და ათასობით ჯარისკაცს წარბეუხრელად აგზავნიდნენ სასიკვდილოდ, ჩინგიზ ყაენი თავისი ნებით ერთ მეზობლსაც არ განირავდა.

ყველაზე მნიშვნელოვან კანონად ჯარს რას დაუნესებდა?

რას და: ბრძოლის ველზე თუ მის გარეთ მონღოლ მეომარს ეკრძალებოდა ლაპარაკი სიკვდილზე, ჭრილობასა თუ განცდილ მარცხზე, რადგან ყაენს მიაჩნდა, რომ ამის ფიქრსაც კი შესაძლოა ცუდი შედეგი მოჰყოლოდა. ბრძოლის ველზე დაცემული მეგობრისა თუ მოკლული ჯარისკაცის გახსენებას ტაბუ ედო. ეს ყოველივე ნიშნავდა, რომ თვითეულ მონღოლ მეომარს უნდა ეცხოვრა იმ რწმენით, უკვდავი ვარ და ვერასდროს ვერაფერი მომერევო.

გამოუვალ ყოფაში ჩავარდნილს სიც-

ოცხლის უკანასკნელ წუთს რა უნდა ელო-
ნა?

მარადიული ლურჯი ცისათვის ეთხოვა
შემწეობა.

აღფრთოვანებისა და მოწონების ნიშ-
ნად ევროპელებიც ახლა უკვე მონ-
ლოლებივით „ურას“ გაჰყვიროდნენო...

ეს შეძახილი „ურა“ — მსჭვალავს
ბიოგრაფოსის თხრობასაც, სტრიქონებს
შორის ისე ძალუმიად რომ იჭრება, პირდა-
პირ აღნიშნულს ეგებ ასეთი მძაფრი შეგ-
რძნება ვერც მოეხდინა მკითხველზე. და
ჯეკ უეზერფორდი იმიტომაც აძლევს
თავს ამ აღტკინების უფლებას, რომ... სხ-
ვაგვარად ანკი როგორ უნდა შეეგებო ახ-
ალი სამყაროს დაბადებას?!

ეს სამყარო კი მის თვალწინ დაიბადე-
ბოდა მას შემდეგ, რაც სულ უფრო კან-
თიელად ამოიზიდებოდა ჩინგიზ ყაენის
ახოვანი ფიგურა და ის წაუძღვებოდა იმ
ბილიკებზე, საიდანაც ახალი სამყაროს
შემოქმედს თვითვე გაეკვალა გზა, ბილ-
იკებზე — სულიერადაც და... სავსებით
რეალურადაც, რადგანაც საბჭოთა იმ-
პერიის დამსხვრევასთან ერთად მოიშლე-
ბოდა ხერგილები საგანგებოდ დაცული
ზონის ირგვლივ და ასე გადაიშლებოდა
მკვლევართა და მოგზაურთა თვალწინ
ჩინგიზ ყაენის სამყარო ისეთი, როგორიც
მან დატოვა. ეს ადგილი, თავისი ხელუხ-
ლებელი ბუნებით, უნდა გადარჩენილიყო
მსგავსად დაკარგული კუნძულისა, რო-
მელსაც XX საუკუნის ტექნოლოგიურ
საშინელებათა რკალი იცავდა. მისი ერთი
ნაწილი ჩახერგილი იყო ნაქცეული ხე-
ებით, გაუვალი ბუჩქნარებითა და გიგან-
ტური ლოდებით, მეორე ნაწილს კი ბოლო
რვა საუკუნის განმავლობაში მხოლოდ
მზვერავი ჯარისკაცები თუ ესტუმრებოდ-
ნენ, და ისიც შემთხვევით.

ეს ნაკრძალი მიწა ჩინგიზ ყაენის ცოცხ-
ალ ძეგლად აღიქმებოდა.

და ჯეკ უეზერფორდსაც ისეთი შეგ-
რძნება უჩნდებოდა, რომ მონღოლთა ბე-
ლადი ყოველ წუთს შეიძლება გამოჩენილ-
იყო მდინარის კლაკნილსა ან მთის წვერზე.
გამოჩენილიყო, რათა კვლავ დაეცა ბანა-
კი იმ მიწაზე, რომელიც უყვარდა, ისარი
ეტყორცნა გაქცეული ქურციკისათვის,
ამოემტვრია მდინარე ონონის ყინულით

დაფარული ზედაპირი და ანკესი ჩაეგდო,
ან ქედი მოეხარა და ელოცა წმინდა მთა
ბურხან ხალდუნზე, რომელიც სიკვდილის
შემდეგაც ისევე იცავდა, როგორც სიც-
ოცხლეში.

ექსპედიცია ისე მიუახლოვდებოდა იმ
ხორიგს, როგორც დეტექტივთა გუნდი
დანაშაულის ადგილს.

მეგზურობას კი „მონღოლთა საიდუმ-
ლო ისტორია“ უწევდათ.

ჩინგიზ ყაენის გარდაცვალების შემდეგ
მისი ბიოგრაფიის უმთავრესი ცნობები
ერთ-ერთ დაახლოებულ პირს რომ ჩაენ-
ერა, ერთი საუკუნის თავზე სპარს ის-
ტორიკოსს რაშიდ ად-დინს ამ ჩანაწერებ-
ისათვის „მონღოლთა ანბანი და იდი-
ომებით“ დაწერილი „ჭეშმარიტი ქრონიკა“
ენოდებინა და იქვე გაეფრთხილებინა ყვე-
ლა: ეს დოკუმენტი მკაცრად დაცულ სა-
განძურში ინახება და დაფარული და
გასაიდუმლოებულია გარეშეთათვისო.

მონღოლთა იმპერიის დაცემის შემდეგ
ამ საიდუმლო ისტორიის კვალი გაქრებო-
და.

და მკვლევართა უმეტესობა მოჰყვებო-
და მტკიცებას: ეს ტექსტები არც არა-
სოდეს არსებულა და ის ჩინგიზ ყაენის სახ-
ელთან დაკავშირებული კიდევ ერთი მი-
თიაო.

იყვნენ ის ადამიანებიც, რომელთაც
სწამდათ ამ ისტორიული ქრონიკის არსე-
ბობა, მაგრამ რწმენა რწმენად რჩებოდა,
ის კი არა, „მონღოლთა საიდუმლო ისტო-
რია“ კიდევ უფრო იღუმალ ვითარებაში
გაუჩინარებულყო, ვიდრე ჩინგიზ ყაენის
საფლავი.

როდესაც XIX საუკუნეში აღმოაჩენდ-
ნენ ჩინური იეროგლიფებით დაწერილ
ტექსტს პეკინში, მკვლევარებს ასოების
ამოცნობა არ გაუჭირდებოდათ, მაგრამ...
სიტყვათა წყობიდან აზრის გამოტანა კი
ძალიან გაუძნელდებოდათ, რაკილა ტექს-
ტი დაწერილი გახლდათ საგანგებო კო-
დით.

როგორ გინდოდა გაგეშიფრა?

მითუმეტეს, ცნობისწადილი ძალიან
გაიზრდებოდა, როდესაც მეცნიერები შე-
ძლებდნენ ნაკითხვას იმ მცირე ჩინური
ანოტაციებისა, რომლებიც დოკუმენტის
ყოველ თავს ახლდა და მიგახვედრებდა,

რომ ტექსტის შინაარსს უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა.

და რჩებოდა ხელნაწერი კვლავ და კვლავ გაუშიფრავი, ვიდრე XX საუკუნეში განსხვავებული სპეციალობის მქონე პროფესიონალთაგან შემდგარი გუნდი მხოლოდ ერთობლივი გარჯის წყალობით არ მიაკვლევდა პასუხებს.

ასე თანდათანობით შეაკონინებდნენ და აღადგენდნენ ისტორიას იმდენად ზედმინევით, რამდენადაც ამის საშუალებას მათ ხელთ არსებული ცნობები მისცემდათ. ასე ამოიზრდებოდა „მონღოლთა საიდუმლო ისტორიის“ კვლევის კვალდაკვალ რვა საუკუნის განმავლობაში ხელუხლებლად შენარჩუნებულ ტერიტორიაზე მოგზაურობიდან ჯექ უეზერფორდის ბიოგრაფიული რომანიც „ჩინგიზ ყაენი და ახალი სამყაროს დაბადება“, რომლის ფინალშიც ბიოგრაფოსს დანანება უნდა გამოეთქვა, რომ ისტორიის უდიდეს მოღვაწეთა ცხოვრებისეული გზა და მემკვიდრეობა ერთი წიგნის ფურცლებზე ვერა თავსდება, და მწარედაც ჩაეცინა: მათი ქმედებანი საგარეუბნო მატარებელთა მიმოსვლის დარად რეგულარული და წინასწარ განსაზღვრული ვერც იქნებაო.

უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს რა სჩვევიათ, მეტადრე მაშინ, როდესაც უეცრად და წარმოუდგენელი სიმძლავრის ტალღასავით მოვარდებიან?

რა და: ასევე მოულოდნელად და თანდათანობით უნდა მოექცნენ კალაპოტში და თანაბრად, თუმც ისეთივე ძალით განვითარდნენ. მთავარია, რომ ერთხელ დაწყებული ასეთი პროცესები ძალზე ხანიერია და მათი შედეგები საუკუნეებსაც გადაწვდება ხოლმე.

და ამ ვითარებაზე დაფიქრება ჯექ უეზერფორდს ძალდაუტანებლად გაახსენებდა მძლავრად მოგუგუნე ზარს, რომლის დადუმების შემდგომაც სარეკელა კიდევ დიდხანს არა წყვეტს ჰაერში რხევას.

და ბიოგრაფიული რომანის ბოლო აკორდად სხვას რას იტყოდა, თუ არა:

ჩინგიზ ყაენის დიდი საქმენიც უკვდავი რჩება და კაცთა მოდგმასთან ერთად აგრძელებს სიცოცხლესო.

ისე მონღოლთა ამ „დიდ საქმეებს“...

ჩვენი ქვეყანაც უნდა შენივრვოდა — და კინალამ საბედისწეროდაც, მათ გამოჩენას ჟამთააღმწერელი ღვთისგან მოვლენილ სასჯელად რომ მიიჩნევდა ჩვენთა ცოდვათათვის, ისევე როგორც „ნოვგოროდის მატიანე“ რუსთა ცოდვების ზეციურ პასუხად აღიარებდა ჩინგიზ ყაენის მეომართა მოვლინებას.

ამ ბიოგრაფიული რომანის ფურცლებზეც ჩნდება ის ტრაგიკული ეპიზოდი ჩვენი წარსულისა, პირველად რომ უნდა შევჯახებოდით მონღოლ მეომრებს, უფრო კი — მათ მზვერავ რაზმს. 1221 წელს სუბუდაი და ჯებე — გავლენიანი მხედართმთავარნი — ხვარაზმის სულთნის დევნისას კასპიის ზღვას შემოუვლიდნენ, სულთნის სიკვდილის შემდეგ კი ნებართვას მიიღებდნენ, გზას გაჰყოლოდნენ და ენახათ, რა იყო ჩრდილოეთით. და სწორედ აქ უნდა წაწყდომოდნენ „პატარა ქრისტიანულ სახელმწიფოს, საქართველოს, რომელსაც გიორგი IV მართავდა“.

და გვიამბობს უეზერფორდი, რომ:

ჯებე თავის დუმანს ბრძოლაშიც კი ჩართავდა, რათა ქართველთა ძალა გამოეცადა. საქართველოს, რომელსაც საუკუნეობით უხდებოდა ბრძოლა მუსლიმან მეზობლებთან, უნარიანი, დისციპლინებული პროფესიული ჯარი ჰყავდა, საკუთარ მიწა-წყალზე რომ მოქმედებდა და ძალზე მოკლე დროში სათანადოდ მოემზადებოდა მონღოლთა დასახვედრად, ისე, როგორც აქამდე თურქულ და მუსლიმურ არმიებს ეგებებოდა. ჯებეს მეომრები მოუახლოვდებოდნენ ქართველ მეზობლებს, მაგრამ რამდენიმე გასროლის შემდეგ... უკანვე გაბრუნდებოდნენ.

ქართველებს ეგონებოდათ, მტერი ბრძოლის ველიდან გარბისო, და დაედევნებოდნენ. რას წარმოიდგენდნენ, რომ ეს მხოლოდ მონღოლთა სამხედრო ხრიკი გახლდათ, არაერთგზის დიდი წარმატებით გამოყენებული. ზედმეტად თავდაჯერებული ქართველები საბრძოლო რიგებს მოშლიდნენ და მონღოლებს უწესრიგოდ გამოუდგებოდნენ. მტერს გაუჭირდებოდა დანინაურება, მაგრამ ქართველთა ცხენები მალე დაიღლებოდნენ და, დასუსტებულები, თანდათან ჩამორჩებოდნენ გაქცეულ მონღოლებს და მალე ერთ გრძელ

რიგად გაიშლებოდნენ.

აღმოჩნდებოდა, რომ ჯვებს მეომრებს ქართველი მხედრები სუბუდაის მიერ მონ-ყობილ ხაფანგში შეეცყუებინათ. და ახლა მისი რაზმი რომ შემოუტევედა მდევართ, ჯვებს მეომრებიც ცხენებს გამოცვლიდნენ და ბრძოლას დაუბრუნდებოდნენ.

ასე გაანადგურებდნენ რამდენიმე საათში მონღოლები მთლიანად ქართველთა ჯარსა და პატარა ქვეყნის არისტოკრატებს.

ასე აქცევდა სუბუდაი ამ ქვეყანას ვასალურ სამეფოდ.

და ეს იქნებოდა პირველი ქვეშევრდომი სახელმწიფო ევროპაში, რომელიც კიდევ დიდხანს დარჩებოდა მონღოლთა ერთგულ მოკავშირედ.

ერთგულ მოკავშირედ კი მართლაც კარგა ხანს შევჩერებოდით მონღოლებს, მაგრამ... ევროპული სახელმწიფო?

ისე ეს განსაზღვრება, დასავლელი ბიოგრაფოსისაგან ხელგაშლილად ნაბოძები, სასიამოვნოდ მოელამუნება ჩვენს ყურთასმენას.

ამ წიგნის ფურცლებზე ხომ ვიხსენიებთ პირველ ევროპულ სახელმწიფოდ მონღოლური სამხედრო ექსპედიციის გზაზე?

სხვა მხრივ კი...

ბიოგრაფიული რომანის ამ პასაჟში ძალიანაა დანურული წლები და რუსუდანის მმართველობის ხანა ლაშა-გიორგის მეფობის წლებთან არის შერწყმულ-შეზავებული, თორემ ლაშა-გიორგის მემკვიდრეობა და ჟამთააღმწერელიც ირწმუნებიან, რომ გიორგი IV-ის მეფობისას საქართველო არ დაუპყრიათ მონღოლებს. მეტიც, ისინი ქებას შეასხამენ ქართველ ხელმწიფებს, ვინც მოიგერია მათი იერიში, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლაში დამარცხდა და თვითონაც იქ მიღებულ ჭრილობას შეეწირა. მონღოლებს მაშინ არც უცდიათ საქართველოს დაპყრობა — დარუბანდის კარით გაგვეცალნენ და უფრო ხელსაყრელ ჟამს დაელოდნენ.

ბრძოლის გაგრძელებას მოერიდნენ ისინი, ვინც არავის და არაფერს ერიდებოდნენ?

თუ მხოლოდ მზვერავთა რაზმი გვიტევედა, თავიანთი დავალება იმხანად

პირნათლად რომ ალასრულეს და ზედმეტად მიიჩნიეს ჩვენი ქვეყნის სიღრმეში შემოჭრა?

ცხადია, უზომო ქადილს დაემგვანება, მტკიცებას რომ მოვყვეთ, როგორ დავაქციეთ მონღოლთა ლაშქარი პირველი შემოტევისას, მაგრამ ნურც ლაშა-გიორგის დაფუძინებით და დაფუკარგავთ სამხედრო ღვანლს და ნურც ჩვენს მეომრებს — დასაზვერად შემოსული ჯარი იყო თუ რა იყო მონღოლებისა, აქ ნაკლებ ორგანიზებული და დისციპლინებული ლაშქარი რომ დახვედროდა ბრძოლებში არცთუ გამოცდილი, მონღოლები არავითარ დავალებას არ დაგიდევდნენ და ისე გადაგვთელავდნენ მათ ცხენთა ფლოქვები, რა დღეშიც სხვა ქვეყნები ჩაეყარათ, ერთი ხელის მოსმით რომ ანადგურებდნენ თუ აჩოქებდნენ, და არც ჩვენ დაგვაკლებდნენ წლების შემდგომ.

არა ყოფილა იოლი ჩინგიზ ყაენის მებრძოლებთან შერკინება, მათთვის გზის გადაღობვა.

და ამიტომაც ამშვენებს ის ბრძოლა ლაშა-გიორგის ხანმოკლე, სისხლსავსე და ტრაგიკულ სიცოცხლეს.

მონღოლთა ვასალობას კი როგორ ავცდებოდით, მათი იარაღის ქნევას, ერთი მხრივ, ჩინეთი რომ ვერ გაუძლებდა და, მეორე მხრივ, ტერორისტთა ბუდედ ჩამოყალიბებული ალამუთი, ასასინთა სექტის ბურჯი, შიშით რომ აცახცახებდნენ ევროპელთაც და აზიელთაც, რომელნიც ვერც კი ოცნებობდნენ მიუვალ მწვერვალზე აგებული ამ ციხე-სიმაგრის აღებას.

მონღოლებს სასაცილოდაც არ ეყოფოდათ მულიდების მუქარა და... პირნიმნდად აღხოცავდნენ იქაურობას, ნაშთსაც არ დატოვებდნენ, რათა აღარავის გაებედა ასეთი თავზარდამცემი ბუდის ხელახლა შექმნა.

ხოლო ქართველებმა კიდევ უნდა გაივლონ ჯეკ უეზერფორდის თხრობისას.

აგერ: იეკე ხათუნი ნამდვილ სახალხო დღესასწაულად აქცევს შვილის ასვლას ყაენის ტახტზე... და ცერემონიაზე, რომელიც 1246 წლის აგვისტოში გაიმართებოდა და თავს მოიყრიდა იმპერიის შორეული კუთხეებიდან ჩასული უამრავი უცხოტომელი დელეგატი, და ემირები,

მმართველები და დიდებულები გზად შესაძლოა მეფეებსა და უფლისწულებს გადაჰყროდნენ, თურქეთიდან სელჩუკთა სულთანი ჩავიდოდა, ბალდადის ხალიფა კი ზეიმზე თავის წარმომადგენელს მიავლენდა, საქართველოდან მონღოლთა ულუსს სამეფო ტახტის ორი მაძიებელიც უნდა ხლებოდა, ორი დავითი: ერთი — მეფის კანონიერი შვილი, მეორე — მისი ძმის უკანონოდ შობილი ძე. ცერემონიას დაესწრებოდა ყველაზე საპატიო ევროპელი დელეგატი, ალექსანდრე ნეველის მამა, ვლადიმირისა და სუზდალის დიდი მთავარი იაროსლავ II ვსევოლოდის ძეც, რომელიც თორიგენე ხათუნთან წვეულების შემდეგ საექვო ვითარებაში უნდა დაღუპულიყო.

აგერ: ყაენის კარი კვლავ უნდა მიუბრუნდეს დასავლურ ორიენტაციას და ქრისტიანობამაც, როგორც დასავლეთის ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესმა მახასიათებელმა, დროებით უნდა აღიდგინოს თავისი პოზიციები იმპერიაში. ამას კი ხელი შეუწყოს ოქროს ოჯახის წევრთა ქრისტიანი ცოლების სიმრავლემ და ქრისტიანული ქვეყნების, კერძოდ, საქართველოსა და სომხეთის ურყევმა ერთგულებამ მონღოლებისადმი.

აგერ: ბალდადი ხუთასი წლის განმავლობაში მუსლიმური სამყაროს მთელ სიმიდირეს მოიხვეჭდა, ქრისტიანთა რელიგიურ ცენტრადაც იქცეოდა და ებრაელთა კულტურულ ცენტრადაც, ძალაუნებურად მიიპყრობდა ჰულაგუ ყაენის ცნობისნადილს, ოღონდ პირდაპირ კი არ დაიწყებდა იერიშს, კლასიკური მონღოლური დიპლომატიური წესის თანახმად ჯერ ელჩებს მიავლენდა ხალიფასთან და დაადანაშაულებდა: ჩინგიზ ყაენისათვის მიცემული ერთგულების ფიცი გატეხე და ასასინთა სექტის წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლაში ჯარი არ დაგვახმარეო. და თუ იგი არ აღიარებდა დანაშაულს და მონღოლებს უბრძოლველად არ დანებებოდა, ჰულაგუ დაიპყრობდა მის ქალაქს და მასაც და მის სახლეულსაც დაატყვევებდა.

ხალიფა, ასასინთა იმამისა არ იყოს, სრულიად ვერ გააცნობიერებდა მოსალოდნელ საშიშროებას, სასაცილოდ აიგ-

დებდა მონღოლთა მოთხოვნებს, როგორც უსაფუძვლოსა და სულაც აბსურდულს, და იქით დაემუქრებოდა დამპყრობელთ: მთელი მუსლიმური სამყარო, ბალდადიდან მალრიბამდე, ფეხზე დადგება ჩემს დასაცავად და არავის დაანებებენ თავიანთ დიდებულ ქალაქს. ღმერთი და ხალხი ბალდადს ხელში როგორ ჩაუგდებს ურწმუნოებსო.

ჰულაგუ რომ არად ჩააგდებდა ხალიფას შემონათვალს და 1257 წლის მიწურულს ბალდადზე პირველ იერიშს მიიტანდა, უფრო წინდახედულად მიუახლოვდებოდა ქალაქს, ვიდრე პაპამისი მოიქცეოდა მის ადგილას, მაგრამ ალყისას უკვე მრავალგზის ნაცად მონღოლურ სტრატეგიასა და ტაქტიკას გამოიყენებდა.

ჯარის შესავსებად კი მოიხმობდა მეომრებს ვასალური სახელმწიფოებიდან — საქართველოდან და სომხეთიდან. რამდენიმე თურქულ ტომსაც დაიხმარებდა და, როცა მთავარი ჯარი ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოარტყამდა ალყას ქალაქს, მოკავშირენი სამხრეთიდან და დასავლეთიდან მიადგებოდნენ.

როდესაც ბიოგრაფოსი აღნიშნავს მონღოლთა უნიკალურ ნიჭს — ყველაფერი, რაც ხელ მოხვდებოდათ, საბრძოლო იარაღად ექციათ, სათვალსაჩინოდ იხსენებს ბალდადის შემოგარენში ძალიან მაღალ ფინიკის პალმებს, არაბები საუკუნოობით რომ ზრდიდნენ და ელოლიავებოდნენ. მონღოლები კი რას მოერიდებოდნენ, მოჭრიდნენ და... მომაკვდინებელ ჭურვებად აქცევდნენ. ხოლო როდესაც ჰულაგუ მეომრებს თხრილსა და სანგრებს გაათხრევინებდა და შეტევას საზარელი დაბომბვით დაიწყებდა, არაბებს გააოგნებდა და დაზაფრავდა — იმათ კი იცოდნენ ბრძოლაში ცეცხლის გამოყენება, მაგრამ დენტს პირველად ახლა იხილავდნენ.

ქალაქის აღების შემდეგ ბალდადელი ქრისტიანები ერთმორწმუნე დამპყრობელთ რომ შეუერთდებოდნენ და მათთან ერთად დაიწყებდნენ ქალაქის ძარცვასა და მუსლიმთა ხოცვა-ჟლეტას, რაკილა საუკუნოობით დაგროვილი ბოღმა და სიძულვილი ერთბაშად ამოხეთქავდა, მეჩეთებსაც დაანგრევდნენ და ზოგიერთს ეკლესიად გადააკეთებდნენ, ამ სურათის აღ-

წერისას ჯეკ უეზერფორდი დაიმონმებს სომეხი ისტორიკოსის სიტყვებს: ქალაქის დაარსებიდან ხუთას თხუთმეტი წელი გავიდა, ბაღდადმა გაუმაძღარი წურბელასავით შთანთქა მთელი სამყარო, მაგრამ ახლა უკან აბრუნებს ყველაფერს; ის დაისაჯა სისხლისათვის, რომელსაც ღვრიდა და ბოროტებისთვის, რომელსაც სჩადიოდა; უკანონობისათვის მას სრულად მიეზლო, — გული გწყდება, რომ თხრობაში არ შემოდის რომელიმე პასაჟი ქართული ისტორიული მატრიანედანაც, თავისუფლად რომ შეიძლება შერჩეულიყო საკმაოდ უხვი მასალიდან, განსაკუთრებით კი ამოსის ველზე მომხდარი ის საკვირველი შემთხვევა, აბალა ყაენის სამსახურში ჩამდგარი ულუ დავითი რომ არაფრისდიდებით არა თანხმდება მონღოლთა მოთხოვნას: ბარახასა და მის სპასთან შებრძოლება არას გვარგებს ჩვენი სიმცირის გამო, ამიტომაც სჯობს ყაენისაკენ გავემუროთ და ვაცნობოთ მისი მოსვლაო, — და განუცხადებს დაუფინყარ და ისტორიულ სიტყვებს:

— არა არს წესი ჩუენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დალათუ იყოს სიკვდილი.

მონღოლნი ამის მოსმენისას კიდეც უნდა განცვიფრებულიყვნენ და კიდეც უნდა გამწყრალიყვნენ და ვედრება დაენყოთ ულუ დავითისა და მისი სპისათვის, ის კი არა, აბალას სახელითაც დამუქრებოდნენ, მაგრამ ფეხსაც ვერ მოაცვლევინებდნენ, ვიდრე სასწრაფოდ არ წარავლენდნენ შიკრიკს აბალა ყაენთან და არ აუნყებდნენ ქართველი მეფის ამ უჩვეულო საქციელს.

ყაენი იძულებული შეიქნებოდა აქეთ გამოჩქარებულიყო და ულუ დავითისათვის განეცხადებინა: ვიცი, თქვენი სიმხნევე ბრძოლებაში, თქვენ, ქართველნი, ურჩინ ხართ და შმაგნი, ეს რომ ჩემს რომელიმე ნოინს ჩაედინა, სიკვდილით დავსჯიდი, თქვენ კი ვერ მიგიჩნევთ ბრალეულებად, რადგანაც ჩვენი წესი არ უწყით, ან კი წინ დადექი შენი ლაშქრითო, — მას კი, ქართველ მეფეს, თავისი უნდა გაემეორებინა: არა არს ჩვეულება ქართველისა, რათა მტერი იხილოს და ზურგი შემოაქციოსო, — და დაე ყაენის ბედნიერ თვალს

ეხილა, თუ როგორ დასდებდა თავს ქართველობა სასიკვდილოდ მონღოლთა გამარჯვებისათვის.

მოხდენილად ჩაენვნოდა ეს ეპიზოდი ბიოგრაფოსის თხრობას, ისევე, როგორც ცოტნე დადიანის, კოხტისთავის შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილის, ჩასვლა ანისში, რათა თავის თანამზრახველთა ტანჯვა თვითონაც გაეზიარებინა — მცხუნვარე მზის ქვეშ გაშიშვლებულსა და თაფლნასმულს. ამ საქციელს კი დიდად უნდა გაეკვირვებინა მონღოლნი და მათი ნოინი: კაცმა თავი განირა სასიკვდილოდ და სული თვისი დადო მოყვასისათვის, რითაც წარმოაჩინა არამარტო პირადი სათნოება, არამედ ქართველთა ბუნება და დაადასტურა, რომ არ არსებობს სიცრუე მათ შორისო, — და შეთქმულების მონაწილენი უკლებლივ გაეთავისუფლებინა და გამოესტუმრებინა თავიანთ სამშობლოში.

ჩვენს ისტორიას ამშვენებს ცოტნე დადიანის ზნეობრივი ფიგურა, მაგრამ არ გამოგვრჩენია ნოინის ღირსეული მოქმედებაც — ისიც რომ ზნეობრივი პიროვნება არა ყოფილიყო, არამცთუ ვერ ჩანვდებოდა ქართველი გმირის საქციელის მთელს მშვენიერებას, ოდნავადაც ვერაფერს იგრძნობდა და, სხვა ტყვეები გაეთავისუფლებინა კი არა, გაიხარებდა, რომ ხელიდან დამსხლტარი კაციც იმათთან ერთად დაისჯებოდა, ხოლო ცოტნე დადიანის გამოცხადებას თავის ძალასა და უნარს მიაწერდა: ეს სადამდე წვდება და ეფინება ჩემი ძალაუფლება, იცოდა, რომ მაინც ვერსად დამემალებოდა და ამიტომაც მეახლა მორჩილადო.

მონღოლი ნოინის პიროვნული ღირსების გამოსაკვეთადაც რაოდენ ღირებულია ეს ეპიზოდი და დასავლელი მკვლევარი ხელიდან არც გაუშვებდა, საამისოდ რომ გვეზრუნა და ჩვენი საისტორიო წყაროები მათი ღირსების დარად დაგვეტრიანებინა საერთაშორისო სამეცნიერო და სალიტერატურო მიმოქცევაში.

ასე წარმოჩნდებოდა ჩვენი ისტორიული ამბები თუნდ ჩინგიზ ყაენის ბიოგრაფიის ფურცლებზე — შესაფერისად თხრობის მდინარებისა, და აღარც ჩვენ დაგვაკლდებოდა გულს და აღარც ჯეკ უეზერფორდის მხატვრულ-დოკუმენ-

ტურ რომანს მოაკლდებოდა თუნდ ორი-ოდე პასაჟი — მეტად საგულისხმო და თხრობის გამალამაზებელი.

და ვიდრე შევიძლებდეთ დასავლურ სამეცნიერო და ლიტერატურულ პროცესებში სრულყოფილებიან ჩართვას, რათა ჩვენი ისტორიისა და კულტურის მონაპოვარი თუ დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ეპიზოდები მსოფლიო-ისტორიული მოვლენების გააზრებისას აუცილებლად გამოიყენონ და თვითონაც გაიმდიდრონ ცოდნა და ჩვენთვის ძვირფასი თუ გულისშემძვრელი ამბები და თხზულებანიც შესაფერისად წარმოჩნდეს... დიახ, ვიდრე ამას შევიძლებდეთ, ის ხომ მაინცაა ხელმისაწვდომი, აგერ ჯექ უეზერფორდის „ჩინგიზ ყაენი და ახალი სამყაროს დაბადება“ ერთხელაც გამოიცეს და დაერთოს ვრცელი კომენტარები, სულაც ექსკურსები ჟამთააღმწერლის საისტორიო თხზულებიდან, ექსკურსებში კი სათანადო ადგილს ჰპოვებს სარგის ჯაყელის გმირული ფიგურაც, ულუ დავითის გადასარჩენად მის „დანაშაულს“ თვითონ რომ დაიბრალებდა, დიმიტრი თავდადებულის ჰეროიკული საქციელიც, ქვეყნის სახსნელად სიკვდილს რომ არად ჩააგდებდა, ავად მხარგრძელის თანმხლები ეჯიბის თავგანწირული სახეობაც, ალამუთის ციხის აღებისას ქართველთა სრულიად უსაფუძვლო დადანაშაულებაც ჩალატა ნოინის მკვლელობაში და კინალამ მათი ერთპირიანი გაუფუჟვაც გრიგოლ სურამელის გონივრულ რჩევას თავისი სასიკეთო როლი რომ უნდა შეესრულებინა... და კიდევ არაერთი ეპიზოდი თუ დეტალი, ბიოგრაფიული რომანის ფონზე კიდევ უფრო ხელშესახებად და კანთიელად რომ გამოიკვეთება და მისწრება იქნება ჩვენი ახალგაზრდებისათვის, თანაც, თუ ექსკურსებს დამატებად მიედევნება იაკობ გოგებაშვილის ისტორიული ნოველებიც, ამოზრდილი ჟამთააღმწერლის ქრონიკაზე და ნაგულისხმევი საქართველოს საყმანვილო ისტორიისათვის. მასთან ერთად კი თამაზ ნატროშვილის ისტორიული ესეები საქართველოს „მონღოლური ხანიდან“.

არც ილია ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და არც აკაკი წერეთლის

„ნათელა“ არ არის იმხელა პოემები, ადვილად არ მოთავსდეს იმ ხელმეორე გამოცემის ფურცლებზე.

ველარ გავყვებით მონღოლიადას ქართულ ლიტერატურაში, და დაე ჯექ უეზერფორდის ბიოგრაფიული რომანის ხელმეორე გამოცემის კომენტატორებს მივანდოთ მზერის მიდევნება იმ ნაკადზეც, მათი კულტის დასამკვიდრებლად რომ გამოიკვეთებოდა (გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ აბაშიძე...), და იმ ნაკადზეც, ეს მოდგმა ბარბაროსულ ძალად რომ შეირაცხებოდა, ჩვენთვის საზარელ და დამთრგუნველ მოვლენად (ვასილ ბარნოვი, ოთარ ჩხეიძე, გურამ გეგეშიძე...), ლექსები რომ იოლად შეემატება წიგნის დანართს, პიესებიდან და ვრცელი მოთხრობებიდან კი ამონარიდები შეიძლება ამოიკრიბოს, თორემ ჩინგიზ ყაენის ცხოვრების აღწერას უზარმაზარ გამოცემად ხომ არ აქცევ.

არადა, ჟამთააღმწერლის მონათხრობის თუნდ ერთ მონაკვეთში ოთარ ჩხეიძე იმდენ და იმგვარ სიუჟეტებს მიაკვლევდა, შექსპირულ ხლართებსაც რომ ამოზიდავდა და აგამემნონის ტრაგიკული თავგადასავლის თავისებურ ვარიაციასაც იგულისხმებდა, და თუ ვასილ ბარნოვს ვრცელი მოთხრობისათვის მხოლოდ ერთი გამოერჩია, დაე სხვანი სხვა ეპიზოდებს მოსჭიდებოდნენ — არანაკლებ დრამატულთ.

უზარმაზარ გამოცემად ხომ არ აქცევო...

გრიგოლ აბაშიძის ტრილოგია — „ლაშარელა“, „დიდი ღამე“ და „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამალღება“ — სულაც რას ჩაეტევა ჩინგიზ ყაენის ცხოვრებისა და მონღოლური ჟამის ქართულ გაგრძელება-ექსკურსებში, თუმც ფონად და გზამკვლევად კი ძალიან გამოადგება მკითხველს ამ რომანების უფრო ღრმად გასააზრებლად, მწერალი — თითქმის ოცი წელიწადი რომ ცხოვრობდა მეცამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრებით და მის სამუშაო მაგიდას არ მოშორდებოდა რაშიდ ადდინისა და იბნ ალასირის, ნესევისა და ჯუვეინის, ვასაფისა და კირაკოსის და სხვათა და სხვათა მათიანეები —

კიდევ უფრო ღრმად და მძაფრად შეიგრძნობდა „ქართლის ცხოვრების“ სანდოობას და სტრიქონთა შორის ნაგულისხმევ, დაფარულ აზრსაც უფრო მარჯვედ ამოიკითხავდა, უფრო დაბეჯითებით და სარწმუნოდ, და აღარც ამ ნაგულისხმევის შესაფერისი გაშლა გაუძნელდებოდა ინტუიციისა და მხატვრულ წარმოსახვათა წყალობით.

„ქართლის ცხოვრების“ მონუმენტური ძეგლი რამდენიმე დიდებული მათიანისაგან რომ შედგება, გრიგოლ აბაშიძე მათგან თავისი სწორუპოვრობით მაინც გამოარჩევდა ჟამთააღმწერლის თხზულებას და ტრილოგიისათვის ბოლოსიტყვაობად დართულ ვრცელ ნარკვევებში მკითხველსაც ამცნობდა: ჩემს ამ რწმენას ამ მათიანესთან მრავალი წლის განუყრელობამ და მეგობრობამ, თხზულებაზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ და სხვა წყაროებთან შედარებამ შეუქმნა საფუძველი.

ჟამთააღმწერელი — როგორც ისტორიკოსი და მორალისტი — ასე თუ ისე შესწავლილი რომ გახლდათ, მწერალს გულს აკლდა, რომ იგი ჯერაც შესაცნობი და გასააზრებელი იყო როგორც მხატვარი და ფსიქოლოგი, ვინც არა კმარობდა მთხრობელის როლს და ცდილობდა ჩანვდომოდა ისტორიის კანონებსაც და ამ ისტორიის შემოქმედ ადამიანთა სულსაც, და ამასთან ხელშესახებად ხატავდა, პლასტიკურად აღადგენდა დიდი ხნის წინათ მომხდარ ამბებს და ისე აცოცხლებდა სურათს, თითქოს და აჰა, ჩვენს წინაშე ახლავდა ხდებო.

სანიმუშოდ არაერთ პასაჟს რომ მოიხმობდა, საგანგებოდ გადმოიწერდა მონღოლთა გარეგნობის აღწერას და დასძენდა: ამგვარ აღწერას იმ დროის ყველა ისტორიკოსი დიდ ადგილს უთმობს, მაგრამ ჟამთააღმწერლის მიერ დახატული მათი გარეგნობა მართლაც რომ კლასიკურად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც გვაოცებს თითქმის ფოტოგრაფიული სიზუსტით, ნაკვეთებისა და ასოთა აღწერილობის ზედმინევილობითო:

— იყვნენ ტანითა სრულ, გვაითა ახოვან და ძლიერ ფერხითა, შვენიერ და სპეტაკ ხორციითა, თვალითა მცირე ჭვრიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო; თავითა

დიდ, თმითა შავ და ხშირ, შუბლბრტყელ, ცხვრითა მდაბალ ესოდენ, რომელ ლანჯნი უმაღლეს იყვნინან ცხვრითა და მცირედნი ოდენ ნესტენი ჩრდიან ცხვრითა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოვლად უწვერულ...

ხელთ რომ ჰქონოდა, ჯეკ უეზერფორდიც უთუოდ მოიხიბლებოდა ამ მართლაც კლასიკური აღწერით და გადაიტანდა თავის რომანში, ისევე როგორც ჩინგიზ ყაენის პორტრეტს, ქართველი მემატიანის თვალთა გააზრებულს:

— ესე იყო ჰაეროვანი და შუენიერი, ტანითა ახოვანი, თმითა მომწითურო, ძლიერი, მხნე, შემმართებელი, მოისარი ხელოვანი, ღრმად გამგონე, განმზრახავი სვიანი.

ეს პასაჟი კი შესაძლოა ეპიგრაფადაც წაემძღვარებინა ჯეფრი ჩოსერის სტრიქონებთან ერთად:

— ჩინგიზ ყაენი აღვიდა მთასა მაღალსა, და გამოუჩნდა უფალი იესო ქრისტე, ღმერთი ყოველთა, და მან ასწავა სამართალი, სჯული, სინმინდე და სიმართლე, ტყუილისა, პარვისა და ყოვლისა ბოროტისაგან განშორება და რქუა: „თუ მცნებანი ესე დაიმახნე, ყოველი ქვეყანა შენთვის და ნათესავისა შენისათვის მიმიცემიეს. წადი და აღილე ყოველი ქუეყანა, რაოდენიცა გეძლოს“.

და თხრობისას კიდევ მიბრუნებოდა და ყოველმხრივ დაკვირვებოდა ამ სტრიქონებს, მასაც და ჩინგიზ ყაენის სხვა აპოლოგეტებსაც ძალიან რომ გაახარებდათ; აქამდე მისვლას ჩვენით ვერც გავბედავდით, მოფიქრებითაც არ მოგვაფიქრდებოდა, არამცთუ ამ საკვირველ სურათად გვექციაო.

ეს კიდევ ცალკე გასააზრებელია, რას შეიძლება გამოეწვია ქართული მათიანის ფურცლებზე ამ პასაჟის გამოჩენა, ჩინგიზ ყაენს თვით იესო მაცხოვარი რომ ხვდება მთის მწვერვალზე და აგზავნის ზეციური დავალების შესასრულებლად.

ანუ: ახალი სამყაროს დასაბადებლად.

და ამას ირწმუნება არა „მონღოლთა საიდუმლო ისტორია“ თუ ჩინგიზ ყაენის კარის მემატიანე, არამედ საკმაოდ მოგვიანო ხანის ქართველი ჟამთააღმწერელი, რომლის მათიანის ფინალური მონაკვეთ-

იც დაკარგულიყო, თუმც ვარაუდი გამ-
ოითქმოდ, რომ იგი მოსწრებოდა გიორ-
გი ბრწყინვალის მიერ მონღოლთა განდევ-
ნას საქართველოდან, და ეს — საუკუნით
ადრე, ვიდრე რუსეთი, ეს უზარმაზარი
სახელმწიფო, შეძლებდა მონღოლთა უშუ-
ალო მფლობელობიდან თავდაღწევას.

რუსეთი, რომელიც მონღოლთა შექმ-
ნილია.

და ტყუილუბრალოდ ეპოტინება მესა-
მე რომის სახელს, თანაც როგორი თვით-
რწმენით: მეოთხე რომი აღარც იქნებაო.

ის მესამე რომი კი არა, მეორე მონღო-
ლეთია, თუმც... ის სულსიკვეთება რომ
შენარჩუნებინა დაპყრობილი და თავის
გავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყნების მი-
მართ, კიდეც რა უშავდა.

არ მოენდომებინა ეროვნულ ნიშან-
თვისებათა და წეს-ჩვეულებათა ნაშლა.

არ დახარბებოდა ენებისა და ხალხთა
შერწყმის იდეას და რუსული ენისა და
რუსული მოდგმის გაბატონებას მსოფლი-
ოში.

მათ მიერ დასახული გლობალიზაციის
პროცესი, ისედაც ანტიბუნებრივი, ანტი-
ხალხური მოვლენა, ასეთი სასტიკი მაინც
არ ყოფილიყო.

ჯერ მონღოლებს რა გაუვიდათ შემწყ-
ნარებლური დამოკიდებულებით ერებისა
და ეროვნული ენებისა და სარწმუნოე-
ბრივი თავისუფლების მიმართ — ხომ
მაინც დაემხო მათი იმპერია, და რუსეთი
რას მიაღწევდა თავისი უღმობელი პოლი-
ტიკით, ადრე თუ გვიან ისევე რომ მოელის
დაშლა მათ ფედერაციას, როგორც საბჭო-
თა კავშირის დამხობას ვერ გადაურჩენ.

ეს მაინც რა არის, ამერიკის შეერთებუ-
ლი შტატებიც რომ ვერ ითვალისწინებს
რუსეთის გარდუვალ ხვედრს და, ნაცვლად
იმისა, მონღოლთა გზას დაადგნენ, თუკი
არ დაუშლიათ მსოფლიო გლობალიზაცი-
ის მეტაბრახტრეობის ხელში ჩაგდება,
რუსეთის პოლიტიკურ გეზს იმეორებენ,
უფრო შენიღბულად, მაგრამ ეროვნული
თავისებურებების არსებობას ვერც ეს მე-
ორე ზესახელმწიფო ითმენს და ცდილობს
ლიბერალური გლობალიზმის შემწეობით
მიაღწიოს იმას, რასაც ვერ ეღირსა რუსუ-
ლი სოციალისტური გლობალიზმი.

დემოკრატია კი ერთნიც ისევე გაიძა-

ხიან, როგორც მეორენი და... ამ ნიღბის
ქვეშ ჩაუმაღავთ რუსეთისა და ამერიკის
ხელისუფალთ ერებისა და, მათ შორის,
ჩვენი დასაკლავი დანა.

ისე მონღოლებსაც ასე ეგონათ, რომ
მსოფლიო განერთხმოდა მათი ცხენების
ფლოქვებქვეშ — სამარადისოდ!..

და თუ პატივს მივაგებთ ჩინგიზ ყაენის
სახელს, იმ უნიკალური გავლენის გამ-
ოისობით, ჯერ კიდევ 1620 წელს რომ აღი-
არა ინგლისელმა მკვლევარმა და ესეის-
ტიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ფრენ-
სის ბეკონმა და ევროპაში მონღოლთა
მიერ დანერგილი ტექნოლოგიური ცვ-
ლილებების მთავარ სვეტებად მიიჩნია:
ბეჭდვა, დენთი და კომპასი, — ანუ ის,
რაზეც აიგებოდა თანამედროვე სამყარო.
ეს სამი გამოგონება შეცვლიდა მსოფ-
ლიოს, თვით ამ ინოვაციებზე უფრო მნიშ-
ვნელოვანი კი ის ურიცხვი ცვლილება გახ-
ლდათ, მათ რაც მოიტანეს.

ქალაქი ევროპაში მონღოლთა მოსვ-
ლამდეც რომ ცნობილი იყო?

მაგრამ მას იშვიათად იყენებდნენ.

და მხოლოდ ახლა უნდა დანყებულიყო
მისი გამოყენება იმ დაუცხრომლობით,
ბეჭდვა ხელს რომ შეუწყობდა ბერძნული
კლასიკის აღორძინებას, ნაციონალიზმის
აღმავლობას, რეფორმაციის აფეთქებას,
მეცნიერების დაბადებას, არსებითად, ცხ-
ოვრებისა და მეცნიერების ყველა ასპექ-
ტის განვითარებას — აგრონომიიდან ზო-
ოლოგიამდე.

რენესანსის ხანა ამოიზრდებოდა მონ-
ღოლთა იმპერიის ძირითად პრინციპებზე
და:

— ქალაქის ფული, სახელმწიფოს
უზენაესობა, რელიგიის თავისუფლება,
დიპლომატიური იმუნიტეტი თუ საერთა-
შორისო სამართალი საუკუნით ადრე გან-
საზღვრავდა ევროპის განვითარების
გზას.

თავისებურად სიმბოლური აღმოჩნდე-
ბოდა, რომ ფრანცისკანელთა ტაძრის
ფრესკებზე... მონღოლური იერი აღიბეჭდ-
ებოდა. ის კი არა, ზოგიერთ გმირს მხ-
ატვრები მონღოლურ სამოსსაც კი ჩააც-
ვამდნენ.

კი მაგრამ... ტაძრის ფრესკებზე გამო-
სახული სცენები იესო ქრისტეს ცხოვრე-

ბიდან ხომ ათასზე მეტი წლით ადრინდელია მონღოლთა იმპერიაზე?

თუმცა ევროპელი ხელოვანნი მონღოლთა მიერ შემოტანილი ჩინური და სპარსული მხატვრობის თემებსა და ტექნიკას რომ მოიმარჯვებდნენ, ეს ნახატები ფრთას ჰკრავდა მათ შთაგონებას და ჯოტო, ბონდონე თუ მათი მიმდევარნი, ასიზის ფრანცისკანელთა მონასტერს რომ მოხატავდნენ, ამ გავლენას თავს ვერც დააღწევდნენ და არც დააღწევდნენ.

და რაოდენ უცნაურად ეხამება ერთმანეთს სახარებისეული ეპიზოდები და მონღოლური იერი!..

ჯეკ უეზერფორდი დაუფარავი აღტაცებით მოიხსენიებს შუა საუკუნეთა ევროპული ხელოვნების ნიალიდან აღმოცენებულ ახალ ჰიბრიდს, რომელიც არც მკაცრად ევროპული გახლდათ და არც ერთმნიშვნელოვნად აზიური, რადგანაც ეს სიღრმისეული სტილი, რომელიც სინათლეს, ქსოვილებსა და ცხენებს გამოსახავდა, ცნობილი უნდა გამხდარიყო რენესანსული ხელოვნების სახელით.

აგერ კიდევ პადუის ტაძრის ფრესკაზე გამოსახული ქრისტეს პერანგი — მონღოლური ქსოვილისა და სტილისა, შემკული ფხაგბას ანბანის მონღოლური ლიტერებით.

— დამწერლობისა და სამოსის პირდაპირი ალუზია მონღოლურ კულტურასთან ადასტურებს იტალიური რენესანსის უტყუარ კავშირს მონღოლთა იმპერიასთან.

ბიოგრაფოსის აღტკინებას რაღაც აკლია, ან რაღა რაღაც, განძივით ჩაუვარდებოდა ხელთ ქართული მატყანის ის პასაჟი, ჩინგიზ ყაენი მთის მწვერვალზე იესო ქრისტეს რომ უნდა წარუდგეს და მისგან შეითვისოს სამართალი, რჯული, სინმინდე და სიმართლე და მიიღოს ნებართვა და დავალება — აიღოს ყოველი ქვეყანა, სად-

ამდეც შეიძლებს და განვდება.

ეპიგრაფადაც რომ მოიმარჯვებდა და ევროპული რენესანსის ერთ-ერთ საფუძვლად მონღოლურ გავლენაზე მსჯელობისასაც რომ დაისაჭიროებდა ჟამთააღმწერლის ამ სიტყვებს, იქნებ ბიოგრაფიული რომანის კომპოზიციური ჩარჩოც ამ სცენაში მოექცია, თუმცა ურიგო არც ის ჩარჩოა, რასაც მარჯვედ მიაგნებდა და ჩინგიზ ყაენის სულდეს ანუ სულის ალამის დაკარგვისა და მისი ძიების ქარგად გაშლიდა.

სულის ალამი ჯერჯერობით გამქრალია.

ზოგს მიაჩნია, რომ ის რუსეთის იმპერიის კომუნისტურმა ხელისუფლებამ გაანადგურა ჩინგიზ ყაენთან საბოლოო ანგარიშსწორების მიზნით.

მაგრამ ჯერაც ხომ მოიპოვებთან ადამიანები, რომელნიც იმედოვნებენ, რომ შესაძლოა ახალი სამყაროს დემიურგის სულდე სადღაც მტვრიან სარდაფში გდია და ერთ მშვენიერ დღეს კვლავ გამოჩნდება, რათა მონღოლებს ნათელი მომავლისაკენ წარუძღვეს.

მარტო მონღოლებს ვითომ?!.

* * *

დიდ მბრძანებელს ჩინგიზ ყაენი ერქვაო, — ირწმუნებოდა ჯეფრი ჩოსერი, მთელ სამყაროს მოსდებოდა ვისი დიდებაც და არვინ იყო ცისქვეშეთში მისი ბადალიო.

მცნებანი ესე დაიმარხეო, — იესო ქრისტესა და ჩინგიზ ყაენის შეხვედრის სცენას გულათრთოლებული წარმოსახავდა ქართველი ჟამთააღმწერელი.

და ამჟამად კი მისი სულდე..

იქნებ პირწმინდად და სამუდამოდაც განადგურებულა და გამქრალა.

მაგრამ... იქნებ ჯერაც გდია სადღაც მტვრიან სარდაფში, კრთის, ბჟუტავს და ცის გახსნას ელოდება!..



ოლეგ გოლიაძე

მოქალაქე, ჯენტლმენი, პოეტი

მოქალაქეში ნებისმიერ მცხოვრებს რომ არ ვგულისხმობთ, ამას მკითხველიც კარგად მიხვდება. წერილის მიზანია არაერთი ლიტერატორის ნაფიქრალ-ნააზრევის გათვალისწინებით გესაუბროთ ერთი ზნემაღალი, თავმდაბალი მოქალაქის, ჯენტლმენის, პოეტის — დავით მალრაძის შესახებ.

სტატიაში მოქცეული მსჯელობანი, მხოლოდღა იმითაა შეპირობებული, რომ სათანადოდ წარმოვაჩინოთ პოეტი-მოქალაქე. აქვე დავძენ: ჩვენი მიზანი არაა დავით მალრაძის, როგორც პოეტის ქმნილებათა ე.წ. განხილვა თუ შეფასება, გულახდილად მოგახსენებთ, ვარ ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტი ლიტერატურული ეტიკეტის სფეროში და მინდა, ვისაუბრო ცნება „ჯენტლმენის“ შესახებ დავით მალრაძესთან მიმართებაში.

მიხაილ ზოშჩენკო ენამწარობდა, ლიტერატურა მხოლოდღა შარვლის შეკერვა როდია, თუმცა ყველა მკერავს როდი ეხერხება შარვლის შეკერვაო... არადა, მან იცოდა, თუ იცოდა, რასაც ამბობდა. პატივმოყვარეობამ, ქედმაღლობამ, ყალბმა „მაღალმა პროფესიონალიზმმა“ იმდენად მოიკიდა ფეხი ჩვენს დღევანდელობაში, რომ მირიადი დილექტანტი საკუთარ პიროვნებას უსამანოდ განადიდებს, თავს იქებს, თავყანისმცემლებს ეძიებს, სახელის მოხვეჭას ცდილობს და ზოგჯერ აღწევს კიდეც საწაფელს. არადა, სახელი და დიდება საკუთრივ თვითგანდიდების გარეშე უნდა მიეახლოს ჭეშმარიტ პიროვნებას, თავისი ქმედებითა და პროფესიონ-

ალიზმით გამორჩეულს. ჩვენეული მსჯელობის დასტურად მოვიხმობთ კრიტიკოს ივანე ამირხანაშვილის ერთ ციტატას: „საქართველოში თითქმის არავინ იცის, ვინ არის სერჯო კორნაკი, მაგრამ სერჯო კორნაკიმ იცის ვინ არიან ქართველები. ეს კალაბრიელი კაცი საქართველოსთან ლექსმა დააკავშირა. ისე მოენონა დათო მალრაძის „ყაზბეგის ქუჩა 14“, რომ თბილისში ჩამოვიდა მეუღლითურთ და სამახსოვრო ფოტო გადაიღო ავტორთან ერთად ყაზბეგის ქუჩაზე.

რა უნდა მოსწონებოდა იტალიელ კაცს ქართველი პოეტის ლექსში, ალბათ ის, რაც იქ სწერია: მშობლიური სახლის ნოსტალგია, სტუმრები, დედა, მამა, ადამიანურ ურთიერთობათა ხიბლი, მამის ნასვლა და სევდის სადგურად გადაქცეული სახლი, რომელიც იყო...“

ადამიანურ ურთიერთობათა ხიბლი, უცხოელი სტუმრის მიერ შემჩნეული, მასპინძლის — დავით მალრაძის ზოგადადამიანური, ზოგადმოქალაქეობრივი ქცევის ეტიკეტზეც მიგვანიშნებს უთუოდ, მისთვის სისხლხორცეულია, გაცნობიერებული აქვს და შეთვისებული ამა ქვეყნის ცხოვრებისეული რეალობები, იცის სამყაროსეული გარემოებანი. უადგილოდ არ გვესახება ამ კონტექსტში მარკუს ავრელიუსის განსჯანი: „თუ სამყაროსათვის უცხოა ის, ვინც არ იცის, რა ჰგვის მასში, არანაკლებ უცხოა ისიც, ვისთვისაც დაფარულია, რა ხდება მის წიაღში, მოღალატეა, ვინც გაურბის მოქალაქეობის პრინციპებს“.

დათო მალრაძე არასდროს ყოფილა

თანამდებობებისა თუ კარიერის მიმართ „გარდარეული“ სიყვარულით აღტკინებული. იგი 2014 წელს გამოცემული ორტომეულის („სარკმელი“, „ექო“) წინასიტყვაობაში წერს: „ხშირად მასახელებენ სხვადასხვა თანამდებობაზე. გამოდის, რომ უნდა შევითავსო პრეზიდენტობა, ბორდის თავმჯდომარეობა, თბილისის მერობა და კიდევ რა ვიცი, რამდენი რამ. არადა, ბევრად უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი საქმე მაქვს, ვიდრე პრეზიდენტობა, მერობა და ბორდის თავმჯდომარეობა“.

ეს განაცხადი იოტისოდენადაც არაა ლიტონი. დავით მაღრაძე გახლდათ საქართველოს კულტურის მინისტრი, მოგვიანებით პარლამენტის წევრი. ეს ერთობ საპატიო და საპასუხისმგებლო რეგალიები მან საკუთარი ნებით მოიხსნა. ვფიქრობთ ქართულ რეალობაში ამგვარი პრეცედენტი ერთობ იშვიათი მოვლენაა, რაც დავით მაღრაძის ზნემაღალ პრინციპულობაზე მეტყველებს.

*„ძველ უმეტრების ახალ ვერსიას,
(როდესაც ძველი ჩნდება სამიზნე),
მოხელის პრანჭვას და აგრესიას
ან ენოდება ლიბერალიზმი“.*

ერთგან ბაჩანა ბრეგვაძე წერს:

„...უნდა ვცდილობდეთ სულ უფრო და უფრო მეტად გავაფართოვოთ ჩვენი ცნობიერების ფარგლები, რათა შეძლებისდაგვარად, მეტის მომცველი გავხადოთ იგი...“ ამ სფეროში წარმმართველ ძალად ისახება ლირსეული მოქალაქე, ხელოვანი (პოეტი, მწერალი), ინტელიგენტი, ჯენტლმენი. სანიმუშოდ, წინამდებარე სტატიის ერთი ამათგანის პიროვნული ნიშნების კვალობაზე შევეცადეთ საკითხის არსის წარმოჩენას...

ჯენტლმენი – გვაუწყებს ერთი ლექსიკონი, არის ქცევის ნესების ერთობლიობის მქონე კაცი, გამორჩეული შინაგანი, სულიერი დახვეწილობით, გარეგანი მანერებითა და ჩაცმულობით, რეგლამენტირებული ეტიკეტის დამცველი. ჭეშმარიტი ჯენტლმენი იგია, ვინაც ყოველთვის ჯენტლმენურად ირჯება. ფრანგების თქმით, ჯენტლმენი არის ის პიროვნება,

ვინც ასეთია მაშინაც, როდესაც თავის თავთან მარტო რჩება, რაც ცხადია იმას გულისხმობს, რომ სხვათა დასანახად, ფარისევლურად მოქცევა უკვე აღარაა ის, რასაც „ჯენტლმენობა“ ჰქვია...

ეპოქების, დროის მდინარეების ცვლილებათა მანძილზე თანდათანობით ყალიბდებოდა ცხოვრების წეს-კანონთა ნიშანთვისებები, რომელნიც აისახებოდნენ მეცნიერთა, სწავლულ კაცთა, მწერალთა ნაწერ-ნააზრეებში, ოღონდ მავანთა იდეოლოგია ოდენ ფორმალისტური იყო. სანიმუშოდ მოვიხმობთ სტატიის ადრესატს, რომლის საზოგადოებრივი, შემოქმედებითი „პოეტური“ იდეოლოგია თავისთავად გამორიცხავს ფორმალისტური თავმოთნეობის ჯადოს, ვინაიდან მისთვის მთავარია არამარტო ვერსიფიკაცია, არამედ ვერიფიკაცია – ჭეშმარიტების დადგენა, რაც, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე ყოფიერების არსის გარკვევას გულისხმობს. „სალამი წრფელობას! კეკლუც სტროფს – უარი!“ ამ აზრს იგი ხშირად გამოთქვამს სხვადასხვა ფორმით, თითქოს ამონებებს თავის მდგრადობას, თავის პოეტურ ნებელობას“. (ივ. ამირხანაშვილის წიგნიდან: „დაკარგული ავტორის ძიებაში“, თბ. 2014 წელი. გვ.74).

საზოგადოდ, შემჩნეულია და თითქმის ეჭვს გარეშეა ის მოვლენა, რომ უკანასკნელ ხანს არამარტო ჩვენში, არამედ სხვაგანაც მომრავლდა ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც მოჭარბებულად აქვთ აღმატებული წარმოსახვები, ზომაზე მეტად ამბიციური და, აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოდ, დაუმსახურებლად პრეტენზიულნი არიან, იწოდებიან „ინტელიგენტებად“, „ჯენტლმენებად“, მაგრამ, სამწუხაროდ, და ეგების, საბედნიეროდაც კი, ავიწყდებათ ერთი აქსიომური ჭეშმარიტება: რამდენადაც აღმატებულია ადამიანი ინტელიგენტობის ნიშნულამდე, მით უფრო უბრალო, თავმდაბალია იგი...

ყველაფერ ამის სანიმუშო გამოვლინებად, სამაგალითოდ, სათვალსაჩინოდ, მკითხველისთვის გასათვალისწინებელ-გასახსენებლად ამ თვალთახედვით ნიშან-

დობლივად მოჩანს ზოგიერთი შემოქმედებითი კავშირის თანამდებობრივ პირთა არჩევნების ამსახველი სატელევიზიო კადრები, პრესაში გამოჟონილი ფაქტები და კულისებს მიღმა მიმდინარე პროცესები... ან კიდევ სავალალოდ, მწარე ღიმილის მომგვრელად, პერმანენტულ მოვლენად ქცეული რაგინდ ხასიათისა თუ დონის პოლიტი-არჩევნებისეული შეხლა-შემოხლანი...

რუსეთში და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ინტელიგენციის დეგრადაციის საკითხი უკვე პრობლემად იქცა, მტკივნეულ იარაღად, ისეთ რამედ, რაც პრინციპად, კატეგორიულ, ქმედით წინააღმდეგომ საშუალებებს ითხოვს... ნუ გაიკვირვებთ და თვით ინტელიგენტი მანდილოსანი, ფსიქოლოგი, გაბეზრებული დღევანდელი ყოფით, ასეთ რასმე იზრახავს: „...ჩანს, მოვიძიე ადექვატური საშუალება. პოლკოვნიკმა კოლტმა (ავტომატური, მჭიდრიანი რევოლვერის გამომგონებელი. ავტ.) სუსტა და ძლიერთა შანსები გაათანაბრა. ვიყიდი გაზის პისტოლეტს, რომელიც ძალიან ჰგავს ნამდვილს და სოლიდურად გამოიმზირება... მესმის, რომ სახიფათოა, მესმის, რომ, შესაძლოა, საწინააღმდეგოდ შემომიბრუნდეს, ვაცნობიერებ, რომ ეს არ უწყობს ხელს საზოგადოების ცივილიზაციურად გარდაქმნას..., მაგრამ თქვენ, კაცებო, გინდათ ჯუნგლები? თქვენ მას მიიღებთ!..“

ღიმილის მომგვრელია?... გავიზიაროთ?... ვფიქრობთ, ყველამ თვითონვე უნდა მიხედოს თავის პრობლემას. ქართველებს ამის თაობაზე შესანიშნავი შეგონება-ანდაზები გვაქვს, ზოგან კი „ინტელიგენტობის“ ჩვევათა შემსწავლელი კურსებია გახსნილი... ზოგან არაინტელიგენტური საქციელი ადმინისტრაციული სანქციებით ისჯება...

ჩვენთვის, ქართველებისათვის სადაა „გზა ხსნისა?“ ... გზა ბევრია, მაგრამ „ჯენტლმენობისაკენ“, „ინტელიგენტობისაკენ“ სავალი მანძი ისევ და ისევ ჩვენი წინაპრების ჯანსაღ ტრადიციულ ყოფაშია საძიებელი... ამგვარ, ზნემაღალ წრეშია აღზრდილი პოეტი და მოქალაქე დავით

მალრაძე – კეთილშობილი პიროვნებების — ბაბუის, მამის, დედის, მამიდის (XX საუკუნის ქართული პედაგოგიკის სანიმუშო, თითქმის ლეგენდად ქცეული „თამარა მასწავლებელი“...).

დავით მალრაძე არის საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის ავტორი და აქტიური მებრძოლი სიტყვის თავისუფლებისათვის.

2005 წელს წიგნისთვის – „SAL VE “ იგი დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფო პრემიით. ასევე 2005 წელს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა „ოქროს ფრთით“ შეამკო.

2005 წელს მიენიჭა პრემია „საგურამო“.

2009 წელს სიტყვის თავისუფლებისათვის აქტიური საზოგადოებრივი პუბლიცისტური მოღვაწეობისთვის დათო მალრაძე ვერონას კულტურის აკადემიამ დააჯილდოვა ალბანელი პოეტის ანტონ მაზრეკუს (1908-1969) საერთაშორისო მედლით.

2008 წელს დათო მალრაძეს წიგნისათვის „SAL VE “ ქ. ლუგანოში, „უნივერსუმმა“ IX რომაული საერთაშორისო ლიტერატურული პრემია „ვეროპის“ სპეციალური პრიზი – მისი უწმინდესობის ბენედიქტე XVI სახელობის ვერცხლის მედალი გადასცა.

2009 წელს პარმა-პიაჩენცას ბორბონების სამეფო სახლმა დათო მალრაძე დააჯილდოვა წმინდა გიორგის ორდენით და მიანიჭა მას რაინდის I ხარისხის ტიტული.

სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ჟურნალ-გაზეთებს, უფლებდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს.

1991 წელს იოსებ ბროდსკის პირადი რეკომენდაციით დააფუძნა ქართული პენ-ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა 2010 წლამდე.

2009 წლიდან არის ამერიკის პოეტების აკადემიის წევრი.

დათო მალრაძე არის მრავალი ლექსების წიგნის ავტორი.

ლექსების წიგნი „SALVE“ თარგმნილია და გამოიცა სხვადასხვა ქვეყნებში:

გერმანია, ბერლინი 2005წ. (გამომცემლობა: FRIELI),

იტალია, გენუა 2006 (გამომცემლობა LA LONDR),

თურქეთი, სტამბოლი 2007 (გამომცემლობა: YERALTI UAENLARI),

რუსეთი, მოსკოვი 2008 (გამომცემლობა: GHITAT),

ლექსების წიგნი - „FOR YOU“ - ამერიკის შეერთებული შტატები, ნიუ-იორკი 2009 (გამომცემლობა: COLOR PAGE),

პოემა „ჯაკომო პონტი“ (2011-2016წ.წ.) თარგმნილია და გამოცემული თურქეთში, ინგლისში, იტალიასა და რუსეთში.

ლექსების წიგნი „ეკო“ გამოცემულია ინგლისსა და იტალიაში.

2016 წლის ივნისში თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო აკადემიამ “AIAMA” წიგნ „ეკოსათვის“ მას მიანიჭა ჯაკომო ლეოპარდის სახელობის პირველი პრემია და ოქროს მედალი.

ყველა ზემოთნათქვამი მეტყველებს დავით მალრადის არამარტო პოეზიის აღიარებაზე, არამედ მისი, როგორც პიროვნების ღირსებათა აღიარებაზეც.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი სატელევიზიო საუბრები საზოგადოებრივ არხზე, რომელნიც ჩვენი ტელემაყურებლის მართლაც უდიდეს ინტერესს იწვევს გადაცემათა ციკლის მრავალფეროვნებითა და აქტუალურ-შემეცნებითი საკითხებით.

და ბოლოს ამ ოპუსში თვით დავით მალრადის სიტყვებიც მოვიხმოთ: „სამშობლო სილამაზის კონკურსში არ მონაწილეობს, რადგან ცრემლი ურევია და იმ ცრემლნარევი ბედნიერებით არის ყველაზე მშვენიერი. მე ნუ მეკითხებით საქართველოს რა სჯობსო, რადგან მე ალავერდის ტაძარს ხელისგულებს რომ დავაწყობ, ის, რაც ჩემში იღვრება, კოლიზუმიდან არ გადმოვა; ეს ჩვენი საუბარი თუ ვინმესთვის მნიშვნელოვანია, იმ ვინმემ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ გვაქვს ხვალინდელის იმედი, რადგან ჩვენს გვერდით არიან ისეთი ახალგაზრდები, ვისი იმედიც უნდა გვქონდეს. ხვალინდელ დღეში წადით და წაიღეთ ეს სამშობლო. მე ნუ მიტოვებთ, ატარეთ!“



ამირან არაბული

სულუქცევრად საკითხავნი

იპ, მთაში

„მე ვლაპარაკობ იმ კულტურაზე, რომელიც ქართველ გლეხს თოხზე დააყრდნობს ისე ლამაზად, როგორც დედამიწის ზურგზე ვერავინ დადგება... ეს პლატიკაა, ანუ ადამიანის სულის მწვერვალები...“

ვახტანგ კოტეტიშვილი

სოფელში შესვლამდე ჩამოქვეითდა. შორი გზისგან დაღლილ ცხენს წინ წაუძღვა. ჯერ ბერხვნიეზე გამოსულ კაცებს მიესალმა, მერე შეხავსული ყორის ძირში მერცხლებივით ჩარიგებული ბერდედები მოიკითხა. გაიმანძილა და ხაგირის წაროსთან მოგროვილ ქალ-ზალს გაესაუბრა...

კისრიდან აღვირის ტოტებჩამოყრილი სალარი ნამშემურალ ბალახს ეწვდებოდა და ფრუტუნებდა. პატრონს ეურჩებოდა და გან-გან ინევდა. გამონასკეული ძუა და ჩამონწული ფაფარი შვენოდა. შუადღის მცხუნვარე მზეზე უბზინავდა ოფლით დაცვარული მკერდი — მაღალი და ღონიერი. უხდებოდა უნაგირის ქრელი საფენი. თვალს იტაცებდა ვერცხლის ნატიფი სამკაულებით ლამაზად განყობილი სამკერდული და შავი, ახალთახალი მოსართავები...

ბილიკმა საგრილაის ხევისკენ შეუხვია. ბებერაგორს რომ გასცდნენ, მხერადი მარდად მოევლო ადგილზე აცეკვებულ ცხენს. ფერდებში მსუბუქად შემოჰკრა ქუსლები და ჩორთით გაატარა ჩხერსა და ჩორეხში გაჭრილი საეგებო გზაში... მალე ცის ტატნობზე გაილანდნენ. ცოტაც და, გორს იქით გადაეფარნენ. წავიდნენ და

თან წაიყოლეს ავკარგიანი სოფლის მომთაბარე მოსახლეთა მლოცველი, მზით სავსე მზერა...

რანი ვიყავით

დღეს, ფუნდამენტურ ღირებულებათა რღვევისა და სულის კოროზიის პირობებში, ალბათ ბევრისთვის ცარიელ სიტყვებად და დაუჯერებელ ამბად აღიქმება კაიყმობის ხალხური კოდექსის ის მუხლი თუ ნაწილი, რომლის გამო ფშავ-ხევსურეთში ხუთ წელიწადს ნამყოფი და ნაყოფიერად ნაღვანი მკურნალი გიორგი თედორაძე წერს: **„...თუ რომელიმე ხევსურის ძმა ან შვილი ჩხუბის დროს იჯანებს მეშულღეს, მაშინ ძმა ძმას ან მამა შვილს კი არ ეხმარება, არამედ იმას, ვინც თავის უძლურობით დაჩაგრულია...“**

ძღეულისა და ნაქცეულისადმი ძალადობრივი მოპყრობა, რაც ქართული მიტინგების უმონყალო დარბევის ამსახველ ვიდეოკადრებში გვინახავს, ჩიაკაცობისა და სულმდაბლობის ის ამაზრზენი გამოვლინებაა, რომლის იქით შუბლზე „მეშგაკრულ“ და „უგრძნობელობის გზაზე შემდგარ“ (ვაჟა) ე.წ. „წესრიგის დამცველთა“ სრული ნახდენა, გათახსირება და გაპირუტყვება იწყება. ხოლო ის, ვინც ურჩ „მეამბოხეთა“ თუ პროტესტანტთა სადამსჯლო განკარგულებას აწერს ხელს, პოტენციურად ყველაფერზე ხელის მომწერია.

სიმღერის სიმღერები

„აბა, იმათ სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კენესა და მაინც სიმღერას ეძახიან“.

ილია

„სიმღერებად“ დაქვესათაურებულ ვაჟას ლირიკულ შედეგებში იმდენად ფონს გაუფალი სევდაა ჩაღვრილი და ჩაფენილი, არაა გამორიცხული, ზოგიერთი გამოუცდელი მკითხველი შეცბეს, შეფიქრიანდეს და ხმამაღლა თუ არა, თავისთვის მაინც იკითხოს: რა ხდება, რატომ ნათლავს პოეტი თავის ტკივილიან, თვალცრემლიან ლექსებს „სიმღერებად“?!

სიმღერა ხომ ძირითადად სილაღესთან, იმედოვნებასთან (გარკვეული გაგებით — სიმსუბუქესთანაც) ასოცირდება და, ცოტა არ იყოს, უცნაური და ალოგიკურია ამ ცნება-ტერმინით ყველაზე უფრო დარდიანი, ნაღვლიანი, „დარბაისლური“ პოეტური ქმნილებების სახელდება.

და რაც უფრო მჭმუნვარეა ფონი და კონტექსტი სიტუაციისა, მით მეტია სიტყვიერი ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშის ემოციური ზემოქმედების ნამლევავი ძალა და დიაპაზონი (სარტრი იხსენებს მიუსეს ფრაზას: ყველაზე მშვენიერი — ყველაზე სასონარკვეთილი სიმღერებია“)...

უკუღმა მბრუნავი საწუთროს ლახვრით დაჭრილი გულის წამალი რომ ისევ სიმღერაა, ეს მშვენივრად მოუხსენებოდათ ჩვენს წინაპრებს, „დარდიან გულზე სიმღერა ტირილის მაგიერიაო“ რომ ამბობდნენ და თავიანთი „არაადეკვატური“ საქციულის მიზეზს ასე განმარტავდნენ: „განა ლალი ვარ, რო ვმღერი, გულისა დარდებს ვიქარვიო“... და აღარც ის გეჩვენება არაბუნებრივად, რასაც უცხო მოყმის საძებრად უდაბურ ადგილებში მავალი ავთანდილი იქმს: „რა ესმოდის მღერა ყმისაო“... იმის ნაცვლად, თავის მოზღვავებულ განცდებს ღრმა დუმილითა და მწუხარებით გამოხატავდეს, ძე ამირსპასალარისა თავგადაკლული მღერის და მისი ტკბილი ხმა მხეცებსა და ქვებსაც ადამიანური მგრძნობელობით ალავსებს...

ფრაგმენტი შვილმკვდარი დედის ნატირლიდან: „ორ კედელთ შუა დამრჩალორაო, ხან ამაუშობ სიმღერასაო“. ქალი თავის მოთქმა-გოდებას „სიმღერას“ უწოდებს და ქვეცნობიერში ტოლობის ნიშანს სვამს „გლოვის მგოსნობასა“ და სალალობო სიმღერას შორის...

ერთი მაგალითიც: ვაჟა-ფშაველას თანამედროვე, მისი მეზობელი და უმცროსი მეგობარი ივანე გორზამაული 1956 წელს ჩარგალში თავის შედეგს „რა ვქნისა ციხე ავაგე“ აწერინებს ფოლკლორისტებს — ჯონდო ბარდაველიძეს და გურამ ბარნოვს; აწერინებს და მეტი სიცხადისა თუ დამაჯერებლობისთვის უმოკლეს კომენტარსაც ურთავს: „ეს ლექსი ჩემი შვილის დაკრძალვის დღეს ვიმღერეო...“

დიდი შინაგანი ძვრის „ბედნიერ“ წუთებში იბადებოდა და იბადება ხალხური პოეზიის ასეთი ბრწყინვალე ნიმუშები; „ტირილის მაგიერ“ სიმღერებში ჰპოვებდა და ჰპოვებს მელექსე პირქუში ხვედრისგან გაკანარეთებული ფიქრის საფონსა და სადინარს. ენის გამომსახველობითი უნარის განუსაზღვრელ შესაძლებლობათა ხილულსა თუ უჩინარ ხვეულებში იხატება პიროვნების მრწამსი და მონესეობა; მიმართება საგნობრივ სინამდვილესთან; მისი რთული სულიერი სამყაროს ფერადოვანი, მიმზიდველი, განუმეორებელი ლანდშაფტი...

იყო ასეთი მელაქსე

ნათელ ზვიადაური — განსახიერება ცით „მონაბერი“ პოეტური ნიჭიერებისა, შეუმღვრეველი სიალალისა, სიმართლისა, შეურყვნილი გულუბრყვილობისა... ყურადღებით შემოგხედავდა, დაგაკვირდებოდა, რასაც ეტყოდი, სჯეროდა; რაკი უყვარდი, ქრთილისოდენ ეჭვსაც არ შეიტანდა შენი ნათქვამის სისწორეში.

ნათელ ზვიადაური — ხალხური პოეზიის საღამოების ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა და ცოცხალი „სამკაული“, თავისი ძველი, გაცრეცილი ქათიბითა და ჭრელი, ყელმაღალი წინდებით, დამძივული მანდელ-სათაურაითა და „სტრიჩკით“, არდოტიდან ბარში ჩამოსახლებულს სამარის

კარამდე რომ შერჩა მშობლიური მამულნ-
ყლის მთუთქარი, დამბუგველი მონატრე-
ბა და მთის ტრადიციების ერთგულება,
ლექსად მეტყველების თანდაყოლილი უნ-
არი და საკვირველი მეხსიერება.

ნათელ ზვიადაური — 1980 წლის თაკა-
რა ზაფხულში ნოქალაქევი გამართულ
ფოლკლორულ საღამოზე თავდაპირვე-
ლად უარი რომ განაცხადა საკუთარი ლექ-
სის წაკითხვაზე: მე ამათი საუბარი არ მეს-
მის და ჩემი ნათქვამისა რა უნდა გაიგონო!
და როცა ვახუშტი კოტეტიშვილის და-
ყინებული თხოვნით ჩამოარაკრაკა თავი-
სი „იალნოს თავით მასკვლავნი კრებულას
ამადიანო“, ლიაცისქვემა დარბაზს მქუხ-
არე ტაშმა და მოწონების შეძახილებმა
გადაურა... და საღამოს ღელისპირა რე-
სტორნის ღია ვერანდაზე გამართულ ბან-
კეტზე მეგრელების შესახებ რომ გამოაცხ-
ადა, ეს რა კაი ხალხი ყოფილაო!..

ნათელ ზვიადაური — წერა-კითხვა არ
ვიციო, რომ ამბობდა და ამ დროს დამა-
რცვლით კითხულობდა წარწერას ფოთის
პორტში ღუზაჩაშვებულ გემზე: „ЛЕНИН“.
და ვახუშტის „ჩამჭრელ“ ღიმილს გან-
მარტება რომ მოადევნა, მარტო „ლენინის“
კითხვა მაქვს ნასწავლიო (რა გვიჯდებო-
და ქართველებს „დიადი საბჭოეთის“ შვი-
ლობა და ქვეშევრდომობა!).

ნათელ ზვიადაური — განსხვავებულად
რომ ხედავდა მამისახლის სამკვიდროს
ველურ სილამაზეს; ხედავდა და ხალას
პოეტურ ხატად გარდაქმნიდა შორს მი-
კარგულ, მიბურუსებულ სივრცეში რიბი-
რაბოდ მჩინარ გაუხუნარ სახილველს:
**„შენს მკერდზე გრილნი წყარონი კან-
კალით ჩამადიანო...“**

ნათელ ზვიადაური ...

სულეთის ღმერთი

ხევსურული ხმით ნატირალი: **„სულე-
თის ღმერთო, მადლიანო, მამე ნებაი
საუბრისაო, გამამაცხადე სამზეოსაო,
შენ ამძრახე სამზეურთაო“.**

რწმენა იმისა, რომ საქრისტიანოს მცა-
ვი და მეოხი ღმერთი არათუ ცოცხლებს,
გაღმა გაბიჯებულებს ანუ საუკუნო სა-
სუფეველში გარდასულელებსაც კვლავ

მფარველობს და, თუკი სამართლიანია,
სიამოვნებით ასრულებს მათ თხოვნა-მუ-
დარას, ღრმადაა გამჯდარი „წარმართ“
მთიელთა წარმოდგენებში და საიქიოს
ხალხური კონცეპტის ერთ არსებით წახ-
ნაგს წარმოადგენს.

აქ უკვე უშუალოდ, ღვთისშვილების
ჩაურევლად, მედიუმის მონანილეობის
გარეშე ხდება მოკვდავის „დაკავშირება“
და დაქვემდებარება უზენაეს ძალასთან.
და იმ შემთხვევაში, თუკი „**უსუსურნი**“
(ხევსურეთში ამ ეპითეტითაც მოიხსენიე-
ბენ გარდაცვლილებს) საყოველთაო წეს-
რიგს არევენ, მოშლიან და მდუმარების
სამეუფოდან ამ ქვეყნად დაბრუნებას
მოინდომებენ, სულეთის უფლის რეაქცი-
აც შესატყვისი იქნება: **„...ვაჟებმა შატილ-
ივნებმა სულეთ გაბედეს ძალია. სრუ
გაამტვრიეს კარები, სამზეოს გასავალ-
ია. იმით შამასწყრა უფალი: „აქით არ
დიან სხვანია...“**

ცოცხალი ადამიანის მიერ „**თავის დამ-
არხვის**“ (როცა უშვილო ცოლ-ქმარს
ოჯახიდან დამტირებელი და ხარჯის გამ-
ლები არ ჰყავს და წინდანინ მიმართავენ
თვითდამარხვის იმიტირებას) ხევსურულ
ჩვეულებაშიც სულეთის ღმერთია ის პრივი-
ლეგირებული, უფლებამოსილი „სუბიექ-
ტი“, ვისაც სხვა სივრცით განზომილება-
ში ახალსულის დაბინავება და დაჟამკრე-
ბა შეუძლია. რიტუალური ტექსტი,
რომელიც „სახელის დადებად“ იწოდება,
მიცვალებულზეა ორიენტირებული: **„სუ-
ლეთის ღმერთიმც იბარებს შენ სულს,
შენდ გამზადებულ ტაბლას“...**

სულეთის ღმერთმა ზედმინევნით იცის,
საამქვეყნო ღვანლის და ამაგის წილ ვინ
რას იმსახურებს. თანახმად ამისა, უნდა
ვიფიქროთ, კუთვნილს მიაგებს ყველას და
თანაბრად იხდის ვალს არა მხოლოდ
სანუთროს მკვიდრთა, არამედ ბენვის ხი-
დის გავლით მართალთა სამუდამო სამყ-
ოფელში მოხვედრილთა მიმართაც...

კაფია — „სიტყვის გამოჩინება“

ახალგაზრდობაში, როცა ჯან-ლონე
ერჩოდა, ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის
მთებში ფეხით მოგზაურობდა და არც

არავის ლუდ-არაყის სმასა და ატანაში უდებდა ტოლს, გულუხვი მასპინძლის ფარულ ზრახვას ლექსო პაპა ომონიმურ რითმაზე აგებული კვიმატი კაფიით ხვდებოდა და აბათილებდა: **„ვერ გახდის შატილიონსა ჯუთელი წამასალებსა, მე თაოდ თუ არ წავსაღდი, ვერავინ წამასალებსა“.**

გავიდა წლები და მუხლებში სიბერის ქარი ჩადგა; ჩაქრა უწინდელი ხალისიც და ალექსი ჭინჭარაულის, ისევე როგორც ყველა ხორციელისა და მოკვდავის, შემართების „შკალამ“ საგრძნობლად დაბლა დაინია (**„დრონი მეფობენ და არა მეფენიო“**, — ვინ იცის, მერამდენედ ახდა და აცხადდა ეს ბრძნული, უეჭველი, ჭკვიანური ნათქვამი!).

ერთი შინაურული პურღვინოიანი შეხვედრა დასასრულს რომ უახლოვდებოდა, ბატონმა ალექსიმ დიასახლისს „სთხოვა“ დახმარება: **„რას ფიქრობ, რძალო ეთერო, ქალო, კაცი ვარ ბებერი, შინ წამიყვანე, თორემა გავხდები წასალებელი“.**

სხვათა შორის — არც მაშინ, არც მანამდე და არც მას მერე ალექსი ჭინჭარაული არც „წასასალებელი“ და არც „წასალებელი“ არასდროს გამხდარა!

ერთი სტუმრობის ამბავი

უნმიდესისა და უნეტარესის ტრაპეზზე (27.09.2013) ერთად რომ მოვხვდით და გვერდი-გვერდ ვისხედით, მაშინ გვიამბობდა რეჟისორი ქეთი დოლიძე, როგორ ეწვია სიკო დოლიძის ოჯახს ეროვნულ სამოსში გამოწყობილი და შეაბჯრული ათამდე ხევსური, რომლებიც ხელისუფლებასთან შუამდგომლობას ითხოვდნენ გვალვისგან გადამწვარი ქერ-სვილის ყანების სრული მოუსავლიანობის ანაზღაურების მიზნით და მიზეზით. და როგორ უმასპინძლა სტუმართმოყვარე ოჯახმა დედაქალაქში პირველად მოხვედრილ „უკანასკნელ ჯვაროსნებს“... სანოლები რომ არ ჰყოფნიდათ, ზოგს იატაკზე გაუშალეს ლოგინი (და, ვგონებ, ზოგს კარადებში!)...

ქეთის იმდღევანდელი ნაამბობი რომ გამახსენდება, სულ ამას ვფიქრობ: ვინმეს

რომ ფოტოაპარატი ჰქონოდა და სურათები გადაეღო, წარმოიდგინეთ, ტიპაჟების რა გაღერეა და რა გამოხედვა, რა სახეები და რა ხასიათები აღიბეჭდებოდა ფირზე! არა სასცენოდ თუ საეკრანოდ განზრახული, არამედ ნაღდი, უშუალო, „ნატურალისტური“!..

P.S. წარმომადგენლობითი დელეგაციის თხოვნასა და მოთხოვნას უშედეგოდ არ ჩაუვლია: სიკო დოლიძემ, როგორც მთავრობასთან დაახლოებულმა ხელოვანმა და საზოგადო მოღვაწემ, ლავრენტი ბერიამდე მიიტანა ხევსურების გასაჭირის ამბავი და მალე ხევსურეთის სოფლებში (სხვათა შორის, ხევსურეთში საავტომობილო გზის გაყვანაც ქვეყნის ამ ავადსახსენებელი თავკაცის სახელთანაა დაკავშირებული!) საკმაო რაოდენობის მარცვლეული გაიგზავნა...

ბერღიათ ბუბა

უპრეტენზიო (გნებავთ უანდრეზო დავარქვათ) შემთხვევა: რომსკიონი ბერღიათ ბუბა, იმის გამო, რომ თავმომწონე ვაჟკაცები რამდენჯერმე მწარედ გაკენწლა და „გამოალექსნა“, ორგზის დაჭრეს: შინ მიატანეს, კარი შეუმტვრიეს, შევიდნენ და დასახანჯლად გაიმეტეს... გადარჩა. მუქარა და კატეგორიული გაფრთხილება არად ჩააგდო და უღირს-უსაფეროთა მხილება არ მოიშალა...

ბუბა მთელ ხევსურეთში ყოფილა განთქმული თავისი კაიქალობით, **„კა თმითა“** და, ასევე, **„კა ტალავრით“**. ბევრს ჰყვარებია, ბევრი კიდევ კაცთ ენა-პირად მის „გაღებას“ ცდილა. ერთი სიტყვით, არც დუშმან-მოშურნე ჰკლებია და, საბედნიეროდ, არც ერთგული და მაქებარი...

ერთხელაც რომკას, ვეშაგურთ ბანზე, ფეხონი მსხდარა. ჩამოუვლია ბუბას. ნაწვიმარ გზაზე ფეხი გასცურებია და დაცემულა. ფეხონს სიცილი დაუნყია, თან წამკბენი ლექსიც მიუდევნებია. **„ბერღიათ ბუბა გაგორდა, სრუ დაიმტვრია ძვლები, მაზვრებ კი ვერ ამაიტანს, მანძილა უნდა ხარები“.**

ამდგარა ბუბა, აუხედია ქილიკი ახალგაზრდებისკენ და მათი ქარქვეტული

საქციელის შესაფერისი პასუხი დაუბრუნებია: **„ვეშაგურთ ბანზე შაყრილან ყვავ-ყიჭალაის ჯარები, ლახევდეს თქვენებს ფერებსა ჩემფერებ ხევსურთ ქალები“.**

ბუბას, როგორც ჩანს, გული შესტკიოდა არა მხოლოდ ერთეულების უგვან სიტყვასა და საქმეზე, საუარესოსკენ ხევსურეთის ფერისცვალებასაც მწვავედ განიცდიდა. ხედავდა, რაც მის ირგვლივ, მის თვალწინ ხდებოდა და იოლად აგნებდა საყოველთაო, მობევრებული ჭირის სათავეს: **„ხევსურეთ მაგან აღრივა, არამ აღრივა სხვამაო, ბებრების ნოლა-დგომამა, ახლებჩი თავის თვლამაო, თავზე ქიშმირის ხურვამა, ბეჭედების ცვლამაო“.**


ეს ის წლებია, როცა სწორფრობის სახელით ცნობილი და დღემდე იდუმალების მკვრივ საბურველში გახვეული ეთნოკულტურული მოვლენა (**„ჩემი ახსნა საიდუმლოსი ფუჭი გამოდგა“**, — აღიარებდა „გრაალის“ ავტორი გრ. რობაქიძე) ნაღ-

ვართქაფალ მდინარესავით იწყებს ამღვრევას, ფეხს იკიდებს ე.წ. „არაგვული“ ნოლა-დგომა, ქალის საკინძეშეხსნილი ფარაგის ოდინდელი მიუწვდომლობის ხიბლი ხუნდება და თანდათან ძნელდება გვარიანისა და რიოშის, ფარსაგისა და უკეთურის გარჩევა...

ქალზე რომ იარაღს აღმართავ, ესეც ხომ ტრადიციული საზოგადოების ღირსებისა და პრესტიჟის შეუქცევადი დევალვაციის არაორაზროვანი ნიშანია და კუთხის მკვიდრთა მწვავე, სულიერ კრიზისზე მიუთითებს...

ხოლო ბერდიათ ბუბას ის ლექსი, რომელშიაც ხევსურეთის „არევაზეა“ საუბარი, ისეთი თამამი განცხადებითა და სახისმეტყველებითი პასაჟით თავდება, ანალოგი ძნელად რომ მოეძებნება ჩვენს უმდიდრეს პოეტურ ფოლკლორში: **„...ამაგის მალექსებელ ფერხისულაზე ვთვალაო, არცასა მარტუაი ორ, ანგელოზები მტანაო!“**





მერი ტიტვინიძე

მარიანო ხოსე დე ლარა

ილია ჭავჭავაძე —
ესპანელი მწერლის პირველი ქართველი მთარგმნელი

„განა დიდი ბედნიერება არ არის გავალვიძოთ ზოგიერთის მიძინებულს სულში უმაღლესი აზრი? განა დიდი ბედნიერება არ არის, რომ დავბადოთ თანამგრძობელობა იმ გულში, რომელსაც ჩვენ არასდროს არ ვიცნობდით, და ვერც გავიცნობთ, რომელიც იქნება სცხოვრობს შორს ჩვენზე ამ ქვეყნის სადმე კუნჭულში, მაგრამ რომლის გულსაც ჩვენი სიტყვა დააწყებინებს ძვერას ჩვენი გულის თანახმად, და საზოგადო კაცობრიობის სასარგებლოდ აღიარებს თვისსა და ჩვენ შორის სულით ნათესაობას, იმის სახსოვრად, რომ სულმა გაიმარჯვა სივრცის და დროების შეკრულობაზედ!“ (ილია ჭავჭავაძე „წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე“).

„მომისმენენ კი? გამიგებენ კი?“ — შორეულ ესპანეთში ჩიოდა ქვეყნის უპირველესი კრიტიკოსი, მწერალი და აღიარებული სატირიკოსი მარიანო ხოსე დე ლარა. მისი ჩივილი ალბათ ყველაზე კარგად გაიგო ესპანელი მწერლისთვის სრულიად უცნობ საქართველოში ილია ჭავჭავაძემ და კიდევ გამოეხმაურებოდა, მაგრამ ლარა სწორედ ილიას დაბადების წელს, 1837 წელს გარდაიცვალა, ხოლო ქართველმა მწერალმა „სულით ნათესავი“ 1877 წელს „აღმოაჩინა“, როცა რუსულ

ჟურნალში „Вестник Европы“ გამოქვეყნდა მ. ვატსონის წერილი „ლარა, ესპანელი სატირიკოსი“ და მისი სტატიები „ლიტერატურული პოლემიკა“ და „ახალი გაზეთის გამოცემის გამო“; ხოლო 1878 წელს ამავე ჟურნალში კვლავ დაიბეჭდა მ. ვატსონის ვრცელი წერილი „ლარა, 30-იანი წლების ესპანური სატირა“ და მისივე თარგმნილი ცხრა მოთხრობა.

ცხადია, ილიას არ გამოეპარებოდა ასეთი მწვავე სტატიები და მოთხრობები, რადგან ცნობილია, რომ იგი მუდმივად ადევნებდა თვალს ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ პროცესებს და, შესაძლოა, ეს ჟურნალი გამოწერილიც ჰქონდა. უმალ მიაქცია ყურადღება უცხო სახელსაც, დაუყოვნებლივ ნაიკითხა ვატსონის წერილიც და მის მიერვე თარგმნილი მოთხრობები. ესპანელი მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობა, ნაფიქრი და ნააზრევი იმდენად ეხმიანებოდა მის თითქმის მთელ შემოქმედებასა და მოღვაწეობას, რომ არც დაუყოვნებია, ისე თარგმნა მისი სატირული ნაწარმოებები „ვაქებ, ანუ ამასაც ხომ არ დამიშლიან“, „პოლიცია“, „რა არის საზოგადოება და სად უნდა მოვძებნო ის“, „რაზეც არ შეიძლება ლაპარაკი, იმაზე არც უნდა ვილაპარაკოთ“.

ლარას ეს ნაწარმოებები ილიას სავარაუდოდ უნდა ეთარგმნა 1878-79 წლების მაისიდან ივლისამდე, რაკი უკვე 1879 წელს „ივერიის“ 7-8 და 9-10 ნომრებში კიდევ გამოაქვეყნა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ილიას სიტყვებში ლარაც იგულისხმებოდა: „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში რომლის ერსაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან. ადამიანი ყველგან ყოველთ უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება“.

მარიანო ხოსე დე ლარა — ესპანელი მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, სატირის აღიარებული ოსტატი, თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების გამორჩეული წარმომადგენელი, ვისი სახელიც შორს გასცდა თავისი ქვეყნის საზღვრებს, ეპოქის ჩარჩოებს, რამეთუ მისი შემოქმედება მოიცავს ნებისმიერი ქვეყნისა და ეპოქის უმთავრეს პრობლემებს. ზედმინევნით მკაცრად და ზუსტად გააზრებული კრიტიკერიუმებითა და პერსპექტივის ჭვრეტით.

ეპოქა, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლარა, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამოირჩეოდა ბოხოქარი მოვლენებით. განსაკუთრებით წინააღმდეგობრიობით (ამასთან შეიძლება ითქვას, არა მხოლოდ მის სამშობლოში). ამ ეტაპზე ესპანეთში მით უფრო მწვავედ დადგა პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული პრობლემები.

კულტურის სფეროში ეს იყო რომანტიზმისა და კლასიციზმის დამკვიდრების კრიტიკული დრო. ლარამ ერთგვარად მიუზღო ორივე მიმდინარეობას თავისი წილი, მაგრამ პოზიციით, აზროვნებითა და შემოქმედებით გასცდა მის ჩარჩოებს და გამოიკვეთა როგორც კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი.

მარიანო ხოსე დე ლარა დაიბადა 1809 წელს მადრიდში, კეთილშობილი წარმომავლობის განათლებულ ოჯახში. ნაპოლე-

ონის მიერ ესპანეთის ოკუპაციის დროს, ოჯახმა დატოვა ქვეყანა და საფრანგეთში გადასახლდა. ლარა სწავლობდა ფრანგულ კოლეჯში, საფუძვლიანად დაეუფლა ფრანგულ ენას და სამშობლოში დაბრუნების მერე, მშობლიური ენა თავიდან შეისწავლა. თუმცა სწავლობდა მადრიდში წმინდა ანტონიოს კოლეჯში ეადიადოლიდისა და ეალეასიის უნივერსიტეტებში, მაგრამ ბოლომდე არცერთი არ დაუმთავრებია. იმთავითვე გაიტაცა ჟურნალისტიკამ, პირველ ხანებში ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკა იყო მისი მთავარი თემა, რაც თანდათან გადაიზარდა სატირულ ჟანრში. ლიტერატურულ ასპარეზზე მისი პირველი გამოჩენა აღინიშნა დრამით „მასიასი“ და რომანით „მეფე ენრიკე სუსტის პაჟი“, რაც ესპანეთში აღიარებულია, როგორც რომანტიკული ხელოვნების დამკვიდრების ფაქტი და შესულია ესპანური რომანტიზმის „ოქროს ფონდში“, თუმცა ლარა თავად ამ ნაწარმოებებს არც რომანტიკულ და არც კლასიციზტურ სკოლას არ განაკუთვნიებდა, თუმცა რომანტიკულ ხელოვნებაში, უწინარეს ყოვლისა, აფასებდა პატრიოტულ სულისკვეთებას, თავისუფლებისმოყვარეობას, ეროვნული კულტურის საუკეთესო ტრადიციების გაგრძელებისა და ადამიანური ღირსებების წარმოჩენის მცდელობას. ხოლო რომანტიზმის ესთეტიკის უმთავრეს მიღწევად მიაჩნდა ისტორიზმის პრინციპი, სინამდვილის დამაჯერებლად წარმოჩენა, რამდენადაც ამ რეალობაში ცხოვრობს ადამიანი; ამავე დროს, კრიტიკული თვალთ უყურებდა რომანტიკოსების მოღვაწეობას, უნდობლად იყო განწყობილი ჟანრისა და ფორმის სფეროში მათი ძიებების მიმართ, თუმცა იმასაც აღიარებდა, რომ ყველა სკოლას, ჟანრს, შინაარსსა თუ ფორმას აქვს თავისი ადგილი, რაც დროსა და ვითარებასთან ერთად იცვლება. თავად ლარამ კარგად იცოდა ალორძინების მდიდარი სატირული ტრადიცია, სერვანტესის, კევედოს შემოქმედება, რომანსერო, მავრანული რომანსები, ეროვნული დრამა, საერ-

თოდ, ეროვნული ტრადიციული ლიტერატურა. ამავე დროს ხედავდა იმასაც, რომ ესპანური რომანტიზმისთვის მიუღებელი იყო განმანათლებლობის, ვოლტერიანული რაციონალისტური იდეები, ამდენად, ლარასთვის, როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსისთვის, უფრო გასაზიარებელი და მისაღები იყო რეალისტური ესთეტიკის დებულებები, რაც უფრო აშკარად გამოიკვეთა მის პუბლიცისტიკაში, („ლიტერატურა“, „სატირისა და სატირიკოსებისთვის“, „ჩვენთან, ესპანეთში“...). მისი რწმენით, შემოქმედის უპირველესი ვალია იზრუნოს საზოგადოების ამაღლებასა და გაკეთილშობილებაზე, რადგან იგი პასუხისმგებელია იმ საზოგადოების წინაშე, „რომელსაც პატივი აქვს რომ ეკუთვნოდეს“ და ამასთან, არ უნდა დაავინწყდეს, რომ მკითხველმა შეიძლება დაუსვას კითხვები — „რა გვასწავლა შენმა წიგნმა და რაზე დაგვაფიქრა?“ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იფიქროს სტილსა თუ ფორმაზე. შწორედ ამ ფიქრმა და განსჯამ მიიყვანა ლარა „კოსტუმბრიზმთან“ (Costumbre - წეს-ჩვეულება, ადათი), ანუ კოსტუმბრისტულ ლიტერატურასთან, რომელიც წარმოიშვა ესპანეთში რომანტიზმის ჩამოყალიბების პროცესის პარალელურად და ფართოდ გავრცელდა 30-იან წლებში. ამ ე.წ. „ყოფითი ლიტერატურის“ ჟანრის პირველი წარმომადგენლები იყვნენ ცნობილი მწერლები ს. ესტებანეს კალდერონი, რ. მესონერო რომანოსი და მარიანო ხოსე და ლარა. კოსტუმბრიზმი გავრცელდა ინგლისშიც, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებშიც, რაც მალე გახდა კრიტიკული რეალიზმის ერთგვარი „წინამორბედი“ და დიდი გავლენა მოახდინა ესპანური ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე; მაგრამ კოსტუმბრიზმში აღინიშნება ორი განსხვავებული იდეური ტენდენცია — პატრიარქალური, კონსერვატიული, რომლის წარმომადგენლები იყვნენ მესონერო რომანოსი და ესტებანეს კალდერონი და პროგრესული, რადიკალური — მარიანო ხოსე და ლარას სახით.

1828 წელს 19 წლის ლარა აარსებს ჟურ-

ნალს „დღევანდელი სატირული მაქცია“, რომელსაც ეპიგრაფის სახით წაუმიძღვარა ბუალოს სიტყვები: „მე ჩემს სიძულვილს მივმართავ ჩვენი საუკუნის უგუნურობის წინააღმდეგ“; გამოქვეყნდა ჟურნალის ხუთი ნომერი, რომელშიც ლარამ ხუთი სტატია დაიბეჭდა, ასე თუ ისე თავშეკავებულიც კი, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, რომ სამეფო ცენზურას აეკრძალა. სწორედ ის დრო იყო, როდესაც მძვინვარებდა რეჟიმი, პატრიოტების დევნა, აკრძალული იყო პრესა და თითქმის არ იქმნებოდა მხატვრული ლიტერატურა.

1832 წელს ლარამ კვლავ დააარსა ჟურნალი „საბრალო ენაჭარტალა“, რომლის წინასიტყვაობაში წერდა — „ვიცინოთ სისულეეებზე — ასეთია ჩვენი დევიზი, ვილაპარაკოთ სიმართლე — ასეთია ჩვენი მეთოდი“; ხოლო ქვესათაური ჰქონდა „ბაკალავრ დონ ხუან პერეს დე მუნგიას სატირული ჟურნალი ზნეობასა და სხვადასხვა საკითხებზე“. ეს იყო სატირული ჟურნალი ზნეობასა და სხვადასხვა საკითხებზე, პუბლიცისტიკის საუკეთესო ნიმუში, ხოლო, ნარკვევი „მოხუცი კასტილიელი“ დღემდე მიიჩნევა სატირული, იუმორისტული ნაწარმოების ნიმუშად. ჟურნალში გამოიკვეთა კრიტიკის სატირული ხერხი; იგი აკრიტიკებს გონებრივ სიმახინჯეს, ჩამორჩენილობას, მლიქვნელობას, ცრუ პატრიოტიზმს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნარკვევები ბატუელებს, ანუ „ბატუელების ქვეყანაში მცხოვრებ ხალხს, რომლებიც ცხოვრობენ სალამანკო ჩრდილოეთ პროვინციაში“, სადაც არავინ არაფერს კითხულობს, რადგან არავინ არაფერს წერს და იმიტომ არ წერს, რომ არავინ კითხულობს. ამასთან, აღარც ლაპარაკობენ იმის შიშით, რომ მსტოვრები ახვევიან გარს. ის არის ესპანეთის მინიატურული ასლი, სადაც ლარა წერს: „ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკა უფრო მცენარეა, საკუთარ აზრს გამოთქვამენ მხოლოდ ის სულელები, რომლებიც ბედავენ თქვან ის, რასაც ფიქრობენ — „... ენა გვაქვს იმისთვის, რომ ჩუმად ვიყოთ, თვალები იმისთვის, რომ დავინახოთ ის, რასაც

გვაჩვენებენ, სმენა — იმისთვის, რომ ის გავიგონოთ, რასაც გვეუბნებიან, ფეხები კი იმისთვის, რომ ვიაროთ იმ მხარეს, საითაც მივყავართ“. მაგრამ ამ ჟურნალის მხოლოდ რამდენიმე ნომერი გამოქვეყნდა... მაგრამ ჟურნალში „ესპანური მიმოხილველი“ გამოქვეყნდა ლარას სტატია „ჩემი ფსევდონიმი და ჩემი განზრახვანი“, რომელსაც ხელს აწერდა უკვე ახალი ფსევდონიმით „ფიგარო“; აქედან იწყება მისი ახალი ეტაპი; ამ ფსევდონიმით გამოაქვეყნა საუკეთესო ნარკვევები და მოთხრობები: „ჩვენთან ესპანეთში“ „გარემოებანი“, „რა არის საზოგადოება და სად უნდა ვეძებოთ ის“, „ხოტბა, ანუ ამასაც ხომ არ ამიკრძალავენ“, „სიტყვები“, „დონ ტომონავო, ანუ ლიტერატორი“ და სხვ.

1835 წელს ლარა მოგზაურობს ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში, სადაც კარგად გაეცნო იქაურ ვითარებას, საზოგადოებას, ცხოვრების წესს, თუმცა მერე წერდა „მე უფრო ისევ ჩემ ესპანეთზე ვფიქრობდი ისე, ვიდრე ოდესმე“. თუმცა თავის ქვეყანაში საკმაოდ მძიმე ვითარება დაუხვდა, სატირიკოსის მოღვაწეობა უკვე უსარგებლო და უქმ „საქმედ“ ერჩენე-

ბა. ამის შემდეგ, თითქმის მთელი შემოქმედება პესიმიზმით, სასონარკვეთილებითა და უიმედობით არის ერთიანად გაფლენილი, „ჩემ წერილებსა თუ მოთხრობებში იძულებული ვარ დავმარხო ჩემი სანუკვარი ოცნებები და იმედები“ — „ფილოსოფიური ბოდვები“, „შობის ღამე“, „მადრიდში წერა ნიშნავს ქვითინს“, „ზამთრის საათები“ და სხვა.

1833 წელს იანვარში მეფე ფერდინანდ VII ხელში ჩაიგდო მთელი ძალაუფლება და დაამყარა სასტიკი რეჟიმი და კიდევ უფრო სასტიკი ცენზურა, ხალხში დანერგა შიში. ლარამ მოასწრო მხოლოდ ორი ნომრის გამოქვეყნება. ცენზურასთან შეკამათება უკვე გაუძნელდა და ერთხანს დადუმდა. ამ ვითარებას დაემთხვა საყვარელ ქალთან დაშორება, რამაც იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. 1837 წლის 13 თებერვალს ლარამ თავი მოიკლა.

P.S. აქვე გთავაზობთ ლარას ერთ-ერთი იმ სტატიის ჩემეულ თარგმანს, რომელიც თავის დროზე რუსულიდან თარგმნა და გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ.



მარიანო ხოსე დე ლარა

სმობა

ანუ ამასაც ხომ არ ამიკრძალავენ

საგულისხმოა, რომ ის, ვინც წერას მიჰყვება ხელი გარკვეული პრინციპების საფუძველზე, შეიძლება გარკვეულ მიზნებსაც ისახავდა, იგი წერს ან თავისი თავისთვის, ან სხვათათვის. უფრო გასაგებად ვიტყვით, ვინც წერს მემუარებს, ცხადია, წერს თავისი თავისთვის, ხოლო თუ წერს „souvenir“-ს, „მოგონებებს“, ეს უკვე იქნება წერილობითი მონოლოგი. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, საკუთარ თავთან საუბარი სისულელეა-მეთქი, რამეთუ, ბოლოს და ბოლოს, სად შეიძლება მოქმედოს კაცმა ისეთი კეთილგანწყობილი მსმენელი, როგორც თვითონაა. უნდა ვთქვა, რომ მე დავიბადე ჩინებული მეხსიერებით; ვაი, რომ ჩემდა სავალალოდ! თუმცა, ამას ერთი სიკეთე მაინც ჰქონდა. თუკი ერთხელ მაინც რაიმე მიიპყრობს ჩემს ყურადღებას, აღარასოდეს დამავიწყდება. ამიტომ, ამის ჩანერაც არ მჭირდება, ხოლო თუ თვალში არ მომივა, ამის ჩანერა უკმ გარჯად მიმაჩნია. მეორეს მხრივ, იმ ათი შემთხვევიდან, რასაც შეიძლება გადაეყაროს კაცი ცხოვრებაში, ცხრა მაინც უხეირო იქნებოდა, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მეათე იქნება სახეირო. კიდევ ერთი საბაზი იმისა, რატომ არ უნდა ჩავინეროთ, რამდენად უფრო საზრიანი და საიმედო იქნებოდა, რომ „souvenir“ შეგვეცვალა მეორე სახის განსაზღვრებით, რასაც ვუნოდებდით „დავინწყებას“, ანუ ის „რაც უნდა დავივიწყოთ“ — ასეთი სათაურიც შეეფერებოდა; მაგრამ წარმოიდგინეთ, რამდენი ცარიელი ფურცელი იქნებოდა

ასეთ წიგნში, თუ თავად მკითხველი არ შეავსებდა სინდისის კარნახით. მე თავად მოსვენებას არ მაძლევდა იმაზე ფიქრი, რომ ყველაფერი, რაც ხდებოდა, შემდეგ პირუკუ ხდებოდა, „souvenir“ კი, უვარგისი იდეაა; ამ მნიშვნელობით მე ჩემთვისაც კი არასოდეს არაფერი დამინერია. ახლა მივუბრუნდეთ საუბარს მათზე, ვინც წერს საკუთარი თავისთვის. ის, ვინც წერს განცხადებასა თუ თხოვნას, ეჭვგარეშეა, რომ წერს საკუთარი თავისთვის; ჩვეულებრივად, ასეთ განცხადებას ხომ არასოდეს არავინ კითხულობს იმის მეტი, ვინც წერს და ვისთვისაც ამას აქვს აზრი. ცხადია, რომ სამსახურშიც იმას მიიღებენ, ვინც უნდათ და ამისთვის განცხადება სულ არ არის საჭირო, ხოლო თუ მაინც მოსთხოვენ, საეჭვოც არ არის, რომ სამსახურში მისაღებად სულაც არ არის აუცილებელი განცხადებების წერა. მხედველობაში მაქვს ის ბატონები, რომლებიც უკვე მიიღეს, ან აპირებენ მათ მიღებას. მაშასადამე, განცხადებების წერა კიდევ უფრო დიდი სისულელეა, ვიდრე მოგონებებისა. მე კი არც ამ მოსაზრებით დამინერია რამე. თუკი ვინმე მაინც წერს მოხსენებით ბარათს, წერილობით რჩევასა თუ რაიმე დასკვნას, ისევე და ისევე საკუთარი თავისთვის წერს, ხოლო თუ ასეთი მოხსენებით ბარათი თვალში არ მოუვათ, სულაც განზე მოისვრიან. ისიც, ვინც საყვარელ ქალს წერს წერილს, მაინც თავისთვის წერს, მიზეზები კი საამისოდ საკმარისია; იშვიათად თუ გინახავთ ისეთი წყვილი, ერთნაირად რომ

საბურობა 2(13). 2016 წ.

უყვარდეთ ერთმანეთი, ერთის ლტოლვა მეორის მიმართ ძნელი გამოცანაა. ესეც არ იყოს, იმავე წუთიდან, როგორც კი გული გაგვიცივდება შეყვარებულის მიმართ, უკვე წერილებსაც აღარ ვწერთ. განა ეს იმაზე არ მეტყველებს, რომ იმ წერილებსაც მისთვის არ ვწერდით?

მწერლები თავიანთი წიგნების წინასიტყვაობაში სულ იმას გვეფიცებიან, ხალხისთვის, საზოგადოებისთვის ვწერთო, იმდენი ილაპარაკეს, რომ ბოლოს და ბოლოს თვითონვე დაიჯერეს თავიანთი ნათქვამი. განა იმის დრო არ დადგა, რომ ასეთ აბდაუბდაზე ხელი აიღონ? ისინი, ვისაც არავინ კითხულობს, თუნდაც ისინი, ვისაც სტვენით ხვდებიან და აცილებენ, ცხადია, თავისთვის წერენ და კითხულობენ; ხოლო ისინი, ვისაც ტაშით ხვდებიან და ქებადიდებას არ იშურებენ მისთვის, ისიც კი საკუთარი სარგებლისთვის, სახელისა და დიდებისთვის იღწვის, მარტო საკუთარი თავისთვის ირჯება.

თუ ასეა, მაშინ მოიძებნება კი ვინმე, — მკითხავენ — ვინც ხალხისთვის წერს? — ამაზე გიპასუხებთ, — იმ ქვეყნებში, სადაც მავნებლობად მიიჩნევენ, თუ ერთი ადამიანი მეორეს ეტყვის იმას, რასაც ფიქრობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთმა არ უნდა იცოდეს ის, რაც იცის და რომ ადამიანს ფეხები იმისთვის აქვს, რომ იაროს. იმ ქვეყნებში, სადაც არის ცენზურა, სწორედ ასეთ ქვეყნებში წერენ სხვათათვისაც და ეს სხვა კი გახლავს ცენზორი. ის მწერალი, რომელიც დანერს თუ არა ერთ ფურცელს, მაშინვე ცენზორს პირდაპირ სახლში მიუბრუნებინებს, რათა მისგან მოისმინოს, რომ არ უნდა დანეროს ის, რაც უკვე დანერილია, ასეთი მწერალი საკუთარი თავისთვისაც კი არ წერს, ის წერს მხოლოდ ცენზორისთვის. სწორედ ის არის ერთადერთი ადამიანი, ვინც ჩემ შენდობას დაიმსახურებდა, თუკი თვით დაინწყებდა მოგონებების, ანდა სულაც მოხსენებითი ბარათების წერას. აკრძალვამ კი შეიძლება კიდევ უფრო მეტი სისულელებისკენ გიბიძგოს.

თავად მე ფიქრითაც კი არ მიფიქრია იმაზე, რომ დამეწყო მტკიცება, არასოდეს არაფერი დამიწერია სხვისთვის-მეთქი, თუმცა, მართალი გითხრათ, მეც მქონია საქმე ისეთ ბატონ ცენზორებთან, სხვა მხრივ საკმაოდ ღირსეულ ადამიანებთან,

ამასთან მაინც მინდა დაგარწმუნოთ, რომ თუკი რამე დამიწერია, ერთ სიტყვასაც ვერ იპოვით საგანგებოდ მათთვის რომ მქონდეს გამიზნული, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ მათ იმდენად უუნაროებად მივიჩნევ, ნაკითხული გაიგონ, არამედ იმიტომ, რომ მწერალსა და ცენზორს შორის ისეთი ეტიკეტები გამოჩნდება ხოლმე, ისეთი აზრთა სხვაობა, მართალი გითხრათ, დიდად არ მსიამოვნებს, თუნდაც ცენზორის ქათინაურები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე, როგორც კასტილიელის თავაზიანობა პორტუგალიელის მიმართ. ეს ზღაპარი კი საკმაოდ ცნობილია, რომ თავიდან გაიმბოთ. ეს იგივე იქნებოდა, რაც ის, როცა არც შენთვის წერ და არც სხვისთვის.

რაკი მტკიცედ გადავწყვიტე, რომ არასოდეს არაფერი დამეწერა საგანგებოდ ცენზორისთვის, მხოლოდ იმას ვცდილობდი, სიმართლე და მუდამ სიმართლე ყოფილიყო ჩემი უპირველესი სათქმელი, რამეთუ ბოლოს და ბოლოს — ვეუბნებოდი ჩემს თავს, — რომელი ცენზორი ამიკრძალავს სიმართლის თქმას-მეთქი ან რომელი ხელისუფლება, მით უმეტეს ისეთი, როგორიც გახლავს ჩვენი განათლებული ხელისუფლება, განა სიმართლის გაგებას არ მოისურვებდნენ? ასე რომ, თუკი ცენზორის წესდების თანახმად აკრძალულია რელიგიის, ხელისუფლების წინააღმდეგ, ასევე უცხო ქვეყნების მთავრობებისა და მეფეების და კიდევ სხვა ათასი ვინმესა და რამეზე აუგის თქმა, მხოლოდ იმიტომ, რომ უზრალოდ ვერც იტყვი, თუკი სამართლიანი იქნები. ხოლო თუ სიცრუეს ამბობ და წერ, მაშინ აღარც კალმის ხელში აღება ღირს. ეს ყველაფერი ცხადზე ცხადია და მეტიც, თითქმის სამართლიანიც კი.

ის, რაც ნებადართულია, ოდენ ხოტბაა, ამ მხრივ არანაირი შეზღუდვები არაა დაწესებული, რამეთუ დამტკიცებულია, რომ ქება მუდამ ნამდვილია და სამართლიანი, ამასთან არასდროს არ არის ზედმეტი, მით უფრო მათთვის, ვისაც აქებენ; მეც სწორედ ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, რომ ყოველთვის ყველა და ყველაფერი ვაქო-ვადიდო; აკი თავად მე ამ პრინციპს უნდა ვუმადლოდე ჩემი არც თუ დიდად სრულყოფილი ნაწარმოებების ესოდენ დიდ წარმატებას. ამ სისტემით ვიხ-

ელმძღვანელებ მუდამ, რამეთუ არანაირი საფუძველი და საბაზი არ გამაჩნია სხვა გადანყვეტილება მივილო, მით უმეტეს დღესდღეისობით.

რაკი მივიღე ეს გადანყვეტილება, ამასთან კიდევ ერთი მოსაზრებაც მაქვს, უფრო სწორად, ერთი მორალური პრინციპი, რაც უცვლელად უნდა დარჩეს ყველა დროსა და ქვეყანაში. ადამიანმა არასდროს არ უნდა ჩაიდინოს ისეთი რამ, რასაც გულახდილად და პირნათლად ვერ აღიარებს ხმამაღლა.

აღბათ ამიტომია, რომ ვერცერთი მწერალი ვერ იტყვის ჩემი ნარკვევი ცენზურამ აკრძალა, რადგან ამას თვით კანონი კრძალავსო, ხოლო კანონი არასოდეს არ არის და არც შეიძლება იყოს უსამართლო. ახლა თავად განსაჯეთ, განა მართებული იქნება, რომ დავწერო ისეთი სტატიები, რაც ცენზურისა და კანონისთვის დასაწინააღმდეგებელია? ასეთი რამ არც დამინერია და არც დავწერ; და თუ მაინც შემთხვევით დავწერდი, სულერთია, არ ვაღიარებდი და არც ნებას მომცემდნენ, რომ მეღიარებინა. სხვა გზა არც დამრჩენია, ამიტომ ისიც დიდი სიკეთეა, რომ მე თავად არ მინდა.

იმ უპირატესობების აღიარების მტკიცება, რაც მას შემდეგ მოვიპოვე, რაც გადაწყვიტე, არავისთვის არაფერი დამწერა იმის გარდა, რომ მექო-მედიდებინა ის, რასაც ვხედავდი, ახლა სრულიად ზედმეტად მეჩვენება. იმის თქმაც მინდა, რომ ჩემი ქება-დიდება საკმაოდ განსხვავდება სხვებისგან სწორედ იმით, რომ ამისთვის მე არასოდეს არანაირი თანამდებობა არ მიმიღია. ოღონდ იმიტომ კი არა, რომ სამსახურისთვის დიდად გამოსადეგი არ ვიქნებოდი, არამედ იმიტომ, რომ ისინი, ვინც მე არ მიმიღებდა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მეც, რაკი არ მივიღებდი, რა თქმა უნდა, ვისურვებდით თუკი ჩემი ეს ქება თუ ხოტბა სრულიად მიუკერძოებელი იქნებოდა.

სწორედ ეს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა მაძლევდა იმ სიმსუბუქეს, რითიც გულწრფელად შემეძლო მექო და მედიდებინა ის ოჯახური ერთგულების და თანადგომის ჩვევა, რაც ხელისუფალთ იმთავითვე მოსდგამდათ თბილ ადგილებზე მოეწყობათ თავიანთი ოჯახის წევრები და ნათესავები თუ მეგობრები. თუმცა, ამ

მხრივ უკვე მოხდა გარკვეული ცვლილებები; ის სიფრთხილე, როგორცაც ისინი ურიგებდნენ იარაღს, ის დროულობა და გამომგონებლობა, ფორმა, რაც პალატის წევრებისთვის გამოიგონეს, მით უმეტეს ჩვენ დროში, ეტყობა იმ პრინციპის თანახმად, რომ ძუნწისგან უფრო მეტს მიიღებ, ვიდრე ფეხშიშველისგანო; ის სიფრთხილე სხვადასხვა შეთქმულებების გამომჟღავნების დროს რომ გამოიჩინეს სამშობლოს საფრთხისაგან გადასარჩენად, ის წინდახედულება, ქოლერის ეპიდემიის გავრცელების დროს უსიამოვნო მითქმამოთქმის მიჩუმათებისთვის რომ გამოავლინეს, ის აჩქარება, დროზე რომ დაემთავრებინათ სამოქალაქო ომი, ის... კიდევ დამრჩა რამე სათქმელი. ვფიქრობ, არაფერი გამომრჩენია, რისი შექებაც შეიძლებოდა; მაგრამ თუკი მაინც დამავიწყდა ვინმე და რამე, სიცოცხლეს ვფიცავ, მზად ვარ მასაც მივაგო თავისი წილი ხოტბა და ქება.

იმის მიხედვით, რაც ზემოთ ვთქვი, აღბათ აშკარად ჩანს, რომ ისე არაფერი ინვევს ჩემს აღფრთოვანებას, როგორც იმ კაცუნების ნუნუნი და ჩივილი, რომელთაც ყველაფერი, რაც კი რამ ხდება და კეთდება, ან სრულიად უფარგისად მოაჩნიათ, ან არასაკმარისად მაინც. მე კი ეს ყველაფერი იმდენად მალიზიანებს და მაბრაზებს, რომ მინდა ვკითხო: „თქვენ ეს გეცოტავებათ, არა?“ აბა თავად განსაჯეთ: რამდენი თვე გავიდა. — „რა დროიდან?“ — მეკითხებიან — „რა დროიდან?“... ვთქვით, თუნდაც დროიდან... რაც მეფის სტატუსი აღიარესო“. — „ერთი წელიც არ გასულა“ — „მერე ამ დროის მანძილზე... (ამას მე ვამბობ) ხომ შეიკრიბა ორივე პალატა, შეიცვალა ორი სამხედრო მინისტრი, ვიხილეთ შინაგან საქმეთა სამინისტრო, მართალია, მარტო ერთი საგარეო საქმეთა მინისტრი გვყავდა, მაგრამ სამაგიეროდ, მან უფრო მეტი ილაპარაკა, ვიდრე სამმა მინისტრმა ერთად. ამ დროის მანძილზე კიდევ ვიხილეთ ფინანსთა მინისტრიც და ფინანსებიც, ასევე. როგორც ანდაზა ამბობს, „მხოლოდ ვიხილეთ“; ხოლო თუ ფლოტის ნახვა არ გველირსა, ესეც არაფერი — ანდაზაში ხომ ნახსენებიც არ არის.

ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში სანტიაგოს გადასახადიც გაუქმდა; ხანდახან

სხდომებიც იმართებოდა, ხოლო თუ ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში ამბოხი კიდევ უფრო საშიში გახდა, სამაგიეროდ, ამავე დროს ესპანეთის უგანათლებულესი თავები ბოლოს იმას მაინც მიხვდნენ, რომ აუცილებელი იყო მოქმედება. რამდენმა სახელოვანმა გენერალმა განიცადა მარცხი ამ ერთი წლის მანძილზე! რამდენი მეამბოხე შეინდეს! რამდენი სამადლობელი სიტყვა გაისმა სხვადასხვა ორატორების გამოსვლაში! ვილაცამ კიდევ იხუმრა, მერე ამას რა პასუხები მოჰყვა! ან რა გესლი და ღვარძლი ანთხიეს დეპუტატებმა მინისტრის მიმართ, მინისტრმა კი დეპუტატების მიმართ!

ასჯერ ასი

და ათასჯერ ათასი.

მართლაც რომ საკვირველი კეთილგანწყობა სუფევდა მთელი ამ დროის მანძილზე, რაკი დაინახეს იმის შესაძლებლობა, რომ ქვეყნისთვის ამ მძიმე დროს ყველაზე უფრო წვრილმან კამათებში ჩაბმულიყვნენ! მერედა რაზე აღარ ლაპარაკობდნენ! ოდესღაც თემისტოკლეს უთქვამს ერთი სარდლისთვის — „დამარტყი, მაგრამ მომისმინე!“ ყოველი ჩვენი ორატორიც ლამის თემისტოკლეა, ოღონდ კი ლაპარაკის ნება მიეცი, ისიც ამასვე განაცხადებს ნებისმიერი გასაჭირის დროს, იქნება ეს სამოქალაქო ომი, ტახტის ახალი პრეტენდენტი თუ სხვა ვინმე; „დამარტყი, მაგრამ მომისმინე!“ მეტი რა გინდათ, გენახათ ამ ერთ წელიწადზე ნაკლები დროის მანძილზე და მოგესმინათ ამ მუდამ უკმაყოფილო კაცუნებისგან?

„ისინი წინდახედულები მაინც არ იყვნენ!“ — მითხრა ერთმა მათგანმა ამ რამდენიმე დღის წინ. „როგორ თუ წინდახედულები არ იყვნენო!“ — შეეძახე მე — ეს უკვე პათიოსნება აღარ არის! მერედა რატომ? იმიტომ რომ მოხდა ოთხი ავადსახსენებელი შემთხვევა, რისი თავიდან აცილება ცერ შესძლეს, თუმცა კი წინასწარ იცოდნენ ამის შესახებ. მაგრამ ამას რა აზრი აქვს? ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ფოსტამტის ამბის მერე, დაუყოვნებლივ დააყენეს გუშაგი პუერტა დელ სოლის ცენტრში, მანამდე ხომ არ ყოფილა, ახლა კი მთელი დღე დგას და თვალყურს ადევნებს მთელ ალკალას ქუჩას.

ოღონდ კი 18 რიცხვის გმირები დაბრუნდნენ. თქვენ კი მაინც გაიძახით წინასწარ განჭვრეტის უნარი არ აქვთო!

ცილისმნამებლები! იგივეს გაიძახიან ენთუზიაზმზეც. ათასჯერ მაინც მსმენია, რომ უთქვამთ, ენთუზიაზმი ჩაქრაო. მერედა რა? ვთქვათ, კიდევ ჩაქრა; განა დაუყოვნებლივ არ მიიღეს გადაწყვეტილება, კვლავაც გავაღვივოთ ენთუზიაზმიო? აკი ყველა ბატონ გუბერნატორს დაავალეს, გააცოცხლეთ საზოგადოებრივი აზრი და ენთუზიაზმიო. ისინიც ცდილობდნენ და თანაც ჩინებული, უმაღლესი ხარისხის ენთუზიაზმის გაღვივებას. გეგონებოდა, გასულ წელს არ გვქონდა ამის გასაჭირი, ამასთან, არც ამბოხის საშიშროება იყო; მაგრამ ჩვენ მაინც იოლად გავდიოდით ენთუზიაზმისა და საზოგადოების აზრის გარეშეც: ესეც არ იყოს, ენთუზიაზმის გამოცოცხლებას დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა ანარქიაც... მაგრამ ახლა სხვა საქმეა. ახლანდელი ენთუზიაზმი უნდა იყოს ზომიერი, ცივი და გონივრული, ისეთი, რაც ჩააჩუმებდა მეამბოხეებს, ჩუმი იქნებოდა, ლამის ყრუ-მუნჯი, ყოველგვარი სიმღერების გარეშე, რათა საზოგადოებრივი სიმყუდროვე არ დაერღვია, ერთი სიტყვით ისეთი, როგორც ნათქვამია, ოჯახი საქათმედ არ უნდა გადააქციო, ზედმეტი კრიახი მავნებელიაო. სწორედ ასეთი უნდა იყოს ნამდვილი ენთუზიაზმი, ოღონდ პატრიოტული სიმღერების გარეშე. იკითხავენ, რა იყო კრახის მიზეზიო. ზოგიერთი ამტკიცებს, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაო, სხვები კი... არა, ბატონებო. დღეს ყველა ერთსულოვნად შევთანხმდით, რომ მიზეზი მაინც სიმღერები იყო.

აბა, ახლა რას იტყვით? განა ეს ქებადიდება არ არის? დიახ, მეც მუდამ ვაქებ და ხოტბას არ მოვაკლებ, მუდამ დავიცავ... უარვეყოფ ოპოზიციას. მაინც რა არის ეს ოპოზიციაც?

დიახ, ასეთია ეს სტატია, რომელიც დაინერა ყველასთვის, გარდა ცენზორისა, ქება და ხოტბა, უფრო სწორად, ვიტყვოდი: აბა სცადეთ და ესეც ამიკრძაღეთ!

**ესპანურიდან თარგმნა
მარი ტიტვინიძე**





ვასილი როზანოვი

ლეგენდა დიდი ინჰვიზიტორის შესახებ

IX

„მაგრამ მე ღვთის სამყაროს არ მივიღებ“, — ასე ასრულებს თავის აღიარებას.

აქ კვლავაც ვხვდებით აზროვნების სრულიად ახალ შემობრუნებას: ქმნილება არ უარყოფს თავის შემოქმედს, რაკი მას აღიარებს და იცნობს; იგი მას უჯანყდება, უარყოფს მის ქმნილებას და, მასთან ერთად, საკუთარ თავსაც, რადგანაც ამ ქმნილების წესრიგში თავის საკუთარ წყობასთან შეუთავსებელი რამ შეიგრძნო. უზენაესი და ბრძენი ნება, შეუცნობელი წყაროდან სამყაროში გადმოღვრილი, თავისი ერთი ნაწილაკით, რომელსაც ადამიანი ეწოდება, უჯანყდება საკუთარ თავს და გმობს იმ კანონებს, რომლებითაც თვითონ მოქმედებს.

„ერთ რამეში უნდა გამოგიტყდე, — ამბობს ივანე, — ვერასოდეს გამეგო, როგორ შეიძლება გიყვარდეს შენი მოყვასნი. სწორედ მოყვასის, ახლობლის შეყვარება, ჩემი აზრით, შეუძლებელია. მხოლოდ შორეულს თუ შეიყვარებ. აი, კარგა ხნის წინათ, ოდესღაც წავიკითხე ერთი წმინდანის, იოანე მონყალეს შესახებ, რომელმაც მასთან მისული მშვიერი და გაათოშილი მანანწალა სანოლში გვერდით

ჩაინვინა, გულში ჩაიკრა და გასათბობად შემზარავი სნეულებისაგან დაჩირქებულ და მყრალ პირში სუნთქვა დაუნყო. დარწმუნებული ვარ, ეს სიცრუის სასონარკვეთილებამ გააკეთებინა, თავსმოხვეული სიყვარულის ვალდებულებამ, დაკისრებულმა ეპიტიმიათ. ადამიანი რომ შეიყვარო, საამისოდ ის თვალს უნდა მოეფაროს... მოყვასი შეიძლება გიყვარდეს განზოგადებულად, ზოგჯერ შორიდანაც, მაგრამ ახლოდან – თითქმის შეუძლებელია“.

ამ სიტყვებიდან საშინელი სიძულვილი გამოკრთის, რომელსაც რაღაც უდიდესი სიმძიმის უდევს საფუძვლად. „არვინ შეიძულვებს საკუთარ ხორცს, არამედ ყოველი მას კვებავს და ათბობს“, – ნათქვამია ადამიანზე, რითაც მისი ბუნების ზოგადი კანონია ნაგულისხმევი. აქ კი ვხედავთ სწორედაც რომ საკუთარი ხორცის სიძულვილს, სურვილს არა მისი „გამოკვებისა და გათბობის“, არამედ, პირიქით, მისი მოსპობა-განადგურებისა. ივანემ რაღაც თავგზააბნეულ სისწრაფეში არც მთლად შესაფერისი მაგალითი შეარჩია: ცხადია, იოანე მონყალე მისი სიკეთე სიხარულისა და ბედნიერების მომტანი იყო, ეს განმარტებას არ საჭიროებს. მაგრამ წამიერად გაელვებულ სახეში ეს შეცდომა არაფერს ცვლის, ჩვენ მას უგულვებლვყოფთ და გაგრძელებას ვისმენთ.

„აუცილებლად მინდოდა, - განაგრძობს ივანე, - ეს შენც ჩემი თვალთ დაგენახა. მინდოდა, ზოგადად, კაცობრიობის ტანჯვა-წამებაზე გველაპარაკა, მაგრამ ჯობს მხოლოდ ბავშვების ტანჯვაზე შევჩერდეთ... ჯერ ერთი, ბაღლების სიყვარული ახლოდანაც შეიძლება, მაშინაც კი, როცა ბინძურნი და შეუხედავნი არიან (თუმცა, მე არც ერთი ბავშვი შეუხედავი არ მეჩვენება). მეორეც, უფროსებზე იმიტომაც არ მსურს ვილაპარაკო, რომ, გარდა იმისა, რომ ამაზრუნენი არიან და სიყვარულს არ იმსახურებენ, მათ საზღაურიც მიიღეს: ვაშლი იგემეს, კეთილი და ბოროტი შეიცნეს და „ღმერთებს დაემსგავსნენ“. ამჟამადაც განაგრძობენ მის ჭამას. ბაღებს კი არაფერი შეუჭამიათ და ჯერ კიდევ არაფერში მიუძღვით ბრალი. გიყვარს ბაღები, ალიოშა? ვიცი, რომ გიყვარს და მიმიხვდები, მხოლოდ მათზე რატომაც მსურს ლაპარაკი. თუკი ამქვეყნად ისინიც საშინლად იტანჯებიან, ეს, რა თქმა უნდა, მათი მამების გამოა, მამების ცოდვისთვის იხდიან სასჯელს, - მაგრამ ეს მსჯელობა ხომ არაამქვეყნიურია, აქ კი მას კაცის გული ვერ ჩასწვდება? დაუშვებელია, უბრალო ბრალეულის გამო იტანჯოს, თანაც ასეთი უბრალო! გაგიკვირდება, ალიოშა, მეც ძლიერ მიყვარს ბაღები. იცოდე, სასტიკ ადამიანებსაც, ვნებიანთ და ავხორცთ, კარამაზოვისეული სულისკვეთების ადამიანებსაც - ზოგჯერ ძლიერ უყვართ ბავშვები. ბავშვები, ვიდრე პატარები არიან, ასე, შვიდწლამდე, ადამიანებისაგან საოცრად განსხვავებიან: თითქოს სრულებით სხვა არსება იყოს, სულ სხვა ბუნებით. ვიცნობდი სატუსალოში ერთ ავაზაკს: მას წინათ ბავშვების ხოცვაც მოუწია. მაგრამ პატიმრობის პერიოდში უცნაურად უყვარდა ბავშვები. სხვას არაფერს აკეთებდა, იჯდა და საკნის ფანჯრიდან ეზოში მოთამაშე ბავშვებს აკვირდებოდა. მიიჩვია კიდევ ერთი პატარი ბიჭი, მისი ფანჯრის ქვეშ რომ მიდიოდა, და ძალიან დაუემგობრდა... არ იცი, რისთვის გიამბობ ამ ყოველივეს, ალიოშა? რაღაც-ნირად თავი მტკივა და სევდა მანევს“.

„უცნაურად ლაპარაკობ, - უთხრა შე-

ნუხებულმა ალიოშამ, - ისე, თითქოს შეიშალე“.

თანაგანცდის წყურვილის გამო ტკივილის მიყენება - ეს ადამიანის სულის პოლარულობის ნიშანია, იღუმალი და აუხსნელი, რომელსაც დოსტოევსკი აქაშკარავენს. თვითონ, როგორც ცნობილია, თავის თხზულებებში¹ ხშირად და მტკივნეული გამონვლილვით აღწერს ბავშვების ტანჯვა-წამებას, თანაც ისე, რომ მუდამ ცხადი ხდება: ის მათი ტანჯვით თვითონაც იტანჯება და ამ ტანჯვას განჭერეტს კიდევ: მის მიერ დახატული სურათი თავისი გრეხილებით, აცახცახებულ სხეულში ჩასობილ დანასავით სულ უფრო ღრმად აღწევს ტკივილით დაკრუნჩხულ უცოდველ არსებაში, რომლის ცრემლიც ხელოვანს ისევე უწვავს სულს, როგორც მკვლელს უწვავს ხელს მსხვერპლის სისხლი. შეიძლება გრძნობდე, რომ ეს დანაშაულია, შეიძლება გწყუროდეს ამგვარად მოწყობილი საკუთარი ხორცის გაგლეჯა; მაგრამ ვიდრე ის გაგლეჯილი არ არის, ვიდრე ადამიანის გაუკუღმართებული სული არ გამოსწორდა, ამოა ცდა იქნებოდა, თვალი დაგვეხუჭა იმაზე, რომ ეს არსებობს, ან, ყოველ შემთხვევაში, ბუნების რაღაც აუხსნელი კანონით, დროდადრო გხვდება. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამგვარი აღიარების შემდეგ შეიძლება „მეგშალოს“ იმ აზრმა, რომ ჯერაც არ სრულდება კაცობრიობის ისტორია და კიდევ ათასწლეულების მანძილზე ეს მოუწყობელი ხორცი იძულებული იქნება იცოცხლოს,

¹ რომანში „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“ - ნელის ხასიათი და ბედისწერა, რომანში „ემშაკნი“ - სტავროგინის საუბარი შატოვთან და მისივე საუბარი კირილოვთან, როდესაც ეს უკანასკნელი პანია ბავშვს ბურთით ართობდა, „დანაშაულსა და სასჯელში“ - მარმელადოვის ბავშვები; „ძმებ კარამაზოვებში“ - ორი თავი: „ავზნება ქონმანში“ და „სუფთა პაერზე“, სადაც ბავშვის ტანჯვა წასაკითხადაც კი თითქმის აუტანელია („მამიკო, მამიკო, საყვარელო, როგორ დაგამცირა!“ - ეუბნება გულამოსკინი ილიუშა მამას). ამ ტკივილში არის რაღაც მწველი, აღტკინებული. ამავე თავში ავტორი ადამიანებს „სწეულებსა“ და „ბავშვებს“ უწოდებს (გვ. 244). ამ სცენებს უშუალოდ მოსდევს „Pro et Contra“, ყოველი რელიგიისა და ასევე ქრისტიანობის დიდი დიალექტიკა, მრავალი წლის წინათ ჩაფიქრებული, რომელიც ავტორს, ვგორებს, უნებლიეთ წამოსცდა; რომანში ის მოქმედების მსვლელობისაგან განცალკევებითაა მოცემული.

ტანჯოს და თვითონაც იტანჯოს.

„ზოგჯერ აღწერენ ადამიანის მხეცურ სისასტიკეს, – განაგრძობს გონს მოსული ივანე, – თუმცა ეს მხეცებისადმი საშინელი და საწყენი უსამართლობაა: მხეცი ადამიანს სისასტიკეში ვერასოდეს შეედრება. ვეფხვი უბრალოდ ღრღინს, გლეჯს – ამის გარდა სხვა არაფერი შეუძლია“. ამის საპირისპიროდ ადამიანი თავის სისასტიკეს რაღაც უცნაურ სინატიფეს, იდუმლად ღვარძლიან სიამტკბილობას ანიჭებს. ამ თვისებისაგან ადამიანს ვერც ეროვნება იხსნის, ვერც განათლება თუ, პირიქით, პირველქმნილობა, რელიგიაც კი ვერა; ადამიანს ის სამუდამოდ, ძირფესვიანად აქვს გამჯდარი. კლეოპატრა, დახვეწილი ბერძენი, როცაკი სვეკეთილი ცხოვრების ერთფეროვნება მოყირჭდებდა, ხან სოფოკლესა თუ პლატონის სტრიქონებით იფერადებდა ყოფას, ხანაც იმ მონა ქალის შეცვლილი ღიმილით, რომელსაც თვალელებში უცქერდა და ვინც თვითონვე თვალელებში ამტერდებოდა დედოფალს, ვიდრე მისი ხელი შავ მკერდში ქინძისთავს ასობდა. მუსლიმი და ბარბაროსი თურქები, თანაც, აჯანყების ალიაქოთით დაკავებულნი, მაინც იცლიდნენ საიმისოდ, რომ განეცადათ უდიდესი ნეტარება – სხვისი უზომო ტანჯვის ტკბობა; ისინი შედიან სახლში, სადაც შეშინებული დედა ხვდებათ ჩვილი ბავშვით ხელში. ბავშვს ეფერებიან, მის გასახალისებლად იცინიან და ბავშვის გაცინებასაც ახერხებენ. იმავე წამს ერთმა თურქმა ოთხი გოჯის დამორებიდან სახეში პისტოლეტი დაუმიზნა. ბიჭი გულიანად კისკისებს, პისტოლეტის ნასავლებად პანია ხელებს იშვერს, მსახიობი კი ჩახმახს ჩამოჰკრავს და ტყვიით თავს უხლექს. სხვათა შორის, ამბობენ, თურქებს ტკბილეული ძალიან უყვართო².

„– ძმაო, ეს ყველაფერი რას მოაყოლე? – ჰკითხა ალიოშამ.

– იმას ვამბობ, რომ, თუკი ეშმაკი არ არსებობს და ის ადამიანმა გამოიგონა, მას

² იქვე, გვ. 268. თურქების „ტკბილეულისადმი“ სიყვარულზე მინიშნებას უფრო ზოგადი ხასიათი აქვს: ადამიანის ბუნების სისასტიკისაკენ გადახრას დოსტოვესკი ყველგან უკავშირებს სიტკბოების წინა და აღვირახსნილობას.

ის საკუთარ ხატად და მსგავსებად შეუქმნა“.

„შენ კი საოცრად გცოდნია სიტყვების შემობრუნება, როგორც „ჰამლეტში“ ამბობს პოლონიუსი, – გაეცინა ივანეს, – ასე იყოს, ეს მახარებს კიდეც; მაშ, ღმერთი რაღა უნდა იყოს, თუკი ისიც კაცმა თავის ხატად და მსგავსებად შექმნა“.

ის კვლავაც განავრცობს ადამიანური ტანჯვის სურათს. მშვიდობიან, შრომისმოყვარე და პროტესტანტულ შვეიცარიასში სულ რაღაც ხუთი წლის წინათ მოხდა ერთი დამნაშავეს სიკვდილით დასჯა, აღსანიშნავი დეტალებით რომ გამოირჩეოდა. უკანონოდ გაჩენილი ვინმე რიშარი მშობლებს ჯერ კიდევ ჩვილობაში მწყემსებისათვის მიუბარებიათ, რომლებმაც ის იმ მოსაზრებით აიყვანეს, რომ მომავალში ამუშავებდნენ. მათ ის უსულო ნივთივით მიიღეს და კიდევაც ისე ეპყრობოდნენ, როგორც უსულო ნივთს. ავდარში, სუსხში, თითქმის შიშველი და მუდამ მშიერი ბიჭი მთაში მათ ნახირს მწყემსავდა. „თვით რიშარი გვიამბობს, რომ იმხანად ის, სახარებებისეული უძღები შვილის მსგავსად, უსაზღვროდ ნატრობდა თუნდაც იმ სალაფავს, რასაც გასაყიდად ნასუქ ღორებს უსხამდნენ; მაგრამ არც ეს აღირსეს და, როცა ღორებს საკვებს ჰპარავდა, სცემდნენ. ასე გაატარა მთელი ბავშვობა და სიჭაბუკე, ხოლო როდესაც გაიზარდა და ძალა მოიკრიბა, საქურდად წავიდა. ეს სანახევროდ ველური ჟენევაში დღიური სამუშაოთი ირჩენდა თავს, ნაშოვნით მაშინვე სასმელს ყიდულობდა, მხეცივით ცხოვრობდა, საბოლოო კი ვილაც ბერიკაცი მოკლა და გაძარცვა. შეიპყრეს, გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს“. უკვე სიკვდილმისჯილსა და დაღუპულს საზოგადოება, რელიგია და სახელმწიფო ყურადღებითა და მზრუნველობით ავსებს. ციხეში მასთან პასტორები შედიან და ცხოვრებაში პირველად გადაუშლიან ქრისტეს მოძღვრების ნათელს; ციხეშივე სწავლობს წერა-კითხვას, აღიარებს თავის დანაშაულს და მსაჯულებს სწერს საკუთარი თავის შესახებ – მხეცი ვარო, „და აი, როგორც იქნა, მეც გავხდი ღირსი, მეც

გამანათლა უფალმა და მადლით ამავე-სოო“. გულაჩუყებული საზოგადოება ერთიანად ღელავს; მასთან მიდიან, ეხვევიან და ჰკოცნიან: „შენც გენვია ღვთის მადლი, შენ ჩვენი უფლისმიერი ძმა ხარ!“.. რიშარი ტირის; ახალსა და ჯერ არგანცდილს ეზიარა, რამაც გული მოუღებო და აუჩუყა. ეს ველური, მხეცის ნაშიერი, ღორებს სალაფავს რომ ჰპარავდა, ერთბაშად მიხვდა, რომ ისიც, სხვებივით, ადამიანია, ყვეაფერში როდია უცხო და მარტოსული, მასაც ჰყავს მოყვასნი, ვისაც ის უყვარს, ვინც მას ათბობს და ანუგეშებს. „მეც ველირსე უფლის მადლს, – ამბობს გამტკნარებული, – უფალთან ნაზიარევი ვკვდები“. – „ჰო, ჰო, რიშარ, უფალთან ნაზიარევი მოკვდი, შენ სისხლი დაღვარე და უნდა მოკვდე. თუნდაც უდანაშაულო იყო იმაში, რომ უფალს სულ არ იცნობდი მაშინ, როდესაც ღორების სალაფავს შურით შენატროდი და როდესაც მისი მოპარვისათვის გცემდნენ (რამიც დიდი ბრალი მიგიძღვის, რადგან ქურდობა ძალიან ცუდია), მაგრამ შენ სისხლი დაღვარე და ამიტომაც უნდა მოკვდე“. და აი, უკანასკნელი დღეც დგება. „ეს ჩემი საუკეთესო დღეა, – ამბობს სიკვდიმისჯილი, – უფალთან მივიღვარ“. „დიახ, – ეუბნებიან, – ეს შენი უბედნიერესი დღეა, რადგან უფალთან მიდიხარ!“ იმ სამარცხვინო ფორანს, რომლითაც რიშარი მოედანზე მიჰყავთ, დიდძალი ხალხი ეხვევა და ყველა გულაჩუყებითა და სიყვარულით უცქერს. აი, ეშაფოტთან გაჩერდნენ: „მოკვდი, ჩვენო ძმაო, მოკვდი მადლშესხმული და უფალთან ნაზიარევი!“ – ეუბნებიან გარს მყოფნი. ეთხოვებიან, კოცნით ფარავენ, შემდეგ ის ფიცარნაგზე ადის და თავს გილიოტინაში ჰყოფს; დანის პირი ქვევით მისრიანებს და ასე დიდხანს წყვდიადში მყოფი, დასასრულს კი განათებული თავი ფეხქვეშ უგორება განმანათებლებს, მისთვის მტირალ თანამგრძნობ ძმებს“. ³ სიყვარულის

³ შენევაში შეადგინეს ბროშურა, სადაც ეს შემთხვევა დაწვრილებით იქნა აღწერილი. შემდგომში ის, სხვადასხვა ენებზე, მათ შორის, რუსულადაც იქნა თარგმნილი და უფასოდ ეგზავნებოდა მკითხველებს ყურნალ-გაზეთებთან ერთად. დოსტოევსკი შენიშნავს, რომ მსგავსი ფაქტი უაღრესად ლოკალურია

განცდას თან ერთვის თბილი დაღვრილი სისხლი, რომელიც ამ განცდას კიდევ უფრო მეტ სითბოსა და ალტკინებას ანიჭებს, – ეს ადამიანის არეულ-დარეული სულისათვის ისეთივე სიტკბოებაა, როგორც მოთამაშე უმანკოების შერწყმა ამ უმანკოების წამში განადგურების ცინიკურ ჩანაფიქრთან.

ადამიანი არა მხოლოდ თვითონაა ტანჯული და გარყვნილი: სადაც კი ხელი მიუწვდება, ყველგან ტანჯავს და რყვნის მთელ ბუნებასაც. ცხოველებიც საკუთარ თავს გაუტოლა და თვით მათი ინსტინქტებიც კი გააუკუღმართა⁴, მათაც და მცენარეებსაც თავს მიახვია მანამდე არარსებული ფორმები, აიძულა არაბუნებრივი შეწყვილებები,⁵ რომლის ზღვარსაც თვითონ ვერ გაავლებდა, ბუნების იდუმალ კანონებში მტკიცე ზღუდეს რომ არ წასწყდომოდა. კანონების უზნეო მგომბელი, ის ამ ზღუდის წინაშე დგას და ჯერაც ცდილობს რაიმე ხერხი მოიფიქროს მათ დასარღვევად, რათა ყველა ზღვარი თავისი ბოროტებითა და გარყვნილებით გადალ-

(ეროვნებისა და რელიგიის თვალსაზრისით) და ყოველად გამორიცხულია, ჩვენში მომხდარიყო. „თუმცა, – ნატიფად დასძენს ის, – მგონი, ეს ჩვენშიც იკიდებს ფეხს მას მერე, რაც ჩვენს მაღალ საზოგადოებაში ლუთერანული ქადაგების ქარმა დაჰბერა“ (გვ. 269). ეს შენიშვნა უკიდურესად ღრმაა: ადამიანის სულის მხარეებს შორის გარკვეული ურთიერთმიმართება არსებობს და, თუკი ერთ-ერთ მათგანს წინსვლა, რელიგია თუ განათლება შეეხო, მასთან ერთად და მის მიერ გათავისებული ახალი ტიპის შესაბამისად სხვებიც გარდუვალად შეიცვლება. პროტესტანტიზმის ამ სახასიათო წარმონაქმნს – მტირალა პიეტოზმს, ალტკინებისათვის ისევე სჭირდება დანაშაული და ტანჯვა, როგორც სხვა ისტორიულ გარემოებებში ჩამოყალიბებულ სულიერი წყობის სხვა ტიპებს, ოღონდაც თავისებურ ყაიდაზე.

მაგალითად, რიშარის შემთხვევა კათოლიკურ ქვეყნებში ვერ მოხდებოდა; პროტესტანტულ ქვეყნებში კი, თავის მხრივ, წარმოუდგენელია წამების ის დახვეწილი, ჩახლართული და მრავალფეროვანი სისტემა, ინკვიზიციამ რომ გამოიგონა. ყველგან თავისებურად, მაგრამ მაინც უცვლელად ტანჯავს ადამიანი ადამიანს.

⁴ ბაირონი მოთვინიერებულ შინაურ ცხოველებს ერთგან მართებულად უწოდებს „გარყვნილებს“.

⁵ იხ. ამასთან დაკავშირებით საოცარი დეტალებია მაგ., ბოგდანოვის წიგნში „სამედიცინო ზოოლოგია“, ტ. I. მ., 1883, §37-38.

ახოს. ნაჩქარევად ენაფება ბუნებაში არსებულ ყოველ სიმახინჯეს, ყოველ სნეულებას – უფროხილდება, ელოლიავება, კიდევაც ამრავლებს.⁶ მან შეცვალა კლიმატური გარემოებები, ცხოვრების პირობები, ერთმანეთში აურიო შეუთავსებელი, გაყარა განუყრელი, ბუნებას მოაცილა სახება ღვთისა და მის ნაცვლად საკუთარი დამახინჯებული სახე ააფარა. ამ ყოველივეს შუაგულში დაბრძანებულა – ბუნების მტანჯველი ხელმწიფე, თვითონაც იტანჯება და საკუთარი ნახელავის შესახებ ლექსებსაც თხზავს.

შორი ქვეყნებისა და ტანჯვის განსხვავებული ტიპებიდან მშობლიურ ნიადაგზე გადასვლის შემდგომ ივანე გაკვრით ჩერდება ამ პოეზიაზეც. თუმცა, თუკი არ ჩავწვდით მთელ იმ სიმახინჯეს, რაც ადამიანს ბუნებაში შემოაქვს, ვერც ბოროტების მთელ იმ სიღრმეს დავინახავთ, რაც მას თან ახლავს. „მართალია, ჩვენში წარმოუდგენელია, თავი მოვკვეთოთ ჩვენს უფლისმიერ ძმას მხოლოდ იმის გამო, რომ ის ჩვენი ძმა გახდა და უფლის მაღლით განიმსჭვალა, მაგრამ ჩვენ ჩვენი ლამის უარესი სენი გვჭირს. ჩვენი ისტორიული, უშუალო და უახლოვესი ნეტარება ცემით წამება გახლავთ. ნეკრასოვის ერთ ლექსში გლექსკაცი ცხენს მათრახს ურტყამს თვალეზზე, „თვინიერ თვალეზზე“. ვის არ უნახავს ეს – ეს უკვე რუსიზმია. ის აგვიწერს, ურემთან ერთად ტალახში როგორ ჩაეფლო გაძვალტყავებული ცხენი, რომელსაც ზედმეტად მძიმე ტვირთი აჰკიდეს, ის ამოსვას ცდილობს და ვერ ამოდის. გლექსი მას უტყამს, ამათრახებს ისეთი გაშმაგებით, თავდავინწყებით, რომ ცემით მთვრალი, ველარც კი ხვდება, რას სჩადის: „მერე რა, ძალა რომ გამოგლევია, მაინც წადი, მოკვდი, მაგრამ წადი!“ ჯაგლაგი წინ იწევს, იქარება, კაცი კი უკვე აცრემებულ, „თვინიერ თვალეზზე“ ურტყამს. ცხენი შემლილივით გაიარა, როგორც იქნა, ურემი ამოათრია და გასწია „ცახცახით, სუნთქვაშეკრული, რალაცნაირად გვერდუ-

⁶ იხ. დანილევსკი: „დარვინიზმი. კრიტიკული გამოკვლევა“. სანკტ-პეტერბურგი, 1885 (მტრედების ჯიშების შესახებ).

ლად, უცნაური ნამოხტომით, რალაცნაირად არაბუნებრივად და დარცხვენით“.

სწორედ ეს არაბუნებრიობა და დარცხვენობა, რაც ადამიანმა ბავშვურად უმანკო ბუნებაში შემოიტანა, ყველაზე უფრო შემზარავია. მაგრამ, თუკი ცხენის „თვინიერ თვალეზზე“ მათრახის დარტყმამ ადამიანი შეიძლება ალაგზნოს, რაოდენ უფრო მეტად ალაგზნებთ ბავშვის ყვირილი, თქვენივე ბავშვისა, რომელიც თქვენგან თავდაცვას ისევ თქვენშივე ხედავს. – „განათლებული ბატონი და მისი მეუღლე საკუთარ შვიდი ქლის ქალიშვილს როზგებით სცემენ“. მამა საგანგებოდ ირჩევს კაპიან ტოტებს, ამბობს, უკეთ ჩაესობაო. „ურტყამენ ერთ წუთს, ურტყამენ ხუთ წუთს, ათ წუთს, კიდევ და კიდევ, მეტად, უფრო ხშირად და მტკივნეულად. ბავშვი ყვირის, ბოლოს კი უკვე ველარც კი ყვირის, სული ეხუთება, ხრიალებს: „მამა, მამა, მამიკო, მამიკო“.⁷ სხვა შემთხვევაში პატივცემულმა, განათლებულმა და ჩინოსანმა მშობლებმა რატომღაც შეიძულეს თავიანთი შვილი, ხუთი წლის გოგონა, სცემდნენ, ნიხლებს ურტყამდნენ, ბოლოს და ბოლოს კი იქამდეც მივიდნენ, რომ „ყინვაში მთელი ღამით საპირფარეშოში კეტავნენ; და იმის გამო, რომ ღამით გადაყენებას არ ითხოვდა (გეგონება, ხუთი წლის ანგელოზმა, რომელსაც ღრმა ძილით სძინავს, ამ ასაკში შეიძლება გადაყენება მოითხოვოს), – აი, ამისათვის სახეზე განავალს უსვამდნენ, განვალის ჭამას აიძულებდნენ: და ამას დედა სჩადიოდა, დედა აიძულებდა! და ამ დედას შეეძლო ღამით მშვიდად სძინებოდა, როდესაც ბინძური ადგილიდან იქ ჩაკეტილი მისი ბავშვის კვნესა მოესმოდა!“... „გესმის ეს თუ არა, – ამბობს ივანე, – ციცქნა არსება, რომელსაც ჯერ არც კი ძალუძს გაიაროს, თუ რა ხდება მის თავს, ბინძურ ადგილას, სიცივესა და სიბნელეში ჩამწყდარ მკერდში ჰანია მჯილს იცემს და სისხ-

⁷ უეჭველია, რომ აქ იგულისხმება ბატონ კრონბერგისა და ქალბატონ ვეზინგის სასამართლო პროცესი, რომლის გარჩევაც და ბატონ სპასოვიჩის დამცველი სიტყვის მიმოხილვაც დოსტოვესკის „მწერლის დღიურის“ 1876 წლის თებერლის ნომერში აქვს შეტანილი (თხზულ., ტ. XI, გვ. 57-83).

ლიანი, უბოროტო, თვინიერი ცრემლით შესთხოვს „კეთილ ღმერთს“, დამიცავიო, – გესმის თუ არა ეს უაზრობა, ჩემო მეგობარო და ჩემო ძმაო, ჩემო მორჩილო ღვთსაო, თვინიერო, გესმის თუ არა, რა საჭიროა ეს უაზრობა? მის გარეშე, ამბობენ, ადამიანი ამქვეყნად ვერც კი იცოცხლებდა, რადგანაც კეთილსა და ბოროტს ვერ შეიცნობდა. და რა საჭიროა კეთილისა და ბოროტის შეცნობა, თუკი ეს ამ ფასად გვიჯდება? მთელი ქვეყნიერების შეცნობა არ ღირს ბავშვის ამ ერთადერთ ცრემლად, „კეთილი ღვთისკენ“ რომ აღვლენილა. უფროსების ტანჯვაზე არაფერს ვამბობ, მათ ვაშლი იგემეს და ეშმაკსაც წაუღიან, მაგრამ ესენი, ესენი! განვალებ, ალიოშა? მგონი, გონს აღარ ხარ. გავჩუმდები, თუ გინდა“.

„ – არაფერია, მეც მინდა ვიტანჯო, – ამილულულულა ალიოშამ.

„ერთ სურათსლა აგინერ, ერთს“, – ველარ ცხრება ივანე და ჰყვება, ბატონყმობის შავბნელ ხანებში, ბატონმა დედის თვალწინ ძაღლებს დააგლეჯინა ასე, რვა წლის ყმა ბიჭი, რომელმაც ბატონის საყვარელ ნაგაზს შემთხვევით ქვით ფეხი გადაუმტვრია.⁸ გადამდგავრი გენერალი თავის ურიცხვ ძაღლსა და მეძაღლესთან ერთად სისხამ დილით სანადიროდ გამოვიდა. „შეგონებისათვის“ მთელი სოფელი შეეკრიბათ, წინ კი ბიჭის დედა დაეყენებინათ, რომლისთვისაც შვილი წუხელვე წაერთმიათ და ცალკე დაემწყვდიათ. ახლა გამოიყვანეს და გააშიშვლეს. „ცახცახებს, შიშისაგან ლამის შეიშალოს, კრინტსაც კი ვერ ძრავს“. „წინ გაიგდეთ!“ – ყვირის გენერალი და მეძაღლეებიც ბიჭს უძახიან: „გაიქეცი, გაიქეცი!“ ბიჭი უგონოდ გარბის, გენერალი კი მთელ თავის ხროვას მასზე გეშავს და წუთში ბიჭისაგან ნაფლეთებიც კი აღარ რჩება. „მაშ... რა უნდა უყო? არ არის დასახვრეტი? ზნეობრივი გრძნობის დასაკმაყოფილებლად განა არ უნდა დახვრეტიო? მითხარი!

– დასახვრეტია, – ხმადაბლა წარმოთქ-

⁸ ეს ფაქტი, დანარჩენების მსგავსად, წამდვილია; ის ჩვენს ერთ-ერთ ისტორიულ უურნალშია მოთხრობილი.

ვა ალიოშამ და მკრთალი, რალაცნაირად მობრეცილი ღმილით ახედა ძმას.

– ბრავო, – სიხარულით შეჰყვირა ივანემ, – თუკი შენც ამას ამბობ, მაშინ...

– მე სისულელე ვთქვი, მაგრამ...

– საქმეც იმაშია, რომ „მაგრამ“... – გაჰყვიროდა ივანე, – იცოდე, მორჩილო, რომ სისულელეები ამქვეყნად ჰაი რომ გვჭირდება. ასეთ სისულელეებზე დგას ეს ქვეყანა, მათ გარეშე კი, ვინ იცის, ქვეყნად არც არაფერი მომხდარიყო.⁹ ჩვენ ვიცით ის, რაც ვიცით!“

„ – არაფერი მესმის, – ციებინივით განაგრძობდა ივანე, – ახლა არც ძაღმძის რაიმეს ჩავწვდე. მინდა ფაქტებთან დავრჩე. დიდი ხანია, გადავწყვიტე, არაფერს ჩავწვდე. თუკი ამა თუ იმ მოვლენის წვდომას შევეცდები, იმწამსვე ვულაატებ ფაქტს, მე კი გადაწყვეტილი მაქვს, ფაქტებთან დავრჩე...“

– რისთვის მაცთუნებ? – წამოიძახა გულჩამწყდარმა ალიოშამ, – არ მეტყვი, ბოლოს და ბოლოს?

– რა თქმა უნდა, გეტყვი, ყოველივე აქეთკენ მიმყავს, – ამბობს ივანე და დასკვნა გამოაქვს: – ყური მიგდე, მხოლოდ ბავშვებზე მეტი სიცხადისათვის შეეჭერდი. დანარჩენ ცრემლზე კაცთა მოდგმის, რომლითაც დედამინა ქერქიდან შუაგულამდეა გაჟღენთილი, სულაც ხმას არ ვიღებ, – თემა განგებვე შევაგინროვე. ბაღლინჯო ვარ – მზად ვარ თავი დავიმცირო და ვალი-არო, რომ არ ძაღმძის ჩავწვდე, თუ რატომაა ყოველივე ასე მონყობილი... ო, ჩემი კნინი, მიწიერი, ევკლიდესეული გონებით ისლა ვიცი მხოლოდ, რომ ტანჯვა არსებობს, ბრალი კი არვის მიუძვის, რომ ყოველივე ერთი მეორიდან გამომდინარეობს უშუალოდ და მარტივად, რომ ყოველივე მიედინება და წონასწორობაში ექცევა, – მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ევკლიდეს

⁹ ის. პარალელური ადგილი „ძმებ კარამაზოვებში“: თავი „ივანე ფიოდოროვიჩის კოშმარი“, სადაც ეშმაკი ხუმრობით განმარტავს, ამქვეყნად „მხოლოდ და მხოლოდ მოვლენების მოსახდენად ვარსებობო“ და, თავისივე სურვილის საპირისპიროდ, ვერ ახერხებს დანარჩენი ბუნების „ოსანას“ შეუერთდეს, რადგან ასეთ შემთხვევაში „ამქვეყნად აღარაფერი მოხდებოდა“.

აბდაუბდაა, მე ხომ ეს ვიცი; ამ აბდაუბდით ცხოვრებას ხომ ვერ შევეგუები!¹⁰ რას მარგებს ის, რომ დამნაშავე არავინაა და რომ მე ეს ვიცი, – შურისძიება მწყურია, სხვაგვარად ხომ თავს მოვიშობო.¹¹ შურისძიება

¹⁰ ეს უკიდურესად ამაღლებული ადგილია – ადამიანური სულის ერთ-ერთი უდიადესი და ყველაზე სევდიანი აღიარება, რომლის სიმართლესაც ვერ უარყოფთ. მას საფუძვლად უდევს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანის ცხოვრების წარმართველი გარეშე სინამდვილის კანონებსა და ადამიანში ღრმად ჩადებულ ზნეობრივ კანონებს შორის დისპარმონია სუფევს.

ამ დისპარმონიის შედეგად ადამიანს უწევს: ან უარყოს ეს ზნეობრივი კანონები, მათთან ერთად კი საკუთარი პიროვნებაც და მასში მოციმციმე ღვთიური ნაპერწკალი, შეერწყას ბუნებას და ბრმად დაემორჩილოს; ანდა საკუთარი ზნეობრივი მოსაზრებების შენარჩუნებით განუდგეს ბუნებას, მასთან მარადიულ და უღონო დაპირისპირებაში მოექცეს. ამ აზრის პირველ გამოკრთომას ვხვდებით დოსტოევსკისთან 1864 წელს თხზულებაში „ჩანაწერები იატაკქვეშეთიდან“ (ნან. I, თავი IV, გვ. 450-451, ტ. III, 82 წლის გამოც.), სადაც ის უნესრიგოდ და მლეღვარედ, მაგრამ ძალზე სახასიათოდაა გამოთქმული: „ღმერთო ჩემო, რა საქმე მაქვს ბუნებისა და ართიმეტიკის კანონებთან, თუკი ამა თუ იმ მიზეზით ეს კანონები და ორჯერ ორი ოთხი არ მომწონს? ცხადია, ამგვარ კედელს შუბლით ვერ გავანგრევე, თუკი მართლა არ მექნა საამისო ძალა, მაგრამ მას მაინც არ შეუურიგდები მხოლოდ იმის გამო, რომ აქ ქვის კედელია, მე კი ძალა არ მეყო.

თითქოს ამგვარი ქვის კედელი მართლაც ნუგეში იყოს, მართლაც სამყაროსათვის რაიმე სიტყვას წარმოადგენდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის – ორჯერ ორი ოთხია?!

ო, სიბრიყვე სიბრიყვეთა!

სულ სხვაა – ყველაფერი გესმოდეს, ყველაფერს აცნობიერებდე, ყოველ შეუძლებლობასა და ქვის ყოველ კედელს; არ შეურიგდე არც ერთს ამ შეუძლებლობათაგანს – ქვის არც ერთ კედელს, თუკი გძაგს მასთან შერიგება; გარდუვალა ლოგიკური კომბინაციებით მიაღწიო მარადიულ დასკვნამდე, რომ ქვის კედლის შემთხვევაშიც კი თითქოსდა რალაცაში ხარ დამნაშავე, თუმცა ცხადზე ცხადია, რომ დამნაშავე სულაც არა ხარ და ამის შედეგად მდუმარედ, კბილთა ღრჭიალით უმოქმედობაში გაირინდო და იმაზე დაიფიქრო, რომ თურმე ჯავრსაც კი ვერავიზე იყრი; რომ ჯავრის საგანს ვერ პოულობ და, იქნებ, ვერც ოდესმე იპოვო; რომ აქ ჩანაცვლებაა, გაყალბება, თაღლითობა („ემშაკის ვოდევილი“ რომანში „ემშაკი“), მაგრამ ყველა ამ გაურკვევლობისა და თაღლითობის მიუხედავად, მაინც გტკივათ და, რაც უფრო დიდია გაუგებრობა – მით უფრო გტკივათ“. უკანასკნელი სიტყვების დამცინავ და ტანჯულ კილოში უკვე ჩადებულია „დიდი ინკვიზიტორის ლეგენდის“ ჩანასახი. იხ. დანართები.

¹¹ ე. ი. ტანჯვასა და დანაშაულს თუკი სასჯელი თუ შურისძიება და, მასთან ერთად, დაკმაყოფილება არ მოჰყვება, მაშინ დაკმაყოფილების ძებნაში მოვაშობო საკუთარ ხორცს, როგორც ტანჯულსა და დამნაშავეს. პარალელური ადგილები გვხვდება „მწერლის დღიურშიც“, 1876 წ. ოქტომბერი და დეკემბერი. იხ. დანართები.

არა მარადისობაში, ოდესმე და სადმე, არამედ აქვე, ამქვეყნად, თანაც ისე, საკუთარი თვალთ რომ ვნახო. მნამდა, ამიტომაც მსურს საკუთარი თვალთ ვიხილო; ხოლო თუკი იმ დროისათვის მკვდარი ვიყავი, დაე, გამაცოცხლონ, რადგან ყოველივე უჩემოდ თუ მოხდა, მაშინ მეტისმეტად დამწყდება გული. განა იმისთვის ვიტანჯე, რომ ჩემი თავით, ჩემი ცოდვითა და ვნებით სხვას სამომავლო ჰარმონია დაეუნაკელიანო? ჩემი თვალთ მსურს ვნახო, როგორ დანვება ლომი შვლის გვერდით, როგორ აღდგება მოკლული და გადაეხვევა თვის მკვლელს. მინდა აქვიყო იმ წამს, როდესაც ყველანი გაიგებენ, თურისთვის იყო ყოველივე ასე და არა სხვაგვარად. ამ სურვილს ემყარება მსოფლიოს ყველა¹² რელიგია, მე კი მნამს. მაგრამ დავუბრუნდეთ ბალებს. აი, მაშინ მათ რალა ვუყო? ეს ის საკითხია, რომელიც ვერ გადაამინყვეტია... თუკი ყველა უნდა იტანჯოს ტანჯვისათვის, – რათა ტანჯვით იყიდოს მარადიული ჰარმონია, მაშ, ბავშვები აქ რა შუაში არიან, გამაგებინე? სრულიად გაუგებარია, რა საჭიროა მათი ტანჯვა და რად სჭირდებათ მათაც ჩვენავით ჰარმონიის ყიდვა. რად მოჰყვენენ ისინიც საერთო მასალაში და ვილაცის სამომავლო ჰარმონია დაანაკელიანეს? მესმის ადამიანთა შორის სოლიდარობა ცოდვაში, მესმის სოლიდარობა სასჯელშიც, მაგრამ ბალებთან ხომ არ გვაქვს ცოდვაში სოლიდარობა?! და თუკი მართლაც ჭეშმარიტებაა, რომ ისინიც სოლიდარულნი არიან თავიანთ მამა-პაპებთან მათ ყველა ბოროტმოქმედებაში, – ცხადზე ცხადია, რომ ეს ჭეშმარიტება ამ ქვეყნისა არ გახლავთ და ჩემთვის გაუგებარია. მავანი ოხუნჯი იმასაც იტყვის, სულ ერთია, ბალები

¹² ეს სიტყვები შეიცავს იმის აღიარებას, რომ უკლებლივ ყველა რელიგია ადამიანის სულის წიაღიდან, მისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებისა და მათი დაძლებების წყურვილიდან იშვა. მაშასადამე, რელიგიები ადამიანს გარედან როდი ეძლევა და მათი წარმოშობა მხოლოდ იმდენადაა მისტიკური, რამდენადაც თვით ადამიანის სულია მისტიკური და არა მეტად. ეს შეხედულება ეწინააღმდეგება რელიგიასთან დაკავშირებით ყველაზე მიღებულ შეხედულებას, როგორც სრულიად მისტიკურს, ისე ნატურალურს.

გაიზრდება და მაინც მოასწრებს ცოდვე-
ბის ჩადენასო.¹³ მაგრამ, აი, ხომ არ გაზ-
რდილა: ის რვა წლის ასაკში ძაღლებს დაა-
გლეჯინეს. ოჰ, ალიოშა, ღმერთს როდი
ვგმობ! ხომ მესმის, რა ძალით უნდა იძვრეს
ქვეყნიერება, როდესაც ზეცაში და მიწაზე
ყოველი არსება ერთ ქებათა-ქებად შეირ-
წყმება და ყველა, რაც ცოცხლობს თუ
რასაც უცხოვრია, უფალს შეჰლაღადებს:
*მართალ ხარ შენ, უფალო, რამეთუ გაიხს-
ნენ გზანი შენნი!* როდესაც დედა გადაეხ-
ვევა მტანჯველს, მისი შვილი ძაღლებს
რომ დააგლეჯინა, და სამივენი თვალ-
ცრემლიანნი შეჰლაღადებენ: *მართალ ხარ
შენ, უფალო*, მაშინ, ცხადია, მოხდება *შეც-
ნობის დაგვირგვინება და ყოველივე აიხს-
ნება*. მაგრამ... *სწორედ ამას ვერ მივიღებ*.
და, ვიდრე ამქვეყნად ვარ, ჩემი ზომების
მიღებას ვჩქარობ. საქმე ესაა, ალიოშა: ხომ
შეიძლება მართლაც ისე მოხდეს, რომ
მოვესწრო ამ წუთს¹⁴, ანდა მკვდრეთით
აღვდგე, რათა ის ვიხილო, ვინძლო, შვი-
ლის მტანჯველთან გადახვეული დედის
შემხედვარემ, თვითონაც შევძახო: „მარ-
თალ ხარ შენ, უფალო!“ *მაგრამ არ მსურს
ეს მაშინ შევძახო*. ვიდრე კიდევ მაქვს დრო,
თავს ვიზღვევ, ამიტომაც სულაც უარს
ვამბობ უზენაეს ჰარმონიაზე. ის არ ღირს
ცრემლად თუნდაც იმ ერთი წამებული
ბავშვისა, თავის აყროლებულ საკანში
დამწყვდეული, მკერდში მუშტებს რომ
ირტყამდა და გამოუსყიდელი ცრემლებით
შეჰლაღადებდა „კეთილ ღმერთს“! იმიტომ
არ ღირს, რომ მისი ცრემლები გამოუსყი-
დავი დარჩა. მათი გამოსყიდვის გარეშე
ხომ ჰარმონიაც შეუძლებელია. მაგრამ

¹³ ფილოსოფიასა და ეგრეთ წოდებულ „ზნეობრივ
ღვთისმეტყველებაში“ არსებობს ამგვარი ახსნა, მა-
გრამ ის მართლაც სრულებით არადაამკაყოფილე-
ბელია.

¹⁴ პარალელური ადგილი „ივანე ფიოდოროვიჩის
კოშმარში“, სადაც ეშმაკი ამბობს (გვ. 350): „ხომ
ვიცი, რომ აქ რაღაც საიდუმლო ძვეს, მაგრამ არას-
გზით არ სურთ გამიმხილონ... ხომ ვიცი, ბოლოს და
ბოლოს შევურიგდები, გამოვივლი მეც ჩემს
კვადრილიონს და საიდუმლოსაც გავიგებ“.

მაგრამ ვიდრე ეს მოხდება, ვიბუტები, თავს
ძალას ვატან და ერთადერთ დანიშნულებას ვას-
რულებ: *ერთის გადასარჩენად ათასებს ვლუპავ...*

არა, ვიდრე საიდუმლო არ გახსნილა, ჩემთვის
არსებობს ორი ჭეშმარიტება: *ერთი იქაური, მათი,
ჩემთვის ჯერ სრულიად უცნობი, მეორე კი ჩემი“*.

რით, რით გამოისყიდი? განა ეს შესაძლე-
ბელია? ნუთუ იმით, რომ შურს იძიებ? მა-
გრამ რას მარგებს ეს შურისძიება, რას
მარგებს ჯოჯოხეთი მტანჯველებისთვის,
რას გამოასწორებს ეს ჯოჯოხეთი, თუკი
ისინი უკვე გაიტანჯნენ? ან კი რა ჰარმო-
ნია შეევუთავსო ამ ჯოჯოხეთს: მსურს მი-
ვუტევო და გადავეხვიო, აღარ მსურს,
ვინმე დაიტანჯოს. და, თუკი ბავშვების
ტანჯვა იმ ჯამის შევსებას მოხმარდა, მა-
შინ წინასწარვე ვამტკიცებ, რომ მთელი
ჭეშმარიტება ამ ფასად არ ღირს.¹⁵ არ
მსურს, ბოლოს და ბოლოს, დედა გადაეხ-
ვიოს მტანჯველს, მისი შვილი ძაღლებს
რომ დააგლეჯინა! დედას უფლება არ აქვს
მიუტევოს! თუკი სურს, შეუძლია მტანჯვე-
ელს საკუთარი ტკივილი მიუტევოს – უს-
აზღვრო ტანჯვა დედისა; მაგრამ მას
უფლება არ აქვს, თავისი დაგლეჯილი შვი-
ლის ტანჯვა მიუტევოს, მაშინაც, თუ ეს
თვით ბავშვმაც კი მიუტევა! ხოლო თუ
ასეა, თუ უფლება არ აქვთ მიუტევონ, მაშ,
საღლაა ჰარმონია? არის კი მსოფლიოში
თუნდაც ერთი არსება, მიტევება რომ შეე-
ძლოს და ამის უფლებაც ჰქონდეს? არ
*მსურს ჰარმონია, კაცობრიობის სიყვარუ-
ლის გამო არ მსურს!* გამოუსყიდელი ტან-
ჯვა-წამება მირჩევნია. დავრჩები ჩემს
გამოუსყიდელ ტანჯვასა და ჩემს დაუოკე-
ბელ მრისხანებასთან, თუნდაც არ ვიყო
მართალი. თანაც, მეტისმეტად ძვირად
დაგვიფასეს ჰარმონია, სად გვაქვს ჯიბე-
გაფხეკილებს ამდენის გადახის საშუალე-
ბა? ამიტომაც ჩემს შესასვლელ ბილეთს
სასწრაფოდ უკანვე ვაბრუნებ. და, თუ პა-
ტიოსანი კაცი ვარ, ვალდებული ვარ ეს,
რაც შეიძლება, სწრაფად გავაკეთო. ასეც
ვიქცევი. ღმერთს კი არ უარვყოფ, ალიოშა,
მხოლოდ უდიდესი მოწინებით უკან ვუ-
ბრუნებ ბილეთს“.

X

„ეს ამბობია, - ხმადაბლა წარმოსთქვა
თავდახრილმა ალიოშამ“.

მოყვანილი სიტყვა ყველაზე მწარეა,
რაც კი ადამიანს მთელი თავისი ისტორი-

¹⁵ „დანართში“ იხ. მსგავსი მოსაზრება „ბროლის
სასახლის“ შესახებ.

ვასილი როზანოვი. ლეგენდა დიდი ინაკვიზიტორის შესახებ

ის მანძილზე გადმოუნთხევია. ის ღმერთს არ უარჰყოფს, მაგრამ მისგან პირს იბრუნებს; ეჭვი არ შეაქვს თავისი ტანჯვის საბოლოო საზღაურში, – მაგრამ ეს საზღაური აღარ სურს. რაღაც იმდენად ფასეულია მასში შერყვნილი, იმდენად წმინდა რამაა შეურაცხყოფილი, რომ მზერას ზეცისკენ აღაპყრობს და, ბოლოს და ბოლოს, შეთხოვს, ნულარ გამომისყიდი შეურაცხყოფას, ნულარ გამომისწორებ ამ სიმახინჯეს: შენ, ვინც ჩემს ბუნებას ჩაუნერგე ავხორცება მოყვასის გვემისა და ამ ავხორცების ძალით გამომგლიჯე შვილები, აწამე და გვემე, რაღად მომანიჭე მათი იმგვარი სიყვარული, თავად შენც რომ აგიჯანყდა? რად აღმირიე სული, განყვიტე მასში ყველა დასაწყისი და დასასრული ისე, რომ აღარც სიყვარული შემოძლია, აღარც სიძულვილი, არც ვიცი და ველარც უმეცრებაში ვრჩები, არც მხოლოდ მართალი ვარ და აღარც მხოლოდ ცოდვილი; და, თუკი ჩემში აღრიე ცნობადის ხის ნაყოფი, რად აღმოაცენე ეს ხე ჩემდა საცთუნებლად, ან რატომ არ შემოარტყი ზღუდე შეუვალი? დაბოლოს, როდესაც მქმნიდი, რად არ მომანიჭე ავხორცობაზე მეტი თვნიერების სიმტკიცე? ეს, ალბათ, საზღაურია. მაგრამ, რაკი შვილები დამელუბა, დაე, საზღაურმა გვერდით ჩამიაროს. ჩამიქრე ცნობიერება და ამით მიბოძე დავინყების უნარი, ისევ იმ მიწაში შემზილე, საიდანაც ამომიყვანე. ხოლო თუ ცნობიერება არ ჩამიქრა, მირჩევნია ჩემი დაფლეთილი შვილები დავიტირო, ვიდრე შენი ჭეშმარიტების გამარჯვება ვიხილო. არ მსურს ნუგეში, მინდა გულით ვიტანჯო უკუნითი უკუნისამდე და დაღუპული შვილების ტანჯვა გავიზიარო.

აქ თავს იჩენს ბზარი ადამიანის ძალებში, იმ გზის გაგრძელების უუნარობა, რომელზედაც ადამიანი იდუმალი საწყისიდან ასევე იდუმალ დასასრულამდე მიჰყავს განგებას. ამ გზას ის ათასწლეულთა მანძილზე მიუყვებოდა და ყველაფერს უძლებდა იმ იმედით, რომ საბოლოო შეცნობა და ღვთის ჭეშმარიტების საბოლოო გამარჯვება ოდესმე გულს დაუამებდა. მაგრამ, აი, დასასრულს ტანჯვამ იმ დონეს

მიაღწია, რომ ის უნებლიეთ ჩერდება, სვლას ველარ განაგრძობს. მთელ განვლილ გზას გადახედავს, ყოველივეს იხსენებს, წონის თავის ტვირთსა და ძალების დარჩენილ მარაგს და სვამს შეკითხვას: საით მივდივარ და ძალმიძს თუ არა მივალწიო მიზანს? სიგიჟე ყოფილა სასოება ჩემი და უკეთური ყოფილა ნება, ვინც მე ის ჩამინერგა.

უეჭველია, ადამიანთა ბედისწერის უზენაესი ჭვრეტა რელიგიაში უნდა ვეძიოთ. არც ისტორია, არც ფილოსოფია თუ ზუსტი მეცნიერებანი არ შეიცავენ ხედვის იმ განზოგადებასა და მთლიანობას, რასაც რელიგიაში ვხვდებით. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რატომაც ეძვირფასება ადამიანს რელიგია, რატომაც აღგვამალლებს და განგვანათლებს. როდესაც მთლიანსა და ზოგადს იცნობ, კერძოში გზა-კვალს იოლად გაიკვლევე; და პირიქით – რამდენი კერძო ფაქტიც არ უნდა ვიცოდეთ – მათკი ისტორია, მეცნიერებები, ფილოსოფია გვანვდიან – მუდამ შეიძლება ახლებს გადავეყაროთ, რომლებიც თავგზას აგვიბნევენ. ამიტომაც, ცხოვრება მუდამ მდგრადია, მყარ საყრდენზე დგას, როდესაც რელიგიურია.

რელიგიურ ჭვრეტაში სამი დიადი მაგიური აქტი ასრულებს დასაყრდენი ნერტილების როლს, რომლებზედაც ერთგვარად მიმაგრებულია ადამიანური ბედისწერა, თითქოს ზედ ჰკიდია, ეყრნობა. ერთია – ცოდვით დაცემის აქტი: ის განგვიმარტავს იმას, რაც არის; გამოსყიდვის აქტი: ის ადამიანს არსებულის გასაძლებლად ამხნევეს; დაბოლოს, კეთილისა და ბოროტისათვის მარადისობაში სამაგიეროს მიზღვევის, სამართლის საბოლოო გამარჯვების აქტი: მას ადამიანი მომავლისაკენ მიჰყავს.

ადამიანური ბედისწერა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეირყევა, თუკი მას ერთ-ერთ ამ საყრდენთაგანს გამოვაცლით. ვიდრე ეს არ მოხდა, რაგინდ უბედურებებს ემსხვერპლოს ადამიანი: ომებს, შიმშილს, ჟამიანობას, მთელი ერების ამონყვეტას – ყველაფერს აიტანს, რადგან ამ ყოველივეს მიუხედავად თავის უშინაგანეს არსს შეინ-

არჩუნებს; ხალხი დაილუპება, მაგრამ გადარჩება ადამიანი და ხალხიც ხელახლა დაიბადება; ცვლილება შეეხება გამოვლინებებს, მაგრამ გამოვლენილი არსი უცვლელი დარჩება; ყვავილს ფოთლები ჩამოსცვივდება, მაგრამ დარჩება ნასკვი და ბუტკო. ერთადერთ რამეს ვერ აიტანს ადამიანი – მისი ყოფიერება და ცნობიერება მოსწყდეს იმ სამ მისტიკურ აქტს, რომლის რწმენაც აცოცხლებს. ყოველგვარი უბედურების გარეშეც, სრულ კეთილდღეობაში მყოფიც დაილუპება ისე, რომ ამას თვითონაც ვერ შენიშნავს; გამოვლინებანი ერთხანს კიდევ იარსებებს და გაქრება, რადგან გაქრება მათ მიღმა დამალული არსი; ხალხი აღარ აღორძინდება, რადგან მოკვდება თვით ადამიანი.

აქედან გამომდინარე, გასაგებია ის სიძულვილი, რითაც ადამიანი ხვდება თავისი არსებობის ამ საყრდენ წერტილებთან ნებისმიერ მტრულ მიახლოებას. „არ მიეკარო, ამით მიდგას სული“, – თითქოს ეუბნება ნებისმიერს, ვინც მათთან მიახლოებას ცდილობს, ვისაც მათი აწონ-დაწონვა თუ გაზომვა, რაიმე კუთხით ჩასწორება, შევსება თუ გასუფთავება განუზრახავს. ინსტიქტური სიძულვილის ეს განცდა ყველა იმ რელიგიურ დევნას უდევს საფუძვლად, ოდესმე ისტორიაში რომ განხორციელებულა, – დევნას, რომელიც ხალხის მასაში, სისასტიკის მიუხედავად, უდიდეს გამოძახილს პოულობდა.

სწორედ ამ სამ აქტს, ადამიანის ამქვეყნიური ბედისწერის სამ საყრდენ წერტილს, მისი ძალების წყაროს რომ შეადგენს, – არყევს ის დიალექტიკა, რომლის ნაწილიც ზემოთ მოვიყვანეთ. ეს მსჯელობა ჯერ არ შეხებია გამოსყიდვის აქტს, ამ ტრიადის მეორე, შემკვრელ რგოლს, სამაგიეროდ მასში ეჭვქვეშაა დაყენებული პირველი აქტი – კაცთა ცოდვით დაცემა და უარყოფილია მესამე – კეთილისა და ბოროტისათვის სამაგიეროს მიზღვევის, ღვთის ჭემმარიტების საბოლოო გამარჯვების აქტი. ის იმიტომ კი არ არის უარყოფილი, რომ შეუძლებელია, არ მოხდება – მისი უარყოფის მიზეზი ისაა,

რომ ის საჭირო აღარ არის, ადამიანი მას აღარ მიიღებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დიალექტიკა ჯერ არასოდეს ყოფილა რელიგიის წინააღმდეგ ასე მძლავრად მიმართული, როგორც ეს აქ ხდება. ის ჩვეულებრივ ღვარძლსა და ბოროტებას უკავშირდება და იმ მცირერიცხოვანთაგან მოდიოდა, ვინც რელიგიას განუდგა. აქ კი დიალექტიკას ადამიანი ავითარებს, რომელიც, ამკარაა, უფრო ერთგულია რელიგიისა, ვიდრე სხვა რამისა მთელს ბუნებაში, ცხოვრებაში, ისტორიაში და ადამიანის ბუნების ცალსახად კეთილ მხარეებზეა დამყარებული. შეიძლება ითქვას, აქ ადამიანის არსის სწორედ ღვთიური საწყისი უჯანყდება ღმერთს: სწორედ სამართლიანობის გრძნობა და საკუთარი ღირსების შეგნება.

სწორედ ესაა, მთელ ამ დიალექტიკას ერთობ საშიშ, სატანურ ხასიათს რომ სძენს. ჯერ კიდევ პირველი განდგომილი ანგელოზის შესახებაა ნათქვამი, „სხვა დანარჩენებზე უფრო მაღლა“, „ღმერთთან უფრო ახლოს“ იდგაო, ე. ი. ღვთის განსაკუთრებულად მსგავსი იყო, – ცხადია, თავისი სისპეტაკით, სინმინდით. ეს დიალექტიკა გარკვეულ რელიგიურ ხასიათს ატარებს და ის თავდადება, რომლისკენაც ნებისმიერი რელიგია გვიბიძგებს, მეორე მხრივ კი, ის სიძულვილი, რომელიც თავს ატყდება ყველას, ვინც კი რელიგიაზე გაილაშრებს, მასაც ერთგვარი საბურველით მოსავს, მიუხედავად იმისა, რომ ეს დიალექტიკა სწორედ რელიგიის წინააღმდეგაა მიმართული. გვეჩვენება, თითქოს ერთთავად ადამიანისადმი ათრთოლებული სიყვარულიდან აღმოცენებული ამ დიალექტიკის ნგრევას მხოლოდ ის თუ შეეცდება, ვისაც ადამიანი არ უყვარს. ის საყრდენს აცლის ადამიანურ ყოფიერებას და ამას იმგვარად ახდენს, რომ შეუძლებელია ეს საყრდენი დავიცვათ და ადამიანში მტკივნეული შეურაცყოფის განცდა არ გამოვიწვიოთ. ის უნებლიეთ თვითონვე ხდება ჩათრეული საკუთარი დაღუპვის დაცვაში – არა დროებითი და კერძო, არამედ საყოველთაო და საბოლოო დაღუპვისა.

ამ დიალექტიკის უარყოფელი, მასავით ღრმა და სადა მსჯელობის აგება, უეჭველია, მომავალში ჩვენი ფილოსოფიისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის ურთულესი ამოცანა იქნება, – ცხადია, თუკი ეს უკანასკნელი ოდესმე შეიგნებს, რომ მისი მოვალეობა საზოგადოებაში მბორგავი შემაშფოთებელი ეჭვების გაქარწყლებაა, და არა იმ ორიოდ კაცის ევროპული განათლების დადასტურება, ვისაც ეს ამა თუ იმ მიზეზით ევალება.

ზემოთ მოყვანილ ნათქვამში მისაგებელზე ან თუნდაც ოდენ ღვთის სამართლის გამარჯვების ხილვაზე უარის თქმა მართლაც ადამიანის სულის უნატიფესად მოხელთებულ ერთადერთ თვისებურებაზე დამყრებელი: როცაკი მისი ტანჯვა ზღვარს სცილდება, როცა შეურაცხყოფა გაუსაძლისი ხდება, – მასში იღვიძებს ამ ტანჯვის შენარჩუნების ნყურვილი, ის ვერ თმობს, ვერ ელევა შეურაცხყოფას. შეგნება იმისა, რომ ტანჯვა დაუმსახურებელია (როგორც, სავარუდოდ, ბავშვების ტანჯვა) და აუნაზღაურებელი, რაღაც ისეთს შეიცავს, თვით ამ ტანჯვას რომ გვიამებს; ხოლო მისი ანაზღაურების შემდეგ ეს მამებელი ქრება და ტკივილი გაუსაძლისი ხდება. ამგვარად, ანაზღაურებას მოაქვს სხვა, ახალი სიხარული; მაგრამ ის სულაც არ იკავებს ძველი სიმწრის ადგილს, ვერ აძევებს მას ადამიანის სულიდან. და ეს კანონია ჩვენი სულის, ასეთად გვაქვს ნაბოძები, ასეა მონყობილი. ვერ უარყოფთ იმას, რომ ამ თვისებას თან ახლავს თავისებური კეთილშობილება და ის ადამიანური ღირსების შეგნებიდან გამომდინარეობს, ერთგვარი სიამაყიდანაც და, ამასთან, თავმდაბლობიდანაც, რაიმე უარყოფითი მინარევის გარეშე.

ასეა; და ვიდრე ადამიანი დარჩება სულიერი და ფიზიკური ყოფიერების ამჟამინდელ ფორმებში, რომლის გარდა სხვას არც იცნობს, მას მართლაც ურჩევნია „დარჩეს თავის გამოუსყიდელ ტანჯვასთან“, ვიდრე მისთვის სამაგიერო მიიღოს და ამის ფასად შეურიგდეს. მაგრამ თუკი ვიფიქრებთ, რომ მისი ყოფიერების ეს ფორმები რაღაც აბსოლუტური და მარა-

დიულია და არაფრითაა განპირობებული, ეს დიდი შეცდომა იქნება. ადამიანის სული თავის იდეებში, წარმოდგენებსა და გრძნობებში მეტისმეტად მჭიდროდაა დაკავშირებული მისი სხეულის იდუმალ აგებულებასთან; ის მასზე ისევეა მიმაგრებული და ისევეა მისით განპირობებული, როგორც დაბადების მომენტში ჯერ არდაბადებული ბავშვი დედის საშოსთანაა დაკავშირებული. მაგრამ მიმაგრებული მგომარეობა მხოლოდ დროებითია; და, თუკი ჩვენი იდეების დინება ჩვენს აგებულებაში ნებისმიერ ცვლილებაზე რეაგირებს, გვიჭირს კიდეც წარმოვიდგინოთ, თუ რას იგრძნობს და რას იფიქრებს ჩვენი სული მას შემდეგ, რაც სხეულისაგან განთავისუფლდება და განიწმინდება. როგორც ახლაა მისთვის შერიგება შეუძლებელი – ნამდვილად შეუძლებელი, – მომავალში ის შეიძლება სწორედ ასევე აუცილებელი და თავისთავადი გახდეს. და იქნებაო „ახალი ცა და ახალი მიწა“, ნათქვამია უკანასკნელი დღის შესახებ, როდესაც „უფალი შეაშრობს ყოველ ცრემლს“¹⁶ – ამ სიტყვებით იმ სირთულის გადაჭრაზე მიგვნიჭნებს, ჩვენთვის ჯერაც გადაუჭრელად რომ რჩება.

გარდა ამისა, ბავშვების ტანჯვა, რომლებიც აშკარად ვერ უთავსდება უზენაესი სამართლიანობის მოქმედებას, შეიძლება რამდენადმე მაინც გახდეს გასაგები, თუკი უფრო მკაცრად განვიხილავთ პირველქმნილ ცოდვას, ადამიანის სულის ბუნებასა და დაბადების აქტს. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ადამიანის სულში, გარდა იმისა, რაც მასში ცხადად და მკაფიოდაა გამოვლენილი, ჩადებულია მთელი სამყარო ჯერაც გამოუთქმელი, განუცხადებელი. როდესაც ადამიანი ამა თუ იმ დანაშაულს სჩადის, ამის შესრულება მხოლოდ მეორადი და ნაკლებმნიშვნელოვანია, პირველადი და მთავარი კი ის სულიერი მოძრაობაა, რომელიც მას წინ უძღოდა და რომლიდანაც დანაშაულებრივი აქტი აღმოცენდა. ის ადამიანის სულზე ერთგვარ ნაოჭს, წარუშლელ კვალს ტოვებს, ერთგ-

¹⁶ იოანეს გამოცხადება, 21:1, 21:4.

ვარად ცვლის და ამახინჯებს. საკითხარია: სულის მხოლოდ ცხადად გამოვლენილი ნაწილი თუ განიცდის ამ ცვლილებასა და დალდასმას – მეხსიერება, მასში მოთავსებული ცოდნით, მიმდინარე სურვილები, გაელვებული გრძნობები? რა თქმა უნდა, არა: ბოროტი მასში მთლიანის სახით შედის და მისი შინაარსის მთელ სისრულეს ამახინჯებს, - როგორც ცხადს, ისე ჯერაც განუსაზღვრელსაც. ვიცით, რომ ყოველივე ბოროტი ადამიანში გაურკვეველი გზებით იბადება, სული ბნელი ნიალიდან აღმოცენდება. შემდგომ, დაბადების აქტში მშობელი უცილობლად გადასცემს შვილს არა მხოლოდ თავის აგებულებას, არამედ მის შემკვრელ ცენტრსა და კანონსაც, ანუ სახელდობრ სულს. ხასიათის, რაიმე განსაუთრებული ნიჭისა თუ მანკიერი მიდრეკილებების მემკვიდრეობითობა იმდენად ცნობილი და გავრცელებული ფაქტია, რომ მასში ახლა ექვს ველარ შევიტანთ. დაბადების აქტების სიმრავლისა და დაბადებულთა ინდივიდუალური თვისებების საფუძველზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თითოეული ცალკეული აქტით ხდება შვილისთვის მშობლის სულის გარკვეული ნაწილის გადაცემა; ცხადად გამოვლენილის გადაცემისას შეინიშნება მემკვიდრეობითობა, ხოლო გამოუვლენელის გადაცემისას მემკვიდრეობითობა, როგორც ჩანს, არ გვაქვს. თავისი ამგვარი ბუნების წყალობით, თითოეულ ნაწილს, ალბათ, აქვს უნარი საკუთარი თავის მთლიანად აღდგენისა, ნაკლული ნაწილების გამოძახებისა, რომლებიც, მათი საერთო წესრიგის მსგავსად, პირველი ნაწილის იმ მთლიანსადმი მიმართებითაა განპირობებული, რომლიდანაც იგი იშვა; ასევე, მაგალითად, ნრფისაგან დარჩენილი უმოკლესი რკალიც კი ნრფის ყველა თვისებას ინარჩუნებს, რის მიხედვითაც მისი აღდგენაა შესაძლებელი. თითოეული დაბადებულის ფსიქიური ორგანიზმის ეს აღდგენილი ნაწილები შეიძლება განვიხილოთ, როგორც რაღაც ახალი; მაგრამ მათ შორის უეჭველად არის ის ძველი ნაწილიც, არა შექმნილი, არამედ გადმოსული. ის საკუთარ თავში ატარებს იმ

საერთო სიმახინჯეს, რომელიც მშობლის სულს ახასიათებდა, ზოგჯერ კი ერთგვარ დამატებით, სიღრმისეულ ბოროტებას, ერთგვარ დანაშაულს, რომელიც მასში მანამდე ჩაკარგულ ნაწილს წარმოადგენდა, ახლა კი მარტო დარჩა და თავის გარშემო მთლიანი აღადგინა. ხოლო თუ ის საკუთარ თავში დანაშაულს დაატარებს, ამას თან ახლავს მისი ბრალეულობაც და სასჯელის აუცილებლობაც. ამდენად, ბავშვების უმნიკვლოება და უდანაშაულობა მხოლოდ მოჩვენებითი მოვლენაა: მათში უკვე ჩამალული მათი მამების მანკიერება და, მასთან ერთად, მათი ბრალეულობაც; უბრალოდ ის ჯერ კიდევ არ იჩენს თავს ამა თუ იმ დამანგრეველი აქტის სახით, ანუ მას არ მოსდევს ახალი დანაშაული: მაგრამ ძველი ბრალეულობა, რაკი ის არ დასჯილა, მათში უკვე არსებობს. სწორედ ამ სასჯელს იხდიან თავიანთი ტანჯვით. მამის დანაშაული შეიძლება იმდენად მძიმე იყოს, რომ თვით დამნაშავეს არც კი შეეძლოს მისი გამოსყიდვა, თუნდაც თავისი სიკვდილით: ვთქვათ, მან გახრწნა ბავშვი, ნაბილწა სპეტაკი არსება, რომელიც გულუბრყვილოდ მიენდო. განა შეუძლია მას ასეთი დანაშაული საკუთარი არსებით გაოისყიდოს? არ შეუძლია და ამდენად მისი დანაშაული დამალული და დაუსჯელი რჩება. მაგრამ თაობები ცვლის თაობებს და სასჯელი თავს იჩენს ისეთ აუხსნელ ტანჯვაში, ბუნების კანონებს თითქოს რომ არღვევს, სინამდვილეში კი აღადგენს.

აქ ახსნას ჰპოვებს ადამიანის სულიერი ცხოვრების ერთი ძალზე ღრმა მოვლენა: ესაა ნებისმიერი ტანჯვის გამწმენდი მნიშვნელობა. ჩვენ საკუთარ თავში უდიდეს დანაშაულსა და, მასთან ერთად, შემზარავ, ჯერაც არაფრით გამოსყიდულ ბრალეულობას დავატარებთ; და, თუმცა მას არ ვიცნობთ, მკაფიოდ ვერ შევიგრძნობთ, ის უსაშველოდ გვამძიმებს და სულს წყვდიადით გვივსებს. და, როცა კი რაიმე ტკივილს განვიცდით, ამით ჩვენი ბრალეულობის ნაწილს გამოვისყიდით, რაღაც დანაშაულებრივისაგან ვთავისუფლდებით, სინათლესა და სიხარულს გან-

ვიცდით, უფრო ვმალდებით და ვინმინდებით. ადამიანმა უნდა აკურთხოს ნებისმიერი განსაცელი, რადგან მისი მეშვეობით თვით ღმერთი შედის მასში. და პირუკუ: ვისი ცხოვრებაც მსუბუქად მიედინება, უნდა ნუხდეს იმ გადადებული სასჯელის გამო, რომელიც წინ მოელის.

ამგვარი ახსნის შესაძლებლობა დოსტოვესკის აზრად არ მოსვლია, ის ფიქრობდა, რომ ბავშვთა ტანჯვა რაღაც აბსოლუტურია და მას *ამქვეყნად არავითარი ბრალეულობა წინ არ უძლოდა*; აქედან გამომდინარე, გასაგებია მისი კითხვა: ვის ძალუძს მიუტევოს იმას, ვისაც ამ ტანჯვაში მიუძღვის ბრალი? ამ სირთულეს უკავშირდება კითხვა მეორე ცენტრალური აქტის – გამოსყიდვის შესახებ, რომელიც ადამიანურ ბედისწერას განსაზღვრავს. ჩვენი რელიგია – „ქრისტიანობა“ – ჩვენი ცოდვების გამომსყიდველის სახელს ატარებს; სწორედ ეს აქტია მოქცეული დიალექტიკის შემდგომი მსჯელობის ცენტრში. გამოსყიდვა ისევეა ეჭვქვეშ დაყენებული, როგორც მანამდე – ცოდვით დაცემა და უკანასკნელი სამსჯავრო. ეს იმ დიალექტიკის მეორე ნაწილია, რომელსაც პირველის, *ბიბლიურის* საპირისპიროდ შეიძლება *სახარებისეული* ვუნოდოთ და რომელიც „ინკვიზიტორის შესახებ ლეგენდის“ ერთობ უჩვეულო ფორმამია მოქცეული.

გამოსყიდვის აქტის კრიტიკას დოსტოვესკისთან ერწყმის კათოლიციზმის ფარული იდეის ჩამოყალიბება.¹⁷ სწორედ ეს იდეა ცხადყოფს საკუთარ შინაარსს, რომელშიც იგი *განსჯის ცხოვრებასა და ქრისტეს მოძღვრებას* და, ამავდროულად, ასაბუთებს ამქვეყნად თავისი წარმოშობის აცილებლობას. მსცოვანი ინკვიზიტორი თავისი ეკლესიის იდეას ასახიერებს, ადამიანის ბუნებას აანალიზებს და ქრისტეს მოძღვრებასთან მის შეთავსებას ცდილობს, მაგრამ იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს ორი ერთმანეთთან შეუსაბამოა.

¹⁷ ამ იდეის ლამის პირველი მონახაზი გვხვდება „იდიოტი“ (1868 წელი), გვ. 537-538 (1882 წლის გამოცემა). დოსტოვესკი მას ძალზე ხშირად უბრუნდება „მწერლის დღიურში“ (მაგ., 1877, მაისი-ივნისი, თავი III). იხ. *დანართები*.

ქრისტეს მიერ ქვეყნად მოტანილი ძღვენი მეტისმეტად *ამალღებულია* და *ადამიანი მას ვერ იტევს*; ამიტომ მას არც ძალუძს მისი მიღება, ანუ ქრისტეს სიტყვის წვდომა და მისი მცნებების აღსრულება. მოთხოვნებისა და შესაძლებლობების, იდეალისა და სინამდვილის ამ შეუსაბამობის გამო ადამიანი სამუდამოდ უბედურია: მხოლოდ ერთეულებმა, მათ, ვინც სულით ძლიერია, შეძლეს სულის გადარჩენა, შეუდგნენ ქრისტეს გზას და ჩასწვდნენ გამოსყიდვის საიდუმლოებას. ამდენად, ადამიანისადმი ქრისტეს ესოდენ დიდი პატივისცემა ისეთი მოპყრობაა, „თითქოს მას სრულებით არ უყვარდეს ადამიანი“. მან ვერ გათვალა მისი ბუნება და თავისი დიადი და წმინდა საქმით, ამავდროულად, *შეუძლებელი, განუხორციელებელი* რამ გააკეთა. კათოლიციზმი *სწორედ მისი საქმის ჩასწორებაა*, ზეციური მოძღვრების *გამინიერება*, ღვთიურის *ადამიანურთან* მისადაგება. მაგრამ ამის შემდგომ კათოლიციზმმა ამ ცვლილების საიდუმლო საკუთარ წიაღში დამალა; ხალხები კი მას მისდევენ და ჰგონიათ, რომ ქრისტეს გზას ადგანან. ამ სიცრუის საიდუმლო უძძიმესი და მტანჯველი ტვირთია, რომელიც იტირთეს ერთეულებმა, დასავლური ეკლესიის თავკაცებმა, რითაც დანარჩენი კაცობრიობა ტანჯვისაგან იხსნეს და მისი ამქვეყნური ცხოვრება მოაწესრიგეს. ამგვარად, მთელი დიალექტიკის მამოძრავებელი საწყისი აქაც ადამიანის სიყვარულია, ამ დიალექტიკის საბრძოლო იარაღი კი ადამიანის ბუნების ღრმა ანალიზია.

ამ ყოველივეს საერთო აზრს კი ის შეადგენს, რომ *თვით გამოსყიდვის აქტს ადგილი არ ჰქონია*: იყო მხოლოდ *შეცდომა*; არც რელიგია არსებობს, როგორც რელიგიურ საიდუმლოებათა მცველი, მხოლოდ ილუზიაა, რითაც ადამიანი იძულებულია *თავი მოიტყუოს*, რათა როგორღაც მაინც მოიკიდოს ამქვეყნად ფეხი.

ამ დიალექტიკის საბოლოო დასკვნა კი ეს გახლავთ – სინამდვილეში რელიგია არ არსებობს და მისი არსებობა სრულიად შეუძლებელიც კია, რადგან მას არ გააჩნია გარეშე საფუძველი: ცოდვის, მისი გამო-

სყიდვისა და უკანასკნელი სამსჯავროს მისტიკური აქტები.

გადავიდეთ იმ აზრის დეტალურ განხილვაზე, რომლის თემაც მოვნიშნეთ. ალიოშას შეძახილს - „ეს ამბოხია“ - ივანე მღელვარედ პასუხობს:

„ - ამბოხი? არ ვისურვებდი შენგან ამ სიტყვას. განა შეიძლება ამბოხით ცხოვრება, მე კი ცხოვრება მინდა. თვითონვე მითხარი, მოგინოდებ - პასუხი გამეცი: წარმოიდგინე, რომ სწორედ შენ გინევს ადამიანური ბედისწერის ნაგებობის აღმართვა¹⁸ და შენი საბოლოო მიზანი ადამიანთა გაბედნიერებაა, ნანატრი მშვიდობისა და განსვენების მინიჭება: მაგრამ ამისათვის გარდუვალად მოგიწევდა, სულ რაღაც ერთადერთი ციციქნა არსებისათვის, თუნდაც იმ ბავშვისათვის, მკერდში მუშტებს რომ იციმდა, ტანჯვით ამოგეხადა სული და მის ცრემლებზე დაგემყარებინა შენი ნაგებობა, დათანხმდებოდი ამ პირობით აღმშენებლობას? ტყუილს ნუ მეტყვი!

- არა, არ დავთანხმდებოდი, - ხმადაბლა წარმოსთქვა ალიოშამ.

- თუ შეგიძლია დაუშვა ის აზრი, რომ ის ადამიანები, ვისთვისაც აშენებ, დათანხმდებოდნენ გატანჯული ბავშვის სისხლზე აგებული ამ ბედნიერების მიღებაზე და, რომც მიეღოთ, თუ დარჩებოდნენ სამუდამოდ ბედნიერნი?“

ადამიანის სინდისის სწორედ ამ დიად

¹⁸ „პუშკინის შესახებ სიტყვაში“ („მწერლის დღიური“, 1880) დოსტოვესკი განიხილავს ტატიანას ხასიათს და იმას, რომ ქალმა სიყვარულის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა, რადგან ხნიერი მეუღლის შეურაცხყოფა არ ისურვა, პირადად თავისი სახელით სვამს შეკითხვას: „განა შეიძლება ადამიანმა ბედნიერება სხვის უბედურებაზე ააგოს? ბედნიერება... სულის უზენაეს ჰარმონიაშია. რით დავიმშვიდოთ სული, თუკი წარსულში უსასველო, უმოწყალო, არაადამიანური რამ ჩავიდინეთ...“

წუთით დაუშვით, რომ თვითონვე აღმართავთ ადამიანური ბედისწერის ნაგებობას და თქვენი საბოლოო მიზანი ადამიანთა გაბედნიერებაა, ნანატრი მშვიდობისა და განსვენების მინიჭება. და ისიც წარმოიდგინეთ, რომ ამისათვის გარდუვალად მოგიწევდათ სულ ერთადერთი ადამიანისათვის ტანჯვა მიგყენებინათ... თუ დათანხმდებით ამ პირობით აღმშენებლობას?“

(ტ. XII, გვ. 424). ეს პარალელი ცხადყოფს, რომ ყველაფერი, რასაც ივანე კარამაზოვი ამბობს, თვით დოსტოვესკის სიტყვებია.

და კეთილშობილ თვისებამდე - მხოლოდ ის აგვამალლებს უმოწყალო ბუნებაზე და გვაახლოვებს მოწყალე ღმერთთან - დაყვანილია თვით ღვთის წინააღმდეგ ამბოხის საკითხი. პასუხი ორჭოფობას არ მოგვითმენს: თუ კაცობრიობა იტყვის: „დიახ, ძალმიძს მივილო“, ის იმწამსვე დაკარგავს ადამიანობას, „ხატსა და მსგავსებას ღვთისა“ და მხეცების შეკრებად გადაიქცევა; უარყოფითი პასუხი კი ამტკიცებს და ამართლებს მარადიული ჰარმონიის უარყოფას, - და ამით ყოველივეს ქაოსად აქცევს...

ალიოშა შეშფოთებულია; ის უარჰყოფს იმას, რომ ადამიანმა შეიძლება ამ პირობებით მიიღოს მსოფლიო ჰარმონია, მაგრამ უეცრად თვალანთებული შესძახებს: „ძმაო, ახლა არ თქვი, განა არის ამქვეყნად ისეთი არსება, მიტევება რომ შეეძლოს და ამის უფლებაც რომ ჰქონდესო? მაგრამ ასეთი არსება მართლაც არის და მას ყველაფრის მიტევება შეუძლია, ყველას ყოველივეს მიუტევებს, რადგან თვითონ გაიღო საკუთარი უცოდველი სისხლი ყველასა და ყოველივესთვის. შენ ის დაგავინედა, არადა სწორედ მასზეა დამყარებული მთელი ნაგებობა, და სწორედ მას შესძახებენ: მართალ ხარ შენ, უფალო, რადგან გაიხსნენ გზანი შენნი“.

- აჰ, ეს ერთადერთი უცოდველი და მისი სისხლია, - ამბობს ივანე და პასუხის ნაცვლად ძმას სთავაზობს, ერთ ლეგენდას გვიამბოვ, რომელიც ამ საკითხებზე ფიქრისას გონებაში გამოიმესახაო. ალიოშა სმენისათვის ემზადება, ივანე კი თხრობას იწყებს.

XI

მოქმედება დასავლეთის შორეულ ქვეყანაშია გადატანილი, საუკუნეები განზე ინევა, სცენაზე გამოდის XVI საუკუნე - ევროპული ცივილიზაციის განსხვავებული ელემენტების ურთიერთალრევისა და ბრძოლის ეპოქა: ახლად აღმოჩენილ ამერიკაში პირველი მოგზაურობებისა და რელიგიური ომების, ლუთერის და ლოიოლას, ხმაურიანი ჰუმანისტებისა და იე-

ვასილი როზანოვი. ლეგენდა დიდი ინაკვიზიტორის შესახებ

ზუიტთა ორდენის პირველი გენერლების დრო. ოლონდაც ამ ომის შეხლა-შემოხლა კონტინენტის შუაგულში ხდება; ხოლო იქ, პირენეების მიღმა, ესპანეთში, შორი ბრძოლების ხმა მხოლოდ ყრუდ აღწევს, იქაურები უფრო იკეტებიან საკუთარ თავსა და საკუთარ უძრაობაში. უფრო შორს კი, დროთა ბნელ ნიაღში მზით გადამწვარი, ხრიოკი ქვეყანა ჩაკარგულა და აქ, ამ ქვეყანაში აღსრულდა გამოსყიდვის დიდი საიდუმლო, ქვეყნიერების ცოდვებისათვის, დამაშვრალი კაცობრიობის გამოსახსნელად სწორედ ამ მიწაზე დაიღვარა სისხლი. უკვე თხუთმეტმა საუკუნემ განვლო მას მერე, რაც საიდუმლო აღსრულდა; დაემხო შემზარავი იმპერია და მის საძირკველზე აღმოცენდა ახალი ხალხებისა და სახელმწიფოების სამყარო, რომლებიც ახალი რწმენით განათდა და თავიანთი ღვთისა და მაცხოვრის განმწმენდი სისხლით იქნა გამოსყიდული. მას მოელიან დაუტყობელი წყურვილითა და სასოებით, ელიან აღსრულებას მისი აღთქმისა, რომელიც მისმა მონაფემ დაუტოვათ: „აჰა, მოვალ მალე“¹⁹ – და რომლის უამის შესახებ თვითონ თქვა, ვიდრე მიწაზე იყო: „იმ დღესა და საათზე კი მამის გარდა არავინ იცის: არც ზეციერმა ანგელოზებმა და არც ძემ“. უფრო მეტი რწმენითაც კი მოელიან ახლა, რადგან „თხუთმეტმა წელიწადმა განვლო მას მერე, რაც ზეცამ შეწყვიტა ადამიანისათვის სესხების გაცემა“²⁰:

ირწმუნე, რასაც გული გკარნახობს,

ზეცისგან სესხებს ნულარ მოელი...²¹ – და მხოლოდ სიტყვის სინმინდის უსაზღვრო რწმენა იცავს ადამიანს დალუპვისაგან. „მაგრამ ეშმაკს არ სძინავს და კაცობრიობას უკვე შეეყარა იჭვნიეულოების სენი. სწორედ იმხანად ჩრდილოეთში,

¹⁹ აპოკალიპსისი, 22:12: „აჰა, მოვალ მალე, ჩემთანაა ნაცვლისგება ჩემი, და მისი საქმისებრ მივაგებ ყოველს“.

²⁰ „ძმები კარამაზოვები“. „ლეგენდა დიდი ინკვიზიტორის შესახებ“ (მთარგმნელის შენიშვნა).

²¹ პნკარები ვასილ შუკოვსკის (1783-1852) ლექსიდან „სურვილი“ (მთარგმნელის შენიშვნა).

გერმანიაში, საშინელმა ახალმა ერესმა წამოჰყო თავი. ლამპარივით²² მოელვარე ვეება ვარსკვლავი დაეცა წყაროებს წყალთა და ისინი მწარენი გახდნენ“. მაგრამ მით უფრო მხურვალედ სწამთ მათ, ვინც ჭეშმარიტი რწმენა შეინარჩუნა. კაცობრიობის ცრემლი კვლავაც ძესთან ადის; კვლავაც სასოებით მოელიან, უყვართ, ისევე, როგორც წინათ, სწყურიათ მისთვის ენამონ და დაიხოცონ. და „აი, ამდენი საუკუნის მანძილზე კაცობრიობა რწმენითა და გზებით ემუდარებოდა: ჰე, უფალო, გამოგვეცხადე! იმდენი საუკუნის მანძილზე შეჰლადადებდა, რომ მან უსაზღვრო მონყალებით ინდომა მლოცველებთან შთასვლა“.

სცენა ვინროვდება და თხრობა კონკრეტულ სიმჭოდროვეს იძენს. ჩვენს წინაშეა სევილია, რომლის ხვატიან ქუჩებზე მშვიდი საღამო ეშვება. ხალხის ბრბო განზე იშლება; უეცრად ის გამოჩნდება, – „უხმოდ, შეუმჩნეველად, სწორედ იმ ადამიანური სახით, რითაც ჰჰ წლის მანძილზე მიმოდოდა კაცთა შორის თხუთმეტი საუკუნის წინათ“. იერით, გარეგნობით სხვებისაგან არაფრით გამოირჩევა, მაგრამ უცნაურია: „ყველანი სცნობენ. ხალხი შეუჩერებელ ნაკადად იწევს მისკენ, გარს ეხვევა, მჭიდრო წრეს ჰკრავს, ფეხდაფეხ დაჰყვება. ის კი მდუმარედ დადის მათ შორის და უსაზღვრო სიბრალულის მშვიდი ღიმილით უღიმის. მის გულში სიყვარულის მზე ღუის, სინათლის, გასხივოსნებისა და ძალის სხივები მისი თვალებიდან ეფრქვევა ხალხს და მათ გულებს საპასუხო სიყვარულით ათრთოლებს. ის ხელებს უწვდის, ლოცავს და სწეულნი მასთან ან თუნდაც მხოლოდ მის სამოსთან შეხებით იკურნებიან. აი, ბრბოდან შეჰლა-

²² „ანუ ეკლესიისა“ - განმარტავს დოსტოვესკი. ციდან ჩამოვარდნილი ვარსკვლავის სახე აღებულია აპოკალიპსისიდან, VIII, 10-11, ისევე, როგორც ზოგიერთი შემდგომი შედარება, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის ამქვეყნიურ ბედისწერას გამოხატავს. მოცემულ ადგილას გამოთქმულია შეხედულება რეფომაციისაზე, როგორც ეკლესიის მსგავსებაზე, რომელიც ადამიანებს აცდუნებს და ჭეშმარიტი ეკლესიისაგან აშორებს: „წყაროები წყალთა“ - აქ „რწმენის სინმინდე“, ნაბილწულია ეკლესიის „მსგავსებით“.

ლადებს მოხუცი, სიყრმიდან უსინათლო: „უფალო, განმკურნე, რათა მეც გიხილო“, – და აი, უსინათლოს თვალებიდან თითქოს ქერცლი ეცლება და ის ღვთის ძეს ხედავს. ხალხი ტირის და ფეხქვეშ მინას უკოცნის. ბავშვები წინ ყვავილებს უყრიან, გალობენ და იძახიან: „ოსანა!“ – „ის არის, თვით ის არის, – იმეორებს ყველა, – ის უნდა იყოს! სხვა ვერ იქნება!“ ის სველიას ტაძრის სტოვასთან სწორედ იმ წამს ჩერდება, როდესაც ტაძარში ზართა და ტირილით შეაქვთ ბავშვის თეთრი თავახდილი კუბო: მასში შვიდი წლის გოგონა წევს – ვინმე წარჩინებული ქალაქელის შვილი. მიცვალებული ბავშვი მთვად ყვეილებითაა მორთული. „ის შვილს მკვდრეთით აღვიდგენს“, – უძახის ხალხი ბავშვის დედას. კუბოს დასახვედრად ტაძრიდან გამოსული პასტორი გაოგნებული და წარბშეკრული იცქირება. უეცრად ბავშვის დედის კვილი ისმის, ქალი უფლის ძის ფერხითთ ემხობა: „თუკი ეს მართლა შენ ხარ, გამიცოცხლე შვილი!“ – ევედრება ქალი და ხელებს მისკენ იწვდის. ჭირისუფლები ჩერდებიან, კუბოს მის ფერხითთ დგამენ, ის გულდამძიმებული დაჰყურებს და მისი ბაგე კვლავაც ხმადაბლა წარმოსთქვამს: „ტალიფა კუმი“ – „და აღსდგა ქალწული“. გოგონა კუბოში წამოჯდება, ილიმება და გოცბებული, გაფართოვებული თვალებით აქეთ-იქით იცქირება²³. ხელში თეთრი

²³ დოსტოვესკიმ ამ სურათში გასაოცარი ცხოვრებისეული რეალიზმი ჩადო: თითქოს სტრიქონებს კი არ ვკითხულობთ, არამედ ჩვენ თვალწინ იშლება ხილვა – ქრისტეს ამქვეყნად, თითქმის ჩვენს დროში, მეორედ მოსვლა. დოსტოვესკის ბიოგრაფიაში არის რამდენიმე ადგილი, რომელსაც გარკვეულწილად შეუძლია ამ სცენის უცნაური, ფანტასმაგორიული ცხოვრებისეულობის ხსნა. „ერთხელ, – ნათქვამია იქ, – დოსტოვესკი ყოველგვარი რელიგიისადმი უცხო და, მეტიც, მტრულად განწყობილ საზოგადოებაში იმყოფებოდა. მოსაუბრეთაგან ერთ-ერთმა იესო ქრისტე ჯეროვანი მონივნების გარეშე მოიხსენია. დოსტოვესკი ერთბაშად გადაფითრდა და თვალზე ცრემლი მოადგა. ეს ჯერ კიდევ მის ახალგაზრდობაში მოხდა და, როგორც ჩანს, ის მაშინ უკვე უღრმესად განიცდიდა მაცხოვრის სახეს. შემდგომში, გადასახლებაში სახარება ერთადერთი წიგნი იყო, რომლის კითხვა არ ეკრძალებოდა და სახარებისეული ამბების გამუდმებით კითხვისას მან, როგორც ჩანს, მკაფიოდ შეისისხლხორცა ის, რაც მათშია გადმოცემული... და კიდევ, გოგონას მკვდრეთით აღდგინებას, რომელიც ისეთნაირადაა მოთხრობილი, რომ ამ ფაქტის აღსრულება თითქოს თვალწინ გვიდგას, ასევე აქვს ბიოგრაფი-

ვარდების თაიგული უკავია, რომლითაც კუბოში იწვა. ხალხი ღელავს, შფოთავს, ქვითინებს“.

სწორედ ამ დროს ტაძართან ჩამოივლის ჯვალს კაბით შემოსილი ოთხმოცდაათი წლის პირხმელი მოხუცი, რომაული ეკლესიის კარდინალი და, ამასთან, ქვეყნის დიდი ინკვიზიტორიც. ის ჩერდება, მომხდარს შორიდან ადევნებს თვალს, მზერა უბნელდება და უმკაცრდება. მის ყურამდე ხალხის ხმები აღწევს, ესმის მოხუცთა ქვითინი და ბავშვების ბაგიდან ამოსული „ოსანა“, ხედავს კუბოდან წამომდგარ გოგონას; ის მიბრუნდება და ტაძრის გუშაგებს მიუთითებს ამ შფოთისა და ლხენის მიზეზზე. ხალხი კი, „უკვე განვრთნილი, მორჩილი და აცახცახებული“, განზე იწევა; ჯარისკაცები ღვთის ძესთან მიდიან, ხელს დაავლებენ და მიჰყავთ. ხალხი პირქუში მოხუცის წინაშე ქედს იხრის, ის ყველას ლოცავს და გზას განაგრძობს. ტუსალს წმინდა სამსჯავროს ბნელ დილეგში ათავსებენ და კარს ურაზავენ.

სალამო იწურება, დგება „ჩუმი და სულგანაბული“ სამხრეთული ღამე. ჰაერი ჯერაც გაგარვარებულია და უფრო ძლიერადაა გაჟღენთილი დაფნისა და ლიმონის სურნელით. მდუმარებაში ისმის საჰერობილის კარის დაჟანგული ანჯამების ჭრიალი და დილეგში მსცოვნი ინკვიზიტორი შემოდის. მის უკან იმწამსვე იკეტება კარი და ის ტუსალთან პირისპირ რჩება. დიდხანს აკვირდება მის სახეს, მკრთალ ლამპარს მაგიდაზე დგამს და ჩურჩულებს:

ული საფუძველი. აი, რას ვკითხულობთ მისი ცხოვრების აღწერაში (იხ. „ბიოგრაფია და წერილები“, ნან. I, გვ. 296): „ქალიშვილის დაბადებამ (1962 წლის თებერვალი) ცოლ-ქმარს უდიდესი ბედნიერება არგუნა და ფიდორ მიხაილოვიჩი ძალიან გამოაცოცხლა. ის ყოველ თავისუფალ წუთს ბავშვის ეტლთან ატარებდა და მისი ყოველი მოძრაობა ახარებდა. მაგრამ ეს სამ თვესაც არ გაგრძელებულა. ბავშვის სიკვდილი მამას საშინელ მოულოდნელ ელდად დააცხრა. ფიდორ მიხაილოვიჩი მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ ივიწყებდა თავის პირველ გოგონას და მუდამ გულისტკივილით იხსენებდა. ემსში ერთ-ერთი მოგზაურობისას საგანგებოდ შეიარა ყენევაში და მისი სამარე ინახულა“. უეჭველია, ზემოთ მოყვანილი სცენის აღწერისას ის ცოცხლად განიცდიდა იმ გრძნობას, რომელიც დაეუფლებოდა, მისი საყვარელი გოგონა სასწაულებრივად რომ წამომდგარიყო კუბოდან.

– ეს შენ ხარ? შენ? – მაგრამ უპასუხოდ დარჩენილი, მაშინვე განაგრძობს: – ნუ მიპასუხებ, იყურე. ან კი რის თქმა შეგიძლია? ვიცი ყოველივე, რასაც იტყვი. უფლებაც კი არ გაქვს, რაიმე დასძინო იმას, რაც წინათ უკვე თქვი. *მაშ, რად მოხვედი ჩვენთვის ხელის შესაშლელად?* რადგან სწორედ ხელის შესაშლელად მოხვედი და ეს თვითონაც იცი. მაგრამ ის თუ იცი, ხვალ რაც მოხდება? არ ვიცი, ვინ ხარ და არც მსურს ვიცოდე: მართლა შენ ხარ თუ მხოლოდ მსგავსება ხარ ძისა, მაგრამ ხვალვე გაგასამართლებ და კოცონზე დაგწვავ, როგორც უსაძაგლეს ერეტიკოსს და იგივე ხალხი, დღეს რომ ტერფებს გიკოცნიდა, ხვალვე, ჩემი ხელის ერთ აქნევაზე შენს კოცონს მისცვივდება და ფიჩხს შეუკეთებს – იცი ეს თუ არა? ჰო, შესაძლოა, ეს იცოდე კიდეც“, – დასძინა ღრმა ფიქრით მონუსხულმა ისე, რომ ტუსაღისათვის წამითაც კი არ მოუცილებია თვალი.

ამ დაძაბულ, წყვეტილ სიტყვებში უკვე მოცემულია შემგომი დიალექტიკის ყველა ვარიაცია: ღვთიური სანყისის აღიარება აყვანილია მისი აღქმის სრულ სიცხადემდე, პირისპირ ჭვრეტამდე; მისდამი სიძულვილი კი მისი კოცნოზე დანვისა და ფეხქვეშ გათელვის მუქარამდე ვრცელდება. ეს ადამიანის სულის მის მარადიულ პირველწყაროსთან ისტორიაში უდიდესი მიახლოვებაა და, ამავდროულად, მისგან უდიდესი დაშორებაცაა. შორეულ პერსპექტივაში მოჩანს ხალხის, მილიარდობით სულისაგან შემდგარი სამწყსოს მიმართ რაღაც უცნაური დამოკიდებულება: მასში უეჭველად არის აღელვებული მზრუნველობა, რაც თავისთავად უკვე ნიშნავს *სიყვარულს*, მაგრამ, ამასთან, *დამცირობაც*, *სიცრუეც*, რაღაც იდუმალიც. ტუსაღის დუმილსა და ინკვიზიტორის სიტყვებში: „ჰო, შესაძლოა, შენ ეს იცოდე“ – მკრეხელური აზრია ჩადებული, თითქოს ეს სცენა თვით მაცხოვრისათვის იტევდეს რაღაც ახალსა და მოულოდნელს, რაღაც დიდ საიდუმლოს, რომელიც მანამდე არ იცოდა და რომელსაც მხოლოდ ახლა ჩასწვდა. და ამ საიდუმლოს ადამიანი გაან-

დობს: „უბადრუკი ქმნილება“ დარწმუნების ისეთ მძლავრ უნარს გრძნობს საკუთარ თავში – რომელიც თავისივე ბედისწერიდან გამოიტანა, – რომ ბედავს ამ უნართი წარსდგეს თავისი შემოქმედი ღვთის წინაშე.

მთელ იმ მრწამსში, რომელსაც მოხუცი შემდგომ გამოთქვამს, ჩამოყალიბებულია რომაული ეკლესიის მამოძრველები იდეა; მაგრამ ძალზე ძნელია თავი დააღწიო იმ შთაბეჭდილებს, თითქოს ეს იდეა მთელი კაცობრიობის მრწამსი იყოს, მის მიერ საკუთარი ბედისწერის ყველაზე ბრძნული და ღრმა წვდომა – განვლილისა და, განსაკუთრებით, მომავლისა. დასავლეთის ეკლესია, ცხადია, მხოლოდ რომანული გაგებაა ქრისტიანობისა ისევე, როგორც მართლმადიდებლობა – მისი ბერძნულ-სლავური წვდომაა, პროტესტანტიზმი კი – გერმანული. მაგრამ საქმე ისაა, რომ იმ სამი შტოდან, რომლებდაც მსოფლიო ეკლესია დაიყო, მხოლოდ პირველი გაიზარდა მთელი სისრულით, დანარჩენი ორი ჯერაც ზრდის პროცესშია. კათოლიციზმი თავისი შიდა აგებულებით დასრულებული და სრულყოფილია, მან საკუთარი საზრისი მკაფიოდ გაიზარა და დღემდე დაყინებით ცდილობს, ეს საზრისი ცხოვრებაში დანერგოს და მთელი ისტორია დაუქვემდებაროს.²⁴ აი, რატომაც, ვიმეორებთ, თავს ვერ ვიკავებთ იმისაგან, რომ ქრისტიანთან პირისპირ დარჩენილი ინკვიზ-

²⁴ პროტესტანტიზმმა, გამოაცხადა რა ქრისტიანობის ინდივიდუალური თავისუფლება, დღეს არა მხოლოდ არ წარმოადგენს დასრულებულ და საბოლოო სისტემას, არამედ, როგორც ჩანს, ვერც მომავალში მიაღწევს ამგვარ სისრულეს. რაც შეეხება მართლმადიდებლობას, ის ბოლო დრომდე იმდენად მძიმე ისტორიულ გარემოებებში იყო მოქცეული, იმდენად დიდ გარეშე ზენილას განიცდიდა ხან ბარბაროსთაგან (მონღოლთა უღელი), ხანაც მაჰმადიანთაგან (თურქთა უღელი), ხანაც თვით კათოლიციზმისაგან, რომ დღემდე მთელ მის ისტორიულ ამოცანას წარმოადგენდა არსებობისათვის ბრძოლა და დამცირებული და უუფლებო ხალხების როგორმე სულიერად გადარჩენა; იმისათვის კი ჯერაც ვერ მოიცალა, საკუთარი ფარული საზრისი ცნობიერების შუქში მოექცია. სლავიანოფილთა (მაგ., ხომიაკოვის, ი. სამარინის) და თვით დოსტოევსკის მცდელობები მართლმადიდებლობის თავისებურებისა და ისტორიული იდეის დაზუსტებისა სწორედ მისი ამგვარი მდგომარეობით აიხსნება და სხვა ვითარებაში შეუძლებელი იქნებოდა.

იტორის უცნაური აღიარება უკიდურეს ზღვრამდე, მთელი კაცობრიობის მასშტაბამდე განვაზოგადოთ.

ის იწყებს მტკიცებით, რომ ქრისტეს დანატოვარი მთელი მოძღვრება იმ სახით, როგორც ის განგებამ შემოგვინახა, რაღაც მარადიული და ურყევია, მას ვერც რაიმეს მოვაკლებთ, ვერც დავუმატებთ. ის უკვე ქვაკუთხედად შექრილა მსოფლიო ისტორიის დღემდე აღმართულ ნაგებობაში და შეცდომა იქნებოდა მასში რაიმის შესწორება, განმარტება და შემოფარგლვა: ეს თხუთმეტსაუკუნოვან ხუროთმოძღვრულ ნაღვანს შეარყევდა. ეს მხოლოდ კაცობრიობას როდი ეხება, რომლისთვისაც მუდმივი ცვლილებები შუძლებელია, არამედ ღმერთსაც – რა იქნებოდა ახალი გამოცხადება, მანამდე ნათქვამის დანართი, თუ არა ამ ნათქვამის ნაკლულოვნების აღიარება? თანაც, ვისი – თვით ღვთის ნათქვამისა! დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, მსგავსი დანართი ადამიანის თავისუფლების ხელყოფა იქნებოდა: ქრისტემ კაცობრიობას თავისი სახე დაუტოვა და კაცობრიობას შეეძლო გულის თავისუფალი არჩევანით გაჰყოლოდა მას, როგორც მისივე (ფარულად ღვთიური) ბუნების შესატყვის იდეალს, რომელიც მის ბუნდოვან მისწრაფებებს პასუხობს. სწორედ ამ გაყოლის თავისუფლებაში, ძალდაუტანებლობაში მდგომარეობს მისი ზნეობრივი ღირსება. ხოლო ზეციდან მოსული ნებისმიერი ახალი გამოცხადება სასანაულის სახით მოგვევლინებოდა და ისტორიაში ძალდატანებას შემოიტანდა, რაც ადამიანებს არჩევანის თავისუფლებას და, ამასთან, ზნეობრივ დამსახურებასაც წაართმევდა. ამიტომაც, ქრისტეს წინაშე მდგომი ინკვიზიტორი მის მიერ აღთქმულ ქვეყნად მეორედ მოსვლაზე ფიქრობს და ეუბნება: „ახლა თუნდაც ნულარასოდეს მოხვალ“... „ვიდრე მოხვალ, ცოტაოდენ ხანს მაინც გვაცალე“, – შეასწორებს საკუთარ ნათქვამს და ამით იმ საქმეს გულისხმობს, რომელიც ამქვეყნად ჯერაც დაუსრულებელი დარჩა.

ინკვიზიტორი მთელი სცენის მანძილზე უცნურად ფიქრიაინია; მაცხოვრის წინაშე

მდგომს განსაკუთრებით მძაფრად ესახება მის აღთქმასა და სინამდვილეს შორის კონტრასტი და ეს ნაღვლიან ირონიას აღუძრავს. ის შეახსენებს ქრისტეს, თუ რა ხშირად ეუბნებოდა ის ადამიანებს თხუთმეტი საუკუნის წინათ: „მსურს, თავისუფლები გაგხადოთ“, და დასძინს: „ახლა ხომ იხილე ეს თავისუფალი ადამიანები“. ამ შენიშვნის ირონია მხოლოდ მათ როდი ეხებათ, ვისკენაც ქრისტეს მოძღვრებაა მიმართული, – ეს თვით ქრისტესაც ეხება: „ეს საქმე ძვირად დაგვიჯდა, – განაგრძობს მოხუცი, – მაგრამ ის შენი სახელით აღვასრულეთ. თხუთმეტი საუკუნე ვენამეთ ამ თავისუფლების გამო, მაგრამ დღეს ეს დამთავრებულია და თანაც – სამუდამოდ“.

აქ ლაპარაკია ავტორიტეტის საწყისზე, რომელიც მუდამ ღრმად აღწევდა კათოლიკური ეკლესიის წიაღში; სწორედ ის გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ის სხვა ეკლესიებთან შედარებით ბევრად უფრო შეუწყნარებლად ებრძოდა დოგმისაგან ნებისმიერ გადახვევას. XVI საუკუნეში, რომელსაც აღწერილი სცენა მიეკუთვნება, ავტორიტეტისადმი უპირობო მორჩილების აუცილებლობა რომმა განსაკურებული სიმწვავეთ შეიგნო რეფორმაციის მოძალებული საფრთხის პირისპირ, რომელმაც დასავლეთის ეკლესიის ათასწლოვანი ერთობა დაარღვია. ეს ავტორიტეტი ინკვიზიციის შემოღებითა და წიგნების ცენზურით გამოიხატა; ამ იდეის გამტარებლები იყვნენ ტრიდენტის კრება და იეზუიტთა ორდენი, რომელმაც მოძღვრისადმი უპირობო მორჩილებისა²⁵ და ინივიდუალური ნების სრული დათრგუნვის²⁶ მოძღვრება ჩამოაყალიბა. მაგრამ აქაც, როგორც მთელ „ლეგენდაში“, კათოლიციზმის ძირითადი თვისება მხოლოდ იმიტომაა მითითებული, რომ ეს თვისება პასუხად მოეველინა კაცობრიობის გარკვეულ საუკუნო მოთხოვნას, გამოხატა მისი ისტორიის ესა თუ ის, ასევე საუკუნო თავისებურება. მას ინკვიზიტორის შემდგომი მსჯელობა ცხადყოფს;

²⁵ „მოძღვრის ხელთ ისევე მორჩილი იყავი, ვით კვერთხი მგზავრის ხელთ“ და ა. შ.
²⁶ „ჩადავერ ესტო“, ე. ი. იყავი უპიროვნო, ინერტული, როგორც გვამი.

ის ამბობს:

„ახლალა, მას შემდეგ, რაც თავისუფლებას ვძლიეთ, პირველად გახდა შესაძლებელი კაცთა ბენიერებაზე ლაპარაკი. ადამიანი მემამბოხედ იყო შექმნილი. განა შეიძლება მემამბოხე ბედნიერი იყოს?“ – სვამს ის შეკითხვას.

ქრისტემ ქვეყნად *ჭეშმარიტება* მოიტანა; ინკვიზიტორი კი ამბობს, რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება *ტანჯვის* კანონით იმართება – ტანჯვისაგან მარადი გაქცევის ან, როდესაც ეს შეუძლებელია, შედარებით მცირე ტანჯვის არჩევის კანონით. მხოლოდ აბსოლუტური ღვთისადმი მიკუთვნებულ შეუფარდებელ *ჭეშმარიტებასა* და *ტანჯვის* ამ კანონს შორის, რომელსაც ადამიანი თავისი ბუნების ფარდობითობის გამო ექვემდებარება, გადაულახავი უფსკრული ძევს. ვისაც სურს, შეუძლია ადამიანი პირველი გზით ატაროს; ის მაინც გარდუვალად გაჰყვება მეორეს. სწორედ ამას გამოთქვამს ინკვიზიტორი: ის არ უარყოფს მაცხოვრის მიერ მოტანილი *ჭეშმარიტების* სინმინდეს, ის მხოლოდ ამტკიცებს ამ *ჭეშმარიტების* ადამიანის ბუნებასთან შუსაბამობას და, ამასთან გამორიცხავს იმას, რომ ადამიანი შეიძლება ამ *ჭეშმარიტებას* გაჰყვეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას შეუძლებლად მიაჩნია ადამიანის მიწიერი ბედისწერა მაცხოვრის ცნებებზე დამყარდეს და, შესაბამისად, ამტკიცებს რაიმე *სხვა* საწყისებზე მისი დამყარების აუცილებლობას.

მაშინვე სწორედ ამ საწყისებს მიუბრუნდება, მაგრამ ვიდრე მათ განხილვას შევუდგებოდეთ, გამოვკვეთოთ იმ ძირეული ცვლილების ფაქტი, რომელიც ადამიანის თავისუფლებაზე დოსტოევსკის წარმოდგენებში მოხდა „იატაკქვეშეთის ჩანაწერების“ დასრულების შედეგად. ისევე, როგორც აქ, ადამიანის თავისუფალი ნება იქაც იმ მთავარი დაბრკოლების სახითაა წარმოდგენილი, რომელიც ხელს უშლის ამქვეყნად ადამიანური ბედინერის საბოლოო მოწესრიგებას; მაგრამ ამის საფუძველზე ხდება მხოლოდ ამ მოწესრიგების აუცილებლობისა და შესაძლებლობის უარყოფა, თვით თავისუფლება კი

ადამიანის უძვირფასეს თვისებადაა აღიარებული. თავისუფლების ამ განხილვაში კეთილგანწყობილი დასტური გამოსჭვივის, ამ დასტურში კი, თავის მხრივ, ჯერაც დაუღლებელი ადამიანის მხნე კილო ისმის. დოსტოევსკი აშკარა სიამოვნებით აგვიწერს ამგვარ სურათს: როგორც იქნა, მიღწეული საყოველთაო კეთილდღეობის ჟამს უეცრად გამოჩნდება კაცი „რეტროგრადული და დამცინავი სიფათით“ და თავის ბედნიერ, თუმცა სულ ოდნავ მოწყენილ თანამოძმეებს ეტყვის: „რაო, ხომ არ გვეკრა მთელი ამ გონივრული წეს-წყობილებისათვის ერთი კარგი წიხლი მხოლოდ იმისთვის, რათა ეს ლოგორითმები ჯანდაბაში გადაფრინდეს, ჩვენ კი კვლავაც ჩვენზე ბრწყინვალე ნებით ვიცხოვროთ?“²⁷ მას შემდეგ დოსტოევსკის შეხედულებებში ბევრი რამ შეიცვალა, მის კილოს ძველი სიმხნევე მოაკლდა, მას აღარც დამცინავობა და ხუმრობა ახასიათებს. თუ რამდენი ტანჯვა ატარა მწერალმა ადამიანის ბედისწერის გამო და, ამავდროულად, ადამიანისადმი რა სიძულვილიც განიცადა, ამაზე მეტყველებს მის შემდგომ ნაწარმოებთა მთელი წყება, მათ შორის „დანაშაული და სასჯელი“, სადაც მწერალს თვინიერად, დაუჩივლელად ტანჯულნი და უმიზნო მტანჯველნი ჰყავს გამოყვანილი. უწინდელი დარწმუნება მწერალში დაღლილობამ და დარდმა შეცვალა და სიმშვიდის წყურვილი ყველაზე მკაფიოდ „ლეგენდაში“ გამოიკვეთა. თავისუფლების, *ჭეშმარიტების*, ზნეობრივი გმირობის უზენაესი ძღვენი – ყოველივე ეს უკუგდებულა, როგორც ადამიანისათვის მეტისმეტად მძიმე და ზედმეტი ტვირთი; ერთადერთი რამ რჩება შესაშური: რაიმე ბედნიერება, რაიმე ნავსაყუდელი „უბადრუკი მემამბოხისათვის“, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, მაინც გატანჯული და სწეული არსებაა; მისდამი სიბრალული

²⁷ „ჩანაწერები იატაკქვეშეთიდან“, ნაწ. I, თავი IX. იხ. ასევე თავი X, საზოგადოებრივ-ისტორიულ წყობაში დროებითი „საქათმის“ სასურველობის შესახებ, რისი მიზეზიც სწორედ ისაა, რომ „საქათმე“ არ არის საბოლოო და სამუდამოდ არ სპობს თავისუფლებას, მაშინ, როდესაც „ბროლის სასახლე“ სწორედ თავისი ურყევობის გამოა შიშისმგვრელი.

ახშობს მწერლის გულში ყველა სხვა გრძნობას, ღვთიური თუ ზეადამიანური სანყისისაკენ ყოველგვარ სწრაფვას. „ლეგენდა ინკვიზიტორის შესახებ“ გარკვეულ ზღვრამდე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანური ბედისწერის საბოლოო მონესრიგების იდეა, რაც უეჭველად უარყოფილ იქნა „ჩანაწერებში მინისქვეშეთიდან“; იმ განსხვავებით, რომ იქ ლაპარაკი იყო რაციონალურ მონესრიგებაზე, რომელიც ფიზიკური ბუნების და საზოგადოებრივი ურთიერთობების კანონთა ნატიფ და დეტალურ შესწავლაზეა დამყარებული, აქ კი ლაპარაკია რელიგიურ მონესრიგებაზე, რომელიც ადამიანის ფსიქიური წყობის უღრმესი წვდომიდან გამომდინარეობს.


„ხომ გაფრთხილებდნენ, - ეუბნება ინკვიზიტორი ქრისტეს, - არც გაფრთხილება მოგკლებია, არც მითითება, მაგრამ ყური არ დაუგდე და ის ერთადერთი გზა უარჰყავი, რომელიც ადამიანებს გააბედ-

ნიერებდა“. ამის შემდგომ ის საკუთარ იდეას აყალიბებს, რომლის სერიოზულად გააზრებისას შეუძლებელია არ დაგვეფულოს ერთგვარი ძრწოლა, რომელიც მით უფრო ძლიერდება, რაც მეტად ვრწმუნდებით ამ იდეის უძლეველობაში. ძაფები უკვე გათამაშებული მსოფლიო ისტორიისა, ადამიანის სამომავლო ბედისწერა იმ სახით, როგორც ის შეგვიძლია განვჭვრიტოთ, მისტიკური ბინდი და რწმენის დაუოკებელი წყურვილის აუხსნელი შერწყმა ყოფიერებაში მისი ობიექტის პოვნის უიმედობასთან – ყოველივე ეს აქ ერთურთს უცნაურად გადაეხლართა და ამ მთლიანით წარმოქმნა სიტყვა, რომელიც შეუძლებელია არ მივიღოთ, როგორც უღრმესი, უშინაგანესი, ყველაზე ბრძნული, რაც კი ადამიანს – მისთვის შესაძლო ერთადერთი თვალსაზრისით – ოდესმე საკუთარ თავთან დაკავშირებით უფიქრია.

თარგმნა თამარ კოტრიკაძე



მიგელ დე უნამუნო



ადამიანი სისხლისა და ხორცისგან ქმნილი

„homo sum, nihil humani a me alienum puta“ – „მე ვარ ადამიანი და ადამიანური არაფერია ჩემთვის უცხო,“ — უთქვამს ლათინ კომედიოგრაფს¹ — მე უკეთესად ვიტყვოდი, — *Nulum hominem a me alienum puto*, — მე ვარ ადამიანი და არც ერთი ადამიანი ჩემთვის უცხო არ არის, რამეთუ ზედსართავი სახელი *humanus* ისევე არ ინვეს ჩემ ნდობას, როგორც აბსტრაქტული არსებითი სახელი — *humanitas* კაცობრიობა, არც მარტივი ზედსართავი სახელი და არც სუბსტანტიურული არსებითი სახელი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული არსებითი სახელია — ადამიანი, ადამიანი სისხლისა და ხორცისგან ქმნილი, რომელიც იბადება, იტანჯება და კვდება, — რაც უმთავრესია, კვდება, — ადამიანი, რომელიც ჭამს, სვამს. ერთობა, იძინებს, ფიქრობს, უყვარს; ადამიანი, რომელსაც თვალთ ვხედავთ და ყურით ვუსმენთ, ძმა, ნამდვილი ძმა ჩვენი.

რამეთუ არსებობს კიდევ სხვაც, ასევე ადამიანს რომ უწოდებენ და არცთუ უქმი, მეტ-ნაკლებად მეცნიერული განსჯის საგანს წარმოადგენს; ეს გახლავს ლეგენდარული ორფეხა და უფროთ, არისტოტელესეული „პოლიტიკური ცხოველი“ რუსოსეული, საზოგადოებრივი ხელშეკრულების, მანჩესტერელთა *homo economicus*, ლინეისეული *homo sapiens*, ანდა თუ გნებავთ, ვერტიკალურად მოსიარულე ძუძუმწოვარა; ადამიანი, რომელიც არც

ამქვეყნისაა და არც იმ ქვეყნისა, არც ამ დროისა და არც იმ დროისა, არც სქესი აქვს და არც სამშობლო, მარტო ერთი იდეა, ბოლოს და ბოლოს, ანუ ასე ვთქვათ, არაადამიანი.

ჩვენი ადამიანი კი სულ სხვაა — ადამიანი სისხლისა და ხორცისგან ქმნილი — მე, შენ, ჩემო მკითხველო, თუნდაც კიდევ სხვაც, შორეული, ყველა, ვინც მიწას ვამძიმებთ.

და სწორედ ეს კონკრეტული ადამიანი, სისხლისა და ხორცისგან ქმნილი, გახლავს სუბიექტიც და მთელი ფილოსოფიის უპირველესი ობიექტიც, სურთ თუ არა ეს ზოგიერთ ეგრეთწოდებულ ფილოსოფოსებს.

ფილოსოფიის ისტორიის ნაშრომების უმეტესობაში, რასაც კი ვიცნობ, მთელი ფილოსოფიური სისტემები ისეა წარმოჩენილი, თითქოს ერთი გამომდინარეობდეს მეორედან, ხოლო მათი ავტორები, თავად ფილოსოფოსები თითქმის არც ჩანან, ასე გეგონებათ მარტო საბაზად გამოიყენესო; იმ ფილოსოფოსების, იმ ადამიანების, ვინც ამ ფილოსოფიას ქმნის, პირადი ბიოგრაფია რატომღაც არაფრად მიაჩნიათ, არადა სწორედ მათი ბიოგრაფიაა, ყველაზე კარგად რომ გვაგებინებს საკუთარ ნააზრევს.

უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ფილოსოფია გაცილებით ახლოსაა პოეზიასთან, ვიდრე მეცნიერებასთან, რამდენი ფილოსოფიური სისტემები ყოფილა ჩაფ-

იქრებული გარკვეული დროის მანძილზე, როგორც ცალკეული მეცნიერებების ზღვრული განზოგადება, ნაკლები შინაარსი და სიცოცხლისუნარიანობა რომ ჰქონოდა, ვიდრე იმ სისტემებს, რომლებშიც მთელი სისრულით გამოვლენილა მათი ავტორების სულიერი სიღრმე და სწრაფვა.

ამავე დროს ისეთი მეცნიერებებიც ვიცით, გარკვეული აზრით, დიდი მნიშვნელობა რომ ჰქონია ჩვენი ცხოვრებისა თუ აზროვნებისთვის, მაგრამ გაცილებით უცხოა ჩვენთვის, ვიდრე ფილოსოფია, მათი მიზანი, ასე ვთქვათ, უფრო ობიექტურია, თუმცა ჩვენგან შორსაა, უფრო ეკონომიკის სფეროს განეკუთვნება. ახალი მეცნიერული აღმოჩენები, მათ შორის ისიც, თეორიულს რომ უწოდებენ, ისევე როგორც ტექნიკური მიღწევები, როგორებიცაა მაგალითად ორთქლმავალი, ტელეფონი, თვითმფრინავი, ფონოგრაფი, ეს ყველაფერი თითქოს ჩვენთვის აუცილებელი და გამოსადეგიცაა, ვთქვათ თუნდაც ტელეფონი, პირდაპირ მისწრებაა, როცა გვინდა შორ მანძილზე საყვარელ ქალს დაველაპარაკოთ, მაგრამ იმას ხომ ვერ ვიტყვით, ამ შემთხვევაში ქალიც საშუალებააო; ანდა ვთქვათ ელექტროტრამვაი, როცა ოპერაში მივდივართ, ხომ კარგად ვსარგებლობთ, თუმცა საკითხავია, რომელია საშუალება, ტრამვაი თუ ოპერა?

ფილოსოფია პასუხობს ჩვენს მოთხოვნილებებს, რომ ჩამოვყალიბოთ სამყაროსა და ცხოვრებაზე ერთიანი და სრული კონცეფცია და ამ კონცეფციის შედეგი — გრძნობა, რაც ბადებს ჯერ მოქმედების სურვილს, მერე კი — მოქმედებასაც; თუმცა ბოლოს ისე გამოდის, რომ ეს გრძნობა იმის ნაცვლად, რომ იყოს ამ კონცეფციის შედეგი, ხდება მისი მიზეზი. ჩვენი ფილოსოფია, ანუ სამყაროსა და ცხოვრების გეგმებისა თუ არაგაგებისა, ბადებს თვით ცხოვრების გრძნობას, ხოლო ამას, ისევე როგორც ყოველგვარ აფექტურს, ფესვები აქვს გადგმული ქვეცნობიერში, ანდა, თუ გნებავთ არაცნობიერში.

არ არის სწორი, თითქოს ჩვენი იდეები იმის მიზეზი, რომ ჩვენ ან ოპტიმისტები ვართ, ან პესიმისტები, პირიქით, სწორედ ჩვენი ოპტიმიზმი და პესიმიზმია, - ფიზი-

ოლოგიური იქნება, თუ პათოლოგიური წარმოშობისა, როგორც ერთი, ისე მეორე, — რაც ბადებს ჩვენს იდეებს.

ნათქვამია, ადამიანი გონიერი ცხოველიაო. მე კი, ის ვერ გამიგია, რატომ იმას არ იტყვიან ადამიანი აფექტური, ანდა სენტიმენტალური ცხოველიაო. ეგებ ცხოველისაგან მას უფრო გრძნობა განასხვავებს, ვიდრე გონება? რამდენჯერ მინახავს ჩემი კატა ჩაფიქრებული, მაგრამ თვალი არასდროს მომიკრავს, ტიროდეს, ან იცინოდეს. ეგებ გულში კიდევ იცინის, ან ტირის, თუმცა ეგებ გულში კიბორჩხალაც ცდილობდეს მეორე ხარისხის განტოლების ამოხსნას.

ასე და ამგვარად, ადამიანი, აი, რა უნდა იყოს ფილოსოფიის უპირველესი და უმთავრესი მიზანი.

ვთქვათ, კანტი, ადამიანი — იმანუელ კანტი, რომელიც დაიბადა და ცხოვრობდა კენიგსბერგში XVII საუკუნის დამლევსა და XIX საუკუნის დასაწყისში. ამ ადამიან-კანტის ფილოსოფიაში, კანტისა, ვისაც გულიც ჰქონდა და თავიც, ვინც მოახდინა ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნახტომი — როგორც იტყოდა კირკეგორი, — ეს კიდევ მეორე ადამიანი და მერე როგორი ადამიანი! — ნახტომი „წმინდა გონების კრიტიკიდან“ „პრაქტიკული გონების კრიტიკისკენ“ და მეორეში აღადგინა ის, რაც პირველში გაანადგურა, — რამდენიც უნდა ილაპარაკონ მათ, ვინც კანტის სახით ვერ ხედავენ ადამიანს, — მას შემდეგ, რაც საფუძვლიანად გამოიკვლია, ღრმად გააანალიზა და ერთიანად გააცამტვერა ღმერთის არსებობის ტრადიციული მტკიცებულება, არისტოტელესეული ღმერთისა, აბსტრაქტული ღმერთისა, იმ პირველ უძრავ მამოძრავებელს რომ შეესატყვისებოდა და კვლავ აღადგინა ღმერთი, ოღონდ ღმერთი ცნობიერებისა, მორალური კანონის შემოქმედისა და ბოლოს ღმერთი ლუთერიანული. კანტის ეს ნახტომი კი უკვე გულისხმობდა რწმენის ლუთერიანულ გაგებას.

ეს ღმერთი, რაციონალური ღმერთი წარმოადგენს გარეგანი ადამიანის უსასრულობის პროექციას, როგორც ის არის რაციონალური განსაზღვრების თანახმად, ადამიანის აბსტრაქტულ იდეას, ანუ ადამიან-არა-ადამიანს, ხოლო მეორე

შემთხვევაში ღმერთი, სენტიმენტალური და ნებელობითი არის შინაგანი ადამიანის პროექცია, როგორც ის არის ცხოვრებაში, კონკრეტული ადამიანი, სისხლისა და ხორცისგან ქმნილი ადამიანი.

კანტმა გულით აღადგინა ის, რაც გონებით გაანადგურა და ის, რაც ვიცით მის შესახებ მისივე ნაცნობების მოწმობით, თავად მისივე ჩანაწერებიდან, ანდა კერძო საუბრებიდან, ვხვდებით, რომ ადამიანი-კანტი, ეს ბერბიჭა, ოღონდ არა თავკერძა, ვინც კენიგსბერგში ასწავლიდა ფილოსოფიას ენციკლოპედიისა და გონების გაღმერთების საუკუნის მიწურულს, გახლდათ ის ადამიანი, ვინც შეპყრობილი იყო ერთადერთი პრობლემით, ვგულისხმობ ერთადერთ, მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემას, ჩვენი ყოფიერების სიღრმისეულ პრობლემას, ანუ სულის უკვდავების პრობლემას. ადამიანი-კანტი ვერ შეეგუებოდა აზრს, რომ თვითონაც მოკვდებოდა, მოკვდებოდა ერთიანად და საბოლოოდ. სწორედ ეს იყო მიზეზი, რამაც განაპირობა მისი უკვდავი ნახტომი ერთი კრიტიკიდან მეორეში.

ის, ვინც მთელი გულისყურით- და არა წინასწარ შექმნილი აზრით, - ნაიკითხავს მის „პრაქტიკული გონების კრიტიკას“, დაინახავს, რომ — მართალი ითქვას, — მასში ღმერთის არსებობა გამომდინარეობს სულის უკვდავებიდან და არა პირქით. ამ კატეგორიულ იმპერატივს მივყავართ ერთგვარ მორალურ პოსტულატამდე, რაც თავის მხრივ მოითხოვს თეოლოგიურ, უფრო სწორად, ესქატოლოგიურ პოსტულატს, სულის უკვდავების პოსტულატს და სწორედ აქ გამოჩნდება ღმერთი, ეს გარდაუვალიცაა სულის უკვდავების რწმენის დასაცავად, სხვა ყველაფერი კი ოდენ პროფესიონალი ფილოსოფოსების ოინებია.

ადამიან-კანტისთვის მორალი იყო ესქატოლოგიის საფუძველი, ხოლო ფილოსოფიის პროფესორმა კანტმა მოახდინა ამ ტერმინების ინვერსია.

ფილოსოფიისკიდევ ერთმა პროფესორმა, პროფესორმა და ამავე დროს ადამიანმა უილიამ ჯეიმზმა თქვა, — ოღონდ არ მახსოვს სად და როდის, — რომ ადამიანთა უმეტესობისთვის ღმერთი არის უკვდავების იმედის წყარო. დიახ, ადამიანებ-

ის უმეტესობისთვის, მათ შორის ადამიან-კანტისთვისაც, ადამიან-ჯეიმზისთვისაც და ამ სტრიქონების ავტორისთვისაც, ასევე თქვენთვისაც, მკითხველო, ვინც ახლა კითხულობთ ჩემს სიტყვებს.

ერთხელ მავან გლეს რომ ვესაუბრებოდი, სიტყვამ მოიტანა და ერთი ჰიპოთეზა გამოვცადე, რომლის თანახმად სინამდვილეში მართლაც არსებობს ღმერთი, ცისა და მიწის გამრიგე, ვითარცა სამყაროსეული ცნობიერება, თუმცა ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ყოველი ადამიანის სული უნდა იყოს უკვდავი, ამ სიტყვის ტრადიციული და კონკრეტული მნიშვნელობით; მან კი აი, რა მიპასუხა: „მაშინ ღმერთი რაღა საქროა?“ ალბათ ამასვე მიპასუხებდნენ ადამიანი-კანტი და ადამიანი-ჯეიმზიც, ოღონდ იმდენად, რამდენადაც ორივე მათგანი პროფესორი გახლდათ, რაციონალურად კიდეც უნდა გაემართლებინათ თავიანთი პოზიცია ამ, არსებითად ირაციონალური პოზიციის მიმართ, თუმცა, რასაკვირველია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს იქნებოდა აბსურდული.

ჰეგელის ცნობილი აფორიზმის თანახმად, ყველაფერი, თუ რამ რაციონალურია, ამავე დროს რეალურიცაა, ხოლო რაც რეალურია, ის რაციონალურიცაა; მაგრამ უმეტესობა ჩვენგანი არ ეთანხმება ჰეგელს და მაინც გვჯერა, რომ რეალური, დამდვილად რეალური ირაციონალურია და რომ გონება სწორედ ირაციონალურს ეფუძნება. ჰეგელს, დეფინიციების ამ დიდოსტატს, ეტყობა, განზრახული ჰქონდა დეფინიციების მეშვეობით იმგვარად გარდაექმნა ეს სამყარო, როგორც ვინმე არტილერიის სერჟანტმა განმარტა ზარბაზნის შექმნის თავისი მეთოდი, რის მიხედვითაც თურმე საკმარისია მარტო ერთი ცილინდრული ხვრელის დაფარვა რკინით და ესეც თქვენი ზარბაზანიო.

იყო კიდევ ერთი ადამიანი ჯოზეფ ბატლერი, ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსი, რომელიც ცხოვრობდა XVIII საუკუნის დასაწყისში და რომელსაც კათოლიკური ეკლესიის კარდინალმა ნიუმენმა ანგლიკანური ეკლესიის ყველაზე დიდი ადამიანი უწოდა, — თავისი თხზულების — „რელიგიის ანალოგია“ (The Analogy of Religion) პირველი თავის ბოლოს, სადაც

საუბარია მომავალ ცხოვრებაზე, სულის უკვდავების რწმენის თაობაზე, სულ ორიოდ სიტყვით გამოთქვამს თავის აზრს: „მომავალი ცხოვრების რწმენა, რაზეც ასე დაბეჯითებით ვსაუბრობთ, თუმცა კი ეს დიდად არ აკმაყოფილებს ჩვენ ცნობის-მოყვარეობას, ასე გეგონებათ, ამ რწმენაში იგულისხმებოდეს რელიგიის მთელი მტკიცებულება, სინამდვილეში კი ეს მტკიცებულება თუნდაც ამკარა და ცხადი, მაინც არ წარმოადგენს რელიგიის მტკიცებულებას მომავალი ცხოვრების შესახებ, რამეთუ სიკვდილშემდგომი ცხოვრების რწმენა სულ ადვილად შეიძლება ათეიზმსაც კარგად მიესადაგოს იმ აზრით, რომ იმდენად, რამდენადაც ცხადია ჩვენი ახლანდელი ცხოვრება, იმაზე აბსურდული არაფერი იქნებოდა, თუკი ათეიზმის სასარგებლოდ დავინწყებდით მტკიცებას, რომ ჩვენს არსებობას ჰქონდეს რაიმე მომავალი.

ადამიან-ბატლერს, რომლის თხზულებას შესაძლოა კიდევ იცნობდა ადამიანი-კანტი, უნდოდა შეენარჩუნებინა სულის უკვდავების რწმენა, ამიტომ იყო, რომ ეს რწმენა ჩამოაცილა ღმერთის რწმენას და მიანიჭა დამოუკიდებლობა. მისი „ანალოგიის“ პირველ თავში, როგორც უკვე ვთქვი, საუბარია მომავალ ცხოვრებაზე, ხოლო მეორე თავში ნათქვამია, თუ როგორ განაგებს უფალი სამყაროს თავლის კვერითა და მათრახით. და რაკი იგი გახლდათ ანგლიკანური ეკლესიის კარგი ეპისკოპოსი, ღმერთის არსებობასაც სულის უკვდავების რწმენიდან გამომდინარე, დაასკვნის, ხოლო როგორც ანგლიკანური ეკლესიის კარგი ეპისკოპოსს, სულის უკვდავების რწმენიდან გამომდინარე, არც უნდა ეფიქრა იმ ნახტომზე, რასაც იმავე საუკუნის მიწურულს მოახდენდა კარგი ლუთერიანული ფილოსოფოსი კანტი.

თუკი ხარ ადამიანი, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ხარ ვილაც და რალაც კონკრეტული, მთლიანი და სუბსტანციური, ეს კიდევ გულისხმობს იმას, რომ ხარ ნივთიც – რეს, ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ იყო კიდევ ერთი ადამიანი — ბედენიქტ სნიპოზა, პორტუგალიელი ებრაელი, რომელიც დაიბადა და ცხოვრობდა ჰოლანდიაში XVII საუკუნის შუა წლებში, ვინც განმარტა რას

ნიშნავს იყო ნივთი. მისი „ეთიკის“ III და VI თავში ნათქვამია, რომ ყოველგვარი ნივთი, რამდენადაც ის არსებობს თავისთავად, ცდილობს კიდევ შეინარჩუნოს თავისი არსებობა და ეს სხვა არაფერია, თუ არა თვით ნივთის არსი, ანუ შენი არსიც, მკითხველო, ჩემი არსი, თავად სპინოზას არსი, ადამიან-ბატლერისაც, ადამიან-კანტისაც, და საერთოდ ყოველი ადამიანისა, რაც სხვა არა არის რა, თუ არა მცდელობა – დარჩეს და იყოს როგორც ადამიანი, ოღონდ არ მოკვდეს. ხოლო მომდევნო ორი ზემოხსენებული თეორემის გაგრძელება, VIII თავში გვაუწყებს, რომ ყოველი ნივთის მცდელობა, დარჩეს ისევე თავისივე არსებობაში, მოიცავს არა რაიმე სასრულ დროს, არამედ განუსაზღვრელ, შეუზღუდავ დროს; ამით იმის თქმა მინდა, რომ შენც, მეც და სპინოზასაც არ გვინდა სიკვდილი, ეს არის ჩვენი წყურვილი და ჩვენი ნამდვილი არსი და ალბთ იმ საბრალო პორტუგალიელმა ებრაელმა, ბედმა ჰოლანდიის ბურუსში რომ არგუნა ცხოვრება, მაინც ვერასოდეს ირწმუნა თავისი საკუთარი უკვდავება და მთელი მისი ფილოსოფიაც სხვა არა არის რა, თუ არა ნუგეში თვითონვე თავისთვის რომ გამოიგონა იმ თავის ურწმუნობაში. ისევე, როგორც სხვა ადამიანებს სტკივათ ხელი, ფეხი, გული ან თავი, ისე სტკიოდა სპინოზასაც ღმერთი. საბრალო ადამიანი! და ჩვენც, ყველა საბრალონი!

და ადამიანი, ეს ნივთი, არის კი ნამდვილად ნივთი? კითხვა ეგებ აბსურდულიც გეჩვენოთ, მაგრამ იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომელთაც დასვეს ეს კითხვა. არც ისე დიდი ხნის წინ მთელ ქვეყანაზე გავრცელდა პოზიტივიზმად წოდებული მოძღვრება, რამაც შესაძლოა ბევრი რამ სასარგებლოც მოიტანა და ამავე დროს მავნებელიც; და ამ ბოროტებებს შორის, რაც პოზიტივიზმს მოჰყვა, იყო ერთი – ფაქტების ანალიზი, რის შედეგადაც თვით ფაქტები ისე დაიშალა, რომ მისგან მტვრის მეტი არაფერი დარჩა. ის, რასაც პოზიტივისტები უწოდებდნენ ფაქტებს, უმეტესწილად ფაქტების მეტი არც არაფერი იყო; ხოლო ფსიქოლოგიაში პოზიტივიზმის ჩარევა ლამის სასიკვდილო სანამლავი აღმოჩნდა; მაგრამ როცა ეს სქოლასტიკოსები ლიტერატურასაც

მისწვდნენ, — მე იმას კი არ ვამბობ, ფილოსოფოსები პოეზიას მისწვდნენ-მეთქი, რადგან ფილოსოფოსი და პოეტი ტყუპები არიან, თუ არა ერთი და იგივე, — და ნოველასა და დრამაში ფსიქოლოგიურ-პოზიტივისტური ანალიზი გამოიყენეს იმ დროს, როცა უნდა აღედგინათ და გაეცოცხლებინათ კონკრეტული ადამიანი, სისხლისა და ხორცისგან ქმნილი ადამიანი, პოზიტივისტური ანალიზის შედეგად, ცნობიერება, როგორც მდგომარეობა, სულერთიანად გაქრა. აქაც იგივე მოხდა, რაც ხშირად ხდება ორგანული ქიმიის ზოგიერთი რთული შენაერთის შესწავლისა და ექსპერიმენტების დროს, როცა რეაქტივების შემოქმედების შედეგად ცოცხალი შენაერთები, ანუ სხეული, რის შესწავლასაც ცდილობდნენ, ნადგურდება, ხოლო შედეგად იღებენ მის შემადგენელ ნაწილებს.

გამომდინარე იმ აშკარა ვითარებიდან, რომ ჩვენს ცნობიერებას განსაზღვრავს ერთმანეთთან სრულიად საპირისპირო განწყობა თუ გარემოება, ისინი იქამდე მივიდნენ, რომ ველარც ამ ცნობიერებას აღიქვამდნენ და ველარც მის „მე“-ს, თუ ნებისმიერ ადამიანს ვკითხავთ რასმე მისი „მე“-ს შესახებ, ეს იგივე იქნება, რომ გვეკითხა მისი სხეულის მდგომარეობა, მაშინ, როცა ვგულისხმობდით მის „მე“-ს, კონკრეტულ, პირად „მე“-ს, არა ფიხტეს „მე“-ს, არამედ თვითონ ფიხტეს, ადამიან-ფიხტეს“.

და ის, რაც განსაზღვრავს ადამიანს, ის, რაც ქმნის მას ადამიანად, იმ ადამიანად, რაც ის არის თვითონ და არა სხვა, სწორედ ესაა მისი მთლიანობისა და უსასრულობის პრინციპი. პირველია მთლიანობის პრინციპი სივრცეში, სხეულის მთლიანობის წყალობით, მეორე კი ჩვენი მოქმედებისა და მიზნების ერთიანობისა. ვთქვათ, თუნდაც ის, რომ სიარულის დროს არასოდეს ვაბიჯებთ ერთ ფეხს წინ და მეორეს უკან, ანდა როცა ვიმზირებით, ერთი თვალით ჩრდილოეთისკენ ხომ არ ვიყურებით, მეორეთი სამხრეთისკენ, თუკი, რა თქმა უნდა, ნორმალური მხედველობა გვაქვს. ჩვენი ცხოვრების გარკვეულ დროს გარკვეული მიზანიც გვამოძრავებს, რისკენაცაა მიმართული ჩვენი მოქმედების სინერგია, თუმცა მეორე წუთში შეგვიძლია

კიდევ შევცვალოთ ჩვენი მიზანი. ერთი მოსაზრებით, ადამიანს ადამიანად ყველაზე მეტად ქმნის ის, რაც უფრო მიზანდასახული და ერთიანია მისი მოქმედება, თუმცა არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მთელი თავიანთი ცხოვრება ერთადერთ მიზანს ისახავენ, სულერთია, რაც და როგორიც გინდა იყოს ეს მიზანი.

და კიდევ — დროის უწყვეტობის, განგრძობითობის პრინციპი. უაზრობაა იმაზე კამათი, ვარ თუ არა ახლა იგივე, როგორიც ვიყავი ოცი წლის წინათ; ჩემი აზრით, ის, თუ რას წარმოვადგენ მე დღეს, დამოკიდებულია იმაზე, რა მდგომარეობაში იყო ჩემი ცნობიერება და ამავე დროს ჩემი სხეული მთელი ამ ოცი წლის მანძილზე. მეხსიერება ინდივიდუალური პიროვნების ისეთივე საფუძველია, რაც არის ტრადიცია ხალხის, კოლექტიური პიროვნებისთვის. ჩვენ ვცხოვრობთ მოგონებებში და მოგონებათა წყალობით, ჩვენი სულიერი ცხოვრებაც არსებითად სხვა არაფერია, თუ არა ჩვენივე მოგონებათა სწრაფვა გაგრძელდეს ისე, რომ გადაიქცეს იმედად, ხოლო წარსული გადაიქცეს მომავლად.

მართალი ითქვას, ეს ყველაფერი უდავო ჭეშმარიტებაა, თუმცა ცხოვრებაში ხშირად ხდება, როცა ისეთ ადამიანებსაც გადავეყრებით ხოლმე, რომლებიც სულ ვერ გრძნობენ საკუთარ თავს. მაგალითად, ერთი ჩემი მეგობარი, ვისაც მრავალი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი, როცა კი სიტყვას ჩამოვადებდი საკუთარი პიროვნების შეგრძნების თაობაზე, იტყოდა — „მე კი სულ ვერ ვგრძნობ ჩემ თავს და არც ის მესმის, რას ნიშნავს ეს.“

ზოგჯერ ეს ჩემი მეგობარი ამასაც კი იტყოდა ხოლმე: „ვისურვებდი მავანი და მავანი ვყოფილიყავი“ და დაასახელებდა ვინმეს; მეც ვუპასუხებდი — „თუკი რამ ვერ გამიგია და ვერც ვერასოდეს გავიგებ, ისაა, როგორ შეიძლება ადამიანმა ინატროს, ვინმე სხვა ვიყო, ეს ხომ ნიშნავს, აღარ იყო ის, ვინც ხარ და რაც ხარ. შეიძლება კიდევ გავუგო ადამიანს, რომელიც ინატრებს, ვინმეს ცოდნა-განათლება ან ქონება მქონდესო, მაგრამ სხვა გავხდეთ, ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარი და აუხსნელია. არაერთხელ მითქ-

ვამს, რომ არიან უიღბლო თუ უბედური ადამიანებიც, რომელთაც ურჩევნიათ დარჩნენ ისეთები, როგორებიც არიან, თუნდაც იმ თავიანთი უიღბლობითა და უბედურებით, ვიდრე გახდნენ სხვები. არიან ისეთებიც, ჯანმრთელობას რომ არ უჩივიან, მაგრამ სხვა გასაჭირი აქვთ, მაინც იმ თავიანთ გაჭირვებას უფრო გაუძლებენ და აზრადაც არ მოუვათ, სხვა გავხდეთ, ანდა იმ თავიანთ უბედურებას უფრო შეეგუებიან, ვიდრე საკუთარ თავს წარმოადგენდნენ არარსებულად. ჩემ თავზე კი ვიტყვოდი, რომ სიყმანვილისა და ბავშვობის დროსაც კი ჯოჯოხეთის შემზარავი სურათები ისეთ შიშს არ მგვრიდა, როგორც არარსებობა, იმთავითვე ვგრძნობდი სიცოცხლის შმაგ წყურვილს, ღვთაებრიობის შიმშილს, როგორც იტყოდა ჩვენი ასკეტი“.

ადამიანს, ნებისმიერ ადამიანს რომ მოსთხოვო, გინდა თუ არა სხვა გახდო, ეს ნიშნავს, რომ აღარ იყოს ის, ვინც და რაც არის. ყოველი ადამიანი იცავს, ან უნდა იცავდეს საკუთარ პიროვნებას, შეიძლება მარტო აზროვნებისა და ცხოვრების ჩვეულ წესებს შეელოს, ისიც იმ პირობით, თუ ეს ცვლილება მისი სულიერი ცხოვრების ერთიანობასა და განგრძობითობაზე არ მოახდენს გავლენას. ასეთი ცვლილებები მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ზომითაა შესაძლებელი, თუ ეს ცვლილებები არ დაარღვევს პიროვნების სულიერი ცხოვრების ჩვეულ წესებს, მისი გრძნობისა და აზროვნების თავისებურებებს, ამასთან, არ უნდა მოსწყდეს მოგონებებს; ვერც ადამიანს და ვერც ხალხს – გარკვეული აზრით, ხალხიც ხომ სინამდვილეში პიროვნებაა — ვერ მოსთხოვ ისეთ ცვლილებებს, რაც მისი პიროვნების მთლიანობასა და განგრძობითობას დაარღვევდა. ეგებ ისეთი ცვლილებები საკმაოდ მნიშვნელოვანიც და სრულიც კი იყო, მაგრამ უწყვეტი უთუოდ უნდა ყოფილიყო.

გასაგებია, რომ ინდივიდმა სინამდვილეში კიდევ განიცადოს, ასე ვთქვათ, პიროვნული ცვლილებანი, მაგრამ ეს იქნებოდა პათოლოგიური შემთხვევა, რასაც ექიმი პათოლოგები შეისწავლიან. პიროვნების ამგვარი ცვლილების დროს ერთიანად ირღვევა მეხსიერება, ანუ ცხო-

ვრებისა და არსებობის შეცნობის საფუძველი, ხოლო საბრალო პაციენტისგან, როგორც ინდივიდუალური სუბსტრატისა და უკვე არა პიროვნებისგან, რჩება მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური სხეული. ასეთი ავადმყოფობა, თუკი მაინც დაემართება ადამიანს, თითქმის სიკვდილს უტოლდება, ოღონდ მათთვის, ვისაც ეს სწეულება მემკვიდრეობად გადაეცა, ასე თუ ისე სიკვდილს მაინც არ ნიშნავს, თუკი ბედი გაუღიმებს. მაგრამ ეს სენი, რაც უნდა ვთქვათ, სულერთია, ნამდვილი რევოლუციაა და სხვა არაფერი.

ასეთი სენი, გარკვეული აზრით, ლამის ორგანიზმის ხრწნაა, როცა ერთი ორგანო ანუ ცოცხალი ორგანიზმის ერთი რომელიმე ნაწილი აჯანყდება და ანადგურებს სასიცოცხლო სინერგიას, ამასთან სხვა მიზანსაც ისახავს, მასთან დაკავშირებული სხვა ელემენტთაგან განსხვავებით; ხოლო ეს მიზანი თავისთავად ეგებ აბსტრაქტულად ამაღლებული და კეთილშობილურიც კი იყოს, უნდა სულაც ისეთი, როგორსაც ინებებთ, მაგრამ მაინც სხვაა. ვინც იცის, შეიძლება ფრენა ჰაერში უკეთესია, ვიდრე ცურვა და სუნთქვა წყალში, მაგრამ თუ რომელიმე თევზის ფარფლმა მოინდომა ფრთად გადაიქცეს, მაშინ თევზი, როგორც თევზი აღარც იარსებებს. ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ შესაძლოა ჩიტი თევზისგან არც წარმოშობილიყო, პირიქით, ეს წარმოუდგენელიცაა, თუკი ამ პროცესში განგრძობითობა თუ მუდმივობა არ იგულისხმებოდა, ეგებ ამ საკითხებში ბევრი არაფრის გამეგებოდეს, მაგრამ იმის ვარაუდი ხომ მაინც შეიძლება, რომ თევზი ყოფილიყო ჩიტის წინაპარი, ანდა სულაც თევზს წარმოეშვა ისეთი თევზი, რომელიც უფრო ახლოს იქნებოდა ჩიტთან, ვიდრე თვითონ საკუთარ მშობელთან, ოღონდ ეს კონკრეტული თევზი, როგორც თევზი იმ თავისი თევზის ცხოვრების მანძილზე ჩიტად სულერთია, მაინც ვერ გადაიქცეოდა.

ყველაფერი ის, რაც ჩემშია და რაც ცდილობს დაარღვიოს ჩემი ცხოვრების მთლიანობა თუ უწყვეტობა, გამანადგუროს მე, ამავე დროს ანადგურებს საკუთარ თავსაც, ყოველი ინდივიდიც, თუკი ეცდება დაარღვიოს თავისი ხალხის სულიერი ერთიანობა და უწყვეტობა, ანად-

გურებს როგორც ხალხს, ისე საკუთარ თავს, როგორც ამ ხალხის ნაწილს... ვითომ სხვა ხალხი უკეთესია? დაე, ასე იყოს, მაგრამ ის ვერ გამიგია, რას ნიშნავს „უკეთესი“ ან „უარესი“. ვითომ უფრო მდიდარია? ვთქვათ, რომ ასეა. უფრო კულტურულია? ამაზეც თანახმა ვარ. უფრო ბედნიერი ცხოვრება აქვს? ეს უკვე... მაგრამ თუნდაც ასე იყოს! ის გაიმარჯვებს, ანუ იმას მიაღწევს, რასაც გამარჯვებას უწოდებენ? მაშინ, როცა ჩვენ შეიძლება დამარცხებულად მიგვიჩნევდნენ? ვთქვათ, რომ ყველაფერი ასეცაა, მაგრამ ეს მაინც სულ სხვა რამაა, მორჩა და გათავდა. სულ სხვა რამაა-მეთქი, როცა ვამბობ, ვგულისხმობ, რომ ჩემთვის ის, რომ გავხდე სხვა, რომ დაირღვეს ჩემი ცხოვრების მთლიანობა და უწყვეტობა, აღარ ვიყო ის, რაც ვარ და ვინც ვარ, ნიშნავს აღარ ვიყო, უბრალოდ აღარ ვიარსებო! ეს უკვე მეტისმეტია, ეს უკვე არა! ყველაფერი, რაც გნებავთ, ოღონდ ეს არა, ეს არ ეგების!

განა სხვა, ვინმე ჩემსავით ან ჩემზე უკეთესად შეასრულებს ჩემს მოვალეობას? ანდა ვინმე სხვა აღასრულებს ჩემს საზოგადოებრივ ვალდებულებებს, თუ არა მე?

„მე, მე, მე, მუდამ ეგ შენი მე!“ – იტყვის რომელიმე მკითხველი, – მაინც ვინა ხარ შენ ასეთი? – მე კი ვუპასუხებდი ობერმანთან ერთად, ამ დიდებულ ობერმანთან ერთად — „სამყაროსთვის — არაფერი, ჩემთვის — ყველაფერი!“. თუმცა მირჩვენია შევახსენო მას ადამიან-კანტის ერთი მოძღვრებიდან გამონათქვამი და კერძოდ ის, რომლის თანახმად, ჩვენ მოყვასს, ანუ საერთოდ ადამიანს ისე კი არ უნდა მოვექცეთ, როგორც საშუალებას, არამედ როგორც მიზანს. მაშასადამე, აქ მარტო ჩემზე კი არ არის ლაპარაკი, ეს გეხება შენც, მკითხველო, ალბათ ახლა რომ ბუზღუნებ, ეს ეხება ყველას და ყოველ ჩვენგანს; ცალკეულს საერთო-საყოველთაო მნიშვნელობა აქვს, როგორც იტყვიან ლოგიკოსები, ცალკეული განსაკუთრებული კი არა, საერთო-საყოველთაო.

ადამიანი არის მიზანი და არა საშუალება. მთელი ცივილიზაცია გულისხმობს ყოველ ცალკეულ ადამიანს, ცალკეულ „მე“-ს. თუ ასეა, მაშინ რა ასეთი კერპია ეს

კაცობრიობად ნოდებული, თუ რაღაც სხვა სახელით ცნობილი, რომელსაც მსხვერპლად უნდა შეენიროს ყველა და ყოველი ცალკეული ადამიანი? რატომ უნდა გავნიროთ თავი თუნდაც ჩემი მოყვასისა თუ ჩემს თანამოდმეთა გულისთვის, თუნდაც ჩემივე შვილებისთვის, მათ კი თავის მხრივ თავიანთი შვილებისთვის და ასე უსასრულოდ – თაობიდან თაობამდე, მერედა, ვინ მოიმკის ასეთი მსხვერპლშენიერვის ნაყოფს?

ისინი, ვინც ამ ფანტასტიკურ მსხვერპლშენიერვისკენ, ამ უმისამართო მსხვერპლშენიერვისკენ გვიბიძგებენ და გვაგულიანებენ, თან სიცოცხლის უფლებაზე როგორ ლაპარაკობენ და ქადაგებენ. მერედა, ასეთი მაინც რა არის და რას ნიშნავს ეს სიცოცხლის უფლება? მეუბნებიან, თითქოს მე ამქვეყნად მოვედი რაღაც სოციალური მიზნის განსახორციელებლად, ეს არ ვიცი, მაგრამ იმას კარგად ვგრძნობ, რომ მოვედი, ისევე როგორც ყველა ჩემი ძმა და მსგავსი, რათა განვახორციელო საკუთარი თავი, ანუ ვიცხოვრო.

დიახ, დიახ, კარგად ვხედავ; ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა, ძლიერი ცივილიზაცია, დიდი მეცნიერება, დიდებული ხელოვნება, მძლავრი მრენველობა, მაღალი მორალი, მერე კი, როცა მთელი ქვეყნიერება გაივსება მრენველობის სასწაულებით, უზარმაზარი ფაბრიკებით, გზებით, მუზეუმებით, ბიბლიოთეკებით, ჩვენ უკვე ქანცგანყვეტილნი დავეყრებით ამ ხარახურის წინ და იმასლა ვიკითხავთ, — ნეტავი ეს ყველაფერი ვისთვისაა? ადამიანი მეცნიერებისთვის, თუ მეცნიერება ადამიანისთვის?

ერიჰაა! – შესძახებს კვლავ იგივე მკითხველი: „ისევე კატეხიზმოს ვუბრუნდებით: „კითხვა: ვისთვის შექმნა უფალმა ეს სამყარო? პასუხი: ადამიანისთვის.“ კარგი და კეთილი, დიახ, ასეც უნდა უპასუხოს ადამიანმა, თუკი ის მართლაც ადამიანია; ხოლო ჭიანჭველა, თუ ის იქნებოდა პიროვნება და საკუთარი თავის აღქმის უნარიც ექნებოდა, უპასუხებდა – ჭიანჭველასთვისო, და კარგადაც უპასუხებდა, სამყარო მართლაც შექმნილია შემეცნებისთვის, ყოველი ცალკეული შემეცნებისთვის.

მარტო ერთი ადამიანის სული მთელ სამყაროდაც კი ღირს, — არ მახსოვს ვინ თქვა ეს, მაგრამ დიდებულად უთქვამს, — ეეჰ, ადამიანის სულიო, ცხოვრება კი არაო! ისე ჩანს, რომ იმდენად, რამდენადაც მცირდება სულის რწმენა, ანუ სულის უკვდავების რწმენა, საკუთარი, პირადი უკვდავების რწმენა, იმდენადვე იზრდება ამ სანყალობელი, წარმავალი ცხოვრების მნიშვნელობა. აქედანვე გამომდინარეობს ომის მოწინააღმდეგეთა, ეს ქალური სანტიმენტალური განცდები. დიახ, ადამიანი არც უნდა ფიქრობდეს სიკვდილზე, თუმცა სიკვდილიც არის და სიკვდილიც. „უკეთუ ვისმე უნდა თავი თვისი განრინებად, წარინყმიდოს იგი“, — ნათქვამია სახარებაში, მაგრამ იმაზე არაფერია ნათქვამი, ვისაც უნდა გადაარჩინოს სული, უკვდავი სულიო, ის დაკარგავსო, ანდა თუ მაინც გვჯერა სულის უკვდავება, ან თუ გვინდა გვჯეროდეს სულის უკვდავებისა, ჩვენ სულს დავკარგავთო.

ობიექტივიზმის ყველა ის მიმდევარი ან ვერ ხედავს, ან არც უნდა რომ დაინახოს, თუ ადამიანი იცავს და განამტკიცებს საკუთარ, პირად ცნობიერებას, ამავე დროს, განამტკიცებს საერთოდ ადამიანს, კონკრეტულ ადამიანს, ნამდვილ ადამიანს, ჭეშმარიტ ჰუმანიზმს, ანუ არა ადამიანნივთს, არამედ თვითონ ადამიანს, და ბოლოს რაკი განამტკიცებს ადამიანს, ამით განამტკიცებს ცნობიერებასაც, რამეთუ ოდენ ცნობიერებაა, რაც გვაქვს და რისიც გვჯერა, ესაა სწორედ ადამიანური ცნობიერება.

სამყარო არსებობს ცნობიერებისთვის, ანდა უფრო სწორად — „თვის“, არის მიზნის, უფრო სწორად, გრძნობის ცნება, ხოლო ეს ტელეოლოგიური გრძნობა შეიძლება დაიბადოს იქ, სადაც არსებობს ცნობიერება, ხოლო ცნობიერება და მიზანი არსებითად ერთი და იგივეა.

მზეს რომ ჰქონოდა ცნობიერება, უნინ იმაზე იფიქრებდა, რომ არსებობდა იმისთვის, რათა სამყაროებისთვის გაენათეზინა, მაგრამ იმაზეც იფიქრებდა — და უფრო კი იმაზე, — სამყარო იმისთვის არსებობს, რომ მე გავუნათო, და ეს მიანიჭებდა სიამოვნებას, არსებობის ხალისს და კარგადაც იფიქრებდა.

და ადამიანის ეს ტრაგიკული ბრძოლა

გადარჩენისთვის, უკვდავების ეს უკვდავი ნყურვილი, რამაც ადამიან-კანტს ჩაადენინა ის თავისი უკვდავი ნახტომი, რაზეც საკმაოდ ვისაუბრე, ეს სხვა არაფერია, თუ არა ბრძოლა ცნობიერებისთვის, ხოლო ეს ცნობიერებაც სხვა არაფერია, გარდა ნყვდიადის ორ მარადისობას შორის სინათლის მყისიერი გაელვებისა, როგორც იტყოდა ვინმე არაადამიანური მოაზროვნე, მაგრამ იმაზე შემზარავიც არაფერი ყოფილა, ვიდრე არარსებობა.

ეგებ ვინმემ კიდევ დაინახოს წინააღმდეგობრიობა იმაში, რაზეც მე ერთ შემთხვევაში ვლაპარაკობ ცხოვრების უსასრულობის ნყურვილის თაობაზე, მეორე შემთხვევაში იმაზე, რომ ცხოვრებას არა აქვს ის ფასი, რაც უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგობრიობა? რატომაც არა? ბუნებრივია წინააღმდეგობრიობა. ვის არ ახსოვს სახარებაში ნათქვამი — „მრწამს, უფალო შემეწიე ურწმუნებასა ჩემსა!“ წინააღმდეგობრიობა? რა გასაკვირია! რამეთუ ჩვენ ვცხოვრობთ კიდევ წინააღმდეგობრიობითა და მისი წყალობით, რამეთუ ჩვენი ცხოვრება არის ტრაგედია, ხოლო ტრაგედია არის გამუდმებული ბრძოლა გამარჯვებისა და გამარჯვების იმედის გარეშე; სწორედ ეს არის წინააღმდეგობრიობაც.

როგორც ხედავთ, საუბარია აფექტურობის მნიშვნელობაზე, ხოლო აფექტურობის მნიშვნელობასთან გონება ვერაფერს გახდება, რამეთუ გონების დასკვნები მეტი არაფერია, თუ არა დასკვნები, როგორი მართალიც უნდა იყოს. არიან დეფინიციების ისეთი ავტორებიც, ბუნებითაც და მოწოდებითაც პედანტები, რომლებიც ჩემზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენენ, როგორც ვინმე სენიორი, რომელსაც ვითომ უნდოდა ენუგემებინა მამა, რომელსაც სულ მოულოდნელად ყმანვილი ვაჟიშვილი დაელუბა, ასე უთხრა: „დამშვიდდი, მეგობარო, ჩვენც ხომ ყველას სიკვდილი მაინც არ აგვცდება!“ განა გასაკვირია, თუ ასეთი თავხედობა მამა აღაშფოთებდა? ეს ხომ კადნიერებაა, ზოგიერთ შემთხვევაში აქსიომაც შეიძლება იყოს თავხედობა, რამდენჯერ უნდა გავიმეორო:

ასე რომ იფიქრო, მარტო ისიც საკმარისია გქონდეს გონი და სხვა არაფერი,

სინამდვილეში ისეთი ადამიანებიც ხომ არიან, მარტო ერთი ტვინით რომ ფიქრობენ, ან რომელიმე სხვა, საგანგებოდ ფიქრისთვის შექმნილი ორგანოთი, მაშინ, როცა სხვები ფიქრობენ მთელი სხეულით და მთელი სულით, სისხლით, ძვლებით და ძვლის ტვინითაც კი, გულით, ფილტვებით, სტომაქით, მთელი არსებით. ის ადამიანები, რომლებიც ტვინის გარდა სხვა არაფრით ფიქრობენ, დეფინიციების მეტს სხვა არაფერს ქმნიან და მათგან პროფესიონალი მოაზროვნეები გამოდიან, თქვენ იცით, რას ნიშნავს პროფესიონალი? იცით, რომ პროფესიონალი გახლავს შრომის განაწილების პროდუქტი?

ვთქვათ, პროფესიონალი მოკრივე, მას ასწავლეს რომ თავის მოწინააღმდეგეს იმ გაანგარიშებით უნდა მიაყენოს დარტყმა, თუ მთელი თავისი ძალის კონცენტრირებას მოახდენს დარტყმის დროს და ამოქმედებს მხოლოდ იმ კუნთებს, რაც ამ მიზნის მისაღწევად საჭირო, ანუ ბეჭებზე რომ დასცეს მოწინააღმდეგე. ხოლო არა-პროფესიონალის დარტყმა შესაძლოა არც იყოს ეფექტური, მაგრამ მასში გაცილებით მეტი სიცოცხლე ჩანდეს, რამეთუ ამ შემთხვევაში მთელი მისი სხეული მონაწილეობს. მოკრივისა და არამოკრივის დარტყმა ერთმანეთისგან განსხვავდება, ცნობილია, რომ ცირკის „ჰერკულესები“ და საბაზრო სანახაობათა ათლეტები დიდად არ გამოირჩევიან ჯანმრთელობით, შეიძლება მათ ბეჭებზე დასცენ მოწინააღმდეგე, უზომო წონის სიმძიმეებიც ასწიონ, მაგრამ ან ჭლეკით კვდებიან, ან დისპეპსიით.

თუ ფილოსოფოსი არ არის ადამიანი, მითუმეტეს არც ფილოსოფოსია, უფრო პედანტია, ანუ ადამიანის ერთი უბადრუკი მინამსგავსეები; ნებისმიერი მეცნიერების განვითარება-დანერგვა, იქნება ეს ქიმია, ფიზიკა, გეომეტრია თუ ფილოლოგია, შეიძლება იყოს ამა თუ იმ სპეციალიზაციის საქმე, თუმცა საკმაოდ ვინრო, შეზღუდული, მაგრამ ფილოსოფია, ისევე როგორც პოეზია, ან იქმნება ერთიანი ძალითა და მონდომებით, ან არადა ეს იქნება ოდენ ფილოსოფოსობა, ფსევდოფილოსოფიური ერუდიცია.

ყოველგვარ ცოდნას აქვს გარკვეული მიზანი. ცოდნა ცოდნისთვის, რაც არ

უნდა თქვან, მაინც სხვა არაფერია, თუ არა სავალალო გაუგებრობა. ცოდნის შეძენას ან პრაქტიკული მიზანი აქვს, ან უკვე შეძენილი ცოდნის შევსების სურვილი. ის დოქტრინაც კი, უფრო თეორიული რომ გვგონია, ანუ ის, რაც ყველაზე ნაკლებადაა საჭირო ჩვენი ცხოვრების არცთუ ინტელექტუალური მოთხოვნილებებისთვის, ასე თუ ისე მაინც პასუხობს ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს, — აზროვნების ეკონომიის პრინციპს, ცნობიერების ერთიანობისა და უწყვეტობის პრინციპს, მაგრამ თუ მეცნიერულ ცოდნას აქვს თავისი მიზანი — პრაქტიკული, — ანუ უკვე შეძენილ ცოდნის ერთგვარი შევსება, — ის დოქტრინაც კი უფრო თეორიული რომ გვგონია, ანუ ის, რაც ყველაზე ნაკლებადაა ჩვენი ცხოვრების არა-ინტელექტუალური მოთხოვნილებებისთვის, მაინც პასუხობს ინტელექტუალურ მოთხოვნილებას — ეს კი ასე თუ ისე მაინც მოთხოვნილებაა — აზროვნების ეკონომიის პრინციპისა, ცნობიერების ერთიანობისა და უწყვეტობის პრინციპისა, მაგრამ თუ მეცნიერულ ცოდნას აქვს თავისი მიზანი, თუნდაც მეორეხარისხოვანი, მაშინ ფილოსოფია ცოდნის საზღვრებს სცილდება და უკვე მთელ ჩვენს ბედს ერთიანად ეხება, რაკი გულისხმობს ჩვენი მოქმედების ერთიანობას ცხოვრებისა და სამყაროს წინაშე. ფილოსოფიის ყველაზე ტრაგიკული პრობლემა არის ის, რომ შეარიგოს ინტელექტუალური მოთხოვნილებანი აფექტურსა და ნებელობის მოთხოვნილებებთან; ამიტომაც, რომ ფილოსოფია განიცდის მარცხს, როცა ცდილობს არად ჩააგდოს მარადიული და ტრაგიკული წინააღმდეგობრიობა, რაც არის ჩვენი არსებობის საფუძველი, მაგრამ განა ყველას კი ძალუძს დაუპირისპირდეს ასეთ წინააღმდეგობრიობას?

დიდ ნდობას არ ინვესტ, მაგალითად, ის ხელისუფალი, ვისაც თავის სიცოცხლეში აზრადაც არ მოსვლია საკუთარი თავისთვის დაესვა კითხვა საგანთა პირველმიზეზსა და საბოლოო მიზანზე, კითხვა ადამიანზე — ჯერ პირველი „რატომ?“ და მერე — „რისთვის?“

და ეს უმთავრესი კითხვა წმინდა რაციონალური კი არ უნდა იყოს, არამედ აფექტური. მარტო აზროვნება არ არის

საკმარისი, თუ ბედის გრძნობა არა გვაქვს. ის, ვისაც დაუჩემებია, რომ მისი მოწოდება მოყვასთა წინამძღოლობა, და ამ დროს საჯაროდ აცხადებს, უჩვეულო და საარაკო ამბები მე არ მეხებაო, არც უნდა იყოს ღირსი განაგოს ხალხის ბედი. ცხადია, ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ მას დიდი მოვალეობები დაეკისროს და გადანყვეტილებები მიიღოს! გადანყვეტილებები? ანკი რას ნიშნავს გადანყვეტილებები?

მე თვითონ არც დავემორჩილები და არც ვენდობი ხალხის იმ წინამძღოლს, ვისაც ისიც კი ვერ გაუგია, რა არის მთავარი და წინამძღოლობა კი მოუნდომებია იმ ხალხისა, სისხლისა და ხორცისგან ქმნილი ადამიანებისა, რომლებიც იბადებიან, იტანჯებიან, არ უნდათ სიკვდილი და მაინც კვდებიან, ადამიანებისა, რომელთაც აქვთ მიზანი და არ უნდათ იყვნენ მარტო საშუალებანი, ადამიანებისა, რომელთაც სურთ იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან, და არა ისეთები, როგორებიც არ უნდათ და არ არიან, დაბოლოს, ის ადამიანები, რომლებიც ეგრეთ წოდებულ ბედნიერებას ესწრაფვიან, თუნდაც ის ვთქვათ, რომ არაადამიანურია, როცა ადამიანთა ერთი თაობა მსხვერპლად უნდა შეენიროს მის მომდევნო თაობას, მითუმეტეს, თუ იმ თაობას სულაც არა აქვს მათი ბედის განცდა, ვინც მათთვის გასწირა თავი, ანუ იმის თქმა კი არ მინდა, აუცილებლად მათი ხსოვნა შეინარჩუნონ ან მათი სახელები ახსოვდეთ, არამედ თვით მათ გრძნობდნენ.

მე მინდა ვთქვა, რომ ადამიანი ცხოვრობს თავის შვილებსა და თავის შემოქმედებაში, თუნდაც ამ სამყაროში, ეს უქმი გამონაგონია და ამით მარტო ისინი კმაყოფილდებიან, ვისაც აფექტური გონებაჩლუნგობა სჭირს, თუმცა ამავე დროს შეიძლება განსაკუთრებული ნიჭითაც გამოირჩეოდნენ, რამეთუ შეიძლება ადამიანს კიდევ ჰქონდეს ნიჭი, ანუ ის, რასაც ნიჭს უწოდებენ, მაგრამ ამავე დროს იყოს ჩლუნგი გრძნობების პატრონი, ან თუნდაც მორალურად უნიჭო, ასეთი შემთხვევებიც არის ხოლმე.

ასეთ ნიჭიერ, ოღონდ გრძნობამორჩლუნგებულ, აფექტურ ადამიანებს რატომღაც ჩვევად აქვთ იქადაგონ, ვითომ არ

ღირს ჩხრეკა შეუცნობლისა და ტყუილად თავის ატკივება. ესკი იმას ნიშნავს, რომ ადამიანს, რომელსაც ფეხი აქვს მოკვეთილი, უთხრა — ამაზე ფიქრიც არ ღირსო; განა ჩვენ ყველას რალაც არ გვაკლია? ოღონდ ეგაა, ერთნი ამას გრძნობენ, მეორენი — ვერა, ანდა ისე უჭირავთ თავი, ვითომ ვერ გრძნობენ, ან სულაც თვალთმაქცობენ.

ვინმე პედანტი, შვილის გარდაცვალების გამო ღრმად დამწუხრებულ სოლონს* რომ შეხვდა, თურმე უთხრა: „ასე რატომ სწუხხარ, ეს ხომ სრულიად უსარგებლოა!“ ბრძენმა კი უპასუხა. „სწორედ იმიტომაც ვტირი, რომ უსარგებლოა!“ ცხადია, ტირილი არცთუ უსარგებლოა, თუნდაც იმიტომ რომ შვებას მაინც გვგვრის, მაგრამ კიდევ უფრო კარგად ჩანს ეს ღრმა აზრი სოლომონის პასუხში იმ უტიფარი კაცის ნათქვამზე. მეც დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს რამეს გაეცემოდა კიდევ პასუხი, თუ ჩვენ ყველა ერთად გავიდოდით მოედანზე და ჩვენ-ჩვენ ტკივილს დღის სინათლეზე გავიტანდით, ყველა ერთად მოვყვებოდით მოთქმა-გოდებას, შევღალადებდით ზეცასა და უფალსაც, დაე, თუნდაც ყური არ ეთხოვებინა, მაინც გაიგებდა, აკი ტაძრის სინმინდევ სწორედ ისაა, რომ ყველა ერთად მივდივართ იქ და ერთადაც ვტირით. თუნდაც მარტო ვთქვათ, აკი ყველა ერთად ღალადებს და ყველა ერთად ვმადლობთ ბედის სიმძიმისაგან ქედმოდრეკილნი, მარტო ეს ღირს მთელ ჩვენს ფილოსოფიად! მხოლოდ მკურნალობა არ კმარა შავი ჭირისა, დატირებაც უნდა ვიცოდეთ! ეგებ სწორედ ესაა უპირველესი სიბრძნე. რატომ? ეს ისევ სოლომონს უნდა ვკითხოთ!

არის კიდევ რალაც სხვაც, რასაც, უკეთესი სახელი რომ ვერ მოვიფიქრეთ, ცხოვრების ტრაგიკული გრძნობა ვუნოდეთ, რაც მოიცავს ცხოვრებისა და სამყაროს მთელ კონცეფციას, მეტად თუ ნაკლებად გააზრებულ და ჩამოყალიბებულ კონცეფციას და მეტად თუ ნაკლებად დამაფიქრებელს. ეს გრძნობა შეიძლება ჰქონდეს და აქვს კიდევ არა მხოლოდ ინდივიდს, არამედ მთელ ხალხსაც, ამ გრძნობიდან გამომდინარეობს იდეები, რაც განსაზღვრავს მათ შინაარსს და თავის მხრივ ზემოქმედებს და ასაზრდოებს კიდევ; ზოგჯერ

ამან შეიძლება გამოიწვიოს რაიმე გვერდითი ავადმყოფობაც, მაგალითად, დეპრესია, მაგრამ სხვა შემთხვევაში პირიქითაც ხდება, როგორც უკვე ვთქვით, კიდევ ჩანს, რომ ადამიანები შეუძლებელია დავეყოთ ჯანმრთელებად და ავადმყოფებად; რაკი ჩვენ არა გვაქვს ჯანმრთელობის ნორმატიული ცნება, აქამდე არავის დაუმტკიცებია, რომ ადამიანი ბუნებით უნდა იყოს სიცოცხლისმოყვარე და მხიარული, მეტიც, ადამიანი რაკი იგი არის ადამიანი და აქვს ცნობიერება, სწორედაც ამით განსხვავდება, ვთქვათ, თუნდაც ვირისა, ანდა კიბორჩხალისგან და ამდენად არის კიდევ ავადმყოფი ცხოველი, რამეთუ თვითინ ცნობიერება ავადმყოფობა.

სისხლისა და ხორცისგან ქმნილ ადამიანებს შორის არიან ცხოვრების ტრაგიკული გრძნობის ტიპური წარმომადგენლები; მათ შორის, ვინც ახლა გამახსენდა, გახლავთ მარკუს ავრელიუსი, ნეტარი ავგუსტინე, პასკალი, რუსო, რენე ობერმანი, ტომსონი, ლეოპარდი, ვინი, ლენაუ, ამიელი, კენტალი, კირკეგორი, კლაისტი; ესენი ის ადამიანები ბრძანდებიან, რომლებიც დამძიმებულნი არიან უფრო სი-

ბრძნით, ვიდრე მეცნიერებით.

არიან ისეთებიც, რომელთაც რატომღაც ჰგონიათ, რომ ამ ადამიანებმა თვითონ აირჩიეს თავიანთი მოქმედებისა თუ ცხოვრების გზა, — გეგონებათ, ასეთი გზის არჩევაც შეიძლებოდა, ეს იმას ჰგავს, რასაც ისინი ნიძლავისა თუ ფსონის ჩამოსვლისას ირჩევენ ხოლმე, როცა უნდათ მათი გული მოიგონ, ვინც მიაჩნიათ და არიან კიდევ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ან თუნდაც თავიანთ უფროსთა ყურადღება მიიქციონ, რაკი მიზნის მისაღწევად ესეც ერთი გზაა, ტყუილუბრალოდ რომ არ გაისარჯონ, მაგრამ სირცხვილი მათ, ვინც ამაზე ცუდად იფიქრებსო, ესეც უთქვამთ, და მეც გავჩუმდები, უფრო მწარე და უნმანურიც კი ...

მე მაინც ვფიქრობ და კიდევ მჯერა, რომ არის ხალხი, რომელთაც აქვთ ცხოვრების ეს ტრაგიკული გრძნობა და ამას კიდევ მივუბრუნდებით, როცა განვიხილავთ ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის საკითხს.

*ესპანურიდან თარგმნა
მერი ტიტვინიკა*



რედაქცია განაგრძობს ბორის პასტერნაკის მიერ ქართველი ადრესატებისადმი მიწერილი წერილების თარგმანთა სრული ვერსიის გამოქვეყნებას.



ბორის პასტერნაკი

წერილები

723. ტ. ტაბიძეს

10 მარტი, 1935, მოსკოვი

10.III.35 — სალამო

ძვირფასო ტიცციან!

დილას 8 საათზე გამეღვიძა. ზინა მეუბნება — შენს ადგილას ტიცციანს მაინც გაცვილებდიო. გადავწყვიტე, ასეც მოვქცეულიყავი. ათი იყო დანყებული, ჯერ კიდევ ჩაუცმელ-დაუბანელმა, ჟანგოს¹ რომ დავურეკე, რათა ზუსტად გამეგო, როდის და რომელი სადგურიდან გადიოდა სოჭის მატარებელი. 10:30-ზე გადისო, მითხრა ჟანგომ. მე კიდევ უნდა დამეხანა, შემესრულებინა დილის ყველა პირობითობა. ადვილად შევეგუე იმ აზრს, რომ ხელიდან გავუშვი თქვენი გაცილების შესაძლებლობა: 1) ეს თქვენ არ გსურდათ; 2) ჩემს ცნობიერებაში ჯერ კიდევ აქ იყავით, მატარებელი ჯერ კიდევ არ იყო გასული და ფაქტებთან შეგუება უფრო მიაღვივებოდა.

შემდეგ ყველაფერი ზედმეტად სულელურად მოხდა. მთელი წლის განმავლობაში ამაზე ნაღვლიანი და უსაქმური დღე არ მახსენდება. მივუჯექი სამუშაოს. თუმცა თავი ვერაფერს მოვაბი, გული ვერა და ვერ დავუდე. რალაც უმიზეზო სევდისაგან ძილი მომერია, მეგონა მაგიდასთან ჩამომეძინებოდა. ავდექი და მივწექი, ერთი საათი დაძინებას ვცდილობდი, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ ქალაქში წავიდე

საქმეებზე. ნიკოლსკაიაზე პაოლოს შევხვდი. მისგან გავიგე, რომ მატარებელი 11:30-ზე გადიოდა. ჯერ კიდევ შემედლო თქვენი ნახვა დილის სუფთა ჰაერზე! ამან განწყობა ვერ გამომიკეთა. *Гихл-დან ევგენიასთან წავიდე. განაწყენებულია ჩემზე, სევდიანი საუბარი გვქონდა. ტვერის ბულვარში გავიდე. საათს რომ დავხედე, ჯერ მხოლოდ ორი იყო, სადილამდელი ნაცრისფერი ჩრდილოეთის დრო, მაგრამ იმდენი სამწუხარო რამ მოხდა უკვე, რომ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს უკვე სალამო იყო.

სახლში ცოტა დავისვენე და კიდევ ვცაადე წერის დანყება. უცებ სრულიად დამავიწყდა, ამას როგორ აკეთებენ. დიდი ხანია, ასეთი სიცარიელე არ მიგრძნია. მაშინ მივხვდი, რომ ნახვედით და დღეს უკვე ველარ დაგირეკავთ, ველარ გნახავთ.

ტიციან, გეგონათ, რომ თქვენი აქ ყოფნა ჩემს ნაყოფიერ მუშაობას აფერხებდა. არადა, როგორ ვმუშაობდი, სანამ მოსკოვში იყავით! ახლა კი თითქოს ერთბაშად ყველაფერმა მიზანი დაკარგა, მხოლოდ ნაცრისფერი დამაუძღურებელი სიცარიელეა.

რა ეშველება ჩემს სამუშაოს, ეს რომ ხვალაც განმეორდეს? ტიცციან, თხოვნა მექნება თქვენთან: იქნებ აპრილში ხანმოკლე დასვენების ნება მივცე საკუ-

გაგრძელება. დას. ჟურ. „საგურამო“ N4 (10). 2014.
1. ჟანგო ლოლობერიძე.

*Государственное издательство художественной литературы — მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა (მთარგმნელის შენიშ.)

თარ თავს. ამ დროისათვის მომიმზადეთ და გამომიგზავნეთ თქვენი რამდენიმე შედარებით უფრო ლირიკული ბნკარედი, იმის მსგავსი, რაც უკვე ითარგმნა, ბუნებით და მეტაფორებით¹, გაიხსენეთ ძველი დრო «Известия»-სა და «Красная Нова»-ში! გააკეთეთ ეს, დავაბრუნოთ დრო უკან, მე კვლავაც უნინდელივით მსურს ჩავუჯდე თქვენი ლექსების თარგმნას. ნუ გაგანაწყენებთ ის ფაქტი, რომ ამგვარი თხოვნით მოგმართავთ, მაშინ, როცა ხელთ მაქვს თქვენი გამოუყენებელი ბნკარედები. ამას ყოველგვარი ლოგიკის გარეშე გთხოვთ: შესაძლოა იმ ბნკარედებიდან ვთარგმნო რომელიმე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ზედაპირულად გადავხედე, თან ჩემს თავს საკუთარ პოზიციას ვსაყვედურობდი, მათმა უმეტესობამ სიღრმითა და სირთულით დამაფრთხო. გააკეთეთ ეს, ტიციან. ან იქნებ არც გააკეთოთ. როგორც გენებოთ.

უთქვენოდ გამიძნელებთ, დიდი დრო დამჭირდება ამას მივეჩვიო.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო.

აკოცეთ ნინას და ნიტას. ვიცი, რომ ზოგჯერ იფიქრებთ ხოლმე ჩემზე: ნუ აიძულებთ თავს, მომწეროთ, ვიცი ეს ჩვენი ძმისთვის, მწერლისთვის რა ძნელია. გეხვევით. თქვენი ბ.

გთხოვთ, გადაეცით ჩემი სამძიმარი ვალერიან გაფრინდაშვილს². ნამდვილი ღორი ვარ, რომ არ მივწერე. მოუყევით, როგორ შეგვძრა ამ ამბავმა სწორედ სელვინსკისთან გატარებული საღამოს შემდეგ.

738. ტ. ტაბიძე

6 სექტემბერი 1935, მოსკოვი
6. IX.35

ჩემო ძვირფასო ტიციან!

დიდი დრო დამჭირდება მთელი ზაფხულის ამბების მოსაყოლად. ჯერ კიდევ არ გამოვმჯობინებულვარ, თუმცა გადავწ-

1. ამ თხოვნის პასუხად ტიციანი წერს: „...განზრახ ვთქვი უარი თქვენს თავზიან შემოთავაზებაზე, მესარგებლა აპრილში თქვენი შესვენებით და სათარგმნი ლექსები გამომიგზავნა. ძნელი არ იქნება იმის წარმოდგენა, როგორ შემძრავდა და გამამხნევებდა თქვენი ეს წინადადება“ (17 ივნისი, 1935; ტიციან ტაბიძე. სტატიები, წარკვევები, მიმოწერა. თბილისი, 1964.);

2. გაფრინდაშვილს რა უბედურება შეემთხვა, ამის გარკვევა ვერ მოხერხდა.

ყვიტე აღარ მივაქციო ყურადღება გულს, ღვიძლს, უძილობას, ნერვებს. მთავარია, რომ კვლავ შინ ვარ, ზინასთან ერთად და რამდენამდე კვლავაც ვცნობ საკუთარ თავს, მართალია მთლად ისეთი ვერ ვარ, როგორც ადრე ვიყავი, მაგრამ ასე თუ ისე ჩემს თავს დავემსგავსე. ოდესმე დაწვრილებით მოგიყვებით, თუ რა გადავიტანე ამ 4 თვეში, მანამდე კი შემოვიფარგლები იმით, რაც მხოლოდ თქვენ უნდა იცოდეთ, პირადად თქვენ.

ამ ტანჯვა-ვაებათა დროს არ შემინყვებია ჩემი ახლობლებისა და მოხუცების, პაოლოსა და ჰენრიხის სიყვარული, ზურგი არ შემიქცევია საუკეთესო მეგობრებისათვის. პარიზში მარინა ც. ვნახე. მაგრამ ამ მოგზაურობაში, ისევე, როგორც ერთი დასასვენებელი სახლიდან მეორეში გაუთავებელი და უმიზნო გადაბარგებების დროს, სადაც გამოსაკეთებლად მივემგზავრებოდი და სადაც ჭკუიდან მშლიდა მარტოობა, თილისმასავით დამქონდა მუდმივი ფიქრი ზ.ნ.-ზე, ერთი რაინერ მარია რილკეს წერილი და ერთიც თქვენი, გაზაფხულზე გამოგზავნილი¹ — გახსოვთ? ხშირად დამიღია იგი ღამით ბალიშის ქვეშ იმ ცრურწმენით, რომ იქნებ ძილი მოეტანა ჩემთვის. მთელი ზაფხული უძილობა მტანჯავდა.

შჩერბაკოვს, რომელთანაც ლონდონიდან ლენინგრადამდე ერთ კაიუტას ვიზიარებდი, ბევრს ვუამბობდი თქვენ შესახებ. ეს იყო განსაცდელებით სავსე ყველაზე ცუდი დრო, რალაც ავადმყოფობა სულისა, დასასრულის განცდა აშკარა სიკვდილის დადგომის გარეშე, უღიმღამო უაზრობა. და როცა ვინყებდი იმაზე ფიქრს, თუ რა იქნებოდა მომავალში, ჩემთვის წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორ გამოვთხოვდი ნინას თქვენს თავს და გავლევდი დარჩენილ დღეებს თქვენთან ერთად, ტიციან, სადმე, ყაზბეგთან ახლოს.

1. რილკეს პასუხი პასტერნაკის წერილზე (1926 წლის 3 მაისი) და პარიზში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე მიღებული ტიციანის წერილი (1935 წლის 17 ივნისი), რომელშიც საუბარია იმაზე, თუ როგორ უყვართ პასტერნაკი საქართველოში და როგორ ღელავენ მის ჯანმრთელობაზე. „თქვენთან შეხვედრები ჩემთვის განსანმენდელია - მხოლოდ მაშინ ვუბრუნდები პოეზიას, უნდა ვაღიარო, რომ დიდი ხანია ასეთი გრძნობა არ მქონია, ასეთი რამ სიჭაბუკეში ხდება ხოლმე, პირველი სიყვარულის ციებ-ციხელებისას“, - წერდა ტიციანი (იქვე. გვ. 245).

თუმცა ეს იყო ფიქრები, უხემ ვარაუდებზე დაფუძნებული.

ამ ყველაფერმა გაიარა. სევდას მგვრის და ზოგჯერ შიშსაც ამ წელს ჩემში მომხდარი მკვეთრი ცვლილება. მაგრამ აღარ ვაპირებ მკურნალობას, ან დასასვენებლად და გამოსაკეთებლადსადმე წასვლას. წამუშავება მინდა ვცადო (4 თვეზე მეტია, არაფერი გამოიკეთებია).

აღბათ ზედმეტია იმის თქმა, თუ რაოდენ მადლიერი ვარ, რომ გახსოვართ, რაოდენ მადლიერი ვარ თქვენი თბილი და მოსიყვარულე გულის გამო. იცით, როგორ ძლიერ მიყვარხართ, — მხოლოდ ზინა მიყვარს თქვენზე მეტად. გულითადი მოკითხვა ძვირფას ნინას და ნიტას.

თქვენი ბ

კიდევ ერთ წერილს მოგწერთ. ახალა ჩამოვედი ქალაქში. ნივთებს რომ ვალაგებდი, თქვენი ახალი წერილი ვიპოვე. და აი გიგზავნით ამ რამდენიმე სტრიქონს დეპეშის ნაცვლად. გულმხურვალე მოკითხვა პაოლოს. ეს მეგობრობაც შეუცვლელია, მასშიც დიდი ბედნიერებაა.

დანარჩენს ზინა მიაწერს.

752. ტ. და ნ. ტაბიძეებს

8 აპრილი 1936, მოსკოვი

8.IV.36

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ტიცციან და ნინა!

მთელი კვირა ჯიბით ვატარე თქვენთვის გამოსაგზავნი უნაზესი გრძნობებით აღსავსე ტელეგრამა. მრცხვენოდა ტელეგრაფზე გადაცემა, სადაც მორიგეთ სრულიად არ სცხელათ გულითადი საუბრებისა და მსგავსი ტელეგრამებისათვის. მინდოდა შემეცვალა უფრო საქმიანი და მშრალი ტელეგრამით. საბოლოოდ, კარგა ხნის შემდეგ, ამ განზრახვაზეც ხელი ავიღე.

რატომ აყოვნებთ ჩამოსვლას, ტიცციან? მინდოდა ტელეგრაფის საშუალებით მომენერა არა სიყვარულსა და ერთგულებაზე, რაც ისედაც იცით და დიდი ხანია, მოგბეზრდათ კიდევ, არამედ მინდოდა მეთქვა, გულს ნუ გაიტყებთ, გნამდეთ საკუთარი თავის და მედგრად იდექით, დროებითი გაუგებრობების მიუხედავად-მეთქი. როგორ გამახარა თქვენმა სატელეფონო ზარმა! ნინაც კი მოვიდა აპარატთან, —

მადლობელი ვარ! თუმცა გაგვიჭირდა დალაპარაკება. თქვენ ჩემი არ გესმოდათ, მე კიდევ — თქვენი.

ახლო წარსულის დავიდარაბაში ბევრი სიცრუე და გაუგებრობა იყო. ეს მაშინვე ვიგრძენი. არავინ აპირებდა მე შემხებოდა, სულელური ჩვევა მქონდა, გამოვსარჩლებოდი სხვებს: პილნიაკს, ლეონოვს. და თავს უფლება მივეცი, ისე, შინაურულად, მეთქვა, რომ საგაზეთო სტატიები არ მომწონს და მათ ვერ ვიგებ¹ -მეთქი. და რა მოხდა! იმის ნაცვლად, გაზეთში დაებეჭდათ, რომ მე ჩავიდინე პოლიტიკური შეუწყნარებლობა (რაც ჩემთვის გაცილებით მძიმე იქნებოდა), დანაშაული შემიმსუბუქეს და სასჯელის სახით სულ რაღაც ხუთი დღით ჩამრიცხეს ფორმალისტებში. ეს წარუმატებელი აღმოჩნდა.

ოჰ, რა სისულელეა! ეს ყოველივე ჰგავდა უსიამოვნო სიზმარს, რომელიც ჰავშვთა რამდენიმე თანამედროვე მოღვაწეს დაესიზმრა და ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, ვერაფრით მოვახერხე მათი საწოდების სიბრტყეში გადაადგილება.

თუკი არის რაღაც წილი სიმართლისა ამ ყველაფერში, რაც იბეჭდება ან რასაც ლაპარაკობენ, მხოლოდ ის, რომ ემთხვევა დროის უმსხვილეს გეგმას, მის ისტორიულ უსასრულობას. როგორ შეიძლება უსასრულობა იყოს წილი და ისაც ისეთი უმნიშვნელო მთელისა, როგორიცაა ეს კრიტიკის მანი-ფაფა, ასე ინტერესით რომ ხვრეპდნენ მთელი თვე? აი, პასუხიც: აღნიშნულ სიმართლეს ძალზე სუსტი ნაზავის სახით აწოდებდნენ. შემზარავ, მქუხარე ჭეშმარიტებას ნერწყვთან და რძესთან აზავებდნენ.

არ ენდოთ ამ ნაზავს, ტიცციან!² ენდეთ

პირველად: «Вопросы литературы», 1966, №1. — ავტორგრაფი (ГМГЛ, №201915, 17).

1. იგულისხმება დისკუსია „ფორმალისმზე“. მასში პასტერნაკმაც მიიღო მონაწილეობა და საგაზეთო კამპანია გააკრიტიკა. „თუკი სტატიებში ღრიალი აუცილებელია, მაშინ არ შეიძლება სხვადასხვა ხმაში იღრიალოთ? გასაგები მაინც იქნება, იმიტომ რომ როდესაც ერთ ხმაზე ღრიალებენ - ვერაფერს ვიგებთ. და საერთოდ რომ არ ეღრიალათ, ეს ხომ მთლად მშვენიერი იქნებოდა. ამ სტატიების დამწერთ შეუძლიათ, იფიქრონ კიდევ, მაშინ კი გავიგებდით რამეს“ («На дискуссии о формализме». ამავე კრებულიის ტომი V.)

2. კრიტიკული კამპანიის გამომხაურებებში ტიცციან ტაბიძე მკაცრი პოლიტიკური ბრალდებების ობიექტად იქცა.

ამ ხაზს, რევოლუციური პატრიოტიზმისას. საერთოდაც, ენდეთ საკუთარ თავს, ტიცინან ტაბიძეს, იმიტომ, რომ, რაც უნდა იყოს, თქვენი აგებულების ქიმია დედამიწის ზურგზე ყველაფერს განაზავებს გაცილებით მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე ეს მიღებულია ლიტერატურაში“ და „ვეჩერკებში“. და გასურთ თუ არა ეს, რევოლუცია ჩვენ იმაზე მკვეთრად და ძლიერად გავაზავეთ, ვიდრე მისი დისკუსიის ონკანიდან ჩამოსხმისასაა. ნუ მიმართავთ საზოგადოებრივ ქველმოქმედებას დახმარებისთვის, ჩემო მეგობარო. გქონდეთ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი! ჯიუტად, უშიშრად და დაუნდობლად ჩაეძიეთ საკუთარ თავს, მხოლოდ საკუთარ თავს. და თუკი იქ ვერ აღმოაჩინებ ხალხს, ცასა და მიწას, მაშინ დაანებეთ ძიებას თავი, ე.ი. საძებარიც არაფერი ყოფილა. ეს ნათელია, რომც არ ვიცოდეთ სხვაგვარად მძებნელთა არსებობა. განა ცოტანი არიან ასეთები? მათი შრომის ნაყოფს კი ვხედავთ.

შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. მხოლოდ მე არ ვარ ისეთი, ვისაც არ სჯერა და ვინც იცის თქვენი ფასი. არ ენდოთ ნაზავებს. გჯეროდეთ რევოლუციის მთლიანობაში, გჯეროდეთ ბედისწერის, თქვენი გულის ახალი მისწრაფებების, ცხოვრების სანახაობის, და არა მწერალთა კავშირის კონსტრუქციისა, დაცემინებასაც ვერ მოასწრებთ, მას ისე უცბად გადააკეთებენ.

მთელი თვე შესანიშნავად ვგრძნობდი თავს. მხოლოდ სამი დღე ვიყავი უქეიფოდ გრიპის გამო. პაოლომ ძალიან გამახარა. მაგრამ ნამდვილი ბავშვია, და ძალზე რთულია მასთან ურთიერთობა. იტყვის ნამდვილ ერესს და როგორც კი შეკამათებას დააპირებ, უცბად მედგა¹ გახდება ხოლმე (საოცარი მსგავსებაა!). აგიჩუყდება გული და უთმობ.

მაღე ჩამოდით. იშვიათად თუ ვყოფილვარ ისე მშვიდად, როგორც ახლა, და სრულიად არაფერი შეცვლილა. მხოლოდ ლეონიძისადმი მიძღვნა მოვხსენი იმ სულელურ ლექსებში, რომლებიც მინსკამდე დავწერე და დღე დღეზე დაიბეჭდებოდა «ЗНАМЯ»-ში, იმის შიშით, რომ რაიმე უსი-

ამოვნება არ შემთხვეოდა მათი შინაარსის გამო¹.

თუმცა რაღაც პერიოდი დასრულდა, როგორც ზოგადად ლიტერატურულ, ისე პირადად ჩემს ცხოვრებაში. იგი ჩემთვის უფრო ადრე დამთავრდა: ვერ ვუმკლავდებოდი პროზას, სულიერად დავსწეულდი, ვთარგმნიდი. ვიცი კი, რა მჭირდება მომავალში? დიახ, ვიცი. ოღონდაც არავის ვეტყვი, იქნებ, თქვენ გითხრათ მხოლოდ, ისიც საიდუმლოდ. თუმცა სრულიად სხვაგვარად, არა ისე, როგორც ეს «ЗНАМЯ»-ში იყო. იქ მხოლოდ ფუჭი გრიალი, უსაფუძვლობა და გაოცებაა.

მაგრამ, თუ ცოცხალი და ჯანმრთელი ვიქნები, შემოდგომიდან შევუდგები მუშაობას.

ყველას მოკითხვა. ნიტას და ნინას მაგრად აკოცეთ! მთელი სულით და გულით გეხვევით. მაპატიეთ წერილის ეს სულელური ტონი. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ საშინლად მტკივა კბილი, გულს კი რაღაც უხარია და სისულელეებს ეტანება. ჩამოდით ჩვენთან! თქვენი ბ.

759. ტ. და ნ. ტაბიძებს

1-9 ოქტომბერი 1936, პერედელკინო
1.X. 36

ძვირფასო ტიცინან და ნინა, თქვენ კვლავაც გვანებივრებთ. გწერთ პერედელკინოდან (ჩვენ, ალბათ, აქ გამოვიზამთრებთ), — გწერთ ისე, რომ სოფია² ჯერ არც კი მყავს ნანახი.

კვლავაც როგორი ფუფუნება გვარგუნეთ წილად! მთელი ხეხილის ბალი ღვინით, ბავშვებისთვის ცალკე და მონიფულებისათვის ცალკე. როგორ გადაგიხადოთ მადლობა ამ ყველაფრისთვის!

როგორც ვხვდები, კალათის ჩალაგება და ძვირფასი და შეუდარებლისოფიასათვის სადგურზე მისი მიტანა ვერც კი მოასწარით, რომ, ალბათ, ვიტია გოლცევი დაგადგათ თავზე შემდეგი სიტყვებით: აი,

1. საუბარია ლექსებზე, რომლებიც მოგვიანებით გაერთიანდა ციკლში «Художник» («Знамя», 1936, □ 4). ლექსის "Скромный дом, но рюм карому..." სახელწოდება ხელნაწერებში იყო «Устами друга» და ერთვოდა გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნა, რომელიც დაბეჭდილ ვარიანტს მოეხსნა.

პირველად: „ლიტერატურული საქართველო“, 1966, □1. – ავტოგრაფი (ГМГЛ, □ 20900).

2 ს.ა. ტოლსტაია-ესენინამ თბილისიდან ჩაუტანა პასტერნაკს ტიცინანის გაგზავნილი ხილი და ღვინო.

1. პაოლო იაშვილის ქალიშვილი.

დატკბით, როგორ უნიჭო ტიტინამდე დაეშვა თქვენი ბორიამო!

არა, სერიოზულად. გინახავთ კი მსგავსი რამ? ზინამ და ევგ.-მა მხოლოდ თავი გააქნიეს და არც კი დაიჯერეს, რომ მე ამას დასაბეჭდად ჩავაბარებდი.

ნინა, ნინა! ტიცვიან, ჩემო ოქროვ, რა მემართება, ჩემო საყვარლებო? საიდან ეს წყლის ნაყვა, დარდი, უსულგულობა და სისულელეები, ნუთუ მხოლოდ მე ვარ ამ ყველაფერში დამნაშავე? თავის გასასამართლებლად ვიტყვი, რომ სულ უარს ვამბობდი, ვიცოდი, სანამ არ დავძლევ პროზას, რომელიც იქნება ჩემი განმათავისუფლებელი, განმავითარებელი, იქამდე ჩემს გეგმაში არ იქნება არავითარი ლექსები, დიდხანს, ძალიან დიდხანს არ იქნება მეთქი. მე ახლა ლექსებში კი არა, არამედ სადღაც, მათგან ძალიან შორს ვარ. მაგრამ რას იზამ! ავუხსენი ეს ვიქტორს, სულელი კაცი არ არის, თან მეგობარია, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი!

ნუ დაიწყებთ ჩემს დამშვიდებას, ჯობს, მე დაგამშვიდოთ. ტიცვიან და ნინა, არ იფიქროთ, რომ ეს ჩემი აღსასრულია, ამიერიდან ჩემი საქმე სულ ასე წავა. აი ნახავთ, დავნერ პროზას, რომელსაც, უკვე ორი დღეა, ისევ მივუბრუნდი. ერთი ვიცი, იგი ცოცხალი იქნება. სწორედ აქ მოიძებნება ის ცხოველმყოფელი კვალი, რომელიც თითქოს აღარ შემომრჩა «Второе рождение»-ს მერე.

როგორ შეიძლება და საქართველოს შესახებ ასეთი სამტერფოვანი ლექსის, ასეთი ჩიტის ფუჭი წიავენიავის გამოთქმა? როგორი საძაგლობა იყო ასეთი მცირედის თქმა პაოლოზე!² ძველებურად თუ მეგობრობთ მასთან? ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მინდა, ეს ასე იყოს! ამ გართმული სირცხვილის გამოგზავნის შემდეგ ყოველ საღამოს პაოლოზე ვფიქრობდი. გავიხსენე, რაოდენ მასშტაბურია იგი, გავიხსენე ჩემდამი გამოჩენილი მისი კეთილშობილება იმ წუთებში, როდესაც ეს ჩემი სული-სათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი

იყო. როგორი უზადო გამჭრიახობაა დიდი ადამიანისა, რომელსაც დიდი გული და ფართო თვალსაწიერი აქვს! მაპატიებს კი პაოლო მასზე დაწერილ ამ სტრიქონთა სიმარტივეს (მათში ცუდი არაფერია, მაგრამ განა ასე უნდა ვსაუბრობდე პაოლოზე?), მაპატიებს კი ჩემს წლევანდელ აბდაუბდას? ახ, როგორი უმნიშვნელო პოზიციებიდან ვმსჯელობდი მასზე! მე „პოზიციებს“ არ ვნანობ: ისინი უბრალოდ საყოველთაოდ მიღებულია, მეტი არაფერი. მაგრამ როგორ გავბედე პაოლოს ასეთი არაფრისმთქმელი წვრილმანებით გაზომვა. მე არ შევცვლილვარ, ვიცი: რევოლუცია არის არა „Литературка“-ში, ან ლიტორგანიზაციებში, ანდა სიფრთხილეში, არამედ — მის უკიდურეს მოხაზულობებსა და ცენტრალურ პიროვნებებში. იგი მხოლოდ დიადშია. ამიტომაცაა რთული: რევოლუცია იქცევა ცხოვრებად მაშინ, როდესაც დაისადგურებს ყველაზე მცირედში. და, რა თქმა უნდა, ეს ასეც იქნება.

არ შევცვლილვარ-მეთქი, ვამბობ, მაგრამ უცბად მახსენდება ნამდვილი პაოლო და ვერ გამიგია, რა დამემართა ზამთარში, ვინ მომცა უფლება, მასში მეძებნა ცვლილებები და სრულიად უსაფუძვლოდ მიმეწერა პაოლოსთვის მათ შესახებ. ამ წყეულმა დისკუსიამ დამაბრმავა მაშინ. ამ კულტურულ-საგანმანათლებლო ბანგმა უცბად დამავინყა, რომ მე იგი მიყვარს.

და თქვენ, ტიცვიან? წარმომიდგენია, რას განიცდიდით, როდესაც წაიკითხავდით ჩანჩქერისა და ა.შ. შესახებ!¹ და ეს მაშინ, როცა თქვენი წიგნის გამოჩენა აახლებს ჰაერს ლიტერატურაში, შეახსენებს პოეზიას, რომ ოდესღაც დაიარებოდნენ ასეთი ადამიანები, პოეტები, და აი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ერთი მათგანი გადარჩა, ერთი მთელს კავშირში. გულწრფელად ვამბობ, ამგვარ სიხარულს სწორედ ამგვარი სულისკვეთებით უზიარებენ ხოლმე.

აბა, რა გითხრათ, რაც უნდა საშინელება იყოს ეს, ყველაფერში დამნაშავე ვიტიაა, — გამეორება არ ღირს.

4 ლექსი: «Еловый бурелом...» (იქვე).

1 პუბლიკაცია ციკლისა «Из летних записок» მიძღვნილ «Друзьям в Тбилиси» («Новый мир», 1936 □ □ 10).

2 საუბარია ლექსზე: „За прошлого порог/ Не вносят произвола. / Давайте с первых строк/ Обнимемся, Паоло!“ («Из летних записок»).

9.X.36.

წერილი დევს და დევს თავისთვის და ვერ გამიგია, რატომ არ ვაგზავნი. ქალაქში ვიყავი, ვურეკე სოფიას, მაგრამ სახლში ვერ დავიჭირე და ვთხოვე გადაეცათ მისთვის ჩვენი მადლობა. ნუ მიაქცევთ ყურადღებას ამ წერილში გადმოცემულ აბლაუბდას. ამ დრომდე მრავალი მღელვარება გადამხდა, და ერთი მეორეს აწონასწორებს. მაგრად გკოცნით ორივეს და ნიტას. თქვენი ბ.

768. თ. იაშვილს

1937-ის 28 აგვისტო, პერედელკინო

ჩემო საყვარელო, საბრალო, ძვირფასო თამარ, ეს რა ხდება! დაახლოებით ერთი თვე ისე ვცხოვრობდი, თითქოს არაფერი მომხდარა და არც არაფერი ვიცოდი. ათი დღეა რაც გავიგე და სულ გწერთ, ვწერ და ვხევ. ჩემს არსებობას ფასი დაეკარგა, თავად მჭირდება ნუგეში და არ ვიცი, თქვენ რა გითხრათ ისეთი, რომ წყლის ნაყვად და მალაღფარდოვან ფარისეველობად არ მოგეჩვენოთ.

პირველად რომ მითხრეს, არ დავიჯერე¹. 17-ში ქალაქში დამიდასტურეს. ელფერები და ნახევარტონები გაქრა. ეს ამბავი ყელში მწვდა, მომიხელთა და აქამდე მის განკარგულებაში ვარ. ამ საშინელმა ფაქტმა მხოლოდ მოუნელებელი და მომაკვდინებელი რამ როდი განმაცდევინა.

რაც უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ ველარასდროს ვნახავ მის საოცარ სახეს მაღალი, ზემთაგონებული შუბლით და მოცინარი თვალებით, ვერ გავიგებ მის ჟღერად, აზრთა მოზღვავებისაგან დამშვენებულ ხმას, სულ უფრო მეტად ვტირი, ვანყდები დარდებს და ადგილს ვერ ვპოულობ. ათასი წვრილმანით შესწავლილს მეხსიერება წარმომიდგენს ხოლმე მას ყველა ვითარებაში, რაც კი ერთად გან-

პირველად: «ლიტერატურული საქართველო», 1964, №6. - ავტოგრაფი (კრ. მ. იაშვილი).

1 პაოლო იაშვილზე ზენოლა იყო პრესაში, საქმე აღიძრა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, დაპატიმრების წინ, 1937 წლის 22 ივლისს მან თავი მოიკლა. «მგონია, პაოლო იაშვილი უკვე ველარაფერს ხვდებოდა, ისე იყო ოცდაჩვიდმეტი წლის ჯადოქრობით შეპყრობილი. უყურებდა ღამით მძინარე ქალიშვილს და ფიქრობდა, რომ აღარ იყო მისი ცქერის ღირსი. დილით ნაავიდა მეგობართან და ორლულიანი საფანტით გაიხვრიტა თავის ქალა» («Люди и положения», 1956).

გვიცდია: სხვადასხვა ქალაქის ქუჩებში, მთებში და ზღვაზე, თქვენსა თუ ჩემს სახლში, ჩვენი გვიანი სეირნობებისას, ყრილობათა პრეზიდუმებსა და ტრიბუნებზე. მოგონებები ჭრილობებს მაყენებს, ტკივილს სიგიჟემდე მივყავარ, საყვედურით მიმხედრდება: რა დანაშაულისთვის დავისაჯე ამ სამუდამო განშორებით?

მაგრამ ისე მოხდა პირველივე დღეს, 17-ში, რომ ამ განშორების შეუქცევადობამ განმწმინდა და მიმიყვანა უდავო ელემენტარულობამდე, როგორც ბავშვობაში, როდესაც გამოთავყვანებამდე იტირებ და დაღლილობისგან უცებ ჭამა ან ძილი მოგიხდება. ამ დარტყმის ძალამ შორს მომიხსროლა იმ ყველაფრისაგან, რაც ქალაქში ხდებოდა, გაუმართლებლად — ხმამაღლისგან, გაუმართლებლად — გართულებულისაგან, გამაღიზიანებელი — გულგრილობისგან, მჭევრმეტყველურად — ფუჭისგან. „რა სისულელეა“, — ისევ და ისევ ვუმეორებდი საკუთარ თავს. პაოლო? ის პაოლო, რომელსაც ისე ახლოს ვიცნობი, რომ ვერც კი ვიგებდი, როგორ მიყვარდა, პაოლო, ჩემი ტკობის სახელი და ყოველივე ის, რაც კი რამ სერიოზული შეიძლება შეიცნოს ჩვეულებრივმა ადამიანმა მ-მ, ან ჩვეულებრივმა ადამიანმა მ-მ, ნუთის შემდეგ დავიწყებულმა. თუმცა ეს მომავლისთვის-მეთქი, გავიფიქრე. სიკვდილით ყველა მოვკვდებით, გარკვეულ ვითარებაში. და აი, იტყვიან: შთამომავლობისგან შემონახული სიცოცხლე დასრულდა 37 წელში, და მოცემული დროის უტყუარობის დასტურად ახსენებენ თემებს, რომლებითაც ცხოვრობდა იმდროინდელი საზოგადოება, გაზეთების სახელწოდებებს, ნაცნობების სახელებს. როგორც, მაგალითად სხვა საუკუნის შემთხვევაში ილაპარაკებდნენ პარიკებსა და ბრიჯებზე, ან კიდევ, თუ უფრო შორს წავალთ, შევარდნით ნადირობაზე.

ამ ფიქრებში ვიყავი ქალაქიდან მიმავალი, პერედელკინოს სადგურზე რომ შევედი. ვიცოდი, როდესაც ჩვენს ტერასაზე ზინასთვის ამ ამბის სათქმელად პირს გავალბედი, ხმა გამიწყებოდა და ყოველივე თავიდან განმეორდებოდა. მანამდე, სახლში მომავალი, ყოველგვარი რეციდივების გარეშე, მთლიანად მივინდე მწუხარების განმწმენდ ძალას, და რა შორს წამიყვანა!

ბანაობა მომინდა. სალამოვდებოდა. როდესაც, მდინარის ნაპირას, ჩაბნელებულ ხრამში ჩავწექი, ცოტა ხნით დამავიწყდა მგზავრობის მღელვარებანი და უცბად ირგვლივ დავიწყე გარდაცვლილთან უბადლო მსგავსებათა დაჭერა. ეს იყო ენით აუნერლი სიამოვნება და საშინლად მაგონებდა მას. ვხედავდი მისი სულისა და სტილის ნაწილებსა და ნაკვესებს: მის ბალახს და წყალს, მის შემოდგომის ჩამავალ მზეს, მის სიჩუმეს, სინოტივესა და იდუმალებას. ისიც სწორედ ისევე იტყოდა, როგორც ისინი იწვოდნენ და იმარხებოდნენ, თვალს უკრავდნენ ერთმანეთს და ქრებოდნენ. დაისი ზუსტად ასახიერებდა მას ან აღადგენდა მეხსიერებაში. თითქოს ახლებურად დავფიქრდი მასზე. ყოველთვის აღმაფრთოვანებდა მისი ნიჭი, დაუჯახნავი ალლო მშვენიერებისა, რომელიც ასე იშვიათია არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურაში, არა მხოლოდ ჩვენს თანამედროვეობაში, არამედ ნებისმიერ დროში. ყოველთვის მაოცებდა იგი, არსებობს წერილები, რომლებშიც ნათლად ჩანს, რაოდენ მაღლა ვაყენებდი მას. თუმცა ახლა პირველად დავფიქრდი პაოლოზე მისდამი ჩემი გრძნობის დამოუკიდებლად. რაღაც ძალიან დიდისგან მოშორებულად, დანაკარგის საბედისწერო დისტანციაზე იწყო გამოკვეთა მისმა მოხაზულობებმა: იმან, რასაც იგი წარმოადგენდა ჩვენ გარეშე, ჩემ გარეშე, ტიცციანის, გოგლას¹ გარეშე; ეს იყო არა მხოლოდ ის პაოლო, რომელიც ჩვენი აღფრთოვანების საგანი იყო ან კიდევ ის, ვინც მხოლოდ გამარჯვებული გვინდოდა გვეხილა. არამედ პირიქით, ჩვენი სიყვარულის საწინააღმდეგოდ: ის, ვინც თავად იყო, წყლითა და ტყით, ღმერთით და მომავლით.

არის კი საჭირო ამის გავრცობა? რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი იმაზე, ვინც რამდენიმე წლის შემდეგ ქართველი მაიაკოვსკი იქნება, ვინც მაგალითად იქცევა და ვისზეც ისწავლის მომავალი ლიტერატურა, თუ მას განვითარება უნერია. თუმცა სიკვდილის შემდეგ რა იქნება, ეს არასდროს მაღელვებდა. მე სხვა რამ უფრო მაოცებს, რაც ადვილი სათქმელი როდია. მაოცებს ის, თუ რაოდენ დიდი დოზით

1 გიორგი ლეონიძე

დარჩა პაოლო ყველაფერში, რასაც კი შეეხო ან გამოთქვა: დღის საათებში, ყვავილებსა და ცხოველებში, ტყის სიმწვანეში, შემოდგომის ცაზე. ჩვენ კი ვცხოვრობდით და არ ვიცოდით, რა სიმძლავრით იყო იგი ჩვენ შორის და რამხელა ავტორიტეტით დარჩა.

ძვირფასო თამარ, მომიტევეთ. არ შეიძლება ასე წერა, არ შეიძლება თქვენთვის. პოეზია, და ისიც ცუდი, აქ უადგილოა. თუმცა წერილს მაინც გამოგიგზავნით, თორემ როდისღა გეტყვით იმ ერთადერთ საჭიროს, რისი თქმაც მსურს თქვენთვის და საყვარელი, წარმოუდგენლად ძვირფასი მედეასათვის¹. ეს არ არის რთული, და ეს უჩემოდაც იცით. მართალია არ განიცდით მეგობრების ნაკლებობას, მაგრამ მეც მიმათვალეთ მათ რიგებს. როგორი გართულებულიც არ უნდა იყოს ჩემი ყოფა ბოლო ხანებში, თქვენ გამო შეუძლებელს შევძლებ. როგორ მინდა თქვენი მონახულება! ტიცციანსა და ნინას ვთხოვ, ჩემ მაგივრად ჩაგეხუტონ, თქვენ გვერდით, თქვენთან ერთად იტირონ. კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას სულელური, უნიჭო წერილისთვის. მაგრამ მე ახლაც სრულიად არაფერი ვიცი. იქნებ მომწეროთ როგორმე, როცა ამის შეძლება გექნებათ. თქვენი ბ.პ.

774. ს. ჩიქოვანს

20 აპრილი, 1938, პერედელკინო
20.IV. 38

ძვირფასო სიმონ!

ვთარგმნიდი რაიმეს თქვენი შემოქმედებიდან, თუმცა ახლა აღარ ვარ ისეთი მოცლილი, როგორიც ადრე. სამუშაო ცუდად ნაზღაურდება, ხან ერთ საქმეს ვანყდები, ხან — მეორეს.

როდესაც გადავდე თქვენი ორი ნაწარმოები მეთევზეზე², ვიქტორს³ გადმოლება არ მოეწონა და თავადაც არ ვიყავი დიდად კმაყოფილი. მეუხერხულებოდა მათი თარგმნა და იმისათვის, რომ დამეკინებინა

1 პაოლო იაშვილის ქალიშვილი პირველად: *Материалы ГМГЛ. С. 288.* - ავტოგრაფი (ГМГЛ, №027149, p.).

2 ს. ჩიქოვანის ორი ლექსი: «Тифлисский рыбак» და «Посещение рыбака» დაიბეჭდა «Новый Мир»-ში, 1938, №4, და შევიდა ჩიქოვანის კრებულში «ლექსები» (М., Гослитиздат, 1939).

3 გოლცევი.

საკუთარი ნაშრომის მნიშვნელობა, ნაშრომისა, რომელიც ჩვეულებრივზე უფრო შორს იდგა დედანისგან, ხელნაწერს ქვემ მივანერე: პნკარედის მიხედვით გართობა ბ.პ.-მა. გარდა ამისა, არ მინდოდა, რაიმე უკმაყოფილება, რასაც ხშირად ინვესს ხოლმე ჩემი გამონათქვამები, თქვენი მისამართით ყოფილიყო გამოთქმული. ეს კი, თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ შორს დგას თარგმანი დედანისაგან, დიდი უსამართლობა იქნებოდა. გოსლიტიზდატის გარდა, ნანარმოებები «Новый Мир»-შიც მიიღეს.

მოულოდნელად კი ვიგებ, რომ ჩემი მინანური თვითნებურად შუცვლიათ. სიახლით შეშინებულებს უბრალოდ რომ დაენერათ, თარგმნა ამან და ამანო, კიდეც ჰო. მაგრამ არა. ადგენენ და მოიფიქრეს იმ ჩემი ახსნა-განმარტების სრულიად სანინააღმდეგო რამ, რომლითაც ერთგვარად ბოდიშს ვიხდით თქვენ წინაშე. ასე გადააკეთეს ჩემი მინანური: „თარგმნა და დაამუშავა!“ როდესაც ეს გავიგე, ავტებე ერთი ალიაქოთი, რაშიც, თუ მოინდომებთ, თავადვე დარწმუნდებით, მაგრამ უკვე დაბეჭდილი იყო და ახლა ამას აღარაფერი ეშველება.

მაპატიეთ, სიმონ, სიკეთე მსურდა და ამ დროს ზედმეტი გულმოდგინებით გაუგებრობა გამოვიწვიე, რის თანმდევ შედეგზე პასუხისმგებელიც ველარ ვარ. იმისათვის, რომ რედაქციის დანაშაული გამოვისყიდო, ვთარგმნი თქვენს ორ-სამ ნანარმოებს კოლხეთის ციკლიდან (ამ დღეებში მომანვდიან პნკარედებს). იმათ ჩვეულებრივ მივანერე: თარგმნა და ა.შ., რითაც უწინდელ წესრიგს აღვადგენ.

გიძღვნიტ სალამს. გულითადი მოკითხვა თქვენს მეუღლეს, — ფამილიარობა იქნებოდა ჩემი მხრიდან, მარკა რომ დამეძახა მისთვის.

თქვენი ერთგული ბ.პ.

777. ნ. ტაბიძე

ნოემბრის დასაწყისი, 1938, მოსკოვი

* წარმოდგენა თუ გაქვტ, ნინა, რარიგ მენატრებიტ? განშორება თქვენთან, ნიტასთან, თქვენს ატმოსფეროსთან, ჩვენი შეხვედრებისას გაბმულ საუბრებთან,

* წერილის დასაწყისი დაკარგულია

შეედრება მხოლოდ 15 წლის უნახავი დის, მშობლების მონატრებით გამონვეულ სევდას.

ყოველთვის ვიცოდი, ტიცინი¹ რომ მიყვარდა, მაგრამ არ ვიცოდი, ანგარიშმიუცემლად, ჩემდაუნებურად, რა ადგილი ეკავა მას ჩემს ცხოვრებაში. გრძობად მივიჩნევი და არ ვიცოდი, რომ ეს ზღაპრული ფაქტი იყო.

რამდენჯერ მოგვილხენია ერთად, რამდენჯერ დაგვიდვია ერთგულების ფიცი (ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, საცოდავი პაოლოს თანდასწრებით ხდებოდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ იგი ოდესმე დამავინყდება!), ოჩოფხებზე ვდგებოდით, ვამეტებდით! ყოველთვის არსებობდა საფუძველიანი შიში, რომ ზღაპრული ამბავი სიმართლე არ აღმოჩნდებოდა. და უცბად ყველაფერი ისეთი მგზნებარე, სისხლხორციული აღმოჩნდა!

რა უღიმამო სახელი ვუნოდეთ ამ ყოველივეს. როგორი არაჩვეულებრივი იყო ამ ურყევი, გიჟური კავშირის ქმედითი ძალა.

ხშირად გხედავტ სიზმარში, ხან თქვენ, ხან ჩვენ ყველას ერთად, ხან ერთად მოვლილ ადგილებს და იქვე ჩემს ახლობლებს, და ეს რთულ ხლართს ქმნის. გასულ ზამთარს, მხოლოდ საშინელებასა და ტანჯვასთან რომ იყო დაკავშირებული, მეღვიძებოდა ხოლმე ტირილში და ვხვდებოდი, რომ ჩემი ტკივილიტ კი არ მტკიოდა, არამედ თქვენი ტკივილის ნაწილად ვიქეცი, თქვენსავე ნაწილად და იმიტომაც იყო ეს ასეთი ძლიერი. მიჭირს ამის ახსნა².

თუმცა ახლა, ღმერთის წყალობით, ამან გაიარა. არაფერს გეკითხებით. მართალია, თქვენთან შედარებით გაცილებით ცოტა ვიცი, მაგრამ საკმარისი საიმისოდ, რომ იმედით ვიცოცხლო. ვიცი, რომ გარკვეული უმაღლესი თვალსაზრისით ჩვენი ახალი, მწუხარებაგადატანილი, დროებით

პირველად: „ლიტერატურული საქართველო“, 1966, №1. - ავტოგრაფი (ГМГЛ, №021915, 10).

1 ტიცინ ტაბიძე დააკავეს 1937 წლის 10 სექტემბერს და მალევე დახვრიტეს, რის შესახებაც მხოლოდ 1955 წელს გახდა ცნობილი.

2 გასულ ზამთარს პასტერნაკმა გააგზავნა დეპეშა: „გული ამომგლიჯეს, ველარ ვიცოცხლებდი, მაგრამ ახლა მე ორი ოჯახი მყავს ზინა და ლონია, თქვენ და ნიტა (Воспоминания. С. 298).

გადავადებული კვლავ შეერთება წინა-სწარაა გადანყვეტილი დეტალურად და ჩვენი ამოცანაა, არაფერი დაგვემართოს, ვიცოცხლოთ ამ შეხვედრამდე. შემოდლია ამაზე უსასრულოდ გწეროთ, მაგრამ არ აქვს აზრი.

ცოტა გამირთულდა საქმე. ამაში დამ-ნაშავე თავად ვარ მხოლოდ. საერთო აღტ-აცება ძნელად მენწევოდა ხოლმე. ბოლო ორი წელია ეს ჩემს ძალებს აღემატება, რაც გასაგებიცაა.

ზუსტად ახალი წლის წინა დღეს, 38 რომ დგებოდა, ვაჟი შემეძინა. ზინამ იგი ზუს-ტად ლამის 12 საათზე, სადილის ჭურჭლ-ის წკრიალის ხმაში გააჩინა. მინდოდა პავ-ლე დამერქმია (თავიდან და გულიდან არ ამომდის ეს სიცოცხლე, რა საჭიროა ამაში თქვენი დარწმუნება), თუმცა ზინა ატირ-და კიდევ, ისე შეაშინა იგი სიმწრისა და მწუხარების, იდუმალი აღსასრულის სახ-ესთან ამ სიახლოვემ. ამიტომ დავიხიე უკან უახლოეს სიახლოვემდე და მამაჩემის საპატივცემულოდ ლეონიდი დავარქვი.

დანარჩენს ვინაა¹ მოგიყვებათ. პატივი და დიდება მის გულს, თავს რომ იღო თქვე-ნი ნახვა, შეგიძლიათ გადასცეთ.

მუდმივად თან მდევს შემდეგი ოცნება: ხელს ვანერ დიდ ხელშეკრულებას, ვიღებ ავანსს, მოვფრინავ ერთი დღით თქვენთან, მთელი დღე ვუსმენ თქვენს მოყოლილ ამ-ბებს, მეც გიყვებით რამეს და იმავე გზით ვბრუნდები უკან. თუმცა ჩემთან დიდ ხე-ლშეკრულებებს არ აფორმებენ. და მაინც, თქვენი მხრიდან მაინც თუ არის ეს შესა-ძლებელი? არ ვიცი, თქვენი პირობების მიხედვით, რა არის თქვენთვის სასარგებ-ლო და რა საზიანო, რა შეიძლება და რა — არა.

და მაინც, ბედს რომ გადმოესროლეთ-ნიტასთან ერთად აქ, ჩვენთან, ლავრუშინ-ის შესახვევში, სახლი □ 17/19, ბ. 72!! და რა ბედნიერება იქნებოდა, რომ მოგენერთა იქმთვის.

გიკოცნით ხელებს. თქვენი ბორია თუ თამარს² ნახავთ, უამბეთ ეს ყოვე-ლივე.

788. ნ. ტაბიძეს

ოქტომბერი, 1939, პერედელკინო ჩემო ძვირფასო წინა!

ვერა და ვერ გადაგიხადეთ აქამდე მად-ლობა თქვენი მაშინდელი წერილისთვის. თქვენ საოცარი მეგობარი ხართ, როგორ იცით და გესმით ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი უზარმაზარი მწუხარე-ბა უფლებას გაძლევთ დაივიწყოთ ყოვე-ლივე და სასტიკი გახდეთ ყველაფრის მი-მართ. არ გაგიკვირდეთ, სალამიც კი რომ არ შემოგიტვალეთ თქვენ და ნიტას ჰენ-რიხის საშუალებით: ვიფიქრე, რომ იგი ასეთი დავალებისათვის ზედმეტად ხალი-სიანი, ფუქსავატი და მერყევი ადამიანია¹.

ნუ დარდობთ, წინა, სულით ნუ დაეცე-მით და თავი ხელში აიყვანეთ. მჯერა, იგი გამოვა, თანაც ძალიან მალე.

აღბათ გიკვირთ, ჯერ თითოც რომ არ გამინძრევია მისი ხვედრის შესაცვლელად. მაგრამ აქამდე ამას აზრი არ ჰქონდა. როდესაც აქ თქვენი დაჯილდოებულები ჩამოვიდნენ და ამასთან დაკავშირებით რჩევა ვკითხე, მითხრეს, რომ მხოლოდ საქმეს გავუფუჭებდი, თუკი ვინმეს თხ-ოვნით მივმართავდი. აღბათ, ისინი მარ-თლები არიან. გუშინ განგებ წავედი ფადეევთან. ვუთხარი, რომ მინდა ტიცინ-ისათვის რამე გავაკეთო, უკვე დროა და რას მირჩევ, როგორ დავიწყო ეს საქმე-მეთქი. ნუ განანყენდებით, ჩემო ძვირფასო მეგობარო, პასუხად ის რიგითი სისულე-ლე გაიმეორა, რასაც ჩვეულებრივ ამ-ბობენ ხოლმე ასეთი დროს და კიდევ ათა-სი მსგავსი სისულელე. უსიტყვოდ მო-ვუსმინე და წამოვედი. მივხვდი, რომ სან-ამ აქაური მწყალობელი არის პირი, რომელიც იქ მათ ქმნიდა, ფიქრი რაიმე

პირველად: «Дружбанародов», 1996, □7. - ავ-ტოგრაფი (ГМГЛ, № 021915, 12)

1 ჰ. ნეიჰაუზი გაემგზავრა თბილისში კონცერტე-ბზე, თუმცა დაპატიმრებულის ცოლის მონახულება საკმაოდ სარისკო იყო იმ დროში და პასტერნაკმა ვერ სთხოვა ამის შესახებ. მაგრამ, როგორც 1939 წლის 11 ნოემბრის წერილიდან ჩანს, ჰ. ნეიჰაუზმა მაინც მოინახულა წინა. მისი დაბრუნების შემდეგ პასტერ-ნაკი წერს ნ. ტაბიძეს: „ახლა უკვე მისგან ვიცი, რომ შემოდლია მოგწეროთ და ხშირად ვისარგებლებ ამ უფლებით. იგი თქვენით აღფრთოვანებულია და ბევრს მიყვებოდა თქვენზე“. («Дружба народов», 1996, □7, გვ. 186).

2 მწერალთა კავშირის წევრთა დიდი ნაწილი ორ-დენებით დააჯილდოვეს. ჯილდოების მისაღებად თბილისიდან ჩავიდა ქართველ მწერალთა ჯგუფი.

3 ვ. გოლცევი
4 თ. იაშვილი

ბორის პასტერნაკი. წერილები

ნაბიჯის გადადგმაზე ნაადრევია¹. ეს მოხდება როგორც თავისთავად და სრულიად სხვაგვარად.

სხვათა შორის, ფადეევმა მითხრა, რომ იქ რალაც წესრიგს ამყარებენ, რომლის საშუალებითაც პატიმრებს ეძლევათ გამოსწორების შესაძლებლობა და ა.შ. ამასაც ჩუმიად ვისმენდი, თვინიერი მადლიერებითაც კი: ღმერთმა ქნას, ტიცვიანს შეუქმნან ხელსაყრელი პირობები გამოსწორებისათვის, თუმცა, რა თქმა უნდა, კაცმა არ იცის, რისი გამოსწორება სჭირდება და რად უნდა გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე არის. ნინა, ძვირფასო, მოთმინებით აღიჭურვეთ. მთელი ეს ბოლო ხანები ყოველ ნაბიჯზე მეუფლება შვების, გაუმჯობესების, გათავისუფლების პროგრესირებადი განცდა. ჩემი ცხოვრება კიდეც თქვენისგან განუყოფელია. მაშასადამე, ეს თქვენც გეხებათ.

გკოცნით თქვენ და ნიტას. ვუსურვებ ნიტას ბედნიერებას და სიხარულს.

თქვენი ბორია

789. ნ. ტაბიძეს

დეკემბრის დასაწყისი, 1939, მოსკოვი ძვირფასო ნინა!

მაპატიეთ, ამაზე რომ გწერთ. თქვენ არ უნდა განუხებდეთ. სულ ცოტა ხნის წინ ჩემამდე მოაღწია ხმებმა, რომ თითქოს ტიცვიანი აღარაა ცოცხალი. ადვილად წარმოიდგენთ, რა დამემართებოდა. მაგრამ რამდენიმე საათის წინ მითხრეს, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება და არსებობს საწინააღმდეგოს მტკიცებულებანი. სახლში სიხარულისაგან თავბრუდახვეული დავბრუნდი და სანამ თქვენ გწერთ, ეს რწმენა სულ უფრო ურყევი ხდება. მაგრამ თქვენც დამიდასტურეთ. მითხარით, რომ იგი ცოცხალია, მიდეპემეთ ან წერილი მომწერეთ.

ნინა, ნინა, აი, რა მინდა თქვენგან! ყველა ვითარებაში, როგორც არ უნდა გვარგუნოს ზეცამ, იცოდეთ და გახსოვდეთ, რომ მთელი ჩემი არსება და შეგნება თქვენ და ნიტას გეკუთვნიან, თქვენს განკარგულებაშია. იმ სამი უბედური დღის გან-

¹ მწყალობელს პასტერნაკი უწოდებს ბერიას, რომელმაც ეჟოვი შეცვალა და ბუტირის ციხის ერთი სართული გაათავისუფლა.

მავლობაში, როდესაც ვცდილობდი ეს საშინელი ჭორი დამეჯერებინა, მივხვდი, რომ ეს ჩემთვის იქნებოდა არა მხოლოდ უსაზღვრო მწუხარება, არამედ მთელი ჩემი ცხოვრების უდიდესი გარდატეხა, რომლის შემდეგაც ცხოვრების ყოველგვარი სიხარული ფასს დაკარგავდა, რადგანაც აღარ მეყოლებოდა ამ სიხარულის გამზიარებელი. მე იმაზე ფიქრი შემეიყვარდა, ტიცვიანისთვის რომ ვცხოვრობ, ის კი — ჩემთვის და მისი დაკარგვით მთელ ჩემს მომავალს აზრი დაეკარგებოდა. ნინა, არც ვიცი რას გწერთ. მაგრამ იმედი არ მტოვებს. თქვენი ბორია.

790. ნ. ტაბიძეს

14 დეკემბერი, 1939, მოსკოვი
14.XII.39

ძვირფასო, ძვირფასო, ძვირფასო ნინა! როგორი გონიერი, როგორი მშვენიერი ხართ! როგორ საოცრად მიპასუხეთ და რა დიდი ადამიანი უნდა იყო, ასეთი პასუხის გაცემა რომ შეგეძლოს! ვხედავ თქვენს უზარმაზარ, საოცარ გულს, მოხიბლული ვარ და ვტირი.

და სასიხარულოც რამდენი გავიგე! შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თავად როგორი მოუთმენლობით დაველოდები ამ ზაფხულს. ეს რა თავბრუდამხვევი სიახლეებია!¹ თქვენ, თქვენი მზრუნველობა, ნიტას მომავალი, — ეს ყოველივე ხომ ჩემი ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილს შეადგენს! ჩვენში რომ ვთქვათ — ესაც შენი კაპიტანი! საბრალო პაოლო. სად ვარაუდობდა და ის კი სულ სხვა ზღვაში გაცურავს!² ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! როგორ მჯერა თქვენი წარმატებების. როგორ ცხადლივ ვხედავ ამ ყოველივეს, თუმცა არ ვიცი, მივალწევ კი ამ ბედნიერებამდე მე თვითონ³.

მინდოდა წერილის საშუალებით მეკი-

პირველად: „ლიტერატურული საქართველო“, 1966, №1. - ავტოგრაფი (ГМГЛ, №021915, 13).

¹ იგულისხმება ცნობები ტიცვიანზე და ნინა ტაბიძის განზრახვა, ჩასულიყო მოსკოვში და ეშუამდგომლა მისთვის.

² საუბარია პაოლო იაშვილის ლექსზე, რომელიც მიუძღვნა ტაბიძის ქალიშვილს, ნიტა-კაპიტანი.

³ ამ დროს მიდიოდა პროცესი მეიერჰოლდის საქმეზე, რომელიც ზაფხულში დააპატიმრეს. პასტერნაკისთვის ცნობილი გახდა, რომ სასამართლო ჩვენებებში მასაც ხშირად ასახელებდნენ.

თხა თქვენთვის რჩევა, ხომ არ მიმენერა ბერიასთვის, მაგრამ ახლა დაგელოდებით, — როგორ დაემთხვა ეს ყველაფერი. საყვარელო, საუკეთესო და ყველაზე დიდო მეგობარო (მხოლოდ ჩვენი კიდევ ერთი საერთო დიდი მეგობრის სადარო), ჩემო ერთადერთო მეგობარო, ნინა, მადლობა იმ ბედნიერებისათვის, რომელიც თქვენი წერილით მომანიჭეთ. როდესაც ჩამოხვალთ და ჩვენთან ერთად იცხოვრებთ, დაინახავთ და მიხვდებით, რამდენად ღრმად მჭირდება ეს ყოველივე, როგორ მაკლიხართ და როგორ გამოფიტა ჩემი არსება უთქვენობამ.

გიკოცნით ხელეხს თქვენ და ნიტას: საოცრად მიხარია, რომ ნიტა ისტორიაცილოლოგიის განხრით წავა.

თქვენი ბორია

793. ნ. ტაბიძეს

5 თებერვალი, 1940, მოსკოვი
5.II.40

ძვირფასო ნინა. მაპატიეთ, რომ არ გწერდით: მხოლოდ გუშინ გავიგე, ვივი რომ ჩამოვიდა და მივიღე კიდევ თქვენი წერილი¹. გული მტკივა, რომ არ შენიშნეთ, თუ რაოდენ ბევრს ნიშნავთ, რამდენის თქმა შეგიძლიათ ჩემთვის და თქვენ კიდევ რაღაცას მოითხოვთ საკუთარი თავისგან. სიცოცხლე უნდა გამენირა ჩვენი საუკეთესო დღეების, ჩვენი საერთო ბედნიერების სახელით, თქვენ გამო, ჩემო საყვარელო მეგობარო. აი ასეთი საზომით უნდა გაიზომოს ის უმნიშვნელო, თავშეკავებული და ეგოისტური წვრილმანები, რომელთაც ჯერ კიდევ ვაძლევ უფლებას და რომელთა გარეშეც მოვკვდებოდი.

ერთი ბედნიერებაა იმაზე ფიქრი, რომ იცით, როგორ მიყვარხართ, — მაპატიეთ, ამას რომ ღია ბარათით გწერთ. იცოდეთ, ნინა, ამას ასე არ დავტოვებ და ძალიან მალე, როგორც კი გავთავისუფლდები, ტიცინანისთვის ჩემს ძალისხმევას თქვენსას შევუერთებ. მალე მოგწერთ.

გკოცნით თქვენ და ნიტას. ზინა მოკითხვას გითვლით. თქვენი ბორია

პირველად: «Дружба народов», 1996, №7. — ავტორგრაფი (ГМГЛ, №021915, 19).

1 ვივიანა ანდრონიკოვა (რობინზონ), ი.ლ. ანდრონიკოვის მეუღლე.

უზარმაზარი მადლობა წერილისთვის, თქვენთან ვალში ვარ.

797. ნ. ტაბიძეს

15 მაისი, 1940, მოსკოვი
ძვირფასო ნინა!

უაღრესად დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე. იმდენი ხანია არ მომიწერია, რომ მზად ვარ თქვენგან ნებისმიერი საყვედური მოვისმინო. მაგრამ ჰამლეტმა დიდი საზრუნავი გამიჩინა, თუმცა ეს სასიამოვნოა და დღითიდღე კიდევ უფრო სასიამოვნო ხდება. სხვათა შორის, თქვენთან მჭირდება რაღაცის შეთანხმება.

მაგრამ პირველ რიგში ღვინოს რაც შეეხება. უსასრულოდ მადლობელი ვარ. მოვასწარი გამესინჯა, სანამ თავდაპირველი ხიბლი ჰქონდა და, რა თქმა უნდა, აღტაცება მომგვარა. აი, რა იყო შემდეგ. ზამთარში ღვინის ბოთლს ყოველთვის დანოლილს ვდგამდი ფანჯარის გარეთ, სიცივეში. იმ საღამოს ჯერ ისევე სიცივე იყო, ღვინო და თქვენი წერილი როდესაც მომიტანა ამხანაგმა ჯიქიამ. მაგრამ ღამით ამინდი შეიცვალა. გამთენიისას გაზაფხულის მხურვალე მზისგან საცობი ამოსძვრა და ნოლილ ბოთლს. როცა ავდექი, აღმოვაჩინე, რომ დაღვრილ ღვინოს ნახევრად ამოვესო ფანჯრის რაფა (რომელიც დაღარულია ჩარჩოებს შორის ჩაღრმავებებით). გული დამწყდა თქვენს საჩუქარზე, თუმცა მომხიბლა ელვარე ფანჯრის ცოცხალი ღვინით განმენდის აუცილებლობამ. ამაში იყო რაღაც ახალი და მნიშვნელოვანი. არის ამასთან დაკავშირებული რაღაც ხალხური ადათი თუ ნიშანი. მგონი, ეს კარგის მაუწყებელია. შეიძლება ვცდები. ამ დროს ჩემთან მოვიდა რევოლუციის თეატრის მსახიობი, რომელსაც სურდა ჰამლეტი ეთამაშა და დიდი ხანი ჩემზე ნაწყენი იყო, იგი მხატვრულ თეატრს რომ მივეცი. მთელი დარჩენილი ღვინო, ცოტა წამოდუღებული, მასთან ერთად დავლიე. იგი (ასტანგოვი) დიდებული ჰამლეტია, მაგისტანა მხატვრულში არ ჰყავთ¹.

პირველად: «Дружба народов», 1996, №7. — ავტორგრაფი (ГМГЛ, №224950, 20). თარიღდება შინაარსის მიხედვით.

1 მიხეილ ასტანგოვი, ვისთვისაც თავიდან განკუთვნილი ჰქონდა პასტერნაკს „ჰამლეტის“ თარგმანი.

ისეთივე ბარბაროსობა გამოვიჩინე ჯიქიასადმი, როგორც ღვინის მიმართ. ვთხოვე მას, რომ შემოსულიყო და ცოტა ხანი დარჩენილიყო, მაგრამ უარი მითხრა, სადღაც ერქარებოდა. თავისი სასტუმროს მისამართი დამიტოვა. ერთი ორჯერ დავურეკე, მაგრამ ვერ დავიჭირე სასტუმროში. ეს, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი. მეტი მონდომებისა და გულმდგინების შემთხვევაში შეიძლებოდა მისი ნახვისთვის თავის მობმა, მაგრამ სწორედ იმ დროს ემზადებოდა ზინა ბავშვებთან ერთად აგარაკზე წასასვლელად, მე ჰამლეტს ვკითხულობდი საჯაროდ და ა.შ და ა.შ. ახლა კი იმის გადამონმებაც არ შემეძლია, ისევ იქ არის ჯიქია თუ არა, ვინაიდან გუშინ გავის ძვალი გადამიბრუნდა, საბედნიეროდ-მეთქი ლამის ვთქვი, იმიტომ რომ ეს ტკივილები უფლებას მაძლევს მივაფურთხო ყველანაირ საქმეს და თქვენ მოგწეროთ. ასე რომ, პატიება სთხოვთ ჩემ მაგივრად ჯიქიას, თუ უკვე დაბრუნდა თბილისში. გულმხურვალე მადლობა თქვენ წერილისათვის: განსაკუთრებით ვაფასებ მას, ვინაიდან ვიცი, როგორი მოუცლელი ხართ. ყველა მხრიდან მხოლოდ ის მესმის, რამდენს და როგორი წარმატებით მუშაობთ¹.

ახლა საქმეზე და ნება მიბოძეთ მოკლედ მოგახსენოთ. მოდიხართ მოსკოვში თუ არა? გადაწყვიტეთ და დაუყოვნებლივ მაცნობეთ, რადგან არ მინდა გადავდო გარკვეული მცდელობები ტიციანთან დაკავშირებით, ამიტომ აუცილებელია ერთმანეთი ვნახოთ. ამდენად, თუ თქვენ არ აპირებთ, მაშინ მე მომიწევს ჩამოსვლა და ეს წინასწარ უნდა ვიცოდე. ამ შემთხვევაში მონაწილეობას მივიღებ ა. წერეთლისადმი მიძღვნილ კრებებში, ხოლო უფრო მოსახეხებელი რომ იყოს მონაწილეობა (არ მინდოდა ამაზე ლაპარაკი), მის ორ-სამ ლექსს ვთარგმნი². მხედველობაში იქონიეთ, რომ გამომგზავრების ერთად-

1 ნ. ტაბიძე მუშაობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის კათედრაზე და შეისწავლიდა შავი ზღვის თევზების მონამვლას პარაზიტებით.

2 მწერალთა კავშირის მმართველობის მორიგი პლენუმში მიძღვნილი იყო აკაკი წერეთლის დაბადებიდან ასი წლის იუბილესადმი. პასტერნაკმა ამ თარიღისთვის თარგმნა მისი ორი ლექსი - „გოგოლის ხსოვნას“ და „პოეტი“.

ერთი მიზანი თქვენ ხართ, ამდენად თუ სულ მცირე იმედი მაინც არსებობს თქვენი აქ ჩამოსვლისა, გთხოვთ, გამაფრთხილოთ წინასწარ. თბილისში ჩამოსვლა ძალიან მძიმე იქნება ჩემთვის, გრძნობებს ვერ დავმაღავ, თავის მოჩვენება არ შემეძლია. ყველა მხრიდან მოგონებანი მომანყდებიან და ხელახალი სიმწვავეთ ვიგრძნობ, ვინ წამართვეს და როგორ დაუკარგეს ჩემს ცხოვრებას აზრი. თუმცა საბოლოოდ ეს ყველაფერი ლიტერატურაა. უნდა ვიცოდე, ჩამოხვალთ თუ არა, რათა ვიცოდე, მე თვითონ როგორ მოვიქცე.

ისე კი, რა თქმა უნდა, მოუთმენლობა მიპყრობს, როცა ფიქრობ შეხვედრაზე და საშინლად ვლელავ იმის წარმოდგენისას, რომ თუ ღმერთი ინებებს, გნახავთ და თქვენს ხმას გავიგონებ.

თუ ჩამოვალ, მთავარი, რა თქმა უნდა, პლენუმში არ იქნება. შევეცდები, მოვანყო ჰამლეტის ფასიანი საჯარო წაკითხვა, თუკი რუსული საზოგადოება ირიცხება თბილისში და ასეთი საღამოთი დაინტერესდებიან. და რამდენიმე დღე მთელ თქვენს დროს წაგართმევთ.

ისევ ერთგვარი ქარიშხალი მაქვს სულში, დიდი იმედები და გეგმები, სიცოცხლისა და მოქმედების ახალი წყურვილი. უკიდურესად მჭირდება ტიციანი, როგორღაც ფიზიკურად, მისკენ მენვდინება ხელები და მნამს რომ იგი იმედებს გამიმართლებს იმ უძლეველობის ძალით, რომელიც ჩემს სურვილს სდევს თან.

გკოცნით თქვენ და ნიტას. მაპატიეთ, რომ ამდენ სისულელეს გწერთ და მუდამ მავეწყდება მთავარი. მალე მომწერეთ. ფული ხომ არ გჭირდებათ მგზავრობისთვის? უხეშობისთვის ბოდიშს გიხდით, მაგრამ «ЗАКНИЗ»-ში თქვენთვის და ჩემთვის განკუთვნილი ფული დევს, ასე რომ, მათ ვერ გაექცევით. ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ დააჩქაროთ მათი მიღება.


ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. როგორ მინდა გავექცე საქართველოში გამომგზავრებას, საქართველოში, რომელიც გადავიყვარე!

თქვენი ბორია.

თარგმნა სალომე გელუკაძემ



თორნტონ უაილდერი



ნაინდა მეფე ლიუდოვიკოს ხიდი

ნაინლი პირველი

ვითომ უბედური შემთხვევა?

1714 წლის 12 ივლისის პარასკევს, ნა-შუალამევს, მთელს პერუში სილამაზით განთქმული ხიდი ჩაინგრა და ხუთი მგზავრი ღრმა უფსკრულში თან ჩაიყოლა. ხიდი ქალაქ ლიმას კუსკოსკეს მიმავალ შარაგზასთან აერთიანებდა და მასზე ყოველდღე ასობით მგზავრი მიმოდიოდა. ჯერ კიდევ ინკების მიერ საუკუნეზე მეტი ხნის წინ წნორის ტოტებისაგან დანსულ ხიდს როგორც რამ ღირშესანიშნობას, ისე უჩვენებდნენ ქალაქში ჩამოსულ სტუმრებს. არსებითად კი ხიდი ერთმანეთთან მიჯრით მიწყობილ კიბის საფეხურებისგან უფრო შედგებოდა, რომელსაც მთელ სიგრძეზე ვაზის ყლორტებისგან მოწნული მოაჯირი გასდევდა. ცხენები, კარეტა თუ ტახტრევანი მსახურებს წინასწარ ჩაჰყავდათ ასიოდე ფუტის სიღრმის უფსკრულში, მერე სწრაფ დინებას ბორნით გადალახავდნენ და მეორე ნაპირზე ამოდიოდნენ. რაც შეეხება მგზავრებს, თვით მეფისნაცვალი და, წარმოიდგინეთ, არქიეპისკოპოსიც კი, პატივად მიიჩნეოდა ჩამოქვეითებულიყო და წმ. ლუი მეფის ხიდი ხელბარგიანად ფეხით გადაევიყო. საფრანგეთის მეფე, წმ. ლუდოვიკო ამ ხიდის და ასევე მის გადაღმა ალიზით ნაგებ პატარა საყდრის მფარველად ითვლებოდა. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ხიდი მარადიულ ქმნილებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ

იგი ოდესმე შეიძლებოდა დანთქმულიყო. ამიტომაც, კმაროდა ამ უბედურებაზე სიტყვა ჩამოვარდნილიყო, რომ მაშინვე მავანი და მავანი პირჯვარს გადაინერდა და ცდილობდა გაეხსენებინა ბოლო დროს როდის, ან მომავალში როდის აპირებდა ხიდზე გადასვლას. აღზნებული ადამიანები უაზროდ დაბორიალობდნენ და გაუგებრად რაღაცას ლულლულულებდნენ: ალბათ გონების თვალთ თუ სჭვრეტდნენ თვითონაც როგორ ცვიოდნენ უფსკრულში.

სულთა მოსახსენიებელი წირვა საკათედრო ტაძარში დიდის პომპეზურობით გადაიხადეს. დალუპულთა გვამები რის ვაივაგლახით ერთი მეორისაგან განაცალკევეს. და იდგა ჟამი ცოდვათა მონანიებისა კოპნია ქალაქ ლიმაში. მოახლე-ქალები ადრე მოპარულ სამკაულებს უკან უბრუნებდნენ თავიანთ ქალბატონებს; სინდისის ქენჯნით შენუხებული მევახშენი, ყალბი მალაღფარდოვნებით ცდილობდნენ თავი ემართლებინათ მეუღლეთა წინაშე. თითქოს მათი საქმიანობა საყოველთაო სარგებლობის მომტანი ყოფილიყო. მაგრამ ყველაზე საოცარი მაინც ის იყო, რომ ამ უბედურებამ ასეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქის მცხოვრებლებზე. საოცარი კი იმიტომ იყო, რომ ქვეყანაში ბუნებრივი კატასტროფები, ანუ ოფიციალური ხელისუფლების გონების დამთრგუნველ გამოთქმას თუ მოვიშველიებთ — „უფლის“ ნების გამოვლენა ჩვეულებრივზე უფრო ხშირი იყო: ოკეანის უზარმაზარი ტალღების მოქცევისაგან მთელი რიგი დასახლებები აღგვიღან პირისაგან მინისა. კვირა ისე არ ჩაივლიდა,

რომ მიწისძვრას ქვეყანა ძირის-ძირობამდე არ შეეძრას და პირქვედამხოვრებელ შენობებში უდანაშაულო ხალხი არ მოჰყოლოდა; ათასგვარი სახადი პროვინციას პროვინციაზე მუსრს ავლებდა; ნაადრევი სიბერე უამრავ პატივსაცემ ადამიანს უღმობლად ცელავდა... ჰოდა, სწორედ ეს გახლდათ საოცარი: მრავალ უბედურებათა მომსწრე პერუელები წმ. ლუი მეფის ხიდის ჩანგრევამ ასე რიგად რომ ააფორიაქა.

ამ საყოველთაო დაბნეულობისა და გაუგებრობის ჟამს, მხოლოდ ერთმა ადამიანმა გამოამჟღავნა სულის მხნეობა და შეეცადა ჩასწვდენოდა მომხდარი უბედურების არსს. ეს ადამიანი გახლდათ — ძმა ჯიუნიპერი. სხვადასხვა გარემოებათა დამთხვევის გამო, თავისთავად იმდენად გასაოცარი, რომ ძალაუნებურად იფიქრებდით — ამ საქმეში უთუოდ განგების ხელი ურევიაო, — ეს ჩია, მწითური ფრანცისკანელი, წარმოშობით ჩრდილოიტალიელი, პერუში გამომგზავრებულიყო, რათა ინდიელები ქრისტეს რჯულზე მოექცია, — ამ უბედურების უნებლიე მონმე გახდა.

იმ დღეს, იმ ავბედით პარასკევის ნაშუადღევს აუტანელი პაპანაქება იდგა. ძმა ჯიუნიპერმა კლდის ქიმს გვერდი აუქცია და შარავზაზე გამოვიდა. სულის მოსათქმელად წამით შეჩერდა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. მზერა შორეულ თოვლიან მწვერვალებს მიაპყრო. მერე ფეხქვეშ გადახსნილ უფსკრულს ჩახედა: მწვანე ხეებით შემოსილი ორივე ფერდობი ასევე მწვანე ფერის ფრინველებით ფუთფუთებდა. ბოლოს მზერა წნორის ტოტებისგან მოწნულ და უფსკრულის თავზე დაკიდებულ ხიდისკენ გაექცა. სული მისი ნეტარებდა: საქმეები კარგად მისდოდა. ადრე მიტოვებული რამდენიმე პანია ეკლესია აღადგინა, სადაც დილის წირვისა და ზიარების შემდეგ ისე ღრმად ამოიოხრავდა ხოლმე, გეგონებოდათ გული უნდა ამოაყოლონო. თოვლიან გორაკებიდან მონაბერი სუფთა ჰაერის გავლენით, ან, იქნებ, მეხსიერებაში ამოტივტივებული რომელიღაც ლექსის სტრიქონების წყალობით. — ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, — სული მისი აღსავსე იყო მადლიერების და კმაყოფილების გრძნობით. და სწორედ ამ დროს, როცა ხიდს თვალი ჰკი-

და, გაისმა ჟრუანტელის მომგვრელი უსიამო ხმა, — თითქოს ცარიელ ოთახში ხემიანი საკრავის სიმი განწყდაო და ჩია ფრანცისკანელმა იმის დანახვალა მოასწრო, თუ როგორ გასკდა ხიდი შუაზე და ხუთი მგზავრი, შორიდან ჭიანჭველებივით რომ მოსჩანდა, ხელ-ფეხის სავსავით უფსკრულში ჩაინთქა და ძირს მწვანე ველზე დაენარცხა.

ბუნებრივია, თუ ასეთ დროს ადამიანი მაშინვე ფარული კმაყოფილებით გუნებაში გაივლებდა: „მადლობა ღმერთს, რომ ათიოდე წუთის წინ ხიდზე არ აღმოვჩნდი...“ მაგრამ ძმა ჯიუნიპერს სულ სხვა აზრი მოუვიდა თავში: „რატომ მაინც და მაინც ეს ხუთი“? თუსამყაროს რაიმე საზრისი უდევს საფუძვლად, თუ ადამიანთა ცხოვრება გარკვეულ ყალიბშია ჩამოსხმული, ამისი კვალი, უდავოა, ცხოვრებაში უნდა აღმოჩნდეს, რომელთა არსებობაც ასე მოულოდნელად შეწყდა: მაგრამ თუ ცხოვრება შემთხვევითი მოვლენაა, მაშინ სიკვდილიც შემთხვევითი უნდა იყოს. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, — თუ გარკვეული ჩანაფიქრის მიხედვით ვცხოვრობთ, გამოდის ასევე გარკვეული გეგმის მიხედვით ვიცხოვრებთ. აი, სწორედ მაშინ იყო, რომ ძმა ჯიუნიპერმა საბოლოოდ გადაწყვიტა ლაბორატორიულად შეესწავლა ცხოვრების ის უცნობი მხარე იმ ხუთი ადამიანისა, რომელთა სულებიც ჯერ კიდევ ჰაერში ფარფატებდნენ, და მათი დალუპვის მიზეზები დაედგინა.

ამ შემთხვევამ საბოლოოდ დაარწმუნა ძმა ჯიუნიპერი, რომ როგორც იქნა დადგა ჟამი თეოლოგიამ დაიკავოს კუთვნილი ადგილი ზუსტ მეცნიერებათა დარგებში, რის დამტკიცებას, სხვათა შორის, ის ისედაც დიდი ხანია აპირებდა, მაგრამ მისი განზრახვის ლაბორატორიულ კვლევას უტყუარი მონაცემები აკლდა. არა, არ იფიქროთ, რომ იგი ოდესმე ცდისპირთა ნაკლებობას განიცდიდა. მის მრევლს ხომ უამრავი უბედურებები ატყდებოდა თავს. — ზოგს შხამიანი ობობა გესლავდა, ზოგს ჭლექი უხრავდა ფილტვებს, ხანძარი ნთქავდა მათ სარჩო-საბადებელს, პატარა ბავშვებს კი ზოგჯერ ისეთი სენი შეეყრებათ, რომ ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის, მაგრამ ყველა ამგვარ უბედურებას ამკარად აკლდა სერიოზული ლაბორატო-

რიული კვლევის ის მოთხოვნა, რასაც ოდნავ მოგვიანებით ჩვენი კეთილგონიერი სწავლულები იძულებული იყვნენ „სავალდებულო შემოწმების მეთოდი“ დაერქმიათ. მართლაც, უამრავი უბედური შემთხვევა ხომ ისევ და ისევ ადამიანთა პირადი დაუდევრობის წყალობით ან შეცდომათა გამო ხდება, არც ალბათობის ელემენტის გამორიცხვა შეიძლება. მაგრამ აი, წმ. ლუი მეფის ხიდის დანთქმის შემთხვევაში, ეჭვი არ არის, „უფლის ხელი“ ერი. ეს კი ნამდვილად ლაბორატიულ მუშაობას მოითხოვდა. ეს ხომ სწორედ ის შემთხვევა იყო, სადაც ყველაზე უკეთ უნდა გამოვლინდეს განგების განზრახვა ადამიანთა მიმართ.

თქვენც ჩემსავით კარგად ხვდებით, რომ ეს აზრი სხვას რომ მოსვლოდა თავში და არა ძმა ჯიუნიპერს — ეს უდავოდ თანმიმდევრული სკეპტიციზმის ნიმუში იქნებოდა. ამგვარი გეგმა ნააგავდა მცდელობას იმ ქედმაღალ ადამიანთა, რომელთაც ზეცის სასუფეველშიც ქვაფენილ გზებზე სიარული სურდათ და ამ მიზნით ბაბილონის გოდოლის მშენებლობა წამოიწყეს. მაგრამ ჩვენს ფრანცისკანელს თავისი ექსპერიმენტის უტყუარობაში ეჭვიც კი არ ეპარებოდა: მან ისედაც მშვენივრად იცოდა რა პასუხსაც მიიღებდა. უბრალოდ, მას სწადა ისტორიულად და მათემატიკურად დაემტკიცებინა ახლად გაქრისტიანებული მრევლისათვის, ამ საცოდავი ინდიელებისათვის, რომლებსაც ჯიუტად არ სურდათ დაეჯერებინთ, რომ უბედურებანი ცხოვრების გზაზე რომ ხვდებოდათ, — მათსავე სასიკეთოდ იყო წინასწარ დაგეგმილი: ადამიანი ხომ მუდამ ისეთ საბუთს ითხოვს, რასაც წყალი არ გაუვა, თუნდაც ეს ხდებოდეს ისეთ ქვეყანაში, როგორც პერუა, სადაც იეზუიტები თქვენი გულის ფარულ ზრახვებს თქვენსავე თვალებში კითხულობენ.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა ძმა ჯიუნიპერს აზრად მოუვიდა ამგვარი გამოკვლევა ჩაეტარებინა. ხშირად, როცა ანაფორის კალთბაკეცილი ერთი მრევლიდან მეორეში მიიჩქაროდა, საიმისოდ დრო ჰქონდა, რომ იმგვარ ექსპერიმენტებზე ეფიქრა, რაც გაამართლებდა „განგების ნებას ადამიანის მიმართ“. რამდენჯერმე შეეცადა კიდევ შეედგინა თავისე-

ბური წვიმების გამოსახმობი „ლოცვანი“ შესაბამისი შედეგებითურთ. ვინ იცის, რამდენჯერ მდგარა ამა თუ იმ ეკლესიის კიბის თავში ზეცისკენ ხელაპყრობილი, საზეიმო რიტუალს რომ ასრულებდა, ხოლო მის წინ მზით გათანგულ მოედანზე მუხლმოდრეკილი მრევლი სასოებით შეჰყურებდა. ხშირად თუ არა ზოგჯერ მაინც განუცდია, როგორ გადმოდიოდა მასში ღვთის მადლი, როცა შორს ჰორიზონტზე ამ დროს ღრუბლის პატარა ქულა გამოჩენილა. თუმცა, ყოფილა შემთხვევები, როცა კვირა კვირას მისდევდა... მაგრამ ამ ამბავზე ახლა ლაპარაკი არ ღირს.

ბოლოსდაბოლოს, ის ხომ საკუთარი თავის დარწმუნებას არ ლამობდა იმაში, რომ წვიმა და გვალვა გონივრულად თანამონაცვლეობენ.

ასე და ამგვარად, შინაგანად უკვე მოზადებულმა ძმა ჯიუნიპერმა, როცა ამ უბედურების თვითმხილველი გახდა, — საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. სწორედ ამ შემთხვევამ უბიძგა მთელი ექვსი წელი შეეღია ამ ამბის გამორკვევისათვის. მრავალი ლიმელის სახლი შემოიარა კაკუნ-კაკუნით, აინტერესებდა ათასგვარი წვრილმანი, უამრავი რვეული ააჭრელა კითხვებითა და შენიშვნებით, რათა დაემტკიცებინა, რომ ხუთივე დალუპულის სიცოცხლე ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. ქალაქში ყველამ უწყოდა, რომ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით იგი რალაც ცნობებს აგროვებდა. ყველა თავს მოვალედ თვლიდა რამენაირად დახმარებოდა. სინამდვილეში კი ხშირად უნებლიე შეცდომაში შეჰყავდათ. ზოგიერთი უფრო გარკვეული იყო და მისი ძირითადი მიზანიც კი იცოდა. წარმოიდგინეთ, „ზემოთ“ მფარველებიც კი გამოუჩნდნენ.

ასეთი თავდაუზოგავი შრომის შედეგად შეიქმნა ერთი ვეებერთელა ტომი, რომელიც, — როგორც ამას მოგვიანებით შევიტყობთ, — ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ქალაქის მთავარ მოედანზე საჯაროდ დაწვეს კოცონზე. მაგრამ ფარულად გადაწერილმა ერთმა ასლმა მრავალი წლის ხეტიალის შემდეგ ყველასაგან შეუმჩნევლად ბინა წმ. მარტინის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ჰპოვა. ხის მასიურ ყდაში ჩასმული დღესაც იქ, კარადაში განისვენებს და მტვერს ისრუტავს. ხსენებულ

ტომში თანამიმდევრულად აღწერილია თითოეული მსხვერპლის ცხოვრების ამბავი. მასში დიდის გულმოდგინებითაა მოთხრობილი ათასგვარი წვრილმანი, არაფრისმეტყველი დეტალი, ცხოვრებისეული ამბავი და მოწმეთა ჩვენებანი, და ყოველივე ამას, ბოლოს, აგვირგვინებს ღრმადმნიშვნელოვანი მსჯელობა იმის თაობაზე, თუმაინცდამაინც რატომ შეარჩია მამა-ზეციერმა ესა თუ ის პიროვნება და განსაზღვრული დღე თავისი ბრძნული ნების გამოსავლენად. და, მაინც, ასეთი დიდი გარჯის მიუხედავად, ძმა ჯიუნიპერი ბოლომდე ვერ ჩანვდა დონა-მარიას სულის მამოძრავებელ ვნებებს და მიზეზებს. ამ მხრივ ვერც ძია პიოს და ვერც ესტებანს გაუგო რაიმე. ან განა თვით მე, ვინც ვაცხადებ, რომ დღესდღეობით გაცილებით მეტი რამ ვიცი ამ ამბავზე, დაბეჯითებით შემძლია ვთქვა, რომ არ გამომრჩა ნამდვილი მიზეზთა მიზანი?

არიან ადამიანები, რომლებიც გაიძახიან, რომ ჩვენი ცოდნა შეზღუდულიაო და, რომ ღმერთების თვალში ჩვენ იმ ბუზებს ვგავართ, რომელთაც ბავშვები ჟინის მიზნით ზაფხულის დღეებში ტყაპატყუპით ხოცავენ. მაგრამ სხვები, პირიქით, ამტკიცებენ, რომ ბელურა რომ ბელურაა, იმასაც კი ღერი ბუმბულისა არ ჩამოუვარდება, თუ მამა-ღმერთი თითით არ შეეხოს.

ნანილი მეორე

მარკიზა დე მონტემარი

დღეისათვის ნებისმიერ ესპანელ სკოლის მასწავლებელს გაცილებით მეტის ცოდნა აქვს დონა-მარია მარკიზა დე მონტემარიის შესახებ, ვიდრე ძმა ჯიუნიპერს თავისი გამოკვლევების პერიოდში. მარკიზას გარდაცვალებიდან ასიოდე წელიც არ იქნებოდა გასული, რომ მისი წერილები ესპანური ლიტერატურის სანიმუშო ძეგლად აღიარეს, ხოლო მისი ცხოვრება და ეპოქა მეცნიერული კვლევა-ძიების საგანი გახდა. მაგრამ მარკიზას ბიოგრაფები თუ შეცდნენ და ჭეშმარიტებას გარკვეული მანძილით დაშორდნენ, ასეთივე მანძილით, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით, დაშორდა ძმა ჯიუნიპერიც.

ორივე მხარე იმაში ცდებოდა, რომ ცდილობდა მარკიზასთვის მიენერა ის უამრავი მომხიბვლელი თვისება, რაც მის წერილებში გამოსჭვივის. იმ დროს, როცა სინამდვილეში ამ საოცარი ქალბატონის ბუნების ახსნა შესაძლებელია მხოლოდ მისი, როგორც დედის დამცირებისა და მრავალი კეთილი თვისების უგულვებლყოფის გათვალისწინებით.

იგი მანუფაქტურით მოვაჭრის ქალიშვილი გახლდათ, მამამისმა კარგა დიდი ქონება დააგროვა, რის გამოც ქალაქ ლიმას ცენტრალური მოედნის — პლაცის — ახლომახლო უბნებში მრავალი მოშურნე შეიძინა. ბავშვობამ უსიხარულოდ ჩაიარა: საკმაოდ უსახური იყო და ენასაც უკიდებდა. დედამისი ხომ თავისი სარკაზმით პირდაპირ ცხოვრებას უმწარებდა: — ყოველნაირად ცდილობდა ჩაენერგა პატემოყვარეობის გრძნობა და მაღალ საზოგადოებაში მიღებული მანერები აეთვისებინა. აიძულებდა ალკაზმული ცხენივით ძვირფასი ქვებით მორთულს ესეირნა. იგი მარტოობაში იზრდებოდა და მარტოობაში ფიქრობდა. ხელის მთხოვნელი არ აკლდა, მაგრამ შეძლებისდაგვარად დიდხანს ენინააღმდეგებოდა მაშინდელ ზნეჩვეულებას და საერთოდ, გათხოვებას არ აპირებდა. დედა-შვილს ამის გამო ხშირად მოსვლიათ ისტერიული ნივილ-კივილი და კარებს რახარუხი გაჰქონდა. ბოლოს კი ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ოცდაექვსი წლის ასაკში ერთ მედიდურ, მაგრამ დიდგვაროვან არისტოკრატს მიათხოვეს და მონვეული სტუმრების ქილიკისაგან ლიმის საკათედრო ტაძარი მხიარულად გუგუნებდა. როცა მშვენიერი გოგო ეყოლა, მთელი თავისი კერპთაყვანისმცემლური სიყვარული მასზე გადაიტანა. პატარა კლარა მამაილა აღმოჩნდა: ცივი, უკარება და ინტელექტუალი. რვა წლის ასაკში მშვიდად უსწორებდა დედამისს ენას. მალე კი, საერთოდ, გაოცებული ამრეზით ადევნებდა თვალს. თავგზააბნეული დედა თვინიერი და პირფერი გახდა, მაგრამ თავის ხასიათს ვერადავერსძლია. ნერვებისმომშლელი მზრუნველობით და გულისგამანვრილებელი სიყვარულის გამოხატვით დონა-კლარას აბეზარს ხდიდა. და ოჯახში წინანდებურად გაისმოდა ნივილ-კივილი, წინანდებურად

უმასპინძლდებოდა ერთმანეთს დედა-შვილი საყვედურებით და კარებსაც ძველებურად გაჰქონდა ჯახუნი. მრავალ ხელისმადიებელთა შორის დონა-კლარამ შეგნებულად აირჩია ის, ვისთანაც ცოლქმრული ცხოვრება შორეულ ესპანეთში მოუწევდა, საიდანაც სულ მცირე ექვსი თვე მაინც იყო საჭირო, რომ გაგზავნილ ბარათზე პასუხი ჩამოსულიყო.

პერუდან ესპანეთში ხომალდის გაცილების ცერემონიალი ეკლესიამ თავისებურ ტრადიციად აქცია. ხომალდს აკურთხებდნენ ხოლმე, მერე როცა იგი გარკვეული მანძილით ნაპირს მოშორდებოდა, მგზავრებიც და გამცილებლებიც მუხლს მოიყრიდნენ და ჰიმნს წამოიწყებდნენ. ღია ცის ქვეშ აღვლენილი სიმღერა საკმაოდ უნდოდა და უღიმღამოდ ჟღერდა.

დონა-კლარა გემბანზე იდგა და მომხიბვლელი თავდაჭერილობით ეთხოვებოდა დედამისს, რომელიც თვალგაშტერებული მისჩერებოდა მზეზე მოლაპლაპე ხომალდს და ხელისგულს ხან ტუჩებზე, ხან კი გულზე იდებდა. მზერადანისლულ მარკიზას თვალები აუჭრელა უშფოთველი წყნარი ოკეანის ტალღების ლივლივმა, ჰორიზონტზე კი მარად უმოძრაო მარგალიტისფერი ღრუბლების უზარმაზარი ქულები ეკიდა. ღიმილში მარტო დარჩენილი მარკიზა სულ უფრო და უფრო განდეგილობდა და საკუთარ ნაჭუჭში იკეტებოდა. ჩაცმას ყურადღებას აღარ აქცევდა, ფეთხუმით დაიარებოდა და როგორც ეს მარტოხელა ადამიანს სჩვევია, ხშირად საკუთარ თავს ესაუბრებოდა ხმამაღლა. მთელი მისი არსება მისსავე გავარვარებული გონების შუაგულში ბორგავდა. აქ, როგორც თეატრში, გაუთავებლად იმართებოდა დიალოგები ქალიშვილთან, უსასრულოდ თამაშდებოდა შერიგების, ცოდვათა მონანიების და ურთერთმიტევების სცენები. ქალაქის მცხოვრებლები ხშირად ხედავდნენ ქუჩაში მოხეტიალე დედაკაცს, რომელსაც მონითალო პარიკი ცალმხარეს მოღრეცოდა. მარცხენა ლოყა კანის ანთებისაგან, ხოლო მარჯვენა — ფერუმარლის მეტისმეტი სქელი ფენისაგან გაღიზიანებოდა; ტუჩებს წამდაუნუმ აცმაცუნებდა, პირიდან ჩამომდინარე დუჟისაგან ნიკაპი არასოდეს უშრებოდა. ღიმიას ისედაც არასოდეს აკლდა ახირებული ად-

ამიანები, მაგრამ მათ შორის მაინც მარკიზა გამოირჩეოდა. განსაკუთრებით სასერიო იყო, როცა ქუჩებში ცხენით დასეირნობდა, ანდა ეკლესიის კიბეებზე ფრატუნ-ფრატუნით ადი-ჩამოდიოდა. ხალხი დარწმუნებული იყო, რომ იგი მუდამ გამობრუჭული იყო. უარესსაც ამბობდნენ: ლაპარაკობდნენ, რომ მის ციხეში გამოსამწყვეტად არზას ადგენენო, ინკვიზიციის წინაშე სამჯერ მაინც დააბეზლესო და არც არის გამორიცხული, რომ კოცონზე დანვანო, თუ არა მისი სიძე, რომელიც ესპანეთის სამეფო კარზე გავლენიანი პირიაო. თუმცა, თვით მარკიზასაც აღმოაჩნდა რამდენიმე მფარველი მეფისნაცვლის გარემოცვაში, რომლებიც თვალს ხუჭავდნენ მის ახირებულობაზე ფართე ნაკითხობის გამო.

დედასა და ქალიშვილს შორის არსებულ ისედაც დაძაბულ ურთიერთობას კიდევ უფრო ამძაფრებდა ფულთან დაკავშირებული გაუგებრობანი. გრაფის ქალი დონა-კლარა დედისგან გულუხვად ღებულობდა ფულად დახმარებას და, არც თუ იშვიათად, ძვირფას საჩუქრებსაც. ამის გამო, დონა-კლარამ მოკლე დროში სამეფო კარზე ფრიად მაღალგონიერი ქალის სახელი მოიხვეჭა. ალბათ, პერუს მთელი სიმდიდრე საკმარისი არ იქნებოდა, დონა-კლარას ცხოვრება რომ იმ სტილით განეგრძო, რომელიც მან ჩვეულებად გაიხადა. შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ მისი ხელგაშლილობა მისივე ბუნების ერთ-ერთი უშესანიშნავესი თვისებებიდან გამომდინარეობდა. მეგობრებს, მსახურებს და, საერთოდ, სატახტო ქალაქის ყველა ღირსშესანიშნავ პიროვნებას საკუთარი შვილივით ეპყრობოდა. ერთი სიტყვით, საბოლოოდ ისე გამოდიოდა, რომ მისი გულმონყალეა ამქვეყნად მხოლოდ ერთ ადამიანზე არ ვრცელდებოდა. მის პროტეჟეთა შორის იყო ვინმე კარტიე გრაფი დე ბრაზიისი, რომელმაც თავის მიერ შედგენილი „ახალი სამყაროს რუქები“ მარკიზა დე მონტემპაიორს მიუძღვნა, რამაც ღიმიას კარისკაცების გულითადი ხარხარი გამოიწვია, როცა ამოიკითხეს, რომ, თურმე, მარკიზა წარმოადგენდა „თავისი ქალაქის თავყანისცემის საგანს და დასავლეთიდან ამომავალ მზეს“. კიდევ ერთი პიროვნება, ვისზედაც ვრცელდებო-

და დონა-კლარას განსაკუთრებული მფარველობა, მეცნიერი აზუარეხი გახლდათ, რომლის გამოკვლევებიც ჰიდრაულიკის კანონზომიერებათა შესახებ ინკვიზიციამ აკრძალა იმ მიზეზით, რომ დასახელებული შრომა არასასურველად აფორიაქებდა ადამიანთა გონებას. მთელი ათი წლის განმავლობაში დონა-კლარა ითვლებოდა მეცნიერებისა და ხელოვნების ქომავად, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და თუ ამ ეპოქაში ესპანეთში ღირსშესანიშნავი არაფერი შექმნილა, ეს სულაც მისი ბრალი არ არის.

დონა-კლარას ესპანეთში გადასახლებიდან ოთხი წელი იქნებოდა გასული, როცა დონა-მარიამ შვილისგან ნებართვა მიიღო ევროპას სწვოდა. ორივე მხარე დარწმუნებული იყო, რომ ურთიერთდამოკიდებულების საკითხს მოაგვარებდნენ: ერთი — თვითგვემას შეწყვეტდა, მეორე — გამოიჩინდა სულგრძელობას. არც ერთს არ გაუმართლა. ერთმანეთს უმოწყალოდ სტანჯავდნენ და ვნებათა გამომჟღავნების თავშეუკავებლობას სინდისის ქენჯნის მუდმივ მონაცვლეობასთან ერთად, ლამის იყო გონების დაკარგვამდე მიეყვანა თითოეული მათგანი. საბოლოოდ, ერთ დღით დონა-მარია უთენია ადგა და ისლა გაბედა, რომ კარს, რომლის მიღმაც მის ქალიშვილს ეძინა, ფრთხილად აკოცა, მერე ხომალდში ჩაჯდა და ამერიკაში დაბრუნდა. ამიერიდან სხვა გზა არ იყო, წერილების წერა უნდა ჩანაცვლებოდა სიყვარულს, რამდენადაც მის უშუალო, ცოცხალ სახით გამოხატვას ბედი არ ეწერა.

აი, სწორედ ეს წერილები გახდა ჩვენს საოცარ სამყაროში ქრესტომატიული სახელმძღვანელო მოსწავლეთათვის, ხოლო სწავლულთათვის გამოკვლევების უშრეტი წყარო. დონა-მარია, რომ წერილების წერის თანდაყოლილი ნიჭით არ დაბადებულიყო, მაინც გამოიმუშავებდა მას თავის თავში, — იმდენად ძლიერ სჭირდებოდა მის სიყვარულს შორეული ქალიშვილის ყურადღება, შეიძლება კი უფრო მეტად — აღტაცების მოპოვება. მიზნის მისაღწევად გამუდმებით ტრიალებდა საზოგადოებაში, რათა ჩაენერა თავშესაქცევი ამბები, ყველაფერს გაფაციცებით ადევნებდა თვალს, რომ რამე სახეირო არ

გამორჩენოდა. კითხულობდა მშობლიური კაზმულსიტყვაობის ნიმუშებს იმ განზრახვით, რომ ჩასწვდომოდა მხატვრული მეტყველების ზემოქმედების არსს. ცდილობდა ხშირად ყოფილიყო საზოგადოების იმ წრეებში, რომელიც ცნობილი იყო გონებამახვილური საუბრებით. ბაროკოს სტილში აგებულ თავის სასახლის აივანზე ბარათების წერასა და გადათეთრებაში ღამეებს თეთრად ათენებდა. დათრგუნულ გონებას აიძულებდა საოცარი ენამახვილობით და ნატიფი სტილით აღენერა მეფისნაცვლის კარის ცხოვრების ქრონიკები. ცნობილია, რომ მისი ქალიშვილი ზედაპირულად თუ გადაავლებდა თვალს დედის წერილებს და მხოლოდ სიძე-ბატონს უნდა ვუმადლოთ მათ გადარჩენას.

მარკიზა უთუოდ განცვიფრდებოდა, თუ შეიტყობდა, რომ მისი ბარათები უკვდავებას იყო ნაზიარები. და მაინც, ზოგიერთი კრიტიკოსი მას ნაკლად მიუთვლის იმას, რომ წერილების შედგენისას თვალის შთამომავლობისაკენ გაურბოდაო. და კერძოდ იმ წერილებს ასახელებენ, რომელთაც, თითქოს, თავმომწონეობის იერი დაჰკრავთ. მათ ვერაფრისდიდებით ვერ დაუჯერებიათ, რომ დონა-მარიას შეეძლო ამდენი დრო და ჯაფა დაეთმო წერილებისათვის მხოლოდ იმის გამო, რომ საკუთარი ქალიშვილისათვის თავი მოეწონებინა და გაეოცებინა, როგორც ამას ხშირად მნახველთა განსაცვიფრებლად მხატვართა უმრავლესობა სჩადის, სიძის მსგავსად ვერც კრიტიკოსებმა შეაფასეს ჯეროვნად მარკიზას წერილების ჭეშმარიტი ღირსებანი. გრაფს უდავო სიამოვნებას ჰგვრიდა წერილების კითხვა. მაგრამ მიაჩნდა, რომ მათი ღირებულება და ფასი სტილის თავისებურებებით ამოიწურებოდა მარტოოდენ. და არ ითვალისწინებდა (ისევე, როგორც მკითხველთა უმრავლესობა), რომ მხატვრული ლიტერატურის ძირითადი დანიშნულება ადამიანის სულის გამოხატვაა. ბოლოსდაბოლოს, სტილი ხომ სხვა არაფერია, თუ არა ერთი უბრალო, ჩვეულებრივი სასმისი, რომლითაც საზოგადოებას მწარე სითხეს სთავაზობენ. მარკიზა მართლაც რომ განცვიფრებული იქნებოდა, რომ ეთქვათ, თქვენი წერილები მართლაც მშვენიერი რამ არისო. მსგავსი ავტორები ხომ თავიანთი კეთილშობილ-

ური გონების წყალობით ამაღლებულ სამყაროში ცხოვრობენ და ყოველივე, რაც ჩვენ ღირსშესანიშნავ ქმნილებად მიგვაჩინია, მათი შეხედულებით ცოტა რამით თუ განსხვავდება ჩვეულებრივისაგან.

სწორედ ასეთი გახლდათ ის მოხუცი ქალბატონი, რომელიც საათობით იჯდა აივანზე ოდნავ შეღანძლილი ჩალის შლაპით, რომელიც მის ნაოჭებით დაღარულ მოყვითალო პირსახეს ჯიგრისფერს ჰფენდა. ხშირად, როცა ძვირფასი ქვებით განწყობილ ბეჭდიანი თითებით წერილებს ფურცლავდა, ხშირად — თითქმის თავის გართობის მიზნით, — დაინტერესებულა — გულის ასეთი გაუყურებელი ტკივილი რამე ორგანულ ცვლილებებს ხომ არ გამოიწვევდა? და უმაღლესი ნარმოუდგებოდა ვინმე გულისხმიერი ექიმი, რომელიც მისი შერყეული და გაცვეთილი ტახტის გაკვეთისას მართლაც აღმოაჩინდა განცდების ნაკვალევს და მერე ანატომიურ თეატრში მყოფ სტუდენტებს მზერას მიაპყრობდა და შესძახებდა: „აი, შეხედეთ! ამ გულის პატრონ ქალბატონს ბევრი უტანჯია და მის განცდებს ღრმა კვალი დაუმჩნევიათ გულის სტრუქტურაზე“. ამგვარი სურათი ისე ხშირად ესახებოდა თვალწინ, რომ ერთხელაც ადგა და თავის ქალიშვილს მისწერა. საპასუხო ბარათში დონა-კლარამ დედამისი საყვედურებით აავსო იმის გამო, რომ იგი ერთთავად საკუთარ სულში იქექებოდა, თავისი ტანჯვა კულტად გაეხადა.

შეგნებამ, რომ ქალიშვილის საპასუხო სიყვარულსა და თანაგრძნობას ვერასოდეს ეღირსებოდა, მის შეხედულებებზე ისეთივე ზემოქმედება იქონია, როგორც ზღვის მოქცევა კლდოვან ნაპირზე: თავდაპირველად შეერყა რელიგიური რწმენა, რადგან ერთადერთი რამ, რასაც უზენაესს ანუ უკვდავებას გამოსთხოვდა მონყალების სახით, იყო ის, რომ ისეთი ადგილსამყოფელი ებოძა, სადაც ქალიშვილებს დედები ეყვარებოდათ; ზეცის ყველა სხვა წყალობას ჩალის ფასად თმობდა. შემდეგ, დაკარგა რწმენა იმ ადამიანთა გულწრფელობაში, რომლებიც მის გარშემო ტრიალებდნენ, გულის სიღრმეში უკვე დარწმუნდა, რომ შეუძლებელი იყო ვისმეს (საკუთარი თავის გარდა) ვინმე ჰყვარებოდა; ყველა ოჯახი დამყაყებულ ჩვეულებათა

ატმოსფეროში ცხოვრობდა, ერთმანეთს გულგრილად ჰკოცნიდნენ. იგი ხედავდა, რომ ამ ქვეყნად ადამიანები ეგოიზმის ჯავშანში არიან გამოკეტილნი, შეზარხოშებულნი საკუთარი „მე“-ს მომხიბვლელობით; სულწასულნი კომპლიმენტების მოსასმენად, რომლებიც უგულისყუროდ უსმენდნენ მოსაუბრეს, გულგრილად ეპყრობოდნენ უბედურებაში ჩავარდნილ უახლოეს მეგობრებს, თავს იძვრენდნენ ყოველნაირი თხოვნისაგან დახმარების თაობაზე იმ მიზეზით, რომ ამას ხელი არ შეეშალა საკუთარი ზრახვების განხორციელებაში. დიახ, ასეთი გახლდათ ადამის მოდგმის კაცი იქნება თუ ქალი ხატაეთიდან პერუმდე, და როცა აივანზე მჯდომი მარკიზას აზრთა მდინარეა ამგვარ მიმართულებას ღებულობდა, სირცხვილით ტუჩებს მუწავდა, რადგან თვითონაც ასეთი ცოდვილი გახლდათ. და, თუმცა, ქალიშვილისადმი მისი სიყვარული იმდენად განუზომელი იყო, რომ თავისუფლად იტევდა მის ყველა ნიუანსს, ტირანიის გარკვეულ ჩრდილს მაინც შეიცავდა. მარკიზას ქალიშვილში უყვარდა არა თვითონ ქალიშვილი, არამედ თავისი თავი ქალიშვილში. მართალია, იგი ყოველნაირად ცდილობდა განთავისუფლებულიყო ამ სამარცხვინო ხუნდებისაგან, მაგრამ ვნებებთან გამკლავება ბევრად ძნელი აღმოჩნდა. და მაშინ იყო, რომ იმ მწვანე აივანზე უცნაური სულიერი ჭიდილი არყევდა უსახური მოხუცი ქალის არსებას: — უჩვეულო, ამო ბრძოლა ცდუნების აჩრდილთან და იგი მუდამ მარცხდებოდა. ქალიშვილი მას თავისთვის უნდოდა, უნდოდა მოესმინა, თუ როგორ ეტყოდა: „იცი, ყველა დედათა შორის, შენ საუკეთესო დედა ხარ“. ოცნებობდა მოესმინა ჩურჩულით ნათქვამი: — „მომიტევე, დედა“.

ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ დაახლოებით ორი წელი იქნებოდა გასული, როცა მოხდა მთელი რიგი ამბებისა. ერთის შეხედვით თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ რაც მშვენივრად მეტყველებს იმ შინაგან ცხოვრებაზე, მარკიზას სულში რომ მიმდინარეობდა. ამის შესახებ მის კორესპონდენციებში მხოლოდ ბუნდოვანი მინიშნებები გვხვდება, მაგრამ ვინაიდან XXII წერილში სხვაგვარი მინიშნებაც აღმოჩნდა, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ

ამ წერილის პირველი ნახევარი სათანადო კომენტარებით ვთარგმნო.

„ნუთუ ესპანეთში ექიმები აღარ არიან? ნეტავ სად გაქრნენ ის კეთილი ფლამანდიელები ასე ხშირად რომ გვეხმარებოდნენ? ო, ჩემო ძვირფასო, აბა, როგორ არ დაგტუქსო იმისთვის, რომ, როცა გიცავდი, ავადმყოფობა თავის ნებაზე მიუშვი და ლოგინში არ ჩანექი. დონ ვინსენტე! გევედრებით, ჭკუაზე მოიყვანეთ ჩემი შვილი. ოჰ, ზეცის ძალნო, გემუდარებით ჩემს შვილს გონება გაუნათლოთ. ახლა, როცა თავს უკეთ გრძნობ, სიტყვა მომეცი, რომ ამიერიდან როგორც კი გაციების პირველ ნიშნებს იგრძნობ, ლოგინში ჩანვები და კარგადაც ჩაიფუთნები. აქ, პერუში, მე უმწეო ვარ. აბა, როგორ დაგეხმარო? ნუ იქნები თვითრჯული, ძვირფასო. ღმერთმა გაკურთხოს. მართლა, ამანათში, რომელსაც დღეს გიგზავნი, ცოტაოდენი ხის ფისი ჩავდე, წმ. თომას მონასტრის მონაზონი ქალები რომ კარდაკარ დაატარებენ. არ ვიცი, რამდენად გამოგადგება. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ზიანს მაინც არ მოგიტანს. როგორც გადმომცეს, ქალთა მონასტრის გულუბრყვილო მონაზვნები თურმე ისე ბლომად ისუნთქავენ მას, რომ მსახურების დროს საკმეველის სურნელება აღარც კი იგრძნობაო. არ ვიცი, მართლა ღირს რამედ თუ არა, მაგრამ რას ჰკარგავ, შენ მაინც სცადე, იქნება დამშვიდდე, ჩემო საყვარელო. ჰო, მართლა, მის უკათოლიკეს-დიდებულებას ვუგზავნი მშვენიერ ოქროს ჯაჭვს (ქალიშვილმა ადრე მისწერა დედამისს: „კარგ მდგომარეობაში შენახული ოქროს ჯაჭვი ჩამომივიდა და ინფანტის ნათლობის დღისათვის გაკეთებაც მოვასწარი. მისმა უკათოლიკეს-უდიდებულესობამ მოწყალება მიიღო და თავისი აღფრთოვანება გამოხატა ყელსაბამის ხილვისას, ხოლო როცა მოვახსენე, რომ ეს შენი საჩუქარი იყო, დიდად შეგიქო გემოვნება. აუცილებლად გამომიგზავნე მსგავსი სამკაული და რაც შეიძლება სასწრაფოდ. საქმეს ნულარ გადასდებ და კამერჰერის ხელით მაახლე“). გაფრთხილებ, სულაც არ არის საჭირო შეიტყოს, რომ მის ხელში ჩასაგდებად იძულებული გავხდი სურათში შევმძვრალიყავი. მახსოვს, წმ. მარტინის ეკლესიის საცავში ველასკესის დამაარსებ-

ლის პორტრეტი ჰკიდია, რომელზედაც იგი თავის მეუღლესთან და მემკვიდრესთან ერთად არის გამოსახული. მეუღლეს კისერზე ოქროს ჯაჭვი ჰკიდია. გავიფიქრე, სწორედ ეს ჯაჭვი გამოდგება-მეთქი, ჰოდა, ერთხელ შუალამისას ეკლესიის განძეულებათა საცავში შეუმჩნევლად შევიპარე, შესამოსელის მაგიდაზე თორმეტი წლის გოგოსავით ავცოცდი და პირდაპირ ნახატში შევაბიჯე. რალაცა მომენტში ტილომ წინააღმდეგობა გამინია, მაგრამ, ჩემს ბედად, თვით მხატვარი შემომეგება და დამეხმარა საღებავებს შორის გავმძვრალიყავი. მე გულახდილად მოვახსენე, რომ ესპანეთის ერთ ულამაზეს ქალბატონს, ვისაც ქვეყნად ბადალი არ ჰყავს, სურს ეს ჯაჭვი საჩუქრად მიართვას მსოფლიოში უგულმონყალეს ხელმწიფეს. აი, ასე უბრალოდ მოხდა ყველაფერი. ვიდექით ჩვენ ოთხნი და წყნარი ხმით ვმუსაიფობდით ნაცრის და ვერცხლისფერ ფონით გარემოსილნი, ფერებით, რაც ესოდენ დამახასიათებელია ველასკესის მხატვრობისათვის. ამჯერად ოქროსფერი ფონი მიზიდავს: თვალი სასახლეზე მიჭირავს: საღამო ტიცინის ერთ-ერთ სურათში მსურს გავატარო, თუ, რა თქმა უნდა, მეფისნაცვალი ნებას დამრთავს. მართლა, მეფისნაცვლის ხსენებაზე, — მის აღმატებულებას ისევ ანუხებს ნიკრისის ქარი. იმიტომ ვამბობ „ისევ“, რადგან კარის მლიქვნელები ირწმუნებიან, რომ თითქოს, არის დღეები, როცა ტკივილი სულ არ ანუხებსო. მაგრამ აი, მოანია წმ. მარკიზის დღემ და მისი აღმატებულება გაემზადა სტუმრებოდა უნივერსიტეტს, სადაც ოცდაორი ახლადგამომცხვარი ექიმი უნდა მოვლენოდა ქვეყანას. ის-ის იყო სავარძლიდან რის ვაი-ვაგლახით კარეტაში გადასვეს, რომ საშინელი ყვირილი მორთო — აქედან ფეხს ვერ მოვიცვლიო. სასწრაფოდ დააბრუნეს ისევ საწოლში, სადაც ყველაზე სურნელოვან სიგარას ბოლო ნააჭრევინა და პერიკოლას მოსაყვანად კაცი გაგზავნა. და სანამ ჩვენ ვისმენდით ვრცელ აკადემიურ მისალმებებს, წარმოთქმულთ მეტ-ნაკლებად ლათინურ ენაზე, იგი ყურს უგდებდა ათასგვარ ჭორს — ჩვენ შესახებ მეტ-ნაკლებად ესპანურ ენაზე, მოყოლილს ქალაქის ყველაზე აღისფერ და ბოროტ ბაგეთაგან. (დონა-მარ-

იამ თავს ნება მისცა მიენერა ეს პასაჟი, მიუხედავად იმისა, ქალიშვილისგან ახლადმიღებულ ბარათში ამოიკითხა: „რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, რომ მეტი წინდახედულება გმართებს, როცა ასეთ რამეებს მწერ. ბარათს ხშირად ატყვია კვალი იმის, რომ გზაში ვიღაცას გაუხსნია იგი. აბა, რას შეიძლება უფრო ბოროტი ენა გამოაბა, თუ არა შენს შენიშვნებს ადამიანზე — შენც კარგად ხვდები, ვისაც ვგულისხმობ, — მანდ კუსკოში, ასეთი შენიშვნები სასაცილო სულაც არ არის, თუმცა, დონ ვინსენტე თავის პოსტსკრიპტუმში მაღლობას გითვლის ამისთვის. ამ ბარათებს შეუძლიათ უამრავი უსიამოვნება შეგვამთხვიოს აქ, ესპანეთში, განსაზღვრულ პირებთან ურთიერთობაში. სწორედ გითხრა, გაცუბას ვარ, რომ შენმა უგუნურებამ აქამდე საბაბი არ მისცა ხელისუფლებას შენსავე საკუთარ მამულში გასაძევებლად“).

„საზეიმო ცერემონიაზე ხალხის ტევა არ იყო. ორი ქალბატონი აივნიდანაც კი გადავარდა. მაგრამ მოწყალე ღმერთმა წინასწარ ისე განსაზღვრა, რომ ისინი დონა-მერსედესს ზედ დასცემოდნენ; სამივე მძიმედ დაშავდა. მჯერა, ერთ წელიწადში ყველას ყველაფერი დაავიწყდება და სხვა თემებზე დაიწყებენ საუბარს. სწორედ ამ დროს, როცა ეს ამბავი ხდებოდა, პრეზიდენტი სიტყვას წარმოთქვამდა და ვინაიდან იგი საკმაოდ ბეცია, კარგად ვერ დაინახა, თუ რა მოხდა და რამ გამოიწვია ეს ჩოჩქოლი, ერთ სანახაობად ღირდა ამის ყურება, როგორ იხსნებოდა წელში და მაღლობას უხდოდა დამსწრე საზოგადოებას, დარწმუნებული, რომ ეს აჟიოტაჟი მისმა სიტყვამ გამოიწვია.“

რადგან სიტყვა პერიკოლასა და აპლოდისმენტებზე ჩამოვარდა, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ მე და პეპიტამ გადავწყვიტეთ იმ საღამოს კომედიის თეატრში წავსულიყავით. მაყურებელი კვლავინდებურად ეთაყვანება თავის პერიკოლას და, წარმოიდგინე, ასაკსაც კი პატიობს. ამბობენ, ახალგაზრდულ იერს დღემდე იმით ინარჩუნებს, რომ ყოველ დღით ლოყებზე რიგრიგობით ხან ყინულიან, ხან კი ცეცხლოვან ფანქარს ისვამსო. (ესპანური ენის ეს უცნაური, ზიზილ-პიპილოიანი სახოვანება თარგმნისას ბევრს ჰკარგავს და ეს

სულაც არ შეეფერებოდა სიმართლეს — ეს მხოლოდ კონდესას, დონა-კლარას გულსაამებლად პირმოთნეობით იყო ნათქვამი. იმ ხანად სახელგანთქმული მსახიობი ქალი ოცდარვა წლისა თუ იქნებოდა, გადატყეცილი კობტა ლოყებს მუქი ყვითელი მარმარილოს ფერი დაჰკრავდა და ეტყობოდა, კიდევ მრავალ წელს შერჩებოდა ეს ფერი, რა თქმა უნდა გრიმის გარეშე, რასაც მხოლოდ წარმოდგენების დროს ხმარობდა. ერთადერთი რამ, რასაც კამილა-პერიკოლა სილამაზის შესანარჩუნებლად თავს ნებას აძლევდა გამოეყენებინა, — იყო ის, რომ დღეში ორჯერ სახეზე ცივ წყალს იმხაპუნებდა გლენის გოგოების მსგავსად, თავს ცივი წყლის გობში რომ ჰყოფენ ხოლმე).

„ის უცნაური კაცი, ძია პიოს რომ ეძახიან, პერიკოლას გვერდიდან არ შორდება. დონ-რუბიო გაიძახის: — ვცდილობ, მაგრამ ვერ ქნა ვერ გავიგე — ძია პიო კამილას მამად ეკუთვნის, შვილია, თუ საყვარელი. პერიკოლამ მართლაც მშვენიერი სპექტაკლი წარმოგვიდგინა. შეგიძლია პროვინციელი ბრიყვი მიწოდო, მაგრამ თქვენ ესპანეთში ასეთი მსახიობი ქალი არ გყავთ“. და ასე შემდეგ.

სწორედ ამ სპექტაკლზე დასწრებას მოჰყვა შემდგომი ამბები. მარკიზამ გადაწყვიტა კომედიის თეატრში წასვლა, სადაც პერიკოლა დონ-ლეონორას პარტიას ანსახიერებდა მორეტოს „ჩიტირეკიაში“, — ალბათ იმ განზრახვით, რომ რაიმე საკბილო მასალა მოეპოვებინა და შემდეგ ქალიშვილისადმი გასაგზავნ წერილებში გამოეყენებინა. თეატრში თან პეპიტაც იახლა — გოგო, ვის შესახებაც ცოტა უფრო ბევრს შევიტყობთ ოღნავ გვიან. იგი როგორც კომპანიონი დონა-მარიამ დროებით გამოითხოვა ობოლთა თავშესაფრიდან, რომელიც სანტა-მარია როზა დელა როსას მონასტერთან არსებობდა. მარკიზა თავის ლოჟაში მოთავსდა და გარინდდა. იგი თანდათან ნაკლებ ყურადღებას იჩენდა სცენისადმი. მოქმედებათა შორის პერიკოლა როგორც წესი, როლს გვერდზე გადასდებდა ხოლმე და ავანსცენაზე, ფარდის წინ გამოდიოდა, რათა სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე კუპლეტები წაემღერა. ენამწარე მსახიობმა შენიშნა, რომ სპექტაკლს მარკიზაც ესწრებოდა და

უმალ იმპროვიზირებული კუპლეტებით გადაჰკრა მის გარეგნობას, სიძუნწეს, სმისადმი მიდრეკილებას და წარმოიდგინეთ, იმასაც, რომ ქალიშვილი ხელიდან გაუფრინდა. მსახიობმა ქალმა მთელი დარბაზის ყურადღება ოსტატურად მიმართა მოხუცი ქალბატონისკენ. დარბაზში ნელ-ნელა გამოკრთა უკმაყოფილება გესლიანი ხითხითის თანხლებით. მაგრამ კომედიის პირველმა ორმა მოქმედებამ ისე ღრმად ააღლევა მარკიზა, რომ საეჭვოა ფარდის წინ მომღერალ ქალს ამჩნევდა. იგი ლოყაში იჯდა და ერთ წერილს მისჩერებოდა, — ფიქრი მისი ესპანეთს დასტრიალებდა. პერიკოლა უფრო და უფრო გათამამდა; დარბაზი კი ბრბოსათვის დამახასიათებელი სიძულვილითა და ბოროტეული ზემოთ დაიშუბტა. ბოლოს პეპიტამ სახელოზე ჩამოქაჩა მარკიზას და წასჩურჩულა, რომ წასვლის დროაო. ლოყიდან გამოსვლისას დარბაზი ფეხზე წამოიჭრა და ყიჟინა დასცა. როცა ბოლო რიგში პერიკოლამ იმპრესარიოს თვალი მოჰკრა, შმაგივით ცეკვას მოჰყვა, რადგან მიხვდა, რომ იმ დღიდან ჰონორარი მოემატებოდა. მარკიზას კი კვლავინდებურად წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რა მოხდა, პირიქით, სავსებით ნასიამოვნები ჩანდა: წარმოდგენის მსვლელობისას ერთი-ორი ისეთი ფრთიანი ფრაზა მოუვიდა თავში, — ფრაზა, რომელიც (ვინ იცის?) მის ქალიშვილს ღიმილს მოჰგვრის და, ალბათ, თავისთვის ჩაილაპარაკებს: „არა, რაც არ უნდა თქვა და, დედაჩემი მართლაც შეუდარებელი ქალია!“

მაღე მეფისნაცვალს მოახსენეს, რომ თეატრში მისი კარის ერთ-ერთი არისტოკრატი საჯაროდ გაამასხარავესო. მან დაუყოვნებლივ იხმო სასახლეში პერიკოლა და უბრძანა მაშინვე შინ სწვოდა მარკიზას და ბოდიში მოეხადა. ამასთანავე აუცილებლად ფეხშიშველა და შავ კაბაში გამოწყობილი უნდა ხლებოდა. კამილა შეეცადა შედავებოდა და გაჭირვებულა, მაგრამ ფეხსაცმელების მეტი ვერაფერი გამოსტყუა. მეფისნაცვლის დაჟინებულ მოთხოვნას სამი მიზეზი ედო საფუძვლად. პირველი ის, რომ როგორ გაბედა მსახიობმა ქალმა უპატივისცემოდ მოჰყრობოდა მისი კარის წევრს, პერუში იძულებითი გადასახლება რომ როგორმე ასატანი გაეხა-

და, დონ-ანდრესმა ისეთი ჩახლართული ცერემონიალი შეიმუშავა, რომ მისი დამახსოვრება მხოლოდ იმ საზოგადოებას ხელენიფებოდა, რომელსაც სხვა საზრუნავი არა ჰქონდა რა, გარდა კარზე უსაქმურობისა. მეფისნაცვალი ზედ დაჰკანკალებდა თავის მიერ შეკონინებულ მცირერიცხოვან არისტოკრატობას და მის უმნიშვნელო პრივილეგიებს. ამიტომაც, შეურაცხყოფა, მიყენებული მარკიზისადმი, მის შეურაცხყოფასაც ნიშნავდა როგორც ოფიციალური პერსონისა. მეორე — დონა-მარიას სიძის გავლენა ესპანეთის სამეფო კარზე დღითიდღე იზრდებოდა. იგი ისეთი უფლებით იყო აღჭურვილი, რომ თავისუფლად შეეძლო მეფისნაცვილსათვის ზიანი მიეყენებინა, უფრო მეტიც — შეეძლო ძირი გამოეთხარა და მისი ადგილი დაეკავებინა. ერთი სიტყვით, გრაფი ვინსტე დაბუარის გაღიზიანება ნამდვილად არ ღირდა თუნდაც მისი ნახევრად გამოთაყვანებული სიდედრის გულისთვის.

და, ბოლოს, მეფისნაცვალს მსახიობქალის დამცირება სიამოვნება ჰგვრიდა, რადგან ეჭვი ჰქონდა, რომ კამილა მას მატადორთან, ან რომელიღაც სხვა მსახიობთან ღალატობდა, მაგრამ კარისკაცთა მლიქვნელობით დაბრმავებულს და ნიკრისის ქარით გატანჯულს ველარ დაედგინა კერძოდ ვისთან ღალატობდა.

იმის გარდა, რომ მარკიზას არ მოუხმენია ის შეურაცხმყოფელი კუპლეტები, არც სხვა მხრივ იყო შემზადებული მსახიობქალის ვიზიტისათვის. უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ რაც ქალიშვილს დაშორდა, მას მიჰყო ხელი. საზოგადოდ, პერუში ყველა წრუპავდა ჩიჩას და სამარცხვინოდ სულ არ ითვლებოდა, თუ დღესასწაულების დღეებში ქუჩაში ვინმეს უგონოდ მთვრალს ნახავდნენ. დონა-მარიამ ერთხელ თავის თავს შეატყო, რომ აღგზნებული მონოლოგების შემდეგ ღამლამობით ძილი აღარ ეკარებოდა. ერთხელ, როგორღაც მოხდა, რომ ძილის წინ კოხტა ნათალი ჭიქით სავსე ჩიჩა გადაჰკრა. თავდავინყება იმდენად ნეტარების მომგვრელი აღმოჩნდა, რომ მაღე უფრო დიდი პორციებით ყლაპავდა სასმელს, თან ცდილობდა პეპიტასათვის დაემალა ამის შედეგი: თავს იკატუნებდა — პირი თითქოს იმქვეყ-

ნისკენ ჰქონდა. ბოლოს ამ მოჩვენებითობაზედაც აიღო ხელი. ესპანეთში მიმავალი ხომალდი, რომელსაც ფოსტა მიმოჰქონდა, თვეში ერთხელ გადიოდა. მთელი კვირით ადრე, ვიდრე წერილს შეადგენდა, ქალაქის სხვადასხვა საზოგადოებაში იწყებდა ტრიალს სათანადო მასალის შესაგროვებლად. ბოლოს, ფოსტის გაგზავნის წინა ღამით ბარათს შეადგენდა, პაკეტს გაამზადებდა და პეპიტას გადასცემდა, რათა მას თავის მხრივ მოხელესათვის ჩაეზარებინა. მერე კი, მზის ამოსვლის შემდეგ, ოთახში ჩაიკეტებოდა, რამდენიმე ბრტყელმუცლიან ბოთლს გვერდით მოიდგამდა და შემდგომ ორ-სამ კვირას ასეთ ვითარებით ატარებდა. ზედმეტ ფიქრით გონებას აღარ იღლიდა. ბოლოს, იგი ახერხებდა თავი დაეღწია ნეტარების ამ მორევისათვის და ახალ ეტაპზე გადასასვლელად თადარიგს იჭერდა, რომ შემდეგი ბარათი შეემზადებინა.

თეატრში ატეხილი სკანდალის შემდეგ სწორედ ამგვარ ვითარებაში მარკიზამ ღამით შეადგინა XXII წერილი, რის შემდეგაც ჩიჩათი სავსე გრაფინს ხელი წაავლო და დასაძინებლად მიწვა.

მთელი მეორე დღე პეპიტა ოთახში ფუსფუსებდა და ლოგინში უძრავად მწოლიარე სხეულს შეშფოთებით დაჰყურებდა. შემდეგ კი, ვახშობის დროისათვის თავისი ხელსაქმე ოთახში შემოიტანა. მარკიზა იწვა და ფართედ გახელილი თვალებით ჭერს მისჩერებოდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. ის იყო ჩამობინდდა, როცა პეპიტა კართან მოიხმეს და აცნობეს, რომ პერიკოლა ქალბატონის სანახავად მოსულიყო. პეპიტას მშვენივრად ახსოვდა თეატრში მომხდარი ამბავი და გაბრაზებით მიუგო, რომ ქალბატონი უარს აცხადებდა მიღებაზე. მსახური დანაბარების გადასაცემად სადარბაზო კარისკენ გაემართა, მაგრამ უმალ დაბრუნდა და შიშნარევი მოკრძალებით წარმოსთქვა, რომ სენიორა პერიკოლას თვით მეფისნაცვლის მონერილობა აქვს ქალბატონის სახელზეო. პეპიტა ფეხაკრეფით მივიდა სანოლთან და შეეცადა მარკიზას დალაპარაკებოდა. დონა-მარიამ უაზრო მზერა ახლა გოგოს მიაპყრო. პეპიტამ ნაზად შეანჯღრია. მარკიზას დიდი ძალისხმევა დასჭრდა, რომ ყურადღება მოეკრი-

ბა, რათა გაეგო თუ რას ეუბნებოდნენ. ორჯერ ზურგზეც კი გადაიქცა იმედაკარგული, რადგან ვერ ხვდებოდა რას თხოვდნენ. ბოლოს (იმ გენერლის მსგავსად, რომელიც თქეშა და ღამის წყვდიადში როგორღაც მაინც ახერხებს, ჯარის გაფანტული ნაწილებს თავი მოუყაროს) მარკიზამაც შესძლო მეხსიერების და გონების ზოგიერთი უნარის დაძაბვა. შეჭირვებული სახით ხელი შუბლზე მოიჭირა და მოითხოვა საგანგებო ჭურჭლით ყინულის ნატეხები მოეტანათ. და როცა მორთვეს, ნამძინარევე სახეს, საფეთქლებს და ლოყებს დიდხანს ისრესდა. წამოდგომის შემდეგ, სანოლის ზურგს მიყრდნობილი კიდევ რამდენიმე ხანი გაუნძრევლად იდგა და ფეხსაცმელებს დაჰყურებდა. ბოლოს თავი მტკიცედ ასწია და ბენვით განწყობილი წამოსასხამი და ვუაღლი მოითხოვა. მერე გამოეწყო და კოხტა მისაღებ ოთახში ბარბაცით გავიდა, სადაც მსახიობი-ქალი უკვე ფეხზე იდგა და ელოდებოდა.

კამილას თავიდან განზრახული ჰქონდა ცოტა აგდებით ან ვითარების მიხედვით — უტიფრადაც კი მოქცეულიყო. მაგრამ მოხუცი ქალის ღირსეულმა თავდაჭერამ გააოგნა და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. აბრეშუმით და ხავერდულით მოვაჭრის ქალიშვილს სათანადო შემთხვევებში დიდებულად შექმლო მონტემაიორების საგვარეულოს დამახასიათებელი თვისებებით თავი წარმოეჩინა. მით უმეტეს, თუამავე დროს ოდნავ ნასვამიც გახლდათ. — მაშინ ხომ თვით ჰეკუბას დიდებულებით იმოსებოდა. კამილას წარმოდგენით მარკიზას ნახევრად დახრილი ქუთუთობი მას ძალაუფლებით დაღლილი ადამიანის იერს სძენდა, ამიტომაც, ცოტა არ იყოს, მოკრძალებით დაიწყო:

— სენიორა, გიახელით, რათა დავრწმუნებულებიყავი მცდარად ხომ არ გაიგეთ ჩემი ნათქვამი იმ დღეს, როცა თქვენმა მონყალებამ პატივი დამდო და თეატრში მენვია?

— მცდარად? მცდარად? — გაიკვირვა მარკიზამ.

— შეიძლება თქვენს უგანათლებულესობას სწორად არ მოესმა ჩემი ნათქვამი და იფიქრა, რომ უპატივცემულოდ მოვიხსენიე თქვენი უგანათლებულესობა?

— მე მომიხსენიეთ?

— მამ თქვენს უგანათლებულესობას არაფერი სწყენია თავისი მონა-მორჩილი მსახურისგან? თქვენს უგანათლებულესობას, რა თქმა უნდა, შეგნებული აქვს, რომ ჩემს მდგომარეობაში მყოფი ერთი საბრალო, გრძნობებს ვერ აჰყვება და ეცდება თავის ქერქში დაეტიოს... რომ ძალიან ჭირს... რომ ყველაფერი...

— სენიორა, მაინც რატომ უნდა ვიყო ნაწყენი? გახსენდება მხოლოდ ის, რომ თქვენ დიდებული წარმოდგენა გამართეთ. თქვენ მშვენიერი მსახიობი ბრძანდებით. თქვენ ბედნიერი უნდა იყოთ, ბედნიერი! პეპიტა, ჩემი ცხვირსახოცი...

ეს სიტყვები მარკიზამ სწრაფად და ცოტა გაუგებრად წარმოსთქვა. პერიკოლა დაიბნა. მისი არსება სირცხვილის გრძნობამ მოიცვა. სახეზე ალმური მოეკიდა. ბოლოს როგორც იქნა წაილულლულა:

— ეს მაშინ მოხდა, როცა ანტრაქტებს შორის ვმღეროდი. ვშიშობ, რომ თქვენი უგანათლებულესობა...

— დიახ, დიახ, ახლა გამახსენდა. მე ხომ ბოლომდე არ დავრჩენილვარ... პეპიტა, განა ჩვენ ადრე არ წამოვედით? მაგრამ, სენიორა, იმედია იმდენ სულგრძელობას გამოიჩინეთ, რომ ბოლომდე დარჩენა ვერ მოვახერხებ. დიახ, მომხიბვლელი სპექტაკლის შუანახევრიდან... პეპიტა, სულ გადამავიწყდა, რატომ მივატოვეთ წარმოდგენა?... ჰო, გამახსენდა — თავი უგუნებოდ ვიგრძენი...

ძნელი დასაჯერებელია, თეატრში ისეთი ვინმე ყოფილიყო, ვინც ვერ მიხვებოდა თუვის დასცინოდა მსახიობი ქალი. კამილას ისლა დარჩენოდა ეფიქრა, რომ მარკიზა საოცარი დიდსულოვნების გამო თავს ისე იჭერდა, თითქოს არც არაფერი შეუნიშნავს. სირცხვილისგან ლამის იყო ცრემლებად დაღვრილიყო.

— ო, რაოდენ კეთილი ბრძანდებით, რომ ჩემს ბავშვურ გამობდომას ყურიც არ ათხოვეთ, სენიორა, უკაცრავად — მინდოდა მეთქვა — თქვენო ბრწყინვალე ბავ. ოჰ, არ ვიცი, არ ვიცოდი, თუ ასეთი კეთილი ბრძანდებოდით. სენიორა, ნება მიბოძეთ ხელზე გემთხვიოთ.

განცვიფრებულმა დონა-მარიამ ხელი გამოსტაცა. ასეთი პატივისცემა დიდი ხანია არავის გამოუჩენია მისდამი. ყველა,

ვინც მასთან ურთიერთობაში იმყოფებოდა: მეზობელი, მეწვრილმანე ვაჭარი თუ მოახლე და მათ შორის — პეპიტაც, — შიშითა და მოკრძალებით ეპყრობოდნენ, ის კი არა, საკუთარ ქალიშვილსაც არ გამოუჩენია ასეთი ყურადღება. მარკიზა უჩვეულო გრძნობამ შეიპყრო, თუმცა, უფრო სწორე იქნებოდა თუ ამ გრძნობას გულისაჩუყებას დავარქმევთ. მას ლაპარაკის საღერღელი აეშალა.

— მე შენზე ნაწყენი?... ნაწყენი შენზე, ჩემო მშვენიერო... ჩემო ნიჭიერო ბავშვო! განა თვითონ მე ვინა ვარ?... ერთი გამოჩერჩეტებული, ყველასაგან უსიყვარულოდ მიტოვებული დედაბერი... მე რა უფლება მაქვს შენზე უკმაყოფილო ვიყო. ვგრძნობ, შვილო ჩემო, რომ თითქოს მე ვარ... მოიცა, როგორ ამბობს პოეტი, ჰო, — „და ღრუბლებიდან მოისმოდა ანგელოზთა ტკბილი გალობა“. იცით, თქვენი ხმის კილომ ჩვენი მორეტის პოეზიის მრავალი ნიუანსი ახლებურად ააჟღერა, როცა წარმოსთქვამდით:

Don Juan, Si mi amor estimas,
Y la fe Segura es necia,
Enojarte mis temores
Es no quereme disereta
Tan seguros...

და ასე შემდეგ, — დიახ, ეს სიმართლეა. მართლაც, რა დიდებული შესტი გამოგვივინდათ პირველი მოქმედების დასასრულს! ხელით რომ აი, ასე გააკეთეთ. ეს ხომ ქალწულ მარიბის შესტია, როცა მთავარანგელოზს გაბრიელს ეკითხებოდა: „ეს როგორ შეიძლება, რომ მე ბავშვი მეყოლება?“ არა, არა, ვიცი გამინაწყენდებით, მაგრამ ერთი შესტის შესახებ მაინც უნდა მოგახსენოთ. იქნებ როდისმე გაგახსენდეთ და სცენაზე გამოიყენოთ. დიახ, ამგვარი შესტი მართლაც რომ დაამშვენებდა იმ სცენას, სადაც თქვენ დონ ჟუან დე ლარას ჰპატიობთ.

ვფიქრობ, ღირს მოგახსენოთ, რომ საკუთარი თვალთ მიხილავს თუ როგორ გამოხატა ეს შესტი ჩემმა ქალიშვილმა. მართლა, იცით რა ლამაზია ჩემი ქალიშვილი? ყველა მიიჩნევს, რომ... თქვენ, თქვენ თუ იცნობდით, სენიორა, ჩემს დონა-კლარას?

— მისმა ბრწყინვალეობამ არაერთხელ დასდო პატივი ჩემს თეატრს თავისი ვიზ-

ივით. მე კარგად ვცნობ სახეზე გრაფის მეუღლეს.

— ფეხზე წამოდექით, მუხლმოდრეკილი რატომ დგახართ, ჩემო ბავშვო? პეპიტა, ხენერიოს სთხოვე დაუყოვნებლივ მორათვას სენიორას ტკბილი ნამცხვარი. იცით, ჩვენ ერთხელ ლაპარაკი მოგვივიდა ერთმანეთში. ახლა აღარც მახსოვს რაზედ, უჩვეულო ამაში არაფერია. ჩვენ, დედები, დრო და დრო... ყური დამიგდეთ, იქნებ ცოტა ახლოს ჩემსკენ მოინიოთ... ჰო, ხალხის მითქმა-მოთქმას არ დაუჯეროთ თითქოს უდიერად მექცეოდა. თქვენ მშვენიერი და ამაღლებული ბუნების ადამიანი ბრძანდებით და გაცილებით ღრმად ერკვევით ასეთ ამბებში, ვიდრე ბრბო. თქვენთან საუბარი ჭეშმარიტი სიამოვნებაა. მართლა, რა მშვენიერი თმა გქონიათ, რა ლამაზი! ო, იმას ვამბობდი; — ვიცი, რომ გულითადობა და იმპულსურობა მისი ბუნება არ არის. მაგრამ, ო, ჩემო ბავშვო, სამაგიეროდ ჭკუა-გონებითაა სავსე და სულგრძელობითაა გამორჩეული. ჩვენს შორის ყველა არსებული გაუგებრობის მიზეზი მარტოოდენ ჩემშია და განა გასაოცარი არ არის, რომ იგი ყოველთვის სწრაფად მპატიობს ხოლმე? იმ დღესაც სწორედ ამგვარი პატარა გაუგებრობა მოგვიხდა. უამრავი გულსატეხი რამ ერთმანეთს პირში რომ მივხალეთ, მერე ჩვენ ჩვენს ოთახებში ჩავიკეტეთ. მაგრამ მალე ისევ ერთმანეთს დაგუბრუნდით პატიების სათხოვნელად. ბოლოსდაბოლოს, ჩვენს ოთახებს ხომ ერთი კარი ჰყოფს და ურთიერთობისათვის საკმარისია სხვადასხვა

მხარეს გამოვალთ იგი. მოკლედ, მან სახეზე თავისი ფუნჩულა ხელები მომისვა და აი, ასე... მიყურე.

მარკიზა კინალამ სავარძლიდან გადმოვარდა. როცა წინ გადახრილი, ლოყებზე ბედნიერების ცრემლჩამოდინარე ცდილობდა ნეტარსენებული ჟესტი ეჩვენებინა, — ალბათ, უფრო სწორად თუ ვიტყვით — მითიური, — რადგან ეს უკვე აკვიატებული ოცნების გამოხატვას წააგავდა.

— მიხარია, რომ მინახულეთ, — განაგრძო მან. — ვინაიდან ახლა უშუალოდ ჩემი პირით მოისმინეთ, რომ იგი სულაც არ მეპყრობოდა უპატივისცემოდ, ყური მიგდეთ, სენიორა, ყველაფერში დამნაშავე მე ვარ! შემომხედეთ და კარგად დამიგდეთ

ყური! რალაც შეცდომის გამო ასეთი მშვენიერი ქალიშვილის დედა აღმოვჩნდი. მე ხომ ძნელად ასატანი დედაბერი ვარ — ფხუკიანი და თავშეუკავებელი, — თქვენ და ის კი — დიდსულოვანი ქალები. არა, მოიცათ, ნუ გამანყვეტინებთ. თქვენ იშვიათი არსებანი ხართ, მე კი — ერთი ნერვებმომპილი, ტუტუცი და გამორჩეულბული დედაბერი. ნება მომეცი, ფეხები დაგიკოცნოთ. დიახ, მე აუტანელი ვარ, აუტანელი!

ამჯერად დონა-მარია მართლა გადმოვარდა სავარძლიდან. პეპიტამ ძლივძლივობით ასწია და სავარძელში ჩასვა. პერიკოლა შინ გულდამძიმებული დაბრუნდა. ხელისგულებში თავჩაგრული იგი დიდხანს იჯდა სარკის წინ და გაშტერებული შეჰყურებდა თავის თავს.

მაგრამ ის, ვინც მარკიზას ცხოვრების საათების მუდმივი მოწმე იყო, — ეს მისი კომპანიონი პატარა პეპიტა გახლდათ. ობოლი პეპიტა ქალაქ ლიმას უცნაურმა გენიამ — ქალთა მონასტრის წინამძღვარმა დედა მარია დელ პილარმა აღზარდა. ერთადერთი შემთხვევა, როცა პერუს ეს ორი ღირშესანიშნავი ქალბატონი (ყოველ შემთხვევაში, ისტორიის ჭრილში ისინი ამგვარად გამოიკვეთნენ), ერთმანეთის პირისპირ შეხვდა პირველად, — იყო ის დღე, როცა მარკიზამ სანტა მარია დელას როზას მონასტრის წინამძღოლი მოინახულა და სთხოვა, იქნება ობოლთა თავშესაფრის რომელიმე სარისტიანი გოგო კომპანიონის სახით, დროებით დაეთმო მისთვის. ქალთა მონასტრის წინამძღოლმა გულდასმით შეათვალთქვა გროტესკული იერის დედაბერი. ამ ქვეყნად თვით უბრძნესი ადამიანის სიბრძნეც კი ბოლომდე სრულყოფილი არ არის და დედა მარია დელ პილარს, ვისაც უნარი გააჩნდა განეჭვრიტა ნებისმიერი გულგრილობის და უგუნურების ნიღაბს ამოფარებული უბედური ადამიანის ნამდვილი გულის ძვერა — მარკიზა დე მონტემაიორის მიმართ რატომღაც ალლომ უმტყუნა. აბატისამ უამრავი კითხვა დააყარა მარკიზას. მერე იყურა და მცირე ხმით ჩაფიქრდა, ერთი მხრივ სურდა პეპიტასათვის საერო ცხოვრების გარკვეული გამოცდილება მიეცა, მეორეს მხრივ კი უნდოდა მარკიზა თავის მიზნებისათვის გამოეყენებინა. ამავე

დროს, ქვეცნობიერად მას აღიზიანებდა ის გარემოება, რომ საუბარი უხდებოდა იმ ადამიანთან, ვინც პერუში ერთ-ერთ უმდიდრეს, მაგრამ, ასევე, ყველაზე გალოთებულ ქალად ითვლებოდა.

აბატისა ერთი იმ პიროვნებათაგანი გახლდათ, ვინც თავის ცხოვრებას მტლად უდებს იდეის მსახურებას, იდეისა, რომელიც რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებს ისტორიის კანონზომიერებით დადგენილ ვადას: — იგი შეებრძოლა თავისი ეპოქის ჩამორჩენილობას იმ სურვილით შეპყრობილი, რომ ქალებისათვის გარკვეული უფლებები მოეპოვებინა. ღამლამობით, როცა მონასტრის დღიური საქმიანობის აღრიცხვა-შეჯამებას მოათავებდა, მომავლის გიჟურ ხილვებს მიეცემოდა და ცდილობდა განეჭვრიტა ის ეპოქა, როცა ქალები საკუთარი თავის დაცვას შეძლებდნენ და პრობლემების მოგვარებას თვითონვე მოახერხებდნენ. თუნდაც ისეთებისას, როგორცაა, მაგალითად, ქალთა მოგზაურობის საკითხი; ქალი როგორც მოსამსახურე; ქალი მოხუცებულობის დროს ან დაუძღურების შემთხვევაში; იმ ქალების შრომის პირობების მონესრიგება, რომლებიც მას უშუალოდ პოტოსის მაღარიებში, ანდა მანუფაქტურის მრეწველთა ცეხებში უნახავს მომუშავენი. ბოლოსდაბოლოს ხომ საჭირო იყო იმ ახალდაბადებულ ბავშვთა საკითხის მოგვარებაც, რომელთაც იგი წვიმიან ამინდში ღამლამობით პოულობდა ქუჩაში მიგდებულთ, მაგრამ მეორე დღესვე, გათენდებოდა თუ არა, აბატისა მაშინვე, კიდევ ერთხელ რწმუნდებოდა, — და თანაც მწარედ, — რომ პერუელი ქალები, — თვით საკუთარი მონაზვნების ჩათვლით, — მთელი ცხოვრება ორგვარი შეგნებით ცხოვრობდნენ! ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ ყველა უბედურებათა მიზეზი, რომელიც მათ თავს დასტყდომიათ ან მომავალში შეიძლება შემთხვევოდ, მდგომარეობდა იმაში, რომ მამაკაცთა გამოსაჭერად მომხიბვლელობა აკლდათ. სხვები კი ფიქრობდნენ, რომ მამაკაცის ხვევნა-ალერსი ყოველგვარ გაჭირვებას იოლად გადაატანინებდა. აბატისას ქვეყნის არცერთი სხვა მხარე არ ენახა, გარდა ღიმას სანახებისა და, ამიტომ, დარწმუნებული იყო, რომ ადამიანთა მანკიერებანი კაცთა მოდგმის ჩვეუ-

ლებრივზე ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ახლა, როცა ჩვენი საუკუნის სიმალლიდან წარსულს გავცქერით, ვრწმუნდებით, რომ მის იდეებს სრული კრახი ელოდა. მისი მსგავსი ოცი ქალიც კი, — არა თუ ერთი იმ საუკუნეში, — ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა და, მაინც, იგი თავდაუზოგავად განაგრძობდა თავისი მოწოდების აღსრულებას. იგი ცნობილი იგავის იმ მერცხალს ჰგავდა, რომელიც ათას წელიწადში ერთხელ ხორბლის თითო მარცვალს ეზიდებოდა მთვარემდე გორაკის აღსამართავად. ასეთი ადამიანები ყველა საუკუნეში იბადებიან. ისინი ჯიუტად, დაჟინებით ეზიდებიან თავიანთ ხვედრ ხორბლის მარცვალს და სეირის მოყვარულთა ქირქილი ერთგვარ სიამოვნებასაც კი ჰგვრით. „ერთი შეხედეთ, რა უცნაურად აცვიან?“ — გავიძახით ჩვენ: „არა, მართლაც რა ახირებულად იცვამენ!“

მისი უბრალო, მნითური სახე დიდ სიკეთეს გამოხატავდა, და კიდევ უფრო მეტ იდეალიზმს, ვიდრე სიკეთეს და კიდევ უფრო მეტ ხელმძღვანელი კაცის იერს, ვიდრე იდეალიზმისა. მისი საქმიანობის ყველა მხარე: — ზრუნვა ქსენონის შენახვაზე, ობოლ-ბავშვთა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, მონასტრის გაძლოლა, ხიფათით სავსე მოულოდნელი მგზავრობანი. — საბოლოოდ ყველაფერი ეს ფულად სახსრებთან იყო დაკავშირებული. მისი უანგარო საქმიანობა და ზრუნვა არავის აღაფრთოვანებდა. ამავე დროს, მისთვის შეუმჩნეველი როდი იყო ის გარემოება, რომ სიკეთე და იდეალიზმი მსხვერპლად ეწირებოდა გულგრილი ადამიანის ტრადიციულ მოღვაწეობას. დამქანცველი ბრძოლის ფასად სუბსიდიების გამოგლეჯა უხდებოდა ეკლესიის მაღალი რანგის მესვეურთაგან. ღიმის არქიეპისკოპოსს, — ვისაც ერთ სასიამოვნო ამბავთან დაკავშირებით ცოტა უფრო ქვემოთ უკეთ გავიცნობთ, — სძულდა იგი ვიტინიუსის სიძულვილით, — როგორც თვითონ გაიძახოდა. და როცა თავისი ცხოვრების აღსასრულზე ფიქრობდა, სანუგეშოდ ისღა რჩებოდა, რომ სიკვდილთან ერთად აბატისას ვიზიტებსაც ბოლო მოეღებოდა.

უკანასკნელ ხანებში წინამძღვარმა სახეზე არა მარტო მოახლოებული სიბერის სუნთქვა შეიგრძნო, არამედ უფრო

სერიოზული გაფრთხილების ხმაც შემოესმა. შიშისგან ტანში უსიამოვნოდ გასცრა. იმიტომ კი არა, რომ თავისი თავი ანალვლებდა, არამედ თავისი საქმის მომავალი ბედი ადარდებდა. მთელ პერუში კაცი არ ეგულებოდა, ვინც სათანადოდ დააფასებდა და განაგრძობდა იმ საქმეებს, რაც მისთვის ესოდენ ძვირფასი იყო.

ერთხელ იგი უთენია ნამოდგა, სწრაფი ნაბიჯით შემოიარა საავადმყოფო, მონასტერი და თავშესაფარი იმ განზრახვით, რომ იქნებ ისეთ ვინმეს წასწყდომოდა, ვისაც თავის ღირსეულ მემკვიდრედ მიიჩნევდა. აჩქარებით ჩაუარა გოგოებს, რომელთა სახის მეტყველებაც არაფრის მთქმელი იყო, ხოლო თუ ზოგჯერ ჩერდებოდა და ვისმეს აკვირდებოდა, ეს უფრო იმედის ნაპერწკლის ძიებას ჰგავდა, ვიდრე მიგნებას. უცებ ეზოში მისი ყურადღება მიიპყრო პატარა გოგონათა გუნდმა თერთულს რომ რეცხავდა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა გოგონა, რომელიც სარეცხის გაზთან იდგა და თანატოლებს ხელმძღვანელობდა. იგი დიდი დრამატული მგზნებარებით და დეტალებში ჰყვებოდა, ალბათ, ყველაზე ნაკლებსავარაუდებელ სასწაულებს ლიმის წმ. როსას ცხოვრებიდან. აი, ამრიგად პეპიტას აღმოჩენით დასრულდა აბატისას ძიებანი.

ადამიანში სიდიადის აღზრდა ყველა დროში საკმაოდ ძნელია. მგრძნობიარე და ეჭვიან მონაზონთა შორის კი მით უმეტეს — აქ აღზრდა უნდა ხორციელდებოდეს ფანტასტიკურად ირიბი ხერხებით. მონასტერში მას ყველაზე უსიამო საქმეების შესრულება ევალებოდა. სამაგიეროდ მოვლა-გამგეობის ყველანაირ ასპექტში გაერკვა. აბატისას სხვადასხვა საქმიანი მგზავრობისას აუცილებლად თან ახლდა თუნდაც როგორც კვერცხებისა და ბოსტნეულის მნე და გამანაწილებელი. დედამარია, მისდა გასაოცრად, ყოველნაირ ვითარებაში მცირე დროს მაინც გამონახავდა და სრულიად მოულოდნელად თავს წამოადგებოდა ხოლმე. დაიწყებოდა ხანგრძლივი საუბრები არა მხოლოდ რელიგიური საკითხების გამოცდილების ირგვლივ, არამედ იმაზედაც, თუ როგორ დაეჭირა თავი ქალებთან ურთიერთობისას, როგორ მოეწყობა პალატები სახადიანი ავადმყოფებისთვის, რა გზებითა და ხერხ-

ებით გამოენახა ფულადი სახსრები. ადამიანის სიდიადის აღზრდის გზაზე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ისიც, რომ პეპიტას მარკიზას სასახლეში ფეხი შეედგა და აბსურდული მოვალეობების შესრულებას შესდგომოდა როგორც კომპანიონი. თავიდან, პირველი ორი წლის განმავლობაში შუადღის შემდეგ პეპიტა დროდადრო შეივლიდა ხოლმე მარკიზასთან, ბოლოს კი მუდმივად დასახლდა. მისთვის არავის უთქვამს, რომ ოდესმე მასაც შეიძლება პირადი ბედნიერება სწევოდა. ამიტომ თავისი ახალი მდგომარეობის უსიამოვნებანი, — რომ არა ვთქვათ — საშინელებანი, თოხხმეტი წლის გოგოს აუტანელი აღარ ეჩვენებოდა. მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ აბატისა უხილავად მუდამ მის გარშემო ტრიალებდა და გულისყურით უთვალთვალეობდა, რათა არ გამოჰპარვოდა ის მომენტი, როცა მეტისმეტი დატვირთვა იმ ზღვარს აღწევდა, რის შემდეგაც შრომა აძაბუნებდა ადამიანს და სულიერად არ განამტკიცებდა.

პეპიტას განცდებიდან ზოგიერთი ფიზიკურს განეკუთვნებოდა. მსახურები ამკარად ბოროტად იყენებდნენ დონამარიას ავადმყოფობას. ნაცნობ-ნათესავებს ფართოდ უღებდნენ სასტუმრო ოთახის კარებს, დაურიდებლად იპარავდნენ ნივთებს. მარტო პეპიტა ეწინააღმდეგებოდა მათ, რის გამოც იგი ათვალისწინებული ჰყავდათ და ჯიბრით ათასგვარ წერილმან უსიამოვნებას აყენებდნენ და დასცილდნენ.

პეპიტას არც სულიერი ხასიათის განცდები აკლდა. როცა დონამარია პეპიტას თანხლებით რაიმე საქმეზე ქუჩაში გავიდოდა, ზოგჯერ მოულოდნელად მოეპრიანებოდა და ეკლესიაში შევიდოდა, რათა იქნებ ახლა რელიგიაში, როგორც მაგიაში ეპოვა ის, რაც რელიგიაში როგორც რწმენაში დაკარგა.

— აქ მზეში დამელოდე, ჩემო კარგო ბავშვო, დიდხანს არ გალოდინებ, — ეტყოდა ხოლმე. მერე საკურთხევის წინ ფიქრებში წავიდოდა და ირგვლივ ყველაფერი ავინყდებოდა. ბოლოს კი, გონს რომ მოეგებოდა, გვერდით გასავალით ტაძარს ტოვებდა და შინ ბრუნდებოდა. პეპიტა მარია დელ პილარის მიერ მორჩილების ავადმყოფური სულისკვეთებით

იყო აღზრდილი და როცა რამდენიმე საათის ლოდინის შემდეგ როგორღაც გაბედავდა ეკლესიაში შესვლას და რწმუნდებოდა, რომ ქალბატონი უკვე ნასულიყო, — გამოვიდოდა და კვლავ ქუჩის კუთხეში ელოდებოდა მანამდის, სანამ ჩრჩილები თანდათან არ დაფარავდნენ მოედანს. და იდგა ასე პატარა გოგოსათვის დამახასიათებელი მორიდებულობით და გამვლელთა თვალწინ სულიერად იტანჯებოდა. მას ჯერ კიდევ ობოლთა თავშესაფრის უნიფორმა ეცვა (თუმცა, კმაროდა დონა-მარის ოდნავ მეტი ყურადღება გამოეჩინა და იგი ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოეწყობოდა. მას ხშირად ეჩვენებოდა (თუმცა, უნდა ითქვას, რომ „ეჩვენებოდა“ ყოველთვის საფუძველს როდი იყო მოკლებული). მამაკაცები, რომლებიც მის მახლობლად ტორლიალობდნენ, ფარულად უყურებდნენ და ერთმანეთს ყურში რალაცას ეპუტუნებოდნენ. არც გულისტკივილი იყო მისთვის უცხო რამ. ზოგჯერ დღეები ერთმანეთს ისე წაენყობოდა, რომ მარკიზა სულაც ვერ ამჩნევდა მის არსებობას, მაგრამ საკმარისი იყო სიტუაცია ოდნავ შეცვლილიყო, რომ მარკიზა დიდხანს და გულთბილად ესაუბრებოდა და საოცრად დახვეწილ მგრძობელობას ავლენდა, ესოდენ დამახასიათებელს მისი ბარათების სტილისათვის. მაგრამ მეორე დღეს კვლავ თავის ნაჭუჭში ჩაიკეტებოდა და, თუმცა, არასოდეს უხეშობდა, ირგვლივ მყოფნი მისთვის აღარ არსებობდნენ. მაშინ იგი სრულ გულგრილობას იჩენდა ყველაფრის მიმართ. პეპიტას გული მწარედ სწყდებოდა, რომ იმედისა და სიყვარულის ყლორტები, რაც მის გულს ესოდენ ძლიერ ესაჭიროებოდა გასაფურჩქნად, — უკვე ხმობას იწყებდა. თავგზააბნეული, უხმოდ, ფეხაკრებით დაბორილობდა სასახლეში მოვალეობის აღსრულების შეგნებასა და „ქრისტესმიერი დედის“ მარია დელ პილარის, — ადამიანის, ვინც აქ განანესა, — ერთგულების გრძნობას ებღაუჭებოდა.

და აი, ბოლოს, გამოვლინდა ფაქტი, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მარკიზასა და მისი კომპანიონის ცხოვრებაზე. „ძვირფასო კედა, — იწერებოდა გრაფის ქალი. ისეთი ამინდები გვიდგას, რომ ლამის არის გაგვასავოს და ის გარემოება, რომ ირგვლივ ბაღჩა-ბაღებია აყ-

ვავებული, ამინდს კიდევ უფრო გაუსაძლისის ხდის. ყვავილებს კიდევ ავიტანდი, სურნელებას რომ არა აფრქვევდნენ. თუ წინააღმდეგი არ იქნები, ამიერიდან უფრო მოკლე ბარათებს მოგწერ. მაგრამ ამჯერად თუ ვინსენტი საფოსტო ხომალდის გასვლამდე დაბრუნდა, ალბათ მოხარული იქნება ბოლომდის შეავსოს ეს ფურცელი და შეგატყობინოს ჩემი ყოფის ის მოსაწყენი წვრილმანი ამბები, რაც შენს გულს, ვფიქრობ, გაახარებს. ამ შემოდგომით, ალბათ, ველარ მოვახერხებ პროვენსის გრიგნანში, როგორც ამას შემოდგომით ვაპირებდი, რადგან ოქტომბრის პირველ რიცხვებში ბავშვს ველოდები“.

ბავშვს ველოდებო! მარკიზა კედელს მიეყრდნო. დონა-კლარამ, ეტყობა, წინასწარ განჭვრიტა, რომ ეს ცნობა დედამისს გრძნობებს აუფორიაქებდა და სულის გამომფიტავ საზრუნავს გაუჩინდა. ეს დარტყმა რომ შეერბილებინა, დონა-კლარამ ბავშვის ამბავი, თითქოსდა სხვათა შორის, წერილის ბოლოში მოიხსენია. — ეშმაკობამ არ გაჭრა; ცნობილი XII წერილი ამის საპასუხოდ დაინერა.

ახლა კი, ბოლოს და ბოლოს, მარკიზას ღელვისა და მოუსვენრობის საბაბი მიეცა: მისი ქალიშვილი დედა უნდა გამხდარიყო! ამ ამბავმა, რაც დონა-კლარასთვის უბრალოდ მოსაწყენი რამ იყო, მარკიზას სულში მთელი რიგი ახალი გრძნობებისა გამოავლინა. ის გადაიქცა სამედიცინო ცოდნის და რჩევების უმრეტ წყაროდ. ბებია ქალების ძებნაში ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭული შემოიარა და ახალი სამყაროს ხალხური სიბრძნის წყაროს პირი მოხსნა და უხვად გადაღვარა თავის წერილებში. იგი დამამცირებელმა ცრურწმენამ შეიპყრო: ქალიშვილის ავი თვალისგან დასაცავად ტაბუს ახირებული სისტემა შეიმუშავა. სასახლეში ყველას აკრძალული ჰქონდა კვანძის მაგვარი რამ გაეკეთებინა — მოახლეებს თმის შეკვრის უფლება არ ჰქონდათ. თვითონ ფარულად სხვადასხვაგვარ სასაცილო ავეგაროზებს ატარებდა მშობიარობის კეთილად დამთავრების მიზნით. კიბის ლუწი საფეხურები ნითელი ცარციით აღანიშნინა და საკმარისი იყო რომელიმე მოახლეს თუნდაც შემთხვევით ფეხი დაეხიჯებინა, რომ ცრემლებიც ვერ უშველიდა, ისე გააგ-

დებდნენ სახლიდან. დონა-მარია ბუნების ბოროტი ძალების მკლავებში აღმოჩნდა, რომელსაც ყოველთვის გააჩნია საშუალება დაუნდობლად გაამასხარაოს ნებისმიერი თავისი შვილი. მაგრამ არსებობდა ბუნების გულის მოსალობი ეტიკეტიც, რომლის შესრულებითაც მრავალი თაობა გლეხის ქალებისა ერთგვარ ნუგეშს პოულობდა. უშუალო მოწმეთა ასე ფართე არმიის არსებობა თავისთავად მეტყველებდა, რომ მასში რალაც ჭეშმარიტების მაგვარი რამ იდო. ყოველ შემთხვევაში, მის აღსრულებას ზიანის მოტანა არ შეეძლო. სიკეთისა კი ვინ იცის? მარკიზა მარტო წარმართულ რიტუალებს როდი მიმართავდა, ქრისტიანულ მითითებებსაც იცავდა. ჯერ კიდევ კარგად გათენებული არ იყო ხოლმე, როცა ადგებოდა და დილის წირვაზე მისასწრებად, ქუჩას ბარბაციით გაუყვებოდა. იქ საკურთხევლის მოაჯირს ნერვიულად ჩაებლაუჭებოდა და ცდილობდა ჭრელა-ჭრულა სტატუეტისათვის რაიმე მინიშნება, მხოლოდ მინიშნება, თუნდაც შეუმჩნეველი ღიმილი, ცვილიანი თავის დაქნევა, თანხმობის ნიშნად გამოეძალა. ხომ ყველაფერი კარგად დაბოლოვდება წმინდაო, წმინდაო ღვთისმშობელო მარიამ? ხომ ყველაფერი კარგად იქნება?

ხანდახან, დღიური ლოცვა-ვედრებით გადაქანცულს გუნება-განწყობილება სრულიად შეეცვლებოდა. ბუნება ყრუა, ღმერთი გულგრილი, ადამიანს კი ბუნების კანონების შეცვლა არ ხელენიფება. ასეთ დროს სადმე ქუჩაში მყოფი, ჩერდებოდა, კედელს მიყრდნობილი სასონარკვეთისგან თავბრუდახვეული ამქვეყნიდან გასვლას ნატრობდა, ქვეყნიდან, რომელსაც წინასწარგანზრახულობა არ გააჩნია, მაგრამ ასეთი მკრეხელური აზრის გამო, მისი არსების სიღრმეებიდან ამოხეთქავდა რწმენა „ღიადი შესაძლებელი“ ქვეყნის — საიქიოს არსებობის შესახებ და იგი საკმაოდ მკვირცხლად გარბოდა შინისაკენ, რათა ქალიშვილის სანოლის თავზე ჩამოკიდებულ საბდლებში სანთლები განეახლებინა.

ბოლოს, დადგა ჟამი, რომ აღსრულებულიყო უზენაესი რიტუალი, სავალდებულო პერუელთა იმ ოჯახებისათვის, რომლებიც ემზადებიან ასეთი ამბებისათვის. იგი გაუდგა გზას წმ. მარიამ ქლუქსამბუქელის

საფლავის მოსალოცველად. საერთოდ, თუკი რიტუალების შესრულებას რაიმე ძალა გააჩნია, ეს პირველ ყოვლისა ამ სინდისის მონახულებაზე ითქმის. ეს მხარე სამი რელიგიის წმინდა მინად იყო აღიარებული. აქ, ჯერ კიდევ ინკების ცივილიზაციამდე ბევრად ადრე სულით საპყარნი და გლახაკნი ქვებსა და კლდეებს ემთხვეოდნენ და შოლტებით თვითგვემას მიმართავდნენ, რომ ზეცისათვის თავისი სურვილების აღსრულება გამოეთხოვნათ.

სწორედ ამ მხარეში გაემგზავრა მარკიზა. იგი ტახტრევანით გადაიყვანეს წმ. მეფე ლუის ხიდზე და მერე მთებში მდებარე ქალაქისაკენ გზას დაადგა, ქალაქისა, სადაც ქალები წელზე ფართე სარტყელს ატარებდნენ. პატარა მშვიდი ქალაქისაკენ, სადაც ჰაერი კრისტალურად სუფთაა და გრილი, როგორც ის წყაროები ქალაქის შადრევნებს რომ კვებავენ, სადაც ეკლესიის ზარები ისე ალერსიანად და მუსიკალურად ჟღერდა, რომ თვით მოკამათებებსაც კი შერიგებისათვის განაწყობდა. თუ ქალაქ ქლუქსამბუქში რაიმე უბედურება მოხდებოდა, მწუხარებას, ასეა თუ ისე, ანდების თავსდაყუდებული მწვერვალების სიახლოვე და ქალაქის ქუჩებში შვების მომგვრელი ქარის ქროლვა ისრუტავდა. მარკიზამ შორიდან მოჰკრა თუ არა თვალი მაღალი მთის კალთებს შეყუჟულ ქალაქის თეთრ გალავანს, მაშინვე კრილოსნის მარცვლა შეწყვიტა და შიშისაგან ფუჭი ლოცვები პირზე შეაშრა.

სასტუმროში რომ ჩამოხდნენ, წამითაც არ ჩაუმუხლია. პეპიტას დაბინავების საკითხის მოგვარება დაავალა. თვითონ კი მაშინვე ეკლესიას მიაშურა. მუხლმოდრეკილი დიდხანს იდგა და ხელისგულებს ერთმანეთს წყნარად უტყაპუნებდა. ლოცვებში ჩაღრმავებული მისთვის უჩვეულო თვინიერების გრძნობების მოზღვავენას, — მთელი მისი არსება რომ მოეცვა, — ყურს მიუგდებდა. ვინ იცის, იქნებ დროთა განმავლობაში ჭკუა ისწავლოს და თავის ქალიშვილსაც და ღმერთებსაც აცალოს თავიანთი საქმე თვითონ განაგონ. მას ოდნავადაც არ აღიზიანებდა გარშემო ატეხილი ჩურჩული და მითქმა-მოთქმა დაბამბულტანსაც მლიანი დედაკაცებისა, რომლებიც სანთლებითა და მედლებით ვაჭრობდნენ და აისიდან დაღამებამდე

მხოლოდ ფულზე ლაპარაკობდნენ. ყურადღება ვერც ეკლესიის აბეზარმა მნათემ გაუფანტა, რომელმაც რა არ მოიმიზეზა, რომ როგორმე ფული დაეცინცლა ვითომ ეკლესიის საჭიროებისათვის. ხოლო როცა არაფერი გამოუვიდა, იატაკის ფილის შეკეთების საბაბით ერთ ადგილზე აღარ აჩერებდა. ბოლოს მარკიზა იძულებული გახდა გარეთ გამოსულიყო დღის სინათლეზე. იგი შადრევნის კიბის საფეხურზე ჩამოჯდა და ბაღში უქმად მოხეტიალე ხეიბართა ჯგუფს თვალი აადევნა. მერე ცაში მოლივლივე სამ ქორს დაუნყო ცქერა. შადრევნის ირგვლივ მოთამაშე ბიჭები წამით შედგნენ და გაოცებით შეჰყურებდნენ მარკიზას, ბოლოს რატომღაც დაფრთხნენ და გაიფანტნენ. ერთი ლამა (ეს გრძელკისერა, საოცრად ალერსიანი და საკმაოდ მძიმე ბენვის ქურქში გამოწყობილი ბენვთვალეა ქალბატონი), პაკაპუკით ჩამოდიოდა შადრევანის კიბეზე და მარკიზას უახლოვდებოდა. იგი ზედ მიადგა მას და გლუვი, ორად გაპოზილი ცხვირი ხელის მოსათათუნებლად შესთავაზა. ლამა, საერთოდ, უცხო პირთა მიმართ ცნობისმოყვარეა და ზოგჯერ თავსაც კი იკატუნებს თითქოს ერთი იმათგანი იყოს, მოსაუბრეთა წრეში ხომ თავს ისე ჰყოფს, თითქოს უხალისოდ, თუმც კი საქმიანი კილოთი, საუბარში ჩარევა სურსო. მალე მარკიზას ლამას სხვა დობილებიც გარს შემოეხვივნენ თითქოს იმ განზრახვით, რომ შეეტყოთ, თუ რატომ უტყაპუნებდა ხელისგულებს, ერთმანეთს და, საერთოდ, გაეგოთ რა ღირდა მისი წარმოსახვის ერთი იარღი.

დონა-მარიამ ჯერ კიდევ გამომგზავრებამდე თადარიგი დაიჭირა და დაიბარა, რომ ესპანეთიდან ჩამოტანილი ყველა ბართი საგანგებო შიკრიკის ხელით დაუყოვნებლივ მისთვის მოერთმიათ, ვინაიდან აქეთობისას გზაში არ ჩქარობდა, ლიმიტიდან ჩამოსვლას დიდი დრო მოანდომა. ამიტომაც ახლა, როცა ქალაქის მოედანზე ისვენებდა, ერთმა ბიჭმა, მის მამულში მოჯამაგირედ რომ მსახურობდა, მოირბინა და პერგამენტში გახვეული დიდრონი პაკეტი გადასცა. მარკიზამ დინჯად, აუჩქარებლად გახსნა და ჯერ თავისი სიძის ხუმრობანარევი მონაწერი ჩაავალიერა და მერე ქალიშვილის ბართის კითხვას

შეუდგა. ნერილი აჭრელებული იყო უამრავი შეურაცხმყოფელი და გადაკრული შენიშვნებით, გამოთქმული ბრწყინვალე სტილით, — აშკარა განზრახვით, რომ მწარედ ეტკინა გული დედამისისათვის. მარკიზა თვალებით ნთქავდა თითოეულ ფრაზას და ყოველივეს გააზრებული დიდის გონივრულობით და სულგრძელობით მიტევებული გულის სიღრმეში ილექებოდა. ბოლოს წამოდგა, სიმპათიური ლამები ნაზად მოიშორა და დამნუხრებული სახით ტაძარში დაბრუნდა.

ვიდრე დონა-მარია ნაშუადღევს ეკლესიაში თუ ქალაქის მოედანზე იმყოფებოდა, პეპიტა ბინის საქმეს აგვარებდა. მზიდავებს მითითებები მისცა სად და როგორ დაედგათ დიდრონი, თავსახურიანი წნული კალათები. მერე საგზაო საკურთხეველი, მაყალი და დონა-კლარას სურათი ამოაღებინა. ამ საქმეს რომ მორჩა, ქვემოთ სამზარეულოში ჩავიდა და მზარეულს დაწვრილებით აუხსნა თუ რა განსაკუთრებულობით უნდა მოემზადებინა ფაფა, — მარკიზას ძირითადი საკვები. შემდეგ კვლავ ზევით დაბრუნდა და გადასწყვიტა მარკიზას მოსვლამდე წინამძღოლისათვის ბართი მიენერა. ათრთოლებული ტუჩებით კალამომარჯვებული იგი დიდხანს იჯდა გარინდებული და გონების თვალთ სჭვრეტდა დედა-მარია დელ პირალის მნითურ, პრიალა სახეს, მის საოცრად მოელვარე შავ თვალებს. წამით თითქოს ხმაც კი შემოესმა: აი, ტრაპეზის დამთავრების შემდეგ (ობოლთა თავშესაფრის გოგოები ამ დროს თვალეზახრილი და მკერდზე ხელებდაკრეფილნი ისხდნენ). იგი განვლილი დღის საქმიანობის ანგარიშს აბარებს; ანდა, აი, სანთლების შუქზე, ავადმყოფთა სანოლებს შორის დგას და ხმამალლა აცხადებს თემას, რის შესახებაც უნდა იფიქრონ ძილის წინ. მაგრამ პეპიტას ყველაზე ნათლად მაინც ის საუბრები ახსენებოდა, როდესაც წინამძღოლი (სულსწრაფობის გამო პეპიტას დაქალვას რომ აღარ უცდიდა), უხსნიდა თუ რა მოვალეობანი ეკისრებოდა მას. ეპიტას იგი როგორც თანატოლს ისე ესაუბრებოდა, რითაც ბუნებით გონიერ და გამჭრიახ გოგოს ჭკუა-გონებას და სულს უფორიაქებდა, ამ მხრივ დედა-მარია დელ პილარს ცოტა

არ იყოს ზედმეტი მოსდიოდა. წარმოდგენები ადამიანთა გრძნობათა სამყაროზე და ქცევის წესებზე მან ბევრად უფრო ადრე გაუღვივა პეპიტას, ვიდრე ეს ბავშვის ასაკს შეეფერებოდა. თავისი პიროვნული ბრწყინვალე თვისებების გამო პეპიტას წინაშე იგი ისევე წინდაუხედავად მოიქცა, როგორც იუპიტერი სელემას მიმართ. პეპიტას აშინებდა საკუთარი არასრულფასოვნების შეგნება. შიშის დამალვას ყოველნაირად ცდილობდა და ცრემლებად იღვრებოდა. მაშინ აბატიმამ დისციპლინარული სასჯელი დაადო და ხანგრძლივი მარტოობისათვის განაწესა, რომლის დროსაც იგი თავის გრძნობებს ებრძოდა. მას არ სურდა დაეჯერებინა, რომ იგი მიტოვებულია. და ახლა, ამ უცხო სასტუმროში, მისთვის უჩვეულო მთების გარემოში სადაც სიმაღლე თავბრუს ახვევდა, სულითა და გულით სწადადა სიახლოვე განეცადა იმასთან, ვინც ერთადერთი ნამდვილი ადამიანი იყო მის ცხოვრებაში.

წერილი აბდაუბდად შედგენილი გამოუვიდა, თანაც მელნით დალაქავებული. იგი ქვემოთ სართულზე ჩავიდა, რათა ახლად მოტანილი ნახშირი შეემონმებინა და ფაფისთვისაც გემო გაესინჯა.

ამასობაში მარკიზაც დაბრუნდა და ოთახში მაგიდასთან ჩამოჯდა. „მეტი აღარაფრის გაკეთება შემიძლია, რაც არის, არის“, — წყნარად ჩაილაპარაკა მან. მერე კისერზე ჩამოკიდებული ცრუმორწმუნეობის ავგაროზები მოიხსნა და მინავლებულ მაყალში უკრა თავი. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ თავისი გაუთავებელი ლოცვებითა და ვედრებით მამაზეციერი განარისხა და აიძვებდა, ამიტომ, ცოტა არ იყოს, მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობდა. „ბოლოსდაბოლოს ყველაფერი სხვის ხელშია. ერთი ბენო პრეტენზიაც აღარ გამაჩნია არაფერზე, რაც იქნება — იქნება! დიდხანს იჯდა ხელისგულეებში თავჩარგული და ცდილობდა არაფერზე ეფიქრა. მოულოდნელად, პეპიტას მიერ დატოვებულ წერილს მოჰკრა თვალი, თავისდაუნებურად გადაშალა იგი და კითხვას შეუდგა. ნახევარზე მეტი ექნებოდა ნაკითხული, როცა მისი ყურადღება შემდეგმა სიტყვებმა მიიპყრო: „მაგრამ ეს რა სახსენებელია, თუკი თქვენ წინანდებურად გიყვარვართ და გსურთ, რომ მას-

თან დავრჩე. შეიძლება ამას არც უნდა გეუბნებოდეთ, მაგრამ გულბოროტი მოახლეები წამდაუნუმ მკეტავენ რომელიმე ოთახში და ათას რამეს იპარავენ. ჩემმა ქალბატონმა კი შეიძლება ეჭვი ჩემზე მოიტანოს, მაგრამ ვიმედოვნებ ასე არ იფიქრებს. ასევე იმედი მაქვს, კარგად ბრძანდებით და საავადმყოფოსთან, ან სხვა რამეებთან დაკავშირებით პრობლემები არ გაგაჩნიათ. მართალია, თქვენ ველარა გხედავთ, მაგრამ დღედაღამ მაინც სულ თქვენზე ვფიქრობ და თქვენი დარიგებებიც არასოდეს მავინყდება, ჩემო ქრისტესმიერო დედაო. მე მინდა მხოლოდ ის ვაკეთო, რაც თქვენ გსურთ, მაგრამ თუ ეს შესაძლებელია, ნება მომეცით რამდენიმე დღით მონასტერში დავბრუნდე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია — არა უშავს რა, აუცილებელი სულაც არ არის. აქ საშინელ მარტოობას განვიცდი — ვერავის დავლაპარაკებოვარ, ზოგჯერ არ ვიცი რა ვიფიქრო — იქნებ სულაც გადაგავინყდით? თუ ვინიცობაა რამდენიმე თავისუფალ წუთს გამონახავთ და ორიოდ სიტყვას მომწერთ, ბარათს თვალის ჩინივით გაუფრთხილდები. თუმცა კი, ვიცი, რომ მოუცლელი ბრძანდებით...“ დონა-მარიამ კითხვა აღარ გააგრძელა. წერილი კვლავ დაკეცა და კვლავ თავის ადგილას დასდო. წამით შემურდა კიდეც, — ნეტავი მასაც შესძლებოდა ისეთივე ძალით ემართა მოყვასის სული, როგორც ეს შესძლო წინამძღოლმა ქალმა, მაგრამ ყველაზე მეტად ინატრა სიყვარულის უანგარო სული დაებრუნებინა, უკუეგდო ამაოების გრძნობა და ამპარტავნობის მძიმე ხუნდები მოეშორებინა — მთელი ცხოვრების მანძილზე დაატარებდა. აფორიაქებული გრძნობების დასაწყნარებლად ლოცვანი აიღო და შეეცადა ყურადღება შინაარსზე გაემახვილებინა, მაგრამ ორიოდ წუთის შემდეგ უცებ იგრძნო, — იმისათვის, რომ შეძლებოდა, შეძლებისდაგვარად ჩასწვდომოდა საიდუმლოებას თუ რა აყალიბებდა გამოთქმის თუნდაც ასეთ ნიჭს, საჭირო იყო წერილის თავიდან ბოლომდე ხელახლა გადაკითხვა.

ოთახში პეპიტა შემოვიდა და ვახშამი შემოიტანა, უკან მოახლე მოსდევდა. მაგიდასან მჯდომი დონა-მარია წიგნს ზემოდან ისე ადევნებდა თვალს, თითქოს

ზეციდან მოვლენილი სტუმარი ყოფილ-იყო. პეპიტა უხმაუროდ ფუსფუსებდა, სუფრა გააწყო და თანაშემწეს დაბალი ხმით რალაც განკარგულება მისცა.

— ვახშამი მზად გახლავთ, ქალბატონო, — თქვა მან ბოლოს.

— განა შენ ჩემთან ერთად არ ივახშამებ?

ლიმაში, როგორც წესი, პეპიტა ქალბატონთან ერთად უჯდა ხოლმე სუფრას.

— ვიფიქრე, დალლილი იქნებოდით და უთქვენოდ ვივახშმე დაბლა, სამზარეულოში.

— ჩემთან პურობა არ უნდა, — გაიფიქრა მარკიზამ. — იცის, როგორიცა ვარ და უარმყო.

— მანამ ვახშმობთ, რაიმე წიგნი ხომ არ ნამეკითხა ხმამალლა?

— არა, თუ გინდა, შეგიძლია დაწვე.

— გმადლობთ, ქალბატონო.

— დონა-მარია წამოდგა და მაგიდას მიუახლოვდა, სკამის ზურგს დაეყრდნო და ენის ბორძიკით წარმოსთქვა.

— ჩემო ძვირფასო ბავშვო, ხვალ დილით ლიმაში წერილს ვაგზავნი, თუ შენც გასაგზავნი გაქვს ბარათი, შეგიძლია ამ შემთხვევით ისარგებლო.

— არა, გასაგზავნი არაფერი მაქვს, — მიუგო პეპიტამ და მაშინვე დასძინა: — ნახშირის ამოსატანად ქვემოთ უნდა ჩავიდე.

— მაგრამ ჩემო ძვირფასო, შენ ხომ უკვე მისწერე წერილი დედა მარია დელ პილარს, ხომ ასეა?

პეპიტა ყასიდად მაყალთან ფუსფუსებდა.

— არა, წერილის გაგზავნა გადავიფიქრე, — მიუგო მან და ამ პასუხის შემდეგ ჩამოვარდნილი დუმილის დროს გრძნობდა რა განცვიფრებული სახით შეჰყურებდა მას მარკიზა, — აღარ ვაპირებ. — დაასრულა მან ბოლოს.

— დარწმუნებული ვარ, პეპიტა, რომ შენგან მიწერილი ბარათის მიღება ძალზე ესიამოვნება. ნამდვილად გააბედნიერებ, ეჭვიც არ მეპარება.

პეპიტას აღმურმა გადაჰკრა. მან ხმამალლა წარმოთქვა.

— სასტუმროს პატრონი შეგვპირდა სალამოსთვის კიდევ დამატებით დაგიმზა-

დებთო ნახშირს. ჩავალ, ვეტყვი ბარემ ახლავე მოგვიტანოს. — მან უჩუმრად გააპარა მზერა დედაბერისკენ და შენიშნა, რომ იგი კვლავინდებურად დაჟინებით მისჩერებოდა მას თავისი დიდრონი სევდიანი და ცნობისმოყვარეობით სავსე თვალებით. ეპიტა ხვდებოდა, რომ ეს საკითხი სულაც არ იყო საკამათო, მაგრამ ამ ახირებულმა დედაბერმა ისე ახლოს მიიტანა გულთან ეს ამბავი, რომ საჭიროდ მიიჩნია დამატებით კიდევ რალაცა ეთქვა.

— არა, წერილი არ გამომივიდა. ეს კარგი წერილი არ არის.

გაკვირვებისგან დონა-მარიამ პირი დაალო.

— რას ამბობ, ძვირფასო? ჩემის აზრით, მშვენიერი წერილი გამოგივიდათ. დამიჯერე, ასეთ რამეებში მე არ ვცდები. არა, მაინც რატომ არ მოგწონს?

შესაფერისი პასუხის ძიებაში, რომელსაც უსიამოვნო საუბრისთვის ბოლო უნდა მოელო, პეპიტა მოიღუმა.

— იგი საკმაოდ... საკმაოდ გაბედულად არ არის დაწერილი, — თქვა მან და ამის შემდეგ კრინტი აღარ ამოულია. ბარათიანად იგი თავის ოთახში გავიდა და მალე იქიდან მოისმა, თუ როგორ აქცია ნაკუნებად წერილი. მერე ლოგინში ჩანვა და წყვიდადს მიაშტერდა. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ თავს უხერხულად გრძნობდა. განცვიფრებული დონა-მარია თავის ვახშამს მიუჯდა.

თვითონ მას ხასიათის სიმტკიცე არც ცხოვრებაში და არც სიყვარულში არასოდეს გამოუჩენია. იგი იჯდა და გონების თვალთ გულის სიღრმეში იხედებოდა. ახსენდებოდა ამუღეტები და კრიალოსნები, მემთვრალეობა... ქალიშვილი. გაიხსენა თავისი ხანგრძლივი ურთიერთობა მასთან, რომელიც, როგორც გაირკვა, სხვა არაფერი იყო, თუ არა დიდი ხნის წინ მივიწყებული შელაპარაკებათა, აჩემებული აზრი მისი უპატივმცემლობისა, გაუმართლებელი საყვედურების, უგულუბელყოფის და შეწყნარებლობათა ნამსხვრევთა გროვა (იმ დღესაც, ეტყობა, მთლად ჭკუაზე ვერ იყო, — გაახსენდა როგორ ურტყამდა მუშტს მაგიდას).

— მაგრამ ეს სულაც ჩემი ბრალი არ არის, — შესძახა მან. — განა ჩემი ბრალია,

რომ ასეთი ვარ? გარემოებაა დამნაშავე. ასე აღმზარდეს. მორჩა, ხვალიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებ. ცოტა მაცალე და შენ თვითონ ნახავ, ო, შვილო ჩემო.

მან მაგიდა მიასუფთ-მოასუფთავა და წერილის დასაწერად მოემზადა და დაწერა, როგორც თვითონ უნოდა, - პირველი წერილი, — ოკრობოკრო ხელით და სავსე შეცდომებით, პირველად გამოვლენილი სიმტკიცის გავლენით. სირცხვილით გაიხსენა ბოლო დროს მიწერილი წერილი, სადაც იგი საწყალობლად ეხვეწებოდა ქალიშვილს, — მითხარი რამდენად ძლიერ გიყვარვარო და სულ ცოტა ათასჯერ მაინც ნეტარებით იმეორებდა იმ ორიოდ, — თანაც ორჭოფულად გამოხატულ სააღერსო სიტყვას, ქალიშვილმა რომ გამოიმეტა. მართალია, ეს ადგილი დონა მარიამ ახლა ვერ გაიხსენა, მაგრამ, სამაგიეროდ, თვითონ გაბედა დაეწერა სხვა, უფრო გულწრფელი და დიდსულოვანი სიტყვები. ამჟამად ამ ბარათს უკვე აღარავინ მიიჩნევს ოკრობოკროდ დაწერილს. ეს გახლავთ ცნობილი VI წერილი, რომლებსაც ენციკლოპედისტებმა დონა-მარიასებული „პირველი წერილი კორინთელთა მიმართ“-ად მონათლეს იმ უკვდავი მუხლის გამო სიყვარულს რომ შეეხება: „ათიათასობით ადამიანთა შორის, რომელთაც ჩვენ წუთისოფლის გზაზე ვხვდებით, ო, შვილო ჩემო...“ და ასე შემდეგ.

უკვე თენდებოდა, წერას რომ მორჩა. აივანზე გამავალი კარი გამოალო, გარეთ გავიდა და ანდების თავზე მოციმციმე ვარსკვლავთა გუნდს ახედა.

მთელი ღამის განმავლობაში (მაგრამ, ალბათ, ცოტა ვინმე ისმენდა), ცა წკრიანობდა ამ თანავარსკვლავთა ჰანგებით. იგი მოტრიალდა, სანთელი მეორე ოთახში შეიტანა, მძინარე პეპიტას დახედა და ოდნავ ნესტიანი თმის კულუღი სახიდან მოაცილა.

— ახლა კი ნება დამრთე ვიცოცხლო, — ნაიჩურჩულა მან, — ახლა ნება მომეცი თავიდან დავიწყო ყველაფერი.

ორიოდე დღის შემდეგ ისინი ღამის გზას დაადგნენ და როცა წმ. ლუდოვიკო მეფის ხიდს გადადიოდნენ, ჩვენთვის ცნობილი ამბავი შეემთხვათ.

ერთ დღით წმ. მარია როსა დელა როსას მონასტრის კარიბჭესთან მიგდებული კალათა იპოვნეს, რომელშიც ახლადდაბადებული ტყუპი ძმები აღმოჩნდნენ. სახელები უმალვე გამოუნახეს, ჯერ კიდევ ძიძას მოსვლამდე, თუმცა, ადამიანთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, სახელი მათ თითქმის არც არასოდეს დასჭირვებიათ: — ერთმანეთისაგან მაინც ვერავინ ანსხვავებდა. ვერც მშობლების ვინაობა დაადგინეს, მაგრამ როცა ოდნავ წამოიჩიტნენ და ხასიათის პირდაპირობა, სიტყვაძუნნობა და მიუკარებლობა გამოავლინეს, — ღამის ჭორიკანებამ ისინი ჭემარიტ კასტილიელებად მონათლეს და ათასგვარი ბინძური ვარაუდებით მრავალი კეთილშობილური ოჯახის ცოდვა დაიდეს. ქალაქში მხოლოდ ერთი ადამიანი აღმოჩნდა, ვინც მათი ბედი გულთან ახლოს მიიტანა და მფარველ ანგელოზად მოეველინა. ეს მონასტრის აბატისა გახლდათ. დედა მარია დელ პილარს საერთოდ სძულდა მამაკაცები, მაგრამ მანუელისა და ესტებანის მიმართ რატომღაც სიყვარულით განიმსჭვალა. არც თუ იშვიათად საღამოს პირზე ბიჭებს თავის კაბინეტში შეუძღვებოდა, სამზარეულოდან ტკბილეულს მოატანინებდა, ფერხთით მოისვამდა და სიდი, ან იუდა მაკაბის საგმირო ამბებს უყვებოდა. ზოგჯერ კი არლეკინის თავსგადამხდარ ოცდათექვსმეტ უიღბლო შემთხვევაზეც უსაუბრებოდა. მას თანდათან შეუყვარდა ტყუპები და ხშირად გამოუჭერია საკუთარი თავი იმაში, თუ როგორი ყურადღებით ჩასცქეროდა შავ დაღვრემილ თვალებში, რომ იქნებ წინასწარ განეჭვრიტა ხასიათის ის თვისებები, რაც მათი დაკაცების დროისათვის შეიძლება გამოვლენილიყო: — ყოველივე სისაძაგლე, უსულგულობა თვით აბატისას გარშემო რომ არსებობდა და ცხოვრებას აუტანელს ხდიდა. ტყუპები მონასტრის კედლებში იზრდებოდნენ იმდენ ხანს, სანამ მათი ასაკი არ გადასცდა იმ ზღვარს, როცა იქ ყოფნა მონასტრული ცხოვრებისათვის შეწინააღმდეგებელი სულის

თორნაშრონ უაილიდერი. წამინდა მეფე ლუდოვიკოს სიდი

ამაფორიაქებელი არ შეიქმნა. მის შემდეგ ძმები ქალაქის სხვადასხვა ეკლესია-მონასტრების ხშირი სტუმრები გახდნენ: ზოგან მწვანე ღობეებს უვლიდნენ და კრეჭდნენ. ზოგან ჯვარცმის გამოსახულებებს სწმენდნენ და სათანადოდ აპრიალეზდნენ. წელიწადში ერთხელ კი ყველა ეკლესიას ჩამოუვლიდნენ და ნესტიანი ჩვრით კედლებსა და ჭერს მტვერს აცლიდნენ. ქალაქში ყველა კარგად სცნობდა მათ. საკმარისი იყო ქუჩაში მღვდელი გამოჩენილიყო მომაკვდავის საზიარებლად რომ მიიჩქაროდა, უკან უსათუოდ მანიელი ან ესტებანი მისდევდა საცეცხლურის ქნევა-ქნევით. მაგრამ ასაკის მომატებასთან ერთად სულ უფრო ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ ეკლესიური ცხოვრებისადმი. მალე გადამწერლის ხელობას დაეუფლნენ — ახლად აღმოჩენილ კონტინენტზე საბეჭდი დაზგების ნაკლებობა იყო და ტყუპებმაც თავისი ხელობით ცხოვრების კარგ სახსარს მიაგნეს. თეატრისათვის კომედიების ასლების გადაღება, ვაჭართა წრისათვის რეკლამების და არზების შედგენა-გამრავლება მშვენიერ შემოსავალს იძლეოდა. მაგრამ ყველაზე ხშირად ქორმაისტერებთან თანამშრომლობდნენ და მათ მორალესის და ვიტორიას მონეტების ასლებს უმზადებდნენ.

იმის გამო, რომ ძმები საკუთარ ოჯახს მოკლებული იყვნენ, იმის გამო, რომ ტყუპები გახლდნენ და კიდევ იმის გამო, რომ ქალთა გარემოცვაში აღიზარდნენ, მეტწილად სდუმდნენ და სიტყვაძიუნობდნენ. თავიანთ საოცარ მსგავსებას როგორც რამ სამარცხვინოს ისე აღიქვამდნენ. მათ ხომ ისეთ გარემოცვაში უხდებოდათ ცხოვრება, სადაც მათი მსგავსება გაუთავებელი შენიშვნებისა და ქილიკობის საგანი გამხდარიყო.

თვითონ ამაში სათაკილოს ვერაფერს ხედავდნენ და სხვათა აგდებულ ლაპარაკს მოთმინებით და აღშფოთების გარეშე იტანდნენ. მას შემდეგ რაც ლაპარაკი ისწავლეს, ერთმანეთთან ურთიერთობის მიზნით საკუთარი საიდუმლო ენა მოიგონეს, რომელზედაც აშკარად ვერ იტყოდნენ, რომ ესპანური ენის ლექსიკაზე, ან სინტაქსზე ყოფილიყო დამყარებული. ამ ენაზე მხოლოდ მაშინ ლაპარაკობდნენ, როცა სხვების თანდასწრებით (გარკვეულ

დაძაბულ ვითარებაში), საჭიროდ მიიჩნევდნენ ერთმანეთს უჩუმრად გამოლაპარაკებოდნენ.

ქალაქ ლიმის არქიეპისკოპოსი ფილოლოგობას იჩემებდა და სხვადასხვა დიალექტების ცოდნით თავი მოჰქონდა. ერთხელ საინტერესო ტაბულაც კი შეადგინა, რომლის საშუალებითაც შეეცადა დაედგინა კანონზომიერება, თუ რა ცვლილებას განიცდის ხმოვანი ან თანხმოვანი ლათინურიდან ესპანურში გადასვლის დროს, ხოლო ესპანურიდან კი — ინდიელ ესპანურში. იგი გულდასმით აგროვებდა და ინახავდა კურიოზული ხასიათის ცნობებსა და შენიშვნებს, რათა, ბოლოსდაბოლოს, სიბერეში თავის მამულში, სეგივიას მახლობლად, დაბრუნდებოდა, მათზე მუშაობით თავი შეექცია. ამიტომაც, როცა ყური მოჰკრა: — ტყუპებს რამე თავისი საკუთარი საიდუმლო ენა აქვთო, რამდენიმე ცალ ბატისფრთის კალამს წვერი წაუმახა და ბიჭების მოსაყვანად კაცი გაგზავნა. სანამ ისინი იდგნენ, არქიეპისკოპოსი ამაოდ ცდილობდა ტყუპებისგან როგორმე გაეგო, — თავის ენაზე როგორ გამოხატავდნენ „პური“ ან „ყვავილი“, როგორ განასხვავებდნენ ერთმანეთისგან „ვხედავ“ და „ვხედავდი“. ბიჭები ვერ ხვდებოდნენ რატომ აღიზიანებდათ მათ ასეთი შეკითხვები და გული ლამის იყო დაწურვაზე ჰქონდათ. არქიეპისკოპოსის ყოველ კითხვას ხანგრძლივი და დამთრგუნველი დუმილი მოსდევდა. ბოლოს, ერთი მათგანი გაურკვეველ რამეს წაილულულედა. ერთი ხანობა ღვთისმსახურს ეგონა, ტყუპები მისი მაღალი რანგის და აპარტამენტების ფუფუნების წინაშე კეთილშობილებას იჩენენო, მაგრამ ჩიხში მომწყვდეული ბოლოს დარწმუნდა, რომ მათ ქცევას სხვა უფრო ღრმა ფესვები გააჩნდა და გულდამძიმებული დაემშვიდობა.

სინამდვილეში ეს იყო ენა მათი სრულყოფილი იდენტურობისა. იგივეობის თავისებური სიმბოლო. და სწორედ ისევე, როგორც სიტყვა „მორჩილება“ ადექვატურად ვერ გამოხატავდა იმ სულიერ გარდატეხას, რაც მარკიზა დე მონტემაიერს დაეუფლა იმ ღამით ქალაქ კლუქსამბუქის სასტუმროში, — ასევე სიტყვა „სიყვარული“ სავსებით უძლურია გადმოსცეს ტყუპების ენით გამოუთქმელი, თითქმის სიმო-

რცხვის დონეზე განცდილი იგივეობის გრძნობა. მართლაც, რა არის ნეტავ „სისხლით ნათესაობა“ როცა აზრის მისახვედრად საკმარისია ორიოდ სიტყვა მიუგო და ისიც სულ უმნიშვნელო რამეზე, ვთქვით — ჭამა-სმაზე, ტანსაცმელზე, მუშაობაზე; როცა უცნაურად, შენი სურვილის გარეშე სახეში ერთმანეთს შეჰყურებთ; როცა ჩუმად, უსიტყვოდ თანხმდებოდით — ხალხის თვალწინ ქუჩაში ერთდროულად არ გამოჩნდით და ერთი და იმავე დავალების დროს სხვადასხვა გზით იართო? და, მიუხედავად ამისა, იმავდროულად იქვე გვერდით, არსებობდა უძლეველი ძალა, რომელიც ისევე ბუნებრივად წარმოშობდა სასწაულებს, როგორც დამუხტული ჰაერი ელვას. თვით ძმებს ეს შეიძლება გააზრებულ იყოს არც ჰქონდათ, რადგან ტელეპათია მათი არსებობის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. ამიტომ, როცა ერთი ძმა შინ ბრუნდებოდა, მეორე მის მოახლოებას რამდენიმე კვარტალით ადრე გრძნობდა.

ერთ დღეს ძმებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღმოაჩინეს, რომ გადამწერლობა მობეზრებოდათ. მაშინ ისინი ზღვის სანაპიროსაკენ დაეშვნენ და ნავსადგურში ხომალდის მტვირთავებად დაინწყეს მუშაობა. ისინი ინდიელების გვერდგვერდით მუშაობას არ თაკილობდნენ. ერთი ხანობა პროვინციიდან პროვინციაში დატვირთულ ფორნებს დააგრილებდნენ; სეზონურად კრეფდნენ ხილის მოსავალს; მდინარეებზე მეზორნეობასაც ეწეოდნენ და მთელი ამ ხნის განმავლობაში მეტწილად დუმდნენ ასეთი მძიმე შრომის შედეგად პირქუში გამომეტყველება ვაჟკაცური იერით შეეცვალათ და გარეგნულად ერთგვარად ბოშებს დაემსგავსნენ: თმას იშვიათად იკრეჭდნენ და ამიტომ შუბლზე ჩამოყრილ გრუზა თმებს ქვემოდან თითქოსდა მოულოდნელობით შეცბუნებული და უნდოთ მომზირალი თვალები მოუჩანდათ. მათ გარშემო ხალხიც ხომ უნდო, უცხო და მტრულად იყო განწყობილი, რა თქმა უნდა, საკუთარი ძმის გარდა.

მარამ, ბოლოსდაბოლოს, მათ განუყოფელ ერთიანობასაც გაუჩნდა ბზარი და ეს ბზარი ქალმა წარმოშვა.

საბოლოოდ ისინი ქალაქში დაბრუნდ-

ნენ და თეატრისათვის კვლავ განაგრძეს როლების გადაწერა. ერთხელ მენეჯერმა წინასწარ განჭვრიტა, რომ იმ საღამოს მაყურებელი სანახევროდაც ვერ შეავსებდა დარბაზს და ბიჭებს სპექტაკლზე უფასოდ დასწრების უფლება მისცა.

ძმებს ნანახი არ მოეწონათ. ჩვეულებრივი სიტყვა-პასუხიც კი დუმილის ღირსების შელახვად აღიქვეს, ხოლო ყოველი მინიშნება პატიოსნებაზე, რეპუტაციასა და ტრფობის მზრუნველზე, ყველა მეტაფორა ფრინველზე, აქილევსა თუ განძეულობაზე — მომქანცველი და მოსაბეზრებელი. რაც შეეხება უშუალოდ პიესის ლიტერატურულ მხარეს, მის მიმართ მათ ისეთივე ბუნდოვანი ალლო გამოავლინეს, როგორსაც ზოგჯერ ძალის თვალები ავლენენ ხოლმე. მაგრამ ბოლომდე მაინც კეთილსინდისიერად ისხდნენ და გულმოდგინედ ათვალთვლებდნენ გაბრწყინებულ სანდლებს, პუბლიკის მდიდრულ ტანსაცმელს. პერიკოლა ანტრაქტებს შორის კულისებში გადიოდა, თოთხმეტოდ ქვედატანს გადაიცმევდა და მერე ავანსცენაზე იწყებდა. ესტებანს გაახსენდა, რომ შინ რაღაც სამუშაო ჰქონდა დასამთავრებელი და შინ ადრე წავიდა. მანუელი კი დარჩა: მონითალო ფერის მაღალყელიანმა წინდებმა და ფეხსაცმელებმა უდავოდ შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

ძმები ადრეც არაერთხელ სწვევიან თეატრს. ასლების გადაღებასთან დაკავშირებით და შენობის უკანა კიბეებით ასვლისას სცენაზედაც მოხვედრილან. ერთხელ იქ კულისებში გაცვეთილ კორსეტიან გოგოს წააწყდნენ. იგი სარკის წინ ჩამომჯდარიყო და წინდებს იკემსავდა, გვერდით კი, რეჟისორი ედგა და ტექსტს ხმამაღლა უკითხავდა უკეთ დამახსოვრების მიზნით. ქალმა წამით თვალები დაუბრიალა და სულის ამაფორიაქებელი მზერა ესროლა. მაგრამ როცა დაინახა, რომ საქმე ტყუილებთან ჰქონდა, გამხიარულდა, ძმები მაშინვე ოთახში შეათრია და ერთმანეთს გვერდგვერდ მოუსვა. გაკვირვებით, მხიარული ცნობისმოყვარეობით და საკმაო დაურიდებლობით ათვალთვლებდა მათი სახის ყოველ კვადრატულ გოჯს. ბოლოს, ესტებანს მხარზე ხელი დაადო და მხიარულად შესძახა: „შენ უმცროსი ხარ“. ეს ამბავი

რამდენიმე წლის წინათ მოხდა და მას შემდეგ ძმებს აღარც გახსენებიათ.

ამ დროიდან მოყოლებული, მანუელის ყველა დავალება, თითქოს განგებ, მუდამ თეატრის წინ გავლას ითხოვდა. გვიან ღამემდე თეატრის საგრიმიოროს ფანჯრის ქვეშ ხეების ჩრდილში ტრიალებდა. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, რომ მანუელი ქალის გამო მოხიბლულიყო (ძმებს არაიშვიათად ჰყოლიათ ქალი, მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის, განსაკუთრებით ნავსადგურში გარეუბანში ცხოვრებისას). მაგრამ ამჯერად პირველი შემთხვევა იყო, როცა მისი ნებისყოფა, გული და გონება ქალმა დაიმონა. მან დაჰკარგა მარტივი ბუნების ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისება — სიყვარულის და სიამოვნების ერთმანეთისგან გარჩევის უნარი: სიამოვნება აღარ სჩანდა ისეთი უბრალო რამ, როგორც სმა-ჭამაა, — ის გართულებული აღმოჩნდა სიყვარულის გრძნობით. იწყებოდა საკუთარი „მე“ დაკარგვის ხანა, როცა ყველაფერი უკუგდებოდა, გარდა სიყვარულის გარშემო დრამატული ფიქრებისა. მანუელის სულში პერიკოლას მიერ აღძრული სიყვარულის ციებ-ცხელება, ალბათ, გააოცებდა და, შეიძლება, აღეშფოთებინა კიდეც აქტრისა, ეს ამბავი რომ გაეგო: მანუელი შეყვარებული აღმოჩნდა არა ლიტერატურული ძეგლების გავლენით: — საფრანგეთის ერთ-ერთი გონებამახვილი მწერალი, რა თქმა უნდა, მანუელს სულაც არ გულისხმობდა, როცა ორმოცდაათიოდე წლით ადრე შენიშნავდა, რომ მრავალს არც ექნებოდა წარმოდგენა თუ რა არის სიყვარული, ამის შესახებ ყურმოკრული რომ არ იყოსო. მანუელს კი ცოტა ჰქონდა ნაკითხული, თეატრშიც კი მანამდე ერთხელ ყოფილა (სადაც ყველაზე მეტად არის გამეფებული ლეგენდა, რომ სიყვარული — ეს არის ქალისადმი ერთგული მსახურება). პერუანულ სიმღერებში კი, რომლებიც მოსმენილი ექნებოდა ტავერნებში, პირიქით, ესპანურისგან განსხვავებით, ქალის რომანტიკული კულტი ძალზე სუსტად იყო არეკლილი. თუმცა წამდაუნუმ იგი თავის თავს არწმუნებდა, რომ, ვინაიდან პერიკოლა ლამაზია, მდიდარი, საოცრად გონებამახვილი და რაც მთავარია — მეფისნაცვლის საყვარელი და სწორედ ამის გამო მისთვის მიუწვ-

დომელი, — მაინც ვერ იქნა და ვერ ჩაეხშო სიყვარულის ვნებათაღელვა. იდგა ასე სიბნელეში ხეს მიყრდნობილი საათობით, იკვნეტდა თითებს და ყურს უგდებდა გულის ხმამალალ ძვერას.

ესტებანს კი თავისი ცხოვრების წირი სავსებით აკმაყოფილებდა. მის წარმოდგენებში ახალი განცდებისათვის ადგილი აღარ არსებობდა. იმიტომ კი არა, რომ თავის ძმაზე უფრო პატარა გული ჰქონდა, არა, უბრალოდ იმიტომ, რომ მისი გული შედარებით უხეში ქსოვილისგან იყო მოქსოვილი. სულ ახლახან კი ერთი მარტივი ჭეშმარიტება აღმოაჩინა (რასაც, ალბათ, ვერც ვერავინ უარყოფს), რომ ყველაზე უფრო სრულყოფილი სიყვარულის დროსაც კი თურმე, ერთ-ერთ მხარეს შედარებით ნაკლები გულწრფელობით უყვარს, ვიდრე მეორეს. ხომ შეიძლება შეგხვდეს ორი ერთნაირად ლამაზი, ორი ერთნაირად კეთილი. ორი ერთნაირად ნიჭიერი, მაგრამ შეუძლებელია არსებობდეს ორი ისეთი ადამიანი, რომელთაც ერთნაირი ძალით ეყვარებათ ერთიმეორე.

ამგვარ ფიქრებში წასული ესტებანი ხშირად იჯდა ნახევრადჩამოღვენთილ სანთლის წინ ოთახში თითების კვნეცით და ცდილობდა გარკვეულიყო, თუ რამ შეცვალა მანუელი და რატომ გაქრა ყოველგვარი აზრი მათი ცხოვრებიდან.

ერთხელ, საღამო ხანს, ვილაც პატარა ბიჭმა მანუელი ქუჩაში შეაჩერა და დანაბარები გადასცა: პერიკოლას დაუყოვნებლივ სურს შენი ნახვაო. მანუელი მაშინვე გზიდან შემოტრიალდა და თეატრისკენ გასწია. წელგამართული, პირქუში სახით და აულღევებელი იერით შევიდა მსახიობი ქალის ოთახში და მოლოდინით გაირინდა. კამილას სურდა, რომ მანუელს დახმარება გაენია და გადასწყვიტა წინასწარ ცოტათი გული მოეგო. მაგრამ წამითაც არ შეუწყვეტია მის წინ მაგიდაზე მდებარ ქერა პარიკის ვარცხნა.

— შენ, თურმე, ადამიანებს წერილებს უწერ, არა? მოდი მეც დამიწერე, თუ შეიძლება, აქეთ მოდექი, აი, ასე.

მანუელმა ორი ნაბიჯი წინ გადადგა.

— არც ერთ თქვენგანს ერთხელაც არ გინახივართ. ეს რალაცნაირად ესპანურ საქციელს არ ჰგავს. — იგი თავაზიანობას გულისხმობდა. — მართლა, შენ რომელი

ხარ, მანუელი თუ ესტებანი?

— მანუელი.

— თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს? ორივენი უცხვირპირონი ყოფილხართ. ჩემს სანახავად ერთხელაც არ მოსულხართ. ვზივარ აქ დილიდან საღამომდე, ვიზუთხავ რაღაც სულელურ ლექსებს და თითქმის არავინ მკითხულობს, გარდა წვრილმანებით მოვაჭრეებისა, ალბათ მსახიობი ქალი რომ ვარ, არა?

შესავალი სიტყვა მთლად დალაგებული არ გამოვიდა, მაგრამ მანუელს იგი ენითაღუნერადი რთული მოეჩვენა. იდგა და თავის გრუზა თმების ჩეროდან ქალს მიმტერებოდა და მის იმპროვიზაციას ხელს არ უშლიდა.

— მინდა ბარათი დაგანერინო. საიდუმლო ბარათი. მაგრამ ვხედავ, არ გიყვარვარ. ლამის არის გადავიფიქრო, — შენი ნდობა არ შეიძლება, სადმე ღვინის სარდაფში ქვეყანას მოსდებ. ეს შენი გამოხედვა კი, ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს, მანუელ? ბოლოსდაბოლოს, მითხარი, ხარ ჩემი მეგობარი თუ არა?

— დიახ, სენიორა.

— იცი რა? უმჯობესია თუ ესტებანს მომიყვან. შენ „დიახ, სენიორასაც“ კი ვერ ამბობ, როგორც ნამდვილი მეგობარი იტყვოდა.

ხანგრძლივი დუმილი. ცოტა ხნის შემდეგ პერიკოლამ თავის ასწია.

— როგორ, ჯერ კიდევ არ წასულხარ, შე უცხვირპირო?

— დიახ, სენიორა... შეგიძლიათ მენდოთ, თქვენი გულისთვის ყველაფერს გადაკეთებ... შეგიძლიათ დამიჯეროთ.

— რომ გთხოვო ერთი, არა, ორი ბარათი დამინერე-მეთქი, მაძლევ სიტყვას, რომ არავისთან კრინტს არ დასძრავ იმაზე, თუ შიგ რა წერია, ანდა, საერთოდ, რომ დანერე?

— დიახ, სენიორა.

— ღვთის გულისათვის, მანუელ, ვინმე იფიქრებს, რომ ხარისხით გონებაჩლუნგი ხარ. იცოდე, შენზე ძალიან ნაწყენი ვარ. შენ სულელი სულაც არა ხარ და სულელივით კი აგიჩემებია: — „დიახ, სენიორა“. იცოდე, მეტად აღარ გაიმეორო, თორემ ესტებანს მოვაყვანინებ. მოიცა, რა გემართება, მანუელ, რა მოხდა.

მოულოდნელად მანუელმა თვით ეს-

პანელისთვისაც კი მეტისმეტი სიფიცხით წამოიძახა:

— ქალწული მარიამის და ლიმას წმ. როსას სხეულს ვფიცავ, რომ ყველაფერს, რაც წერილს შეეხება, საიდუმლოდ დარჩება.

— თვით ესტებანისათვისაც კი? — შეაპარა პერიკოლამ.

— თვით ესტებანისათვისაც კი.

— ეს უკვე კარგია. — და პერიკოლამ ანიშნა მაგიდას მისჯდომოდა, სადაც უკვე გამზადებული სანერ-კალამი და ფურცლები ელაგა. კოპებშეკრული, თედოების რხევა-რხევით ოთახში ბოლთას სცემდა და თან კარნახობდა. დოინჯშემორტყმული ხშირად გამომწვევად ისწორებდა მხრებზე წამოსხმულ შალს.

„კამილა პერიკოლა ხელებს გიკოცნით თქვენ, თქვენო აღმატებულებავ და გარწმუნებთ, რომ — არა, მოიცა. სუფთა ფურცელი აიღე და თავიდან დაიწყე, — სენიორა მიქაელა ვილაგესი, მსახიობი-ქალი, ემთხვევა თქვენი აღმატებულების ხელს და გაუწყებთ, რომ, არის რა იგი მსხვერპლი შურიანი და ცბიერი მეგობრებისა, რომელთაც თქვენი კეთილი გული, თ.ა.-ს ნებას რთავს იტრიალონ თქვენს წრეში. — აღარ შესწევს ძალა აიტანოს თ. ა.-ს უნდობლობა და ეჭვები. თ.ა.-ს მონა-მორჩილი ყოველთვის აფასებდა და ამჟამადაც აფასებს თ.ა.-ს მეგობრობას და მისთვის არა თუ საქმით, ფიქრადაც არ მოსვლია მცირედი წყენა მოეყენებინა თქვენთვის თ. ა.-ვ. მაგრამ ახლა აღარ ძალუძს შეებრძოლოს ყოველგვარ ჭორებსა და ცილისწამებას, რომლებსაც თ. ა. მზად არის დაუჯეროს. ამიტომ სენიორა ვილაგესი — მსახიობი ქალი, წოდებული პერიკოლად, ამ ბარათთან ერთად, თ. ა.-ვ, უკან გიბრუნებთ თ.ა.-ს საჩუქრებს, რომელთა დავიწყება შეუძლებელია, მაგრამ, თ.ა.-ვ, თქვენი ა.ა.-ის ნდობის გარეშე თქვენი მსახური ვერავითარ სიამოვნებას ვერ მიიღებს მათი ფლობით“.

თავის ფიქრებში გართული კამილა კიდევ რამდენიმე წუთს დაბორილობდა ოთახში. მერე უცებ ისე, რომ თავის მდინისთვის არ კი შეუხედავს, განაგრძო.

— აიღე ახალი ფურცელი... „ხომ არ გაგიჟდი! ამიერიდან არც იფიქრო კიდევ ერთი ხარი მომიძღვნა. სწორედ ეს გახდა

მიზეზი საშინელი ომისა, გვფარავდეს ზეცა, ჩემო ულაცო. პარასკევს ღამით, იმავე ადგილას, იმავე დროს (შეიძლება ცოტა დამაგვიანდეს), რადგანაც მელა ფხიზლადაა“, — მორჩა.

მანუელი წამოდგა.

— დაიფიცებ, რომ შეცდომა არ მოგსვლია?

— დიახ, დავიფიცებ.

— აი, შენი გასამრჯელო.

მანუელმა ფული გამოართვა.

— დროდადრო დამჭირდება. დასაწერი კიდევ მექნება. წერილებს ჩვეულებრივ ბიძაჩემი პიო მიწერს ხოლმე. ამის შესახებ არ მინდა შეიტყოს. ღამე მშვიდობისა. ღმერთი გვარავდეს.

მანუელმა კიბე ჩაიარა და ხეების ჩრდილში კარგა დიდხანს უაზროდ გარინდებულ იდგა.

ესტებანი გუმანით ხვდებოდა, რომ ძმის ერთადერთი საფიქრალი პერიკოლა გამხდარიყო. მაგრამ იმას როგორ იფიქრებდა, რომ დროდადრო ხვდებოდა კიდევ. მომდევნო ორი თვის განმავლობაში ერთმა პატარა ბიჭმა ქუჩაში რამდენჯერმე შეაჩერა და ჰკითხა: — მანუელი იყო თუ ესტებანი. როცა შეიტყობდა ესტებანი ყოფილა, მაშინვე დასძინდა: მანუელს თეატრში იბარებენო. ესტებანი ვარაუდობდა, რომ ეს ასლების გადაღებასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა მათ ოთახში ღამის სტუმრის გამოჩენა.

შუალამეს მიტანებული იქნებოდა. ესტებანი ლოგინში იწვა და საბანს ზემოდან სანთელს მისჩერებოდა, რომლის შუქზე ძმა რაღაცას საქმიანობდა. კარზე ვიღაცამ წყნარად დააკაკუნა. მანუელმა კარი გამოაღო და ოთახში სქელი ვუალით მობურული ქალი შემოვიდა. იგი აფორიაქებული ჩანდა და სულს ძლივს ითქვამდა. სახეზე ჩამოფარებული შარფი უკან გადაიგდო და სხაპასხუპით ჩაილაპარაკა.

— მელანი და ქალაღი სწრაფად. შენ მანუელი ხარ, არა? ახლავე წერილი უნდა შემიდგინო. წამით მზერა გვერდზე გაექცა და ორ მძვინვარედ ანთებულ თვალს ნაანყდა, საწოლის სასთუმლიდან რომ შემოსცქეროდა. ქალმა ნაიბურტყუნა:

— ეე... უნდა მაპატიო, ვიცი, უდროოდ

მოვედი, მაგრამ ძალზე საჭიროა... სხვა დროს... — მერე მანუელს მიუბრუნდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— დანერე, რასაც გიკარნახებ: „მე, პერიკოლა, მიჩვეული არ ვარ პაემანზე ლოდინს“. — დანერე უკვე? მორჩი? ახლა განარძე: — „შენ მხოლოდ ჩოლო ხარ და მეტი არაფერი. შენზე უკეთესი მატადორებიც არსებობენ აქ, ლიმაში. მე კი ნახევრად კრეოლი ვარ. ჩემზე უკეთესი მსახიობი-ქალი ქვეყნად არ არის. სხვა დროს შენ აღარ გექნება შემთხვევა...“ — წერას ხომ ასწრებ? — „კვლავ მალოდინო, ჩოლო, რადგან თვით აქტრისაც კი არ ბერდება ისე სწრაფად, როგორც ხარებთან მოჭიდავე“.

ესტებანისათვის, რომელიც ჩაბნელებული კუთხიდან იყურებოდა, კამილას პოზა — ძმას მხარზე რომ დაყრდნობოდა და ყურში რაღაცებს ჩასჩურჩულებდა, — უდავო საბუთი იყო იმისა, რომ მის თვალწინ იბადებოდა ახალი სულიერი ნათესაობა, რომლის მსგავსს იგი ვერასოდეს შეიცნობდა. ესტებანი თითქოს უცებ დაპატარავდა, მოიკრუნჩხა, სივრცეში ჩაიკარგა — უსაშველოდ პანანკინტელა, უსაშველოდ ზედმეტი, მან ერთხელ კიდევ შეავლო თვალი „სიყვარულის სცენას“, — იმ სამოთხეს, საიდანაც ის განდევნილი აღმოჩნდა და კედლისკენ გადაბრუნდა.

როგორც კი მანუელი წერას მორჩა, კამილამ უმაღლესიდან გამოსტაცა ბარათი. მაგიდაზე ოქროს მონეტა მიუგორა და შავი მაქმანების შარიშურით, ალისფერი მძივების ელვარებით და ამაღლევებელი ჩურჩულით ოთახიდან გავიდა. მანუელმა სანთელი მიუნათა და ზღურბლიდანვე შემოტრიალდა. იგი ჩამოჯდა, წინ გადაიხარა, იდაყვებით მუხლის თავებს დაეყრდნო და ხელისგულები ყურზე შემოიჭდო. ის აღმერთებდა ქალს.

კვლავდაკვლავ განუწყვეტილად ჩასჩურჩულებდა თავის თავს, რომ აღმერთებს კამილას და ეს ჩურჩული ლოცვა-სავით უღერდა და სალი აზრისაკენ გზას უკეტავდა.

მან ყველაფერი ამოიგდო გონებიდან და მხოლოდ ცარიელი თავით განაგრძობდა თაყვანისცემის მონოტონურ ლოცვას. მაგრამ, მეორე მხრივ, მხოლოდ ამ სიცარიელის წყალობით მიხვდა, თუ რას შეიძლე-

ბა განიცდიდეს ესტებანი. მანუელს ისიც კი მოეჩვენა, რომ ოთახის ბნელი კუთხიდან შემოესმა: „მანუელ, ნადი, გაჰყევი, ნულარ აყოვნებ. მიდი, ბედს ენიე. ამ ქვეყნად ორივესათვის სამყოფია ადგილი“. მერე წარმოსახვა კიდევ უფრო გაუმძაფრდა: გონების თვალწინ ესტებანის სახება დაუდგა, მისგან სადღაც შორს რომ მიჰქროდა და წამდაუნუმ გაიძახოდა: „მშვიდობით, მშვიდობით“. მანუელი შიშმა აიტანა. ამ შიშის შუქზე ნათლად დაინახა, რომ ყოველგვარი სხვა სახის სიყვარული მკრთალი მოჩვენება იყო, ხურვებით გამოწვეული ხილვა — თვით მარია დელ ჰილარის და პერიკოლასადმი სიყვარულის ჩათვლით. იგი მხოლოდ ერთ რამეს ვერ მიმხვდარიყო: — რატომ იყო, რომ ესტებანის განცდები არჩევანის გაკეთების აუცილებლობას იწვევდა მასსა და პერიკოლას შორის. და მაშინ ხელის ერთი დაკვრით ამ აუცილებლობას შესწირა ყველაფერი, თუკი საერთოდ, ადამიანს შეუძლია რაიმეს მსხვერპლად გაღება, გარდა იმისა, რაც წინასწარ იცის, რომ არ გამოადგება. ანდა იმ შემთხვევისა, როცა გონიერების იდუმალი ხმა ყურში ჩასჩურჩულებს — მსხვერპლის გაუცემლობა უხერხულობას შექმნის და თავსატეხს გაგიჩენსო. სიმართლე რომ ითქვას, ეჭვიანობის საფუძველი ესტებანს სულაც არ გააჩნდა. ეჭვიანობა აქ არაფერ შუაში იყო, რადგან ადრინდელი ურთიერთობის განმავლობაში ეჭვიანობის ნიადაგზე გაუგებრობა არასოდეს ჰქონიათ და არც მათ ერთგულებას გასჩენია ბზარი. უბრალოდ, ერთ-ერთი ხმის გული უფრო მეტ დახვეწილ, ამაღლებულ გრძნობებს იტევდა, ვიდრე მეორე ძმის გული. მანუელი ბოლომდე ვერ გაერკვა ამაში და ბუნდოვანი აზრი გაუჩნდა, — როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, — რომ ძმა ტყუილუბრალოდ ადანაშაულებს... მაგრამ იმას კი კარგად ხვდებოდა, რომ ესტებანი იტანჯებოდა. სულიერად აფორიაქებულმა გამოსავალს დაუნყო ძებნა, რათა ძმა თავის გვერდით შეენარჩუნებინა, რომელიც სულ უფრო და უფრო შორდებოდა მას და მაშინ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ნებისყოფის მოხმობით პერიკოლა გულიდან ამოიგლიჯა.

მანუელმა სანთელი ჩააქრო და დასაძინებლად დაწვა. რატომღაც მთელი ტან-

ით თრთოდა. განგებ, ხაზგასმით და ვითომდაც სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა:

— მორჩა, ამ ქალს წერილებს აღარ დავუნერ. ნავიდეს და სადაც უნდა იქ მოძებნოს სხვა მაჭანკალი, თუ ჩემს არყოფნაში თვითონ ან მისი სახელით ვინმემ მომაკითხა, ასეც გადაეცი. ეცადე კარგად შეაგნებინო ჩემი დანაბარები. ამის შემდეგ არაფერი საერთო არ მინდა მქონდეს მასთან, — თქვა მან და ფსალმუნების კითხვას შეუდგა ხმამაღლა. მაგრამ ის იყო მიალნია მუხლს: „a saqit ta Volante in die“-ს, თვალი მოჰკრა, რომ ესტებანი წამომდგარიყო და სანთლს ანთებდა.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

— გარეთ გავალ, ცოტას გავისეირნებ. — დაღვრემით მიუგო ესტებანმა და წელზე ქამარი შემოიჭირა. მერე, მცირე დუმილის შემდეგ, ბრაზმორეულმა მოულოდნელად იფეთქა.

— ჩემთვის არ უნდა გეთქვა... ის, რაც მითხარი. მე სულაც არ მადარდებს მის მაგიერ წერილებს წერ თუ არა. ჩემი გულისთვის ნურაფერს შეცვლი. ამ ამბავთან მე არაფერი მესაქმება.

— მიდი, დანეკი, შე სულელი! ღმერთმანი, მთლად სულელი ყოფილხარ, ესტებან“. მაინც რამ გაფიქრებინა, რომ შენს გასაგონად ვამბობდი ამას. ნუთუ არ გჯერა, რომ მასთან ყოველგვარი ურთიერთობა გავნწყვიტე? გგონია, მისი ჭუჭყიანი წერილების შედგენით კვლავაც ფულის გაკეთება მინდა?

— ყველაფერი ნათელია. შეყვარებული ხარ. სულაც არა ხარ ვალდებული ჩემი გულისთვის რამე შეცვალო.

— შეყვარებული? შენ სულ გაგიყვებულხარ, ესტებან, როგორ შეიძლება რომ მიყვარდეს? განა რა შანსი მაქვს, რომ მიყვარდეს? შანსი რომ მქონდეს, იმ წერილებს დამანერინებდა? ან ასე დაუდევრად მომიგდებდა ფულს? სულელი ხარ ესტებან, და მეტი არაფერი.

მას ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა. ესტებანი აღარ დანოლილა. შუა ოთახში სანთლის შუქზე მაგიდასთან ჩამოჯდა და ძვიდეს ხელისგულით ტყაპუნი აუტეხა.

— ნადი, დანეკი, შე სულელი! — დაუყვირა მანუელმა და საბანწამოფარებულმა ცალ იდაყვზე წამოიწია. იგი ჩვეულებრივ, მათთვის საიდუმლო ენით დაელაპარ-

აკა ძმას და გულის ახალმა, უცხო ტკივილ-მა მის მოჩვენებით გაბრაზებას ნამდვილობის იერი შესძინა. — მე არაფერი მიჭირს.

— არ დავნვები, გარეთ მინდა გავიარო, — მიუგო ესტებანმა და წამოსასხამს დასწვდა.

— რადროს სეირნობაა! ლამის ორი საათია და თანაც, ხომ ხედავ, წვიმს. ასეთ ამინდში საათობით ვერ ისეირნებ. ყური მიგდე, ესტებან. გეფიცები ყველაფერი დავივინყე. ახლა უკვე აღარ მიყვარს. ...ადრე მხოლოდ მცირე ხნით მიყვარდა.

ამ დროის განმავლობაში ესტებანი ღია კარებთან იდგა. გარეთ ბნელოდა. არაბუნებრივი ხმით, როგორც ეს ცხოვრების ყველაზე დრამატულ მომენტებში გამოხვედბა ხოლმე, ჩაილაპარაკა.

— მე შენ გზას გიღობავ. — და წასასვლელად მოტრიალდა.

მანუელი სანოლიდან წამოხტა. თავში საშინელ შუილს გრძნობდა. რალაცა ხმა თითქოს ჩასძახოდა, რომ ესტებანი სამუდამოდ ემშვიდობება, რომ იგი სამუდამოდ ტოვებს. — ღვთის გულისთვის, ესტებან, ღვთის გულისთვის, დაბრუნდი.

ესტებანი მობრუნდა და სანოლში ჩანვა. ამ ამბის შემდეგ რამდენიმე კვირა ხმა არ ამოუღიათ. მართლაც მანუელს მეორე დღესვე მიეცა შემთხვევა თავისი გადაწყვეტილება დაედასტურებინა. როცა პერიკოლას მიერ გამოგზავნილი შიკრიკი მოვიდა, მკვახედ მიუგეს, მსახიობისათვის გადაეცა, რომ მანუელი ამიერიდან აღარ აპირებდა მისთვის ბარათების შედგენას.

ერთ საღამოს მანუელმა რკინის რალაც ნატეხს ფეხი წამოჰკრა და მუხლისთავი ღრმად გადაეყვლიფა.

არცერთი მათგანი თავის სიცოცხლეში ავად არ გამხდარა და ახლა მანუელი შემოფოთებით ადევნებდა თვალს, თუ როგორ უსივდებოდა თანდათან მუხლი და როგორ ვრცელდებოდა ტკივილი ტალღისებურად მთელ სხეულში. ესტებანი გვერდით ეჯდა, თვლებში ჩასცქეროდა და ცდილობდა მიმხვდარიყო, თუ რას წარმოადგენდა ძლიერი ტკივილი. ბოლოს, შუალამისას, მანუელს გაახსენდა, რომ ქალაქის ერთ უბანში ვიღაც დალაქის სახლის კედელზე გამოკიდებული ფირნიში იუნყებოდა, რომ

იქ ცხოვრობდა გამოცდილი დალაქი და დასტაქარი. მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით ესტებანი მაშინვე გაიქცა მის მოსაყვანად. სარკმლიდან ქალმა გამოყო თავი და მოახსენა, რომ მისი ქმარი მხოლოდ დილით დაბრუნდებოდა. ლოდინის აუტანელი საათების განმავლობაში ძმები ერთმანეთს არწმუნებდნენ, რომ როგორც კი ექიმი მოვიდოდა და ფეხს გაუსინჯავდა, — ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. იგი უსათუოდ რალაცას იღონებდა და მანუელი ერთ-ორ დღეში ქალაქში გაივლიდა, ან, შეიძლება, ერთ დღეშიც კი. თუმცა ვინ იცის, იქნებ ერთი დღეც არ დასჭირდეს.

დალაქმა მეორე დღესვე მოაკითხა და სხვადასხვაგვარი დასალევი წამალი თუ მალამო დაუნიშნა. ესტებანი კი დაარიგა, ყოველ საათში ერთხელ მუხლზე ცივი საფენი დაედო. დალაქი წავიდა, ძმები კი დასხდნენ და დაელოდნენ, როდის დაუამდებოდა ტკივილი. მაგრამ სანამ, ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და მეცნიერების სასწაულს ელოდებოდნენ, ტკივილი კიდევ უფრო გაუძლიერდა. თანახმად დარიგებისა, ესტებანი ყოველ საათში ცივ პირსახოცს ადებდა. მან შეამჩნია, რომ ყველაზე აუტანელი პროცედურა საფენის გამოცვლის მომენტი იყო. ბუნებით თავშეკავებული და ამტანი მანუელი ახლა თავს ველარ იკავებდა, ყვიროდა და სანოლში მოუსვენრად ბორგავდა. უკვე დაღამდა, ესტებანი კი კვლავ აულელვებლად ელოდა, თვლებში ჩასცქეროდა და თავის საქმეს აკეთებდა. ცხრა, ათი, თერთმეტი. ხოლო როცა საფენის გამოცვლის დრო ახლოვდებოდა (ქალაქის კურანტები კი თითქოს ჯიბრზე ისე მუსიკალურად რეკავდა!), მანუელი ემუდარებოდა საფენს ნულარ დამადებო. იგი ცრუობდა და გაიძახოდა, ტკივილმა გამიარაო. მაგრამ ესტებანი, ვისაც ტკივილისაგან ლამის თვითონ გასკდომოდა გული, ტუჩებს რკინის მავთულივით დაინვრილებდა, საბანს გადაიხდიდა და რალაცა გაშმაგებით ახალ საფენს აფენდა მტკივან ადგილას. მანუელმა თანდათან უმატა ბოდვას და საფენის ხშირი ცვლის გავლენით აზრები, რომელთა ხმამაღლა გამოთქმას საღ გონებაზე მყოფი არ იკადრებდა, — მოზღვავებული ძალით წყდებოდა ბაგეთაგან.

ბოლოს, ლამის ორ საათზე, როცა აუტა-

ნელი ტკივილებით გახელებულმა ბორცვა დაინყო და გონი დაკარგა, მერე კი ლოგინიდანაც წელამდე გადმოვარდა და თავი იატაკს დაარტყა, — თავი ველარ შეიკავა და აყვირდა.

— ღმერთმა შთანთქას შენი სული ესტებან, ყველაზე ყინულოვან ტბაში, რომელიც კი ჯოჯოხეთშია და ათასი ეშმაკი მარად გჯიჯგნიდეს. გესმის? ღმერთმა დასწყევლოს შენი სული-მეთქი.

ესტებანი კინალამ ცუდად შეიქნა. ცოტა რომ მოსულიერდა, დერეფანში გავიდა და გაოგნებისაგან პირდაღებული, თვალეზღაყეტილი კარს მიეყრდნო. ოთახიდან კი კვლავ მოისმოდა:

— ჰო, ესტებან, ღმერთი უთუოდ დასწყევლის შენს მხეცურ სულს, რადგან ჩემსა და იმას შორის ჩადექი, ვინც წესით მე მეკუთვნოდა. გესმის? ის ჩემი იყო და რა უფლება გქონდა... — იწყებოდა პერიკოლას მშვენიერებათა დაწვრილებითი ჩამოთვლა.

ისეთი გამოხდომები ყოველ საათში ერთხელ მეორდებოდა. ესტებანს გარკვეული ხანი დასჭირდა, სანამ გაიაზრებდა, რომ ამ დროს ძმას გონება ჰქონდა დაბურული. თავზარდამცემი წუთების გადატანის შემდეგ, რაშიც მისმა ღრმა მორწმუნეობამ თავისი ნვლილი შეიტანა, — იგი ოთახში დაბრუნდა და თავჩაქინდრული თავის მოვალეობას შეუდგა.

თენდებოდა, როცა მანუელმა ოდნავი შვება იგრძნო. თუმცა, რომელი ავადმყოფი არ განიცდის ერთგვარ შვებას გათენების ჟამს. ერთ-ერთი ასეთი ინტერვალის დროს მანუელი მშვიდი ხმით ალაპარაკდა.

— ძეო ღვთისაო! თავს უკეთ ვგრძნობ, ესტებან, ეს საფენი ეტყობა მართლაც კარგი ყოფილა. აი, ნახავ თუ ხვალვე არ წამოვდგე. შენ კი რამდენი ხანია თვალი არ მოგიხუჭავს. ამაზე მეტ უსიამოვნებას გპირდები, აღარ მოგაყენებ, ესტებან.

— რა უსიამოვნებაზე მელაპარაკები, სულელიო?

— სერიოზულად ნუ მიიღებ როცა საფენის დადების დროს გენინააღმდეგები ხოლმე.

ხანგრძლივი დუმილი. ბოლოს ესტებანმა ძლივს ამოღერდა.

— მგონია... ნეტავ შენ როგორ ფიქრობ.

ხომ არ აჯობებდა პერიკოლასათვის დაგვეძახა? რამდენიმე წუთით შემოიაროს და გნახოს... მე ვგულისხმობ... ერთი სიტყვით, მინდოდა მეთქვა...

— პერიკოლა? შენ რა, კიდევ მასზე ლაპარაკობ? არაფრის გულისათვის არ მინდა მისი ნახვა, არა-მეთქი.

მაგრამ ესტებანი თავისი ნათქვამით ბოლომდე ვერ დაკმაყოფილდა, გულის სიღრმიდან კიდევ რამდენიმე ფრაზა აღმოხდა.

— მანუელ, შენ ხომ კვლავინდებურად გგონია... მართალი მითხარი, ხომ მართლა გგონია, რომ ეს მე ჩავდექი თქვენს შორის? აგრამ ხომ გახსოვს როგორ გეუბნებოდი:

— მე ნუ გამინევ ანგარიშს-მეთქი? გეფიცები, გამეხარდება თუ მასთან ნახვალ, ან რალაც ამის მსგავსი...

— ძველი ამბების გახსენება რაში გჭირდება ესტებან? ღვთის სახელს ვფიცავ, ამ ქალზე აღარასოდეს ვიფიქრებ. ის ჩემთვის აღარაფერს ნიშნავს. როდის დაივინყებ ყოველივე ამას, ესტებან? გარწმუნებ, რომ საქმეები ისეა, როგორიც არის. იცოდე, მართლა გავბრაზდები, თუ ამ ამბავზე ლაპარაკს არ მოეშვები.

— ამ ამბავს არც გავისხენებდი, ჩემზე გული რომ არ მოგსვლოდა, როცა საფენს გიცვლიდი. შენ გამიბრაზდი მაშინ და ამ თემაზეც შენ წამოიწყე ლაპარაკი...

— მისმინე, ესტებან, როცა ფეხი საშინლად მანუხებს, ჩემს სიტყვებზე პასუხს ვერ ვაგებ, ხომ გაიგე?

— გამოდის, რომ მწყევლი არა იმის გამო, რომ შენსა და პერიკოლას შორის ჩავდექი?

— გწყევლიო? ეს რამ გათქმევინა, ესტებან? ეტყობა ჭკუას კარგავ. რალაცები გეჩვენება. ალბათ იმიტომ, რომ დიდი ხნის უძინარი ხარ. ეს მე შეგიკალი ხელში და ჩემს გამოა რომ ჯანმრთელობა შეგერყა. მაგრამ გპირდები, მალე აღარ შეგანუხებ. აბა, როგორ შემეძლო დაწყევლა, როცა შენს მეტი არავინა მყავს. საფენს როცა მადებ, ხომ ხვდები, ჭკუას ვკარგავ. მის შემდეგ ყურადღებას ნულა მიაქცევ. ახლა კი საფენის გამოცვლის დროა. ნუ გეშინია, ხმას არ ამოვიღებ.

— მანუელ, მოდი ამჯერად გამოვტოვოთ, ამით არაფერი დაშავდება. ჰო, ერთხელ მაინც გამოვტოვოთ.

— სასწრაფოდ უნდა გამოვკეთდე, ესტებან. ხომ იცი, მალე ფეხზე უნდა დავდგე. მიდი, დამადე. არა, მოიცა, ჯერ ეგ ჯვარცმა მომანოდე. ახლა კი, ქრისტეს სისხლსა და სხეულს გეფიცები, რომ ვინიცოდა შენს წინააღმდეგ რამე წამომცდება, სინამდვილეში სხვა რამეს ვგულისხმობ. ეს აუტანელი ტკივილების გამოა, რომ რალაც სისულელეებს ვროშავ. ღმერთი დამიფარავს და მალე მოვრჩები. ამინ. ახლა კი საფენი დამადე. ასე, უკვე მზადა ვარ.

— მისმინე, მანუელ, არაფერი დაშავდება თუ ერთხელ გამოვტოვებთ. გაიგე, შენთვის უმჯობესი იქნება, თუ ზედმეტად არ შევაშფოთებთ შენს ჭრილობას.

— არა, მალე მინდა მოვრჩე. ექიმმაც ხომ გვირჩია, — საფენები მოგიხდებაო. სიტყვას არ ამოვიღებ, აი, ნახავ ესტებან.

და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

მეორე ღამეს, მეზობლად მცხოვრებმა მეძავე ქალმა, შეურაცხყოფილმა იმდენი უხამსი სიტყვების მოსმენით, კედელზე ბრახუნი აუტეხა, ხოლო მღვდელი მათი კარის მოპირდაპირე ოთახს რომ ქირაობდა, ხშირად გამოდიოდა და კარებზე უკაკუნებდა. ბოლოს, სართულის გაღიზიანებული მდგმურები ძმების ოთახთან შეიკრიბნენ, მეორე სართულზე. ამოვიდა სახლის პატრონიც და მდგმურებს შეჰპირდა, რომ ტყუპებს ხვალდანვე ქუჩაში გაჰყრიდა. ესტებანი სანთლით ხელში გამოდიოდა და მეზობლებს საშუალებას აძლევდა ჯავრი მასზე ეყარათ, მაგრამ როცა ოთახში ბრუნდებოდა, ყველაზე აუტანელი ტკივილების დროს ძმას პირზე ხელს აფარებდა. მანუელს ეს კიდევ უფრო მეტად აცოფებდა და მთელი ღამე ბურტყუნებდა.

მესამე ღამეს კი ესტებანმა მღვდელი მოაყვანინა და უზარმაზარი მოჩვენებით გარშემორტყმულმა მანუელმა ზიარება მიიღო და სული განუტევა.

ამის შემდეგ ესტებანი სახლს ახლოს არ გაჰყარებია. იგი კარგა დიდი მანძილით შორდებოდა იმ ადგილს, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ კვლავ ბრუნდებოდა და სახლიდან, სადაც მისი ძმა ესვენა, ორი კვარტლის დაშორებით ტრიალებდა და გამვლელებს აკვირდებოდა. სახლის პატრონმა ვერაფერი შეაგონა. მაგრამ ბოლოს

გაახსენდა, რომ თავის დროზე ძმები წმ. მარია დელა როსას მონასტერში იზრდებოდნენ და აბატისას მომხდარი ამბავი შეატყობინა. მან ზედმეტი ფაცი-ფუცის გარეშე წყნარად და უხმაუროდ მოაგვარა ყველაფერი, რაც ასეთ შემთხვევაშია საჭირო. ბოლოს, ქუჩას ჩაუყვავა და მეორე ქუჩის გადაკვეთაზე ესტებანს წააწყდა. იგი იდგა და თვალს ადევნებდა მოახლოებულ აბატისას. ბიჭის მზერაში ერთდროულად გამოსჭვიოდა სიყვარული, სითბოც და უნდობლობაც. მაგრამ როცა აბატისა მიუახლოვდა, უცებ გვერდი შეაქცია და თვალი აარიდა.

— მინდა მომეშველო! შინ ხომ არ შემოხვიდოდი და ძმას არ ინახულებ? მამ არ შემოხვალ, არ დამეხმარები?

— არა.

— როგორ? არ გინდა დამეხმარო?

ხანგრძლივი დუმილი. ესტებანის წინ უმწოდ მდგარ აბატისას გონებაში უცებ აღმოცენდა მრავალი წლის წინათ მომხდარი ინციდენტი. მაშინ ტყუპები 15-ოდე წლისანი თუ იქნებოდნენ. მის ფერხთან მოკალათებულთ, ის ჯვარცმის ამბავს უყვებოდა. ბიჭები კი დიდრონი, მწუხარე თვალებით გაფაციცებით შეჰყურებდნენ მისი ბაგეების მოძრაობას. მოულოდნელად მანუელმა ხმამაღლა შეჰყვირა: „აი, ესტებანი და მე რომ იქ ვყოფილიყავით, უთუოდ ხელს შევუშლიდით“.

— კარგი. თუ მოხმარება არ გინდა, ის მაინც მითხარი რომელი ხარ?

— მანუელი, — მიუგო ესტებანმა.

— მოდი, მანუელ, წამომყევი და ცოტა ხნით იქ, მაღლა ჩემთან ერთად ჩამოჯექი. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ.

— არა.

— მაგრამ მანუელ, ძვირფასო მანუელ, გახსოვს, ბავშვობაში ჩემი ხათრით რამდენი რამ გაგიკეთებიათ: დაუზარებლად ასრულებდით ჩემს ნებისმიერ დავალებას, ყველგან მეგზავნებოდით, თუნდ საამისოდ მთელი ქალაქის შემოვლა ყოფილიყო საჭირო. გაგონდება? ერთხელ ავად რომ გავხდი, მზარეულს სთხოვეთ, რომ საკუთარი ხელით მოგეტანათ ჩემთვის წვენი (სხვა ქალი უსათუოდ იტყოდა: „გახსოვთ, თქვენთვის რამდენი რამ გამიკეთებია?“)

— დიახ.

— მანუელ, ერთხელ მეც... მეცა მყავს

დაკარგული... დიახ... მეც განვიცადე... მაგრამ ხომ ვიცით, რომ ახლა ისინი უფლის ხელში არიან...

ესტებანზე ამ სიტყვებს გავლენა არ მოუხდენია. თითქოს რალაცა ეუხერხულა, მოტრიალდა და იქაურობას გაეცალა. მაგრამ ოციოდე ნაბიჯის შემდეგ, ვიდრე მეზობელ ქუჩაზე შეუხვევდა, შეჩერდა და უკან ისე მოიხედა, იმ ძაღლის მსგავსად, რომელსაც ეშინია არ განარისხოს პატრონი, თავისთან რომ უხმობს, მაგრამ გაქცევა გადაწყვეტილი აქვს.

მათი ურთიერთობა ამით ამოიწურა. როცა შემზარავი სამგლოვიარო პროცესია შავი კაპიუშონებით, დღისით-მზისით ანთებული ჩირაღდენით, საგანგებოდ აჩონჩხილი თავის ქალებით და შიშის-მომგვრელი ფსალმუნების გალობით სასაფლაოსკენ მიემართებოდა, — ესტებანი პარალელური ქუჩებით მიაცილებდა და ველურივით შეფარვით თვალს ადევნებდა.

ტყუპების ამგვარი სახის განშორებამ ქალაქლიმაში დიდი ინტერესი გამოიწვია. დილ-დილობით, აივანზე ფარდაგების გადმოფენისას, დიასახლისები დაბალი ხმით თანაგრძნობით საუბრობდნენ მათზე. ღვინის სარდაფებში როცა კი სიტყვა ტყუპების ბედზე ჩამოვარდებოდა ხოლმე, მამაკაცები მრავალმნიშვნელოვნად იქნევდნენ თავს და რამდენიმე ხნის განმავლობაში მდუმარედ აბოლებდნენ თამბაქოს. ქვეყნის შიდა პროვინციებიდან ჩამოსულნი რას არ ჰყვებოდნენ მასზე. ზოგს იგი მაშინ ენახათ, როცა იგი გზაკვალარეული კაცივით, ნაკვერჩხალივით მოელვარე თვალებით ამომშრალი მდინარის კალაპოტს მიუყვებოდა. ხან კი ძველი იმპერიის უზარმაზარ ნანგრევთა შორის დაბორილობდა. ლამების ჯოგის მწყემსი კი ერთხელ იმ დროს ნასწყდომია, როცა ლამის ნამით გალუმპული, ვარსკვლავებით განათებულ მთის წვერზე მდგარა და ვერ გაიგებდით — ჩასძინებოდა თუ ოცნებაში იყო ნასული. მეთევზეები გაუკვირვებია იმას, რომ ნაპირიდან ძალზე ღრმად შესულიყო. დროდადრო რალაც სამუშაოსაც შოულობდა: ხან მწყემსად დგებოდა, ხან ფორნით ტვირთები გადაჰქონდა-გადმოჰქონდა. ზოგჯერ თვეობით იკარგებოდა და პროვინციიდან პროვინციაში დახეტიალობდა. მაგრამ საბოლო-

ოდ მაინც ლიმაში ბრუნდებოდა. ერთხელაც პერიკოლას საგრიმიოროს წინ გამოჩნდა, თითქოს დალაპარაკებაც დააპირა, სერიოზულადაც კი შეხედა, მაგრამ უცებ სადღაც გაქრა. ერთ დღეს კი დედამარია დელ პილარის კაბინეტში გულაფანცქალებულმა დამ შეირბინა და აბატისას მოახსენა, რომ მონასტრის კარის სიახლოვეს ესტებანი (ვისაც ყველა მანუელს ეძახდა) გამოჩნდაო. აბატისამ მაშინვე ქუჩას მიაშურა. რამდენიმე თვის განმავლობაში ხშირად ფიქრობდა იმაზე, ნახევრადშემლილი ბიჭი რა გზით დაეყოლებინა, საცხოვრებლად კვლავ მონასტერში რომ დაბრუნებულიყო. შეძლებისდაგვარად მშვიდი და სერიოზული სახე მიიღო და მონასტრის კარს რომ მიუახლოვდა, წყნარად ჩაილაპარაკა: „ჩემო მეგობარო“ და თვალებში ჩახედა. ესტებანმა ისეთივე სიყვარულით სავსე, ოღონდ, ამავე დროს, უნდო მზერა დაუბრუნა, — როგორც ეს უკვე ერთხელ გამოხატა აბატისასადმი და მთელი სხეული აუცახცახდა. დედა-მარია დელ პილარმა კვლავ გაიმეორა: — „ჩემო მეგობარო“ და ნაბიჯი წინ წადგა. ესტებანი მოულოდნელად მოტრიალდა, მოკურცხლა და თვალს მიეფარა. აბატისამ ლასლასით მიაღწია თავის სამუშაო მაგიდას, მუხლებზე დაეცა და ბრაზიანი ხმით აღმოხდა: „სიბრძნეს შეგთხოვდი, შენ კი არ მიბოძე. სულ მცირე მაღლიც ვერ გაიმეტე. ჩანს იატაკის მრეცხავ დედაკაცზე მეტს არ ვიმსახურებ“. მაგრამ მოგვიანებით, როცა ასეთი მკრეხელობისათვის თავის თავს ეპიტიმია დაადო, თავში აზრად მოუვიდა საჩქაროდ კაპიტანი აღვარადო მოეძებნა. სამი კვირის შემდეგ კაპიტანი ეწვია და ათწუთიანი გასაუბრების შემდეგ, მეორე დღესვე, კუსკოში გაემგზავრა, სადაც, როგორ ამბობდნენ, ესტებანი უნივერსიტეტისათვის ასლების გადაღებას ეწეოდა.

იმ ხანებში პერუში ერთი მეტად უცნაური და კეთილშობილი პიროვნება ცხოვრობდა — კაპიტანი აღვარადო, მზით გარუჯული მოგზაური, ყოველგვარ ამინდსა და ვითარებას გამოვლილი; ვაკე ადგილზეც კი ფეხებგაჯაჯული იდგა, თითქოს ღელვისგან მოქანავე გემბანზე იმყოფებო. მხედველობაც უცნაური ჰქონდა: — ახლომდებარე საგნებს თითქოს ვერ ამჩ-

თორნაშონ უაილიდერი. წამინდა გეფე ლიუდოვიკოს სიდი

ნევდა, სამაგიეროდ, ღრუბლებს შორის ნამით გამომკრთალი თანავარსკვლავედი არ გამოეპარებოდა და არც წვიმიან ამინდში კონცხის მოყვანილობა დარჩებოდა შეუმჩნეველი. მის მიუკარებლობას ზოგიერთი იმით ხსნიდა, რომ ბევრს მოგზაურობდა, მაგრამ ამ თავისებურებას მარკიზა დე მონტიმაიორი სხვაგვარად ხსნიდა. „ამ ბარათს პირადად კაპიტანი ალვარადო მოგართმევს, — სწერდა იგი თავის ქალიშვილს. — ნარუდგინე იგი ზოგიერთ შენს გეოგრაფს, ჩემო საუნჯევ, თუმცა თავისი საქციელით შეიძლება ერთგვარი უხერხულობაც კი შეუქმნას მათ. რადგან გულწრფელობის ნამდვილი ბრილიანტია. მერწმუნე, მასზე უფრო შორეულ ქვეყნებში მოგზაურს ისინი იშვითად თუ ჰპოვებენ: სწორედ წუხელ იყო, რომ მიყვებოდა თავის მოგზაურობათა შესახებ. აბა, გონების თვალთ წარმოიდგინე მისი ხომალდი, რომელიც წყალქვეშა მცენარეებს მიაპობს და აფორიაქებს თევზების მთელ გუნდს, ისეთსავე უამრავს, როგორც კალიებია ივლისის თვეში. ანდა წარმოიდგინე, როგორ დაცურავს მისი ხომალდი ყინულის კუნძულებს შორის. აჰ, მას ჩინეთის ნაპირზეც მოუნახულებია და თვით აფრიკის მდინარეებს სათავისკენ აჰყოლია. მაგრამ არც იფიქრო, რომ ის უბრალოდ ფათერაკების მაძიებელი იყოს! ან ახალ-ახალი ქვეყნების აღმოჩენებით თავი მოჰქონდეს; ის არც უბრალო ვაჭარი გეგონოს. იცი, ერთხელ პირდაპირ ვკითხე, რატომ ეწევით-მეთქი ამგვარ ცხოვრებას? მაგრამ სიტყვა ბანზე ამიგდო. ვფიქრობ, ბოლოს-დაბოლოს ჩემი მრეცხავი დედაკაცის დახმარებით ნამდვილ მიზეზს მივაგენი, თუ რატომ ხეტილობს ამდენს, ჩემო ბავშვო, მას თურმე საკუთარი პატარა გოგო ჰყოლია. დიახ, ჩემო ქალიშვილო, მას ქალიშვილი ჰყოლია და თანაც იმ ასაკში, როცა საზეიმო სუფრის განწყობა, წვრილმანი ხელსაქმის შესრულება შესძლებია. იმ ხანებში კაპიტანი მექსიკასა და პერუს ნაპირებს შორის დაცურავდა და ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაუქნევია ხელი მის ქალიშვილს გაცილების ან დახვედრის დროს. მართალია, ახლა შეუძლებელია იმის თქმა, იყო თუ არა იგი უფრო ლამაზი, ან უფრო გონიერი, ვიდრე მისი თანატოლი გოგოები, რომელთა შორისაც იგი ტრი-

ალეზდა, მთავარია, რომ იგი მისი შვილი იყო. შეიძლება შენ სამარცხვინოდ გეჩვენოს, რომ ასეთი ვაჟკაცური ხასიათის ადამიანი ამქვეყნად აქეთ-იქით აწყდება, როგორც ბრმა ცარიელ ოთახში, საიდანაც მისი პატარა გოგუცუნა უკვე დიდი ხანია გაიყვანეს. არა, არა, შენ ამას ვერ გაიგებ, ჩემო სათაყვანებლო, მე კი მესმის და სწორედ ამის გამოა, რომ ვფიქრებ ხოლმე. წუხელისაც ჩემთან იჯდა და მასზე მესაუბრებოდა. ლოყები ხელისგულელებში ჩარგო, ბუხარში ცეცხლის ალს თვალის გაუშტერა და წარმოსთქვა: — „ზოგჯერ მგონია, სამოგზაუროდაა წასული და ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანთს. რატომღაც მგონია, რომ ჩემი გოგო ინგლისში იმყოფება. შეიძლება ჩემი სიტყვები სასაცილოდ მოგეჩვენოს, მაგრამ კაპიტანი ორ ნახევარსფეროს შორის იმიტომ დახეტილობს, რომ იქნება ამ გზით მოკლას დრო დღევანდელიობასა და მოხუცებულობას შორის“.

ძმები მუდამ დიდ პატივს სცემდნენ კაპიტან ალვარადოს. მცირე ხნით მასთანაც კი უმუშავით მტვირთავებად. სამივესათვის დამახასიათებელმა სიტყვა-ძუნწობამ ის რაციონალური მარცვალი აღმოაცენა, რაც ტრახახის, თავმომწონეობის და ყალბი რიტორიკის სამყაროში მათ ცხოვრებას ერთგვარ აზრს ანიჭებდა. ასე რომ, როცა დიდი მოგზაური ჩაბნელებულ სამზარეულოში შევიდა, სადაც ესტებანი სადილობდა, ბიჭმა სკამი ბნელ კუთხისაკენ დასწია, თუმცა კი შორიდან მისი ნახვა ეამა. თავის მხრივ, კაპიტანმაც თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერც იცნო და ვერც დაინახა. სანამ იგი სადილობდა, ესტებანი, მართალია, ბევრად ადრე მორჩა ჭამას, მაგრამ ვინაიდან საუბარი არ სურდა, ელოდებოდა კაპიტანი როდის დატოვებდა ამ ჯურღმულს. ბოლოს კაპიტანი წამოდგა, ესტებანს თავს დაადგა და ჰკითხა:

— შენ ესტებანი და მანუელი ხარ? გახსოვს, ერთი ხანობა ხომალდის მტვირთავებად მუშაობდით ჩემთან. მე კაპიტანი ალვარადოსი ვარ.

— ვიცი, — მიუგო ესტებანმა.

— როგორ ხარ?

ესტებანმა პასუხად რაღაც ნაიბურდლუნა.

— რამდენიმე მაგარ ყმანვილს ვეძებ.

ზღვაზე სამოგზაუროდ მჭირდება. — პაუზა. — რას იტყვი, წამოხვალ?

კიდევ უფრო ხანგრძლივი პაუზა.

— ინგლისი, რუსეთი... სამუშაო მძიმე იქნება, მაგრამ კარგი ანაზღაურება... პერუდან საკმაოდ შორს. თანახმა ხარ?

— ესტებანი აშკარად ყურს არ უგდებდა. იჯდა და მაგიდას ჩაშტერებოდა. კაპიტანმა ხმას აუწია, თითქოს ყრუს ელაპარაკებოდა.

— გეკითხები, მოგზაურობაში წამომყვები?

— ჰო, წამოვალ, — მოულოდნელად მიუგო ესტებანმა.

— ძალიან კარგი. რა თქმა უნდა, მე შენ ძმასაც ვგულისხმობ.

— არა.

— რისი თქმა გინდა? ის რა, არ მოინდომებს?

ესტებანმა რალაც გაუგებრად წაიბურტყუნა და განზე გაიხედა. მერე წამოდგა და თქვა.

— ახლა კი წავედი, ერთი ვინმე უნდა ვნახო. საქმე მაქვს.

— პირადად შენი ძმის ნახვა მინდა. სად არის?

— მოკვდა. — თქვა ესტებანმა.

— ოჰ, არ ვიცოდი, არა, არ ვიცოდი. ძალიან ვწუხვარ.

— ჰო, — თქვა ესტებანმა. — უნდა წავიდე.

— ჰმ, შენ რომელი ხარ, რა გქვია?

— ესტებანი.

— მანუელი როდის მოკვდა?

— აა... მუხლი გაიტეხა რალაცაზე და... რამდენიმე კვირის წინ.

ორივენი იატაკს ჩააშტერდნენ.

— რამდენი წლის ხარ, ესტებან?

— ოცდაორის.

— ჰო... მას შევთანხმდით, ჩემთან ერთად მოდიხარ.

— ჰო.

— იქნებ სიცივეებს ჩვეული არ ხარ?

— არა, ჩვეული ვარ. ახლა კი ქალაქში უნდა წავიდე.

— კეთილი, ესტებან. სავახშმოდ ისევ აქეთ მობრუნდი და მოგზაურობის თაობაზე საბოლოოდ მოვილაპარაკოთ. დაბრუნდი და ცოტა ღვინოც გადავკრათ. გასაგებია?

— ჰო, დავბრუნდები.

— აბა, ღმერთი გფარავდეს.

— ღმერთი გფარავდეს შენც.

მათ ერთად ივანშემეს და დათქვეს, რომ მეორე დღით ლიმაში გაემგზავრებოდნენ. კაპიტანმა ძალზე დაათრო. თავიდან ისხდნენ და უსიტყვოდ სვამდნენ, ისხდნენ და სვამდნენ. მერე კაპიტანმა სიტყვა ხომალდებსა და საზღვაო გზებზე ჩამოაგდო. ცდილობდა გაერკვია ხომალდის ტაკელაჟის შესახებ თუ სმენია რაიმე, ან ვარსკვლავების მიხედვით თუ შეეძლო გზის გაკვლევა. ესტებანმა საუბრის თემა შეცვალა და საკმაოდ ხმამაღლა ალაპარაკდა.

— ხომალდზე ისეთი სამუშაო გამოინახეთ, რომ დღედაღამე დაკავებული ვიყო. ყველაფერს და ყოველგვარ სამუშაოს გავაკეთებ; ყველაზე მაღალ ანძებზე ვიცოცხილებ და ბაგირებს დავამაგრებ. ღამლამობით ვიმორიგეებ, რადგან, როგორც ხვდებით, მაინც ცუდად მძინავს. გარდა ამისა, კაპიტანო ალვარადო, ხომალდის ეკიპაჟთან თავი ისე გეჭიროთ, თითქოს არც მიცნობდეთ, პირიქით, ისე მოიქეცით, ვითომც ყველაზე მეტად გძულვართ, რათა ყოველთვის დასაქმებული ვიყო. მაგიდასთან ჯდომა და ასლების გადაღება აღარ შემიძლია. და კიდევ ერთ რამეს გთხოვთ: ჩემ შესახებ... მინდოდა მეთქვა — მის შესახებ, სხვების თანდასწრებით ნურაფერს იტყვი.

— ყური მომიკრავს, ესტებან, რომ შენ ერთხელ ცეცხლმოდებულ სახლში შევარდნილხარ და კაცი გადაგიჩინა.

— დიახ, და თქვენც კარგად იცით, რომ არც დამწვარვარ და არც არაფერი მომსვლია. — უცებ წამოიყვრა ესტებანმა, თავი ველარ შეიკავა და მაგიდას ზედ დაემხო. — ეს თვითმკვლელობად არ ჩაითვლება; არც ის ჩაითვლება, თუ მატადორი გახდები და ხარი რქებზე წამოგაგებს, ოლონდ, მთავარია ხარს საგანგებოდ წინ არ დაუდგე, შემჩნეული გექნებათ, რომ ცხოველები თავს არასოდეს იკლავენ, გინდაც გრძნობდნენ, რომ სიკვდილს ვერ გაექცივიან; ისინი არც მდინარებში გადავარდებიან და არც რაიმეს ამის მსგავსს ჩაიდენენ, თუნდაც სხვა გამოსავალი არ ჰქონდეთ. ზოგიერთი ამტკიცებს — ცხენები კოცონში ხტებიან ხოლმეო. დავიჯერო, მართალია?

— არა მგონია, მართალი იყოს.
 — არც მე, თუმცა, ჩვენ ერთხელ გვყავდა ძაღლი... მაგრამ კმარა, ახლა ამას არ უნდა ვიხსენებდე... კაპიტანო ალვარადო, დედა-მარია დელ პილარს ხომ იცნობთ?

— ვიცნობ.
 — ვიდრე გავემგზავრებოდეთ, მინდა რაიმე საჩუქარი დავუტოვო. კაპიტანო ალვარადო, მთელი გასამრჯელო, რაც მეკუთვნის, წინასწარ მომეცით, ვიდრე გზა გავუდგებოდეთ. მგზავრობისას ფული არაფერში დამჭირდება. საჩუქარი კი მინდა ახლავე მივართვა... არა მარტო ჩემი სახელით... აბატისა ხომ... ის იყო... — ესტებანს სურდა ძმის სახელი ეხსენებინა, მაგრამ ენა ვერ მოუბრუნდა. ნაცვლად ამისა, ხმმალლა შეჰყვირა.

— მასაც რაღაც ამის მსგავსი... იმანაც განიცადა... თვითონ მითხრა. არ ვიცი ის ვინ იყო მისთვის. მაგრამ დედა-მარია დელ პილარს საჩუქარი მინდა გავუკეთო. ხომ იცით, ქალებს უფრო უჭირთ ამისთანების ატანა, ვიდრე მამაკაცებს.

კაპიტანი შეჰპირდა, რომ ხვალისათვის მასთან ერთად შეარჩევდა რაიმე საჩუქარს. ესტებანი კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა საჩუქარზე. ბოლოს, როცა კაპიტანმა ნახა, რომ ესტებანი თანდათან მაგიდის ქვეშ შეცურდა და ჩაეძინა, ნამოდგა და სასტუმროს წინ მოედანზე გავიდა. და ანდების მთაგრეხილს და ცის თავანზე მარად მოციმციმე ვარკვლავების ნაკადებს ახედა. იქვე მის გვერდით კი ჰაერში აჩრდილი ფარფატებდა, რომელიც ნაზად უღიმოდა და ვერცხლივით წკრიალა ხმით იმეორებდა: „დიდი ხნით ნუ მიმატოვებ, თორემ როცა დაბრუნდები, უკვე დიდი გოგო ვიქნები“. მერე შიგნით შებრუნდა და ესტებანი შინ წაიყვანა, გვერდით ჩამოუჯდა და კარგა დიდხანს თვალმოუშორებლად დაჰყურებდა.

მეორე დილას, როცა ესტებანი გამოჩნდა, კაპიტანი უკვე კიბის ძირში ელოდებოდა.

— როგორც კი მზად იქნები, მაშინვე გზას გავუდგებით, — თქვა მან.

ესტებანს რაღაცა უცნაური შუქი ჩაუდგა თვალებში და სხაპასხუპით წამოისროლა.

— არა, აღარ მოვდივარ! აღარ მოვდივარ-მეთქი!

— ეე, ესტებან! შენ ხომ სიტყვა მომეცი — ნამოვალო.

— არ შემოძლია, ველარ ნამოგყვები, — და კიბეს ზევით აუყვავა.

— ნუთით დაბრუნდი, ესტებან, მხოლოდ ერთი ნუთით.

— ვერ ნამოგყვები, პერუს ვერ მივატოვებ.

— მოიცა, რაღაც უნდა გითხრა.

ესტებანი კიბეზე დაეშვა.

— დედა-მარია დელ პილარის საჩუქარს რას უპირებ? — ხმადაბლა შეეკითხა კაპიტანი. ესტებანი სდუმდა და მთებს ზევით იყურებოდა. — შენ რა, გადაიფიქრე საჩუქრის მირთმევა? თავადაც იცი, ეს შეიძლება მისთვის ბევრ რამეს ნიშნავდეს.

კარგი, — წაიჩურჩულა ესტებანმა, ისე, თითქოს ეს ძალზე შთამბეჭდავი საბუთი ყოფილიყოს.

— ჰო, ასე სჯობია! ესეც არ იყოს, ზღვებზე ხეტიალი გერჩივნოს, აქ პერუში ყოფნას. შენ მხოლოდ ღიმას, კოსკოსა და მათ შორის მდებარე გზას იცნობ. აბა, აქ მეტი რა უნდა ნახო, ან შეისწავლო? გარდა ამისა, ხომალდზე საქმე გამოუღვეველი გექნება, — მშვიდად იყავი, ამაზე მე ვიზრუნებ, მიდი ბარგი ჩაალაგე და დავიძრათ.

ესტებანი კვლავ ყოყმანობდა. არჩევანის გაკეთება უჭირდა. ეს მანუელი იყო, ყოველთვის პირველი რომ ღებულობდა გადანყვეტილებებს, თუმცა, შეიძლება ახლა თვით მასაც გასჭირვებოდა ასეთი მნიშვნელოვანი გადანყვეტილების მიღება. ესტებანი ნელ-ნელა ავიდა კიბეზე. კაპიტანი საკმაოდ დიდხანს უცდიდა ქვემოთ. ბოლოს გულმა რაღაცა უგრძნო, კიბეზე სანახევროდ ავიდა და მიაყურადა. თავდაპირველად ჩქამიც არ ისმოდა, მერე კი, ხმების თანმიმდევრობამ მის წარმოსახვას უცებ მიახვედრა, რაც ხდებოდა ოთახში. ესტებანს ჭერი კიბის ირგვლივ ჩამოენგრია და ახლა მასზე თოკის დაკიდებაც ცდილობდა. კიბის თავში მდგომ კაპიტანს ტანში ჟრუანტილმა დაუარა და შეაცახცახა.

— ვინ იცის, იქნებ ასე უკეთესიც იყოს...

— გუნებაში გაივლო მან — იქნებ აჯობებდეს მის საქმეში არ ჩავერიო. შეიძლება ეს მისთვის ერთადერთი გამოსავალია?

მაგრამ როცა ახალი უცნაური ხმა შემოესმა, კარს მხრით მიანვა, ოთახში შეიჭრა

და თოკზე ჩამოკიდებულ ბიჭს ხელი შეაშველა.

— თავი დამანებე, — შესძახა ესტებანმა. — გამიშვი, ჩემს საქმეში ნუ ერევი!

ესტებანი იატაკზე პირქვე დაეცა.

— მე მარტო ვარ, მარტო, სრულიად მარტო! — ყვიროდა იგი.

კაპიტანი თავს დასდგომოდა. ფართო, ულაზათო სახე გაფითრებოდა და ტკივილისაგან დაღრეჯოდა: იგი საკუთარ, ოდესღაც გადატანილ მძიმე ნუთებს ხელახლა განიცდიდა, ენაწყლიანობდა, საერთოდ, მას მხოლოდ მაშინ ეხერხებოდა, როცა ლაპარაკი ნაოსნობაზე ჩამოვარდებოდა ხოლმე, თორემ ყველა სხვა შემთხვევაში მასზე უხეირო მოლაპარაკეს სხვაგან ვერსად ნახავდით. მაგრამ ცხოვრებაში, ეტყობა, დგება ისეთი ნუთებიც, როცა ბანალური სათქმელიც დიდ ვაჟაკობას მოითხოვს და კაპიტანი ალვარადო მთლად დარწმუნებული არ იყო იატაკზე გართხმულ ესტებანს თუ ესმოდა, როცა ჩაილაპარაკა.

— ყველა ჩვენგანი აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, ესტებან. ყველა ნვალობს და ჯახირობს სანამ გაძლებს. მაგრამ დაუსრულებლად ასე ვერ გაგრძელებდა. დრო მიჰქრის და ვერც კი მოასწრებ გაოცებას ისე სწრაფად ჩაივლის იგი.

ისინი ლიმასკენ დაიძრნენ. ნმ. ლუი მეფის ხიდს რომ მიუახლოვდნენ, კაპიტანი ჩამოქვეითდა და მდინარისაკენ ფეხით დაეშვა, რათა ხომალდით გასაგზავნი სავაჭრო ტვირთისათვის მიეხედა. ესტებანმა კი ხიდზე გადაიარა და მასთან ერთად უფსკრულში შთაინთქა.

ნანილი მეოთხე

ძია პიო

ერთ-ერთ თავის ბარათში მარკიზა დე მონტემაიორი ცდილობს აღწეროს ის შთაბეჭდილება, რაც ძია პიომ — „ამ ჩვენმა ასაკოვანმა არლეკინმა“ მოახდინა მასზე. „ერთხელ დილიდან ვზივარ ასე ჩემთვის მწვანე აივანზე, ჩემო სულისდგმავ და ოქრომკედლით ჯუჩებს გიქაგავ“ — წერდა იგი თავის ქალიშვილს. „და რადგან ქარგვა მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ

მოითხოვს, შემეძლო თვალი მედევენებინა თუ როგორ ფუსფუსებდა ჭიანჭველების მთელი კოლონა კედელზე ჩემს გვერდით. სადღაც ძგიდის უკან ისინი გულმოდგინედ და დიდის მოთმინებით ძირს უთხრიან ჩემს სახლს. ყოველ სამნუთში ერთხელ ძგიდის ორ ანატკემს შორის გამოჩნდება ხოლმე პანანკინტელა, მუშა და დახურული ხის ნამცეცებს იატაკზე ახვავებს. ულვაშების ცმაცუნით მესალმება და საქმიანი იერით კვლავ საიდუმლო დერეფნით ხვრელში უჩინარდება. ამავედროულად, მისი მრავალრიცხოვანი თვისტომნი, ძმები თუ დები, უკვე გაკვალული გზით ჩორთით მიმოდინა ნინ და უკან და შეხვედრისას ერთმანეთს თავებით ისე ეხახუნებიან, თითქოს მასაჟს უკეთებენო. ზოგიერთი მათგანი კი, რომელსაც, ეტყობა, საგანგებო რამ დავალება აქვს, თავის დასაზელად ვერც თვითონ იცლის და სხვასაც არ ანებივრებს. სწორედ მაშინ იყო, რომ ძია პიო გამახსენდა. რატომ? აბა, სხვაგან სად შემეძლო მენახა ჭიანჭველების მსგავსი ჟესტი, თუარა მაშინ, როცა ქუჩაში შეხვედრილ ნაცნობ აბატს, ან დიდებული ოჯახის ლაქიას გამოიჭერს და თავის მსხვერპლს პირდაპირ ყურში რალაცას უპუტუნებს. და, თითქოს განგებ, დღეს, როცა შუადღე ჯერ არ დამდგარა, თვალი მოვკარი, როგორ მიიჩქაროდა ქუჩაში. ალბათ, ერთ-ერთი თავისი საიდუმლო დავალების აღსასრულებლად. და რადგან ერთი ყველაზე უქნარა და გამოჩერჩეტებული დედაკაცი ვარ, პეპიტა ცოტაოდენი ნუგის საყიდლად გავაგზავნე, რათა ჭიანჭველების ნატკეპნ გზაზე დამეყარა და ამავე დროს დავაბარე, რომ გზად კაფე „პიზაროში“ შეველო და, თუ ვინიცობაა, მზის ჩასვლამდე იქ ძია პიო გამოჩნდებოდა, გადაეცათ მისთვის, რომ უსათუოდ მოვენახულებინე. ვაპირებ ის დაგრეხილ-დაჭეჭილი ფირუზისთვლიანი სასალათე ჩანგალი გადავცე იმ პირობით, რომ სამაგიეროდ ახალი ბალადის ტექსტის ასლი მიშოვნოს, რომელშიც ყველა ჰერცის ქალს ოლვეს უმღერის. ჩემო ბავშვო, შენ იმსახურებ, რომ ყველაფერი სხვებზე ადრე და საუკეთესო გქონდეს“.

მომდევნო ბარათში კი წერდა: „ჩემო ძვირფასო, თურმე ნუ იტყვი და ძია პიო ამ ქვეყნად ყველაზე მომხიბლავი მამაკაცი ყოფილა, რა თქმა უნდა, შენი მეუღლის

შემდეგ. დიახ, მომხიბვლელობის მხრივ ის მეორე გახლავს. მასთან სჯა-ბაასი ერთი სიამოვნებაა. იცი, ასე გატეხილი რომ არ ჰქონდეს სახელი, უსათუოდ პირად მდივნად ავიყვანდი. მაშინ ჩემს ბარათებს მას შევადგენინებდი, შთამომავლობა კი ფეხზე მე წამომიდგებოდა და ჩემს გონებაში ახვილობას საქვეყნოდ აღიარებდა. მაგრამ, ვაგლახ! ათასგვარი ავადმყოფობისა და ცუდ კომპანიებში ტრიალის გამო ისეა დახრული და გაცვეთილი, რომ იძულებული ვარ თავისივე წუმპეში დავტოვო. სხვათა შორის, იგი მარტო ჭიანჭველას როდი მაგონებს. იგი რალაციით ბანქოს გაქონილ ქალაქსაც ნააგავს. ძალზე მიეჭვება, რომ წყნარი ოკეანის წყლები საკმარისი აღმოჩნდეს იმისათვის, რომ ჩამორეცხოს სიბინძურე და ჭუჭყი და ძველებური სისუფთავე აღადგინოს. მაგრამ, სამაგიეროდ, რა ღვთაებრივი ესპანურით მეტყველებს და როგორი დახვეწილი სტილით გამოთქვამს აზრებს! აი, რას ნიშნავს, რომ მუდამ თეატრალურ წრეებში ტრიალებ და შენს ყურს სხვა არაფერი ესმის კალდერონის დიალოგების გარდა. ვაგლახ! ნეტავ ამ წუთისოფელს ისეთი რა სჭირს, ჩემო სულისდგმავ, რომ ამგვარ ადამიანს ასე სასტიკად ეპყრობა. იცი, მას ისეთივე ნაღვლიანი თვალები აქვს, როგორც იმ ძროხას, მეთაე ხბო რომ წაჰგვარეს“.

უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდეთ, რომ ძია პიო კამილა პერიკოლას ფირისფარეშობას უწევდა. ის იყო აგრეთვე მისი მუსიკის მასწავლებელი, მისი პარიკმახერი, მისი მასაჟისტი; ტექსტების მკითხველი, მისი დავალებების შემსრულებელიც და მისი ბანკირიც. მოარული ხმა კი იმასაც დასძენდა, რომ კამილას მამად ეკუთვნისო. მაგალითად, იგი პირადად ასწავლიდა მას როლებს. ქალაქში, მართალია, ჭორაობდნენ, რომ კამილამ წერა-კითხვა თვითონ იცოდა, მაგრამ ეს მაღალი აზრი უსაფუძვლო იყო; სწორედ რომ ძია პიო უკითხავდა და უწერდა. თეატრი გაგანია სეზონში ორ-სამ ახალ პიესას დგამდა, რადგან პერიკოლას წილად ყველაზე მრავალსიტყვიანი და მაღალფარდოვანი პარტიები მოდიოდა — მათი გაზუთხვა არც თუ იოლი საქმე იყო.

სულ რალაც 50-იოდე წლის განმავლო-

ბაში პერუ შორეულ განაპირა ქვეყნიდან აყვავებულ ქვეყნად გადაიქცა. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა მუსიკისა და თეატრალური ხელოვნებისადმი. დღესასწაულებს ლიმელები დილიდანვე თომას ლუის დე ვიტორიას საზეიმო წირვის ჰანგებს ისმენდნენ, საღამოს კი კალდერონის ბრწყინვალე პოეზიის ნიმუშებით ტკბებოდნენ. მართალია, ლიმელებს უყვარდათ ყველაზე დახვეწილ კომედიებში ბანალური სიმღერების, ხოლო სერიოზულ მუსიკალურ ნაწარმოებებში კი გულისამაჩუყებელი ეფექტების ჩართვა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ისინი არასოდეს ეძლეოდნენ მოწყენილობას ყალბი ღვთისმომშიშობის გამომხატვის გულისთვის. თუ მათ არ უყვარდათ ჰეროიკული კომედია, უყოყმანოდ რჩებოდნენ შინ, ხოლო თუ ყური დახშული ჰქონდათ პოლიფონიური მუსიკის მოსასმენად, ხელს არაფერი უშლიდათ, რომ უფრო ადრეულ მსახურებას დასწრებოდნენ. ერთხელ, როცა ესპანეთიდან ხანმოკლე მგზავრობის შემდეგ არქიეპისკოპოსი დაბრუნდა, მთელი ქალაქი ინტერესით კითხულობდა: „ნეტავი რა ჩამოგვიტანა?“ ბოლოს ხმა გავარდა, რომ თურმე პალესტრინას, მორალესის და ვიტორიას მესებისა და მოტეტების ტომეულები და აგრეთვე ტირსო დე მოლინას, ლუის დე ალარკონის და მორეტოს ოცდათხუთმეტი ნიგნისაგან შემდგარი პიესები ჩამოუტანიაო. არქიეპისკოპოსის საპატივცემოდ მალე საჯარო ზეიმი გაიმართა. მაგლობელი ბიჭუნების სკოლის შენობა და კომედიის თეატრის მწვანე დარბაზი გადატენილი იყო ძღვნად მორთმეული სხვადასხვა ბოსტნეულითა და ხორბლეულით — ქალაქის საზოგადოებას ერთი სული ჰქონდა ჯეროვნად დაესაჩუქრებინათ ამდენი მშვენიერების გამომგზავნი.

ეს სწორედ ის თეატრი გახლდათ, სადაც კამილა პერიკოლა თანდათან იმკვიდრებდა სახელსა და დიდებას. რეპერტუარი იმდენად მრავალფეროვანი იყო, ხოლო სუფლიორი ისე საიმედო, რომ ახლადდადგმული სპექტაკლის ჩვენებას სეზონში ერთი-ორჯერ თუ ახერხებდნენ. თეატრის მენეჯერს XVII საუკუნის ესპანური დრამის მრავალრიცხოვანი თაიგულიდან საშუალება ჰქონდა ნებისმიერი პიესა ამოერჩია. თვით იმ კომედიების ჩათვ-

ლით ახლა ჩვენთვის დაკარგულად რომ ითვლება, პერიკოლა მარტოოდენ ლოპედე ვეგას ასიოდე პიესაში მონაწილეობდა. იმ ხანად ლიმაში მრავალი შესანიშნავი მსახიობი ქალი გამოდიოდა სცენაზე, მაგრამ პერიკოლას მაინც ვერავინ შეედრებოდა. იქაურ მაყურებელს, რომელიც საკმაოდ შორს იდგა მეტროპოლიის თეატრისაგან, საშუალება არ ჰქონდა ჯეროვნად შეეფასებინა პერიკოლა, როგორც საუკეთესო მსახიობი ესპანურ სამყაროში. ლიმელების ოცნება იყო ერთხელ შორიდან მაინც მოეკრათ თვალი მადრიდის თეატრების ვარსკვლავებისათვის, რომლებიც არასოდეს ენახათ და, ალბათ, სწორედ ამის გამო მათ თავისი საქმის უბადლო ოსტატებად მიიჩნევდნენ. მხოლოდ ერთმა ადამიანმა დაბეჯითებით იცოდა პერიკოლას ფასი და ეს პიროვნება მისივე დამრიგებელი ძია პიო გახლდათ.

წარმოშობით ძია პიო კასტილიის ერთ კეთილშობილურ გვარს ეკუთვნოდა, ოღონდ უკანონოდ შობილად ითვლებოდა. ათი წლის ასაკში მამის ჰაზუნდიდან მადრიდში გაიქცა და მისი ძებნით მაინცდამაინც არავინ შენუხებულა. ამ დროიდან მოყოლებული ცხოვრების სახსარი თავისი მარიფათით გაჰქონდა. მას ავანტურისტის ექვსი დამახასიათებელი თვისება აქვს: — ადვილად იმახსოვრებდა სახელებს და სახეებს, მაშინ როცა, მიდრეკილი იყო არ გაემჟღავნებინა თავისი ვინაობა; ჰქონდა ენების შესწავლის ნიჭი; უშრეტი ნიჭი ათასგვარი ჭორების მოგონებისა; უცხოელებთან საუბარში ჩართვის ბუნებრიობა, და სინდისის ქენჯნისაგან სრული თავისუფლება, რაც მომდინარეობდა ზიზლით იმ ბოზოლა დოყლაპიების მიმართ, რომელთაც თვითონვე აბრიყვებდა.

ათი წლის ასაკიდან თხუთმეტამდე ვაჭართა წრეში დაძვრებოდა და მათთვის სარეკლამო ფურცლებს ავრცელებდა, ჩალვადრობდა; ასრულებდა სხვადასხვა კონფიდენციალურ დავალებებს. თხუთმეტიდან ოცამდე მოხეტიალე ცირკისათვის დათვებსა და გველებს წვრთნიდა; მზარეულობდა და პუნშს ამზადებდა. ერთთავად ძვირადღირებული ტავერნების გარშემო ტორლიალობდა და ჩამომხდარ მგზავრებს ყურში სხვადასხვა ცნობებს

ანვეთებდა, ზოგჯერ სულ უმნიშვნელოს, თუნდაც ასეთი შინაარსისა: „ერთი კეთილშობილი ოჯახი ისე დაკნინდა, რომ იძულებულია ვერცხლის დანა-ჩანგალი უჩუმრად გაჰყიდოს, რათა საკომისიო ხარჯებს თავი აარიდოს. იგი ქალაქის ყველა თეატრის ხშირი სტუმარი იყო, და თუ საქმე მოითხოვდა, აპლოდისმენტების ატეხვაში ათკაცს შეცვლიდა. გარკვეული ჭორების გავრცელებას გარკვეულ მაზანდას ადებდა; ვაჭრობდა ყალბი ცნობებით ამა თუ იმ მინის ნაკვეთის სარფიანობის და მისი მაღალი მოსავლიანობის შესახებ. ოციდან ოცდაათი წლის ასაკში მისმა სამსახურმა ხელისუფლების უმაღლეს წრეებშიც ჰპოვა აღიარება: მთავრობამ იგი ერთი-ორჯერ მთიან რეგიონებში შეაგზავნა იმ მიზნით, რომ იქ ორჭოფული აჯანყება გამოენვია, რათა საბაბი ჰქონოდა მოულოდნელად თავს დასტყდომოდა და არა ორჭოფულად ჩაეხშო იგი. ძია პიო იმდენად გამჭრიახი იყო, რომ ერთხელ საფრანგეთის მომხრეთა პარტიამ იგი გამოიყენა მაშინ, როცა მშვენივრად იცოდა, რომ ავსტრიის სამეფო კარის მომხრე პარტია ასევე სარგებლობდა მისი დახმარებით; არაერთხელ ჰქონია ხანგრძლივი საუბარი პრინცესა დეზ იურსენტან, ოღონდ მასთან კაბინეტში მოსახვედრად უკანა კარით სარგებლობდა. ცხოვრების ამ ეტაპზე აღარ უხდებოდა დიდკაცების გართობა.

ნებისმიერი საქმის მოგვარებას ორ კვირაზე მეტ დროს არ უთმობდა, თუნდაც მნიშვნელოვანი მოგების ფასად. მას იოლად შეეძლო გამხდარიყო ცირკის მეპატრონე, თეატრის დირექტორი, ანტიკვარიატით მოვაჭრე, იტალიური აბრეშუმის იმპორტიორი; შეეძლო სასახლის კარზე მოხელედ ემსახურა, ეკისრა ტაძრის მდივნობა, ჯარისათვის პროვიანტის მომმარაგებელი გამხდარიყო; სახლების და ფერმების ყიდვა-გაყიდვის სპეკულაციისთვის მოეკიდა ხელი, ანდა, ბოლოსდაბოლოს, საეჭვო ხასიათის გართობებით და სიამოვნებებით. ეტყობა, პიროვნულ ხასიათში ჩანერგილი არ ჰქონდა, — შეიძლება რისამე შემთხვევითობის წყალობით ან, შეიძლება იმის გამო, რომ ადრეულ ბავშვობიდანვე გული არ მიუწევდა, — მესაკუთრეს გრძნობა, რაც მას ხელ-ფეხს შეუკრავდა და რალაც ვალდებულებებს

გაუჩინდა. ალბათ, ამით აიხსნება, რომ ქურდობა არ დაუწყია. ერთი-ორჯერ, მართალია, ხელი წაუცდა, მაგრამ ნაქურდალი არ აღმოაჩინდა იმ ფასის, რომ ციხეში გამოკეტვის შიში დაეძლია. იგი იმდენად მოხერხებული და საზრიანი იყო, რომ მთელი ქვეყნის პოლიციას დაუსხლტა. მაგრამ თავისი მტრების დასმენას კი ვერ გადაურჩა. ერთხელ იმდენად დაეცა, რომ ინკვიზიციას ძიებაში დახმარება აღმოუჩინა. მაგრამ როცა საკუთარი თვალთი იხილა კაპიუშონნამოცმული მსხვერპლი, თუ როგორ მიაბრძანეს სადაც ჯერ არს, მიხვდა, რომ ასეთ დაწესებულებასთან თანამშრომლობას შეეძლო ისეთ მახეში გაება, რომელსაც კაცი წინასწარ ვერ განსჭვრეტდა.

ოცი წლის ასაკს რომ მიუახლოვდა, ძია პიო ნათლად დარწმუნდა, რომ ცხოვრებაში, თურმე, სამი მიზანი ამოძრავებდა. ამათგან უპირველესი იყო — მოქმედების დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი, რაც თავისებური სახით ჰქონდა ჩამოყალიბებული, კერძოდ — ყოფილიყო მრავალმხრივი, იდუმალებით მოცული და ყოვლისმცოდნე. იგი მზად იყო დაეთმო ამა სოფლის მრავალი სიამოვნება, თუკი დარწმუნებული იქნებოდა, რომ ადამიანებზე შორიდან ფარული თვალთვალის საშუალებით აღიჭურვებოდა. ცოდნით შეეტყო მათ შესახებ უფრო მეტი, ვიდრე თვით მათ იცოდნენ თავის თავზე, რათა ამ ცოდნის ამოქმედების შემთხვევაში სახელმწიფოს, ან კერძო პირის საქმეებში ნდობით აღჭურვილი პირის სახელს მოიპოვებდა. ცხოვრების მეორე მიზნად მიიჩნევდა სურვილს მარად მშვენიერი ქალების მარაქაში ტრიალი, რომელთა თაყვანისმცემელი იგი მუდამ იყო. ქალებთან სიახლოვე სუნთქვასავით აუცილებელი იყო მისთვის. მშვენიერი სქესისადმი მისი კრძალვა და რიდი იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ სასაცილოდ გამხდარიყო. თუმცა, მსახიობ ქალებს, კარის ბანოვანებს და საეჭვო სახლის ბინადართ, პირიქით, უყვარდათ იგი როგორც ქალთა ეშხის ჭეშმარიტი დამფასებელი. ისინი მოსვენებას არ აძლევდნენ: — აწამებდნენ, შეურაცხყოფდნენ, რჩევა-დარიგებებს ცინცლავდნენ და მის უჩვეულო ერთგულებაში თავისებურ ნუგემს პოულობდნენ. დიდი სულგრძელო-

ბით იტანდა იგი მათ კაპასობას, ცბიერებას, ყალბი სინანულის ცრემლებს. ყველაფერ ამის სანაცვლოდ ძია პიო მხოლოდ ერთ რამეს ითხოვდა — გამოეჩინათ ნდობა და ნება დაერთოთ დროდადრო შინ სტუმრებოდა. ითხოვდა, ოთახის პატარა ფინიასავით დაეგლო ოთახები, მათ მაგივრად დაენერა ბარათები. მას ჰკლავდა დაუოკებელი ჟინი, — რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდენოდა მათ სულსა და გონებას. იგი არც არასოდეს მოელოდა მაგან საპასუხო სიყვარულს (თუ ამ სიტყვას მომენტთან დაკავშირებით ოდნავ საჩოთირო მნიშვნელობით ვიხმართ, მაშინ ამ საქმისათვის ფულს ქალაქის საეჭვო უბნებში ხარჯავდა). იგი უსაშველოდ არამიმზიდველი მამაკაცი იყო, — ქოსასავით წვერულვაში და სასაცილოდ დიდრონი სევდიანი თვალები ჰქონდა. მის მრევლს ქალები შეადგენდნენ: — ეს სწორედ მათ შეარქვეს „ძია პიო“. თავის ნამდვილ ბუნებას მაშინ ავლენდა, როცა ვისმეს უჭირდა: „საკმარისი იყო მისი მრევლიდან „კეთილი განწყობილება“ ვისმეს მოჰკლებოდა, რომ მაშინვე ხელს უმართავდა. როცა მისი მრევლიდან დრო-ჟამი ავადმყოფობა სილამაზისაგან განძარცვავდა, იგი ძველებურად განაგრძობდა მასზე ზრუნვას წარსული მშვენიერების ეშხით. და ბოლოს, როცა რომელიმე მათგანი ამ სანუთროს განვლიდა, მისი გულწრფელი მწუხარება, შეძლებისდაგვარად, ყველაზე შორ მანძილზე მიაცილებდა მარტოობის გზაზე.

მისი ცხოვრების მესამე მიზანი კი ის იყო, რომ ისწრაფოდა მუდამ იმათ გვერდით ყოფილყო, ვინც ესპანური ლიტერატურის შედეგებს ეტრფოდა, — განსაკუთრებით თეატრის სფეროში. მთელი ეს საგანძური თვითონ აღმოაჩინა. თავის მფარველებს იგი ხშირად კი ჰპარავდა ნიგნებს და მერე თავისი დაუდეგარი ცხოვრების კულისებში ფარულად ტკბებოდა კითხვით. იგი ქედმაღლურად უყურებდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომლებიც, მიუხედავად განათლებულობისა და კარგი მანერებისა, ვერ ამჟღავნებდნენ უნარსა და ნიჭს სათანადოდ გამოენახათ მოწინება და აფრთოვანება სერვანტესის ან კალდერონის ფრაზების სასწაულებრივი ნყოფის წინაშე. იგი თვითონაც ცდილა ლექსები შეეთხზა და, აბა, რას წარმოიდგენდა,

რომ მრავალი სატირული ხასიათის ლექსს, ვოდვეილებისათვის რომ დანერა, — ხალხი აიტაცებდა და შარაგზებზე იმღერებდა.

ერთ-ერთი აყალმაყალის შემდეგ, — საროსკიპოებში ასე ბუნებრივად რომ წარმოიშობა ხოლმე, ძია პიოს ცხოვრება აენუნა და იძულებული გახდა პერუში გადასახლებულიყო. პერუელმა ძია პიომ უფრო მეტად, ვიდრე ევროპელმა, გამოავლინა ჩალიჩის უნარი. აქაც ხელი მიჰყო უძრავი ქონების: ცირკის თუ გასართობი სახლების ყიდვა-გაყიდვას; ხან აჯანყებებს აწყობდა, ხან ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობდა. ერთხელ პერუს ნაპირს კანტონიდან ჩინური ბრტყელძირიანი ხომალდი — ჯონკა მოადგა. ძია პიომ მაშინვე ნაპირზე უამრავი ფუთა გადმოაზიდვინა, რომელშიც შინდისფერი ფაიფურის ვაზები ელაგა და იშვიათი ნივთების კოლექციონრებს მიჰყიდა. ერთხელაც, სადღაც ინკების უებარ სამკურნალო საშუალებას მიაგნო და უმალ ფიცხელი ვაჭრობა გააჩადა. ოთხიოდე თვეში მთელ ლიმას თავი გააცნო. სულ მალე კი თავისი ნაცნობობის წრე ზღვისპირა ქალაქების, მეშახტეთა დაბების და ქვეყნის შორეული კუთხის მრავალი ათეული მაცხოვრებლით გაზარდა. ასე რომ, პრეტენზია — ყველა და ყველაფერი სცოდნოდა, ლამის იყო სიმართლეს დამსგავსებოდა. მეფისნაცვალს მხედველობიდან არ გამოორჩენია ძია პიოს კომპეტენტურობა ცოდნის სხვადასხვა სფეროში და არაერთხელ წარმატებითაც უსარგებლია. მიუხედავად იმისა, რომ დონ ანდრესს სალი განსჯის უნარი დაჰქვეითებოდა, ერთი კარგი თვისება მაინც შემორჩენოდა: კვლავ ოსტატურად ფლობდა ერთგულ მსახურებთან ურთიერთობის ტექნოლოგიას, კერძოდ, ძია პიოს დიდი ტაქტიკით ეპყრობოდა და სხვებისგან გამოარჩევდა. გუმანით გრძნობდა, რა სახის დავალება არ უნდა ეკადრებინა შესასრულებლად. ითვალისწინებდა იმასაც, რომ ძია პიოს სჭირდა მრავალფეროვნება და სულის მოთქმა დავალებიდან დავალებამდე. თავის მხრივ ძია პიოს აოცებდა ის გარემოება, რომ დონ ანდრესი, — მთელი ქვეყნის მმართველი, — თავის მაღალ მდგომარეობას, ძალაუფლებას, კაპრიზების დაკმაყოფილების საშუალებებს, თუ ადამიანის ბედ-იღბლით გამონვეულ სია-

მოვნებას სრულიად უმნიშვნელო ყურადღებას აქცევდა. მაგრამ ძია პიოს, როგორც მსახურს, მაინც უყვარდა თავისი პატრონი, რადგან სერვანტესის თხზულებათა ნებისმიერ წინასიტყვაობიდან ციტირება შეეძლო და კიდევ იმიტომ, რომ საუბრისას ცოტაოდენი კასტილიური ენაკვიმატობა შემორჩენოდა. ვინ მოთვლის რამდენჯერ შესულა უთენია სასახლეში ძია პიო, გაჰყოლია დერეფნებს, — სადაც მხოლოდ ერთეულ მცველებს და მოძღვარს თუ ნაანყდება კაცი და მეფისნაცვალთან ერთად დილის შოკოლადი უგემია.

მაგრამ ათასგვარმა ჩალიჩმა ძია პიო ვერ გაამდიდრა. ვინმე იფიქრებს, ამის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ წამონყებულ საქმეს სწორედ მაშინ წყვეტდა, როცა ისიც იგი წარმატებით უნდა დაგვირგვინებულიყო. მაგრამ უნდა ითქვას, რომ, თუმცა კაციშვილმა არ იცოდა — მას მაინც გააჩნდა საკუთარი სახლი, რომლის პირველი სართული გადატენილი იყო სხვადასხვა ჯიშის ძაღლებით და, მაშასადამე, კიდევ უფრო მეტად შეეძლოთ გამრავლებულიყვნენ; მეორე სართული კი მთლიანად ფრინველებს ჰქონდათ დათმობილი. და მაინც, ასეთ სამფლობელოშიც თავს მარტოსულად გრძნობდა და ამაყობდა კიდევ მარტოობით, თითქოს ასეთ განდეგილობაში ერთგვარი უპირატესობა ყოფილიყო.

საბოლოოდ, იგი ერთ ამბავს გადაეყარა, რაც ზეცის უცნაურ წყალობას უფრო ნააგავდა და, რომელმაც ერთ მთლიანობაში მოაქცია მისი ცხოვრების სამივე დიდი მიზანი: — უცხო ადამიანების ცხოვრების ფარული მხარის თვალთვალის დაუოკებელი ჟინი, ლამაზი ქალების თაყვანისცემა და აღფრთოვანება ესპანური ლიტერატურის შედეგებით.

კამილა პერიკოლას აღმოჩენა სწორედ მას მიენერება. ქალის ნამდვილი სახელი მიქაელა ვილიაგესი გახლდათ. თორმეტი წლისა კაფეში მღეროდა, ძია პიო კი კაფეების სული და გული გახლდათ. და აი, ერთხელ, როცა იგი გიტარისტებს შორის იჯდა და ამ მოუქნელ გოგოს თვალს ადევნებდა, რომელიც რაღაც ბალადას მღეროდა და ხმის მოდულაციით თავისზე უფროსს და გამოცდილ მომღერლებს ბავდა, — უცებ გუნებაში გადანყვიტა პიგ-

მალიონის როლი გაეთამაშა: გამოისყიდა გოგო, რომელსაც მანამდის ღვინის დიდ სანახელოში ჩაჭედო ეძინა. ახლა კი ძია პიომ თავის სახლში, ლოგინში ჩაანვინა, ახალი ტანსაცმელი უყიდა და სიმღერებიც დაუნერა. პირველი, რაც კამილამ კარგად შეიგნო, ის იყო, რომ თურმე დიდი ბედნიერება ყოფილა, როცა არავინ გცემს, როცა პირიქით, ცხელი წვნიანი გიმასპინძლებიან და, ამასთანავე, კიდევ რაღაც-რაღაცებს გასწავლიან, მაგრამ თუ ვინმე გაოცებას იყო, ეს თვითონ ძია პიომ: ბოლომდის გაუაზრებელმა მისმა ექსპერიმენტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა; პატარა, თორმეტი წლის მღუმარე და გულჩათხრობილი გოგო, თავდაუზოგავად შრომობდა მსახიობის და იმიტაციის ხელოვნების დასაუფლებლად. ძია პიომ ქანცის განყვეტამდე ავარჯიშებდა, უხსნიდა, თუ როგორ უნდა გადმოეცა სიმღერის ეშხი, დაჰყავდა თეატრში. აიძულებდა გარკვეულიყო წარმოდგენის ყველა დეტალში. მაგრამ ყველაზე მეტად გააოცა კამილამ როგორც ქალმა: კაფანდარა, კანჭა ხელ-ფეხებიანი გოგო ბოლოს ჰარმონიულად ჩამოქნილ ქალად გადაიქცა. ნაშიმშილევი, თითქმის გროტესკულად გამოიზიარა სახე ახლა სილამაზით გამოირჩეოდა. მთელ მის არსებაში გამოკრთოდა სილამაზე, იდუმალი მომხიბვლელობა და გონიერება. და ყოველივე ეს ძია პიოს წყალობით. კამილა მასში ვერანაირ ნაკლს ვერ ხედავდა და სამაგალითოდ ერთგულეობდა. ერთმანეთი ღრმად უყვარდათ, თუმცა ვნებების გარეშე. ძია პიომ უდავოდ პატივს სცემდა იმ თითქმის შეუმჩნეველ ნერვიულ თრთოლას, რომელიც კამილას სახეზე გადაურბენდა ხოლმე, როცა იგი შემთხვევით მეტისმეტად ახლოს მიუახლოვდებოდა ქალს. თუმცა სიყვარულისგან თვით ასეთი განდგომაც ბადებს იმ არომატს, ვნების იმ აჩრდილს, რომელთა მეშვეობითაც ყველაზე მოულოდნელი ურთიერთობათა დროს, ცხოვრება, — მიძღვნილი თუნდაც ყველაზე მოსაბეზრებელი მოვალეობისადმი, — ტკბილი სიზმარივით მიმდინარეობს. მათ ბევრი იხეტიალეს ერთად ახალ-ახალი ტავერნების ძიებაში, რადგან კაფე-შანტანის მომღერლისათვის წარმატების მოპოვების უპირველესი პირობა ყოველთვის მოულოდ-

ნელობის ეფექტია. ერთ მშვენიერ დღეს, მათ, ჩვეულებისამებრ თითო ხელი გამოსაცვლელი ტანსაცმელი მრავალწანაბ ბოხჩაში გამოკრეს და მექსიკაში ამოჰყვეს თავი. ღამეებს ზღვის სანაპიროებზე ათენებდნენ. პანამაში ყოფნისას რატომღაც მწარედ გაროზგეს. წყნარ ოკეანეში ხომალდის დანთქმის შემდეგ ტალღებმა ფრინველთა სკლინტით გადაგლესილ პანანკინტელა კუნძულზე გამოორიყა; რის ვაი-ვაგლახით გადალახეს ქვეწარმავლებით და მწერებით მოფუთფუთე ჯუნგლები. მოსავლის აღების ცხარე დღეებში მოჯამაგირეობით გაჰქონდათ თავი. ასე რომ, ამ ქვეყნად მათ ვერაფერი გააკვირვებდა.

ამის შემდეგ კამილას კიდევ უფრო მძიმე დღეები დაუდგა, კერძოდ — სწავლის რეჟიმი, რომელიც აკრობატის ხელოვნების დაუფლებაზე ნაკლები არაფრით იყო. წვრთნას, სხვათა შორის, ართულებდა ის გარემოება, რომ კამილა საკმაოდ იოლად აღწევდა წარმატებებს, რაც ქმნიდა საშიშროებას მოეპოვებინა მაყურებლის აპლოდისმენტები დროზე ადრე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ძია პიოს არასოდეს დაუკარებია ხელი მისთვის. მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთ სარკაზმს მიმართავდა ხოლმე, რომ ცემაზე ნაკლები არ იყო. მომხდარა ისეც, რომ სპექტაკლიდან საგრიმიოროში დაბრუნებული კამილა ძია პიოს წასწყდომია უდარდელად რომ მიმჯდარიყო კუთხეში და თავისთვის რაღაცას უსტვენდა. ქალი უმაღლესად მის განწყობილებას და გაანჩხლებული ყვირილს მორთავდა ხოლმე.

— აბა, ახლა კიდევ რის თქმას აპირებ? ღვთისმშობელო მარია! ღვთისმშობელო მარია! ახლა კიდევ რაღას მეტყვი, ნეტავ?

— არაფერს, პანანინა მარგალიტო, ჩემო პატარა კამილავ კამილათა შორის, სრულებით არაფერს.

— შეუძლებელია. შენ ნამდვილად რაღაც არ მოგეწონა. იცი, შენ ვინა ხარ? ერთი საძაგელი კაცი, ვინც მუდამ ცუდს ეძებს ჩემში. მიდი, თქვი, რა არ მოგეწონა? ისმენ, მე მზად ვარ.

— არა, ჩემო პატარა ოქროს თევზო, ჩემო სათაყვანებელი ცისკრის ვარსკვლავო. ვფიქრობ, რაც შეგეძლო, ყველაფერი გააკეთე.

გადაკრულად ნათქვამი, რომ იგი შეზ-

ლუდული ნიჭის მსახიობია, რომ გარკვეული წარმატება სამუდამოდ მიუღწეველია მისთვის, — კამილას ახელებდა და მაშინვე ცრემლებად იღვრებოდა.

— ოჰ, ნეტავ არასოდეს გამეცანი. მთელი ცხოვრება მომიშხამე. სულ გეჩვენება, რომ ყველაფერი ცუდად გამომდის. სულ იმას ჩამჩინებ, თითქო ბოლომდის საქმეს ვერ ვაკეთებ. რადგან ასეა, სჯობს გაჩუმდე.

ძია პიო კი ვითომდაც არაფერი — სტვენას განაგრძობდა.

— უშენოდ ვიცი, რომ ამ საღამოს კარგად არ გამომივა. ახლა ამაზე ლაპარაკი გვიანია. დიახ! ახლა კი მომწყდი თავიდან, შენი დანახვაც კი არ მინდა! ამ როლის თამაში ისედაც რთულია, ისედაც ნერვებდასაწყვეტი, შემოდინხარ აქ და ეს კაცი კი ასეთი სახით გხვდება!

ძია პიო უცებ მისკენ გადაიხრებოდა და ვითომდა, გაბრაზებული ეკითხებოდა.

— ტუსალთან სცენაში ასე სხაპასხუპით რატომ ლაპარაკობდი?

პერიკოლა ლამის იყო ცრემლებად დაღვრილიყო.

— ოჰ, ღმერთო, მომეცი ძალა მშვიდად განვუტევეო სული. ერთ დღეს მსაყვედურობ — სწრაფად ლაპარაკობო, მეორე დღეს მარიგებ — შედარებით დინჯად ისაუბრეო. მოკლედ, ვატყობ, ერთ-ორ წელიწადში საბოლოოდ გავაფრენ და ამას მაშინ რალა მნიშვნელობა ექნება.

პასუხად კვლავ სტვენა ისმოდა.

— გარდა ამისა, ხომ დარწმუნდი თვითონ, რომ წინანდელზე უფრო მქუხარედ მიკრავდა ტაშს დარბაზი. გესმის, რას ვამბობ? დიახ, ადრე ასე მქუხარედ არასოდეს დაუკრავთ. აი, ასე დინჯად, თუ სწრაფად — მათთვის სულ ერთია. ისინი ქვითინებდნენ, მე კი ღვთაებრივი ვიყავი. ეს არის ჩემთვის უმთავრესი! ჰოდა, ახლა ხმა აღარ დაძრა, გაჩუმდი!

ძია პიო მართლაც ჩუმდებოდა და ხმას აღარ იღებდა.

— შეგიძლია თმა დამვარცხნო. მაგრამ თუ ერთი სიტყვა წამოგცდენია, იცოდე, უმალ თავს დავანებებ თამაშს. მერე წადი და ახალი გოგო იმოვე. მორჩა და გათავდა.

ამას მოჰყვებოდა ის, რომ ძია პიო ათიოდე წუთის განმავლობაში უხმოდ ვარცხ-

ნიდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ამჩნევდა, როგორ თრთოდა კამილას არაქათგამოცლილი სხეული ჩუმი ქვთინისგან. ბოლოს, იგი მოულოდნელად შემობრუნდებოდა, ძია პიოს მკლავზე ხელს წაავლებდა და გახელებით დაუნყებდა კოცნას.

— ძია პიო, ნუთუ მართლა ასე ცუდად ვითამაშე ეს სცენა? ნუთუ ასე რიგად შეგარცხვინე, რომ იძულებული გახდი დარბაზი მიგეტოვებინა?

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ძია პიო წინდახედულად შენიშნავდა ხოლმე.

— ხომალდზე გათამაშებულ სცენაში შენ მართლაც დიდებული იყავი.

— მაგრამ ეს სცენა, ძია პიო, უკეთესადაც შემისრულებია. ხომ გახსოვს ის საღამო, შენ რომ კსკოლან დაბრუნდი?

— ფინალურ სცენაშიც მშვენიერი იყავი.

— მართლა, ხომ?

— მაგრამ, ჩემო ყვავილო, ჩემო მარგალიტო, ტუსალთან დიალოგის დროს მითხარი, მაინც რა დაგემართა?

აქ კი კამილა მაგიდას ზედ გადაემხო-ბოდა, მასზე მიმოფანტულ პომადებს შორის თავს ჩარგავდა და საშინელი ქვითინი აუვარდებოდა. ადამიანს მარტოოდენ სრულყოფილება აკმაყოფილებს, მარტოდენ სრულყოფილება, ის კი არასოდეს მოდის, არასოდეს.

მაშინ ძია პიო დაბალი ხმით იწყებდა საუბარს და მთელი საათი აანალიზებდა პიესას, შეჰყავდა იგი ხმის, ფესტიკულაციის და ტემპის ფაქიზ სამყაროში და ხშირად გათენებამდე რჩებოდნენ თეატრში, ერთმანეთს ხმამაღლა უკითხავდნენ კალდერონის ბრწყინვალე დიალოგებს.

ნეტავ, მაინც ვისი სიამოვნების დაკმაყოფილებას ესწრაფოდა ეს ორი ადამიანი? ყოველ შემთხვევაში არა ლიმელეებისა, ისინი დიდი ხანია კმაყოფილნი იყვნენ. ჩვენ მოსულები ვართ იმ სამყაროდან, სადაც მაღალი ოსტატობის საოცარ ნიმუშებს ვიცნობდით და მერე ბუნდოვნად ვიხსენებთ, იმ სილამაზეებს, რომელთაც ხელახლა ვეღარ ჩავნვდებით; მერე კვლავ ვუბრუნდებით იმავე სამყაროს. ძია პიო და კამილა პერიკოლა თავს იტყებდნენ იმის მცდელობაში, რომ პერუში დაემკვიდრებინათ ნიმუშები რალაც ზეციური თეატრის მსგავსი, საითკენაც კალდერონმა

მას გზა გაუკვალა. პუბლიკა, ვისთვისაც შედეგებია განკუთვნილი, საუბედუროდ, ამ ქვეყნად აღარ ცხოვრობს.

გადიოდა დრო და თეატრალური ხელოვნებისადმი ტრფიალი კამილას თანდათან უნელდებოდა. ბოლოს იმის გამო რომ -დრო-დადრო მსახიობის პროფესიისადმი ერთგვარი სიძულვილიც მოეძალებოდა, საბოლოოდ თავის ხელობაზე გული აიყარა. შეიძლება ეს იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ესპანურ კლასიკურ დრამაში ტრადიციულად ქალის როლებისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ. იმ დროს, როცა საფრანგეთის თუ ინგლისის (მოგვიანებით კი ვენეციის) დრამატურგები სამეფო კარის ირგვლივ იკრიბებოდნენ და ქალთა როლებს ამდიდრებდნენ მათთვის დამახასიათებელი გონებამახვილობით, მომხიბვლელობით, სასიყვარულო ვნებებით და ისტერიებით, — ამ დროს ესპანელ დრამატურგებს კვლავ კეთილშობილური წარმომავლის მამაკაცების გამოხატვისკენ მიუწევდათ გული, — იმ მამაკაცებისა, რომელთა გულს უფლებდა ღირსების გრძნობის ურთიერთსაინანააღმდეგო მოთხოვნებიანი; ანდა წარმოსახავდნენ შეცთომილთ, საბედისწერო წუთებში წმ. ჯვარს რომ სცემენ თავყვანს სულის საცხონებლად. წლების განმავლობაში ძია პიო თავს არ ზოგავდა, რომ რაიმე საშუალება გამოეძებნა, რათა პერიკოლა დაეინტერესებინა იმ როლებით, რისი შესრულებაც მას ბედმა არგუნა.

ძია პიო ბედნიერების მწვერვალზე თავს მხოლოდ მაშინ გრძნობდა, როცა თეატრში ახალი მსახიობი ქალი მოვიდოდა, რადგან თავის გვერდით პერიკოლა მეტოქეს ვერ გუობდა და სასტიკად აშმაგებდა. ასეთ დროს, დარბაზის ბოლოში მდგომი და მხიარული სეირის მოლოდინში მხრებში ოდნავ მოხრილ ძია პიოს ეჩვენებოდა, რომ პერიკოლას მთელი სხეული შინაგანად უფარვარებდა, თითქოს თაბაშირის ლამპა ყოფილიყო. ყოველგვარი ძალდატანებისა და ყალბი აფეთქების გარეშე თრგუნავდა თავის მეტოქეს. თუ ამ დროს კომედიას თამაშობდნენ, პერიკოლა თვით გონებამახვილობის განსახირობა იყო, ხოლო თუ დრამას — (რაც უფრო ხშირად ხდებოდა), — სცენას მისი ემოციებისგან პირდაპირ აღმური ასდიოდა; იგი

ისე იყო დამუხტული ელექტრობით, რომ საკმარისი იყო პარტნიორს ხელით ოდნავ მიჰკარებოდა, მაშინვე მთელ დარბაზს თანაგრძნობის ჟრუანტელი უვლიდა ხოლმე. მაგრამ ოსტატობის ასეთი ბრწყინვალე გამოვლენა სულ უფრო იშვიათად მეორდებოდა. ბოლო დროს რამდენადაც თვალსაჩინოდ ხვეწდა თამაშის ტექნიკას, მით უფრო კლებულობდა მოთხოვნილება გულწრფელობაში. მაშინ კი, როცა სცენაზე დაუდევრად თამაშობდა, მაყურებელი ამას უკვე ველარ ამჩნევდა და მხოლოდ ძია პიო განიცდიდა.

საერთოდ, კამილას ლამაზი პირი-სახე ჰქონდა. უფრო სწორად თუ ვიტყვით, ლამაზი — სცენაზე თამაშისას; სცენის გარეთ, როცა არ მსახიობობდა, — გაგაოცებდათ, რომ, თურმე, ცხვირი საკმაოდ თხელი და გრძელი ჰქონია, პირი დამჭკნარი და ბავშვური მოყვანილობის, თვლები ხარბად მომზირალი. მოკლედ, ერთი უფერული სოფლელი გოგოსავით გამოიყურებოდა, რომელიც თითქოს ეს-ეს არის კაფე-შანტანიდან გამოსიყიდეს და, რომელსაც იმდენი ჭკუა არ ეყო, რომ ჰარმონია ამოეგდო თავისი ხელოვნების ამოცანებსა, საკუთარ მიდრეკილებებსა და წვრილმანებით გადატვირთულ ყოველდღიურობას შორის. სანამ თითოეული ეს მოვლენა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობდა — კიდევ არაფერი, მაგრამ თუ მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა, ფიზიკურად უფრო სუსტი აგებულების ადამიანს მოკლე ხანში ან გამოათავყვანებდა, ან არარაობად აქცევდა. როგორც უკვე ვნახეთ, თავისი თამაშით გამოწვეული უკმაყოფილების მიუხედავად, პერიკოლამ ისიც კარგად იცოდა, რა სიამოვნებასაც შეიცავდა მსახიობობა და დროდადრო თბებოდა კიდევ ამ ოსტატობის ალზე. მაგრამ ტროფობის ალი გაცილებით ხშირად იზიდავდა, თუმცა კი სიყვარული დიდ ვერაფერ ბედნიერებას ჰპირდებოდა, სანამ ერთხელ თვით იუპიტერმა არ გადმოუგდო ერთგვარი წყალობა.

პერუში მეფისნაცვალის დონ ანდრეს რიბერა, — ოდესლაც მომხიბვლელი მამაკაცი — ამჟამად ძველი დიდკაცობისა და ათი წლის იძულებითი გადასახლების წყალობით ჯანგატეხილს, — ყმანვილკა-

ცობაში ვერსაღსა და რომში მივლინებულ ელჩობებში მიუღია მონანილეობა; უბრძოლია ავსტრიის წინააღმდეგ, მოუხილავს იერუსალიმის წმინდა ადგილები. იგი უძეოდ გადაეგო მას შემდეგ, რაც დაქვრივდა, — ფაშფაშა და მდიდარი ცოლი გარდაეცვალა. იგი ცოტ-ცოტა კოლექციონერობდა — აგროვებდა მონეტებს, ღვინოებს, მსახიობ ქალებს, რუკებს. სუფრის სიყვარულმა ნიკრისის ქარი შესძინა, ალკოჰოლმა — კრუნჩხვებისადმი მიდრეკილება, დიდკაცობამ — მედიდურობა, თანაც იმდენად უზომო და ბავშვური, რომ სხვის საუბარს იშვიათად თუ უგდებდა ყურს, ხოლო თავის გაჭიანურებულ მონოლოგებს — ქერში აპყრობილი თვალებით წარმოსთქვამდა. გადასახლებამ ოკეანესავით უნაპირო მოწყენილობით დააჯილდოვა, რომელიც ისეთივე მოსაბეზრებელი იყო, როგორც ტკივილი — დილაობით შენთან ერთად რომ იღვიძებს, მთელი დღის განმავლობაში გვერდიდან რომ არ გშორდება და ღამითაც სასთუმალთან გიზის. კამილას ცხოვრება თეატრალური ყოფის წვრილმან ყოველდღიურობაში, ჩვეულებრივ უღიმღამოდ ვიდოდა, რასაც ზოგჯერ საეჭვო ხასითის სასიყვარულო ფათერაკები ახალისებდა. და უცებ ამ ოლიმპიურმა პერსონაჟმა (რამეთუ ასეთი შესახედაობის და იერის მქონეს სცენაზე მხოლოდ ღვთაებათა და გამირების როლი უნდა განესახიერებინა), სრულიად მოულოდნელად თეატრალური და სახელმწიფოს მმართველობის ტრადიციების სანინააღმდეგოდ სასახლის უწარმტაცეს ვახშმებზე ამოაყოფინა თავი. კამილა თავის ხანში შესულ თაყვანისმცემელს პირდაპირ აღმერთებდა. მიაჩნდა, რომ ამ გზით სამარადჟამო ბედნიერება ენეოდა. დონ ანდრესმა მრავალი რამ შეასწავლა კამილას. ეს გარემოება კი მისი ცოცხალი და ხარბი გონებისათვის სიყვარულის გამოხატვის ერთ-ერთ უტკბილეს ინგრედიენტს წარმოადგენდა. დონ ანდრესის წყალობით იგი ცოტაოდენ ფრანგულს დაეუფლა, მიეჩვია წესიერებას და სისუფთავეს, ისწავლა ვისთვის როგორ უნდა მიემართა. უფრო ადრე ძია პიო უხსნიდა როგორ დაეჭირა თავი მაღალი წრის ქალბატონებთან საზეიმო ვითარებაში; დონ ანდრესი მაგალითს აძლევდა იმისა,

თუ როგორ ისვენებდნენ და ერთობიან ისინი. ხოლო ძია პიომ და კალდერონმა იგი დახვეწილ მეტყველებას მიაჩვიეს.

სასახლეში კამილას მიპატიჟებამ ძია პიო შეამფოთა. მას ბევრად ერჩია კამილას ვულგარული სასიყვარულო თავგადასავლები კვლავ თეატრის დეკორაციების სარდაფში განეგრძო. მაგრამ როცა დაინახა, რომ კამილას ოსტატობა უფრო მეტად დაიხვეწა — დამშვიდდა.

დაჯდებოდა დარბაზის ბოლო რიგის ერთ-ერთ სავარძელში და სიამოვნებით ცქმუტავდა და ტკბებოდა იმის ყურებით, თუ როგორ ცდილობდა კამილა მაცურებისთვის ეგრძობინებინა, რომ იგი თავს შინაურულად გრძნობდა იმ წრეში, რომელსაც დრამატურგები აღწერენ თავიანთ პიესებში. ის ახლებური მანერით იღებდა ღვინის ბოკალს და თითებს შორის ატრიალებდა; თავის პარტნიორებს ასევე ახლებური მანერით უქნევდა ხელს დამშვიდობებისას და, ასევე ახლებური მანერით აღებდა კარს, რაც თავისთავად ბევრ რამეზე მიუთითებდა. ძია პიოს ხომ მეტი არც უნდოდა: — რა შეიძლება იყოს ამ ქვეყნად იმაზე უფრო სასიამოვნო, ვიდრე მომხიბლავი ქალი, რომელიც ჯეროვნად მიაგებს მისაგებელს ესპანური ლიტერატურის შედეგებს? (თითქოს გეკითხებოდა იგი). სპექტაკლი, რომელიც გაჯერებულია ცხოვრების არსზე დაკვირვებით და მსჯელობით, რომლის დროსაც სიტყვებს შორის არსებული პაუზაც კი ისე იკითხება, როგორც ცხოვრებისადმი დამოკიდებულების გამოხატვა და ლექსის განმარტება. და ყოველივე ეს წარმოთქმული მომხიბლავი ხმის და მშვენიერი პიოვნული ხიბლის მქონე ქალის მიერ. „თითქმის მზად ვართ ამ საოცრებით წარვსდგეთ ესპანეთის წინაშე“, იტყოდა ხოლმე გუნებაში ძია პიო. მერე, წარმოდგენის შემდეგ საგრიმორში შევიდოდა და იტყოდა: „ძალიან კარგი“. ოღონდ, გამოსვლის წინ თერთმეტი ათასი კელინელი ქალწულის სახელით უსათუოდ დააფიცებდა ეთქვა, თუ სად ისწავლა ხცელენეია-ს ასე მომხიბვლელად წარმოთქმა.

მცირე ხნის შემდეგ მეფისნაცვალმა პერიკოლას ჰკითხა, წინააღმდეგი ხომ არ იქნებოდა, თუ შუალამის ვახშმობებზე კიდევ რამდენიმე სანდო პირს მიიწვევდა,

კერძოდ, ხომ არ ისურვებდა არქიეპისკოპოსთან შეხვედრას. ამ წინადადებას კამილა ალაფრთოვანა. ალაფრთოვანა არქიეპისკოპოსიც. პირველი შეხვედრის წინა დღეს არქიეპისკოპოსმა მსახიობ ქალს ბანქოს ქალაღდისხელა ზურმუხტის ყელსაბამი გამოუგზავნა.

ქალაქ ლიმაში დადიოდა ერთი რამ, რაც რამდენიმე იარდის იისფერ ატლასში იყო გახვეული და საიდანაც დიდრონი, შეშუპებული პირ-სახე მოჩანდა და საიდანაც ორი ფუნჩულა სადაფისფერი ხელი გამოჩრილიყო. დიახ, ეს თვითონ არქიეპისკოპოსი გახლდათ. სიმსუქნით დაგრაგნილი სახის ნაკეცებიდან მომზირალი შავი თვალები მორიდებულობაზე, გულკეთილობასა და გონიერებაზე მეტყველებდა. და მთელი ქონის ამ ნაჭერში ცნობისმოყვარედ ცხოვრების მოტრფიალე სული იყო გამომწყვდეული. მაგრამ იმის გამო, რომ იგი თავის თავს უარს ვერ ეუბნებოდა ხობხის თუ იხვის ხორციტ პირის ჩატკბარუნებაზე, ისევე, როგორც რომაული ღვინის ყოველდღიურ წრუპვაზე. — საკუთარ თავს უღმობელ ჯალათად ევლინებოდა. მას უყვარდა თავისი საკათედრო ტაძარი, უყვარდა თავისი მოვალეობა. იგი დიდი ღვთისმოსავი გახლდათ. თავის ჩასუქებულ სხეულს ხშირად სინანულით ათვალიერებდა, მაგრამ სინდისის ქენჯნით გამონვეული სულიერი ტანჯვა ბევრად იოლი ასატანი ერვენებოდა, ვიდრე მარხვისგან თავის შეკავება. ამიტომ, სულ მალე იწყებდა თავის მართლებას იმ მოტივით, რომ არსებობს იდუმალი მინიშნებები, რომლის ძალითაც განსაზღვრული შემწვარი კერძი უთუოდ განსაზღვრულსავე ვინიგრეტს მოითხოვს, და ამ ცოდვის გამოსყიდვის მიზნით სხვა ყველა დანარჩენ შემთხვევაში სამაგალითო ცხოვრებას ენეოდა.

მას მთლიანად გადაკითხული ჰქონდა ანტიკური ლიტერატურა. მაგრამ პირწმინდად გადავინწყებოდა. მეხსიერებაში ჩარჩენოდა მხოლოდ ნაკითხულის ზოგადი ხიბლის არომატი და იმედგაცრუება. ასევე მას შესწავლილი ჰქონდა წმ. მამათა ცხოვრების და საეკლესიო კრებების ისტორია და ამ შემთხვევაშიც ყველაფერი გადავინწყებოდა, გარდა განხეთქილებათა შესახებ ბუნდოვანი შთაბეჭდილებებისა,

რასაც, სხვათა შორის, პერისთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. იცნობდა ფრანგი და იტალიელი ლიბერტინების შედევრებს და ყოველ წელს ხელახლა გადახედავდა ხოლმე. კენჭის გავლით გამონვეული ტკივილების დროსაც კი (საბედნიეროდ, სანტა-მარია კლუქსაბუქელის წყაროს წყლით მკურნალობის შემდეგ რომ დაიშალა), — უკეთესი რამ თავშესაქცევად ვერარა გამონახა ბრანტომის და ღვთაებრივი არეტინოს ისტორიული ანეგდოტების გარდა.

არქიეპისკოპოსს მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ თითქმის ყველა მღვდელი პერუში მევახშეობდა. საჭირო იყო მთელი თავისი ეპიკურეული აღზრდა-განათლება მოეშველიებინა, რათა თავი შეეკავებინა და მათ წინააღმდეგ რაიმე არ აემოქმედებინა. ბუნებაში ხშირად იმეორებდა თავის საყვარელ შეხედულებას, რომ ამ ქვეყნად უსამართლობა და უბედურება მარადიული მოვლენაა; რომ თეორია პროგრესის შესახებ — ილუზიაა; რომ ღარიბ-ღატაკნი, რომლებიც არ იცნობენ ბედნიერების ფასს, უგრძნობელნი არიან უბედურების მიმართ. როგორც ყველა მდიდარ ადამიანს, მასაც არ სჯეროდა, რომ ღარიბებს (აბა, შეხედეთ მათ სახლებს, შეხედეთ მათ ტანსაცმელს!), ნამდვილად ჰქონდათ ტანჯვის განცდა. და ბოლოს, როგორც განათლებულ ადამიანს, სჯეროდა, რომ მარტო ფართოდ ნაკითხ კაცს თუ შეუძლია განსაზღვროს რა არის უბედურება. ერთ-ერთი შემთხვევის დროს, როცა მის ყურამდის მიაღწია ამბავმა, თუ რა უკანონობაც ხდებოდა მის ეპარქიაში, ცოტას განწყდა, გადამწყვეტი ზომები მიიღო! ცნობილი გახდა, რომ თურმე მღვდლები პერუში მსუბუქი ცოდვის განტევებისათვის მრევლისგან ორმაგ საზღაურს იღებდნენ, ხოლო მძიმე, მნიშვნელოვანი ცოდვისთვის კი — ხუთმაგს. მან ისე განარისხა არქიეპისკოპოსი, რომ კანკალი დაანყებინა. თავის მდივანს უღრიალა, დაუყოვნებლივ სანერ-კალამი მოერთმია — ენება თავისი ეპარქიის მღვდელმთავრისთვის თავზარდამცემი მიმართვა ეკარნახა. მაგრამ სამელნე მთლად ამომშრალიყო. მელანი არც სხვა ოთახებში აღმოჩნდა და, საერთოდ, მთელ სასახლეში მელნის ხსენება არსად იყო. საქმის ასეთმა ვითარებამ მთელ მის

რეზიდენციაში და გაგონილით გამონვეულმა გულისწყრომამ ისე ააღელვა გულჩვილი ადამიანი, რომ ავად გახდა და საბოლოოდ ისწავლა ჭკუა, — უფრო თავშეკავებული ყოფილიყო და მომავალში ასეთი რეაქცია აღარ გამოეხატა.

არქიეპისკოპოსის ჩართვა ვახშმოებზე იმდენად ილბიანი აღმოჩნდა, რომ დონ ანდრესმა კიდევ ახალი წევრების შემოკრებაზე დაიწყო ფიქრი. მართალია, იგი თანდათან ექცეოდა ძია პიოს გავლენის ქვეშ, მაგრამ მის ჩართვას სტუმართა სიაში არ ჩქარობდა, — ელოდა, როცა კამილა თვითონ გამოხატავდა ამ სურვილს. თავის მხრივ კი ძია პიომ თან მოიყვანა ზღვებსა და ოკეანეებზე დაუდეგარი მოხეტიალე კაპიტანი ალვარადო. ჩვეულებრივ, შინაურული წვეულებები უკვე რამდენიმე საათის დაწყებული იქნებოდა ხოლმე, როცა კამილაც გამოჩნდებოდა. სახეგაბრწყინებული, ძვირფასეულობით შემკული და საკმაოდ გადაღლილი ის პირდაპირ სპექტაკლიდან მოდიოდა ლამის პირველი საათისთვის. ოთხივე მამაკაცი ისე ეგებებოდა მას, როგორც დედოფალს. დაახლოებით საათზე მეტ დროს კამილა აქტიურად მონაწილეობდა საუბარში, მერე კი დონ ანდრესის მხარს სულ უფრო მეტად თავდაყრდნობილი მხოლოდლა საუბარს უსმენდა, რომელიც ოთხ უცნაურ სახედალარულ მამაკაცს შორის მიმდინარეობდა. მთელი ღამე გრძელდებოდა მათი მუსაიფი. ამ სახით ფარულად იფხანდნენ გულს (რომელიც მუდამ ესპანეთის გამო სევდიანობდა და ყოველთვის ერთმანეთს რომ არწმუნებდნენ — ამგვარი მცირე ნადიმები ესპანეთის კეთილშობილური სულისკვეთების ტრადიციას წარმოადგენსო). მრავალფეროვანი იყო მათი საუბრის თემა: მოჩვენებები და ნათელმხილველნი. როგორი იყო დედამიწა ადამიანის გაჩენამდე; პლანეტების მოსალოდნელი შეჯახებები. აიტერესებდათ, თუ შეიძლება თვალი მოჰკრა მოფარფატე მტრედს, — მომაკვდავ კაცს რომ პირიდან სულის სახით აღმოხდებოდა ხოლმე. კამათობდნენ იმაზე, თუ რამდენ ხანში ჩამოაღწევდა პერუში ქრისტეს მეორედ მოსვლის ამბავი. ასე საუბრობდნენ მზის ამოსვლამდე ომებსა და მეფეებზე, პოეტებსა და მეცნიერებზე, უცხო ქვეყნებზე. ამ საუბრებ-

ში ისინი ამჟღავნებდნენ თავიანთ ნილ სიბრძნის მარაგს და კაცთა მოდგმის სავალალო ისტორიის ცოდნას. ამასობაში კი ანდრესის ქედის გადაღმა მხრიდან ამომავალი მზის ოქროსფერი სხივები სასახლის ფართე სარკმელში შეიჭრებოდა და მაგიდაზე ვაზებში დახვავებულ გორებს, ღვინით დალაქავებულ ფარჩის სუფრას და თავის მფარველის მკლავზე ჩამოძინებულ პერიკოლას კოხტად მოყვანილ თავსა და ფიქრებით შეჭმუხნულ შუბლს გაანათებდა. ჩამოვარდებოდა ხანგრძლივი დუმილი. არავის სურდა პირველს გამოეხატა წასვლის სურვილი. ყველა დაჰყურებდა უცხო, ლამაზ ფრინველს, მათ შორის რომ თვლემდა. თუმცა, ძია პიოს მოუსვენარი შავი თვალები, აღსავსე სინაზითა და მზრუნველობით, — მთელი ღამის განმავლობაში მზერას არ აცილებდა თავისი ცხოვრების ამ დიდ გამოცანას და აზრს.

სიმართლე თუ გინდათ, ძია პიოს არც არასოდეს შეუწყვეტია კამილასათვის თვალყურის დევნება. ადამიანებს საზოგადოდ იგი ორ ჯგუფად ყოფდა: — ისინი, ვისაც სიყვარული ჰქონდათ გამოცდილი და ვისაც ეს არ განეცადა. ეს კატეგორია თავისებურ ამაზრზენ არისტოკრაციას წარმოადგენდა. თავისთავად იგულისხმება, რომ ისინი, ვისაც არ გააჩნია ნიჭი სიყვარულისა (ან უფრო სწორად ნიჭი — განეცადათ ტანჯვა სიყვარულის გამო, ვერ ჩაითვლებოდნენ ცოცხლებში და უდავოა, სიკვდილის შემდეგ მკვდრეთით აღდგომა არ ენერათ. ისინი არასერიოზული არსებანი იყვნენ. ეს ქვეყანა გაჯერებული იყო მათი უაზრო სიცილით, ცრემლებით, უბედურებით და სიკვდილის შემდეგ კვლავინდებურად მომხიბვლელნი და ფუქსავატები ჰაერშივე განიბნეოდნენ. ამ განსაზღვრებათა დადგენის მიზნით ძია პიომ სიყვარულის თავისებური განმარტება განავითარა, რომელიც არცერთ სხვას არა ჰგავდა და მასში გათვალისწინებული იყო მთელი მისი ექსცენტრიკული ცხოვრების სინამინდისა თუ საკუთარი ღირსების გრძნების გამოცდილება. ძია პიო სიყვარულს განიხილავდა როგორც რამ მტანჯველ ავადმყოფობას, რომელიც ყველა რჩეულმა უნდა მოიხადოს გვიანი სიჭაბუკის ასაკში, დაძლიოს იგი და აღდგეს ფერმიხდილი და ნატანჯ-ნანამები, მაგრამ

ცხოვრებაში საქმეებისათვის შემართულნი. არსებობდა (მისი აზრით) უამრავი ჩამონათვალი შეცდომებისა, რომელთაგანაც სულგრძელად გათავისუფლებულნი არიან ისინი, ვინც ავადმყოფობა უკვე მოიხადა. თუმცა, საუბედუროდ, მათ წილად მაინც რჩებოდა მრავალი ნაკლი. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში (მრავალ მაგალითთა შორის საილუსტრაციოდ). ისინი კვლავ აღარასოდეს მიიჩნევდნენ მეგობრულ გულითადობას ცხოვრების სავალდებულო სახელმძღვანელოდ. კვლავ აღარასოდეს შეხედავენ ადამიანურ არსებას, — დანყებული პრინციდან უბრალო ლაქიამდე, როგორც რამ მექანიკურ საგანს. ძია პიოს არასოდეს შეუწყვეტია კამილასათვის თვალის დევნება, რადგან ეჩვენებოდა, რომ იგი არც არასოდეს ზიარებია ამ გრძნობას — ჭეშმარიტ სიყვარულს. მთელი იმ თვეების განმავლობაში, რაც კამილა მეფისნაცვლის წინაშე წარსდგა, ძია პიო სუნთქვაშეკრული იცდიდა, იცდიდა წლების განმავლობაში.

კამილამ დონ ანდრესს სამი შვილი გაუჩინა, მაგრამ გარეგნულად არანაირად შეცვლილა. ძია პიო მშვენივრად ხვდებოდა, რომ კამილა თუ მართლა გაუშინაურდა მაღალ საზოგადოებას, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ეს სცენური ხელოვნების გარკვეული ეფექტების დაუფლებაში იჩენდა თავს. პიესებში ხომ არის გარკვეული პასაჟები, რომელთაც ერთ დღეს პერიკოლა უთუოდ ჩასწვდებოდა უბრალოდ იოლად, ფარული ტკობით, რადგან ისინი ხელს შეუწყობდნენ გამოავლინონ მისი მდიდარი სულის ახალ-ახალი წახნაგები. მაგრამ თითქოს ჯიბრზე, მისი დამოკიდებულება ამგვარი პასაჟებისადმი სულ უფრო ხშირად ზედაპირული ხდებოდა, რომ არა ვთქვათ — შემამოფოთებელი. მალე ძია პიო იმაშიც დარწმუნდა, რომ კვლავ წაენყო ფარული შეხვედრების მთელი სერია მსახიობებთან, მატადორებთან, ვაჭრებთან.

მსახიობობა თანდათან აღიზიანებდა კამილას. მის სულში ახლა სხვა ჭიამ დაიბუდა და ხვრა დაუნყო: — გადანყვიტა მაღალი საზოგადოების ქალბატონი გამხდარიყო; გულმა მთელი ჟინით რესპექტაბელური ცხოვრებისაკენ გაუნია და მსახიობობას ახლა როგორც გატაცებას

ისე განიხილავდა. თან აიყვანა დუენია და რამდენიმე ლივრეიანი ლაქია დაიქირავა. ეკლესიაშიც წირვას იმ საათებში ესწრებოდა, რა დროსაც მაღალი წრის მანდილოსნები. უნივერსიტეტში გამართულ საზეიმო ღონისძიებებს არ აკლდებოდა და მსხვილ ქველმოქმედთა მარაქაში ტრიალეზდა; ცოტაოდენ წერა-კითხვასაც დაეუფლა, უმნიშვნელო ქარაგმულ მინიმუმებს ადრინდელ ბოჰემურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, — პირად გამონკვევად ლებულობდა, გაუთავებელი კაპრიზებით და პრივილეგიების მუდმივი გამოძალვით მეფისნაცვალს აუტანელი ცხოვრება შეუქმნა. ახალმა მანკიერმა თვისებებმა შეცვალა ძველი. მან თავისი წინაპრების გენეალოგიური ხეც კი შეთხზა და ვილაც-ვილაცა ნათესავების წრე გამოიგონა. ბოლოს იმასაც მიაღწია, რომ ოფიციალური დოკუმენტების გარეშე მისი ბავშვები კანონიერად შობილად სცნეს. საზოგადოებაში თავი ისე ეჭირა, თითქოს კდემამოსილი და ღონემიხდილი მარიამ მაგდალინელი ყოფილიყო, როგორც ეს მაღალი წრის მანდილოსანი შეიძლება რომ იყოს. საყოველთაო მონანიების ცერემონიული მსვლელობის დღეებში სანთლით ხელში იმ მანდილოსნების გვერდით ვიდოდა, რომელთაც ფაქტიურად მოსანანიებელი არც არაფერი ჰქონდათ, თუ არ ჩავთვლით იშვიათად გამოვლენილ სიფიცხეს, ანდა ცდუნებას ცალი თვალთ მაინც ჩაეხედათ დეკარტეს წიგნში. მართალია, მას ცოდვად უთვლიდნენ მსახიობობას, მაგამ ვინ არ იცის, რომ წმინდანთა შორის მსახიობი ქალებიც ყოფილან შერაცხულნი, თუნდაც, მაგალითად, წმ. ელასიუსი. წმ. ენესიუსი, წმ. მარგარეტ ანტიოქელი და წმ. პელაგია...

მაღლა მთებში, წმ. მარია ქლუქსამბუქელის მახლობლად მდებარეობდა წყლის ფემენებელური კურორტი. საფრანგეთში ნამოგზაურებ დონ ანდრესს თავში აზრად მოუვიდა საკუთარი ვიშის მსგავსი რამ კურორტი გაეშენებინა. აღმართა, ჩადგა რამდენიმე სასტუმრო, ნამოჭიმა თეატრი, ააშენა ხარების საბრძოლველად პატარა ასპარეზი და ერთი-ორი ბალიც ფრანგულ ყაიდაზე გააშენა. ჯანმრთელობის მხრივ კამილას ნაკლს ვერ მოუნახავდით, მაგრამ მინერალური წყაროს მახლობლად ვილა

აიშენა და დილის თერთმეტიდან იწყებდა საძულველი წყლის წრუპვას. მარკიზა დე მონტემაიორმა შემოგვინახა „ოპერატული სამოთხის“ ბრწყინვალე ჩანახატი მთავარ ღვთაებასთან ერთად, თავის ავადმყოფურად მგრძნობიარე თავმოყვარეობას დაუფარავად რომ ავლენდა ნიჟარებით მოყრილ ხეივანში სეირნობისას და მედიდური სახით ღებულობდა მოწინებულ მისალმებებს ყველა იმათგან, ვინც ვერ ბედავდა მეფისნაცვალს ეწყენინებინა. დონა მარია ამ დიდგვაროვანი, ქანცგამოლეული მმართველის პორტრეტსაც გვიხატავს, ვინც ერთ ღამეში ბანქოს თამაშისას იმხელა თანხას აგებდა, რომ ახალი ესკურიალის ასაგებად იკმარებდა. ამავე წერილში დონა მარია მეფისნაცვლისაგან ნაყოლი კამილას პატარა ვაჟის — დონ ხაიმეს პორტრეტიც მოაყოლა. შვიდი წლის დონ ხაიმეს შუბლის მოყვანილობა და თვალების ფერი მემკვიდრეობით მიეღო, მამისგან კი რაქიტული ტანი და კრუნჩხვებისადმი მიდრეკილება. ტკივილებს პირუტყვის ამტანობით იტანდა. ასევე პირუტყვივით იბნეოდა და სასტიკად იმორცხვებდა, როცა მისი ნაკლი უცხო სათვის თვალსაჩინო ხდებოდა. სახეზე იმდენად სანდომიანი იყო, რომ მისდამი სიბრალულის გამოხატვის ტრივიალურ ფორმას დუმილი სჯობდა. გამუდმებული ტკივილებით გამოწვეულმა თმენის უნარმა მის გამომეტყველებას თავდაჭერილობის განსაცვიფრებლად ღირსეული იერი შესძინა. დედამისი, ჩვეულებრივ, მენამული ფერის კამბოლს აცმევდა, სეირნობისას რამდენიმე ნაბიჯით უკან მიჰყვებოდა და ოსტატურად არიდებდა თავს იმ ქალბატონებს, რომლებიც საუბარში მის ჩათრევას ღამობდნენ. კამილა არც არასოდეს უჯავრდებოდა და მისდამი არც არავითარ გრძნობას ამჟღავნებდა. მზიან ამინდში ხშირად მოჰკრავდით თვალს დედა-შვილს, ხელოვნურ ტერასაზე რომ სეირნობდნენ თავისთვის ფიქრებში ჩაფლულნი: კამილა იმაზე, თუ როდის დაიწყებოდა მისი ბედნიერება, რასაც იგი ყოველთვის უკავშირებდა მაღალ წრეებში პოზიციების განმტკიცებას, მაშინ, როცა დონ ხაიმე უბრალოდ ნეტარებდა მზიანი დარით და ღრუბლების გამოჩენას შიშნარევი თვალბით ელოდა. ისინი ჰგავდნენ იმ არსებებს,

რომლებიც თითქოს უცხო ქვეყნიდან ან, ყოველ შემთხვევაში, ძველებური ბალადიდან მოხვედრილიყვნენ აქ და ერთმანეთის ვერც ახალი ენა შეესწავლათ და ვერც მეგობრების შეძენა მოესწოთ.

კამილამ სცენა დაახლოებით ოცდახუთი წლის ასაკში მიატოვა და კიდევ ხუთი წელი დასჭირდა, რომ მაღალ საზოგადოებაში გარკვეული ადგილი დაეკავებინა. იგი თანდათან გასუქდა, თუმცა სახეზე, პირიქით, ყოველდღიურად უფრო მშვენიერბოდა. იგი პომპეზურად ჩაცმის ჟინმა შეიპყრო და სასტუმრო ოთახის იატაკი სარკესავით ირეკლავდა ძვირფასი ქვების, შარფების და პლიუმაჟების ნამდვილ კოშკს, პირისახესა და ხელებზე მოცისფრო პუდრს იყიდა, ზედ კი ბაგეებს ალისფრად ან ნარინჯისფრად იხატავდა, რაც ფხუკიანი ქალის იერს აძლევდა. მის ისედაც თავშეუკავებელ ხასიათს კიდევ უფრო ამძაფრებდა არაბუნებრივი მანერები, რომელთაც ის გამოხატავდა კარის მაღალჩინოსანთა ქვრივ ქალებთან ურთიერთობისას. ჯერ კიდევ თავისი აღმასვლის ადრეულ საფეხურზე ძია პიოს გადაკრულად აგრძნობინა, რომ სასურველად არ მიაჩნდა მისი გამოჩენა ხალხის თვალწინ. ბოლოს კი საქმე იქამდის მივიდა, რომ ძია პიოს იშვიათი და მორიდებული ვიზიტებიც აღიზიანებდა. შეხვედრისას ცალყბად ესაუბრებოდა, სიტყვას ბანზე უგდებდა, მზერას თვალს არიდებდა და ხშირად ჩხუბის საბაბს ეძებდა. მაგრამ ძია პიო თვეში ერთხელ მაინც ბედავდა კამილას მოთმინების უნარის გამოცდას და, თუ ვინიცობაა, რაიმე მიზეზის გამო შეხვედრა არ ხერხდებოდა, ზემო სართულზე ავიდოდა და თითქმის მთელ საათს ბავშვებთან ატარებდა.

ერთ დღეს ძია პიო მთებში ჩამდგარ კამილას ვილაში გამოცხადდა და მოახლეს პირით შეუთვალა საშუალება მიეცა გასაუბრებოდა. გოგომ პასუხი დაუბრუნა — მზის ჩასვლამდე კამილა ფრანგულ ბაღში შეგხვდებათო. ძია პიო საგანგებოდ იყო ჩამოსული ღამიდან უცნაური შინაგანი მოთხოვნისგან ნაქეზებული. მასაც, როგორც ყველა მარტოხელა მამაკაცს, მიაჩნდა, რომ მეგობრობა — ეს შარავანდედით მოსილი რამაა. სჯეროდა, რომ ქუჩაში შეხვედრილი ნაცნობები მართლა

გულწრფელად უცინიან ერთმანეთს. შეიძლება არც დაიჯეროთ, მაგრამ ალაღად სწამდა, რომ ყველაფერ ამისგან ადამიანები სინამდვილეში უზარმაზარ სიამოვნებას ნახულობენ. ასე და ამრიგად, მოულოდნელად მასაც წამოუარა ჟინმა კვლავ ენახა კამილა, კვლავ მოესმინა მისი ნათქვამი — „ძია პიო“. მოუნდა გონების თვალთ გაეხსენებინა თავიანთი ხანგრძლივი ხეტიალის დროინდელი ბედნიერი წუთები და გუნებაგანწყობილებანი.

ფრანგული ბალი ქალაქის განაპირას, სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა. უკან ანდების ქედი აღმართულიყო. ბალის შორეული კუთხის მოაჯირი ღრმა ველობს გადაჰყურებდა, რომლის ბორცვებიც ტალღებივით მიისწრაფოდა წყნარი ოკეანის ნაპირებისკენ. საღამო ხანის ის დრო იდგა, როცა ღამურები დაბლა ფრენენ, ხოლო წვრილფეხა ცხოველები კი წამდაუნუმ ფეხებში ებლანდებიან მოსეირნეთ. რამდენიმე მარტოსული თუ შეყოვნებულიყო ბაღში. ერთნი მეოცნებე თვალებით შეჰყურებდნენ ცას, რომელიც ნელ-ნელა კარგავდა თავის ფერს, მეორენი ბალუსტრადას დაყრდნობილნი ველს გადაჰყურებდნენ და ცდილობდნენ გამოეცნოთ, თუ რომელი სოფლიდან მოისმოდა ძაღლის ყეფის ხმა, ეს იყო ჟამი, როცა ოჯახის მამა მინდვრის საუშაოებიდან შინ ბრუნდება და ეზოში წამით ყოვნდება, რათა ძაღლს წაეთამაშოს, ლაქუცით ზედ რომ ახტება, ის კი დრუნჩს უკუმავს, ანდა ზურგზე აკოტრიალებს. ქალიშვილები მოუთმენლად ელოდებიან როდის აინთება პირველი ვარსკვლავი, რომ სურვილები შეუთქვან, ყმანვილები კი ვახშობისთვის ემზადებან. თვით ყველაზე მოუცლელი ოჯახის დედასაც კი მკლავები უსაქმოდ ჩამოუშვია და თავის საყვარელ, მაგრამ ილაჯის გამწყვეტ ოჯახს ღიმილით შესცივინებს.

ძია პიო მარმარილოს ქვისგან გამოჯირკნული ხომალდის ფორმის სკამის წინ იდგა და მისკენ მომავალ კამილას შესცქეროდა.

— დამაგვიანდა, — თქვა მან. ვწუხვარ. აბა, რა გსურს მითხრა?

— კამილა... — დაიწყო ძია პიომ.

— მე დონა მიქაელა მქვია, — გაანწყვტინა მან.

— შენი წყენინება არ მინდა. დონა მიქაელა, მაგრამ მას შემდეგ რაც ოცი წლის განმავლობაში ნებას მრთავდი კამილა დამეძახა, ვიფიქრე...

— ოჰ, რაც გინდა ის დამიძახე, რაც მოგეპრიანოს, ის დამიძახე.

— სიტყვა მომეცი, კამილა, რომ ყურს დამიგდებ. დამპირდი, რომ პირველი წინადადების შემდეგ არ გაიქცევი.

კამილამ მოულოდნელად იფეთქა.

— ყური მიგდე, ძია პიო. გიჟი ყოფილხარ თუ ფიქრობ, რომ დამიყოლიებ თეატრში დავბრუნდე. თეატრს შიშითა და ძრწოლვით ვიგონებ ახლა. ეს კარგად შეიგნე! თეატრი! დიდი ამბავი — თეატრი! სადაგელი ადგილია, სადაც მადლობის ნაცვლად ყოველდღიურად შეურაცხყოფას გაყენებენ. მიხვდი, შეიგნე, რომ ტყუილუბრალოდ კარგავ დროს.

ძია პიომ მშვიდად მიუგო.

— მე უკან დაბრუნებას სულაც არა გთხოვ, თუ კი შენს ახალ მეგობრებთან თავს კარგად გრძნობ.

— გამოდის, რომ ჩემი მეგობრები თვალში არ მოგდის, — სწრაფად გამოეპასუხა კამილა. — ვის მთავაზობ მათ მაგივრად?

— კამილა, მე მხოლოდ ის მახსენდება...

— არ მიყვარს, როცა რაიმეს მაყვედრიან. ვერ ვიტან, როცა ჭკუას მარიგებენ. იცი, წუთიც და აცივდება. სასწრაფოდ უნდა დავბრუნდე შინ. ახლა კი თავი დამანებე, დაივიწყე ჩემი არსებობა, მორჩა და გათავდა!

— ძვირფასო კამილა, ნუ ცხარობ. ნება მომეცი რაღაც გითხრა. გთხოვ, კიდევ ორიოდე წუთი გამოიმეტე ჩემთვის.

ძია პიო უცებ ვერ მიხვდა რატომ აუვარდა კამილას ასე მოულოდნელად ქვითინი. იგი დაიბნა, არ იცოდა რა ეფიქრა და თქვა ის, რაც პირველად ენაზე მოადგა.

— თეატრში აღარ დადიხარ. ამას უკვე ყველა ამჩნევს. მაყურებლებმაც სიარულს უკლეს ამის გამო, ხალხი მარტო ძველ კომედიებს თუ ესწრება კვირაში ორჯერ. დანარჩენ დღეებში პროზით დაწერილი ახალი ყაიდის ფარსებს წარმოადგენენ — მოსაწყენს, რაღაც ბავშვურს და უხამს. წესიერი ესპანურით არც აღარავინ ლაპარაკობს. ამას წინებზე, ფერიცვალობის დღეებში წარმოადგინეს „ბალტაზარ-

ის ნადიმი“, რომელშიც, სხვათა შორის, შენ ყოველთვის შესანიშნავად თამაშობდი. ახლა სამარცხვინო რამ იყო.

მცირე ხნის დუმილი ჩამოვარდა. ოკეანიდან მონაბერი ღრუბლების ჯარი ცხვრის ფარასავით მიელალებოდა გორაკებს შორის ველობზე. კამილა უცებ ძია პიოს მუხლზე შეეხო და სახეზე ისეთივე გამომეტყველება აესახა, როგორიც ამ ოციოდე წლის წინ.

— მომიტევე, ძია პიო, ასე საძაგლად რომ მოგექეცი. ამ საღამოს ჩემი ხაიმე შეუძლოდ შეიქმნა. საშველი აღარ არის — ნევს გაფითრებული სახით და გაოცებული თვალებით იმზირება. აღარ მინდა ამისი გახსენება. ძია პიო, დამიჯერე, თეატრში დაბრუნება არავითარ სიკეთეს არ მომიტანს. მაყურებელი მხოლოდ პროზაული ფარსების მოსასმენად დაიარება. ჩვენი მხრიდან ნამდვილი სისულელე იყო, როცა სულ იმას ვცდილობდით, ძველი კომედიებისათვის სიცოცხლე შეგვენარჩუნებინა. თუ პუბლიკას ძველი კომედიები ურჩევნია, აილოს წიგნი და წაიკითხოს. ბრბოს გემოვნების წინააღმდეგ ბრძოლას აზრი არა აქვს.

— საოცარო კამილა, გამოგიტყდები, შენ წინაშე ყოველთვის მართალი როდი ვიყავი, როცა სცენაზე თამაშობდი. ხშირად ჩემში რალაც ქედმაღლობა ლაპარაკობდა: ქების სიტყვებს ვერ ვიმეტებდი მაშინაც კი, როცა ამას ნამდვილად იმსახურებდი. მაპატიე, შენ ყოველთვის ნამდვილად დიდი მსახიობი იყავი. თუ დარწმუნდები, რომ ამ ხალხთან თავს ბედნიერად ველარა გრძნობ, შეგვიძლია მადრიდში გამგზავრებაზე ვიფიქროთ. დამიჯერე, იქ ბრწყინვალე ტრიუმფი გველოდება — შენ ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მიმზიდველი ხარ. შეიძლება მალე დადგეს დრო, რომელსაც დონა მიქაელას ეპოქად მოიხსენიებენ. მალე ჩვენ დავბერდებით, მალე ჩვენ აღარ ვიქნებით.

— არა, ესპანეთს ვერასოდეს ვიხილავ. ყველა ქვეყანა ერთმანეთს ჰგავს: რა მადრიდი, — რა ლიმა.

— ოჰ, რომ შეიძლებოდეს სადმე კუნძულზე გამგზავრება, სადაც ხალხს არ ეცოდინება ვინა ხარ და, ისე უბრალოდ ეყვარები.

— ძია პიო, ნუთუ შენ, ორმოცდაათი

წლის მამაკაცს მართლა გჯერა ასეთი კუნძულის არსებობა?

ძია პიომ თავი ჩაქინდრა და წაილულულა.

— კამილა, მე შენ, რა თქმა უნდა, მიყვარხარ და ყოველთვის მეყვარები, სანამ ცოცხალი ვარ, და შეიძლება ბევრად უფრო ძლიერად, ვიდრე ეს შემიძლია გამოვხატო. მთელი ჩემი ცხოვრება გამართლებულია თუნდაც იმის გამო, რომ შენ გიცნობ. შენ ახლა დიდი ქალბატონი ხარ, მდიდარი. მე უკვე შენ ველარაფრით დაგეხმარები, თუმცა ყოველთვის მზად ვარ.

— რა სასაცილო ხარ, — ღიმილით შენიშნა კამილამ. — პატარა ბიჭივით ლაპარაკობ. კაცი დაბერდი და ჭკუა კი არ მოგმატებია, ხომ იცი, არც ასეთი კუნძული არსებობს და არც ასეთი სიყვარული. ასეთ რამეებს მხოლოდ თეატრში თუ იხილავ.

ძია პიომ დაიმორცხვა. მაგრამ აზრი არ შეუცვლია. კამილა ფეხზე წამოდგა.

— რაზეა ლაპარაკი, — თქვა მან სევდიანად. — აცივდა, შინ დაბრუნების დროა. რას იზამ, ბედს უნდა შეურიგდე. თეატრში დასაბრუნებლად გული აღარ მიმინევს. წამით დუმილი ჩამოვარდა. — სხვა კიდევ რა? აღარაფერი გამეგება. ეტყობა, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: დავრჩი იმად, რადაც უნდა ვყოფილიყავი. ნუ ცდილობ, მომხდარი სხვაგვარად გაიზარო. რაც არი — ეგ არი. დამივიწყე ძია პიო. ჩემზე ნულარ ფიქრობ. მაპატიე. მე მოვრჩი და გავათავე. ეცადე დამივიწყო.

იგი წამით შეყოვნდა. ეტყობა, უფრო ღრმა გრძნობების გამომხატველ სიტყვებს ეძებდა. ღრუბლის პირველმა ქულამ ტერასას მიაღწია. ჩამობნელდა. უკანასკნელი მოსეირნენი ტოვებდნენ ბაღს. კამილა დონ ხაიმეზე ფიქრობდა, ფიქრობდა დონ ანდრესზე და მასზე, მაგრამ საჭირო სიტყვები ვერ იპოვა. იგი უცებ დაიხარა, თითები დაუკოცნა და იქაურობას სწრაფად გაშორდა. ძია პიო კიდევ კარგა ხანს იჯდა. მის თავზე ღრუბლები თანდათან შეჯარდნენ. იგი ბედნიერებისაგან თრთოდა, ცდილობდა ყველა ამ მოვლენის აზრს ჩასწვდომოდა.

ლიმაში მოულოდნელად ახალი ამბავი გავრცელდა: დონა მიქაელა ვილაგასს,

ქალბატონს, ვისაც კამილა პერიკოლას სახელით იცნობდნენ, ყვავილი შეჰყვრიათ თურმე. მართალია, ამ სენით კიდევ რამდენიმე ასეული ადამიანი დაავადდა, მაგრამ, ხალხმა განსაკუთრებული ინტერესი და ღვარძლიანობა მსახიობი ქალისადმი გამოიჩინა. დალაქი რალაც მწვავე სიხარულით მოელოდა, რომ სილამაზეს, რამაც საშუალება მისცა მას უგულბელებეყო თავისი კლასი, — ბოლოსდაბოლოს დაჰკარგავდა. ავადმყოფის სახლიდან გამოყოფნა ხმამ, — კამილა, თურმე სასაცილოდ და საკმაოდ უსახურად გამოიყურებაო, და მოშურნეთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ოდნავ მომჯობინდა თუ არა, მაშინვე მთებში მდებარე ვილაში გადააყვანინა თავი. მერე განკარგულება გასცა ქალაქის პატარა კოხტა სასახლე და ძვირფასი ტანსაცმელი გაენმინდათ, ხოლო ნაჩუქარი ძვირფასეულობა უკანვე დაებრუნებინათ. მეფისნაცვალს, არქიეპისკოპოსს და კარის რამდენიმე პირს — მის უგულითადეს თაყვანისმცემლად რომ მიიჩნევდნენ თავს და რომლებიც საჩუქრებითა და მოკითხვის ბარათებით მოსვენებას არ აძლევდნენ, უკომენტაროდ დაუბრუნა ყოველგვარი ძღვენი. მარტო მომვლელ და მოსამსახურე ქალებს დართო ნება ეზრუნათ მასზე. მას შემდეგ, რაც ავადმყოფობა შეეყარა, კამილამ მეფისნაცვალს კარგა მოზრდილი თანხა დაუბრუნა და თან პატარა ბარათიც მიაყოლა, რომელშიც იგრძნობოდა ღრმა გულგატეხილობა და, ამავედროულად, ღირსების შეგნება, რისი გამოხატვაც ადამიანს შეუძლია მის მდგომარეობაში.

მსგავსად ყველა ლამაზი ქალისა, მიჩვეული, რომ მის სილამაზეს მუდმივად ხარკს უხდინან, კამილაც ყოველგვარი ცინიზმის გარეშე ვარაუდობდა, რომ ნებისმიერი მამაკაცი თუკი ერთგულებდა მას, მხოლოდ მისი სილამაზის გამო. ამიერიდან ყოველნაირი ურთიერთობა აღმოცენებული იქნება ქედმაღლობით აღსავსე სიბრაღეულით, ოდნავ გაჟღენთილი ნიშნის მოგების სურნელებით მისი ბედის ასე სრული შემობრუნების გამო. რწმენა, რომ, რადგან სილამაზე დაჰკარგა, იგი აღარ უნდა ელოდეს ერთგულ დამოკიდებულებას, ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ მას არასოდეს განეცადა სხვაგვარი სიყვარული —

თუარა ხორციელი, ვნება-სიყვარული. ისეთი სიყვარული კი თუმცა გულუხვად და უშურველად იხარჯება, თუმცა ნარმობს ნარმტაც ოცნებებსა და ღრმა პოეზიას, იგი მაინც თვითდაკმაყოფილების უკიდურეს გამოხატულად რჩება. სანამ არ დაძლევს ხანგრძლივ მონობას, არ განიმსჭვალება სიძულვილით თავის თავისადმი, არ შეიგნებს თავის მისწრაფებათა ამოებებს და არ დაძლევს ფუჭ ეჭვიანობას, იგი ვერ დაიმკვიდრებს თავის სვედრ ადგილს ერთგულ გრძნობათა შორის. მრავალადამიანს, ვისაც ცხოვრება ასეთ პირობებში გაუტარებია, ალბათ, ბევრად ნაკლები ამბავი ექნება გასახსენებელი, ვიდრე იმ ყმანვილს წინა დღეს რომ ფინია დაკარგა. და, ვინაიდან, მეგობრები მოსვენებას არ აძლევდნენ და საზოგადოებაში დაბრუნებას სთხოვდნენ, ეს კიდევ უფრო აღიზიანებდა და მთელ ქალაქს წყევლაკრულვას უთვლიდა. ერთი ხანობა ლაპარაკობდნენ, — რელიგიაში გადავარდაო. მაგრამ უკანასკნელად გავრცელებულმა ხმამ გააქარწყლა ეს აზრი: — პატარა მამულიდან ხშირად მოისმოდა გაანჩხლებული და სასონარკვეთილი ქალის ყვირილი. იმათთვის, ვინც მეზობლად ცხოვრობდა, პირდაპირ აუტანელი გახდა ამ შეძახილების მოსმენა. ის დარწმუნებული იყო, რომ მისი ცხოვრება დამთავრდა, მისი და მისი ბავშვებისაც. ზომას გადაცილებული ამპარტავნობის გამო, მევალებებს გაცილებით მეტი თანხა დაუბრუნა, ვიდრე სინამდვილეში ემართა. და უღიმღამო მომავალს, რაც მას ელოდა, ახლა სილატაკის აჩრდილიც დაემატა. ისღა დარჩენოდა, მჯდარიყო თავის გავერანების პირას მისული პატარა მამულის შუაგულში და ნალვლიანი სახით თვალი ედევნებინა დარჩენილ დღეთა გაჭიანურებული მსვლელობისთვის. საათობით ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ ხარობდნენ ალბათ მისი მტრები და ისმოდა მისი ოთახიდან ფართო ნაბიჯების ხმა და უცნაური შეძახილები.

ძია პიო ყოველ ღონეს ხმარობდა თავგზა არ აბნეოდა. საქმე იმგვარად წარიმართა, რომ აუცილებელი გახდა ბავშვების აღზრდაში მონაწილეობა მიეღო, მამულის მოვლა-პატრონობაში ხელი შეაშველა და იმის წყალობით, რომ საკმაოდ წინდახედულად და დროულად კამილას გარკვეუ-

ლი თანხით ხელს უმართავდა, — საბოლოოდ იმას მიაღწია, რომ სახლში კვლავ ღებულობდნენ და, წარმოიდგინეთ, ვუალებში ჩაფლული დიასახლისის თანდასწრებითაც კი. მაგრამ თვით ასეთ დროსაც კი, ამპარტავნობით დაბრმავებული კამილა, დარწმუნებული, რომ ძია პიო ყოველივე ამას მისდამი სიბრალულის გამო სჩადიოდა — დაუნდობლად გესლავდა თავისი ბასრი ენით და, ცოტა არ იყოს, უცნაურ შვებას განიცდიდა, როცა ამცირებდა და დასცინოდა. ძია პიო კი, პირიქით, მისადმი უფრო მეტ სიყვარულს იჩენდა, რადგან მასზე უკეთ ესმოდა, რომ კამილა ყველა აუცილებელ საფეხურს დგამდა დამცირებული სულის განკურნების გზაზე. მაგრამ ერთ დღეს მოხდა შემთხვევა, რამაც ძია პიოს წყალში ჩაუყარა ბოლო დროს მიღწეული წარმატებები. თან კარი შეაღო.

კამილა დარწმუნებული იყო, რომ კარი დაკეტილი ჰქონდა. სულ რამდენიმე წნით ადრე თავში ერთი გიჟური აზრი მოუვიდა. ნეტავ რა მოხდება თუ ცარცის ფხვნილისა და კრემის პასტისაგან საფენს დაამზადებს და სახეზე დაიდებს? ის, ვინც ასე ხშირად დასცინოდა მეფისნაცვლის კარის გადამჭენარ დედაკაცებს, — სულ რამდენიმე წამით დაინტერესდა — სცენაზე თამაშმა თუ შესძინა მას ისეთი რამ, რაც ახლა გამოადგებოდა. კარი ჩაკეტილი ეგონა. ხელისფათურით და გულისფანცქალით სახეზე საფენი დაიდო და როცა სარკეში ჩაიხედა და თავისი მცდელობის უაზრობასა და ამაოებაში დარწმუნდა. სწორედ ამ დროს კარში მდგომ ძია პიოს განცვიფრებულ გამომეტყველებას მოჰკრა თვალი. კამილა სავარძლიდან კივილით წამოიჭრა და სახეზე ხელები აიფარა.

— მომწყდი აქედან. სამუდამოდ გაქრი, ჩემი სახლიდან — გაჰკიოდა იგი. — თვალით აღარ დამენახო ამიერიდან. — სირცხვილნაჭამი კამილა წყევლა-კრულვით და გაკაპასებული, ოთახიდან აგდებდა ძია პიოს. დერეფანშიც გაჰყვა და წუთით მოსვენებას არ აძლევდა. კიბზეც, რაც ხელთ ხვდებოდა, ყველაფერს ესროდა. ბოლოს, მოურავს უბრძანა მამულში ფეხი არ შემოედგმევიანებინა. მაგრამ ძია პიო მთელი კვირის განმავლობაში მაინც ცდილობდა კამილას ნახვას. ბოლოს იძულებული

გახდა ლიმაში დაბრუნებულიყო. ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დრო მოეკლა. მაგრამ კამილას გვერდით ყოფნის წადილი თვრამეტი წლის ბიჭივით სტანჯავდა. ბოლოს, ერთი სამხედრო ხრიკი მოიგონა და მის განსახორციელებლად კვლავ მთებში დაბრუნდა.

ერთ დღეს უთენია წამოდგა, კამილას სახლისკენ გაემართა და მისი სანოლი ოთახის ფანჯრის ქვეშ პირდაპირ მიწაზე დანვა ბინდბუნდში. თავი ისე მოიკატუნა, თითქოს ვილაცა ტირისო. შეძლებისდაგვარად ყმანვილი ქალის ტირილის ხმას ბაძავდა. საათის მეოთხედი ტირილი არ შეუწყვეტია. ამ ხნის განმავლობაში ხმა იმაზე მეტი არ აუწევია, რასაც იტალიელი მუსიკოსები პიანოს ნიშნით აღნიშნავენ ხოლმე. თუმცა, ტირილს დროდადრო წყვეტდა, დარწმუნებული, რომ თუ კამილას ეძინა, წყვეტილ-წყვეტილი სლუკუნი იმავე ძალით შეიჭრებოდა მის ცნობიერებაში, როგორც გაბმული ტირილი. სასიამოვნოდ გრილოდა. მწვერვალებს შორის საფირონის ფერის მკრთალი ზოლები თანდათან სერავდნენ ცას. აღმოსავლეთით კი ცისკრის ვარსკვლავი სულ უფრო ნაზად და სუსტად ციმციმებდა. ფერმის ყველა შენობა ღრმა დუმილს მოეცვა და მხოლოდ ნიავის შემობერვა დროგამოშვებით თუ ახმიანებდა ბალახს. უცებ კამილას ოთახში ლამპა აინთო და დარაბა გაიხსნა. რამდენიმე წუთიც და ვუალებში შეფუთული თავი კარგა წინ გადმოეყუდა. — ვინ არის მანდ? — გაისმა სასიამოვნო ხმა.

ძია პიო დუმდა.

კამილამ კიდევ ერთხელ გაიმეორა. ამჯერად ხმის კილოში გაღიზიანება იგრძნობოდა.

— ვინ არის-მეთქი? ვინ არის რომ ტირის?

— დონა მიქაელა, ჩემო ქალბატონო, გვედრებით ძირს ჩამობრძანდეთ.

— ვინა ხარ და რა გნებავს?

— ერთი უბედური გოგო ვარ, ესტრელა. გთხოვ თქვენ თვითონ ჩამობრძანდეთ და მომეშველოთ. მოახლე გოგოს ნუ დაუძახებთ. გთხოვთ, გვედრებით, თქვენ თვითონ ჩამობრძანდეთ დონა მიქაელა.

კამილა წუთით დადუმდა. მერე მოულოდნელად მოკლედ მოჭრა.

— კარგი, — და დარაბა მიხურა. ცოტა

ხნის შემდეგ უცებ სახლის კუთხესთან გამოჩნდა. ზურგზე სქელი წამოსასხამი ეფარა, რომელიც წამიან ბალახზე მოსთრევდა. შორიახლოს შეჩერდა და წარმოთქვა:

— მოდი აქ, სადაც ვდგავარ. ვინა ხარ? ძია პიო ფეხზე წამოდგა.

— მე ვარ ძია პიო, კამილა. მაპატიე, მაგრამ უნდა უსათუოდ დაგელაპარაკო.

— ღვთისმშობელო მარიამ! ნეტავ ოდესმე თუ დავაღწევ თავს ამ საშინელ ადამიანს? გაიგე ერთხელ და სამუდამოდ, — არავის ნახვა არ მსურს. დიახ, კაციშვილის ნახვა არ მინდა. ჩემი ცხოვრება დამთავრდა, მორჩა, გათავდა.

— კამილა, ჩვენი ხანგრძლივი ერთობლივი ცხოვრების სახელით გთხოვ, მოილო ერთი მოწყალეობა. მერე წავალ და აღარასოდეს შეგანახებ.

— არავითარი მოწყალეობა, არავითარი განზე გადქეი და ჩამომეცალე.

— გპირდები, თუ ახლა მომისმენ, მეტად აღარ შეგანახებ.

კამილა სწრაფი ნაბიჯით შორეული კარისკენ გაეშურა. ძია პიო იძულებული გახდა დადევნებოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ თავის ნათქვამს გააგონებდა.

— აბა, ახლა კიდე რაღა გინდა, რომ მითხრა? ხომ ხედავ აცივდა, მე კი თავს კარგად ვერ ვგრძნობ, შინ უნდა შევიდე.

— კამილა, ნება მომეცი დონ-ხაიმე ერთი წლით თან წავიყვანო ლიმაში. მის მასწავლებლობას ვკისრულობ. და კასტილიურ ენას შევასწავლი. აქ მხოლოდ მსახურების წრეში ტრიალებს. აბა, აქ არ უნდა ისწავლოს?

— არა.

— კამილა, მითხარი, მისგან აქ რა უნდა გამოვიდეს? კარგი გონების ყმანვილია და სწავლაც სურს.

— ის ხომ ავადმყოფია, სუსტია. შენ სახლი კი არა საღორე გაქვს. ქალაქგარეთ სუფთა ჰაერზე ყოფნა მისთვის სასარგებლოა.

— მაგრამ ბოლო რამდენიმე თვეა, რაც თავს კარგად გრძნობს, ხომ? სიტყვას გაძღვე. ბინას დავასუფთავებ. დედა მარიას ვთხოვ სახლის მოსაველეად გოგო გამომიგზავნოს. აქ ბიჭი მთელ დღეს საჯინბოში ატარებს. მე კი ყოველდღე იმას შევასწავლი, რაც წამდვილმა ჯენტლმენმა უნდა

იცოდეს — დაშნის ხმარება, ლათინური, მუსიკა...

ჩვენ გადავიკითხავთ ყველა...

— სად გაგონილა, მშობელ დედას შვილი დააცილო? ეს შეუძლებელი რამაა. გიჟი ყოფილხარ, თუ ასე ფიქრობ. მოეშვი ჩემზე ფიქრს და დაივინყე ყოველივე, რაც მე მეხება. გაიგე, მე აღარ ვარსებობ. მეცა და ჩემი შვილებიც ვიცხოვრებთ ისე, როგორც შეგვიძლია. ამიერიდან ნულარ შემანახებ. ადამიანის დანახვა აღარ მინდა.

აქ ძია პიომ იგრძნო, რომ საჭირო იყო მკაცრი ზომებისათვის მიემართა.

— მაშ თუ ასეა, მთელი ჩემი ვალი უკან დამიბრუნე.

შემცბარი კამილა უცებ დადუმდა. გუნებაში კი გაივლო: „საშინელებაა, თურმე, ასეთი ცხოვრების ატანა. ნეტავი როდის მოვკვდები“. ცოტა ხნის შემდეგ ჩახლეჩილი ხმით წარმოსთქვა.

— ცოტა ფული კიდე შემომრჩა. რამდენსაც შევძლებ, გადაგიხდი ახლავე. ერთი-ორი ძვირფასი ქვა კიდე მაქვს. ჰოდა, ერთმანეთის ნახვა ზედმეტად აღარ დაგვჭირდება.

კამილას ძალზე შერცხვა თავისი სიღარიბისა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მოტრიალდა და თქვა.

— ახლალა მივხვდი რა ულმობელიც ყოფილხარ. მაგრამ რაც მართალია — მართალია, ვალი უნდა დაგიბრუნო.

— არა, კამილა, მე ეს ისე, უბრალოდ გითხარი, რომ ჩემს თხოვნაზე დამეყოლიებინე. შენგან ფულს როგორ ავიღებ. მომაბარე დონ ხაიმე ერთი წლით, მეყვარება და ყოველნაირად გავუფრთხილდები. განა შენთვის ოდესმე რამე დამიშავებია? განა წარსულში ცუდი მასწავლებლობა გამინევია?

— საშინელი ადამიანი ყოფილხარ, თურმე! სულ მადლიერების აღიარებას მოითხოვ. მადლიერება, მადლიერება! დიახ, მადლიერი ვიყავი, არ უარვყოფ. მაგრამ ახლა, როცა ის ქალი აღარა ვარ, რაც ვიყავი, სამადლიეროც აღარაფერი მაქვს.

ჩამოვარდა დუმილი. კამილამ მზერა იმ ვარსკვლავზე შეაჩერა, რომელიც თითქოს წინ ჩასდგომოდა დანარჩენებს, რათა ზეცაში სახეტილოდ დაეყოლიებინა. გული ღრმა ტკივილისგან შეეკუმშა, ტკივილის-

აგან ამ უაზრო ნუთისოფლის გამო. ბოლოს დასძინა.

— თუ ხაიმე მოისურვებს შენთან ერთად წამოსვლას, — კეთილი და პატიოსანი. ამის თაობაზე ხვალ დილით მოველაპარაკები. თუ მოისურვა, ხვალ შუადღისას სასტუმროში ნახავ. აბა, ღამე მშვიდობისა, ღმერთი გფარავდეს.

— შენც ღმერთი გფარავდეს!

კამილა შინ დაბრუნდა. მეორე დღეს სასტუმროსთან სერიოზული სახის ყმანვილი გამოჩნდა. ოდესღაც კოხტა ტანსაცმელი, ახლა ალაგ-ალაგ გახეოდა და დალაქავებოდა. მომცრო ბოლჩაში მეორე ხელი საცვალის ჰქონდა გამოკრული. ნვრილმანი ხარჯებისათვის დედამისს ოქროს მონეტა და პატარა ბრჭყვიალა ქვა მიეცა, რათა უძილო ღამეების დროს სიბნელეში ცქერით გართობილიყო. ისინი ოთხთვალაში მოთავსდნენ და გზას გაუდგნენ. მაგრამ ძია პიომ მალე შენიშნა, რომ ჯანჯლარისაგან ბიჭი ცუდად შეიქნა. მაშინ იგი მხრებზე შეისვა და გზა ისე განაგრძო. რაც უფრო უახლოვდებოდნენ წმ. ლუდოვიკოს მეფის ხიდს, მით უფრო ცდილობდა ხაიმე თავისი ნაკლი დაემალა, რადგან იცოდა, რომ ახლოვდებოდა ერთ-ერთი ის მომენტი, რომელიც შეახვედრებდა მას დანარჩენ მგზავრებს. განსაკუთრებით შერცხვა მაშინ, როცა ძია პიო თავის მეგობარ საზღვაო კაპიტანს წამოეწია, ხოლო როცა ისინი ხიდს მიადგნენ, ერთ მოხუც ქალბატონს გამოელაპარაკა, რომელსაც ყმანვილი გოგო ახლდა თან. ძია პიო ხაიმეს შეჰპირდა, რომ როგორც კი ხიდს გადაივლიდნენ, ჩამოსხდებოდნენ და ცოტას შეისვენებდნენ, მაგრამ ამის საჭიროება აღარ დამდგარა.

ნანილი მახუთი

შეიძლება მართლაც განზრახვა

ძველი ხიდის ნაცვლად ქვის ახალი ხიდი გასდეს, მაგრამ თვითონ ამბავი დავინწყებას არ მისცემია. ის კი არა, და ქარაგმულ მეტყველებაშიც კი მოიკიდა ფეხი. „ხუთშაბათს გნახავ, — თუ მანამდე ხიდი არ ჩატყდა“, — თუ იტყოდა რომელიმე ლიმელი, ან „იცი, ჩემი ბიძაშვილი წმ. ლუი მეფის ხიდის მახლობლად ცხოვრობს“. — თუ

შენიშნავდა ახლა სხვა. მთელ კომპანიას ღიმილი დაუვლიდა, რადგან ეს იგივეს ნიშნავდა, რომ გეტქვა — „დამოკლეს მახვილქვეშ ცხოვრობსო“. ხიდთან დაკავშირებით რამდენიმე პოემაც კი შეთხზეს, ხოლო ერთი-ორი კლასიკური ნიმუში პერუს ყველა ანთოლოგიაშია შეტანილი. მაგრამ ამ უბედურებას ჭეშმარიტი ლიტერატურული ძეგლი მაინც ძმა ჯიუნიპერმა აუგო თავისი გამოკვლევით.

ერთიდაიგივე ამბავი შესაძლებელია სხვადასხვანაირად იქნას განმარტებული. ძმა ჯიუნიპერი, ალბათ, არასოდეს შეიმუშავებდა თავის კვლევის მეთოდს, მეგობრობა რომ არ ჰქონოდა წმ. მარტინის უნივერსიტეტის ერთ-ერთ მაგისტრთან. ამ სწავლულს ცოლი ერთ დილით ესპანეთში მიმავალ ვიღაც ჯარისკაცს ხომალდში ჩაუჯდა და გაიპარა, ქმარს კი ორი ჩვილი ბავშვი შეატოვა ხელში. მაგისტრმა განიცადა და იგემა ყველა ის სიმწარე, რაც ძმა ჯიუნიპერს აკლდა. მას თავისებურ სიამოვნება ჰგვრიდა იმის შეგნება, რომ ამ ნუთისოფელში ბევრი რამ ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. ფრანცისკანელ ბერს იმგვარ მკრეხელურ აზრებს და ანეგდოტებს აწვევებდა ყურში, რაც, ფაქტიურად, ქვეყნიერების წინასწარ განზრახული მართვის მხილებას წარმოადგენდა. იყო ნუთები, როცა ძმა ჯიუნიპერის მზერაში მწუხარების გამომეტყველება გამოკრთოდა, თითქმის სასონარკვეთაც კი, მაგრამ მალე მოთმინებით იწყებდა ახსნა-განმარტებას, რომ მორწმუნე კაცისთვის სულაც არ წარმოადგენს სიძნელეს მსგავსი არგუმენტების უარყოფა. „ოდესღაც ცხოვრობდა ნეაპოლის და სიცილიის მპყრობელი დედოფალი, — მოუყოლია მაგისტრს, — რომელმაც იგრძნო, რომ ფერდის არეში რაღაც ავთვისებიანი სიმსივნე გასჩენოდა. უზომოდ შეშინებულმა დედოფალმა ქვეშევრდომებს უბრძანა მის სახელზე ლოცვად დამდგარიყვნენ და ამავდროულად, გასცა განკარგულება უკლებლივ ყველას ორსავსე სამეფოში ტანსაცმელზე ჯვრის გამოსახულება ამოქარგათ. ქვეშევრდომებს გულწრფელად უყვარდათ დედოფალი და მათი ლოცვა და ჯვრების ამოქარგვაც მისადმი პატივისცემის გამოხატულებას წარმოადგენდა. ახლა იგი მონრეალის ბრწყინვალე მონასტრის შენობა-

ში განისვენებს და მისი გულიდან რამდენიმე დუიმით ზევით საფლავის ქვაზე ამოტვიფრულია: „ბოროტებამ ვერა დამაკლო“.

და სწორედ იმის გამო, რომ რელიგიაზე ხშირად უხდებოდა მკრეხელური აზრების მოსმენა, ძმა ჯიუნიპერმა გადაწყვიტა ციფრებით ხელში, — დიახ, ციფრებისა და ტაბულების მოშველიებით, — ქვეყნიერებისათვის დაემტკიცებინა ცოდვათა დასჯის გარდაუვალობა, — რწმენა, რაც მას შინაგანად ნათლათ მოსავდა და აღლევებდა.

როცა მის საყვარელ სოფელს პუერტოს მომსვრელი სენი მოედო და უამრავი გლეხი-კაცი შეენირა, თხუთმეტი მსხვერპლის და თხუთმეტი გადარჩენილი ადამიანის ხასიათის შედარებითი ტაბულა ფარულად შეადგინა, ანუ მათი ღირებულებათა სტატისტიკა დაადგინა **Sub specie leternitatis** (მარადისობის თვალსაზრისით, ლათ.). თითოეული მათგანის კეთილმყოფელობა ღვთისმოსაობა და ოჯახისადმი მზუნველობა და სარგებლობა ათბალიანი ქულების სისტემით შეაფასა.

აი, ფრაგმენტი მისი ამბიციური ცხრილიდან

სიკეთე ღვთისმოსაობა ოჯახის ერთგულება

ალფონსო გ. ნინა	4	4	10
მანუელი ბ.	10	10	0
ალფონსო ვ. ვერა ნ	8	10	10
	0	10	10

ამოცანა ბევრად უფრო რთული ამოსახსნელი აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდა. გაირკვა, რომ ამ მიგდებული, საზღვრისპირა თემის თითქმის ყველა მცხოვრები უკლებლივ ეკონომიკური თვალსაზრისით ერთნაირ პირობებში ცხოვრობდა. ასე რომ, მესამე სვეტი სრულიად უსარგებლო გამოდგა. მკვლევარი იძულებული გახდა უარყოფითი რიცხვები გამოეყენებინა მაშინ, როცა პიროვნულად, ალფონსო ვ...ს ხასიათი ნინას ხასიათს დაუპირისპირდა. ალფონსო ვ. ნინასთვის ცუდი და გაფუჭებული კი არ იყო მხოლოდ, ის სიცუდესაც ქადაგებდა და

ხალხს მოუნოდებდა ეკლესიას განრიდებოდნენ. ვერა ნ..., მართალია, ცუდი ქალი იყო სინამდვილეში, მაგრამ, სამაგიეროდ, ღვთისმოსავი გახლდათ და მრავალშვილიანი ოჯახის ნამდვილი დედაბოძი. ამ სავალალო მონაცემებიდან ძმა ჯიუნიპერმა თითოეული გლეხისათვის ინდექსის მინიჭება მოახერხა. დალუპულთა ქულების საერთო ჯამი შეკრიბა და გადარჩენილთა ქულების საერთო ჯამს შეადარა. აღმოჩნდა, რომ თავისი მონაცემებით დალუპულები ხუთჯერ მაინც მეტად იმსახურებდნენ გადარჩენას, ვიდრე გადარჩენილები. გამოდიოდა, რომ ავადმყოფობა პუერტოს მკვიდრთაგან მხოლოდ ღირსეულთ ანადგურებდა. იმ დღეს ძმა ჯიუნიპერი წყნარი ოკეანის სანაპიროზე გავიდა და დიდხანს ხეტილობდა, თავისი გამოკვლევების შედეგები შუაზე გადახია და ტალღებს გაატანა. მერე ერთ ადგილას მთელი საათი გარინდებული იდგა და მოჯადოებულებით შეჰყურებდა შორს პორიზონტზე მარადჟამს დაკიდულ უზარმაზარ მარგალიტისფერ ღრუბლებს. ამგვარი მშვენიერების ხილვამ თვინიერების და მორჩილების გრძნობა გააღვივა მასში, რომელიც განსასჯელად გონებას აღარ დაუთმო. დაპირისპირება რწმენასა და ფაქტებს შორის გაცილებით დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ამას ჩვეულებრივ მოელოდა.

წმ. მარტინის უნივერსიტეტის მაგისტრს სხვათა შორის, სხვა ამბავიც მოუყოლია (ამჯერად არც ისეთი სულის წარმწყვეტი), რომელმაც შეიძლება კიდევაც უბიძგა ძმა ჯიუნიპერს ჩაეტარებინა თავისი გამოკვლევები წმ. ლუის მეფის ხიდი ჩანგრევის ირგვლივ.

ქალაქ ლიმის საკათედრო ტაძრის დათვალიერებისას ერთხელ ის სწავლული ვინმე ქალბატონის ეპიტაფიის წასაკითხად შეჩერდა. რაც უფრო მეტს კითხულობდა, ქვედა ტუჩი უფრო და უფრო უგრძელდებოდა გაოგნებისგან, რადგან ირკვეოდა, რომ თურმე ცხონებული ქალბატონი ოჯახში სული და გული ყოფილა, მხიარულების წყარო, ნაცნობ-მეგობართა აღტაცების საგანი; ყველა, ვისაც შეხვედრია, მისი სიკეთით და მშვენიერებით მოხიბლულა. ახლა კი, აქ განისვენებს უფლის მეორედ მოსვლამდის მოლოდინში. სწორედ იმ დღეს, თითქოს ჯიბრზე უნი-

ვერსიტეტის მაგისტრს მრავალი უსიამოვნება შეხვდა და ახლა ამ ეპიტაფიამ საბოლოოდ გამოიყვანა წონასწორობიდან. კითხვას რომ მორჩა, თვალეები ზეალაპყრო და გაგულსებულმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „ვაი, სირცხვილო! ეს რა აბდაუბდა წერია. ვინ არ იცის, რომ ამქვეყნად თითოეული ჩვენგანი საკუთარ ხუმტურებს ვიკმაყოფილებთ. რა საჭიროა იმ ლეგენდის უკვდავყოფა, რომ თითქოს ეგოისტები არ ვიყოთ. რატომ ვუხანგრძლივებთ არსებობას იმ მონაჩმასს, ვითომ ადამიანები უანგარონი არიან?“

თქვა ეს და გადანყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა ქვისმთელელთა ეს ხრიკები ემხილა. ცხონებული თორმეტი წლის წინათ გარდაცვლილიყო. მაგისტრმა იოლად მიაგნო მის ყოფილ მოახლეებს, ქალიშვილებს, ნაცნობ-მეგობრებს. სადაც არ მივიდა, ყველგან საამო სურნელებასავით თან სდევდა ქალბატონის სათნო ბუნების ხსოვნა-მოგონება. ყველა, ვინც ამ მანდილოსანზე საუბრობდა, სევდანარევი ღიმილით ერთხმად აღნიშნავდა, რომ არანაირ სიტყვას არ ძალუძს გამოხატოს ცხონებულის სათნო ხასიათი. თვით ნორჩი შვილიშვილები, რომლებიც არ კი შესწრებიან ბებიას, უხერხულად იმმუშნებოდნენ, როცა ისმენდნენ ასეთი კეთილი ადამიანის არსებობის შესახებ. სწავლული დიდხანს იდგა გაშტერებული, ბოლოს კი ჩაილაპარაკა: „და მაინც, მე მართალი ვარ. ეს ქალბატონი გამონაკლისი ყოფილა, გამონაკლისი და მეტი არაფერი“.

გამოკვლევის შედეგისას, ძმა ჯიუნიპერს როგორც ჩანს მუდმივი შიში სდევდა თან. — ვაი თუ რაიმე, თუნდაც, სულ უმნიშვნელო რამ დეტალი გამომჩრესო, რაც ძირითად ლოგიკურ ძაფს დააკარგვინებდა. რაც უფრო ღრმად იჭრებოდა საკითხის არსში, მით უფრო მწვავედ გრძნობდა, რომ უამრავ ბუნდოვან მინიშნებებსა და ქარაგმებს აწყდებოდა. წვრილმანი დეტალები ხომ ერთთავად საგონებელში აგდებდა, რადგან დანშუნიებული იყო — თუ მათ ჯეროვნად განალაგებდა — განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენდა. ამიტომაც ძმა ჯიუნიპერს ყველაფერი ქალაქდზე გადაჰქონდა იმ განზრახვით, რომ თუ ვინიცობა იგი (ან სხვა, უფრო გამჭრიახი გონების ადამიანი) ოცჯერ

მაინც გადაიკითხავდა ტექსტს, — უამრავი ფაქტი უცებ ამოძავდებოდა, ანეყობოდა და თავის შინაგან საიდუმლოებას გამოამჟღავნებდა. მაგალითად, მარკიზა დე მონტემაიორის მზარეული ქალი ჰყვებოდა, რომ მისი ქალბატონი თითქმის მხოლოდ ბრინჯით, თევზით და ცოტაოდენი ხილით იკვებებოდა. ფრანცისკანელმა დანვრილებით ჩაინერა (იმ იმედით, ერთ მშვენიერ დღეს ეს მონაცემები მარკიზას სულიერ თვისებებს ფარდას ახდიდა). თავის მხრივ, დონ რუბიომ აცნობა, რომ მარკიზა მის წვეულებაზე დაუპატიჟებლად ცხადდებოდა, რათა დანა-ჩანგალი აენაპნა. გარეუბანში მცხოვრები ბებიას ქალის მტკიცებით კი, მარკიზა არა ერთხელ სწვევია მას და ახირებული კითხვებით გული გაუნვრილებია, რის გამოც ბოლოს იძულებული გამხდარა სახლიდან მანან-ნალასავით გამოეგდო. წიგნებით მოვაჭრეთა შორის ერთ-ერთი მარკიზა გახლდათო. და ბოლოს, მარკიზას არენდატორის დედაკაცმა განუცხადა, რომ ქალბატონი გონებაგაფანტული, მაგრამ სიკეთის განსახიერება გახლდათ. როგორც ხედავთ, ბიოგრაფიების შედგენის ხელოვნება გაცილებით რთული ყოფილა, ვიდრე ზოგიერთს ჰქონია.

ძმა ჯიუნიპერი ერთ რამეში მტკიცედ დარწმუნდა, რომ ყველაზე ცოტა რამ თურმე იმათგან შეიძლება შეიტყო, ვინც ყველაზე ახლოს დგას შენი კვლევის ობიექტთან; დედა მარია დელ პილარი დანვრილებით მოუთხრობდა პეპიტაზე. მაგრამ სიტყვაც არ დასცდენია იმაზე, თუ პირადად რა იმედებს ამყარებდა ობოლ გოგოზე. პერიკოლა თავდაპირველად თავს არიდებდა ფრანცისკანელთან ურთიერთობას, მაგრამ მალე სიამოვნებდა კიდევ მასთან შეხვედრა. პერიკოლას მიერ აღწერილი ძია პიოს ხასიათი მკვეთრად განსხვავდებოდა სხვა მონმეთა ჩვენებებისაგან. შვილზე ცოტას საუბრობდა, თუმცა, რასაც ამბობდა — საშინელი გულისტკივილით, — მათი ურთიერთობა ხომ ასე მოულოდნელად შეწყდა! რაც შეეხება კაპიტან ალვარადოსს, — ესტებანსა და ძია პიოზე მან ისე ილაპარაკა, როგორც შეიძლო: ვისაც ამ ნუთისოფლის ბევრი რამ გაეგება, ის სიტყვებსაც ხარჯავს.

ძმა ჯიუნიპერის განზოგადებათა

ავკარგიანობის ჩამოთვლით თავს აღარ შეგანყენო; ეს ჩვენთვის უკვე ცნობილია. მისი აზრით, ეს უბედური შემთხვევა ერთდროულად იყო ცოდვილთა დასჯის საშუალება, ხოლო კეთილთა დროზე ადრე ცადა ამალლების განზრახვა. იგი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, როგორც მას ეგონა, რომ ამპარტავნობა და სიმდიდრე სამაგალითოდ დაისაჯა ამ ქვეყანაში, თვინიერებას და მორჩილებას კი გვირგვინი დაედგა და სათანადოდ მიეზღო ქალაქის ჭკუის სასწავლებლად. თუმცა, ძმა ჯიუნიპერი მთლად კმაყოფილი არ იყო თავისი დასკვნებით. ხომ შეიძლებოდა, რომ მარკიზა დე მონტიემიორი არც ისე ძუნწი და მტარვალი იყო, ძია პიო კი თავისი ხუმტურების ტყვე.

დამთავრებულ-დასრულებული წიგნი ზოგიერთ მსაჯულს თვალში მოხვდა და უმალ მწვალებლურად გამოაცხადეს. გაიცა ბრძანება, რომ წიგნი ავტორთან ერთად ქალაქის მოედანზე საჯაროდ დაენვათ. ძმა ჯიუნიპერი განაჩენს დაემორჩილა, რომლის მიხედვითაც იგი თითქოს ეშმაკმა გამოიყენა, რათა პერუში სკანდალურად ბრწყინვალე კამპანია გათამაშებულყო. უკანასკნელი ღამე სატუსაღოს საკანში გაატარა, თვალი არ მოუხუჭავს, ცდილობდა განვლილ ცხოვრებაში გამოეჩხრიკა ისეთი შემთხვევა, რაც, შესაძლებელია მხედველობიდან გამორჩა იმ დანარჩენი ხუთის ცხოვრების კვლევისას. განაჩენს არ აღუშფოთებია. დიდი ხანია მზად იყო თავის ცხოვრება ეკლესიის სინდისისათვის შეეწირა. მხოლოდ იმას ნატრობდა, ვინმე ისეთი გამოჩენილიყო, რომელიც ხმას ამოიღებდა მის დასაცავად და იტყოდა: „მას ხომ სარწმუნოების განმტკიცების სურვილი ამოძრავებდა“. რატომღაც ეგონა მისი არავის სჯეროდა და თანაუგრძნობდა ამ ქვეყანაში. მაგრამ მეორე დღეს, მზით განათებულ მოედანზე უამრავ ხალხს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც სწამდათ თურმე მისი, რადგან ძალზე უყვარდათ.

მოედანზე სოფელ პუეროდან ჩამოსულთა მცირე დელეგაციაც შენიშნა. ნინა (სათნობა — 2, ღვთისმოსაობა — 5, სარგებლიანობა — 10) და სხვები დარწმუნებულნი და დაბნეულნი შეჰყურებდნენ სანახაობას, თუ როგორ ნთქავდა მათ ჩია

მოძღვარს.

მოედანზე სოფელ პუეროდან ჩამოსულთა მცირე დელეგაციაც იმყოფებოდა. ნინა (სიკეთე — 2, ღვთისმოსაობა — 5, ოჯახისადმი ერთგულება — 10) და სხვები განცვიფრებულნი, სახედამანჭულნი შეჰყურებდნენ რწმენის ერთიანობის გამო როგორ ნთქავდა კოცონი მათ ფრანცისკანელ ბერს. მაშინაც კი, თვით მაშინაც კი იგი იმედს არ ჰკარგავდა და გუნებაში ჯიუტად სჯეროდა, რომ სხვა თუ არა, წმ. ფრანცისკი საბოლოოდ არ გაკიცხავდა მას და (ვინაიდან უზენაესის სახელის ხსენება ვერ გაბედა, რადგან, როგორც უკვე დარწმუნდა, ასეთ საკითხებში ადვილად ცდებოდა) ორჯერ მიმართა წმ. ფრანცისკს, მერე ცეცხლს მიენდო, გაიღიმა და სულიც განუტევა.

სულთა მოხსენიების წირვას თბილი და ნათელი დღე დაემთხვა. ქალაქლიმას მცხოვრებლები, — ფართოდ გახელილ შავგვრემან თვალეში ღვთაებრივი შიში და მოკრძლება რომ ჩაღვროდათ, — ნიაღვარივით მოედინებოდნენ ქალაქის ქუჩებში და საკათედრო ტაძრის მოედანთან იყრიდნენ თავს, სადაც შავ და ვერცხლისფერ ხავერდით განყობილ მომალეებულ ბორცვს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ. ბრჭყვიალა და თითქმის გახევებულ სამოსელში ჩაყაჯრული არქიებისკოპოსი მალაზურგიან სავარძელში იჯდა და ოფლად იღვრებოდა, თან კი, დროდადრო, მუსიკისმცოდნე კაცის იერით, ვიტორიას კონტრაპუნქტის წარმტაც ჰანგს ყურს უგდებდა. გუნდმა სასწრაფოდ შეისწავლა ნოტების ახალი ადგილები, რომლებიც საგანგებოდ შეთხზა მუსიკასთან სამუდამოდ დამშვიდობების წინ თომას ლუისმა, თავისი მეგობრისა და მწყალობელის — ავსტრიის დედოფალის სადიდებლად. და მთელი ეს ესპანური რეალიზმი იტალიური ყაიდით შესრულებული ზემოთ-ზემოთ მოლივლივებდა და მერე ზღვა მანტიელების თავზე იღვრებოდა. თავის საკუთარ აღმის ქვეშ ჭრელ-ჭრელი ფრთებით განყობილ ტახტრევანთან ავადმყოფობით განამებულ დონ-ანდრეას მუხლი მოეყარა და გალობას ყურს უგდებდა. ამავდროულად, გრძნობდა ხალხი ფარულად რომ ადევნებდა თვალს, ალბათ

დაინტერესებული, თუ როგორ ითამაშებდა იგი დამნუსრებული მამის როლს, ერთადერთი შვილი რომ დაჰკარგა. მოსვენებას არც ის ფიქრი აძლევდა: — ესწრებოდა თუ არა პერიკოლა წირვას; ჯერ არც ის შემთხვევა ჰქონია, რომ ასე ხანგრძლივად შეეკავებინოს თავი თამბაქოს მოწევისაგან. მზით განათებულ მოედნის მხრიდან ტაძარში კაპიტანი აღვარადო შემოვიდა. მან თვალი მოავლო შავი თმების და მაქმანების ვრცელ ზღვას, ერთმანეთზე მიჯრით ჩამწკრივებულ სანთლების მთელ ჯარს, საკმეველის კვამლის ზოლებად დასერილს სივრცეს. „რაოდენ დიდი სიყალბეა! რა არაბუნებრივია ყოველივე!“ — ჩაილაპარაკა მან ხმადაბლა და გარეთ გავიდა: იგი ნავსადგურისკენ დაეშვა, თავისი ნავის კიდეზე ჩამოცდა და კამკამა ზღვის ფსკერს ჩააშტერდა. — ნეტარ არიან წყალში დამხრჩვალნი, ესტებან — წყნარად წარმოსთქვა მან.

კრეტსაბმელის მიღმა მონაზონ გოგოებს შორის აბატისა ჩამჯდარიყო. წუხანდელი სულიერი განცდების შემდეგ, როცა საბოლოოდ გულიდან თავის კერპი ამოიგლიჯა, ფერი დაჰკარგოდა, მაგრამ სიმტკიცეს ინარჩუნებდა. იგი შეეგუა იმ აზრს, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, გააგრძელებდა თავის საქმიანობას თუ არა — დარწმუნდა, რომ თურმე, იგი ავადმყოფების მომვლელი ყოფილა და მეტი არაფერი, რომელმაც წინასწარ იცის, რომ საბოლოოდ ვერავის განკურნავს; მღვდელმსახური, რომელიც ყოველდღე ერთსადაიმთხვე რიტუალს ასრულებს საკურთხეველთან, სადაც მრევლი დიდხანია აღარ დაიარება. ცოცხალი აღარ არის პეპიტა, რომელსაც მისი დაწყებული საქმე უნდა გაეგრძელებინა და განეგრძო. მისი უნიათო და გულგრილი კოლეგების გადამკიდე ეს საქმე მალე სულ ჩაკვდება. როგორც ჩანს, ზეცას სავსებით აკმაყოფილებს ის, რომ პერუში მხოლოდ ხანმოკლე დროით გაიფურჩქნოს უანგარო სიყვარული და მერე ისევ დაჭკნეს. აბატისა შუბლით ხელს დაეყრდნო და ყური მოუგდო თუ რა ნარნარად და ნაზად მალღებოდა სოპრანო. „ჩემს სიყვარულს შენდამი, პეპიტა, სწორედ ამგვარი ფერები აკლდა. მთელ ჩემს ცხოვრებას აკლდა ეს მრავალფეროვნება, მუდამ მეტისმეტად მოუცლელი

ლი ვიყავი“, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მან და ფიქრით ლოცვაზე გადაერთო.

კამილა პირდაპირ თავისი მამულიდან გამოეშურა წირვაზე. მისი არსება შიშსა და შემფოთებას მოეცვა. აი, მაღალი ზეცის კიდევ ერთი მინიშნება. უკვე მესამედ აფრთხილებენ: ჯერ ყვავილი შეეყარა, ამას ხაიმეს ავადმყოფობა დაერთო, ახლა კი ეს ხიდი! არა, ეს არ არის შემთხვევითობა. მას ისე რცხვენოდა, თითქოს შუბლზე რალაც-რალაც ასოები აღმოაჩნდა ამოტივტივებული. სასახლიდან მოსული ბრძანება იუნყებოდა, რომ მეფისნაცვალის მის ორ გოგოს ესპანეთში სამონასტრო სკოლაში ამნესებდა. ეს, ალბათ, სწორი გადანიშნულება იყო: — ის ხომ მარტო დარჩა. თავისი მცირე ბარგი მექანიკურად შეაგროვა და წირვაზე დასასწრებად ქალაქისაკენ გაეშურა. გზაში მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი, რომ ხალხი სეირის თვალთ შეხედავდა მის გამოჩენას. გონების თვალთ ისიც წარმოიდგინა, რომ ეს გრანდიოზული საეკლესიო რიტუალი სხვა არა იყო რა, თუ არა ერთი უზარმაზარი უფსკურული, სადაც საყვარელი არსებანი ინთქმებოდნენ და სადაც ქარიშხალივით ბობოქრობდა იეს ივაე, მილიონობით მიცვალებულებთან ერთად რომ ადამიანის პიროვნული სახის ნაკვთებს შლიდა და მის ხსოვნას თანდათანობით აფერმკრთალებდა. გზის ნახევარზე ცოტა მეტი ექნებოდა გავლილი, როცა წმ. მეფე ლუის სახელზე ალიზით ნაშენ ეკლესიასთან შეჩერდა. შიგნით სწრაფად შევიდა და ერთ-ერთი სვეტის წინ სულისმოსათქმელად მუხლი მოიყარა. შეეცადა გონების თვალთ ორი მისთვის ძვირფასი ადამიანის სახის გამომეტყველება გაეცოცხლებინა. გულის ფანცქალით მოელოდა, რომ რალაც ფიქრები აღექვრებოდა. „მაგრამ მე რომ არაფერს ვგრძნობ?“ — ჩაილაპარაკა თავისთვის, — „ეტყობა გული არ მქონია! ეტყობა ერთი საცოდავი, უგუნური ქალი ვყოფილვარ და მეტი არაფერი... ყველამ მიმატოვა. გული, გული არ მქონია. აი, შეხედე, არც არაფრის გაკეთება მსურს და არც ფიქრი რაიმეზე. ნება მიბოძე აქ დავისვენო მხოლოდ“. მაგრამ ის-ის იყო წამით შეყოვნდა, რომ იმ საშინელმა, უნით უთქმელმა ტკივილმა კვლავ შეახსენა თავი, ტკივილმა, რომელმაც თავის დროზე

კრიჭა შეუკრა და ძია პიოს სიყვარულში ვერ გამოუტყდა; ისევე, როგორც ხაიმესათვის ვერ გაიმეტა გამამხნეველი სიტყვები, „როცა იგი ტკივილებისგან იტანჯებოდა. „მე ყველას ვულალატე!“ — იგი შინ დაბრუნდა და მთელი წელი თვითგვემასა და სასონარკვეთაში გაატარა. ერთ დღეს შემთხვევით გაიგო, რომ იმ საოცარმა აბატისამ უბედურების დროს ორი საყვარელი ადამიანი დაკარგა. საკერავი მაშინვე ხელიდან გაუვარდა, — მაშინ მას უსათუოდ ეცოდინება, ის შეძლებს განმარტებას. „თუმცა არა, აბა, რა უნდა მითხრას? როგორ დამიჯერებს, რომ ისეთ ქალს, როგორიც მე ვარ, დაღუპული ადამიანებისადმი სიყვარულის ან სინანულის გრძნობა მქონდეს“.

კამილამ ლიმაში ჩასვლა და აბატისას შორიდან მონახულება გადაწყვიტა. „თუ სახეზე შვატყვე, რომ ზიზღით არ მიყურებს, გამოველაპარაკები“, — გაიფიქრა მან.

აბატისას მონასტრის ეკლესიასთან დაელოდა კამილა. მის უბრალო, ბებრულად სანდომიანი სახის დანახვაზე რიდი-თა და სიყვარულით განიმსჭვალა, ოდნავ შეკრთა კიდეც, მაგრამ ბოლოს გაბედა და გამოელაპარაკა.

— დედაო, — მიმართა მან. — მე... მე...

— მე შენ გიცნობ, განა, შვილო ჩემო?

— მე მსახიობი ვიყავი, დედაო, მე პერიკოლა გახლდით.

— ოჰ, დიახ, გამახსენდა. დიდხანია მინდოდა შენი გაცნობა, მაგრამ, როგორც გადმომცეს, ყველას განრიდებიხარ და არავის ნახვა არ გსურს. ხიდის ჩანგრევის დროს ვიცე, შენც დაკარგე ახლობელი ადამიანები.

კამილა წამოდგა, მაგრამ მოულოდნელად შებარბაცდა. აი, კვლავ ის ტკივილის განცდა დაღუპულთა მიმართ, რომელთაც ველარასოდეს შეეხები. ტუჩები გაუფითრდა, თავით აბატისას მუხლს შეეხო.

— დედაო, მითხარით რა მოვიმოქმედო? სრულიად მარტო დავრჩი. ამ ქვეყნად აღარავინ გამაჩნია. მე მიყვარან ისინი! რა ვქნა, რა გავაკეთო?

— აბატისამ ყუადღებით შეათვალაიერა.

— შვილო ჩემო, აქ საკმაოდ ცხელა. ბალში ხომ არ შევსულიყავით სულის მო-

სათქმლად? — მან ახალგაზრდა მონაზონს — ისე, რომ კამილასთან საუბარი არ გაუნყვეტია, — ხელით ანიშნა წყალი მოეტანა.

— დიდი ხანია მსურდა შენი გაცნობა, სენიორა. ბევრად ადრე იმ უბედურებამდე. როგორც ამბობენ, ბრწყინვალედ და დიდებულად გითამაშიათ როგორც აქტრისას *autos sacramente* წარმოდგენისას. მე, რა თქმა უნდა, „ბალთაზარის ნადიმს“ ვგულისხმობ.

— ოჰ, დედაო, თქვენ ამას არ უნდა მეუბნებოდეთ, მე ხომ ცოდვილი ვარ. არა, არ უნდა მეუბნებოდეთ.

— აი, ცოტა მოსვი აქედან, შვილო ჩემო. ჩვენ მართლაც მშვენიერი ბალი გვაქვს. ერთხელაც იქნება და ხუანას გაგაცნობ — ჩვენს მთავარ მებაღეს. იცი, მონაზვნად აღკვეცამდე ბალი თვალთ არ უნახავს, რადგან მანამდის მალლა მთებში — მალაროებში მუშაობდა. ახლა კი მის ხელებს ათასგვარი ყვავილები გამოჰყავს. აჰა, წელიწადი გავიდა, სენიორა, რაც უბედურება შეგვემთხვა: მე ობოლთა თავშესაფარში აღზრდილი ორი ბავშვი დაეკარგე, მაგრამ თქვენ ხომ საკუთარი შვილი დაგელუპათ.

— დიახ, დედაო.

— და ერთიც ახლო მეგობარი.

— ხომ არ მომიყვებოდით...

და მაშინ ხანგრძლივი მწუხარების და გულისტკივილი გრძნობების მთელმა ზღვამ, — კამილას სულში დაგროვილიყო ბავშვობიდან, — გზა ჰპოვა და მონაზონ ხაიმას მიერ გაშენებული ბალის შადრევნების და ვარდის ბუჩქების გარშემო აბატისას მტვრიან, მაგრამ მეგობრულ კალთაში ცრემლებად გადმოიღვარა.

მაგრამ განა კიდევ რამდენი ამბავი შეიძლება დაიტიოს ამ ერთმა პატარა წიგნმა იმის გარდა, რაც აქ არის აღწერილი და რაც ხიდის ჩანგრევასთანაა დაკავშირებული? თუმცა, კიდევ ერთ ამბავს მაინც შემოგთავაზებთ.

— გრაფის ქალს დ'აბრუირეს თქვენნი ნახვა სურს, — მოახსენა აბატისას კანცელარიის კართან მდგომმა მონაზონმა.

— კეთილი. — მიუგო აბატისამ და კალამი მაგიდაზე დადო, — ვინ არის?

— არ ვიცი. ეს-ეს არის ესპანეთიდან ჩამოსულა.

— ოჰ, ეს ფულია, ინებ, ფული უსინათლოთა სახლისათვის. სწრაფად. ახლავე უხმე.

ოთახში შემოვიდა დარბაისლური, ოდნავ მოქანცული — მინაზებული იერის ლამაზმანი. დონა კლარა, რომელიც ჩვეულებრივად თვითდაჯერებული მანერებით გამოირჩეოდა, ამჯერად უხერხულად გრძნობდა თავს.

— ძვირფასო დედაო, თუ ძალიან დაკავებული არა ბრძანდებით, ცოტა რამ სალ-აპარაკო მაქვს თქვენთან.

— მიგულეთ თქვენს განკარგულებაში, შვილო ჩემო. იმედია მომიტყევებთ, თურმე, მოხუც ქალს, მესხიერება მალაატობს: — ადრე თუ გიცნობდით?

— დედაჩემი მარკიზა დე მონტემაიორი გახლდათ...

და ვინაიდან დონა-კლარას ეჭვი ჰქონდა, რომ დედამისი აბატისას გულზე არ ეხატებოდა, საშუალება არ მისცა მას ეთქვა რაიმე, სანამ თვითონ არ წარმოსთქვა გრძელი და გულმხურვალე სიტყვა მარკიზას დასაცავად. ამ თვითგვემის პროცესში სულ გადაავიწყდა სიდარბაისლე და ქედმაღლობა. ბოლოს, აბატისამაც თავის მხრივ მოუყვა პეპიტასა და ესტებანის შესახებ და არც კამილას ვიზიტის ხსენება გამოორჩენია.

— ყოველი, ყოველი ჩვენგანი სიყვარულის ღირსი არ აღმოჩნდა. ამიტომაც ერთნი სინდისის ქენჯნას განვიცდით, მეორენი მზად ვართ ყოველგვარი სასჯელი მივილოთ. მაგრამ, იცი თუ არა შვილო ჩემო, რომ სიყვარულის ჟამს, — გავბედავ და ვიტყვი, რომ ჩვენ მიერ ჩადენილ შეცდომებს, კერძოდ სიყვარულის ჟამს, — ხანგრძლივი არსებობა არ უნერია.

დონა-კლარამ დედამისის უკანასკნელი ბარათი უჩვენა. აბატისას გამბედაობა არ ეყო ხმამაღლა გამოეხატა თავისი გაოცება იმის გამო, რომ შეუძლებლად მიიჩნია ამგვარი სიტყვები, — (სიტყვები, რომელთაც ერთგვარი კმაყოფილებით იმეორებს მთელი მსოფლიო), — პეპიტას ქალბატონის გულში აღმოცენებულიყო. „შეიგნე ერთხელ და სამუდამოდ“, — შთაგონებდა იგი თავისთავს — „შეიგნე, რომ ღვთიური მადლის გამოვლენას ყოველ ნაბიჯზე შეიძლება ნაანყდე“. და იგი პატარა გოგოსავით აღფრთოვანდა, როცა

მოისმინა კიდევ ერთი ახალი საბუთი იმის სასარგებლოდ, რომ იდეა, რის გულისთვისაც ის მთელი ცხოვრება იბრძოდა, ფესვს იდგამს და ქვეყანა საამისოდ მზად იყო.

— ჰქენით სიკეთე, შვილო ჩემო, დამდედეთ პატივი და გამომყევით. მსურს ჩემი სამუშაო დაგათვალიერებინოთ. მზე უკვე ჩასულიყო და აბატისა დერეფნიდან დერეფანში გზას ფარნით ხელში მიიკვლევდა. ვინ არ ნახა აქ დონა-კლარამ: — მოხუცი თუ ახალგაზრდა, დავრდომილი თუ უსინათლო, მაგრამ ყველაზე მეტად თვალში მაინც დაღლილ-დაქანცული, თუმცა მხნე ბუნების დედაბერი ხვდებოდა, წინ რომ მიუძლოდა. დერეფნიდან დერეფანში გადასვლისას იგი ჩერდებოდა და უცებ იტყვოდა.

— იცით, მოსვენებას არ მაძლევს ფიქრი ყრუ-მუნჯების ბედზე. ხომ შეიძლება მათთვის გამოინახოს რაიმე საშუალება. დარწმუნებული ვარ, ვინმე გულისხმიერი შეძლებს... შესძლებს მათი ენის საკითხის მოგვარებას. მოგეხსენება, პერუში ასობით და ათასობით არიან ავადმყოფები: აბა, გაიხსენე, ესპანეთში ხომ არ გამოუნახავთ რამე საშუალება მათთვის? ახლა თუ არა, ერთ მშვენიერ დღეს მომავალში ხომ მაინც გადაწყდება. ანდა, ცოტა ხნის შემდეგ.

— იცით, არც ის ფიქრი მშორდება თავიდან, რომ ბოლოსდაბოლოს, სულით ავადმყოფსაც ეშველება რამე. როგორც ხედავთ, მე უკვე მოვხუცდი და ძალა აღარ შემწევს ვენვიო იმ ადგილებს, სადაც ამგვარ საკითხებს იხილავენ, თუმცა კი მოვლენებს თვამყურს მაინც ვადევნებ. ნეტავ, ესპანეთში ახლა დიდსულაოვნად თუ ეპყრობიან მათ? მგონია, რომ ამ ავადმყოფობაში არის ისეთი იდუმალი რამ, რაც ჯერჯერობით ჩვენთვის ამოუხსნელია, მაგრამ ხვალ-ზეგ ხელმისაწვდომი გახდება. მართლა, როცა ცოტა ხნის შემდეგ ესპანეთში დაბრუნდებით, თუ ვინიცობაა ისეთ რამეს მოჰკრათ ყური, რაც ჩვენც გამოგვადგება — მომწერეთ, თუ რა თქმა უნდა, დროს გამოინახავთ.

ბოლოს, როცა დონა-კლარას სამზარეულოებიც დაათვალიერებინა, აბატისამ თქვა.

— ახლა კი მაპატიეთ, მაგრამ ყველაზე

მძიმე ავადმყოფთა პალატა უნდა მოვინახულო და რამდენიმე სიტყვა დავუბარო, რათა უძილობის ჟამს ამ საკითხებზე იფიქრონ. არ გეპატიჟებით, რომ შიგ შემომყვეთ: ასეთი ხმების მოსმენას და ამგვარი სურათების ხილვას თქვენ, უდავოა მიჩვეული არ იქნებით, ასეც არ იყოს, მათ როგორც ბავშვებს ისე ვესაუბრები.

დონა-კლარას მან მწარე, მოკრძალებული ღიმილით ახედა. მერე წამით, უცბად სადღაც გაქრა და ისევ მალევე დაბრუნდა თავისი თანაშემწის თანხლებით, — ერთ-ერთი იმათგანით, რომელსაც მათსავით შეეხო ხიდის ამბავი და რომელიც ადრე მსახიობი ქალი გახლდათ.

— იგი ახლავე გამოგვეთხოვება, — უთხრა დონა-კლარას აბატისამ. ქალაქის ბოლოში სასწრაფო საქმე მაქვს. ხოლო როგორც კი ავადმყოფებთან საუბარს მოვრჩები, თქვენც დაგემშვიდობებით, — ფქვილის ბროკერი დიდხანს არ დამელოდება და თვით მოლაპარაკებაც, ალბათ, გაჭიანურდება.

მაგრამ დონა კლარა კარებს არ მოსცილებია, სანამ აბატისა ავადმყოფებს ესაუბრებოდა, დედა მარიამ ფარანი გვერდით მოიდგა იატაკზე და ერთ-ერთ სვეტს ზურგით მიეყრდნო. ავადმყოფები ჩამწკრივებულნი, ერთიმეორის მიყოლებით იწვნენ და ჭერს მისჩერებოდნენ. ცდილობდნენ წყანარად ესუნთქათ. იმ საღამოს აბატისა ესაუბრებოდა იმათზე, ვინც სრულიად მარტოდმარტო აღმოჩნდა წყვდიადის პირისპირ (იგი გულისხმობდა ესტებანის მარტობას, ფიქრობდა პეპიტას მარტობაზე) და იმათზე, ვისაც ახლა

გვერდით არავინ ჰყავდათ ხმის გამცემი. ის საუბრობდა იმათზე, ვისთვისაც ეს სანუთრო რთულზე რთული რამაა და, ალბათ, უაზროც. ავადმყოფები თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს კედლით ყოფილიყვნენ შემოზღუდულნი მათთვის — საგანგებოდ რომ აეგო დედა მარიას. კედლის მიღმა წყვდიადი სუფევდა, შიგნით კი სითბო და სინათლე, რომელთაც ისინი არაფრისდიდებით არ დათმობდნენ თვით ავადმყოფობისგან, ან სიკვდილისგან დახსნის ფასადაც კი. მაგრამ სანამ აბატისა ასე საუბრობდა, გონების სიღრმეში, ამავედროულად სხვა აზრიც იკავავდა გზას.

— უკვე დღეს, — ფიქრობდა იგი, — ჩემ გარდა თითქმის აღარავის ახსოვს ესტებანი ან პეპიტა; კამილა მხოლოდ ძია პიოს და თავის ვაჟს იგონებს, ეს ქალბატონი კი მარტოდენ დედამისს. მალე არცერთი ჩვენგანი ცოცხალი არ ვიქნებით და მაშინ ხსოვნა ხუთი ადამიანისა სამუდამოდ გაქრება პირისაგან მინისა. თავის მხრივ, ჩვენც ცოტა ხნით ვემახსოვრებით და მერე ჩვენც მიგვივინწყებენ. მაგრამ საკმარისია ისიც, რომ სიყვარული იარსებებს. სიყვარულის ყველა იმპულსი კვლავ უბრუნდება იმ სიყვარულის წიაღს, რომელმაც ის წარმოშვა. სიყვარულისთვის თვით მახსოვრობაც კი აუცილებელი არ არის. არსებობს მინა ცოცხალთა და მინა მიცვალებულთა, ხოლო მათ შორის გადებული ხიდი — სიყვარულია: ერთადერთი გზა გადარჩენისა, ერთადერთი აზრი ცხოვრებისა.

თარგმნა ნოდარ ბადრიანაშვილმა





თომას სტერნზ ელიოტი

ენაეზის კრეატიულიდან: „სალვთო ტყე“

ევრიპიდე და პროფესორი მარეი

მის თორნდაიკის ამჟამინდელი გამოჩენა ჰოლბორნ ემპაიერში, მედეას როლში ისეთი მოვლენაა, რომელსაც მეტად საგულისხმო სამი საგანი ახლავს თან: დრამა, დღევანდელი ყოფა ბერძნული ლიტერატურისა და მნიშვნელობა კარგი თანამედროვე თარგმანისა. იმ დღეს, როდესაც, იღბლად, მე დავესწარი, წარმოდგენამ მართლაც წარმატებით ჩაიარა; მაყურებელი მრავლად იყო, ყურადღებიანი გახლდათ და ტაშიც გახანგრძლივდა. ოღონდ გაურკვეველია, მიეთვლება თუ არა ეს წარმატება ევრიპიდე; ვერაფრით დავასაბუთებთ, რომ პროფესორ მარეის წარმატება იყო; მაგრამ უეჭველია, რომ მნიშვნელოვანწილად მის თორნდაიკის წარმატება გახლდათ. ორ საათს სცენის შუაგულის პერობა როლში, რომელიც მოითხოვს უსაზღვრო სისასტიკისა და თავშეკავების ჩვენებას, როლში, რომელიც მოითხოვს შიშველ ძალასა და დახვეწილ ვარიაციებს; და ამ ურთულესი როლის შესრულება ლამის დაუხმარებლად, მართლაც რომ ჭეშმარიტი წარმატებაა. მაყურებელი, რამდენადაც მისი აღქმა შემეძლო ერთ-ერთი უიარფესი ადგილიდან, იყო სერიოზული, პატივისმცემელი და ალბათ განწყობილი, დაემტკიცებინა,

ღირსი ვარ, ბერძნულ პიესას რომ ვესწრებო; თუმც მის თორნდაიკის თამაში შეძლებდა ყველანაირი მაყურებლის დაპყრობას. მასში გამოყენებული იყო ყველა პირობითობა თანამედროვე სცენის თეატრალურობისა; და მაინც, მისმა პიროვნებამ გადააჭარბა არა მხოლოდ პროფესორ მარეის ლექსს, არამედ საკუთარ ოსტატობასაც.

რჩება კითხვა — იყო თუ არა წარმოდგენა „ხელოვნების ნიმუში“? დანარჩენი შემსრულებელი ცოტა სუსტად წარმოჩნდნენ; ძიძა ასე თუ ისე ასატანი იყო, როგორც მოხუცი; იაზონი არ ვარგოდა; შიკრიკი იბნეოდა ასეთი გრძელი სიტყვის წარმოთქმისას; ხოლო გაუმჯობესებული, დალკროზული ქოროდან დათაფლული ხმა მოდიოდა, რაც მათ ლექსს სავსებით გაუგებარს ხდიდა. ყოველივე ეს მაღალფარდოვნების მომტანი აღმოჩნდა, რაც ასე დამორგუნველია; და, ცხადია, ათენელ მსახიობებს, რომელნიც საკმაოდ გასაგებად მეტყველებდნენ ოცი ათასი — ლექსის დამფასებელი — მაყურებლის წინაშე, ლელვსა და ზეთისხილს დაუშენდნენ, ასე გაურკვეველად რომ ელულულათ, როგორც დასის უმეტესობა ლულულულებდა. მაგრამ ბერძენი მსახიობი თავის ენაზე მეტყველებდა, ხოლო ჩვენი მსახიობები აიძულეს ემეტყველათ პროფესორ გილბერტ მარეის ენაზე. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, მთლიანობაში წარმოდგენა საინ-

ტერესო იყო.

თუმც ვერ დავიჯერებ, რომ ასეთი წარმოდგენა დიდად შეენევა ბერძნული ან ჩვენი ლიტერატურის განახლებას, უკეთესი თარგმანების სურვილს უფრო შეაგულიანებს. სერიოზულმა მაცურებლებმა, მათ შორის მრავალმა, რომლებიც, როგორც შევნიშნე, ჩემსავით განენყვნენ პროფესორ მარეის ორგროშიანი თარგმანის მიმართ, ალბათ არც კი იცოდნენ, რომ მის თორნდაიკი, რათა მიზნისათვის მიეღწია, რაც შეძლო კიდეც, მართლაც რომ შეებრძოლა მთარგმნელის ლექსს და გამარჯვებულიც გამოვიდა ორთაბრძოლაში, რადგან ჩვენი ყურადღება გადაიტანა თავის გამომეტყველებასა და ინტონაციაზე და დაგვაგინცა სიტყვები; და ეს კი, ცხადია, არ ყოფილა საუკეთესოდ ხორცშესხმული ბერძნული დრამატული მეთოდი. ინგლისური და ბერძნული ენები იქ დარჩნენ, სადაც იყვნენ. მაგრამ ცოტა ვინმე თუ აცნობიერებს, რომ ბერძნულ ენასაც და ლათინურ ენასაც და, აქედან გამომდინარე, უნდა ვთქვათ, ინგლისური ენასაც, ჩვენს დროში რთული ჟამის გადატანა უწევთ. კლასიკურმა ენებმა, XIX საუკუნის ბოლოდან ჩვენ დრომდე, დაჰკარგეს საყრდენი ადგილი სოციალურ და პოლიტიკურ სისტემაში — რასაც ინარჩუნებს დაფუძნებული ეკლესია. თუ მათ გადარჩენათ უწერიათ, უნდა განიმტკიცონ თავი როგორც ლიტერატურამ, როგორც შემადგენელმა ნაწილმა ევროპული აზროვნებისა, როგორც საძირკველმა ლიტერატურისათვის, რომლის შექმნასაც ვიმედოვნებთ, მაშინ მეტად საჭირობოროტო მოთხოვნილება ჩნდება პიროვნებათა, რომელთაც მათი განმარტება შეუძლიათ. ვინმე გვჭირდება — არა წევრი რომის ეკლესიისა, და ალბათ აჯობებს, არც ინგლისის ეკლესიის წევრი იყოს — ვინც აგვიხსნიდა თუ რაოდენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეს საქმე; თუკი არისტოტელე შეიძლება ჩაითვალოს ევროპის ზნეობრივ მეგზურად, შესაძლოა თუ არა დაგვეკარგა ეს მეგზური. და გვჭირდება მრავალი განათლებული პოეტი, ვისაც ბოლოს და ბოლოს შეხედულება ექნება ბერძნულ დრამაზე და იმაზეც, გვარგია თუ არა ეს დრამა რაიმეში. და ისიც უნდა ითქვას, რომ პროფესორი გილბერტ მარეი

ამ საქმეში არ გამოდგება. ბერძნულ პოეზიას ვერასოდეს ექნება თუნდ უმცირესი ზეგავლენა, ინგლისურ პოეზიაზე, თუკი ეს პოეზია მხოლოდ შეინიღებება, როგორც დამდაბლებული და გავულგარულებული ნიმუში სუინბერნის აშკარად პიროვნული იდიომისა. მკვახე სიტყვებია ჩვენი დროის ყველაზე პოპულარული ელინისტის წინააღმდეგ; მაგრამ თავს დაედებთ პროფესორი მარეის წინაშე, რომ ეს ყველაფერი ასეა და არა სხვაგვარად.

სწორედ ესაა უალრესად მნიშვნელოვანი, რომ დღეისათვის ყველაზე უფრო მყვირალა პროპაგანდისტმა თითქმის ჩვეულებად აქციოს ორი სიტყვის გამოყენება იქ, სადაც ბერძნულ ენაში ერთია, და სადაც ინგლისურ ენას ძალუძს ერთი მინოდოს; შეუძლია *σχιάν* — „greysadow“-დ (რუხ აჩრდილად) გადმოთარგმნოს; იმასაც შეძლებს, რომ ბერძნული სიმოკლე უილიამ მორისის თავისუფალ ფორმას შეუხამოს, და ბერძნული ლირიკა სუინბერნის თხევადი ნისლით დაალაქავოს; ესაა მცირედი და უმნიშვნელო ნაკლოვანებანი. მედეას პირველ დიად სიტყვას მრ. მარეი ასე იწყებს:

კორინთოს ქალებო, მოველ,
რათა გიჩვენოთ
სახე, რაც უნდა გძულდეთ...

ბერძნულშია *ἐξήλιον δόμων* — ამდენად, „გიჩვენოთ სახე“ მრ. მარეის საჩუქარია.

ამ წარმოუდგენელმა ამბავმა,
უეცრივ ზემოდან მოსულმა,
გამოაშრო ჩემი სული:
თვალნი მომეჭრა აქ, სადაც ვდგავარ,
ცხოვრების თასი დამემსხვრა ხელში...

და კვლავ ვხედავთ, რომ ბერძნულშია:

*ἔμοι δ' ἄελπτον πρᾶγμα προσπεσὸν τόδε
ψυχῆν διέφθαρκ'· οἴχομαι δὲ καὶ βίον
χάριω μεθεῖσα καθαιρεῖν χεῖρ᾽, φίλα.*

და კვლავ ორი ზარდამცემი ფრაზა, რასაც მრ. მარეის ვუმაღლით; სწორედ მან გამოაშრო ჩვენი სული და დაამსხვრია

ევრიპიდეს ცხოვრების მთელი თასი. და ეს მხოლოდ შემთხვევითი მაგალითებია.

ὄχι ἔστιν ἄλλη φριχὴ μαιφονωτέρα

გადაიქცა „უსისხლიანეს სულად ზეცასა და ჯოჯოხეთს შორის“! ნამდვილად ვიცით, რომ პროფესორი მარეი იცნობს „დაიკო ჰელენს“? პროფესორმა მარეიმ ჩვენსა და ევრიპიდეს შორის უბრალოდ აღმართა წინაღობა, უფრო შეუღწეველი, ვიდრე ბერძნული ენაა. არ დავამუნათებთ მას იმის გამო, რომ ევრიპიდე აშკარად ურჩევნია ესქილეს. მაგრამ თუ ეს ასეა, ევრიპიდე მაინც დააფასოს. და წარმოუდგენელია, რომ ვინც ბერძნული ლექსის ბგერის ჭეშმარიტი დამფასებელია, მის ზუსტ ეკვივალენტად ნებაყოფლობით აირჩიოს უილიამ მორისის კუპლეტი და სუინბერნის ლირიკა.

ვითარცა პოეტი, მრ. მარეი ძალზე უმნიშვნელო მიმდევარია პრერაფაელიტური მოძრაობისა. ვითარცა ელინისტი, მეტისმეტად დღევანდელობისა და ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურაცაა დღევანდელობისა. დღევანდელობა, გარკვეული აზრით, ტაილორითა და გერმანელი ანთროპოლოგისტებით დაიწყო; იქიდან მოყოლებული შევითვისეთ სოციოლოგია და სოციოლოგიური ფსიქოლოგია, ვნახეთ კლინიკები რიბოსი და ჟანეისა, ნავიკითხეთ ვენიდან გამოგზავნილი წიგნები და მოვისმინეთ ბერგსონის დისკურსი; ფილოსოფია გაჩნდა კემბრიჯში; სოციალურმა ემანსიპაციამ გადალახა საზღვრები; და მივიღეთ ახირებული, ფროიდულ-სოციალურ-მისტიკურ-რაციონალისტურ-უმალღესი-კრიტიკული განმარტება კლასიკისა და იმისა, რასაც წმინდა წერილი ერქვა. არ უარვყოფ ძალზე დიდ ღირებულებას მეცნიერთა შრომისა თავთავიანთ განყოფილებებში, დიდ ინტერესს ამ შრომის დაწვრილებით შესწავლისადმი და მის შედეგებს. ცოტა წიგნი თუა ისეთი დამატყვევებელი, ვიდრე მის ჰარისონისა, მრ. კორნფორდისა თუ მრ. ქუკისა, როცა ისინი ჩალრმავდებიან მითებისა და რიტუალთა წარმოშობაში; მ. დურკჰაიმი თავისი სოციალური ცნობიერებით და მ. ლევი-ბრიუელი თავისი ბოროროს ინდი-

ელებით, რომელნიც თავს ირწმუნებენ, თუთიყუშები ვართო, სასიამოვნო მწერლები არიან. მრავალი მეცნიერება წარმოიშვა თითქმის ტროპიკული სიუხვით, რაც უთუოდ აღგვაფრთოვანებს, და ბალი, არცთუ არაბუნებრივად, ჯუნგლს ემსგავსება. ისეთი ადამიანები, როგორებიცაა ტაილორი, რობერტსონ სმიტი და ვილჰელმ ვუნდტი, რომელნიც ნაადრევად ანაყოფიერებენ მიწას, ძნელად თუ გამოიცნობენ მონეულ ნაყოფს; და მართლაც, საბრალო ვუნდტის „ხალხის ფსიქოლოგია“ დახავსებული გადმონაშთი გახლდათ, ვიდრე ითარგმნებოდა.

ყოველ ამ მოვლენას სასარგებლო მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროს, და მათ შესამჩნევად გარდაქმნეს ჩვენი დამოკიდებულება კლასიკისადმი; და ასეთია ეტაპი კლასიკის შესწავლისა, რასაც პროფესორი მარეი — მეგობარი და შთამაგონებელი მის ჯეინ ჰარისონისა — წარმოადგენს. ბერძნული აღარაა ღვთაებრივად ვინკელმანის, გოეთეს, შოპენჰაუერის შთამაგონებელი ფანჩატური, რომლის აღნაგობაც უოლტერ პეიტერმა და ოსკარ უაილდმა შემოგვთავაზეს ოდნავ დაუმნობებული კვლავ-გამოცემით. და ჩვენ უკეთ გვესმის, თუ რაოდენ განსხვავებული იყო — არათუ რამდენად უფრო ოლიმპიური — ბერძნული ცივილიზაციის ყოფა ჩვენისაგან; და ამავე დროს მრ. ზიმერმანმა გვიჩვენა თუ როგორ იქცეოდნენ ბერძნები მსგავსი სირთულეებისას. სხვათა შორის, არა გვჯერა, რომ პროზის კარგი ინგლისური სტილი შეიძლება მოვარგოთ ციცირონს, ან ტაციტუსს, ან თუკიდიდეს. თუ პინდარე თავს გვაბეზრებს, მაინც ვალიარებთ მას; დარწმუნებულნი არა ვართ, რომ საფო ძალზე დიდი იყო კატულუსთან შედარებით; განსხვავებული შეხედულებანი გვაქვს ვერგილიუსზე; და უფრო მაღალი აზრისა ვართ პეტრონიუსზე, ვიდრე ჩვენი პაპები.

იმედი ვიქონიოთ, რომ მაღლობელნი დავრჩებით პროფესორ მარეისა და მისი მეგობრებისა იმის გამო, რაც გააკეთეს, ამავე დროს, შევეცდებით გავანონასნოროთ პროფესორ მარეის გავლენა ბერძნულ ლიტერატურასა და ინგლისურ ენაზე, რაც მისი თარგმანებიდან მოდის, იმით, რომ უკეთ ვთარგმნით. ევრიპიდეს

ტომას ელიოტი. ასეავე პრეპარულიდან: „სალკოტო ტყე“

ქოროთა ჰ. დ.-სეული თარგმანები, თავისი შეცდომებითა და ზოგჯერ გამოტოვებული ძნელი ადგილებით, უფრო ახლოსაა ბერძნულთანა და ინგლისურთანა, ვიდრე მრ. მარეისა. მაგრამ ჰ. დ.-სა და სხვა პოეტებს „პოეტთა თარგმანების სერიიდან“ მხოლოდ ზოგიერთი, უფრო რომანტიკული ნამცეცები აურჩევიათ ბერძნული ლიტერატურიდან; ჯერ არცერთს არ გამოუჩინია თავი კომპეტენტურობით, რომ „აგამემნონზე“ მიეტანა იერიში. თუკი საისტორიო და სამეცნიერო ცოდნის მძიმე საკვები უნდა მოვინელოთ, მეტის დასაძლევადაც უნდა მოვემზადოთ. ისეთი კუჭი გვჭირდება, რომ ჰომეროსი და ფლოპერი გადაამუშაოს. ისეთი ზედმინევიითი შესწავლა და თარგმნა გვესაჭიროება რენესანსის ჰუმანისტებისა, მრ. პაუნდი რომ შეუდგა. გვჭირდება თვალი, რომელიც წარსულს თავის ადგილას დაინახავს, იმგვარად, რაც მას ანმყოსაგან განასხვავებს, და მაინც ისე ცოცხლად, რომ ანმყოფად წარმოგვიდგება. ეს შემოქმედებითი თვალია; და პროფესორი მარეი სწორედ იმიტომ ტოვებს ევრიპიდეს მიცვალეზულად, რომ შემოქმედებით ინსტინქტი არ გააჩნია.

„რიტორიკა“ და პოეტური დრამა

როსტანის სიკვდილთან ერთად გაჰქრა პოეტი, რომელსაც საფრანგეთში სხვაზე მეტად მივიჩნევდით „რიტორიკის“ გამომხატველად, რიტორიკაზე კი ვფიქრობდით, როგორც რალაცაზე, ახლახან რომ გადავიდა მოდიდან. და როცა აღმოვაჩინეთ, რომ ყურადღებით ვიყურებით უკან „სირანოს“ ავტორისაკენ, გვიკვირს, რა უნდა იყოს ის სისუსტე თუ თავისებურება, რაც აშკარად უკავშირდება როგორც როსტანის ღირსებებს, ისე მის ნაკლოვანებებს. ბოლოს და ბოლოს, რიტორიკა ხანდახან ისეთი უხდებოდა, რომ გაცილებით მეტად მიესადაგებოდა უფრო დიდ პოეტს, ბოდლერს, ვინც ზოგჯერ ისეთივე რიტორიკულია, როგორც როსტანი. და უკვე გვეჩქვება, რომ ეს სიტყვა მხოლოდ ბუნდოვანი ტერმინია, რომელიც გნებავთ ცუდი სტილის განსაქიქებლად,

იმდენად აშკარად ცუდისა თუ მეორეხარისხოვანისა, რომ საჭიროებას არც კი ვხედავთ უფრო ზუსტი ფრაზის მოსახმობად.

ჩვენს საკუთარ ელიზაბეთურ და იაკობინურ პოეზიას — ასეთ სასიამოვნო პრობლემაში გასარკვევად გაცილებით უხიფათოა, საკუთარ ენას მიმართო — გამუდმებით უწოდებენ „რიტორიკულს“. მას ახასიათებდა ესა თუ ის შესამჩნევი თავისებურება, მაგრამ როცა მოვინდომებთ ვიფიქროთ, ნაკლოვანებანიც ჰქონდაო, რიტორიკული გახდება. სერიოზული ნაკლოვანებანი მოეპოვებოდა, თვით დიდი ბრალიც კი, მაგრამ მაინც ვერ მივცემთ თავს უფლებას, რომ ამოვშალოთ ჩვენი ენიდან, რადგან გარკვევით ვერ ჩავწვდომივართ თუ რა არის მათი ბრალეულობა. აშკარაა, რომ ელიზაბეთური პროზა და ელიზაბეთური პოეზია დაწერილია მრავალგვარი სტილითა და მრავალგვარი ხარვეზითაც. ლილის სტილი, ევფუიზმი, რიტორიკულია? ასქემისა და ელიოტის უფრო ძველ სტილთა საპირისპიროდ, რომელთაც უტევს, ეს ნათელი, მოძრავი, მონესრიგებული და შედარებით წმინდა სტილია, სისტემატური, თუნდ მონოტონური ფორმულით ანტითეზათა და სიმილებისა. განა ნემის სტილი, გაფუებული, გაბერილი და ენერგიული, განსხვავდება ლილის სტილისაგან? ან ალბათ განელილი და შერეული მეტყველების ნაწილებია, რითაც შექსპირი ინებივრებდა თავს. ან ეგებ ჯონსონის ფრთხილი დეკლამაციაა. სიტყვა რიტორიკული უბრალოდ ვერ გამოიყენება ცუდი მწერლობის შესატყვისად. მნიშვნელობანი, რომელთა წამოკიდებაც მოუხდა, უმთავრესად შეურაცხმყოფელი იყო; მაგრამ თუ ზუსტ მნიშვნელობას გამოვძებნით მისთვის, შესაძლოა ხანდახან სიქველაც გამოხატოს. ეს ერთი იმ სიტყვათაგანია, რომლის დაშლაც და ხელახლა აწყობაც კრიტიკის საქმეა. მოდი ავირიდოთ ვარაუდი, რომ რიტორიკა ქცევის ხარვეზია, და შევეცადოთ სუბსტანცია დავინახოთ რიტორიკაში, რაც სწორი იქნება, რადგან მომდინარეობს იქიდან, რაც უნდა გამოხატოს.

დღეისდღეობით პოეზიაში გაცხადებულია უპირატესობა „სასაუბროსი“ — სტილი „უშუალო მეტყველებისა“, დაპირ-

ისპირებული „ორატორულსა“ და რიტორიკულთან; მაგრამ თუ რიტორიკა, უადგილოდ გამოყენებული, რომელიმე პირობითობაა წერისა, ეს სასაუბრო სტილი შესაძლოა და გახდეს კიდეც რიტორიკა — ანუ რაც ნავარაუდევია სასაუბრო სტილად, სწორედ რომ ისეა დაშორებული თავაზიანი მუსაიფისაგან, როგორც უნდა ყოფილიყო. დიდი ნაწილი ამერიკული მეორე და მესამეხარისხოვანი ვერლიბრისა ასეთია; ასეთივეა დიდი ნაწილი მეორე და მესამეხარისხოვანი ინგლისური უორდსვორთიზმისა. ფაქტობრივად არც არსებობს სასაუბრო თუ სხვაგვარი ფორმა, რომლის გამოყენებაც განურჩევლად შეიძლებოდეს; თუ მწერალს სურს აღძრას საუბრის განწყობილება, უშუალოდ უნდა გვიჩვენოს თუ როგორ საუბრობს საკუთარ თავთან ან თავის რომელიმე როლში; ხოლო თუ საკუთარი თავი უნდა გამოვხატოს, ჩვენი ფიქრებისა და გრძნობათა მრავალფეროვნება უცილობელი სიმართლით გადმოვცეთ მრავალფეროვან საგანთა მიმართ, მაშინ ჩვენი ქცევა იმნამსვე უნდა შევუხამოთ განუსაზღვრელი გარდასახვებით. ელიზაბეთური დრამის განვითარების შემომნება გვიჩვენებს მის წინსვლას გარდაქმნისაკენ, განვითარებას მონოტონურობიდან მრავალფეროვნებისაკენ, თანმიმდევრულ დახვეწას გრძნობათა ცვალებადობის მისაღწევად. აღიარებულია, რომ ეს დრამატურგია გადაიზარდა რიტორიკული გამოთქმებიდან, მაღალფარდოვანი მეტყველებიდან კიდისა და მარლოსი ფაქიზსა და განონასწორებულ გამოთქმებში შექსპირისა და ვებსტერისა. ეს ამკარა ძალდაუტანებლობა თუ ბუნებრიობა რიტორიკისა ორ რამეში მჟღავნდება: ნაწილობრივ ენის გაუმჯობესებაში და ნაწილობრივ პროგრესულ ცვალებადობაში გრძნობებისა. რა თქმა უნდა, შორს არიან ერთმანეთისაგან მძვინვარებით აღვსილი სიტყვები მოხუცი ჰიერონიმოსი და დამსხვრეული სიტყვები ლირისა. არის აგრეთვე განსხვავება სახელგანთქმულ

h eyes no eyes, but fountains full of tears!
Oh life no life, but lively form of death!

[ო, თვალები არა თვალები, არამედ შადრევნები ცრემლებით სავსე!

ო, სიცოცხლე არა სიცოცხლე, არამედ ცოცხალი ფორმა სიკვდილისა!] (ტომას კიდი, „ესპანური ტრაგედია“)

და ბრწყინვალე „დამატებანი ჰიერონიმოსათვის.“¹

ჩვენ ვფიქრობთ შექსპირზე როგორც დრამატურგზე, რომელიც ყოველივეს ერთ ფრაზაში ათავსებს, „ერთი აქ ღილი გამიხსენით“, ან „პატიოსნებით სავსე იაგო“; გვაზინყდება, რომ არსებობს შექსპირის შესატყვისი რიტორიკა მის საუკეთესო ხანაში, რაც სრულიად დაზღვეულია ნამდვილ შექსპირულ ნაკლოვანებათაგან, ადრეული ხანისა იქნება თუ გვიანდელისა. ეს ნაწყვეტები ფარდია კიდისა თუ მარლოს მაღალფარდოვნებისა, ოღონდ მეტი დაუფლებით ენისა და მეტი მართვით ემოციისა. „ესპანური ტრაგედია“ მაღალფარდოვანია, როცა დაეშვება ენამდე, რაც ოინბაზობა უფრო იყო თავისი დროისა; „ტამერლანი“ მაღალფარდოვანია, რადგან მონოტონურია, მოუქნელია ემოციური ცვალებადობისადმი. მართლაც მშვენიერი რიტორიკა შექსპირისა იქ მოჩანს, სადაც პიესის პერსონაჟი ხედავს თავის თავს დრამატულ შუქში.

thello.

And say, besides, — that in Aleppo once...

Coriolanus .

If you have writ your annals true, 'tis there,
That like an eagle in a dovecote, I
Fluttered your Volscians in Corioli.
Alone I did it. Boy!

Timon.

Come not to me again; but say to Athens,
Timon hath made his everlasting mansion
Upon the beachid verge of the salt flood...

[იტელო. და დაუმატეთ, რომ როცა ერთხელ აღეპოში...]

1. ამ სტრიქონების ავტორზე შეიძლება მხოლოდ ის ვთქვათ, რომ მარლოს რომელიმე თავანისმცემელს ეკუთვნის. შესაძლოა ეს ჯონსონიც ყოფილიყო.

ტომას ელიოტი. ესეივანის პრეპარულიდან: „სალვითო ტყე“

ბიერებელ დაბნეულობაში განმარტოებულნი, გვიჩვენებს თუ როგორ ივინყებს თავის თავს ადამიანის სული. როსტანს ეს არ შეეძლო; მაგრამ კერძო შემთხვევაში, როცა სირანი ცხვირებზე მსჯელობს, ხასიათი, სიტუაცია, მდგომარეობა სრულყოფილად და მორგებული და შერწყმული. ამ შერწყმის შედეგად წარმოშობილი ტირადა არამარტო ჭეშმარიტად მაღალდრამატულია, არამედ ეგებ პოეზიაცაა. თუ მწერალს არ შეუძლია ამგვარი სცენის შეთხზვა, მით უარესი პოეტური დრამისათვის.

„სირანო“ აკმაყოფილებს, როგორც ამგვარი სცენა აკმაყოფილებს, პოეტური დრამის მოთხოვნებს. მან უნდა გამოიწვიოს ჭეშმარიტი და მყარი ადამიანური ემოციები, ისეთი ემოციები, რასაც დადასტურებს დაკვირვება, გამოიწვიოს ტიპური ემოციები და მიანიჭოს არტისტული ფორმა; აბსტრაქციის ხარისხს თვითული ავტორის მეთოდი განსაზღვრავს. შექსპირთან ფორმა განსაზღვრულია მთელის ერთიანობით, ისევე როგორც თვითული სცენით; ესაა ის, რითაც მიიღწევა ერთიანობა, როგორც როსტანთან, სცენებში მაინც, თუ არა მთელ პიესაში. არა მხოლოდ დრამატურგად, არამედ პოეტად იგი მეტერლინკზე მაღლა დგას, ვისი დრამაც მოიკოჭლებს როგორც დრამატურგიაში, ისევე პოეზიაში. მეტერლინკს აქვს ლიტერატურული აღქმა დრამატურგიულისა და ლიტერატურული აღქმა პოეზიისა, და ამ ორს აკავშირებს; ეს ორი კი, ისე, ვით ზოგჯერ როსტანის ნაწარმოებში, არ შეედუღება ერთმანეთში. მისი ხასიათები ვერ აცნობიერებენ ტკბობას როლით — ისინი სანტიმენტალურნი არიან. როსტანთან სიმძიმის ცენტრი ემოციის გამოხატვაშია და არა გამოუხატველ ემოციაში, როგორც მეტერლინკთან. ეტყობა, ზოგიერთ მწერალს სჯერა, რომ ემოციები სიმძაფრეს იძენენ თუ არ გამოითქვიან. ალბათ ემოციები არ არიან იმდენად მნიშვნელოვანნი, რომ დღის სინათლეს გაუძლონ.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია ავარჩიოთ: შეგვიძლია გამოვიყენოთ ტერმინი „რიტორიკული“ ისეთი ტიპის დრამატული მეტყველების აღსანიშნავად, როგორც მოვიხმე, და მაშინ შეგვიძლია ვი-

ფიქროთ, რომ ის კარგსაც მოიცავს და ცუდსაც. ან შეგვიძლია ვამჯობინოთ ამ ტიპის მეტყველების გამორიცხვა რიტორიკისაგან. ამჯერად უნდა ვთქვათ, რომ რიტორიკა მეტყველების ერთგვარი გამლამაზებელი ან გამპრანჭველია, რაც განსაკუთრებული ეფექტისათვის კი არ გამოიყენება, არამედ ზოგადი გამომხატველობისათვის. და ამ შემთხვევაშიც ვერ ვიფიქრებთ, რომ ტერმინი მოიცავდეს ყველა ცუდ მწერლობას.

შენიშვნები ქრისტოფერ მარლოს თეთრი ლექსის გამო „მარლოს ხანჯალი ჩასცეს და მოკვდა წყევლით“

ჰენრი ოქსინდენის ჩანაწერები, 1640

უფრო მეგობრული კრიტიკოსი, მრ. ა. ჩ. სუინბერნი, გაიაზრებს ამ პოეტს, როგორც „მამას ინგლისური ტრაგედიისა და შემოქმედს ინგლისური თეთრი ლექსისა და, ამრიგად, მოძღვარსა და წინამძღოლს შექსპირისა.“ ამ წინადადებაში მცდარი ვარაუდია და ორიც მცდარი დასკვნა. პირველ წოდებას კიდეც ისევე იმსახურებს, როგორც მარლო; მეორე ტიტული სარეის უფრო შეჰფერის; ხოლო შექსპირისათვის არც უსწავლებია და არც გასძლოლია მარტოდენ ერთი წინამორბედი და თანამედროვე. ნაკლებ საეჭვო განსჯა ის იქნებოდა, რომ მარლომ ძლიერი გავლენა მოახდინა უფრო გვიანდელ დრამატურგიაზე, თუმც არ ყოფილა კიდივით დიდი დრამატურგი; რომ მრავალი ახალი ინტონაცია შეეტანა თეთრ ლექსში და წამოეწყო გამაცალკეველი პროცესი, რამაც განავითარა და განავითარა ის რიტმებიდან რითმიანი ლექსისა; და რომ როცა შექსპირი სესხულობდა მისგან, რაც თავიდან ძალზე ხშირად ხდებოდა, ან რაღაც მდარეს აღწევდა, ანდა რაღაც განსხვავებულს.

ინგლისური ვერსიფიკაციის სხვადასხვა ხანის შედარებითი შესწავლა ვრცელი ტრაქტატია დაუნერელი ისტორიისა. მართო თეთრი ლექსის შესწავლაც კი უჩვეულო დასკვნებს ამოგვაჩხრეკინებს. მჯერა აღმოჩნდება, რომ თეთრი ლექსი შე-

ქსპირის სიცოცხლის დროს უფრო მეტად იყო განვითარებული, და რომ გადმოსცემდა გაცილებით მრავალფეროვანსა და გაცილებით მძაფრ განცდებს ხელოვნებისა, ვიდრე მას შემდეგ გამოუხატავთ; და რომ მილტონური ჩინეთის კედლის აღმართვის შემდგომ თეთრი ლექსი არა მარტო შეჩერდა, არამედ დაქვეითდა კიდევ. რომ, მაგალითად, თეთრი ლექსი ტენისონისა, გარკვეული აზრით, ამ ფორმის სწორუპოვარი ოსტატისა, უფრო ნედლია (არა „უფრო უხეში“ ან ტექნიკურად ნაკლებ სრულყოფილი), ვიდრე შექსპირის ნახევარი დუჟინი თანამედროვისა; ნედლია, რადგან ნაკლებ შეუძლია გამოხატოს რთული, დახვეწილი და განმაცვიფრებელი ემოციები.

თვითეულ მწერალს, ვისაც გადარჩენის ღირსი თეთრი ლექსი დაუნერია, შეუქმნია ნიშანდობლივი ინტონაცია, რისი გადმოცემაც არსად შეიძლება მისი ლექსის გარდა; და ეს უნდა გვახსოვდეს, როცა ვახსენებთ „გავლენებსა“ და „ვალში ყოფნას.“ შექსპირი „უნივერსალურია“ (თუ ასე გნებავთ), რადგან სხვაზე მეტი აქვს ეს ინტონაციები; მაგრამ ყველა ისინი გაცდებიან ერთ კაცს; ერთი კაცი შეუძლებელია იყოს მეტი, ვიდრე ერთი კაცია; ერთდროულად ექვსი შექსპირი უნდა ყოფილიყო, რომ მომიჯნავეებთან ქიშპს გადარჩენილიყო; და იმის თქმა, შექსპირმა გამოხატა თითქმის ყველა ადამიანური ემოციო, და იმის დართვა, სხვებს ძალზე ცოტა დაუტოვაო, ძირფესვიანად მცდარი აღქმაა ხელოვანისა და ხელოვნებისა — იმდენად მცდარი, რომ მაშინაც კი, როცა ერთმნიშვნელოვნად უკუაგდებ, შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, არაფრად ჩააგდონ ჩვენი მცდელობა ყურადღების გადატანისა შექსპირის თანამედროვეთა ლექსის სპეციფიკურ თავისებურებათა აღმოჩენის საჭიროებაზე. თეთრი ლექსის განვითარება შეიძლება შეედაროს იმ განსაცვიფრებელი ინდუსტრიული პროდუქტის, ქვანახშირის ფისის, ანალიზს. მარლოს ლექსი ერთი ყველაზე უფრო ადრეული წარმოებულა, მაგრამ მას ისეთი რამ მოეპოვება, რაც არ განმეორებულა არცერთ ანალიტიკურსა თუ სინთეტურ თეთრ ლექსში, რაც მოგვიანებით აღმოჩენილა.

მარლოსა და შექსპირის ეპოქის „სტილის ხარვეზები“ მოხერხებული სახელია მრავალი ხარვეზისათვის, რომელთაგან, ალბათ, არცერთი არ გაუზიარებია არცერთ მწერალს. სწორი იქნებოდა შეგვენიშნა, რომ მარლოს „რიტორიკა“ არ არის ანუ ხასიათით არა ჰგავს შექსპირის რიტორიკას; რომ მარლოს რიტორიკა შედგება კოხტა, სადა, ტრაბახა მაღალფარდოვნებისაგან, მაშინ როდესაც შექსპირისა უფრო სტილური ხარვეზია, ნაწვალეები, ჯიუტი, მახვილგონივრული ხატები, რომელიც, იმის ნაცვლად, რომ მოგვიწესრიგოს, გვიფანტავს წარმოსახვას, რაც შესაძლოა გავლენის ბრალია, მარლოს რომ არ შეჰხებია. შემდგომ მივაგნებთ მარლოს ხარვეზს, რომელიც მან თანდათანობით შეამცირა და, რაც უფრო საოცარია, ღირსებად აქცია. და მივაგნებთ, რომ ეს ფიცხი წარმოსახვის მქონე ბარდი იცნობდა თავის საუკეთესო წვრილმან ახირებებს (ასეთი იქნებოდა თუ სხვაგვარი), ინარჩუნებდა მათ და ხელახლა წარმოაჩენდა, და თითქმის გამუდმებით აუმჯობესებდა ამ პროცესში.

ღირს შევნიშნოთ ორიოდე ასეთი გარდაქმნა, რადგან მიანიშნებს რაღაც საპირისპიროზე ჩვეულებრივი შეხედულებისა, რომ მარლო ბეჯითი და შეგნებული მშრომელი გახლდათ. მრ. ჯ. მ. რობერტსონმა შენიშნა საგულისხმო ნაქურდალი მარლოს მიერ სპენსერიდან. აი სპენსერი („ფერია დედოფალი“, VII. 32):

Like to an almond tree y-mounted high
On top of green Selinis all alone,
With blossoms brave bedecked daintily;
Whose tender locks do tremble every one
At every little breath that
under heaven is blown.

[როგორც ნუშის ხე, მაღლა ასული,
მარტოდმარტო,
სელინისის მწვანე მწვერვალზე,
მშვენიერი ყვავილებით
თამამად მორთული;
ვისი ნაზი კულულებიც
ათრთოლებენ ყველას,
ცის ქვეშ ნელი ნიავის
ოდნავ დაქროლვისას.]

და, აი, მარლო

(ტამერლანი, ნან. II. მოქ. ივ. სც. იიი.):
Like to an almond tree y-mounted high
Upon the lofty and celestial mount
Of evergreen Selinus, quaintly deck'd
With blooms more white than

Erycina's brows,
Whose tender blossoms tremble
every one
At every little breath that thorough
heaven is blown.

[როგორც ნუშის ხე მაღლა ასული
მაღალსა და ღვთაებრივ მთაზე,
მარადმწვანე სელინუსზე,
უჩვეულოდ რომ დახუნძლულა
ყვავილებით, ერიცინას შუბლზე
უთეთრესით;
ვისი ნაზი ყვავილებიც
ათრთოლებენ ყველას
ნელი ნიავის ყოველი
ზეციური დაქროლვისას?]

საგულისხმოა არამარტო იმით, რომ მარლოს ტალანტს გვიჩვენებს, პოეტთა უმრავლესობასავით ნაწილობრივ სინთეტური რომ გახლდათ, არამედ იმითაც, რომ გასაღებს გვანჯდის „ტამერლანის“ უშუალო ლირიკული ეფექტისა, რაც მარლოს სხვა პიესებში არა გვხვდება, და მჯერა, რომ არც სხვაგან დაიძებნება. მაგალითად, „ზენოკრატეს ქებაში“, ნან. II. მოქ. II. სც. ივ.:

Now walk the angels on the walls
of heaven,
As sentinels to warn th' immortal
souls
To entertain divine Zenocrate: etc.

[ჰა, მოდის ანგელოსი ზეცის
კედლებზე,
ვითა დარაჯი უკვდავ
სულთა გასაფრთხილებლად,
ღვთებრივი ზენოკრატეს შესაქცევად:
და ა.შ.]

ეს არაა სპენსერის დინამიკა, მაგრამ სპენსერის გავლენა კი უნდა იყოს. მარლომდე დიადი თეთრი ლექსი არ ყოფილა; მაგრამ მელიოდის იმ დიადი ოსტატისა იქვე იყო; და იყო განუმეორებელ მიღწე-

ვათა შერწყმაც. არა მგონია, იმის თქმა შეიძლებოდეს, აქ პილის რალაც გავლენა-აო.

სპენსერული მოტიანილი ნაწყვეტი კიდევ მეტ ცნობისნადილს იწვევს. ჩანს, რომ მეოთხე სტრიქონი:

With blooms more white
than Erycina's brows
[ყვავილებით, უთეთრესით
ერიცინას შუბლზე]

მარლოს წვლილია. შეადარეთ მარლო-სეულ სხვა სტრიქონებს:

So looks my love,
shadowing in her brows
[ასე მიყურებს ჩემი სიყვარული
წარბთა ჩრდილიდან
(„ტამერლანი“)]
like to the shadows of Pyramides
[პირამიდათა ჩრდილივით]
(„ტამერლანი“)]

და საბოლოო და საუკეთესო ვარიანტი:

Shadowing more beauty
in their airy brows
Then have the white breasts of the queen
of love

[უფრო მეტი მშვენებობა აქვს
შეფარული ჰაეროვან წარბებქვეშ,
ვიდრე სიყვარულის დედოფლის
თეთრი მკერდია.]
(„დოქტორი ფაუსტუსი“)]

და ყველაფერი კვლავ სპენსერს შევადაროთ (ფ. დ.)

pon her eyelids many graces sate
Under the shadow of her even brows,
[მისი წამწამებზე მრავალი მშვენება
სუფევს,
მის სწორ წარბთა ჩრდილქვეშ]

ეს ნაწყვეტი, როგორც მრ. რობერტსონი ამბობს, სპენსერს თვითვე აქვს გამოყენებული სამჯერ, სხვადასხვა ადგილას.

ამგვარი ეკონომიურობა ხშირია მარლოსთან. „ტამერლანში“ უკვე მონოტონურ სახეს იძენს, განსაკუთრებით მჟღერ

სახელთა მსუბუქი გამოყენებისას (მაგ. „კასპიის“ ან „კასპიურის“ განმეორებით ერთი და იმავე ჟღერადობის მიღწევისას), ამაში მარლოს ბაძავდა მილტონი და რაც თვითონ მარლომ მიატოვა. და კვლავ,

Zenocrate, lovelier than the love of Jove,
Brighter than is the silver Rhodope,
[ზენოკრატე, იუპიტერის სიყვარულზე
უფრო საყვარელი,
ელვარე, ვიდრე როდოპის ვერცხლი]

მოგვიანებით უთანასწორდება,

Zenocrate, the loveliest maid alive,
Fairier than rocks of pearl and precious stone.
[ზენოკრატე ყველაზე საყვარელი
ცოცხალ ქალიშვილთა შორის,
მარგალიტისა და ძვირფას ქვათა
კლდეებზე უფრო მშვენიერი.]

ერთ სტრიქონს მარლო ტრიუმფალური ნარმატებით გარდაქმნის:

nd set black streamers in the firmament
[და შავ ზოლებს გამოჰფენს
ზეცის თაღში
(„ტამერლანი“)]

გადაიქცევა

See, see, where Crist's blood
streams in the firmament!
[იხილე, იხილე, სად ქრისტეს სისხლი
შესჩუხჩუხებს ზეცის თაღს!]
(„დოქტორი ფაუსტუსი“)

საღიქსო მიღწევა გამორჩევით ორია „ტამერლანში“: მარლოს თეთრ ლექსში სპენსერის მელოდია შეაქვს, და მამოძრავებელ ძალას იძენს იმით, რომ აძლიერებს წინადადების სიგრძეს სტრიქონის სიგრძის საპირისპიროდ. სწრაფი გრძელი წინადადებები გადარბიან სტრიქონიდან სტრიქონში, ისე როგორც ცნობილ მონოლოგშია „Nature compounded of four elements“ („ბუნება შემდგარი ოთხი ელემენტი“) და „What is beauty, saith my sufferings, then?“ („მაშ რაა მშვენიერება, ამბობს ჩემი ტანჯვა?“), მონიშნავს თეთრი ლექსის ერთგვარ გაქცევას გართიმული ორსტრიქონედიდან, ან ელემენტური თუ უფრო პასტორალური ნოტიდან სარეისა,

რასაც ტენისონი დაუბრუნდა. თუ შეადარებთ ამ ორ მონოლოგს მარლოს უდიდესი თანამედროვის, ტომას კიდისას — ეჭვშეუტანლად საძაგელი მოლექსე გახლდათ — დაინახავთ განახლების მნიშვნელობას:

The one took sanctuary, and,
being sent for out,
Was murdered in Southwark
as he passed
To Greenwich, where
the Lord Protector lay.
Black Will was burned in Flushing
on a stage:

Green was hanged at Osbridge in Kent...
[ერთმა მიიღო თავშესაფარი და
გამოდევნილი
მოჰკლეს საუთვორკში,
გრინვიჩისაკენ რომ მიდიოდა,
სად განისვენებს
ლორდ-პროტექტორი.
შავი ვილი ააგიზგიზეს ფიცარნაგზე.
გრინი ჩამოახრჩეს ოსბრიჯთან,
კენტში...]

რაც მართლაც რომ არაფრით ჩამორჩება:

So these four abode
Within one house together; and as years
Went forward, Mary took another mate;
But Dora lived unmarried till her death.
[ამრიგად, ეს ოთხნი ბინადრობდნენ
ერთ სახლში, ერთად; და
როს წლები გავიდა,
მერიმ სხვა შეირთო;
ხოლო დორა სიკვდილამდე
არ გათხოვილა.]
(ტენისონი, „დორა“)

„ფაუსტში“ მარლო უფრო შორსაც ნავიდა: ბოლო მონოლოგში სტრიქონი გატეხა, რათა გაეძლიერებინა; და განავითარა ახალი და მნიშვნელოვანი სასაუბრო ინტონაცია ფაუსტის დიალოგისას ეშმაკთან. ედუარდ მეორეს არასოდეს აკლდა ყურადღება: უფრო სასურველია, მოკლე დროში, შენიშვნები გამოთქვა ორ პიესაზე, რომელთაგან ერთი ვერ გაიგეს და მეორე სათანადოდ ვერ შეაფასეს. ესენია:

„მალტელი ებრაელი“ და „დიდო, დედოფალი კართაგენისა“. ამათგან პირველზე ყოველთვის ამბობდნენ, დასასრული, თვითორი ბოლო მოქმედება, ვერ უტოლდება პირველ სამ მოქმედებასო. თუ განვიხილავთ „მალტელ ებრაელს“ არა როგორც ტრაგედიას ან „სისხლიან ტრაგედიას“, არამედ როგორც ფარსს, დასკვნითი მოქმედება გასაგები ხდება; და თუ ლექსთწყობას გულდასმით დაფუგდებთ ყურს, აღმოვაჩინებთ, რომ მარლო ავითარებს ისეთ ინტონაციას, ამ ფარსს მოარგოს, და ალბათ იმასაც, რომ ეს ინტონაცია ყველაზე მძლავრი და მონიფულია. ფარსი ვახსენე, მაგრამ ჩვენი დროის გამოფშუტულმა ჰუმორმა ეს სიტყვა დაამახინჯა; ის ფარსია ძველი ინგლისური ჰუმორით, საშინლად სერიოზული, თითქმის ველური კომიკური ჰუმორით, ჰუმორით, რომელმაც უკანასკნელი ამოსუნთქვა დიკენსის დეკადენტურ გენიალობაში ჰპოვა. ამ ჰუმორს არაფერი აქვს საერთო ჯ. მ. ბარისთან, კაპიტან ბეირნსფაზერსა ან პანჩთან. ესაა ჰუმორი იმ ძალზე სერიოზული (მაგრამ ძალზე განსხვავებული) პიესისა „ვოლპონე“.

First, be thou void of these affections,
Compassion, love, vain hope,
and heartless fear;
Be moved at nothing,
see thou pity none...

As for myself, I walk abroad o' nights,
And kill sick people groaning under walls:
Sometimes I go about and poison wells...

[უპირველესად,
ჩამოიცილე ეს გრძნობები,
თანაგრძნობა, სიყვარული, ამაო იმედი
და უგულო შიში,
ნურა შეგძრავს, ნუვინ შეგებრალება...
მე, ჩემდათავად,
ლამლამობით დავეხეტები,
და ვხოცავ სნეულ ხალხს,
კედლებთან რომ კვნესენ,
ხანდახან მივდივარ და ჭებს ვნამლაგ...]

და უკანასკნელი სიტყვები აბოლოვებს ამ განსაცვიფრებელ კარიკატურას:

But now begins th' extremity of heat
To pinch me with intolerable pangs:

Die, life! fly, soul! tongue, curse thy fill,
and die!

[ახლა კი იწყება უკიდურესი
სიმხურვალე
აუტანელი ტკივილით რომ
დაგჩხვლეს:
მოკვდი, სიცოცხლე!
გაფრინდი, სულო!
ენავ, დანყველე და მოკვდი!]

ეს ისეთი რამაა, რასაც შექსპირიც ვერ აღასრულებდა და ვერც მიხვდებოდა.

„დიდო“ ნაჩქარევი პიესა ჩანს, ალბათ „ენეიდა“ ედო წინ და მისი ქარგის მიხედვით აწყობდა. მაგრამ აქაც კი პროგრესი იგრძნობა. ტროას გაძარცვის ანგარიში მარლოს ახალი სტილისაა, სტილისა, რომელიც ყოველთვის ინარჩუნებს გამომხატველობას კარიკატურის ზღვარზე დროული შეყოვნებით:

The Grecian soldiers, tir'd with ten years war,
Began to cry, „Let us unto our ships,
Troy is invincible, why stay we here?..“
[ათი წლის ომით დაღლილმა
ბერძენმა ჯარისკაცებმა
ყვირილი დაიწყეს, —
„გემებზე აგვიშვით,
ტროა დაუძლეველია,
აქ რატომღა დავრჩეთ?..“

By this, the camp was come
unto the walls,
And through the breach did march
into the streets,
Where, meeting with the rest, „Kill, kill!“
they cried.

[ასე მივიდა ბანაკი კედლებამდე,
და ბზარის გავლით შეაბიჯა ქუჩებში,
სადაც სხვებს შეხვედრილებმა
შეჰყვირეს, „მოჰკალ, მოჰკალ!..“]

And after him, his band of Myrmidons,
With balls of wild-fire
in their murdering paws...

[მიჰყვებოდა მისი გუნდი
მირმიდონელებს,
მძვინვარე ცეცხლის ბურთები ეჭირათ
მომაკვდინებელ ბრჭყალებში]...

At last, the soldiers pull'd her by the heels,

And swung her howling in the empty air...

[ბოლოს მეომრებმა ქუსლებში ჩაავლეს და გაათრიეს სიცარიელეში...]

We saw Cassandra sprawling in the streets...

[ვიხილეთ ქუჩაში გაშხლართული კასანდრა...]

ეს არც ვერგილიუსია და არც შექსპირი; წმინდანყლის მარლოა. ეს სიტყვები კლარენსის სიზმარს რომ შევადაროთ „რიჩარდ მესამიდან“, ცოტაოდნავ ჩავწვდებით განსხვავებას მარლოსა და შექსპირს შორის: მოქ. I სც. 4.

What scourge for perjury
Can this dark monarchy afford false
Clarence?

[აბა როგორ სასჯელს უნიშნავს ეს ბნელი სამეფო მუხთალ კლარენსსო?]

აქ, მეორე მხრივ, არის ის, რაც მარლოს სტილს არ შეუძლია აღასრულოს; ფრაზა თითქმის კლასიკურად ლაკონიურია, სწორედაც რომ დანტესებური. და კვლავ, ისე ხშირად, როგორც ელიზაბეთურ დრამატურგებს ახასიათებთ, მარლოსთან არის

სტრიქონები, იმ მრავალ სტრიქონს შორის, რაც შექსპირს შეუთვისებია, და რაც ორივეს შეეძლო დაენერა.

If thou wilt stay,
Leap in mine arms; mine arms
are open wide;
If not, turn from me, and
I'll turn from thee;
For though thou hast the heart
to say farewell,
I have not power to stay thee.
[თუ დარჩები, მკლავებში ჩამივარდი; ფართოდ გადამიშლია მკლავები; თუ არა, შებრუნდი ჩემგან და მეც შევებრუნდები; რადგან თუ შენ ძალგიძს დამემშვიდობო, მე არ ძალმიძს გაგაჩერო.]

მაგრამ მიმართულება, საითაც მარლოს ლექსი შეიძლება დაწასულიყო, რათა არ „მომკვდარიყო წყევლით“, სრულიად არაშექსპირულია, და მიმართულია მძაფრი და სერიოზული და უდავოდ დიდი პოეზიისაკენ, რაც ზოგიერთ დიად ნახატსა და ქანდაკებასავით შთაბეჭდილებას ახდენს რალაც არცთუ კარიკატურისაგან განსხვავებულით.

*ინგლისურიდან თარგმნეს
პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა*

